ემზარ ხვიჩია

ნოოლოგია

თვითკმარი არსებობის ლოგიკა

საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები

თბილისი
2020

ემზარ ხვიჩია - ნოოლოგია - თვითკმარი არსებობის ლოგიკა
საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები - 254 გვ.

წარმოდგენილ წიგნში გადმოცემულია საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის (ისტორიის ლოგიკის განმსაზღვრელი) ახალი პარადიგმა, რომელიც მიღებულია ორიგინალური ლოგიკური აპარატის გამოყენებითა და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებით.

წიგნი ასევე ეძღვნება პიროვნების, ერისა და ცივილიზაციის ცნებებში სიცხადის შეტანას და მათ შორის არსებული ურთიერთმიმართებების ახსნას. ავტორი მის მიერვე შემუშავებული თეორიული აპარატით ახდენს კაცობრიობის ისტორიის სისტემატიზაციას, რითაც რევოლუციურ შედეგებამდე მიდის.

ნაშრომში ასევე იხილავთ მითოსური ნარატივებისა და ანტიკური ხანის ეპოსების თანმიმდევრულ და დეტალურ ახსნას, თეოლოგიის საკითხებისა და ევოლუციური მოძღვრების აქამდე შეუმჩნეველი ასპექტების მიმოხილვას და სხვა საინტერესო თემების სრულიად ახლებურ და სიღრმისეულ ანალიზს.

წიგნი განკუთვნილია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში მოღვაწე მკვლევართათვის, პოლიტიკის თეორიითა თუ პრაქტიკული პოლიტიკით, ასევე ფილოსოფიით დაინტერესებულ პირთათვის და სამყაროს ერთიანი აღწერის მაძიებელთათვის.

თითოეული ზემოხსენებული მიმართულებისთვის წიგნი წარმოადგენს იდეების უშრეტ საბადოს.

რედაქტორი: **ვალერი ოთხოზორია**

პროექტის მენეჯერი: **ლევან გოგავა**

კორექტორები: **სალომე გოგოლაური, ლევან გოგავა,**
მარეხ ბეჟანიშვილი, თამარ გოგოლაური

კონსულტანტები - ახალგაზრდა მკვლევრები:
ლუკა ეხვაია, ირაკლი გაბელია,
ბუხუტი სიჭინავა, აკაკი გოცირიძე

დამკაბადონებელი: **ეკა აბზიანიძე**

გარეკანზე გამოყენებულია ნახატი **„ტრანსფორმაცია“**
მხატვარი: **თამარ თორდია**

© ემზარ ხვიჩია

© გამომცემლობა „ახალი პარადიგმა“

ISBN 978-9941-8-2734-1

სარჩევი

რედაქტორისგან 4
ახალგაზრდა მკვლევართა მოკლე მიმოხილვა 5
ავტორის წინასიტყვაობა 8

1. ნოოსფერულ სტიქიათა თეორია 11
§1.1 განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი 11
§1.2 თვითრეფლექსია, პიროვნება – ნოოიდი 13
§1.3 ერი – ნოოსი 21
§1.4 ცივილიზაცია – ნოოცენოზი 26
§1.5 ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური 28
§1.6 ნოოფილოგენეზის მეორე საფეხური 37
§1.7 ნოოფილოგენეზური რევოლუციის სოციალური ასპექტები 40
§1.8 ნოოფილოგენეზის მესამე საფეხური 46
§1.9 ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხური და მეხუთე (მხები ლოგიკური პერსპექტივით ნაკარნახევი, ჰიპოთეტური) საფეხურის შესაძლო დახასიათება 50
§1.10 ფორმის მანია 54
§1.11 ძლევის მანია 60
§1.12 ცხრომის მანია 65
§1.13 მართვის მანია 74
§1.14 მართვის მანიის ეფექტის ფენომენოლოგიის ნოოფილოგენეზური ასპექტები, ნოოსფეროს გამამთლიანებელი მომენტი 101
§1.15 ადამიანის სქესის ბიოლოგია და ნოოლოგია 135
§1.16 ნოოონტოგენეზი 147
§1.17 ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების მახასიათებლების ცხრილი 160

2. ციკლური ლოგიკა – ნოოლოგიურ სტიქიათა თეორია 165
§2.1 ნოოლოგიური სტიქიები 165
§2.2 თვითკმარი არსებობის პრინციპები (დრო, როგორც ლოგიკის კატეგორია) 176

3. დედამიწის ნოოსფეროს ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა ... 212
§3.1 ზოგადი სურათი 212
§3.2 დედამიწის ნოოსფეროს ისტორიის მაგისტრალური ხაზი 218
§3.3 ოპტიმალური წესრიგი და თანამედროვეობა 242

ემზარ ხვიჩიას პუბლიკაციების სია (დალაგებული ქრონოლოგიურად) ... 251

რედაქტორისგან

ჩვენ გადავწყვიტეთ ემზარ ხვიჩიას წინამდებარე ნაშრომის გამოცემა, რადგან ჩავთვალეთ ის ყურადსაღებად, როგორც ლოკალური, ისე მსოფლიო სამეცნიერო წრეებისთვის.

ავტორი ეყრდნობა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას, რომელიც ყურადღების ცენტრში აქცევს პიროვნების უნაწევრო სიმთელის მომენტს. მკვლევარი გაცილებით წინ მიდის: ახერხებს უნაწევრო სიმთელის შინაარსის ასპექტების იდენტიფიკაციას. შედეგად, იგი ადამიანის ფსიქიკის მანამდე უცნობი ფაქტორების ფუნქციას გვიჩვენებს, როგორც ინდივიდის, ასევე ერისა და ცივილიზაციის დონეზე.

ცივილიზაციის ცნება ემზარ ხვიჩიას თეორიაში გადაჯაჭვულია ისტორიული დროის ცნების განსხვავებულ გაგებასთან. მკვლევარი ისტორიული დროის კულტურულ ფენომენს უკავშირებს მის ინფორმაციულობას, რაც განაპირობებს ადამიანის სპეციფიკური, კულტურული განვითარების თანმიმდევრულ, ლოგიკურ პროცესს, საფეხურებს.

მკვლევარი თავის ფუნდამენტურ მიგნებათა საფუძველზე ეფექტიანად ახერხებს იდეოლოგიათა, ე.წ. „დიდი პოლიტიკური პროექტების“ კრიტიკასა და მათი ნამდვილი საფუძვლების დადგენას. ავტორი ახდენს მეცნიერული და პოლიტიკური მიდგომების ერთმანეთისგან გამიჯვნას და მეცნიერებაზე დაფუძნებული, ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შექმნას „ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიცირებით“ გვთავაზობს.

დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს სოციალურ მეცნიერებათა ფუნდამენტური კვლევების საბაზისო თეორიასთან, რომლის შემდგომი შესწავლა და გამოყენება დღის წესრიგში დააყენებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის გადასინჯვის საჭიროებას.

ხატოვნად რომ ვთქვათ, ნაშრომი ჰგავს ქართულ პოლიფონიას, სადაც ერთად ჟღერს მრავალი ხმა, მრავალი მოტივი, ამიტომ საჭიროებს გულდასმით სმენას და გააზრებას, თუმცა ეს უკანასკნელი გაცილებით შრომატევადი საქმეა.

დაბოლოს, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა თავად ემზარ ხვიჩიაზე. ავტორის გაცნობა და მასთან ურთიერთობა მისი თეორიის შესწავლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და მრავლისმომცემი გამოცდილება აღმოჩნდა. იგი ცოცხალი ენციკლოპედიაა, მუდამ უაღრესად ზუსტი და ღრმა აზრებით განმსჭვალული, სათნო და ერთგული მეგობარი. ემზარ ხვიჩია უთუოდ იმსახურებს გახდეს პატივსაცემი და საზოგადოდ დაფასებული მკვლევარი.

ვალერი ოთხოზორია

თბილისი, 2020

ახალგაზრდა მკვლევართა მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე წიგნი „ნოოლოგია, თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები“, რევოლუციური მეცნიერული განაცხადია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე, რაც გამოიხატება ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და კულტუროლოგიის დარგის სრულიად ახლებური ნააზრევით გამდიდრებასა და კარდინალურ გადააზრებაში. ნაშრომის მასშტაბურობა მხოლოდ აკადემიურ ველში ძვრების მოხდენით არ შემოისაზღვრება, ავტორი უფრო შორს იჭრება და ახალი მეცნიერული პარადიგმის დაფუძნებით სოციალურ მეცნიერებებში გლობალური პოლიტიკური კონიუნქტურის ფუნდამენტურ გადააზრებას გვთავაზობს, რამაც საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის რეკონფიგურაცია უნდა გამოიწვიოს.

წიგნის ავტორი, ემზარ ხვიჩია, სოციალური მეცნიერებების დოქტორია, მაგრამ მისი ნაშრომის გაცნობისას მკითხველი ძალაუნებურად იგრძნობს მის ღრმა და მრავალმხრივ ცოდნასა თუ გამოცდილებას. ბ-ნი ემზარ ხვიჩია თავისი შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომებით, მკვლევრისთვის დამახასიათებელი გამბედაობითა და უკომპრომისობით გვთავაზობს ახალ მეცნიერულ პარადიგმას, რომელიც თავის თავში ატარებს ახალი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლების დაფუძნების და კულტუროლოგიის ქანებში ტექტონური ძვრების სტიმულირების უზარმაზარ პოტენციალს.

მკითხველის წინაშე იშლება წიგნი, რომელიც თითქმის ოცდაათწლიანი დაუღალავი შრომის და მეცნიერული აზრის უწყვეტი განვითარების შედეგია. ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტი გვევლინება იდეების უშრეტ საბადოდ, რომელიც ამზადებს ნაყოფიერ ნიადაგს სხვადასხვა დარგობრივი და დარგთაშორისი კვლევების გენერირებისთვის. ნებისმიერი დისციპლინიდან წამოსული მკვლევრისთვის ტექსტი წარმოადგენს ენერგეტიკულ ველს, რომელიც, ერთის მხრივ, მათ საჭირო იმპულსებს გადასცემს მნიშვნელოვან კვლევებთან შესაჭიდებლად, მეორეს მხრივ, აღჭურავს მათ, როგორც თეორიული, ასევე მეთოდოლოგიური აპარატით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე ტექსტი არის პოლიტიკასა და აკადემიაში არსებული ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლისა და დიდი მეცნიერული ნახტომის გაკეთების უალტერნატივო შესაძლებლობა. ნაშრომის სათანადოდ აღქმა მარტივდება, თუკი ავტორის ნააზრევთან მკითხველი უკვე ნაზიარებია მისი სხვა წიგნებით, პუბლიკაციებითა და საჯარო ლექციებით. ტექსტის რთული სტილისტიკა და აზრობრივი კომპლექსურობა, რომელიც გამოწვევად უფრო უნდა აღიქმებოდეს მკითხველის მხრიდან ვიდრე დამაბრკოლებელ ფაქტორად, საბოლოოდ იმ ღირებული იდეებით კომპენსირდება, რომელიც მეცნიერის ნააზრევში წლებია ფიგურირებს და გრადუალურად იხვეწება.

რაც შეეხება უშუალოდ წიგნის სტრუქტურას. მკითხველს შესაძლოა ისეთი შეგრძნება დაეუფლოს, თითქოს ნაშრომში არაპროპორციულადაა ყურადღება გადანაწილებული

სხვადასხვა საკითხებზე. მაგალითისთვის, ავტორის მიერ შემოთავაზებული პარადიგმის ოთხი თანაბრად მნიშვნელოვანი ფსიქიკური/ნოოსფერული სტიქიიდან საგრძნობლად მეტი ყურადღება ეთმობა მართვის მანიის განხილვას. თუმცა, ავტორის აზრით, ეს ემსახურება მეოთხე ნოოსფერული სტიქიის - მართვის მანიის - შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას. პირველი თავი ეძღვნება ნოოსფერულ სტიქიათა თეორიას, მეორე თავში კი, რომელიც მათემატიკურ ნაწილს შეიცავს, გადმოცემულია თვითორგანიზაციის ლოგიკა, თვითორგანიზებულ სისტემათა მდგომარეობის ცვლის კანონზომიერებები, მათ შორის - ცივილიზაციური ფაზების ცვლის შესაძლო სქემები, სივრცე-დროის ახალი თეორია, ახალი მეთოდი, რომელიც სინამდვილის სხვადასხვა სფეროების ერთი მიდგომით განხილვის საშუალებას გვაძლევს.

წინამდებარე წიგნის ინოვაციური მეცნიერული მიდგომისა და კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატების გათვალისწინებით, მკითხველს შეიძლება დაეუფლოს შეგრძნება, რომ რეალობის აღქმის სრულიად ახალ განზომილებაში შეაბიჯა, რაც აქამდე არსებული კონვენციური გაგებების მსხვრევას იწვევს და კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ტექსტს სამომავლო დისკუსიისთვის.

ლუკა ეხვაია, ირაკლი გაბელია
ბუხუტი სიჭინავა, აკაკი გოცირიძე

თბილისი, 2020

ეძღვნება დის – იზიღლდა ხვიჩიას
და დედის – თალიკო ბეჭვაიას ხსოვნას

ავტორის წინასიტყვაობა

მეცნიერების სფეროში სიახლის წარდგენა ცოდნის სისტემაში მისი ადგილის მითითებით იწყება, როგორც წესი, მაგრამ ზოგად წესს ამ შემთხვევაში სრულად ვერ დავიცავთ, რადგან წარსადგენი სიახლის არსებითი შემადგენელია თვით ცოდნის სფეროს ახლებურად დიფერენცირება.

ამ წიგნში გადმოცემული ახალი შედეგები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველია, ახალი ფსიქიკური ფაქტორის - **"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის"**, აღმოჩენის საფუძველზე დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარების შედეგი, აქამდე გამოქვეყნებულ ტექსტებში გამოყენებული ტერმინოლოგიით - **"ფსიქიკურ სტიქიათა თეორია".** იგი გვაძლევს ბიოსფეროს ფენომენთაგან ადამიანის გამომრჩეველი არსებითი (ფუნდამენტური) მახასიათებლის განსაზღვრის შესაძლებლობას. მეორე ნაწილი - **"ციკლური ლოგიკა",** რომელსაც, ასევე, ვუწოდებდით **"ონტოლოგიურ სტიქიათა თეორიას",** არის **"სისრულის პირობის"** მაკმაყოფილებელ სისტემათა არსებობის (სტრუქტურიზაციისა და მდგომარეობის ცვლის) კანონების შესახებ ცოდნა, რაც წარმოადგენს სიახლეს თვითორგანიზაციისა და თვითგანვითარების შესახებ მეცნიერების **- სინერგეტიკის -** სფეროშიც. ეს ახალი შედეგები სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიდგენს სინამდვილეს და, ასევე, მისი განვითარების შესაძლო პერსპექტივებს, რომელიც, ადამიანთა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, მზარდი სისრულით იჩენს თავს. სინამდვილის ამ ასპექტის აღსანიშნავად შეირჩა ტერმინი **"ნოოსფერო"**.

ეს ტერმინი მეოცე საუკუნის დასაწყისში (1920-იან წლებში) შემოიღეს **ედუარდ ლე რუამ** და **პიერ ტეიარ დე შარდენმა,** დედამიწის ჰიპოთეტური მოაზროვნე გარსის სახელად. **ვლადიმერ ვერნადსკიმ** ეს ტერმინი ფენომენოლოგიის კატეგორიად გადააქცია, განსაზღვრა რა ის, როგორც ბიოსფეროს განვითარების ახალი სტადია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერმინი **"ნოოსფერო"** ადამიანთა საზოგადოების (ადამიანის მიერ შექმნილი ინფრასტრუქტურული ფაქტორებისა და თავად ადამიანის განვითარების გამოხატულებათა) სინამდვილის სისტემურ ნაწილად წარმოდგენის მცდელობათა ამსახველია. ახალი მიდგომით, როგორც ვნახავთ, თეორიულ დასაბუთებას იძენს თავად **ნოოსფეროს** სისტემური ერთიანობის ფაქტი, ბიოსფეროს სტრუქტურულ ნაწილად მისი წარმოდგენა კი ვერ პოულობს გამართლებას.

აქ წარმოდგენილი თეორიის ტერმინოლოგიაში ამ ტერმინის ჩართვა მოხდა თეორიის ძირითადი კატეგორიების განსაზღვრებათა ჩამოყალიბება-დაზუსტების დასრულების შემდეგ, როცა უკვე მთავარ თემად გამოიკვეთა სისტემური ერთიანობის ასპექტი. მისი ჩართვა ტერმინოლოგიის ოპტიმიზაციის საშუალებას გვაძლევს. ახალ ტერმინებს განვიხილავთ აქამდე გამოქვეყნებულ წერილებში გამოყენებული ტერმინების სინონიმებად.

ახლებურად განსაზღვრულ **"ნოოსფეროს"** შესახებ თეორიულ ცოდნას ვუწოდოთ **"ნოოლოგია"**. ეს არჩევანი ნაკარნახევია ანალოგიით: "ბიოსფერო – ბიოლოგია". აქამ-

დე ტერმინი **"ნოოლოგია"** ცნობილი იყო **რუდოლფ კრისტოფ ეიკენისეული** განსაზღვრებით: "**ნოოლოგია** - ცნობიერების ფილოსოფია, ცდილობს ახსნას ცნობიერების წარმოშობა (ნოოგენეზი), ადამიანის სულიერი ცხოვრება და შესაბამისი გონებრივი აქტივობის არსი და საფუძვლები". ეს პირველი განსაზღვრება და მასთან დაკავშირებული წინაისტორია (რომელიც რაიმე არსებითი სიახლის მომტანი ვერ გახდა) არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენებას. ხოლო, როდესაც დაზუსტება იქნება საჭირო, მეცნიერული ცოდნის ამ ახალი ნაწილის სახელად უნდა ვიგულისხმოთ "**კვანტური რელატივისტური ნოოლოგია**" (ამ არჩევანის საფუძვლიანობა ქვემოთ გახდება ცხადი).

ნოოლოგიის (კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის) წანამძღვრად წარმოდგენაში, დიმიტრი უზნაძის მიდგომის მთავარი ელემენტია ის, რომ მან ფსიქოლოგიის სფეროში არსებული ყველა სხვა მიმდინარეობის საერთო მახასიათებელი - "**უშუალობის პოსტულატი**" - გამოავლინა და ორიგინალური ექსპერიმენტული მეთოდით დაამტკიცა ამ საერთო მახასიათებლის საპირისპირო პოზიციის ლოგიკური საფუძვლიანობა. **კვანტური რელატივისტური ნოოლოგია** დიმიტრი უზნაძის პოზიციის თანმიმდევრული გაგრძელებაა და, ამასთანავე, გარკვეული ლოგიკური არათანმიმდევრულობისგანაც ათავისუფლებს მას:

- საქმე ისაა, რომ განწყობის კატეგორიის დიმიტრი უზნაძისეული განსაზღვრება ორი, ლოგიკურად ურთიერთშემვსები და, ამასთანავე, ლოგიკურად ურთიერთდაპირისპირებადი მომენტის შემცველია: პირველი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **"ძირითადი ნაწილი"** (ფსიქოლოგიის ქართული ეროვნული სამეცნიერო სკოლისთვის სასაფუძვლო პრინციპი), განწყობას წარმოგვიდგენს ფსიქიკურ ფუნქციებსა და გარეგან სინამდვილეს შორის შუამავალ რგოლად, სუბიექტის სიმთელის მომენტის მოდუსად; მეორე - **"დამატებითი ნაწილი**", რომლის მიხედვითაც, განწყობისეული მოვლენები თავს იჩენენ მაშინ, როცა სუბიექტი თავისი შინაგანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობის შემცველ (მის მიერ, სწორად თუ შეცდომით, ამგვარად გაგებულ-იდენტიფიცირებულ) სიტუაციაში აღმოჩნდება - აფართოებს განწყობის ცნების შინაარსს სუბიექტის მოქმედების მიზეზ -მიზნობრივად მოტივირებულ ქცევად წარმოდგენისთვის საკმარისი მომენტით: შინაგანი მოთხოვნილება **მიზეზობრივ** წინაპირობად (მიზეზობრივ მოტივატორად) შეიძლება წარმოვადგინოთ, მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობის სიტუაცია კი - მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი გზის განსაზღვრის, **მიზნების** არჩევა-დაკონკრეტების წინაპირობად (მიზნობრივ მოტივატორად); კვანტური რელატივისტური ნოოლოგია განწყობის ცნების დიმიტრი უზნაძისეული განსაზღვრების მხოლოდ **"ძირითად ნაწილს"** ემყარება, რაც არის ლოგიკური თანმიმდევრულობის სასარგებლოდ ლოგიკური სისრულისგან უკუქცევა: როგორც ვნახავთ, ლოგიკური სისრულე და ლოგიკური თანმიმდევრულობა ერთიმეორის საწინააღმდეგო (უარყოფით უკუკავშირში მყოფი) პირობებია.

დიმიტრი უზნაძის პოზიციის ამგვარად ჩამოყალიბება შეიძლებოდა მიგვეწერა მეცნიერების ყოველი სფეროს ერთი მიდგომით (ერთი თეორიით) მთლიანად მოცვის შესაძლებლობის შესახებ წარმოდგენის გავლენისთვის (მით უმეტეს, რომ ამგვარი წარმოდგენა

ბატონობს დღემდე), მაგრამ განწყობის ცნების განსაზღვრების შინაარსის ამგვარ გაფართოებას სხვა, უფრო ღრმა საფუძველი გააჩნია (ორმაგი ეფექტის აქტუალობა - იხ. გვ. 226).

ამ თემაზე აქამდელი პუბლიკაციები მეტწილად ემსახურებოდა ახალი თეორიული შედეგების გამოყენებითი ღირებულების წარმოჩენას, ეს წიგნი კი ეძღვნება თავად თეორიის გადმოცემას.

სისტემური ერთიანობის მომენტის ძირითად თემად გამოკვეთამ გვიკარნახა ტერმინოლოგიის ოპტიმიზაციის შესაძლებლობა, რასაც ზოგიერთი საწყისი ტერმინის სინონიმური ვარიანტების შემოტანა მოჰყვა:

"ფსიქიკური სტიქია" - **"ნოოსფერული სტიქია"**;

"ფსიქიკურ სტიქიათა თეორია" - **"ნოოსფერულ სტიქიათა თეორია";**

"ონტოლოგიური სტიქია" - **"ნოოლოგიური სტიქია";**

"ონტოლოგიურ სტიქიათა თეორია" - **"ნოოლოგიურ სტიქიათა თეორია";**

"პიროვნება" - **"ნოოიდი";**

"ერი" - **"ნოოსი";**

"ცივილიზაცია" - **"ნოოცენოზი";**

"ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების I (II, ..., V) საფეხური" - **"ნოოონტოგენეზის I (II, ..., V) საფეხური";**

"ერის ფენომენური განვითარების I (II, ..., V) საფეხური" - **"ნოოფილოგენეზის I (II, ..., V) საფეხური";**

"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობა" - **"ნოოლოგიური გადაგვარებულობა"**;

"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა" - **"ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა"**.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ, მართალია, ამ წიგნში განხილულია ნოოფილოგენეზის ოთხი საფეხურის ფაქტორები და ნოოონტოგენეზის ოთხივე საფეხურისთვისაა მიღებული აუცილებლად გასათვალისწინებელი შედეგები, მაგრამ ეს გაკეთებულია ნოოფილოგენზის მეოთხე საფეხურის პოზიციიდან და, ამდენად, წინამდებარე ტექსტი რეკომენდებულია მხოლოდ ნოონტოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასულ, ანუ 16 წლის ასაკს გადაცილებულ პირთათვის (იხ. გვ. 155 - 158).

1. ნოოსფერულ სტიქიათა თეორია

§1.1 განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი

ინდივიდის მოქმედებას, საზოგადოდ, გააჩნია ოთხი ლოგიკური ასპექტი:

1) ნებისმიერი მოქმედება გარეგნული ნიშნებით შეიძლება გამოვარჩიოთ სინამდვილის მოვლენათა ნაკადში - მოქმედებას ახასიათებს მოქმედების არეზე არსებულ ობიექტებს შორის გარკვეული შინაარსის ურთიერთმიმართებებისა და კავშირების აქტუალიზაცია, ანუ **"ფორმის ასპექტი";**

2) ნებისმიერ მოქმედებას ახლავს მისი განვითარების ხელშემშლელ ფაქტორთა წინააღმდეგობის, მოქმედების არეზე ამავდროულად მიმდინარე სხვა პროცესებისმიერი ხელშემშლელი გავლენის გადალახვა, ანუ **"ძლევის ასპექტი";**

3) ყოველ მოქმედებას ახასიათებს სამოქმედოდ მაიძულებელ გამოწვევათა (აღგზნება-გაღიზიანების, დაძაბულობის) მოხსნისკენ, რელაქსაციისკენ მისწრაფება, ანუ **"ცხრომის ასპექტი";**

4) ნებისმიერ მოქმედებას ახასიათებს სამოქმედო საშუალებათა (მოქმედი ინდივიდის საკუთრივი მოცემულობის, ბუნებრივი თუ ხელოვნური ინსტრუმენტების, თანდაყოლილი თუ შეძენილი უნარ-ჩვევების, სხვა ინდივიდებზე გავლენის ბერკეტების და ა. შ.) სამოქმედოდ მიმართვა, ანუ **"მართვის ასპექტი".**

ოპონენტებმა მოქმედების აქტის სხვა ასპექტების გამოყოფა არაერთხელ სცადეს. ამ წიგნის მეორე ნაწილში ცხადი გახდება ამგვარ მცდელობათა შედეგიანობის შეუძლებლობა.

დასახელებული ოთხეული არსებით ლოგიკურ ურთიერთკავშირშია: სამოქმედო საშუალებათა სამოქმედოდ მიმართვას ლოგიკურად მოსდევს მოქმედების ფორმის არჩევა-რეალიზაცია; ეს მოქმედების განვითარების ხელშემშლელ ფაქტორთა წინააღმდეგობის დაძლევის ამოცანის დაკონკრეტება-აქტუალიზაციას განაპირობებს; ამას მოქმედების შესრულებული მომენტის გამოვლენისა და სათანადო მიმართულებებით ძალისხმევის შეჩერების ამოცანის აქტუალიზაცია მოსდევს, რითაც მოქმედების დაუსრულებელი ასპექტების გამოვლენაც მიიღწევა, რაც შესაბამისი სამოქმედო საშუალებების არჩევისა და სამოქმედოდ მიმართვის ამოცანის წამოჭრის წინაპირობაა და ლოგიკური ციკლის დასაწყისში გვაბრუნებს. ყოველივე ეს დასახელებულ ოთხეულს ციკლურად მოწესრიგებულ სიმრავლედ წარმოგვიდგენს: ამ სიმრავლის თითოეული ელემენტი ციკლურ რიგში მისი წინმსწრები ელემენტის გამოვლენით (აქტუალიზაციით) განპირობებულია და თავისი მორიგი ელემენტის გამოვლენის (აქტუალიზაციის) წინაპირობაა.

აღწერილი ციკლური კავშირი მოქმედების აზრიანობას, ლოგიკურ ადეკვატურობას უზრუნველყოფს. და რადგან, დიმიტრი უზნაძისეული მიდგომის მიხედვით, მოქმედების

აზრი სუბიექტის განწყობითაა განსაზღვრული, მოქმედების აქტის შეფასების აღწერილი საზოგადო მახასიათებელი (მოქმედების დასახელებული ოთხი მოუცილებადი ლოგიკური ასპექტი, მათს ლოგიკურ ურთიერთკავშირში) წარმოგვიდგება (იდენტიფიცირდება) განწყობის შინაარსის მარადაქტუალურ ნაწილად, რომელსაც ლოგიკურია ეწოდოს **"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი".**

განწყობის შინაარსის სტრუქტურის მრავალკომპონენტიანობის ამსახველად ზოგჯერ იყენებენ ტერმინს - **"განწყობის მტევანი"**, რაც განწყობის სრულ შინაარსში "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის" ადგილის ილუსტრაციის (და ალტერნატიული პოპულარული ტერმინოლოგიის შემუშავების შესაძლებლობასაც, თუმცა ამ, შესაძლო პოპულარულ ვარიანტებს ამ ტექსტში არ გამოვიყენებთ) საშუალებას გვაძლევს: თუ მტევნის მარცვლებს განწყობის შინაარსის არამოუცილებადი კომპონენტების გამომსახველად მივიჩნევთ, როგორც ხსენებული ტერმინის შემოტანითაა ნაგულისმხევი, მაშინ "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის" ოთხ შესაძლო მნიშვნელობებს - "ნოოსფერულ (ფსიქიკურ) სტიქიებს" (იხ. გვ. 16) - შეიძლება შევუსაბამოთ **კლერტი** - მტევნის ყვავილედის ჩონჩხი (ის, რაც მარცვლების მოშორების შემდეგ რჩება მტევნისგან), რომელიც ყოველ მარცვალთანაა დაკავშირებული და მარცვლის გაჩენამდეც არის, მის მომავალ (ყვავილით მონიშნულ) აგილთან და მარცვლის მოწყვეტის შემდეგაც რჩება, მის უკვე ყოფილ ადგილთან, სწორედ, ისე, როგორც, "ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის" შემთხვევაში, რომელიმე "ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიათაგანი" ("განწყობის კლერტი") ახლავს განწყობის შინაარსის ყველა სხვა შესაძლო მომენტის (თითოეულ "განწყობის მარცვალთაგანის") აქტუალიზაციას და აქტუალობს მათ აქტუალიზაციამდეც და მათი აქტუალობის მოხსნის შემდეგაც. "ნოოლოგიურად გადაგვარებულ" მდგომარეობაში კი "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი" სტატუსით არ განსხვავდება განწყობის სხვა კომპონენტებისაგან (ერთ-ერთია "განწყობის მარცვალთაგან", თუმცა პოზიციით გამოირჩევა, რაკი განწყობის შინაარსის ყველა სხვა მომენტთანაა შეხებაში, ანუ "ცენტრალური მარცვალია", ან უფრო აბსტრაქტულად - "მარცვლად გადაგვარებული კლერტია"). კლერტი შეიძლება მთლიანად იყოს დაფარული მარცვლების სიმრავლით, მაგრამ მისი არსებობა ამ სიმრავლის კონფიგურაციით მაინც ამოცნობადია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციკლური ლოგიკური ურთიერთკავშირის (დიაქრონულობად წარმოდგენადი მომენტის) მიუხედავად, რადგან მოქმედების ზემოთ დასახელებული ოთხი ლოგიკური ასპექტი (ლოგიკური ფაზები) შინაარსობრივად არსებითად ურთიერთგანმსაზღვრელებია, მოქმედების აქტის რომელობითი და შინაარსობრივი განსაზღვრა-იდენტიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთი მათგანის მეშვეობითაც - ან მხოლოდ იმის მიხედვითაც, თუ რა საშუალებები მიიმართება სამოქმედოდ, მოქმედების მიმდინარეობის გამოხატულებად, არსებული არჩევანის პირობებში, ან მხოლოდ ფორმის (მოქმედების გარეგნული გამოხატულებების) მიხედვითაც, ან მხოლოდ იმ ფაქტორთა იდენტიფიკაციით,

რომელთა წინააღმდეგობის დაძლევაც ხორციელდება მოქმედების მიმდინარეობის გამოხატულებად, ან მხოლოდ იმ შედეგების მიხედვითაც, რომელთა მიღწევაც იწვევს სამოქმედო ძალისხმევის შეჩერებას, ანუ თუ რა მიზნებისკენ მისწრაფება ვლინდება მოქმედების აქტით. ამდენად, მოქმედი ინდივიდი ერთდროულად არის **მართვის** აქტის სუბიექტიც, **ფორმისქმნის** აქტის სუბიექტიც, **ძლევის** აქტის სუბიექტიც და **ცხრომის** აქტის სუბიექტიც. ფიზიკის სამეცნიერო ტერმინოლოგიით, ობიექტის მდგომარეობა, რომელსაც ამ ობიექტის რომელიმე კონკრეტული მახასიათებლის ერთზე მეტი მნიშვნელობა შეესაბამება, „გადაგვარებულ მდგომარეობად“ იწოდება. მსგავსად ამისა, ინდივიდის მდგომარეობას, რომელიც მისი, როგორც მოქმედი სუბიექტის, განწყობის შინაარსში მოქმედების ოთხივე დასახელებული ლოგიკური ასპექტის ერთდროული აქტუალობით ხასიათდება, ვუწოდოთ **“განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებული მდგომარეობა”,** თავად ასეთ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს - **“განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენი”.** როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, აქ, ამ პირვანდელი ტერმინების ახალ, მათზე უფრო ლაკონურ სინონიმებსაც გამოვიყენებთ, შესაბამისად: **“ნოოლოგიურად გადაგვარებული მდგომარეობა”, “ნოოლოგიურად გადაგვარებული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენი”.** განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებული მდგომარეობა, ანუ **ნოოლოგიურად გადაგვარებული მდგომარეობა** ბიოსფეროს ინდივიდის - **“ბიოიდის”** - ბუნებრივი მდგომარეობაა: ამგვარი ინდივიდი თავისი მოქმედებით (ანუ, როგორც სუბიექტი) ოპტიმალურად არის ჩართული საარსებო სიტუაციაში, ურთიერთქმედებს საარსებო გარემოსთან თავისი უნარების მაქსიმალური ეფექტურობით, სრულად გამოყენებით. ასეთი ინდივიდი მისი საარსებო გარემოს ისეთივე საკუთრივი ნაწილია, როგორიცაა ე. წ. უსულო საგნები, თუმცა შეიძლება აღემატებოდეს მათ გარეგან ზემოქმედებაზე რეაქციების მრავალგვარობით და სირთულით.

§1.2 თვითრეფლექსია, პიროვნება - ნოოიდი

როგორც აღინიშნა, მოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ მისი მხოლოდ ერთი ასპექტის მიხედვითაც - ან **მართვის აქტად,** ან **ფორმისქმნის აქტად**, ან **ძლევის აქტად**, ან **ცხრომის აქტად** - და, საზოგადოდ, ეს ოთხივე მნიშვნელობა ერთდროულად მიეწერება ნებისმიერ მოქმედებას, მაგრამ, თუ მოქმედ ინდივიდს ახასიათებს რეფლექსიის მოქმედების ერთდროულად უწყვეტად წარმოების უნარი, მაშინ ამ ოთხეულით წარმოდგენილი არჩევანი (სუბიექტის მიერ სხვადასხვაგვარად თვითგანსაზღვრის, ანუ ალტერნატიული თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობა) მოქმედების აქტის ხასიათის, მოდუსის ცვლის საშუალებად იქცევა: ინდივიდი, ცალსახად, ან მართვის აქტის სუბიექტად, ან ფორმისქმნის აქტის სუბიექტად, ან ძლევის აქტის სუბიექტად, ან ცხრომის აქტის სუბიექტად შეიძლება მოევლინოს მის მომცველ სინამდვილეს. სუბიექტის ამგვარ მდგომარეობაში გადასვლას ვუწოდოთ

"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა", ახალი ალტერნატიული ტერმინოლოგიით - **"ნოოლოგიურად გადაგვარებულობის მოხსნა".** ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ესეც, ასევე, ფიზიკიდან ნასესხობაა.

მოქმედი ინდივიდის მიერ საკუთარი მოქმედების ხსენებულ ოთხ საზოგადო ლოგიკურ ასპექტთაგან ერთ-ერთთან თვითასოცირება დანარჩენი სამი ასპექტის გარემოების ფაქტორთა სიმრავლისადმი მიკუთვნებას ნიშნავს. ამგვარი რამ მოქმედების აქტის მოცემულობის სუბიექტ-ობიექტად დაყოფა-დიფერენციაციის არაცალსახობით, ვარირებადობით არის დაშვებული. მოქმედების აქტის სუბიექტ-ობიექტად დაყოფის არაცალსახობა, ვარირებადობა (არარეგლამენტირებულობა) მოქმედების აქტის საზოგადო მახასიათებელია: მაგ., როცა ვამბობთ "აიღო" - იგულისხმება, რომ მოქმედი ინდივიდის ბიოლოგიური სხეული და, შესაძლებელია, არაორგანული სამარჯვი ინსტრუმენტიც (და სხვა ინდივიდებიც კი - მოქმედების თვალსაჩინო ასპექტის უშუალო შემსრულებლები) სუბიექტის ნაწილადაა წარმოდგენილი; "ნიჩბით აიღო" - ნიშნავს ინსტრუმენტის ჩამოშორებულობას სუბიექტის მოცემულობისგან; ხოლო გამონათქვამი "ხელით აიღო" გამოხატავს იმავე მოქმედებაში მოქმედი ინდივიდის ბიოლოგიური მოცემულობის (სხეულის) ნაწილის სუბიექტის მოცემულობისგან ჩამოშორებულად, სამოქმედო საშუალებად (ინსტრუმენტად) წარმოდგენას.

რადგან **განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა,** ანუ **ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა,** განწყობის ცნების შესაბამისი სფეროს მოვლენაა (მისი განსაზღვრების მიხედვით), ამდენად, ამ გარდაქმნის პირობად საგულვებელი რეფლექსიაც, რომელიც, როგორც აღინიშნა, მოქმედების სინქრონულად უწყვეტად უნდა წარმოებდეს, ამავე სფეროს უნდა ეკუთვნოდეს. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა ამ პირობის დაკმაყოფილება: საზოგადოდ, მოქმედების აქტის დროში უცვლელი კომპონენტი მხოლოდ სუბიექტის განწყობაა (განწყობის ცვლა ნიშნავს სუბიექტის, როგორც ასეთის, მახასიათებლების შეცვლას და, ამდენად, ახალი აქტის დაწყებას). ამგვარ რეფლექსიას ვუწოდოთ **"თანარეფლექსია",** რათა განვასხვავოთ იგი ჩვეულებრივი რეფლექსიისგან, რომელიც წინაპირობას მოითხოვს - ინდივიდის მიერ საკუთარი უკვე შემდგარ-დასრულებული მოქმედების შეფასების მცდელობაა - და აზროვნების ფუნქციით ხორციელდება.

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გარეშე, ინდივიდებს შორის მხოლოდ რაოდენობრივი და რაოდენობრივთან ასოცირებადი მოდუსის განსხვავებებია შესაძლებელი, რაც ასახულია ბიოსფეროში ე. წ. დაბალგანვითარებულ და მაღალგანვითარებულ ბიოსახეობათა თანაარსებობის ფაქტშიც. თანარეფლექსიის უუნარო ინდივიდს მხოლოდ **"გადაგვარებული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის"** მდგომარეობაში შეუძლია ყოფნა. მათ რიგს პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ მცენარეებიც (მიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა მცენარის შემთხვევაში ფსიქიკაზე ლაპარაკის უფლება): მცენარის სიცოცხლე შეიძლება მივიჩნიოთ მოქმედების აქტად, რომლის სუბიექტის მოქმედების შინაარსი

თვითქმნადობით ამოიწურება, ანუ აქტად, რომლის მოცემულობის სუბიექტად და ობიექტად დაყოფა-დიფერენცირება შეუძლებელია.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ, **თანარეფლექსია** განსახილველი გარდაქმნის (გადაგვარებულობის მოხსნის) აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა: ის შეიძლება პასიური თვითთანდასწრების ფაქტით იყოს შემოფარგლული – თან ახლდეს მოქმედებას, მაგრამ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდეს მის მიმდინარეობაზე (მაგ., როგორც ცნობიერი თვითდაკვირვება ადამიანისა, საკუთარ **აფექტურ** საქციელზე). თანარეფლექსიის ამგვარი მოდუსი შეიძლება ახასიათებდეს არაერთ მაღალგანვითარებულ ბიოსახეობას.

მაშასადამე, ვერ ვიტყვით, რომ თანარეფლექსია **ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის** მიზეზია. ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა ის შემთხვევაა, როდესაც სუბიექტის **თანარეფლექსიური თვითიდენტიფიკაცია** მოქმედების მიმდინარეობისგან სრულიად დამოუკიდებელ ფაქტორად იქცევა, იძენს თავისთავადობას და ზედროულობას (არის თავისივე თავით, მოქმედების წინაპირობად, თანმხლებად და მისი დასრულების შემდეგაც), რაც გვაძლევს თანარეფლექსიის განსაკუთრებულ მოდუსს, რომელსაც ლოგიკურია ვუწოდოთ **"თვითრეფლექსია"**, ან, რაც იგივეა - **"ავტორეფლექსია".** ინდივიდის ამგვარი გარდაქმნით მიღებულ ფსიქიკურ ინდივიდურ ფენომენს (რაც, საზოგადოდ, ინდივიდის მოცემულობის კერძო მომენტია) შეიძლება ვუწოდოთ **"პიროვნება"**. აქ მხოლოდ ამ მნიშვნელობით გამოვიყენებთ ამ ტერმინს. **ნოოლოგიურად გადაგვარებულობის მოხსნის** გამომხატველ (ინდივიდის **თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის** ფაქტის წარმომდგენ) მოვლენათა ერთობლიობა, როგორც ვნახავთ, ხასიათდება სისტემური სიმთელით (იხ. "ცივილიზაცია"). ეს არის **ნოოსფეროს** ახალი, დაზუსტებული განსაზღვრება.

ამრიგად, **პიროვნება** არის არა ბიოსფეროს ინდივიდი - **"ბიოიდი"** - არამედ, სინამდვილის ახალი ნაწილის, **"ნოოსფეროს"** ინდივიდი - **"ნოოიდი"**. ამ ტერმინს "პიროვნების" სინონიმად გამოვიყენებთ.

ჯერჯერობით, ყველა ცნობილ რეალიზაციაში, ნოოიდი თანაარსებობს ბიოიდთან ერთი და იმავე ფენომენურ მოცემულობაში - რეალიზებულია ბიოლოგიურ მატარებელში, ბიოლოგიურ ინდივიდში. საზოგადოდ, ნოოიდი, ანუ პიროვნება (ინდივიდის თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის ეფექტი), ინდივიდის ბიოლოგიური ასპექტისადმი (პიროვნების ბიოლოგიური მატარებლის ბიოლოგიური ინტერესებისადმი), ნებისმიერ სიტუაციაში რაიმე ასპექტით მაინც დაპირისპირებული, ბიოლოგიურად არანორმალური (მეტაბიოლოგიური) ფენომენია. განმარტების მიხედვით, ინდივიდის ბიოლოგიური და ნოოლოგიური ასპექტების ურთიერთობა შეუძლებელია კონფლიქტური არ იყოს. ეს ეხება პიროვნების ნებისმიერ რეალიზაციას, მათ შორის ადამიანის შემთხვევას. საზოგადოდ, ამგვარი კონფლიქტის აღკვეთის შესაძლებლობა საგულვებელია პიროვნების (ნოოიდის) მხოლოდ არაბიოლოგიურ მატარებელში - კიბერნეტიკულ სისტემაში, საინფორმაციო ქსელში - რეალიზაციის პირობებში.

თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაცია, მისი ოთხივე შესაძლო შედეგის შემთხვევაში, ინდივიდის უწყვეტად არსებულ აღმძრავ ფაქტორად, მუდმივად აქტუალურ მოტივატორად წარმოგვიდგება. ამით, გადაგვარებულობის მოხსნა მოგვაგონებს დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბებას; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს არსებითი განსხვავებაც: თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შედეგის განმსაზღვრელი ფაქტორები (მოქმედების ოთხი ლოგიკური ასპექტის შესაბამისი კომპონენტები განწყობის შინაარსისა) არსებობენ გადაგვარებულ მდგომარეობაშიც, დისპოზიციური განწყობის მოცემულობა კი, კრიტიკული სიტუაციების საკმარის რიცხვჯერ გამეორებათა შედეგად, შესაძლებელია საერთოდ გამოირიცხოს განწყობის შინაარსიდან.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი, **თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის** ოთხი შესაძლო რეალიზაცია განსაკუთრებულად გამოვარჩიოთ სხვა ფსიქიკურ ფაქტორებს შორის. პირველად მათ ვუწოდეთ - **"ფსიქიკური სტიქიები",** რაც განსახილველ საკითხებში ფიზიკურ-ბიოლოგიური ფაქტორების წინაშე ფსიქიკური ფაქტორების უპირატესობის ხაზგასმას ემსახურებოდა. მოგვიანებით, როცა განსახილველი მოვლენების სისტემური ერთიანობის მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიკვეთა, გაჩნდა ალტერნატიული დასახელების შემოტანის მოთხოვნილება. აქამდე გამოქვეყნებულ ტექსტებში სახელდების მხოლოდ ხსენებული ვარიანტია გამოყენებული, აქ კი მისი ახალი სინონიმიც უნდა დავასახელოთ - **"ნოოსფერული სტიქიები".** ორივე სახელდებაში გამოყენებულია სიტყვა "სტიქია", რაც ნაკარნახევია იმ მსგავსებით, რომელიც შეინიშნება ფსიქიკურ სტიქიათა შესაბამის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის პრინციპებსა და ტრადიციულად ბუნებრივ სტიქიებად წოდებულ, ნივთიერების აგრეგატულ მდგომარეობებს შორის (იხ. გვ. 160 ცხრილი), მათი თანამედროვე დაზუსტებული დახასიათებების მიხედვით, შესაბამისად: კრისტალი, ბოზონური გაზი, სითხე, ფერმიონული გაზი (ბუნებრივ სტიქიათა ძველელინური წარმოდგენაც კი, შესაბამისად, - მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი, - გამოსადეგია ამგვარი ილუსტრაციისთვის).

ფსიქიკური სტიქიის გავლენას პიროვნების და პიროვნებათა ჯგუფის მოქმედების აქტზე, გამოხატულს ზოგად პარამეტრებში, ვუწოდებთ **"ფსიქიკური სტიქიის ეფექტს"**, ან, რაც იგივეა, - **"ნოოსფერული სიტიქიის ეფექტს"**, ხოლო ამგვარი გავლენის კონკრეტულ განხორციელებას - **"ფსიქიკური სტიქიის ეფექტის ფენომენს",** ან, რაც იგივეა, - **"ნოოსფერული სტიქიის ეფექტის ფენომენს".** ასე, რომ კონკრეტული პიროვნება, როგორც ფენომენური მოცემულობა, რომელიმე ერთი ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიის ეფექტის ფენომენია.

თავად **ნოოსფერულ** (ფსიქიკურ) **სტიქიებს**, როგორც თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შესაძლო შედეგებს, გარდა რიგობითი თანმიმდევრობით განსაზღვრული სახელებისა - **"პირველი ნოოსფერული** (ფსიქიკური) **სტიქია", "მეორე ნოოსფერული** (ფსიქიკური) **სტიქია", "მესამე ნოოსფერული** (ფსიქიკური) **სტიქია"** და **"მეოთხე ნოოსფერული** (ფსიქიკური) **სტიქია",** - უფრო მოხერხებული შემდეგი სახელებითაც აღვნიშნავთ, შესაბამისად: **"ფორმის მანია", "ძლევის მანია", "ცხრომის მანია"** და **"მართვის მანია".**

შევნიშნავ, რომ **"მანია"** ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიების აქ წარმოდგენილ სახელდებებში (კომპოზიციურ ტერმინებში) ჩართულია მათ დომინანტურობაზე მისანიშნებლად: "მანია" - ფსიქიკური მოცემულობის ის ასპექტია, რომელიც დომინირებს ინდივიდის საერთო მდგომარეობის განსაზღვრაში, იქვემდებარებს ფსიქიკური მოცემულობის დანარჩენ ნაწილს. ნოოსფერულ (ფსიქიკურ) სტიქიათა სახელდების არაერთი ალტერნატიული ვარიანტია შესაძლებელი. ეს ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მახასიათებლების დადგენის შემდეგ გახდება ცხადი. ამგვარი პრაქტიკა გამართლებულიც კია ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების რეალიზაციების რომელიმე ერთი კერძო სფეროს (როგორიცაა, მაგალითად, პოლიტოლოგია, ან პედაგოგიკა და სხვა), რამდენადაც ეს შესაძლებელია, იზოლირებულად განხილვის მცდელობისას. ამ ტექსტში ფსიქიკურ (ნოოსფერულ) სტიქიათა სახელდების ზემოთ წარმოდგენილ იმ ვარიანტს გამოვიყენებთ, რომელიც სემანტიკურად უფრო ადვილაღსაქმელია.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ცოდნა - **"ფსიქიკურ სტიქიათა თეორია",** ანუ, რაც იგივეა - **"ნოოსფერულ სტიქიათა თეორია",** დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის თანმიმდევრული განვითარებაა და მასთან ერთობლიობაში წარმოადგენს **"კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის პირველ საწყისს".**

* * *

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე ლოგიკური მომენტები - ფორმის აქტუალობა, წინააღმდეგობის დაძლევა, დაძაბულობის მოხსნისკენ მისწრაფება და მართვა - შეიძლება გამოვლინდეს არა მხოლოდ განწყობის დონეზე, არამედ სხვა ფსიქიკური ფუნქციების - აღქმა, აზროვნება, მეხსიერება, ემოცია და სხვა - რეალიზაციის კერძო მომენტებადაც. მოქმედების აქტზე ამგვარი ფაქტორების გავლენა არ უნდა აგვერიოს ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიების ეფექტების გავლენაში.

* * *

ზედმეტი არ იქნება ძირითადი თემიდან შემდეგი მცირე გადახვევა. თვითონ ფიზიკაში გადაგვარებულობის მოხსნის (ობიექტის გადაგვარებული მდგომარეობიდან გამოსვლის) სხვადასხვაგვარი რეალიზაციები განიხილება. ანალოგიის გასატარებლად საინტერესო შემთხვევაა ბრუნვის მომენტისა და სპინის პროექციების მნიშვნელობათა მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნა, რაც ატომების ელექტრონული ღრუბლის სტრუქტურის განმსაზღვრელია. გადაგვარებულობის მოხსნა, ჩვენი შემთხვევის მსგავსად, ოთხი განსხვავებული შედეგით შეიძლება დასრულდეს 3/2-ის ტოლი სპინის შემთხვევაში; ამ დროს სპინის პროექციის ოთხი მნიშვნელობაა შესაძლებელი: (-3/2), (-1/2), 1/2, 3/2. მაგრამ ამ ოთხ შესაძლო შედეგს შორის ციკლური კავშირის შესაბამისი ურთიერთმიმართებები არა გვაქვს.

ჩვენს შემთხვევასთან უფრო ახლოსაა ე. წ. სუპერსიმეტრიის მაგალითი, როცა გადაგვარების მოხსნა მოცემულია ფუნდამენტური ნაწილაკების ფერმიონებად და ბოზონებად არსებობის ფაქტით: როგორც ვნახავთ, ფერმიონული სტატისტიკა და ბოზონური სტატისტიკა ასოცირებადია საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის სფეროში, შესაბამისად, მართვის მანიის და ძლევის მანიის სათანადო პარადიგმებთან. მართალია, ამ შემთხვევაში გვაქვს მხოლოდ ორი საბაზისო პოზიცია, ნაცვლად ოთხისა - ზემოთხსენებული კრისტალური და თხევადი აგრეგატული მდგომარეობები ნივთიერებისა, რომლებიც საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის სათანადო მოდელების ერთგვარ ფიზიკურ ანალოგებად დასახელდა, რეალიზებულია არა ფუნდამენტური ნაწილაკების, არამედ ატომების სიმრავლეში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფუნდამენტური საბაზისო მდგომარეობათა ოთხამდე შევსების სავარაუდო რესურსიც, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი ფენომენების სახით, როგორიცაა მაგ., ე. წ. **შავი მატერია** და **ბნელი ენერგია**. თუმცა, შესაძლებელია, ფუნდამენტურ დონეზე, ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის ეფექტების ანალოგი მოეპოვებოდეს არა ფუნდამენტური მატერიალური ობიექტების, არამედ რაიმე პრინციპების სახით, კერძოდ, რაიმე ფუნდამენტურ მახასიათებელთაგანის, შესაბამისად, მუდმივობისა და ცვალებადობის (ცვლის შეუჩერებადობის) კანონების სახით. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია ენერგიის, იმპულსის და მუხტის შენახვის კანონები. მეორე მხრივ, ცნობილია, ასევე, ენტროპიის ზრდის კანონი და, აქამდე მხოლოდ ფენომენოლოგიური გამოცდილებით ნაკარნახევი, დროის დინების შეუჩერებლობა; მაგრამ, ცვალებადობა შენახვის კანონის სიმპტომად რომ არ იქცეს, ლოგიკურად აუცილებელია ცვლილება მიმდინარეობდეს ცვლადი მახასიათებლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვღებულობთ ინტერპრეტაციის არაცალსახობას - მაგ., დროის დინების ერთგვაროვნება ენერგიის შენახვის კანონის ექვივალენტურია - რაც გვაძლევს, ან კვლავ ფორმის მანიის ეფექტის ფენომენს, ან ორმაგი ეფექტის ფენომენს. ამ თემას კვლავ დავუბრუნდებით.

* * *

პიროვნების (ნოოსფეროს ინდივიდის) ოთხი განსხვავებული მოდუსი ბიოიდის (ბიოსფეროს ინდივიდის) ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის ერთგვარ განაყოფებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაც არის ნოოსფეროს სისტემურ ერთიანობად წარმოდგენის შესაძლებლობაზე მიმანიშნებელი ფაქტი.

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდურ ფსიქიკურ ფენომენში გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტი (ამ სახის ცვლილების შეტანა) არის სულის შთაბერვის რელიგიური და მითოსური კონცეფციების მეცნიერული ექვივალენტი. ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი რესურსია ნოოფილოგენეზური მემკვიდერობითი კავშირის უზრუნველსაყოფად.

დღემდე, კაცობრიობა იცნობს მხოლოდ ერთ ბიოსახეობას, რომლის ინდივიდებიც ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გარდაქმნისადმი დაქვემდებარების, ანუ

თვითრეფლექსიის ფუნქციის რეალიზაციის (თვითრეფლექსიის აქტუალიზაციის) უნარს ავლენენ და მდგომარეობის ამგვარი ცვლილების თაობიდან თაობაზე გავრცელებას ახერხებენ (შესაძლებელია, გადაგვარებულობის მოხსნის ისტორიულად არა პირველივე ინდივიდური პრეცედენტის შემდეგ). ეს ბიოსახეობა არის კრომანიონელი ადამიანი, იგივე - თანამედროვე ადამიანი: რევოლუციური თვისებრივი ნახტომი, რომელიც გამოარჩევს კრომანიონელ ადამიანს ბიოსფეროს სხვა წარმომადგენლებისგან, მათ შორის, საფიქრებელია, რომ თვით ნეანდერტალელი ადამიანისგანაც, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტის ისტორიული მდგრადობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ამით აიხსნება ის, რომ კრომანიონელმა ადამიანმა თავი დააღწია კონკრეტულ ბიოცენოზებზე მიჯაჭვულობას და უმოკლეს დროში შესძლო დედამიწაზე არსებულ ყველა სახის ეკოსისტემის თავის საარსებო სივრცედ გადაქცევა.

ჩვილობის ასაკში ადამიანთა საზოგადოებას მოწყვეტილ და ცხოველებთან გაზრდილ ადამიანთა (რეალური "მაუგლების") არაერთი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბიოლოგიური მოცემულობა (გენეტიკა), ჯერჯერობით მაინც, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გამომხატველი გარდაქმნისადმი დაქვემდებარების მხოლოდ შესაძლებლობას (დაქვემდებარებადობას) უზრუნველყოფს და არა მის აუცილებლობას. ასე, რომ ბიოლოგიური დაბადებით, ანუ **"ბიონტოგენეზური"** ასპექტის მიხედვით, ადამიანიც მხოლოდ ბიოსფეროს ინდივიდია, მხოლოდ **"ბიოიდია"**, და ბიოლოგიური დაბადების შემდეგღა ექვემდებარება ნოოსფეროს ინდივიდად - **"ნოოიდად",** ანუ პიროვნებად, ჩამოყალიბების პროცესს - **"ნოონტოგენეზს".** ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ორჯერ იბადება: ბიოიდად დაბადება ნოოიდის მხოლოდ ჩანასახს გვაძლევს, ხოლო ნოოიდად დაბადების ასაკი დამოკიდებულია მისი მომცველი სოციუმის განვითარების - **"ერის ნოოფილოგენეზის"** - საფეხურზე (იხ. §1.16).

* * *

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის პირობებში, ამ მოვლენის განსაზღვრების მიხედვით, სუბიექტის არსებობის ფაქტში, თავის სამოქმედო არეზე, მუდამ ერთი და იმავე ფსიქიკური სტიქიის (ამ სუბიექტით წარმოდგენილის) შესაბამისი მდგომარეობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება უნდა ვლინდებოდეს - სუბიექტი, თავისივე განწყობის კონკრეტული ასპექტის (კონკრეტული ნოოსფერული სტიქიის) გავლენით, უნდა ეწინააღმდეგებოდეს საკუთარი მოქმედების ლოგიკური ფაზების ცვლას, ცდილობდეს ერთი ფაზის შესაბამისი მდგომარეობის შენარჩუნებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პიროვნების მოქმედება იქნება არა შემგუებლობითი ხასიათის ქცევა, არამედ გარემოსადმი აგრესიული, გარდამქმნელი დამოკიდებულების გამომხატველი. ამ აგრესიის ობიექტი ხდება პიროვნების ბიოლოგიური საწყისიც, შემგუებლობითი ქცევისკენ მისი მიდრეკილების საფუძველზე. პიროვნების ფენომენის, მისი ბიოლოგიური მატარებლის, ბიოლოგიური მიდრეკილება-მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ქმედუნარიანობა - **"ნებისყოფის"** ფაქტო-

რის ნოოლოგიური არსია. ამგვარად განმარტებული ნებისყოფაც, ასევე, ადამიანის გამომრჩეველი მახასიათებელია. ბიოლოგიური საწყისის წინააღმდეგობამ, რომელიც აღიქმება სიზარმაცედ, როცა ის მოქმედების ჩაშლას ვერ ახერხებს, ზოგ შემთხვევაში კონსტრუქციული (მოქმედების მაოპტიმიზირებელი) როლიც შეიძლება შეასრულოს.

* * *

დომინანტურ ფსიქიკურ ფაქტორებად დესტრუქციული ფსიქიკური კომპლექსებიც გვევლინებიან. დესტრუქციის თანხლების შესაძლებლობა ახასიათებთ ნოოსფერულ (ფსიქიკურ) სტიქიებსაც: ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის პირობებში, ამ გარდაქმნის გამოხატულებად ჩამოყალიბებული უცვლელობის მომენტი ერთგვარ მიზიდულობის ცენტრად, ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიისგან განსხვავებული ფსიქიკური ფაქტორების ფსიქიკური პროცესების ნაკადიდან გამოლექვისა და დაგროვების პუნქტად შეიძლება იქცეს, რაც განწყობისეული ილუზიების ეფექტის უსასრულოდ ზრდის ტენდენციის სტაბილიზაციის შესაძლებლობას აღნიშნავს. ეს არის ფსიქოლოგიური პათოლოგიების ნოოლოგიური განსაზღვრა. ამგვარი დარღვევებიც თანამედროვე (კრომანიონელი) ადამიანის გამომრჩეველი მახასიათებელია, რაც, ასევე, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გარდაქმნისადმი მხოლოდ ამ ბიოსახეობის დაქვემდებარებულობაზე მეტყველებს, ცხადია, სადღეისოდ ცნობილი მონაცემების მიხედვით.

თუ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ბიოსახეობა გენოტიპური მოდიფიკაციით რეაგირებს თავისი არსებობის თანმხლებ, მუდმივად შემწუხებელ პირობებზე (ასეთი მექანიზმის არსებობის შესაძლებლობა ბიოცენოზების, თავად მთელი ბიოსფეროს სისტემური სიმთელიდან გამომდინარეობს, რაც ნოოფილოგენეზურ ცვლილებათა შემთხვევითობის დარვინისტულ პრინციპს ეწინააღმდეგება), მაშინ ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის მიმართ ამგვარი რეაქციის განვითარების სიმპტომი შეიძლება აღმოჩნდეს **აუტიზმიც**, როგორც სოციალური კომუნიკაციის თანდაყოლილი უუნარობა (რაც, ასევე, მხოლოდ კრომანიონელი ადამიანის შემთხვევაში გვხვდება): თუ გადაგვარებულობის მოხსნა ბიოლოგიური მექანიზმით იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ ნოონტოგენეზი ბიონტოგენეზის უშუალო ნაწილად იქცევა და ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოსახსნელად სოციალური კომუნიკაცია აღარ იქნება საჭირო, რის გამოც შესაბამის ბიოლოგიურ მექანიზმს სოციალური კომუნიკაციის უნარის სრული დაბლოკვაც შეიძლება ახლდეს, რაც, თავის მხრივ, ამგვარი ინდივიდების სოციალური კონსოლიდაციის, მათ სიმრავლეზე ნოოსფეროს განვითარების შესაძლებლობას გამორიცხავს. ბიოსფეროს საზღვრის დამრღვევი ბიოლოგიური წარმოშობის მექანიზმის ეფექტურობის ამგვარად შეზღუდვა ბიოსფეროს თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებაც შეიძლება აღმოჩნდეს. ძნელად წარმოსადგენია ამგვარ რეაქციებს ნოოსფეროსთვის კონსტრუქციული შედეგი მოჰყვეს.

* * *

რადგან პიროვნების (პიროვნული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის) განწყობის შინაარსი შეიცავს მარად უცვლელ მომენტს (ერთ-ერთი ნოოსფერული სტიქიის სახით) და, უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, სუბიექტის ვინ-რაობა (იდენტობა) განწ-ყობის შინაარსით განისაზღვრება, შესაძლებელია პიროვნების (ნოოიდის) მიერ მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში განხორციელებული მოქმედებების სიმრავლე მოქმედების ერთიან აქტად იქნეს წარმოდგენილი - სუბიექტით, რომლის განწყობის შინაარსი ამოიწურება ერთი ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიით.

ერთიან მოქმედების აქტად იდენტიფიცირებად-წარმოდგენადი არსებობის ფაქ-ტის აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი - **"ცხოვრება"**, საპირისპიროდ გადაგ-ვარებული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის (ბიოსფეროს ინდივიდის - "ბიოიდის") არსებობის ფაქტის აღსანიშნავი ტერმინისა - **"სიცოცხლე"**, როცა ყოველი მოქმედება დამოუკიდებელი აქტია, ცვლადი (გამოცდილების დამგროვებელი) თუ უცვლელი ინდივიდისა.

ქართულ ენას გააჩნია შესაძლებლობა, განსხვავებულად აღინიშნოს თავის ობიე-ქტისგან განუყოფელ-განურჩეველი სუბიექტის არსებობის ფაქტიც: მცენარის შესახებ ითქმის, რომ ის **"ხარობს"** (მოქმედება, რომლის შინაარსი ინდივიდის თვითქმნადობის აქტის მნიშვნელობით ამოიწურება, როგორც აღინიშნა, მცენარეებს ახასიათებთ), ხოლო გამონათქვამი – "ადამიანი ხარობს" გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი თავისი ემოციის (ყოფით სამეტყველო პრაქტიკაში - დადებითი ემოციის) გამოვლენა-გენერაციის აქტითაა დაკავებული. ამრიგად, ადამიანი ერთადერთია ჩვენთვის ცნობილ არსებათაგან, რომლის არსებობის ფაქტიც ინდივიდის არსებობის სამივე მოდუსით ვლინდება - "ხარობს", "ცოცხლობს" და "ცხოვრობს".

§1.3 ერი - ნოოსი

გადაგვარებული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენით წარმოდგენილი სუბიექტის მახასიათებელი – სინამდვილეში ჩართულობის მუდმივად ოპტიმალურობა, შესაძლებ-ლობის ფარგლებში სინამდვილისადმი მუდმივად ადეკვატური დამოკიდებულება - ვერ მიიღწევა ცალკეული პიროვნებით (გადაგვარებამოხნილი ინდივიდით) წარმოდგენილი ცალკეული სუბიექტების არსებობის ფაქტში, რაც ფსიქოლოგიური დისკომფორტის წყაროა. ამ დისკომფორტისგან თავის დაღწევის საშუალებაა ერთი და იმავე მოდუსის (განწყობის უცვლელი კომპონენტის მიხედვით, გარემოსადმი ერთიდაიმავე მიმართებაში მყოფ) პიროვნებათა ერთ კოლექტიურ სუბიექტად გაერთიანება - **"საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის პირველი ნოოსფერული მოდუსი"** - რაც არის **"ერის"** ნოოლოგიური არსი. სწორედ ამგვარ ერთობაში ჩართვით ხდება შესაძლებელი პიროვნების გარემოსგან

გაშუალება მისივე მოდუსის პიროვნებათა გარემოცვით, რაც ფსიქოლოგიური კომფორტის მიღწევის პირობაა. უნდა აღინიშნოს, რომ სოციუმის სიღრმეში ადგილის დამკვიდრებისთვის კონკურენციის წარმოშობა, საზოგადოებრივი სტატუსების ხარისხობრივი დიფერენციაცია, რაც ფსიქოლოგიური დისკომფორტისგან თავის ამგვარად არიდების მცდელობისას შეუძლებელია არ გამოვლინდეს, თავადაც წყაროა სტრესისა და დისკომფორტისა; მაგრამ, აქ, თავს იჩენს ამის საწინააღმდეგო ახალი ფაქტორიც - ერთი და იმავე მოდუსის პიროვნებათა ამგვარად (საზოგადოებრივი კონსოლიდაციის პირველი ნოოსფერული მოდუსით) ერთ კოლექტიურ სუბიექტად გაერთიანებით, მოქმედების აქტის მასშტაბის გამსხვილება, როგორც პირობა მოქმედების აქტის ყოველი (თითოეული ნოოსფერული სტიქიის სათანადო) ლოგიკური ფაზის გახანგრძლივებისა (მოქმედების მორიგი ლოგიკური ფაზის დადგომის, ფსიქოლოგიური დისკომფორტის გამომწვევი მომენტის აქტუალიზაციის გადავადებისა), სოციალური სტრესის ესკალაციისა და ფსიქოლოგიური დისკომფორტისგან თავის არიდებას საზოგადოების ყველა წევრისთვის ხდის ხელმისაწვდომს. ამრიგად, მჭიდრო ჯგუფებად კონცენტრაციისკენ მისწრაფება, ურბანიზაციისკენ მიდრეკილება პიროვნების ფენომენის მოუცილებელ შინაგან (იმანენტურ) მახასიათებლად წარმოგვიდგება. ერის წევრობის განცდა, რაც, ფსიქოლოგიური ასპექტით მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფს ამ მისწრაფების დაკმაყოფილებას, კონსტრუქციული მნიშვნელობის ფაქტორია პიროვნებისთვის.

საზოგადოდ, პიროვნების განწყობის შინაარსი არ ამოიწურება "ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიით" და დროის კონკრეტულ მომენტში (ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე) მის ქცევაზე განწყობის შინაარსის არამოუცილებადი (მოხსნად-აღდგენადი) კომპონენტების გავლენა შეიძლება "ნოოსფერული სტიქიის" გავლენაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს (ამით აიხსნება ის, რომ აქამდე არ მოხდა "ნოოსფერულ სტიქიათა" იდენტიფიკაცია). "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაციის პირობებს ქმნის საზოგადოებრივი კონსოლიდაციის პირველი ნოოსფერული მოდუსი: თანამოქმედ ერთნაირი მოდუსის პიროვნებათა საკმარისად დიდ ჯგუფში, ყოველი წევრის (წევრთა ყოველი ქვეჯგუფის) განწყობის შინაარსის ყოველი (ქვეჯგუფის წევრთათვის საერთო) არამოუცილებადი კომპონენტისთვის, რომელიც აქტუალური იყო დროის კონკრეტულ მონაკვეთში, მოიძებნება ამ ჯგუფის სხვა წევრი (სხვა ქვეჯგუფი), რომლის (რომლის წევრთა) განწყობის აქტუალურ შინაარსში განწყობის შინაარსის ეს, არამოუცილებადი კომპონენტი, დროის ამავე შუალედში, ჩანაცვლებული აღმოჩნდება ხსენებული (მოძიებული ქვეჯგუფის წევრთათვის საერთო) კომპონენტის საპირისპირო ეფექტის მქონე კომპონენტით, რაც შემაჯამებელი მოქმედების შედეგში განწყობის შინაარსის ნებისმიერი არამოუცილებადი კომპონენტის წვლილის გაბათილებადობა-ანულირებადობის პირობაა. ეს არის "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაცია მისი **"სინქრონული (სივრცითი) ინტეგრალური ეფექტით":**

"ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაციის სხვა გზაც არსებობს, პიროვნების არსებობის რაგინდ ხანგრძლივი მონაკვეთის ერთ მოქმედების აქტად - "ცხოვრებად" - წარ-

მოდგენის შესაძლებლობის გათვალისწინებით: განწყობის შინაარსის ყოველი არამოუ-ცილებადი კომპონენტისთვის, რომელმაც ამ პიროვნების ცხოვრების რომელიმე მონაკვეთებზე განიცადა ამოქმედება-აქტუალიზაცია, საზოგადოდ, მოიძებნება ამავე პიროვნების ცხოვრების სხვა მონაკვეთები, როცა განწყობის შინაარსის ხსენებული, არამოუცილებადი კომპონენტი განწყობის ქმედით-აქტუალურ შინაარსში ჩანაცვლებული აღმოჩნდება მისი საპირისპირო ეფექტის მქონე კომპონენტით, რაც ნიშნავს დროის საკმარისად ხანგრძლივ (ხსენებული ჩანაცვლების დაფიქსირებისთვის საჭირო) შუალედში პიროვნების მოქმედების შემაჯამებელ შედეგში განწყობის შინაარსის ყოველი არამოუცილებადი კომპონენტის წვლილის გაბათილებადობა-ანულირებადობას. ეს არის "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაცია მისი **"დიაქრონული (დროითი) ინტეგრალური ეფექტით"**.

"ნოოსფერული სტიქიის" დომინანტის დასაფიქსირებლად შესაძლებელია არც ისე დიდი დროც კი აღმოჩნდეს საკმარისი, რაც ზოგიერთ დიდ შემოქმედთა შემოქმედების ქრონოლოგიითაც დასტურდება. მაგრამ, ამასთანავე, შესაძლებელია საამისოდ საკმარისი დრო პიროვნების სიცოცხლის (მისი ბიოლოგიური მატარებლის არსებობის დროის) ხანგრძლივობასაც ბევრად აღემატებოდეს. შევნიშნოთ, რომ ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის დაფიქსირება დაკვირვების დროის უსასრულოდ გაზრდის (ზღვარში გადასვლის) შესაძლებლობის დაშვებულობასაც გულისხმობს - სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა განწყობის შინაარსის კონკრეტული მომენტის უცვლელობის ფაქტად მიღება (რაც, სხვათაშორის, არის სიკვდილის ფენომენის ნოოლოგიური გაუმართლებლობის საფუძველი). ამრიგად, ინდივიდის სიცოცხლის ხანგრძლივობის ბიოლოგიური შეზღუდულობა-რეგლამენტირებულობის პირობებში, "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაციის ეს (დიაქრონული) მოდუსი რეალიზებადია მემკვიდრეობითობით დაკავშირებულ პიროვნებათა საკმარისად გრძელი დიაქრონული რიგით წარმოდგენილი სიმრავლის არსებობის ფაქტში – ამ სიმრავლის ყოველი წევრთაგანი მის წინმსწრებ წევრთა "ცხოვრებების" ჯაჭვით წარმოდგენილი აქტის (უსასრულო "გადამფარავი ცხოვრების") სუბიექტად (გამგრძელებლად) წარმოგვიდგება თავისი "ცხოვრების" განმავლობაში – **"დინასტიის ეფექტი"**.

ამრიგად, "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაციისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ერთიანი მოქმედების აქტად წარმოდგენადია არა მხოლოდ ერთი პიროვნების არსებობის ფაქტი, არამედ ერთი ნოოტიპის პიროვნებათა რაგინდ მრავალრიცხოვანი, სინქრონული თუ დიაქრონული, სიმრავლის წევრთა ურთიერთობის ფაქტიც (ერთობის მასშტაბის ზღვარის დამდგენი პირობა ის არის, რომ თანაქმედებითი კავშირისა თუ მემკვიდრეობითი კავშირის უზრუნველმყოფელი ინფორმაციის რაოდენობა არ აღემატებოდეს, შესაბამისად, თანამოქმედ თუ მემკვიდრე პიროვნებათა ინფორმატიკულ ამთვისებლობა--ქმედუნარიანობას. ცხადია, რომ ამ მოვლენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნებათა შორის საინფორმაციო ურთიერთობა-კომუნიკაციის საშუალებათა მახასიათებლებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას).

ცხადია, რომ ერთ სუბიექტად წარმოდგენილ პიროვნებათა ჯგუფის სიდიდის გაზრდით, საზოგადოდ, "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტის დასაფიქსირებლად საჭირო

დროის (ექსპოზიციის) ხანგრძლივობა უნდა მცირდებოდეს (თუ სინქრონული კომუნიკაციის ტექნოლოგია იძლევა ამის საშუალებას), ჯგუფის სიდიდის შემცირებით კი ეს მახასიათებელი (დროის შუალედი) უნდა იზრდებოდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაციის სივრცითი და დროითი მასშტაბები ერთიმეორის კორელატია, უფრო სწორად - ერთიმეორესთან უარყოფით უკუკავშირშია. ამრიგად, შესაძლებელია ვილაპარაკოთ "ნოოსფერული სტიქიის" საზოგადო (სივრცე-დროით) ინტეგრალურ ეფექტზე; რადგან "ნოოსფერული სტიქიათა" ეფექტები ერთიმეორეს არ აბათილებენ (მათი ერთობლივი შედეგია მოქმედების ლოგიკურობა, საზრისიანობა), "ნოოსფერული სტიქიის" დომინანტიზაცია განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის დომინანტიზაციის კერძო ასპექტად წარმოგვიდგება. ამდენად, "ნოოსფერული სტიქიის" საზოგადო ინტეგრალურ ეფექტს შეიძლება ვუწოდოთ **"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტი"**, განახლებული ტერმინოლოგიით - **"პირველი გვარის ინტეგრალური ნოოსფერული ეფექტი"**.

ამრიგად, **"ერი"** არსით არის **"პირველი გვარის ინტეგრალური ნოოსფერული ეფექტი"** (პირვანდელი ტერმინოლოგიით - "ფსიქიკური სტიქიის ინტეგრალური ეფექტი"), ხოლო კონკრეტული ერი - **"პირველი გვარის ინტეგრალური ნოოსფერული ეფექტის ფენომენი კონკრეტულ ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობაზე"** (თავდაპირველი ტერმინოლოგიით - "ფსიქიკური სტიქიის ინტეგრალური ეფექტის ფენომენი კონკრეტულ ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობაზე, ანუ "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენი კონკრეტულ ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობაზე").

"ნოოსფერულ სტიქიათა" ოთხეული ერთა ოთხი ნოოტიპის არსებობის საფუძველია: **"ერთა ფორმის მანიის კლასი", "ერთა ძლევის მანიის კლასი", "ერთა ცხრომის მანიის კლასი"** და **"ერთა მართვის მანიის კლასი".** ცხადია, რომ აქაც შეიძლება გამოვიყენოთ დანომრვის წესი, ციკლური რიგის დაცვით, - **"ერთა პირველი ნოოსფერული სტიქიის კლასი"** და ა. შ. მეოთხემდე.

* * *

ისტორიულ გარემოებათა გათვალისწინებით, "მისაღებია კიდევ ერთი (პოპულარული) ვარიანტი (წინსწრებით ვისარგებლებთ ერების ნოოლოგიური კლასიფიკაციის შედეგებით), შესაბამისად: "ერთა აღმოსავლური ნოოტიპი", "ერთა ჩრდილოური ნოოტიპი", "ერთა დასავლური ნოოტიპი", "ერთა ცენტრულ-პერიფერიული ნოოტიპი".

საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ტიპის ერებს შორის განსხვავებათა ფენომენოლოგიურმა თვალსაჩინოებამ (თუმცა, ამ გარემოების მნიშვნელობის სწორად შეფასება შეუძლებელი იყო, შესაბამისი თეორიული ცოდნის არარსებობის პირობებში) და ერთა სხვადასხვა ნოოლოგიური ტიპების დომინირების ისტორიული არეების, რამდენადმე მაინც, გეოგრაფიულად გამოკვეთილობამ, განაპირობა ერთა თვისებრიობის გეოგრაფიულ ფაქტორთან

დაკავშირება, რასაც ასახავს ცნებები - **"დასავლეთის სამყარო", "აღმოსავლეთის სამყარო".** მათ შეიძლება მიენიჭოს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა: "აღმოსავლეთის სამყარო" - ფორმის მანიის ეფექტის დომინირების ისტორიული არეალი, "დასავლეთის სამყარო" - ცხრომის მანიის ეფექტის დომინირების ისტორიული არეალი. ამ განსაზღვრებების ისტორიულ მოცემულობასთან თანხვედრა მდგომარეობს იმაში, რომ "დასავლეთის სამყაროდ" ნაგულისხმევი მსოფლიოს ნაწილი წარმოდგენილია ცხრომის მანიის კლასის ერებით, "აღმოსავლეთის სამყაროდ" ნაგულისხმევი ნაწილი კი - ფორმის მანიის კლასის ერებით, თუმცა ამ განსაზღვრების მიღებით ამ ორ სამყაროს შორის საზღვრები მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდება ტრადიციულად ნაგულისხმევისგან. დასახელებული განსაზღვრების სასარგებლოდ არგუმენტად შეიძლება დასახელდეს ის ისტორიული ფაქტიც, რომ ცხრომის მანიის კლასის ერებისა და ფორმის მანიის კლასის ერების ურთიერთობათა ისტორიულად მნიშვნელოვანი არაერთი შემთხვევა, სწორედ, შემოთავაზებულ განსაზღვრებაში ასახული ურთიერთგანლაგების პირობებში შედგა: ფინიკია დასავლეთიდან ესაზღვრებოდა მესოპოტამიურ იმპერიებს; ძველი ელადა - აქამენიდურ ირანს; ინდოეთის გავლენამ (ბუდიზმმა) დასავლეთიდან (შუა აზიიდან) შეაღწია ჩინეთში; ოსმალეთის იმპერია (ცხრომის მანიის ეფექტის არსებითი მნიშვნელობის ასპექტის შემცველი წარმონაქმნი) დასავლეთიდან ესაზღვრებოდა შიიტურ ირანს; გერმანიის დასავლეთით მდებარეობენ - საფრანგეთი, ჰოლანდია, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. განსაზღვრებათა სისრულისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ის ფაქტიც, რომ ისტორიის ასპარეზზე ძლევის მანიის კლასის ერების დაწინაურება, არაერთ შემთხვევაში, მთავარ მოწინააღმდეგე, სხვა ნოოლოგიური ტიპის ერებზე ჩრდილოეთის მხრიდან მათი შეტევებით დაიწყო. ამის მაგალითებია: სხვადასხვა დროს შუმერში შეჭრა აქადელებისა, კასიტებისა, ასირიელებისა და მიდიელებისა; ეგვიპტეში - ჰიქსოსებისა, ასირიელებისა; ეგეიდაში - დორიელებისა, მაკედონელებისა; წინააზიაში - სკვითებისა და კიმერიელებისა; დიდ ელადაში - რომაელებისა; ბიზანტიაში - გოთებისა, ჰუნებისა, რუსებისა; კონტინენტურ ევროპაში - ვიკინგებისა; ჩინეთში, ირანსა და ინდოეთში - მონღოლებისა. ასე, რომ გვაქვს საფუძველი, ძლევის მანიის ეფექტის დომინირების ისტორიულ არეალს ვუწოდოთ - **"ჩრდილოეთის სამყარო".** რაც შეეხება მეოთხე ნოოსფერულ სტიქიას: მისი ჰეგემონიის ისტორიული არეალის ფარდობითი განლაგების მეოთხე გეოგრაფიულ მიმართულებასთან, სამხრეთთან დაკავშირებას ისტორიული მოცემულობით ვერ გავამართლებთ. ასეთი სივრცე არის კავკასია, რომელიც დასახელებულ სამ სამყაროს შორის, გეომეტრიულ ცენტრშია ლოკალიზებული და, ამასთანავე, ცალკე აღებული თითოეული მათგანისთვის პერიფერიად მიიჩნევა, რაც გვაძლევს საფუძველს, მართვის მანიის ეფექტის დომინირების ისტორიულ არეს ვუწოდოთ - **"ცენტრულ-პერიფერიული სამყარო"**.

* * *

დავუბრუნდეთ ძირითად ხაზს. სინქრონული და დიაქრონული (სივრცითი და დროითი) ინტეგრალური ეფექტების ამგვარი ურთიერთმიმართება (გასივრცე-დროითება)

პიროვნებისა და ერის ფენომენების არსებითი ურთიერთკავშირის – პიროვნებით (დინასტიით) ერის პერსონიფიცირებადობის განმსაზღვრელია. ხოლო ბიოსფეროსთან ანალოგიის მოშველიებით, შეიძლება ითქვას, რომ ერი ნოოსფეროს ინდივიდების სახეობაა, რაც გვკარნახობს მის აღსანიშნავ ალტერნატიულ ტერმინს - **"ნოოსი"**. ეს განსაზღვრება, გარკვეული ასპექტით შინაარსობრივი დამთხვევის გამო, შეიძლება მივიჩნიოთ ამგვარადვე წარმოთქმადი (ფონეტიკურად იდენტური) ძველელინური ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებად, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არ არსებობს ცნობიერება საზოგადოდ, გონებას (აზროვნებას, ისევე, როგორც ემოციას და სხვა ფსიქიკურ ფუნქციებს), განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის გავლენით, ოთხი განსხვავებული მოდუსი გააჩნია, რაც გამოხატულია ერების ოთხი ნოოლოგიური ტიპების არსებობის ფაქტში.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ, საზოგადოდ, საკმარისად მცირე დროის განმავლობაში, პიროვნებათა რაგინდ დიდი თანამოქმედი ჯგუფის წევრების განწყობათა შინაარსებში შეიძლება აღმოჩნდეს საერთო არამოუცილებადი კომპონენტი, რომლის ეფექტიც, ხსენებულ მცირე დროში, განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ეფექტზე მნიშვნელოვანი (უფრო ინტენსიური გამოხატულების მქონე) აღმოჩნდება. მაშინ მიიღება ნოოსფეროსთვის პოტენციურად დესტრუქციული მოვლენა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს **"ბრბოს სინდრომი"**. ეს არის **აფექტის** ანალოგი კოლექტიური სუბიექტის შემთხვევაში.

§1.4 ცივილიზაცია - ნოოცენოზი

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა რევოლუციური ცვლილებაა ინდივიდის ფსიქოლოგიური მახასიათებლებისა და არა - მისი საარსებო პირობებისა და გარემოსი: საწყის ეტაპზე პიროვნებად ქცეული ინდივიდი იძულებულია მისი ბიოსახეობის ბიოცენოზური ფუნქციის შესაბამისი წესით გააგრძელოს არსებობა. ამდენად, იმ ბიოსახეობათა შემთხვევაში, რომელთათვისაც, ადამიანის მსგავსად, ბიოცენოზური ოპტიმუმი არამრავალრიცხოვანი შემადგენლობის განცალკევებულ ჯგუფებად არსებობას გულისხმობს, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნასთან დაკავშირებული დისკომფორტის გაუქმება სოციალური ერთეულის გამსხვილებით ვერ მოხერხდება მანამ, სანამ არ დაგროვდება გარემოს რესურსების ათვისება-ექსპლუატაციის ინტენსივობის სათანადოდ გაზრდის უზრუნველმყოფელი ტექნოლოგიური ცოდნა – **"ნოოსფერული ოპტიმუმის ბიოსფერული ოპტიმუმით შეზღუდულობის სინდრომი"**. ასეთ შემთხვევებში, ამგვარი შეზღუდვის მოხსნამდე, გამართლებას იძენს ბიოცეონოზურად ოპტიმალური ჯგუფის შინაგანი დანაწევრება ოთხივე თვისებრივი ტიპის ერების (შესაძლებელია, ალტერნატიულ რეალიზაციებშიც) წარმომდგენ ქვეჯგუფებად, რაც გვაძლევს სინამდვილეში ოპტიმალურად (ბიოსფეროს

ინდივიდის მსგავსად) ჩართულ ერთეულს, ბიოსფეროსთან ადაპტირებულ ნოოსფერულ წარმონაქმნს. ვუწოდოთ **მას "პირველადი ცივილიზაცია"**, ალტერნატიული დასახელებით **- "პირველადი ნოოცენოზი".** ეს არის უმარტივესი შემთხვევა **"საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის მეორე ნოოსფერული მოდუსის"** რეალიზაციისა. ბიოსფეროს ინდივიდთან ანალოგიის კარნახით, ამ შემთხვევაში, ერთა თვისებრივი ტიპები ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებთან - შესაბამისად: თვითწარმოება, მდგრადობა, გარემოსთან ურთიერთობა, სიმთელე - შეიძლება ასოცირდნენ. ამ საკითხს ("პირველადი ცივილიზაცია") ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის განხილვისას დავუბრუნდებით დასაზუსტებლად.

ადამიანის შემთხვევაში ნოოცენოზური ოპტიმუმის ბიოცენოზური ოპტიმუმით შეზღუდვის მოხსნა შესაძლებელჰყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სფეროებში საკმარისი ტექნოლოგიური ცოდნის დაგროვებამ. ამგვარი კონკრეტულობით ეს გარღვევა ყველაზე ადრე, რამდენადაც არქეოლოგიის მონაცემებითაა ცნობილი, დაიწყო წინა აზიაში (გიობექლი-თეფე) 10 ათასზე მეტი წლის წინ. ხოლო, როგორც მასზე რამდენიმე ათასი წლით უფრო ადრეული, აინური ხანის იაპონიის ერთ-ერთ რეგიონში ურბანიზაციის (მეზობელ დასახლებათა პოპულაციების მიგრაციით ერთ დასახლებაში თანდათანობითი კონცენტრაციის) არქეოლოგიურად დადასტურებული ფაქტი გვიჩვენებს, ბიოცენოზური ოპტიმუმით შეზღუდვის მოხსნა დამოკიდებულია არა ტექნოლოგიური ცოდნის კონკრეტულობაზე, არამედ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ხერხდება არსებული ტექნოლოგიური ცოდნის მეშვეობით მრავალრიცხოვანი სოციუმის კომპაქტური განსახლებით არსებობა (ხსენებული რეგიონის აინები წაბლის გამრავლებას უწყობდნენ ხელს, სხვა რაიმე მნიშვნელოვანი სამიწათმოქმედო ტექნოლოგია არ გააჩნდათ).

ნოოსფერული ოპტიმუმის ბიოსფერული ოპტიმუმით შეზღუდვის მოხსნის პირობებში, ცხადია, გადაგვარებულობის მოხსნასთან დაკავშირებული დისკომფორტის არიდების პირველი გზა - ერის შეუზღუდველი გაფართოება - იძენს უპირატესობას, რაც გვაძლევს **"საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის მეორე ნოოსფერული მოდუსის"** უფრო რთულ რეალიზაციებს - **"მეორეულ ცივილიზაციებს"**, ალტერნატიული დასახელებით - "მეორეულ ნოოცენოზებს". გაფართოების აქტუალობა და კონსტრუქციულობა კი ექსპანსიონისტური პარადიგმის - **"საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის"** - გაბატონებაში პოულობს ასახვას. ამ თემას დავუბრუნდებით ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის განხილვისას.

საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურა ოთხივე ფსიქიკური სტიქიის ეფექტების ურთიერთკავშირით ვლინდება, მათი დომინანტობის პირობებში. ცივილიზაცია არსით **"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტია"**, ხოლო კონკრეტულ რეალიზაციაში **- "განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენი (რეალიზაცია) ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობაზე"**. ამ განსაზღვრების საბოლოო დაკონკრეტებამდე შეიძლება ითქვას შემდეგი: "ნოოსფერულ სტიქიებს" შორის ციკლური ურთიერთკავ-

შირი გადაგვარებულობის მოხსნის შემდეგ ინდივიდებში (პიროვნების თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში) კარგავს გამოხატულებას, მაგრამ სრულიად როდი ქრება, არამედ სხვადასხვა თვისებრივი ტიპის ერების ურთიერთკავშირის შინაარსის სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტებად იჩენს თავს.

ცივილიზაციები, როგორც თვითკმარი ნოოსფერული წარმონაქმნები, შეიძლება შევადაროთ ბიოსფეროს სისტემურად დამოუკიდებელ ნაწილებსაც – **ბიოცენოზებს** (ეკოსისტემებს), რაც გვკარნახობს ტერმინის **"ცივილიზაცია"** ალტერნატივას – **"ნოოცენოზი"** (რომელსაც სემანტიკური წინაისტორიის მქონე პირველი ტერმინის გამოყენებისას მოსალოდნელ გაუგებრობათა ასაცილებლად გამოვიყენებთ). ამ ანალოგიის ლოგიკით, ერი შეიძლება შევუსაბამოთ ბიოსახეობას, თუმცა სწორედ ეს წყვილი (ნოოსახეობა-ბიოსახეობა) არის ნოოსფეროსა და ბიოსფეროს შორის ანალოგიის ყველაზე სუსტი ასპექტი: ბიოსფეროში არ არის ერის ექვივალენტური ელემენტი (უფრო თანმიმდევრული სახე აქვს ბიოცენოზსა და ორგანიზმს შორის ანალოგიას თვით ბიოსფეროში).

ცივილიზაციების იდენტიფიკაცია შეუძლებელია "ციკლური ლოგიკის" (იგივე - "ნოოლოგიურ სტიქიათა თეორიის") შედეგების გარეშე, რომელიც არის **"კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის მეორე საწყისი"**. ციკლური ლოგიკის პირველი ელემენტები ნოოსფერულ (ფსიქიკურ) სტიქიათა შედარებითმა დახასიათებამ მოგვცა; მაგრამ ნოოსფერულ სტიქიათა ურთიერთგანმასხვავებელი მახასიათებლების განხილვაზე გადასვლის წინ, მათი ეფექტების ფენომენური განვითარების საერთო ასპექტის - **"ნოოფილოგენეზის"** - განხილვაზე შევჩერდეთ.

§1.5 ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური

როგორც აღინიშნა, მოქმედების დასახელებული ლოგიკური ფაზების ურთიერთმიმართებას გააჩნია დიაქრონულობად იდენტიფიცირებადი (გააზრებადი) ასპექტიც, რაც მოქმედებას ლოგიკურ ფაზათა ცვლის პროცესად წარმოგვიდგენს. ნოოლოგიურად გადაგვარებული, ანუ ბიოლოგიურად ნორმალური ინდივიდის (ბიოიდის) შემთხვევაში, მოქმედების ლოგიკურ ფაზათა ცვლის პროცესში არცერთი "ნოოსფერული სტიქია" არაა მუდმივად აქტუალური და, ამდენად, გადაგვარებულობის მოხსნის შემთხვევაში (სუბიექტის თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის ფაქტში), ამ გარდაქმნის გამოხატულებად ერთ-ერთი "ნოოსფერული სტიქიათაგანის" უწყვეტად აქტუალობის დამყარება, მოქმედების სხვა (დანარჩენი სამი "ნოოსფერული სტიქიის" სათანადო) ფაზებში, მოქმედების აქტის მოცემულობის გაფართოებად წარმოგვიდგება. მოცემულობის ეს ნაზრდი მოქმედების აქტის სუბიექტის განწყობის შინაარსის დანამატია და, რადგან ეს დანამატი მუდმივია (გადაგვარებულობის მოხსნის გამოხატულებად გამორჩეული "ნოოსფერული სტიქია" აქტუალურია თავის ფაზაშიც), შესაძლებელია მისი ასოცირება მოქმედების აქტის მიმართ

გარეგან ობიექტთან. კერძოდ, მოქმედების აქტის სუბიექტის მიერ ისეთ ობიექტთან თვითასოცირებით (თვითმიკავშირებით), რომელსაც ამ აქტის მიმდინარეობის გამომხატველი ცვლილებები არ ეხება, მოქმედების აქტს შეემატება სუბიექტის მოცემულობის ნაწილად იდენტიფიცირებული ასპექტი, რომელთანაც შეიძლება ასოცირდეს ის მუდმივობის მომენტი, რომელიც ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნას შემოაქვს მოქმედების სუბიექტის და, ამრიგად, მოქმედების აქტის მოცემულობაში. ამრიგად, აქ, გარეგან ფენომენთან სუბიექტის თვითასოცირებაში იგულისხმება ამ ფენომენთან კონკრეტული "ნოოსფერული სტიქიის" ასოცირება, მაგრამ, რადგან ეს ელემენტი ("ნოოსფერული სტიქია") განწყობის (უნაწევრო სიმთელის ასპექტით წარმოდგენილი სუბიექტის მოცემულობის) ნაწილია, გამოდის რომ გარეგან ფენომენთან ასოცირდება მთლიანად სუბიექტი.

ცხადია, რომ: 1) ამგვარ გარეგან ფენომენს მოეთხოვება კონკრეტული "ნოსფერული სტიქიის" ეფექტის ფენომენად, მისი ("ნოოსფერული სტიქიის") აქტუალობის გამოხატულებად წარმოდგენადობა-ინტერპრეტირებადობა; 2) ამგვარი ფუნქციით თვითასოცირების ობიექტად პიროვნებას ვერ გამოადგება საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობა (საკუთარი ფენომენოლოგიური მოცემულობის ბიოლოგიური ასპექტი, თავისი ბიოსახეობის ინდივიდად მისი წარმომდგენი მოცემულობა), რადგან პიროვნების (ნოოიდის) ყოველ რეალიზაციაში საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობა გადაგვარებული (ბიოსფეროს ინდივიდისთვის ნორმალური) მდგომარეობის, ანუ ტრანსფორმაციის პროცესის საწყისი პუნქტის, განმსახიერებელ-მაიდენტიფიცირებელი და, ამდენად, უარსაყოფი მოცემულობაა.

პირველი პირობის დაკმაყოფილება არაპრობლემატურია, რადგან ადამიანის გარდა ნებისმიერი ცნობილი ბიოსახეობის ინდივიდები მხოლოდ "გადაგვარებულ ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის" მდგომარეობაში არსებობენ და, ამრიგად, ნებისმიერი მათგანი წარმოდგენადია ნებისმიერი "ნოოსფერული სტიქიის" ეფექტის ასპექტით: გარდა იმისა, რომ ნებისმიერი ბიოლოგიური ორგანიზმის ცხოველმყოფლობას ახასიათებს ოთხივე "ნოოსფერული სტიქიის" ეფექტების წარმომდგენი ასპექტები (შესაბამისად, თვითკვლავმწარმოებლობა, მდგრადობა, გარემოსთან გაცვლითი ურთიერთობის უნარი და ფუნქციონირების რეჟიმის თვითცვალებადობა), ამასთანავე, იგივე ითქმის ნებისმიერი ბიოსახეობის ნოოცენოზური სტატუსის შესახებაც, უმეტეს შემთხვევებში კი, საამისოდ საკმარისია თვით ერთი და იმავე ბიოსახეობის ბიოცენოზური ერთეულის (ჯოგის, ხროვის) შიგნით ინდივიდების სტატუსების შედარება.

ამ უკანასკნელი რესურსის საილუსტრაციოდ, კარგი მაგალითია **მგელი:** მგლის ხროვის (ზრდასრული ნაწილის) ცენტრალიზებული, მკაცრი იერარქია (რაც ნადავლის განაწილებისას ჩანს ყველაზე მკაფიოდ) - ასოცირდება ფორმის მანიის ეფექტთან; მგლის ლეკვები, როგორც დედასთან მიმართების მიხედვით ურთიერთიგივური ინდივიდების სიმრავლე, და თავად ძუ მგელიც, როგორც მისი ლეკვების (დედასთან მიმართების მიხედვით ურთიერთიგივური ინდივიდების) ინტენსივობითი ერთობის პერსონიფიკაცია - ძლევის მანიის ეფექტთან; მგლის ხროვის ფორმირება (ზრდასრულობამდე მისული მამრისა და ზრდას-

რულობამდე მისული მდედრის მიერ სქესობრივი მეწყვილის ძიების წარმატებული დასასრული), როგორც სქესების და ინდივიდების სიმრავლის ერთ მოქმედ ბიოცენოზურ ერთეულად სინთეზირების გამოხატულება - ცხრომის მანიის ეფექტთან; და ბოლოს, კოლექტიური ნადირობის წესის მიხედვით, რომელიც ხროვის წევრების სიტუაციის შესაბამისად და დიაქრონული რიგით ჩართვაში გამოიხატება, როცა ხროვაში უფრო მაღალი სტატუსი მეტი რისკის გაწევას გულისხმობს, - მართვის მანიის ეფექტთან (ამ შესაბამისობათა საფუძვლიანობა ცხადი გახდება ტექსტის მომდევნო ნაწილში, როცა გადავალთ "ნოოსფერულ სტიქიათა" ეფექტების ფუნდამენტური მახასიათებლების განხილვაზე).

რაც შეეხება მეორე პირობას, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის შემთხვევაში საჭიროა მისი დაზუსტება. კერძოდ, ადამიანისთვის დამახასიათებელი სქესობრივი დიმორფიზმი - სხვადასხვა სქესის ინდივიდებს შორის სხეულის მოტორიკის, სილუეტისა და პლასტიკის და, რაც მთავარია, ბიოცენოზური სტატუსის (ბიოცენოზურად მნიშვნელოვანი უნარებისა და ბიოცენოზური ფუნქციის) მიხედვით ურთიერთგანსხვავება - თვალსაჩინოებითა თუ შინაარსობრივი მოცულობით არ ჩამოუვარდება განსხვავებულ ბიოსახეობათა ინდივიდებს შორის არსებულ განსხვავებებს (იხ. §1.15), რის გამოც ადამიანის სახით წარმოდგენილი პიროვნებისთვის (ადამიან-ნოოიდისთვის) თვითასოცირების ობიექტად საპირისპირო სქესის ადამიანიც (და შესაძლებელია საპიროსპირო სქესისა და იმავე ნოოტიპის პიროვნებაც კი) შეიძლება დაფიქსირდეს (მართალია, ამ შესაძლებლობას ახლავს დესტრუქციის განვითარების საფრთხეც - იხ. გვ 248). ამგვარი, განსაკუთრებული სქესობრივი დიმორფიზმის შემთხვევაში (ადამიანი-ნოოიდის ჩამოყალიბების აქტში), გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტის მოუცილებელი ასპექტი ხდება პიროვნების სქესობრივი თვითიდენტიფიკაცია: რადგან, თვითასოცირების ობიექტებად დასაშვებ ფენომენთა შორის საპირისპირო სქესის ინდივიდიცაა (რომელიც ადამიანის საარსებო გარემოში, მისთვის ყველაზე ხშირად აღქმადი მოცემულობაცაა) და საკუთარი სქესის გათვალისწინების გარეშე საპირისპირო სქესის რომელობა ვერ განისაზღვრება, ამდენად, სქესობრივი თვითიდენტიფიკაციის გარეშე, თვითასოცირებისთვის ასარჩევ ობიექტთა სიმრავლე ხდება არსებითად განუსაზღვრელი (საზღვარდაუდგენელი). ამრიგად, ადამიანის შემთხვევაში, პიროვნების მიერ თვითიდენტიფიკაციის ობიექტებად არჩეულ ფენომენებს აუცილებლად ეგულისხმებათ (მიეწერებათ) სქესი, მიუხედავად იმისა, მათ თავად ახასიათებთ თუ არა ამგვარი ნიშანი.

ადამიანის პიროვნებად ქცევის (ადამიანი-ნოოიდის) შემთხვევაში თვითასოცირების ობიექტად საპირისპირო სქესის ადამიანის არჩევა გამორიცხავს პიროვნების ბიოლოგიური მოცემულობის სქესობრივი ასპექტის ადეკვატურად ასახვას მის თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში. ხოლო ყველა სხვა ისეთი ბიოსახეობის არჩევის შემთხვევაში, რომელსაც ინდივიდის ცალსქესიანობა ახასიათებს, პიროვნების (ადამიანი-ნოოიდის) საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის სქესობრივი ასპექტის მისი თვითასოცირების ობიექტით ადეკვატურად ასახვის მიღწევა ადვილია. ფაუნის უმეტესი წარმომადგენელი აკმაყოფილებს ამ პირობას, ხოლო ფლორის წარმომადგენლებს შორის ინდივიდების სქესობრივი დიფერენ-

ცირებულობა არც ისე ხშირად გვხვდება, ამდენად, თვითიდენტიფიკაციის ობიექტად მცენარეთა არჩევის შემთხვევაში, მათ სქესი შეიძლება მიეწერებოდეთ ნებისმიერად, თუმცა ისტორიული მოცემულობის მიხედვით შეინიშნება გარკვეული ასიმეტრიაც: უფრო ხშირად მდედრობითი სქესი ხვიარა მცენარეებს (ვენახი, მაყვალი, სურო და ა. შ.) მიეწერებათ, მამრობითი სქესი კი - ხეებს (მუხა, კედარი და ა. შ.). შევნიშნოთ, რომ განსხვავებული სქესის განსხვავებული ბიოსახეობის ინდივიდთან ასოცირება ადამიანისთვის დამახასიათებელი სქესობრივი დიმორფიზმის ასახვის საშუალებაა, რაც დასტურდება ისტორიულ მოცემულობაშიც. მაგ.: გველს უფრო ხშირად მდედრობითი სქესი მიეწერება, ხოლო ცხვარს, თხასა და ლომს მამრობითი. ისტორიული მოცემულობის მიხედვით, სქესი მიეწერებათ ისეთ ფენომენებსაც, რომლებიც ბიოსფეროს არც ეკუთვნიან. მაგ., ცას უფრო ხშირად მამრობითი ბუნება მიეწერება - ანი, ურანოსი, მიწას კი მდედრობითი - გეა. ასოციაციის ნებისმიერობა კი ჩანს საპირისპირო არჩევანის ისტორიულად დადასტურებულობით: ძველეგვიპტური ტრადიციის მიხედვით: ცა მდედრობითია - ნუთი, მიწა კი მამრობითი - გები. ფართოდ გავრცელებული არჩევანის საპირისპიროდ, ქართულ ფოლკლორშიც, მზე მდედრობითის ტოტემია, მთვარე კი მამრობითის ტოტემი. ფენომენი, რომელსაც სქესი ვერ მიეწერება, ვერ გამოდგება პიროვნების თვითასოცირების ობიექტად ადამიანის შემთხვევაში.

სუბიექტის მიერ მოქმედების პროცესში გარეგან ფენომენთან თვითასოცირება უნდა გამოვლინდეს სუბიექტის მიერ თავისი მოქმედების (აქტივობის გარეგნული მახასიათებლების, ალგორითმისა თუ სტრატეგიის) კონკრეტული ფენომენის (ფენომენთა კონკრეტული ტიპის) არსებობის წესის ამსახველად მოდელირების მცდელობით, თვითასოცირების ობიექტად გამოყენებული ფენომენის ატრიბუტების ტარებით. ამ მომენტმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს **ტოტემის** განსაზღვრება და ფუნქცია. ცხადია, რომ გადაგვარებულობის მოხსნის შედეგად უშუალოდ მიღწეულ მდგომარეობას, რომელსაც **"ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურს"** ვუწოდებთ, შეესაბამება ყველა ისტორიულ კულტურაში დადასტურებული და დღემდე მხოლოდ ფენომენოლოგიურად იდენტიფიცირებული ასპექტი, რომელსაც ეწოდება **"ტოტემიზმი"**. თვითკმარ სოციუმებში, "პირველად ცივილიზაციებში" (პირველად ნოოცენოზებში), სწორედ, **ტოტემები** წარმოგვიდგებიან ურთიერთიგივური სტატუსის მქონე პიროვნებათა ჯგუფების - **"ტოტემისტური კასტების"**, რომლებიც კონკრეტული ნოოტიპის ერების (ნოოსების) რეალიზაციებად იდენტიფიცირდებიან, წარმომადგენელ პიროვნებათათვის საერთო ნოოტიპურ მახასიათებელთა გამოხატულებებად (საზრისებად და მოდუსებად). რადგან ერთი და იგივე ფენომენი, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში (მგელი), საზოგადოდ, წარმოდგენადია ოთხივე "ნოოსფერული სტიქიის" შესაბამისად, შესაძლებელია ერის ოთხივე (ან რამდენიმე) ნოოტიპისთვის ერთი და იმავე ობიექტით წარმოდგენილი, თუმცა ყველა ნოოტიპის ერის მიერ განსხვავებულად (შესაბამისი ნოოსფერული სტიქიის სათანადოდ) ინტერპრეტირებული, ტოტემის არსებობა, რომელთაც **"პირველადი ცივილიზაციების ტოტემი"** შეიძლება ეწოდოთ.

ამრიგად, ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე, ერი **"ტოტემური კასტის"**, ცივილიზაცია (პირველადი ცივილიზაცია, ანუ პირველადი ნოოცენოზი) კი, **"ტოტემისტური თემის"** სახითაა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი, საწყის ეტაპებზე, ნოოცენოზური ოპტიმუმის ბიოცენოზური ოპტიმუმით შეზღუდულობის პირობებში, შემადგენლობით (პოპულაციური ასპექტით) არ განსხვავდება ადამიანთა ჯოგისგან, მაგრამ ის უკვე აღარ არის მისი ეკვივალენტური, არამედ ნოოსფეროს ჩანასახის მატარებელი ერთეულია, რომელსაც წმინდად ბიოცენოზურ ერთეულად ვეღარ ჩავთვლით.

ტოტემებად გამოსადეგია (და გამოყენებულიც) ისეთი ფენომენებიც, როგორიცაა: მზე, მთვარე, ცა, მიწა (რაც აქამდეც აღინიშნა), ასევე - ვარსკვლავი, ღრუბელი, ნისლი, ქარი, გვალვა, მთა, ცეცხლი, წყალი, წვიმა, მდინარე, ზღვა, დღე, ღამე, სიცივე, სიცხე, სიბნელე, სინათლე, წელიწადის დრო და ა. შ. დამატებით რესურსს ქმნის ისიც, რომ ამგვარი ფენომენების განსხვავებული მდგომარეობები განსხვავებულ ფენომენებადაც კი შეიძლება დაისახოს, როგორც მაგალითად: ამომავალი მზე, მზარდი მცხუნვარების მზე, ზენიტის (მაქსიმალური მცხუნვარების) მზე, კლებადი მცხუნვარების მზე, ჩამავალი მზე, "მკვდრის მზე" (რომელიც მწვერვალებს ანათებს), ჩასული მზე; მთვარის განსხვავებული ფაზები და დღის მთვარე; მდინარის სათავე, შუაწელი და შესართავი; სხვადასხვა ინტენსივობის წვიმა; სხვადასხვაგვარად განლაგებული ვარსკვლავთა ჯგუფები; კალაპოტში მოძრავი წყალი (მდინარე, ნაკადული), უძრავი წყალი (ტბა, ზღვა), ვარდნილი წყალი (წვიმა, ჩანჩქერი), უძრავი ჰაერი და მოძრავი ჰაერი (სეზონური ქარები, სხვადასხვა ძალისა და მიმართულების ქარები, ბრიზი) და ა. შ.

ნოოფილოგენეზური განვითარების მიხედვით, კაცობრიობის სხვადასხვა ნაწილების უკიდურესმა უთანაბრობამ მოგვცა შესაძლებლობა, კონკრეტულ მაგალითებზე გვენახა ტოტემებად ხელოვნური, ტექნოგენური ობიექტების დაფიქსირების შესაძლებლობა: პოლინეზიის ერთ-ერთი იზოლირებული კუნძულის მცხოვრებლებმა, რომელზეც მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო აეროდრომი იყო განლაგებული, აეროდრომის გაუქმების შემდეგ, ბუნებრივი მასალებისგან ააგეს თვითმფრინავის იმიტაცია და რიტუალური ქცევით მიაგებდნენ მას პატივს, როგორც საკულტო ობიექტს. ტექნოგენური ობიექტების ამგვარად ადაპტაციის შესაძლებლობას ხელს უწყობს ისიც, რომ მათი უმეტესობა შეიძლება ბიოლოგიურ, ან სხვა სახის ბუნებრივ ფენომენებთან ასოცირდეს ფუნქციური თუ დიზაინის ასპექტებით. თანამედროვე საზოგადობებშიც, მოზარდების თამაშის ელემენტი (და, ამდენად, "ნოოონტოგენეზურად" ფუნქციური - იხ. გვ. 156) გახდა ტექნოგენური ობიექტების (ავტომობილების, თვითმფრინავების და სხვა) იმიტაცია. ამ საკითხს მოგვიანებით ისევ დავუბრუნდებით.

მართალია, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის პირობად გარეგან ობიექტთან თვითასოცირება მხოლოდ კონკრეტული "ნოოსფერული სტიქიის" ასპექტითაა აქტუალური, მაგრამ, რაკი ტოტემად არჩეული ფენომენი, როგორც გარეგანი სინამდვილის ნაწილი, გარკვეულ მიმართებებშია გარეგანი სინამდვილის სხვა ფენომენებთან, ჩართულია

მათი ურთიერთქმედების პროცესებში, ჩნდება შესაძლებლობა, "ნოოსფერული სტიქიასა" და განწყობის შინაარსის სხვა მომენტებს (მათ შორის, განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის სხვა, სამ შესაძლო მნიშვნელობას) შორის არსებული ურთიერთ-მიმართებების ასახვად, განწყობის შინაარსის ყოველ შესაძლო მომენტს შეეთანადოს კონკ-რეტული ტოტემი, ანუ მოხდეს სრულიად "განწყობის მტევნის" ტოტემების სისტემად წარ-მოდგენა. ეს ნიშნავს პიროვნების ფსიქიკური აქტივობის შინაარსის გარეგანი სინამდვილის ფენომენებისა და მათ სიმრავლეში მიმდინარე პროცესების სისტემასთან ასოცირების შე-საძლებლობას. განწყობის შინაარსის არამოუცილებად ელემენტებს (განწყობის მარცვლებს) შორის ზოგიერთი (სხვადასხვა პიროვნებისთვის სხვადასხვა მათგანი) დისპოზიციური განწყობის მნიშვნელობისა შეიძლება იყოს და შესაძლებელია მათი ტოტემური შესატყვი-სების ერის (ტოტემური კასტის) შიგნით პიროვნებათა ერთიმეორისგან გასარჩევად გამო-ყენება, რაც პიროვნულ ტოტემებად ტოტემთა **ქიმერული** კომპოზიციების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის - **"ქიმერას სინდრომი"**.

რადგან ნოოსფერული სტიქიების გავლენა მოქმედების აქტზე სუბიექტის ნებელო-ბით ვერ რეგულირდება, ამდენად, "ნოოსფერულ სტიქიათა" ტოტემებად ვერ გამოდგება ისეთი ფენომენები, რომელთაც ნოოონტოგენეზის პირველი საფეხურის პიროვნება ვერ მი-აწერს თავისთავადობას, თვითნებობას. ასეთია, მაგ., შინაური ცხოველები, რომელთა ქცე-ვა და არსებობა პიროვნების ნებისადმი დაქვემდებარებულობის ნიშანს ატარებს. თუმცა, შესაძლებელია ცხოველთა მოშინაურებას ტოტემთან მჭიდრო კონტაქტის მოთხოვნილება ჰქონდეს ისტორიულ საფუძვლად. ამ ასპექტით, მათ წინაშე უპირატესობა ეკუთვნით ტექ-ნოგენურ ობიექტებსაც კი, რომელთა ფუნქციონირებაზე პიროვნების ნებელობითი გავლე-ნა ყველასთვის თვალსაჩინო და გასაგები არაა; მაგრამ შინაურ ცხოველებს უპირატესობაც კი ეკუთვნით ისეთი ფსიქიკური ფუნქციებისა და ფაქტორების ტოტემთა როლში, რომლებ-ზეც შესაძლებელია ნებელობითი გავლენის გატარება. ამგვარად განსხვავებულად შეფა-სებადობა ამხსნელია ერთი და იმავე ბიოსახეობის მოშინაურებული და ველური პოპულა-ციების ინდივიდების განსხავებულად სახელდებისა: ტური - ძროხა, ტახი - ღორი, მგელი - ძაღლი, ჯიხვი - თხა, არხარი - ცხვარი და ა. შ. (თუმცა, განსხვავებულად სახელდებაში მნიშვნელოვანია მოშინაურებულ ცხოველთა შერჩევითი გამრავლების ხანგრძლივი პრაქ-ტიკით განპირობებული განმასხვავებელი მახასიათებლებიც).

კონკრეტული გარეგანი ფენომენები, განსაკუთრებით კი ხშირად დამზერადნი, შეიძ-ლება თავად გახდნენ პიროვნების განწყობის შინაარსში მათთან ასოცირებადი მომენტების ჩამოყალიბებისა და გამყარების საფუძველი. მაგ., ქარის წინაშე უდრეკი მუხის, ან მდინა-რის ძლიერი დინების გამყოფი კლდის, ან სხვის ნადავლზე მისევის მსურველი აფთრების ხროვის დამფრთხობი ლომის მდგომარეობები შინაარსით საკუთარი პოზიციის დაცვის შე-საბამისი განწყობის შესატყვისია და განწყობის მომენტების ანტაგონისტური წყვილის ალ-ტერნატიულ ტოტემისტურ აღწერებს (ფორმულირებებს) გვაძლევს: "მიეძალო ქარივით"

- "გამაგრდე მუხასავით", "წალეკო ვით წყალმა" - "დაუხვდე კლდესავით", "მიესიო გააფთრებით" - "წინ აღუდგე ლომივით".

ამგვარი პრეცედენტების გამრავლებით განწყობის შინაარსი უფრო და უფრო დიფერენცირდება და რთული სისტემის ხასიათს შეიძენს. შეიძლება ამგვარად ჩნდებოდეს ვირტუალური ფსიქიკური აქტივობის შესაძლებლობა ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის მოდუსით **-"ნოოონტოგენეზის პირველი საფეხური"** - მაგრამ, როგორც ნოოსფერულ სტიქიათა დახასიათებისას ვნახავთ, განვითარების აქ წარმოდგენილი ასპექტების ("ნოოფილოგენეზი", "ნოოონტოგენეზი") მიზეზობრივი და მიზნობრივი მომენტებით ახსნის მცდელობა ლოგიკური თანმიმდევრულობის დარღვევაა, მართვის მანიის პარადიგმის კომპეტენციის ჩარჩოებს სცილდება.

ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის საზოგადოებაც, მის წევრთა ტოტემების სიმრავლედ წარმოდგენილი, გარეგანი სინამდვილის ანარეკლად, იმიტაცია-მოდელირებად ისახება. მის წევრთა ურთიერთობა წარმოგვიდგება პიროვნების მდგომარეობათა შინაარსებად და პიროვნებათა ურთიერთობის აქტებად ინტერპრეტირებადი გარეგანი სინამდვილის შემადგენელი ხდომილებების (როგორიცაა ბიოსფეროს ინდივიდების ქცევა-ურთიერთობათა ბიოცენოზური მოდუსები, ეკოლოგიური, მეტეოროლოგიური, ლანდშაფტური თუ სხვა სახის ბუნებრივი ფაქტორების ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთმიმართების ასპექტები) იმიტაცია-მოდელირების მეტ-ნაკლებად წარმატებულ მცდელობათა სისტემად. დიდი თუ მცირე მასშტაბის სოციალური ხდომილების საზრისი, შესაბამისი (შესაბამისებული) გარეგანი მოვლენით მოიცემა. გარეგანი სინამდვილე თითქოს იჭრება საზოგადოების (პირველადი ცივილიზაციის, ანუ პირველადი ნოოცენოზის) შიგნით, თავისივე გაგრძელებას პოულობს მასში. პირობითად რომ ვთქვათ, ნოოსფერო ბიოსფეროსა და მთელი სინამდვილის სისტემური იმიტაციის აქტებით იჩენს თავს სინამდვილის საერთო სურათში, რაც ცოცხალი უჯრედის გაყოფის პროცესს მოგვაგონებს. სხვათა შორის, სოციუმის ბიოსფეროს გაგრძელებად წარმოდგენის მომენტი განაპირობებს "პირველადი ცივილიზაციის მხოლოდ ერთი - ერით (ერთი ტოტემური კასტით), ან ერთი და იმავე ნოოტიპის ერებით (ერთი და იმავე ნოოტიპის ერებად იდენტიფიცირებადი ტოტემური კასტების სიმრავლით. მრავლობა აუცილებელი იქნება მართვის მანიის ნოოტიპის ერის შემთხვევაში) წარმოდგენის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, დანარჩენი სამი ნოოტიპის ერის ფუნქციების იმიტაცია უნდა მოხერხდეს ბიოსფეროს წიაღში მათი ტოტემებად იდენტიფიცირებად ფენომენებთან ურთიერთობით. ეს შესაძლებელყოფს თვით ნოოფილოგენეზის პირველ სფეხურზე ერი-ეთნოსების გამოვლენის შესაძლებლობას.

ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური კლდეზედ დატანილი მხატვრობის პირველი ნიმუშების მეშვეობითაც შეიძლება გარკვეული მიახლოებით დათარიღდეს. მხატვრობის და, საზოგადოდ, ხელოვნების (გრაფიკა, ფერწერა, პლასტიკა, ქორეოგრაფია, ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკა და სხვა) საწყისი ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურია: ტოტემად არჩეული ფენომენის (ობიექტისა თუ პროცესის) გარეგნული ხატ-სახის (ვიზუალური

ატრიბუტების) პიროვნების ეკვივალენტად დაფიქსირება (რასაც გულისხმობს ტოტემად არჩევა), ამ ფენომენის არსებობის ფაქტში სუბიექტის (თვითრეფლექსიის აქტორის) რამენაირი მონაწილეობის გარეშე (ანუ მასთან საარსებო თანაუკვეთელობის პირობებში), ამ მახასიათებლის (ხატ-სახის) თავად ტოტემად არჩეული ფენომენისგან განყენება-აბსტრაგირების და, ამრიგად, მის სხვა მატარებელზე, მათ შორის, კლდეზე ან გამოქვაბულის კედელზე გადატანა-დაფიქსირების იდეისა და პრაქტიკის გამამართლებელია. მსგავსი მოვლენაა ტოტემებად არჩეულ ფენომენთა ხმიანობის ინსტრუმენტული თუ ვოკალური ასახვის ფაქტი, რაც გვკარნახობს ტოტემების აღმნიშვნელად სიტყვების ხმაბაძვის პრინციპით წარმოების პრაქტიკის ახსნასაც. ამგვარივე დამოკიდებულება ვრცელდება პიროვნების ბიოლოგიური მატარებლის უნარებით მოხელთებად (შეგრძნებად-აღქმად) სხვა მახასიათებლებზეც (სურნელი, ტემპერატურა და ა. შ.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტოტემად არჩეული ფენომენი მისი სხვადასხვა მოდუსით შესაძლოა ყოფილიყო ამსახველი მთლიანი პიროვნების არსისა ანუ "**სულისა**". ამრიგად, ამ შემთხვევაში, ანუ ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის პარადიგმით, ანუ ტოტემისტური გაგებით, **სული** პიროვნების ბიოლოგიური სხეულის მიმართ გარეგან (სხეულის გარეთ დაფიქსირებად-მოხელთებად) ფაქტორად წარმოიდგინება და ხატვა, ძერწვა და, საზოგადოდ, ტოტემის ყოველგვარი გამოსახვა (საგნობრივ, ხმიან თუ სხვა მოდუსში) და მასზე მანიპულირება პიროვნებაზე ზემოქმედების ფაქტად მოიაზრება - "**ქცევის მაგია**".

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტის ერთ-ერთი გამოხატულება ჩანს, ასევე, "**ტაბუს**" ინსტიტუტი ("ვაშინერს"), როგორც ცხოვრების შინაარსის ბიოლოგიური მოცემულობით განსაზღვრული უნარების გამოყენებით შესაძლებელი და მოთხოვნადი ასპექტების მსოფლმხედველობითი არგუმენტის (რომელიმე ნოოსფერული სტიქიის ეფექტის რეალიზაციის ამოცანის) კარნახით აკრძალვის გამოხატულება.

* * *

ადამის ნეკნისგან ევას შექმნის ძველაღთქმისეული მითოლოგემა, თუმცა საკუთრივი მნიშვნელობით, როგორც ვნახავთ (იხ. გვ. 40), ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის კუთვნილებაა და გვკარნახობს პირველად ნოოსფერულ წარმონაქმნად ჰეტეროსექსუალური წყვილის (ოჯახის) დასახელების შესაძლებლობასაც (იხ. გვ. 144), მაგრამ, ამასთანავე, ეს მითოლოგემა, ადამიანის შემთხვევაში, პიროვნული ტოტემის საპირისპირო სქესის ადამიანად წარმოდგენის შესაძლებლობის გათვალისწინებით, გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტის ტოტემისტურ წარმოდგენადაც შეიძლება მოვიაზროთ. საამისოდ, **ადამი**, მისი მხოლოობის პირობებში, ინდივიდის გადაგვარებული მდგომარეობის (ნოოიდობის) სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ, **ევა** კი - ინდივიდის ამ საწყისი მოცემულობის იმ ასპექტის განსახიერებად, რომელიც ჩამოშორდა მას, რითაც ინდივიდს თავისი არსის ნაწილის საკუთარი შეცვლილ-შემცირებული მოცემულობის გარეთ დაფიქსირების, გარეთ ჭვრეტის შესაძლებლობა მიეცა, მსგავსად საკუთარი პიროვნული ტოტემისა. ამ შემთხვევაში, ევა,

ადამის მისადმი, როგორც საკუთარი ტოტემისადმი, დამოკიდებულების გაზიარების პირობით, ადამის სახით მიიღებს მასთან თვითგამაიგივებელ და, ამასთანავე, მისთვის (ევასთვის) ტოტემად გამოსადეგი მოდუსის ფენომენს, რომელიც თავადაც შეუძლია პირად ტოტემად აირჩიოს. ეს ნიშნავს: ევამ ადამის მოქმედება მიიჩნიოს საკუთარ მოქმედებად, ტოტემად განსახიერებაში, ადამმა - ევას სურვილი საკუთარ სურვილად, ტოტემად განსახიერებაში, რომელსაც თავისი მოქმედებით პასუხობს, და თუ ევა ამ მოქმედებას საკუთარი სურვილის შესაბამის მოქმედებად ჩათვლის, მივიღებთ ჰარმონიულ წყვილს. ამგვარი ურთიერთშესაბამისობის დამყარება, "ძველი აღთქმისგან" განსხვავებით, სრულიად გაცნობიერებულად და ცხადად არის წარმოდგენილი ადამის შუმერული პროტოტიპის, ენქოდუს და ურუქელი ქალის (რომელიც შეიძლება ქალღმერთ ინანასთანაც გაიგივდეს, ინანას გამოცხადებად ჩაითვალოს) ურთიერთობის სიუჟეტური ფაქტით, რომლის დროსაც ენქიდუ გამოდის ველური არსების მდგომარეობიდან და ინანას სურვილის შემსრულებელ (გილგამეშის თავნებობის აღმკვეთ) პიროვნებად იქცევა.

განხილული ბიბლიური მითოლოგემის ამგვარი გააზრება ადამს მდედრობითი სქესის პიროვნების ტოტემად, ევას კი მამრობით სქესის პიროვნების ტოტემად წარმოგვიდგენს. ეს კი იუნგისეული არქეტიპების - **ანიმას** (მდედრობითის სახე მამრის ფსიქიკაში) და **ანიმუსის** (მამრობითის სახე მდედრის ფსიქიკაში) - არსებობის შესაძლებლობის ობიექტურ საფუძვლად შეიძლება დავასახელოთ. როგორც ვნახავთ (იხ. გვ. 69), ინვერსიის ეს მომენტი ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე **ცხრომის მანიის** ეფექტის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია, რაც პირველად ცივილიზაციებში მისი ფართოდ გავრცელების შესაძლებლობის პირობაა. რაც შეეხება მამრობითი სქესის ადამიანების საფლავებზე მდედრობითი სქესის ტოტემის და, პირიქით, მდედრობითი სქესი ადამიანების საფლავებზე მამრობითი სქესის ტოტემის აღმართვის პრაქტიკას, რაც ზოგიერთ არქეოლოგიურ კულტურაში დადასტურებული ფაქტია, ეს, არა პიროვნულ ტოტემზე მინიშნება, არამედ გარდაცვალების შემდეგ საპირისპირო სქესთან სრულყოფილი შეხვედრის სურვილის დემონსტრაცია შეიძლება იყოს.

ძველი აღთქმის იგივე ნაწილი შეიცავს ამავე მითის წმინდად ტოტემისტურ წინასახესაც: ევას და ადამის მიერ ცნობადის ხის ნაყოფის ურთიერთგაზიარება, სქესის ფუნქციის აქტუალიზაციის პირობად წარმოდგენილი მომენტი, ბიოლოგიური მთელის (ცნობადის ხის ნაყოფის) გაყოფაა; ცნობადის ხის ნაყოფის მიღების აქტი ზიარების ტოტემისტურ რიტუალად იდენტიფიცირდება - ტოტემად არჩეული ფენომენის (აქ, ცნობადის ხის) ნაწილის (აქ, ნაყოფის) შთანთქმა მისით გამოხატული ტოტემისტური კონცეფციის (ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის მოდუსის ცოდნის) ათვისების სიმბოლოა (კვება ბიოცენოზური კავშირების სისტემის მთავარი ელემენტია და, ამდენად, მისი ტოტემისტური ეკვივალენტი ვერ იქნება ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი); ნაყოფის გაზიარების შემდეგ, საკუთარი სხეულის ფოთლებით დაფარვის მოთხოვნილების გაჩენაც (მცენარის ატრიბუტებით შემოსვა, როგორც

მცენარესთან თვითასოცირების, ტოტემად მცენარის დაფიქსირების გამოხატულება), სრულ შესაბამისობაშია ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის ამოცანასთან - თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში პიროვნების მიერ საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის უარყოფა-დაფარვის მიღწევასთან, რითაც, ამრიგად, გამოხატულია თვითრეფლექსიის აქტუალიზაცია, გადაგვარებულობის მოხსნა წმინდად ტოტემისტური მოდუსითაც. ადამის თემის სხვა ასპექტებს მოგვიანებით არაერთხელ დავუბრუნდებით (იხ. გვ. 115; 144).

* * *

ამრიგად, მოკლედ რომ ვთქვათ, ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური ფსიქიკური ფაქტორების განსაზღვრა-იდენტიფიკაციაა, მათი გარეგანი სინამდვილის ფენომენებთან ასოცირების (მიკავშირების) გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის გამომხატველი ფსიქიკური ფენომენები განსასაზღვრელ ობიექტებად გამოდიან, განსაზღვრებათა შინაარსები კი გარეგანი სინამდვილის ფენომენებით მოიცემიან; ანუ, პიროვნება საკუთარი ფსიქიკის კონკრეტული მდგომარეობისა თუ ფსიქიკის კონკრეტული მდგომარეობის ცალკეული ასპექტების რაობისა და საზრისის შესახებ შეკითხვას გარეგანი სინამდვილის კონკრეტულ ნაწილზე მითითებით პასუხობს. ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის ამსახველ საიდენტიფიკაციო მიმართებათა სისტემას პირობითად ვუწოდოთ **"პირველი ნოოფილოგენეზური ფუნქცია"**.

§1.6 ნოოფილოგენეზის მეორე საფეხური

ამრიგად, ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე ინდივიდი უკვე პიროვნებაა, მაგრამ თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში თავისი ბიოლოგიური მოცემულობის სხვა ბიოსახეობის სათანადო მოცემულობით ჩანაცვლების ფასად. სწორედ ამის გამო, ცხადია, აღნიშნული მნიშვნელობით გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტის ფენომენური განვითარება ამ პუნქტზე ვერ შეჩერდება, ხოლო მორიგ ეტაპს - **"ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურს"** - პიროვნების თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის რეაბილიტაცია-ფუნქციონალიზაციის, ანუ თვითხატთან დაბრუნების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

განსაზღვრების მიხედვით ცხადია, რომ "ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე" გადასვლა შეიძლება განიცადოს მხოლოდ "ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის" რეალიზაციაში მონაწილეობის წინაისტორიისა და გამოცდილების მქონე, ანუ **"ნოოონტოგენეზის პირველი საფეხურის"** პიროვნებამ - ბიოიდის მდგომარეობიდან, ანუ **"ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ნულოვანი საფეხურიდან"** (ნოოფილოგენეზამდელი მდგომარეობიდან) ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე პირდაპირ გადასვლა შეუძლებელია. დაბადებით (ბიოონტოგენეზის პრენატალური ეტაპის დასრულებით), როგორც აღინიშნა, ადამიანი მხოლოდ ბიოსფეროს ინდივიდია (ბიოიდია) და

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გამომხატველი ფსიქიკური გარდაქმნისადმი მისი დაქვემდებარება – პიროვნებად ქცევა – კონკრეტული მოდუსის ნოოსფერულ გარემოში, კონკრეტულ ეროვნულ კულტურასთან ზიარებით მიიღწევა (იხ. §1.16).

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის ამოცანა, პირობითად რომ ვთქვათ, არის ინდივიდის პიროვნებად გადაქცევის აქტში მისგან (ინდივიდისგან) გარეთ გასული (ტოტემად გარდასახული) "მე" დაბრუნდეს კვლავ ინდივიდის შიგნით, პიროვნულობის (ნოოიდობის) შენარჩუნებით. ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის დახასიათების გათვალისწინებით, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხური პირველი საფეხურის ინვერსიად შეიძლება წარმოდგენილ იქნას: ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე გარეგანი სინამდვილე საზრისების საცავადაა წამოდგენილი, რომელთა მეშვეობით განსაზღვრულ-იდენტიფიცირებული ობიექტებიც ქმნიან და ავსებენ ფსიქიკის სფეროს, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო რთულდება, სანამ მიაღწევს საიმისოდ საკმარის მდგრადობას, რომ მოხდეს საიდენტფიკაციო მიმართებების ისრების შებრუნება - ფსიქიკური ფენომენების, მათი სისტემური ურთიერთკავშირების ასახვად წარმოდგენა გარეგანი სინამდვილის ფენომენების სიმრავლისა და მათ შორის ურთიერთკავშირებისა. ეს ნიშნავს გარეგანი სინამდვილის მოვლენების საზრისად "ნოოსფერული სტიქიების", განწყობის სხვა შესაძლო კომპონენტების ლოგიკის და სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფუნქციებით (აზროვნება, ემოცია და სხვა) პიროვნებისთვის უშუალოდ წვდომად მოცემულობებად იდენტიფიცირებადი კატეგორიების გულვებას. ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის წარმომდგენ საიდენტიფიკაციო მიმართებათა სისტემას პირობითად ვუწოდოთ - **"მეორე ნოოფილოგენეზური ფუნქცია"**. აღნიშნულის მიხედვით, ის არსით "პირველი ნოოფილოგენეზური ფუნქციის" შებრუნებული ფუნქციაა.

ყველა ნიშნის მიხედვით, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის რეალიზაცია განვითარების ამ საფეხურს მიღწეულ კულტურათა იმ, აქამდე მხოლოდ ფენომენოლოგიურად იდენტიფიცირებულ, საყოველთაო ასპექტის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც **"მითოსს"** უწოდებენ. ტერმინს "მითოსი", აქ, მხოლოდ ამ დაზუსტებული მნიშვნელობით გამოვიყენებთ. ადამიანის შემთხვევაში, მითოსი ასახავს სამყაროს ადამიანის ფსიქიკური ფუნქციებით წვდომად-მოხელთებადი მოდუსით, ანუ **"ანთროპომოდალურ"** წარმოდგენაში, - ვუწოდოთ ასე.

ადამიანის შემთხვევაში, მითოსური (ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის) წარმოდგენით სინამდვილის ყოველი შემჩნეული მოვლენის საზრისად იგულისხმება პიროვნების სუბიექტური გამოცდილების ცალკეული ასპექტების - სიკეთის, სიყვარულის, სიხარულის, შიშის, მრისხანების, ბოროტების, სიძულვილის, სიცუდის, სიკარგის, სამართლიანობის, ერთგულების და ა. შ. - პერსონიფიკაციად დასახული ანთროპომორფული სუბიექტები - "მითოსური ღმერთები" - ტოტემებივით უკვდავები, რადგან მათით პერსონიფიცირებული შინაგანი გამოცდილების ფაქტორები თაობიდან თაობაში ინარჩუნებენ აქტუალობას. ამდენად, ადამიანის შემთხვევაში, მითოსური წარმოდგენის მიხედვით, გარეგანი სინამდვილე

ადამიანთა საზოგადოების ანალოგად, უშუალო გაგრძელებად წარმოიდგინება (პირველ საფეხურთან მისი მიმართება სინამდვილის ფაქტორების საიდენტიფიკაციო მიმართებათა ვექტორების შებრუნებით შეიძლება წარმოვიდგინოთ) - მოვლენის გააზრება ნიშნავს მის ანთროპომოდალურ და ანთროპომორფულად პერსონიფიცირებულ ინტერპრეტაციას. ცხადია, რომ ადამიანის "ხატად და სახედ ღვთისად" შექმნის კონცეფცია (ანუ ღმერთის ანთროპომორფული მოდუსით წარმოდგენა) ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის პარადიგმის ელემენტია, მეორე საფეხურის სიმპტომია.

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის პარადიგმის მიხედვით, პიროვნება, თუნდაც უკვე გარდაცვლილი, ვერ წარმოიდგინება მისი ბიოლოგიური მოცემულობის და მისი ამქვეყნიური ყოფიერების შინაარსისაგან (ადამიანის შემთხვევაში, ანთროპომორფული ხატსხეულისგან) აბსტრაგირებულად: პიროვნების არსიც - **სული** - მოიაზრება მისი ბიოლოგიური სხეულის აჩრდილად (ადამიანის შემთხვევაში, ანთროპომორფული სილუეტით).

ყოველივე ეს ასახულია დაკრძალვის მითოსურ რიტუალში: სამარხის შიგნითა სივრცე გარდაცვლილი პიროვნების ამქვეყნიური ცხოვრების იმიტაციას ეთმობა; იქ მოთავსებულია ყველა ის ნივთი, რითი სარგებლობაც შეადგენდა მისი ამქვეყნიური ცხოვრების შინაარსის არსებით ასპექტებს, მისი ცხოვრების სცენები, ფრესკების სახით თუ არტეფაქტული კომპოზიციებით; სამარხში არის გარდაცვლილისადმი შეწირული ცხოველების და, რიგ შემთხვევებში, შეწირულ მსახურთა ნეშტებიც, ასევე, განძი და საკვების მარაგი; გარდაცვლილს დაკრძალვის შემდეგაც სწირავენ ამქვეყნიური საჭიროების საგნებს (მათ შორის, საკვებს).

* * *

რადგან სინამდვილის მოვლენათა ინტერპრეტაცია-გააზრების მოდელები შინაგანი გამოცდილების ფენომენებია, რაც უშუალო მოცემულობაა პიროვნებისთვის, მას შეიძლება გაუჩნდეს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ის სრულად სწვდება სინამდვილის არსს - **"ყოვლისმცოდნეობის სინდრომი"**.

რადგან, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის პარადიგმის მიხედვით, სინამდვილე ადამიანის შინაგანი სამყაროს იდენტურია, რომელიც ერთ სიტყვას ან სასიგნალო ჟესტს შეუძლია სრულიად შეძრას და შეცვალოს, ამდენად, მეტყველებას ონტოლოგიური ძალმოსილება მიეწერება – **"სიტყვის მაგია"**.

* * *

ცხადია, რომ ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე გადასვლას ხელს უწყობს (შეიძლება ითქვას - საამისოდ აუცილებელიცაა), პირველადი ნოოცენოზის წარმომდგენი სოციუმის, ან მისი გარკვეული ნაწილის მაინც, ცხოვრების ახალ, ბიოცენოზურისგან განსხვავებულ წესზე გადასვლა, ან ამგვარი მომენტებით შევსების შესაძლებლობა. ამას ბიოს-

ფეროში არარსებული მასალებისა და სხვადასხვა დანიშნულების ნივთების, როგორც მეტა-ბიოსფერული რეალობის მატერიალური გამოხატულებების, წარმოება უწყობს ხელს, რაც შესაძლებელია ეკოსისტემის რესურსების ექსპლუატაციის ინტენსიფიკაციისთვის საჭირო ტექნოლოგიური ცოდნის საფუძველზე, რომელიც გადაგვარებულობის მოხსნის პირობებ-ში არსებობის (ცხოვრების) დროს გროვდება უფრო და უფრო მზარდი ტემპით.

ამასთანავე, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხური ასახულია საბუნებისმეტყველო ცოდნის სფეროშიც. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს არითმეტიკისა და გეომეტ-რიის ევკლიდესეული რედაქცია, სადაც რაოდენობრივი და სივრცითი მიმართებები წარ-მოდგენილია მათი აღქმის ადამიანისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური (ორგანული) უნარების შესაბამისი მოდუსით, ანუ ანთროპომოდალურად, როგორც ვუწოდეთ. ეს ჩანს ამოსავალ ცნებათა (წერტილი, წრფე, სიბრტყე, მანძილი) განსაზღვრებებისა და ამოსავალ დებულებათა (აქსიომათა) ჩამოყალიბების თავისებურებებში. ამაზე მეტყველებს მსჯელო-ბის პროცესში თვალსაჩინოების (ნახაზის) არსებითი მნიშვნელობაც.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების ბიოლოგიური მთელის დაშლით (გაყოფით) მი-ღებულ ფენომენად წარმოდგენა ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის მემკვიდრეობაშიც დასტურდება. იგულისხმება ადამის ნეკნისგან ევას შექმნის მითი, რომლის ერთ-ერთი ას-პექტი უკვე განვიხილეთ (იხ. გვ. 35). ამ მითოლოგემის განხილვას შემდგომში დავასრუ-ლებთ (იხ. გვ. 144).

§1.7 ნოოფილოგენეზური რევოლუციის სოციალური ასპექტები

განსაზღვრების მიხედვით, ნოოფილოგენეზის საფეხურები დისკრეტულ რიგს ქმნი-ან (შეუძლებელია ერთიდან მეორეში გადასვლა უწყვეტი პროცესით - გარდაუვალია პა-რადიგმების რევოლუციური ცვლა. და, ამდენად, ახალ საფეხურზე გადასვლას მკვეთრი ნახტომის ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, ყოველი წინა საფეხურის თანააქტუალობის გავ-ლენით, ახალი საფეხურის დადგომას მაინც ხანგძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესის სახე აქვს, სოციალური ასპექტით. ნოოფილოგენეზურ ნახტომთან დაკავშირებული პრობ-ლემები დაფიქსირებულ იქნა პირველი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის შემთხვევაშივე და სიმბოლოთა იმგვარი სისტემის მეშვეობით, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მორიგი ნოოფილოგენეზური ნახტომების ანალოგიური ასპექტების აღსანიშნავადაც. ცხადია, ნოო-ფილოგენეზურ ნახტომთან დაკავშირებული სოციალური რყევების ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გამოვლენები დიაქრონულად მკაცრად მოწესრიგებული როდი არიან - თაობა-თა ცვლაში ყოველი მათგანი არაერთხელ და სხვებთან სინქრონულადაც და რიგის დარღ-

ვევითაც კი შეიძლება გამოვლინდეს. ამ სიმბოლოთა განხილვაზე შეჩერება გაგვიადვილებს ისტორიული ფენომენებისა და სიტუაციების იდენტიფიკაციას.

- სანამ საზოგადოება არ დაასრულებს ნოოფილოგენეზის მიმდინარე საფეხურის რეალიზაციას, ახალი საფეხურის სიმპტომებს არ უნდა ველოდეთ, მაგრამ განვითარება ნოოფილოგენეზის ერთსა და იმავე საფეხურზე დგომის დროსაც შეუჩერებელია - ნოოფილოგენეზის ყოველ საფეხურზე, ერის ზრდასრული თაობები დაკავებულნი არიან ამ საფეხურის სათანადო შინაარსების შემუშავებისა და დაგროვების პროცესით (ისტორიის კონსტრუქციული ასპექტი) - **"თეტიდას სინდრომი":** თეტიდას შვილი თავის მამაზე აღმატებული იქნება აუცილებლად; თეტიდა ანთროპომორფული პელევსისგან შობს ანთროპომორფულ შვილს, აქილევსს.

- ნოოფილოგენეზის ახალ საფეხურზე გადასვლის ტენდენციის გამოვლენას შეუძლებელია წინა საფეხურის ფაქტორების წინააღმდეგობა არ შეხვდეს. მდგომარეობაში, როცა ახლი საფეხურის ინსტიტუტები (აქ, მითოსური კულტები) ჯერ არც არიან მკაფიოდ ჩამოყალიბებულნი და, ამდენად, ცხადი არც არის, რამ უნდა დაიჭიროს წინა საფეხურის ინსტიტუტების (აქ, ტოტემისტური კულტების) ადგილი, წინა საფეხურის ინსტიტუტების (აქ, ტოტემისტური კულტების) ფუნქციების შეზღუდვისკენ მისწრაფების გამოვლენა საფუძველს მოკლებულად შეიძლება მიჩნეულ იქნას და ლოგიკურად გამართლებული ჩანს წინააღმდეგობა აღწერილ ვითარებაში დესტრუქციულ ტენდენციად შეფასებადი ამგვარი მისწრაფების მიმართ - **"კრონოსის სინდრომი":** კრონოსი ყლაპავს თავის ანთროპომორფულ ნაშიერებს, არ უთმობს მათ საარსებო სივრცეს; ამ მითში კრონოსი ტოტემისტურ განსახიერებაშია წარმოსადგენი, კერძოდ - მეწყერის სახით, რომელსაც შეუძლია მოცელოს ხეები - ნამგალთან მისი ასოცირების საფუძველი, გადაეფაროს ვრცელ არეს და მოიმწყვდიოს იქ მყოფი არსებები (ზევსის საპყრობილე აღმოჩნდა სუსტი - შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეწყერის ნაკადის ინტენსივობა ბოლოსდაბოლოს შემცირდა).

- ნოოფილოგენეზის ახალი საფეხურის პირველი ნიშნები წინა საფეხურის უმაღლესი განვითარების მდგომარეობის მიღწევის შემთხვევაში იჩენს თავს საზოგადოების მოწინავე ნაწილში (რადგან ნოოფილოგენეზის ახალი საფეხურის გამოვლენა მხოლოდ ნოოფილოგენეზის წინა საფეხურის დასრულებულობის შემთხვევაშია შესაძლებელი), ამდენად, გარდამავალი ეტაპის წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, ლოგიკური კავშირის ძალით, წინა საფეხურის სრულყოფისა და ახლის გამოვლენის დასაწყისის სიმპტომები ერთი პერსონიფიკაციითაა წარმოდგენადი – **"კენტავრის სინდრომი":** კენტავრი, თავისი სხეულის უკანა ნაწილის ზოომორფულობით და წინა ნაწილის ანთროპომორფულობით, განასახიერებს ტოტემიზმის საფეხურიდან მითოსის საფეხურისკენ მისწრაფებას (ვექტორული კომპოზიციაა); და, თუმცა გარდამავალი ეტაპი დაზღვეული არ არის ფლუქტუაციური გადახრებისგან (პეირითოეს ქორწილში დამთვრალმა კენტავრმა - ევრიტიონმა პატარძლის მოტაცება მოიწადინა, რასაც კენტავრებისა და ანტროფომორფული ლაპითების ომი მოჰყვა), მაინც შეიძლება ითქვას, რომ კენტავრებით განსახიერებულია გარდამავალი ეტაპის კონს-

ტრუქციული შედეგით დასრულების შესაძლებლობა და გარდაუვალობა, რაც ასახულია იმ მითოსური ფაქტებით, რომ კენტავრები **ფოლოსი** და **ქირონი** უდიდეს ანთროპომორფულ გმირებს - ჰერაკლეს, **დიოსკურებს,** იაზონსა და აქილევსს - აღმზრდელად და მეგობრად ევლინებიან, ამასთანავე, კენტავრი ქირონი, საბოლოოდ, ანთროპომორფული ღმერთის, **პრომეთეს** ნაცვლად ჩადის ქვესკნელში. კენტავრების ნაწილის აგრესიულობა კი ადეკვატურად ასახავს ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებულ ძალდატანებას, რაც პირველადი ცივილიზაციების მეორეულ ცივილიზაციებად ურთიერთასიმილაციის აქტის მახასიათებელია: ერების ტოტემურ კასტებად მოცემულობის მდგომარეობიდან ეთნოსებად მოცემულობის მდგომარეობაში გადასვლა პირველად ცივილიზციებში ტოტემური კასტის მიერ მხოლოო ერის სტატუსის მოპოვებას და საკუთარი ნოოტიპის მეორეული ცივილიზაციის სტაბილიზაციის მთელს არეზე გავრცელებას გულისხმობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე, ერთი ნოოტიპის ერის გადასვლა სხვა ნოოტიპების ერების განადგურებას ნიშნავს მის მომცავ პირველად ცივილიზაციაში, რაც ოთხი ნოოტიპურად განსხვავებული შედეგით შეიძლება დასრულდეს, და, ამასთანავე და განსაკუთრებით კი შემდეგ, ამგვარად დაყვანილ ერთეულებს შორის კონკურენციის გაჩაღებას, მეორეულ ცივილიზაციად მათი ურთიერთასიმილაციის პროცესში.

- გარდამავალ ეტაპთან დაკავშირებული კონფლიქტი ნოოსფეროს ფუნდამენტური გარდაქმნაა - **"ოლიმპოს სინდრომი":** ანთროპომორფული ღმერთები ეუფლებიან სამყაროს, ახლებურად ინაწილებენ და აწესრიგებენ მას.

- გარდამავალ ეტაპზე წინა საფეხურის ინსტიტუტების წინააღმდეგობის დათრგუნვის აუცილებადობის გათვალისწინებით, თავს იჩენს წინა საფეხურის მემკვიდრეობის ზედმეტი დანაკარგების, მისი მოცემულობის ახალ თაობათა "ნოოონტოგენეზისთვის" აუცილებელი ოპტიმუმის ზღვარს ჩამოცილებულ დონემდე შემცირების საფრთხე - **"ჰერაკლეს სინდრომი":** ტოტემისტურ კულტთა განმსახიერებელ არსებათა დამამხობელი ჰერაკლე სიშმაგის შემოტევებისას ჰკლავს თავის მასწავლებელს და ხოცავს საკუთარი ოჯახის წევრებს, შემდეგ კი უნებლიეთ მოურჩენელ ზიანს აყენებს თავის მეგობარ კენტავრებს, **ფოლოსსა** და **ქირონს**.

- ამგვარი დანაკარგი საზოგადოებაში წინა საფეხურის დანაკლისის შევსების მისწრაფებას ქმნის - **"პასიფაეს სინდრომი":** კრეტის დედოფალ პასიფაეს დაუოკებელი ვნება აღეძვრება არაანთრომორფული არსების, კრეტის ხარის მიმართ.

- წინა საფეხურისკენ უკუქცევა დესტრუქციულ ტენდენციადაც შეიძლება გადაიქცეს, რომელიც დაემუქრება ახალი საფეხურის ფენომენებს – **"მინოტავრის სინდრომი": მინოტავრი**, კრეტის ხარისგან ჩასახული ნაშიერი **პასიფაესი**, სხეულის აღნაგობით კენტავრის საპირისპირო ვექტორის - მითოსის საფეხურიდან ტოტემიზმის საფეხურისკენ მისწრაფების - განმსახიერებელია; მინოტავრს მსხვერპლად სწირავენ ადამიანებს (ანთროპომორფულ არსებებს), რომელთაც ის თავად ხოცავს ლაბირინთში. კონფლიქტის მომენტი უფრო მწვავედ არის წარმოდგენილი ქართულ (მეგრულ) მითოსში: **ოჩოკოჩის,** იგივე **მინოტავრის,** მიერ

ტყაშმაფას დაუდგრომელი დევნა, რაც სასიკვდილო საფრთხედაა დასახული ამ უკანასკნელის მიერ. **ტყაშმაფა** ნაყოფიერების მითოსური (ანთროპომორფული) ქალღმერთია: **"ტყა"** აღნიშნავს მცენარეულ სამყაროს (ფლორას - როგორც ტყეს, ხეების სიმრავლეს, ასევე, ბალახეულს, რომელიც ყანასაც მოედება ხოლმე სარეველად), ხოლო **"მაფა('ლ)"** - გახარებულ მცენარეს (**გოფალ`** - ითქმის მცენარის მიერ ზრდის განახლებაზე. **გოიფალ`უდას** - დალოცვაა, ნიშნავს უსურვო პიროვნებას გამრავლება, მისი გენეალოგიური ხის ზრდა). **ტყაშმაფა** გაურბის **ოჩოკოჩს** (მინოტავრს), რომელიც სქესობრივი მოტივით, ანუ მისით (ოჩოკოჩით) წარმოდგენილი ტენდენციის გაღრმავების (ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურისკენ უკუქცევის ახალი თაობის ფენომენურ გამოხატულებებში გადაზრდის) ტენდენციის გამოხატულებად ესწრაფვის მის დაუფლებას, და თავად (ტყაშმაფა) სქესობრივი მოტივითვე ეტანება ვაჟებს, რაც ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურიდან უკუქცევის აცილების, ამ საფეხურის სტაბილიზაციის ახალი თაობის ფენომენურ გამოხატულებებით უზრუნველყოფის მცდელობად მოიაზრება. გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, ამ მითოსური პერსონაჟის ასეთი დადებითი მნიშვნელობით წარმოდგენის სისწორეში დაეჭვების ასაცილებლად. კერძოდ, მითის მიხედვით, **ტყაშმაფა** სავსებით ეუფლება მასთან ურთიერთობის დამშვები ვაჟების ცნობიერებას, საამისოდ, მეორე საფეხურის პარადიგმის შესაბამისად, საკმარისია მხოლოდ სიტყვიერი შეპასუხებაც, რაც ტყაშმაფასთვის უნდა მიეწერათ **"ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე"** (იხ. გვ. 39 - „სიტყვის მაგია"), რომლის სათანადო რედაქციითაცაა ეს მითოსური პერსონაჟი შემორჩენილი ფოლკლორში, - სწორედ, "ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე" შეიძლება უარყოფითად შეფასდეს ზრდასრული პიროვნების ცხოვრებაში "ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის" პარადიგმების არანოოონტოგენეზური ფუნქციით აქტუალიზაცია, რაც არის მოწიფული ვაჟის სქესობრივი კავშირი ტყაშმაფასთან, რასაც ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე ჰქონდა (გარდა ზემოაღნიშნული მომენტისა) ფლორის ნაყოფიერების ინიციირების მნიშვნელობა (რაზეც მიანიშნებს ტყაშმაფას მიერ მის რჩეულებთან შეხვედრის ადგილად ბეღლის არჩევა). გარდა ამისა, როგორც ვნახავთ (იხ. გვ. 116), მართვის მანიის ეფექტის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის რეალიზაციაში, სამი სხვა ნოოსფერული სტიქიის შემთხვევებისგან განსხვავებით, პარადიგმულ ელემენტადაა წარმოდგენილი ნოოფილოგენეზის წინა საფეხურებიც, რის გამოც ტყაშმაფასთვის დესტრუქციულობის მიწერა მართვის მანიის კლასის ერის პირდაპირი თვითგამოხატვის ინიციირების მცდელობისადმი ამ ერის არაპირდაპირი თვითგამოხატვის შესაბამისი პოზიციიდან დაპირისპირების ამსახველია და იმსახურებს შეფასების შეცვლას.

- მინოტავრული უკუქცევები ნოოფილოგენეზური წინაისტორიის არაცალსახობას, ერის თვითიდენტიფიკაციის პრობლემას, **ნოოფილოგენეზის** შეფერხებას წარმოშობს - **"მინოსის სინდრომი":** მინოსის ბრძანებით აიგო ლაბირინთი, მინოტავრის სამალავი და საუფლო.

- მინოსის სინდრომის სიმპტომები ერის კონსრუქციულ რეაქციას მოითხოვს - **"არიადნეს სინდრომი":** არიადნეს გორგლით ლაბირინთში გზის გაკვლევა, ერის ნოოფილოგენეზის ხაზის გამართვის (რეკონსტრუქციის) სიმბოლოა, მისი მეშვეობით მინოტავრის მიგ-

ნება ნოოფილოგენეზური უკუქცევის გამოხატულებათა იდენტიფიკაციის აღმნიშვნელია; არიადნას მიერ მიცემული სატევრით ჰკლავს თესევსი მინოტავრს.

- მინოსის სინდრომის დაძლევის სხვა გზაა მოვლენათა სივრცის ახალი განზომილების გამოყენება - **"დედალოსის სინდრომი"**, რასაც ახლავს ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის შეუქცევად ტენდენციად სტაბილიზაციის საფრთხე - **"იკაროსის სინდრომი":** იკაროსი ვერ იცავს მამის მიერ მითითებულ პირობას, ფრენისას უფრო და უფრო შორდება მამას და მიწას (საწყის თვისებრიობას), დედალოსი კარგავს მემკვიდრეს.

- ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის ტენდენცია განსხვავებული ნოოტიპების ერების ურთიერთშეჯახებაში შეიძლება გადაიზარდოს - **"ოიდიპოსის სინდრომი"** (განვასხვაოთ "ოიდიპოსის კომპლექსისგან", რომელიც, თუ გვინდა რაიმე გამართლება მოვუძებნოთ ფროიდისეულ განსაზღვრებას, ფორმის მანიის კლასის ერებში თაობათა კონფლიქტის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ): **ოიდიპოსი**, როგორც საზოგადოების ახალი ნოოტიპის ერად ტრანსფორმაციის ტენდენციის განმსახიერებელი, თავისი ცხოვრების გზაზე უცხო ადამიანებივით ხვდება თავის მშობლებს - კლავს მამას, რომელიც საზოგადოების საწყის ნოოტიპს (კერძოდ, ძლევის მანიის კლასის ერს) განასახიერებს, და (შერეული თვისებრობის მდგომარეობის განმსახიერებელ, სფინქსის გამოცანის ამოცნობის სანაცვლოდ, ანუ ცხრომის მანიის ეფექტის გამომხატველი აქტით - ცხრომის მანიის კლასის ერის სტაბილიზაციის გამოხატულებად) ეუფლება ადგილს (ქვეყანას), რომელსაც დედამისი განასახიერებს, სანამ გაირკვევა ამ ადგილის სხვაგვარი დანიშნულება; საზოგადოების ნოოტიპური ტრანსფორმაცია მტკივნეული პროცესია, წარსულთან მემკვიდრეობითი კავშირის გაწყვეტაა, ახალი ნოოტიპური მდგომარეობის, თვისებრიობათა სივრცეში ახალი ადგილის (ახალი ნოოტოპოსის) მხოლოდ ნეგატიური ორიენტირით (წინა ნოოტიპური მდგომარეობის გამოხატულებათა უარყოფა-ნიველირების მცდელობის ასახვად) ძიებაა, რასაც განასახიერებს, შესაბამისად, ოიდიპოსის მიერ თვითდაბრმავება და სამშობლოდან გადახვეწა; ბრმად ხეტიალი ლაბირინთში გზის გაკვლევის მცდელობას მოგვაგონებს, მით უმეტეს რომ, ამ ხეტიალს ბოლო მოუღო **თესევსმა**, რომელმაც, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, **ათენში** მისცა საბოლოო თავშესაფარი **ოიდიპოსს**. აღსანიშნავია, რომ სწორედ **ათენი** გახდა ძველელინური საზოგადოების (ეთნოკონგლომერატის) ცხრომის მანიის კლასის ერად კონსოლიდაცია-სტაბილიზაციის ეპიცენტრი. ასე, რომ საზოგადოების ნოოტიპური ტრანსფორმაციის წარმატებულ დასასრულს შეიძლება ვუწოდოთ **"თესევსის სინდრომი"**.

- საზოგადოების ნოოტიპური ტრანსფორმაციის ტენდენცია შეიძლება გაჩნდეს ნოოფილოგენეზის ახალ საფეხურზე გადასვლის პროცესშიც, "კენტავრის სინდრომის" ერთდროულად - **"სფინქსის სინდრომი":** ოიდიპოსის გამეფება, რაც ნოოტიპური ტრანსფორმაციის პროცესის ინსტიტუციური გამოვლენის სიმბოლოა, ინიციირებულ იქნა **სფინქსის** მიერ, რომელიც კენტავრისებური სხეულით (ლომისებური ტანით და ადამიანისებური თავით) ნოოფილოგენეზურ წინსვლას გამოხატავს.

- ნოოფილოგენეზის წინა საფეხურისკენ უკუქცევას კონსტრუქციული მნიშვნელობა ენიჭება ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის შემთხვევაში, როცა აუცილებელი ხდება

წინა საფეხურის მემკვიდრეობის ერის ახალი ნოოტიპის შესაბამისად რეინტერპრეტაცია - **"ჰორის სინდრომი":** აღნაგობით ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურიდან პირველისკენ უკუქცევის განმსახიერებელი, ჰორი, თავად დიდი ცვლილების გადატანის ფასად (ცალი თვალის დათმობით), ახალი სტატუსით აღადგენს **ოსირისს**, ანთროპომორფულ ღმერთს.

- ნოოფილოგენეზის ყოველ საფეხურს მოეთხოვება მდგრადობა, უკუქცევისადმი წინაღმდეგობის უნარი, რაც შეიძლება წინსვლისადმი წინააღმდეგობის ფაქტორადაც მოგვევლინოს, რასაც ნოოფილოგენეზური სტაგნაცია შეიძლება მოჰყვეს – **"გორგონა მედუზას სინდრომი":** გორგონა მედუზა ნებისმიერი თვითმოძრავი არსების გაქვავების უნარით ხასიათდება; მისი თავი ტოტემური და მითოსური ელემენტების უვექტორო კომპოზიციაა.

- ნოოფილოგენეზური სტაგნაციის დაძლევა - **"პერსევსის სინდრომი":** პერსევსი კლავს მედუზას და მისი მოჭრილი თავით აღკვეთს არაკონსტრუქციული (უსამართლო) აგრესიის პრეცედენტებს; თავის მოკვეთის შემდეგ, მედუზას სხეულიდან გამოდის **პეგასი**, მოძრაობა-განვითარების ინტენსიფიკაციის სიმბოლო.

- შეიძლება ერმა ნოოფილოგენეზის ნებისმიერი წინა საფეხურის მოდუსითაც გამოავლინოს თავი, რაც არის აუცილებელი რესურსი წინა საფეხურების მემკვიდრეობის დანაკარგების (მათ შორის "ჰერაკლეს სინდრომის" შედეგების) აღსადგენადაც - **"ზევსის სინდრომი":** ანთროპომორფული ზევსი სტატუსის შეუცვლელად სიძნელეთა პირისპირ თავს ავლენს ტოტემისტური ფენომენების (საავდრო ღრუბელი, მეხი, არწივი, წვიმა, ხარი, გედი და სხვა) სახით;

- ნოოფილოგენეზის ყოველ საფეხურს თავისი ექსკლუზიური მახასიათებლები გააჩნია, რის გამოც შეიძლება მათი რეალიზაციების დაცალკევებულად იდენტიფიკაცია. მაგრამ, ამასთანავე, ყოველი ახალი საფეხურის საბოლოო სტაბილიზაციის შემდეგ წარმოჩინდება მისთვის წინა საფეხურების კონსტრუქციული მნიშვნელობა – **"პრომეთეს სინდრომი":** პრომეთე მხოლოდ მითოსურ (ანთროპომორფულ) მოდუსში ავლენს თავს და არ ებრძვის ტოტემურ კულტებთან ასოცირებად არსებებს, ერთ-ერთი მათგანი კი, ძაღლის თუ ტახის (იხ. გვ. 105) სახით, თავდადებულ და დაუდგრომელ შემწედ ევლინება.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მითოსური პერსონაჟების ურთიერთმიმართება არ ამოიწურება ზემოაღნიშნულით. მაგ., კრონოსის მიერ ურანოსის დამხობა ეგეოსურ სამიწათმოქმედო კულტურაში ამინდის ფაქტორის (მორიგე ღმერთის იხ. გვ. 101) პრიმატის სოციალურ-ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენით გაუქმების პერსონიფიცირებული წარმოდგენაა: ურანოსი კრონოსმა ნამგლის - შრომის იარაღის მეშვეობით დაამხო. ამინდის ფაქტორების როლის შემცირება მიწის სარწყავ-საწრეტი სისტემის მეშვეობითაა შესაძლებელი, რაც კოლექტიური მიწათმოქმედების ატრიბუტია და ისტორიის იმ ეტაპზე შეიძლება ფორმის მანიის კლასის ერთან ასოცირდეს, ასე რომ, კრონოსის მიერ ურანოსის დამხობა ეგეოსურ სამყაროში ეგვიპტური ცივილიზაციის ექსპანსიისა და დომინანტიზაციის ეტაპის ამსახველად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის

ფაქტი, რომ **კრონოსის** სახით მიწა მამრობითი სქესის ფენომენად არის წარმოდგენილი, რაც ეგვიპტური მითოსის მახასიათებელია (გები): კრონოსის მიერ თავისი შვილების შთანთქმა, სამიწათმოქმედო კულტურის მთავარი პროცედურის - თესვის აქტის - წარმოდგენაა (მცენარის თესლი მიწას უნდა მიებაროს, რათა აღმოცენდეს და სრულფასოვან მცენარედ იქცეს); კრონოსის მიერ შთანთქმული ღმერთების შემთხვევაში, განვითარების მომენტი ამგვარი ტყვეობიდან დახსნის შემდეგ ანთროპომორფული მოდუსით მათი გამოსვლითაა წარმოდგენილი (ოლიმპოს სინდრომი). ამრიგად, კრონოსის წინააღმდეგ ზევსის ამბოხი ცივილიზაციათა კონფლიქტის ამსახველიცაა. პრომეთეს მიმართ ზევსის აგრესია კი, რაშიც ნოოფილოგენეზის წინა საფეხურის ატრიბუტებიცაა ჩართული (ზევსის არწივი), მართვის მანიის კლასის ერის თვითგამოხატვის მოდუსების (არაპირდაპირი თვითგამოხატვისა და პირდაპირი თვითგამოხატვის) კონფლიქტის და ეგეოსურ ცივილიზაციაში ორმაგი ეფექტის ფაზების რეალიზაციის პრობლემურობის (იხ. გვ. 81-85) ამსახველია.

§1.8 ნოოფილოგენეზის მესამე საფეხური

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურს, მისი განსაზღვრების მიხედვით, ახასიათებს პიროვნების ბიოლოგიური მოცემულობის - **"ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების ნულოვანი საფეხურის"** შინაარსის - სრულად მოქცევა ინდივიდის თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის ფუნქციის რეალიზაციის რესურსების რიგში. სწორედ ეს არის ის ნაკლი, რომლის გამოც ნოოფილოგენეზი შეიძლება გასცდეს თავის მეორე საფეხურსაც: ინდივიდის ბიოლოგიურ მოცემულობასა და უნარებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი (მთელი ბიოლოგიური მოცემულობის გამოყენებულობა ინდივიდის თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის ფუნქციის რეალიზაციაში) ნოოსფეროს განვითარების შესაძლებლობის შემზღუდველი პირობაა. ეს გვკარნახობს ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის ეფექტის მორიგი ეტაპის - **"ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის"** - საზრისს: თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის ფუნქციის უზრუნველყოფა ბიოლოგიური მოცემულობისა და ბიოლოგიური უნარებით ასახული რეალობის სურათის გამოყენების გარეშე. ეს ნიშნავს პიროვნების თვითკმარობის მიღწევას თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში.

ამ შემთხვევაში, ბიოლოგიური სხეული, რომელიც სასიცოცხლო ფუნქციებით საარსებოდ დამოკიდებულია გარემოზე, კარგავს პიროვნების საიდენტიფიკაციო ფაქტორის მნიშვნელობას - ნაცვლად დაცვისა და ზრუნვისა, იქცევა უგულვებელყოფის მცდელობის ობიექტად. პიროვნება იდენტიფიცირდება ყოვლად უატრიბუტო, ინდივიდურ სულად (ყოველი ატრიბუტი გარემოსთან მაკავშირებელი ფაქტორი იქნებოდა). აუცილებელი ხდება **მარხვა**, ანუ სასიცოცხლო ფუნქციების (მათ შორის, და განსაკუთრებით, სქესობრივი ინსტინქტის), გარკვეული ხნით, უკეთესია მუდმივად, მინიმუმამდე შეზღუდვის, ზოგიერ-

თის კი სრულად შეჩერების პრაქტიკა, არა განწმენდის მიზნით, როგორც ზოგიერთი ტოტემისტური და მითოსური რიტუალებისთვის სამზადისი ითვალისწინებს, არამედ სხეულის მოთხოვნილებების იგნორირებით არსებობის სუბიექტური (თუნდაც ილუზორული) გამოცდილების შესაძენად.

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე გადასვლა დაკრძალვის რიტუალის მკვეთრ ცვლილებასაც განაპირობებს, რასაც ადასტურებს კაცობრიობის ისტორიაც, გარდაცვლილის ნეშტისადმი დამოკიდებულების ახალი პრინციპი - "მიწა იყო, მიწად იქცა".

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხური პიროვნების საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, ჰგავს ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურს; მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებითია: პირველ საფეხურზე ინდივიდის საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის ჩანაცვლება ხდება სხვა მატერიალური (მათ შორის სხვა მოდუსის ბიოლოგიური) მოცემულობით, ან მატერიალური მოცემულობის რაიმე ატრიბუტით, მესამე საფეხურზე კი ყოველგვარი მატერიალური მოცემულობის არიდებაა მთავარი ამოცანა. ამდენად, მესამე საფეხური ორივე წინა საფეხურის უარყოფაა.

პირველი საფეხურიდან მესამე საფეხურზე მეორე საფეხურის გვერდის ავლით გადასვლა შეუძლებელია. პირველი საფეხურის ამოცანაა მხოლოდ ინდივიდის საკუთარი ბიოლოგიური მოცემულობის უარყოფა, როგორც ბიოლოგიურად ნორმალური (გადაგვარებული) მდგომარეობის აღმნიშვნელისა, და ახალი თვისებრიობით სინამდვილეში რაიმე ადგილის მოპოვება, რაც სხვა მოცემულობასთან თვითასოცირებით მიიღწევა, როგორც აღინიშნა, და, ამდენად, ამგვარი მდგომარეობა ვერაფრით ვერ გადაიზრდება მესამე საფეხურისთვის დამახასიათებელ მდგომარეობაში. ასე რომ, მესამე საფეხურის აქტუალიზაცია შეუძლებელია წინა ორის დასახელებული რიგით უკვე რეალიზებულობის გარეშე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბიოლოგიურ საწყისზე გარკვეული (ფსიქიკურ სტიქიების მიხედვით, განსხვავებული) შინაარსის ძალდატანება - ბიოლოგიურად მიზანშეწონილი ქცევის შეზღუდვა და, ამასთანავე, ბიოლოგიურად გაუმართლებელი ქცევის მოდელების კულტურის ნორმებად დამკვიდრება (როგორც, მაგალითად, ადამიანის შემთხვევაში, ე. წ. სქესობრივი ქცევის არატრადიციული მოდელები - ცხრომის მანიის კლასის ერებში, პოლიგამია - ფორმის მანიის კლასის ერებში – აუცილებლად ახლავს ნოოფილოგენეზის პირველ და მეორე საფეხურებსაც (პიროვნება ბიოსფეროს მიმართ გარეგანი ფენომენია და სწორედ ბიოლოგიურ საწყისთან კონფლიქტი გამოხატავს ამას საუკეთესოდ), მაგრამ ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე იზღუდება ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი (კონსტრუქციული თუ დესტრუქციული) აქტივობის ყველა შესაძლო ასპექტი, მათ შორის, ერის თვისებრივი ტიპის სათანადო პარადიგმასთან თავსებადიც. ეს ნიშნავს ბიოლოგიური ფაქტორის ნიველირების თვითმიზნურობას ამ საფეხურზე. ცხადია, რომ ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკუთვნის ბიოლოგიური იმპულსების შეჩერების უნარს - **ნებისყოფის** ფაქტორს და **მორალის** კატეგორიას.

სინამდვილის მოვლენებსა და საგნებზე დაკვირვება არაერთი კანონზომიერების, კავშირ-მიმართებების არსებობას ადასტურებს, რომელთა გავლენა ადამიანურ ყოფაზე მე-

ტად მნიშვნელოვანია, ამდენად ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე გარდამავალ ეტაპზე შეიძლება გამოვლინდეს ამ კავშირ-მიმართებათა დარღვევის პრეცედენტებზე მოთხოვნილება - **"სასწაულის"** წყურვილი; მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ "სასწაულის აქტი" ონტოლოგიური ძალმოსილების დემონსტრაციად ინტერპრეტირებადობის გათვალისწინებით, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურისკენ უკუქცევის იმპულსის - მინოტავრის სინდრომის - გენერაციის საფრთხესაც შეიცავს.

პიროვნების მიერ თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის რესურსის თავის თავშივე პოვნა **"რწმენის"** ფაქტორის მნიშვნელობის უკიდურესად გამახვილებას (პრიმატიზაციას) გულისხმობს - ამ შემთხვევაში რწმენა ამოსავალიცაა და შედეგიც. ამრიგად, ყველა ნიშნის მიხედვით გამართლებულია ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის გამოხატულებად მივიჩნიოთ განვითარების ამ საფეხურს მიღწეულ კულტურათა საყოველთაო, აქამდე მხოლოდ ფენომენოლოგიურად იდენტიფიცირებული შემადგენელი, რომელიც **რელიგიის** სახელითაა ცნობილი. ტერმინს - "რელიგია", აქ, მხოლოდ ამ, დაზუსტებული მნიშვნელობით გამოვიყენებთ: რელიგია, ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ამოცანების შესაბამისად, ისეთ პასუხებს იძლევა გარეგანი სინამდვილის ფენომენების შესახებ, რომ მათ მიმართ ინტერესი გაანელოს - ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე პიროვნება ზურგს აქცევს წინა საფეხურზე მისთვის თვალსაჩინოდ ინტერპრეტირებულ სინამდვილეს და **რწმენაზე** დაფუძნებული მსოფლმხედველობრივი სისტემით განსაზღვრულ რეალობაში იწყებს არსებობას, რაც მოითხოვს რელიგიური წარმოდგენების სისტემურ მთლიანობას, ლოგიკურ სისრულესა და თვითშეთანხმებულობას. ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი, სწორედ, სისტემური აზროვნების უნარის განვითარებაა. ამ საფეხურზე გადასვლის დასაწყისის (კენტავრის სინდრომის) ერთ-ერთი პირველი სიმპტომი მითოსის სისტემატიზაციის მცდელობად უნდა გამოიხატოს. შეიძლება ითქვას, რომ ნოოფილოგენეზის მესამე საფეხური არის საზოგადოების მიერ საკუთარი ყოფიერების სისტემატიზირებულად წარმოდგენა და ამ წარმოდგენის შესაბამისად ცხოვრება, მიუხედავად არსებული რეალობის წინააღმდეგობისა, რითაც ვლინდება და ძლიერდება სინამდვილის ფუნდამენტურად შეცვლის უნარი, რაც შესაძლებელია ნოოსფეროს განვითარების არსს წარმოადგენდეს. ამრიგად, რაც უფრო მეტია ხსენებული წინააღმდეგობა, ანუ რელიგიურ წარმოდგენებსა და სინამდვილის შეგრძნებად-აღქმად სურათს შორის ურთიერთშეუსაბამობა, მით უფრო უკეთ პასუხობს რელიგია თავის ნოოფილოგენეზურ დანიშნულებას.

სინამდვილის ასახვა ისეთად, როგორი სახითაც ეძლევა ის პიროვნებას მისი ბიოლოგიური უნარების (შეგრძნება-აღქმის მოდუსების) მიხედვით, როგორც აღინიშნა, საფუძველია სინამდვილის სრულად შემცნობლობის განცდისა, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის მახასიათებლად. ამის გამო ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე გადასვლა ყოვლისშემმეცნებლობის მდგომარეობის დათმობის, ყოვლისმომცველი ცოდნის უგულვებელყოფის მცდელობადაც შეიძლება დაისახოს, რაც ის შეცდომაა, რომელიც ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის ინსტიტუტების მხრიდან ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის მიმართ წინააღმდეგობის გამართლებულობის განცდას აძლიერებს.

მითოსური მოცემულობის სისტემატიზაციის მცდელობის ისტორიულად ცნობილი უადრესი მაგალითია შუმერული გილგამეშის ეპოსის აქადური რედაქცია: შუმერული ვერსიისგან განსხვავებით, აქადურ რედაქციაში გილგამეშის ეპოსის მითები განსაზღვრული მსოფლმხედველობის შესაბამისად პიროვნების (გილგამეშის) მეტამორფოზის გამომხატველად არიან აქცენტირებული და ქრონოლოგიზირებული. ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე გარდამავალი ეტაპის დასაწყისის (კენტავრის სინდრომის) გამოვლინებად შეიძლება დასახელდეს, ასევე, ვედეანტა, ძველი აღთქმა, ჰომეროსის და თვით პლატონისა და არისტოტელეს მემკვიდრეობაც. ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის სტაბილიზაციის (პრომეთეს სინდრომის) მაგალითებად კი შეიძლება დასახელდეს: ზოროასტრიზმი, ბუდიზმი, კონფუციზმი, დაოსიზმი, თალმუდი, ქრისტიანობა, ისლამი, ინდუიზმი, სიქჰიზმი და სხვა; ცხადია, მათი კონკრეტული მიმდინარეობების სახით, და, ასევე, ფორმალური ლოგიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხური უდიდესი პროგრესის შესაძლებლობას ქმნის მათემატიკის სფეროში. ამის ამსახველია შუა საუკუნეებში - აზიელი, მე-16 - მე-17 საუკუნეებში კი ევროპელი მათემატიკოსების მიღწევები - სივრცითი და როდენობრივი მიმართებების სინამდვილის საგნებისგან სრულიად აბსტრაგირებულად განხილვის შესაძლებლობის გამომუშავება - ალგებრის, ანალიზური გეომეტრიისა (დეკარტეს კოორდინატთა მეთოდის) და მათემატიკური ანალიზის ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი მათემატიკის მერმინდელი შედეგების დიდი ნაწილი (აბსტრაქტული კონსტრუქციები გამოყენებითი ასპექტის, სინამდვილესთან მიმართების საკითხის დასმის გარეშე) ასევე თავსებადია ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის პარადიგმებთან.

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე უპირატესობა ენიჭება მონოთეიზმს: ამ საფეხურის შესაბამისად, ყოვლად უატრიბუტო სულად თვითიდენტიფიცირებულ პიროვნებასთან ურთიერთობისთვის ღმერთს - ყოფიერების უმაღლესი არსის პერსონიფიკაციას - არავითარი ატრიბუტი არ სჭირდება, უატრიბუტებოდ კი მრავლობითობა (პოლიპერსონალიზაცია) შეუძლებელია (უატრიბუტებოდ შეუძლებელია განსაზღვრა მრავლობის წევრებს შორის ურთიერთმიმართებებისა, ამის გარეშე კი სიმრავლის წარმოდგენაა შეუძლებელი). ამის გათვალისწინებით, ინდოეთში ბუდიზმის შემდეგ ინდუიზმის გაბატონება (შივას, ვიშნუს და ბრაჰმანის ღმერთების უზენაეს სამეულად მაღიარებელი სისტემის დამყარება) მინოტავრის სინდრომის სიმპტომად ჩანს, მაგრამ **ნირვანას** - საბოლოოდ ყოველ არსთა უატრიბუტო ყოფიერებაში მაერთიანებელ, არსებობის უმაღლესი ხარისხის - კონცეფციის შენარჩუნებულობა, გვაძლევს ინდუიზმის რელიგიად დასახელების უფლებასაც. ამასვე ეთანხმება ის ფაქტიც, რომ ვარნების ანთროპომორფული სხეულის ნაწილებთან ასოცირება, რაც ბრაჰმანისტული მითოლოგიის ელემენტია, ინდუიზმისთვის არაა დამახასიათებელი.

§1.9 ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხური და მეხუთე (მხები ლოგიკური პერსპექტივით ნაკარნახევი, ჰიპოთეტური) საფეხურის შესაძლო დახასიათება

ახალი დროის მათემატიკის მიღწევების დიდი ნაწილი, როგორც აღინიშნა, შესაბამისია ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურისა, მაგრამ მათემატიკური ლოგიკა, გამოყენებითი მათემატიკა და, განსაკუთრებით, თეორიულ ფიზიკასთან დაკავშირებული ნაწილი მათემატიკის სფეროში დაგროვილი ცოდნისა, ეკუთვნის ნოოფილოგენეზის მორიგ საფეხურს, რომლის შესაძლებლობას გვკარნახობს თვით ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ლოგიკურ დასასრულად საგულისხმო მდგომარეობა: თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში თვითკმარობის მიღწევა პიროვნებას სინამდვილის მიმართ დისტანცირებულობისა და გაუცხოებულობის პოზიციაში აყენებს, რაც სინამდვილის ფენომენების იმგვარად იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, როგორებიც არიან ისინი თავისთავში (იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ეს საზოგადოდ) და არა შეგრძნებებისა და აღქმის ბიოლოგიური (პიროვნების ბიოლოგიური მატარებლის, ანუ სხეულის, მახასიათებლებით განსაზღვრული) უნარების შესაბამისი კონკრეტულობითა და არც რელიგიური სისტემის ლოგიკით ნაკარნახევი მოლოდინის გამართლების მცდელობით.

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის საილუსტრაციოდ საუკეთესო მაგალითებია: კვანტური ფიზიკა, ფარდობითობის თეორია, ელექტრონიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიღწევები და, თუმცა ამგვარადვე თვალსაჩინო არ არის, ახალი საფეხურის დადგომას, თანდათანობით ცხოვრების ყველა სფეროში შემოაქვს პარადიგმული ცვლილებები. კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის შედეგების გამოყენება დიდად გააიოლებს და დააჩქარებს ამ პროცესს.

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურიდან მეოთხეზე გადასვლა, პირობითად, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც **"რწმენის"** პრიმატის **"ეჭვის"** პრიმატით შეცვლა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეჭვის, როგორც მეოთხე საფეხურის ატრიბუტის, საგანი არ შეიძლება იყოს რელიგიური რწმენის ობიექტი, რადგან ეს "მინოტავრის სინდრომის" სიმპტომი იქნებოდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალიწინებით, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ განვითარების ამ საფეხურს მიღწეულ კულტურათა ის საყოველთაო და აქამდე მხოლოდ ფენომენოლოგიურად იდენტიფიცირებული შემადგენელი, რომელიც **მეცნიერების** სახელითაა ცნობილი. აქ, ამ ტერმინს მხოლოდ დასახელებული მნიშვნელობით გამოვიყენებთ.

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურსაც გააჩნია განვითარების ლოგიკური ზღვარი, რაც სინამდვილის მეცნიერულად (გაუცხოებულად და დისტანცირებულად) შესწავლის დასრულებასა და მის სრულ ტექნოლოგიურ ათვისება-დაქვემდებარებას (დისტანცირებულად საჭვრეტ, შემეცნებისა და ტექნოლოგიისთვის გარეგან ობიექტთა სიმრავლის ამოწურვას) გულისხმობს. ეს ნიშნავს სრული სინამდვილის ფუნდამენტური

ონტოლოგიური ვარირების შესაძლებლობის გამომუშავებას, რისი აქტუალიზაციაც, უკვე **"ნოოფილოგენეზის მეხუთე საფეხურის"** გამოხატულებად შეიძლება დასახელდეს. ჯერჯერობით, დედამიწის ნოოსფეროში ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხური ახალდაწყებულია, ასე, რომ მეხუთე საფეხურის პრობლემების დაკონკრეტება შეუძლებელიცაა და არადროულიც, თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ მეხუთე საფეხური წარმოგვიდგება იმ პოტენციის აქტუალიზაციად, რომელიც ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე იწყებს გამოვლენას, სინამდვილის აწმყო მდგომარეობის მახასიათებლების ნიველირებით.

* * *

„ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლას, ამ საფეხურის განსაზღვრების მიხედვით, უნდა ახლდეს ინდივიდის ბიოლოგიურ და ნოოლოგიურ ასპექტებს შორის კონფლიქტის რამდენადმე მაინც შესუსტება. ეს კონფლიქტი, როგორც აღინიშნა, ლოგიკურად შესაძლო მაქსიმუმს აღწევს ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე (რის გამოც ეს საფეხური პიროვნულობის ერთგვარი მწვერვალია). ამით აიხსნება ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასულ საზოგადოებებში ნოოონტოგენეზის მორე საფეხურიდან მეოთხე საფეხურისკენ მესამე საფეხურის (დაძაბულობის პიკის) გვერდის ავლით გარღვევის (ერთგვარი გვირაბული ეფექტის) მცდელობათა გამოვლენის შესაძლებლობა, რაც მსოფლიოს მიმდინარე მდგომარეობის მნიშვნელოვანი ასპექტია და არსით მინოტავრის სინდრომის სიმპტომს წარმოადგენს.

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის დასაწყისის ეტაპი - **კენტავრის სინდრომი** - სინამდვილის ონტოლოგიური კონკრეტულობით დაინტერესებასა და რელიგიის დებულებათა სინამდვილის მოცემულობის საფუძველზე დასაბუთების ძიებაში უნდა გამოიხატოს. **რუსთველი** ერთ-ერთი პირველია, ვის შემოქმედებაშიც ეს ტენდენცია გამოვლინდა (სქესების ურთიერთმიმართების ოთხი, ნოოსფერულ სტიქიებთან ასოცირებადი მოდელების კრიტიკული ურთიერთშედარების წარმატებულ მცდელობად იდენტიფიცირებადი ასპექტით - იხილე ავტორის „თამარ-მეფე და რუსთველი").

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის პროცესი ყველაზე ადრე დაიწყო კავკასიაში, მაგრამ შემდეგ, გარკვეულ გარემოებათა გავლენით (იხ. გვ. 222-223), ამ რეგიონმა (ქართველმა ერმა) დაკარგა ინიციატივა და დაწინაურდა დასავლეთ ევროპა. ამ ნახტომთან დაკავშირებული რყევებიც, სწორედ, იქ დაფიქსირდა ყველაზე ადრე: ჯოტო, ლეონარდო და ვინჩი, ბრუნო, გალილეი, პასკალი, დეკარტი, ლაიბნიცი და თვით ჰეგელი, კანტი და ბული - **"კენტავრის სინდრომი";** დასავლეთევროპული განმანათლებლობა, ნაპოლეონი - **"ჰერაკლეს სინდრომი";** ჰიტლერული ნაციზმი - **"მინოტავრის სინდრომი"** და **"მინოსის სინდრომი"** (შესაბამისად, მეოთხე საფეხურიდან მეორემდე უკუქცევა და გერმანელი ერის იდენტიფიკაციაში ქრისტიანული წარსულის გვერდის ავლის მცდელობა); გაუდი (მესამე საფეხურის საკულტო არქიტექტურის რეაქტუალიზაცია), ეგზისტენციალიზმი (ადამიანის ფენომენში ისეთი მომენტის აღმოჩენის მცდელობა, რომელსაც ის ვერ გაიუცხოებს, რომლისგან მისი, როგორც ინდივიდის, განყენება შეუძლებელია - განმანათლებლობის მოძრა-

ობის გავლენით ნიველირებული სულის რელიგიური კონცეფციის დანაკლისის ანაზღაურების მცდელობა) - **"ზევსის სინდრომი";** ჰამილტონი, ბოლცმანი, მაქსველი, ბორი, აინშტაინი, ჰაიზენბერგი, შრედინგერი, პაული, ფერმი, დირაკი დ ა. შ. - **"პრომეთეს სინდრომი"**.

აღსანიშნავია, რომ კავკასიაში მისი ყოფილი მოწინავეობის კვალი ბოლომდე არ ჩამქრალა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ის მსოფლიოს ერთადერთი რეგიონია, სადაც ევროპული გავლენის გარეშე გამოვლინდა მეოთხე საფეხურზე გადასვლის დასაწყისის სიმპტომები, რა თქმა უნდა, "კენტავრის სინდრომის" მოდუსით - **ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი.** ამ პროცესზე ევროპული გავლენის დართვა **ანთიმოზ ივერიელის** სახელთანაა დაკავშირებული, რაც შემდეგ, რუსეთთან კონტაქტში **გაღრმავდა.**

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი სიმპტომია ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბება, რაც მე-19 საუკუნის შუაწლებში დაიწყო: პიროვნების მიერ გაუცხოებულად შესწავლის ობიექტი ხდება თვით საკუთარი თავი, როგორც სინამდვილის ნაწილი. მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად ამ სფეროში შეიძლება დასახელდეს ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის წინამორბედის, ეპისკოპოს **გაბრიელ ქიქოძის** მონოგრაფია - "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელიც 1858 წელს გამოიცა რუსულ ენაზე და 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე რჩებოდა რუსეთის იმპერიაში ფსიქოლოგიის მთავარ სახელმძღვანელოდ. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომში წარმოდგენილია მართვის მანიის ეფექტის პარადიგმის ელემენტიც - სუბიექტის უნაწევრო მთელის ასპექტით წარმომდგენი დებულება.

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა არის სულის შთაბერვის რელიგიური კონცეფციის მეცნიერული (ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურისმიერი) ეკვივალენტი. ამდენად, "ნოოსფერულ სტიქიათა თეორია" ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის გამოხატულებათა რეპრესიისა და საზოგადოებაში მესამე და მეოთხე საფეხურებს შორის მერყეობის ("მინოსის სინდრომის") და სტაგნაციის მომენტის ("გორგონა მედუზას სინდრომის") დაძლევის საშუალებაა. მის საფუძველზე შესაძლებელია ნოოფილოგენეზის წინა საფეხურების მემკვიდრეობის ნოონტოგენეზურად მნიშვნელოვანი დანაკარგების შევსება ("ჰორის სინდრომის" რეალიზაცია) და ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის საბოლოო სტაბილიზაციის უზრუნველყოფა ("პრომეთეს სინდრომი") .

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის საბოლოო სტაბილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მიმდინარე გარდამავალ ეტაპზე ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის უმაღლესი ინსტიტუტის კონტროლიდან თავდახსნილ სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის უმაღლესი ინსტიტუტის კონსტრუქციული კონტროლისადმი დაქვემდებარება. ეს ნიშნავს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გადაქცევას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ინსტიტუტების ლეგიტიმატორ უმაღლეს ინსტანციად, როგორიც იყო ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე, შუა საუკუნეებში, რელიგიის ინსტიტუტი. რელიგიის ინსტიტუტს ლეგიტიმატორული ფუნქცია აღუდგება ნოონტოგენეზის მესამე საფეხურის საკითხების სფეროში (იხ. გვ. 157). ამ დე-

ბულების გაცნობიერება აუცილებელია კონსტრუქციული მოტივით სამეცნიერო საზოგადოების კონსოლიდაციისთვის.

* * *

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ლოგიკურ დასასრულად წარმოდგენილ მდგომარეობაში (სინამდვილის მოცემული მოდუსის სრულად შეცნობისა და ტექნოლოგიურად სრულად დაუფლების შედეგად) სამყაროში არ იქნება დარჩენილი ობიექტი, რომელიც ნოოსფერული სტიქიების სრულ დაქვემდებარებაში არაა და, ამდენად, თვითრეფლექსიის რეალიზაციისთვის ვერ მოიძებნება ობიექტი, გარდა თვითონ თვითრეფლექსიის ფაქტისა. განსაზღვრების მიხედვით, თვითრეფლექსიას კასკადურობა - მეორე და უფრო მაღალი რანგის იტერაციული მდგენელები - უნდა ხლებოდა პირველ ოთხ საფეხურზეც და ამ მომენტის ფენომენოლოგიური გამოხატულებაც თვალსაჩინოა - **"ფილოსოფია"**. ამის გათვალისწინებით, **ნოოფილოგენეზის მეხუთე საფეხურს** შეიძლება ვუწოდოთ **"ონტოსოფიის"** საფეხური. ეს იქნება სინამდვილის ფუნდამენტურ დონეზე მოდალური ვარიაციების პრაქტიკის ერა.

შესაძლებელია ჩვენი სამყაროს ისტორია გავლილ ონტოსოფიურ საფეხურზე ინიციირებული ფუნდამენტური ვარიაციული ტრანსფორმაციის პროცესს წარმოადგენდეს (ცხადია, ეს მხოლოდ მეოთხე საფეხურის დასრულების შემთხვევაში გაირკვევა). თუ ასეა, მაშინ, ან ნოოფილოგენეზს მხოლოდ ხუთი საფეხური ექნება, რომელთა რეალიზაციებიც უსასრულო პერიოდულ რიგს წარმოქმნიან, ან, ამგვარი ვარიაციების პოტენციის ამა თუ იმ პირობით ამოწურვის შემდეგ, დადგება ახალი ეტაპი, მეექვსე საფეხური, რომლის შესახებ ჯერჯერობით სხვა რამის თქმა ალბათ შეუძლებელია.

§1.10 ფორმის მანია

ციკლურ რიგში გამორჩეული პოზიცია არ არსებობს, მაგრამ, გარკვეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ფსიქიკურ სტიქიათა შედარებით დახასიათებას ფორმის მანიის განხილვით დავიწყებთ. პირველ ნომრად, როგორც აღინიშნა, ყოველთვის ფორმის მანიის ფსიქიკურ სტიქიას დავასახელებთ - "პირველი" იქნება მისი საიდენტიფიკაციო ნომერი, რაც დანარჩენ ფსიქიკურ სტიქიათა საიდენტიფიკაციო ნომრებს ცალსახად განსაზღვრავს.

მოქმედების აქტის ფორმისქმნის აქტად, ანუ ფორმის მანიის ეფექტის რეალიზაციად იდენტიფიკაცია გულისხმობს სუბიექტის თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შინაარსიდან ძლევის მანიის, ცხრომის მანიისა და მართვის მანიის ეფექტების შესაბამის მომენტთა ჩამოშორებას და გარემოების ფაქტორთა რიგისთვის მიკუთვნებას. საკუთარი მოქმედების ფორმისქმნის აქტად დამსახავი სუბიექტი მიემართება თავის ობიექტს, როგორც ფორმის მიმნიჭებელი და, ამდენად, ამ შემთხვევაში ობიექტად იგულისხმება ისეთი რამ, რასაც არ ახასიათებს ამგვარი აქტის მიმდინარეობის გამოხატულებად ქმნად-განვითარებადი ფორმის მიღებისადმი წინააღმდეგობის არავითარი უნარი (ძლევის მანიის ეფექტის გამომხატველი მომენტის გამომრიცხავი პირობა), არც ამ ფორმის თავისთავად შენარჩუნების უნარი (დაძაბულობის მოხსნის, ანუ ცხრომის მანიის ეფექტის გამომხატველი მომენტის გამომრიცხავი პირობა) და არც ამგვარი ფორმის მისაღებად თვითმოძრაობის უნარი (მართვის მანიის ეფექტის გამომხატველი მომენტის გამომრიცხავი პირობა - იხ. გვ. 74). ამრიგად, ცხადია, რომ ფორმისქმნის აქტის გამომწვევი ვერ იქნება მისი ობიექტისგან მომდინარე იმპულსი - ის მთლიანად სუბიექტით განპირობებული, ანუ წმინდად **მიზეზობრივად** მოტივირებული მოვლენა უნდა იყოს: სუბიექტის მისწრაფება ობიექტის ფორმაში ეძებს ასახვას, როგორც ამ ფორმის განმაპირობებელი **მიზეზი.** ამრიგად, აქ თავს იჩენს მოვლენების **მიზეზობრივი ინტერპრეტაცია** და მიზეზისა და ფორმის ურთიერთშესატყვისობის, ანუ ფორმის ჯერარსულობის საკითხი - **ჯერარსის** კატეგორიის აქტუალიზაცია.

ფორმის მანიის მოდუსის პიროვნებათა კოლექტიურ სუბიექტად შეკავშირება - **"ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა"** (ფორმის მანიის კლასის ერი, ან მისი ნაწილი, ან ამგვარ ერთა კონფედერაცია) - მის წევრთა ობიექტების ფორმების კოლექტიური სუბიექტის ერთიანი ობიექტის სრული ფორმის კერძო დეტალებად იდენტიფიცირებადობას მოითხოვს, რაც შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი შეთანხმებულობის პირობებში. ამრიგად, ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებლად **"თანხმობის"** კატეგორია ფიქსირდება.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ცხადია, რომ ცალკეული საგნების თუ მთელი სინამდვილის, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ასპექტით ჭვრეტის ობიექტის, სტრუქტურული ორგანიზაციის განმსაზღვრელად იგულისხმება **"მთელის პირველადობის პრინციპი" - "პირველი ნოოლოგიური სტიქია"**.

მთელის პირველადობის პრინციპით განსაზღვრული სტრუქტურის მქონე ობიექტი, როგორც ასეთი, შეიძლება მოცემულად ჩაითვალოს მის დანაწევრებულ მთლიანობად წარმოდგენილობის პირობით: ასეთი მთელის ნაწილებს ახასიათებთ ის, რომ ისინი არსებობენ და მოიცემიან მხოლოდ მათი მომცველი მთელის ელემენტების მნიშვნელობით (როგორც მაგ., ბიოლოგიური ორგანიზმის ცალკეული ორგანოები - ბიოონტოგენეზური პროგრამის ცალკეული ასპექტების რეალიზაციები ორგანიზმის მოცემულობის ფაქტში).

ჯერარსის კატეგორია აღწერილი მოდუსის ერთობის წევრების ურთიერთობას დაყოფის ეფექტის მნიშვნელობის მომენტსაც ანიჭებს - ერთიანი ობიექტის დეტალების შექმნის მოვალეობების კოლექტიური სუბიექტის წევრებს შორს განაწილება. ეს ნიშნავს იმას, რომ მოვალეობა (მოვალეობის მიღება) თვითრეალიზაციის ორიენტირად ფიქსირდება. ამ გარემოების სისტემური ასახვაა **"ლი"** - ჩინური ფილოსოფიის კატეგორია, საზოგადოდ კი **დოგმატიზმი.** მისივე ადეკვატურად ამსახველია გერმანული მაქსიმა, რომლის მიხედვითაც, პიროვნების სურვილის შინაარსი უნდა ემთხვეოდეს მოვალეობის შინაარსს, რაც კანტთან იმპერატივის სტატუსშია წარმოდგენილი.

თავისი ნაწილების მიმართ ონტოლოგიურად პირველადი მთელი მოიცემა მის ნაწილთა სისტემური ერთიანობის გამომხატველი მათი ურთიერთმიმართებების სისტემით, ანუ საზრისეული ასპექტის მნიშვნელობით, როგორც **"დაოს"**, ნეოპლატონისტური **"ერთის"** და ჰეგელისეული **"მსოფლიო გონის"** კონცეფციების შემთხვევაში. ჰეგელის სისტემა მთელის სტრუქტურულად გაშლის საშუალედო საფეხურებსაც ითვალისწინებს, რომლებიც, ასევე, უშუალო მოცემულობათა (ონტოლოგიის) სფეროს გარეთ მდებარედ, ანუ საზრისეულ ელემენტებად იგულვებიან - კატეგორიათა იერარქია. ანალოგიური მნიშვნელობისაა ნეოპლატონისტური (პლოტინისა და პროკლესეული) "ერთის" ემანაციის საფეხურები.

მთელის დანაწევრების საფეხურთა რიგი შეიძლება უსასრულოც იყოს (ლოგიკური შეზღუდვა არ არსებობს), მაგრამ ყოველ საფეხურზე ნაწილთა სიმრავლე ერთიდაიმავე მთელის წარმოდგენაა დანაწევრებულად - მთელი მარად აქტუალური რჩება - **"დასაწყისის აქტუალობის პრინციპი"**. რაც ნიშნავს ყოველივე არსებულის არსებობის ფაქტის **მიზეზობრივად** (წინაპირობით) განსაზღვრულობას - კვლავ მივადექით სინამდვილის მიზეზობრივი ინტერპრეტაციის პრინციპს.

აქ იგულისხმება დროის აბსოლუტური დასაწყისის არსებობაც, რადგან ნაწილების მიმართ პირველადი მთელის ნაწილებად დაშლის მომენტის წინ არაფერი შეიძლება იყოს მთელის პირველადობის პრინციპით წარმოდგენადი, ფორმის მანიის ეფექტის ფენომენად იდენტიფიცირებადი - ნაწილებად დაშლამდე მთელი ვერ იქნება ნაწილების მიმართ პირველადი მთელი, რადგან ისინი მის დაშლამდე არ არსებობენ, როგორც ასეთნი.

თავისი ნაწილების მიმართ პირველადი მთელის ყოველი ნაწილთაგანი მოიცემა ორი ასპექტით: ამავე მთელის სხვა ნაწილებთან მისი კავშირ-მიმართებათა ერთობლივი შინაარსით და საკუთრივი მოცემულობით, რომელიც პირველი ასპექტის რეალიზაციის საშუალებაა. პირველი ასპექტის აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი - **"საგანი**

მიმართებითად", ხოლო მეორე ასპექტისთვის - ტერმინი - "**საგანი თავისთავად**". ეს, ფაქტობრივად, თითქმის იგივეა, რაც კანტისეული "**ფენომენი**" და "**ნოუმენი**". აქ თავისთავად შემოდის "**თანდაყოლილი ცოდნის**" კონცეფციაც - ადამიანის, როგორც დაბადებით სამყაროს კონკრეტული ნაწილის, საკუთრივი მოცემულობა.

ამგვარად წარმოდგენილი მთელის შემთხვევაში ჯერარსის კატეგორიის აქტუალიზაცია მისი ნაწილების აღნიშნული ორი ასპექტის ადეკვატურ ურთიერთშესაბამისობაში გამოიხატება. იგულისხმება მდგომარეობა, როდესაც "**საგანი თავისთავადის**" შინაარსი სწორედ იმ კავშირ-მიმართებების რეალიზაციის აუცილებელი საშუალებაა, რომელიც "**საგანი მიმართებითადის**" შინაარსითაა წარმოდგენილი და დამატებით არავითარ, საამისოდ არააუცილებელ მომენტს არ შეიცავს. ნაწილთა ურთიერთმიმართებებისა და მათი საკუთრივი შინაარსების ვერცერთი არაჯერარსული მომენტი ონტოლოგიურ გამართლებას ვერ პოულობს და განადგურებას იმსახურებს. ე.ი. აკრძალულია ყველაფერი, რაც ჯერარსის რეგლამენტით განსაზღვრული არაა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამის გამოხატულებაა "**საკანონმდებლო ინსტიტუტის პრიმატის პრინციპი**".

მთელის პირველადობის პრინციპის მიხედვით ორგანიზებული საზოგადოებრივი ერთობის ყოველი წევრი, როგორც ერთიანი სტრუქტურის შემადგენელი ელემენტთაგანი, თვითმოწოდებულია სწორად განსაზღვროს ჯერარსული კონკრეტულობით არსებობის შესაბამისი თავისი სოციალური სტატუსი და ფუნქციები (ამ ერთობის სხვა წევრებთან მიმართებათა შინაარსები) და მათი მუდმივი კვლავწარმოება უზრუნველყოს - ქმნას ის, რისი ქმნაც ჯერარს, რაც არის თვითრეალიზაციის ორიენტირის "**მოვალეობის**" კატეგორიად იდენტიფიკაცია. პიროვნების ფენომენური მოცემულობის ყოველი ასპექტი ექვემდებარება ჯერარსულ ნორმასთან შეთანადებას. პიროვნებათა ურთიერთობის შინაარსს განსაზღვრავენ არა თვითონ მოურთიერთობე პიროვნებები, არამედ ჯერარსული ნორმების სისტემა (რომლებშიც ნოოფილოგენეზის თანადროული საფეხურის ასახულობაც იგულისხმება). ეს ეხება სქესობრივ ურთიერთობათა სფეროსაც: სქესის ანატომიური ფაქტორები და ატრიბუტები, როგორც პიროვნების ფენომენური მოცემულობის კერძო ასპექტი, ავალდებულებს მას ადეკვატურად, ჯერარსის ნორმის შესაბამისად თვითგამოხატვას ამ ასპექტით. ქცევის მოდელის შეცვლა ანატომიური კორექციის (მაგ., კასტრაციის ან სქესის ქირურგიული ჩარევით შეცვლის) გარეშე დაუშვებელია.

ამრიგად, ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის ყოველი წევრი, თავისი არსებობის (აქტივობის) მთელი შინაარსით უნდა გამოხატავდეს მისი მომცველი მთელის (ნებისმიერი მასშტაბის ამგვარი მნიშვნელობის კრებითი სუბიექტის, მათ შორის, ფორმის მანიის კლასის ერის და თვით სრული სინამდვილის) მოცემულობის ფაქტს, როგორც მისი კერძო ნაწილთაგანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი არსებობა კარგავს ონტოლოგიურ მნიშვნელობას და გამართლებას. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე არასოდეს მოიცემა, ის თავის ამ დანიშნულების რეალიზაციის ამოცანის წინაშე სავსებით მარტოა: ასეთი მთელი, თავისი შინაარსის იმ ნაწილით, რომლის განხორციელე-

ბაც მის კონკრეტულ წევრს ერგო მოვალეობად, მხოლოდ ამ წევრის თავისთავადი თვითრეალიზაციით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. პიროვნების თვითრეალიზაცია გულისხმობს იმას, რომ მან სრულად მოიკრიბოს, სრულად აქტუალიზებულჰყოს და გამოავლინოს (ტრანსფარირებულ ჰყოს) თავის არსებობის ფაქტში მისი მომცველი მთელის შინაარსის ის ასპექტები, რაც მთელის სტრუქტურაში მის ადგილს შეესაბამება, სრულყოფილად დაიკავოს ის არე, ის ნიშა, რომელშიც მთელის არსებობა მხოლოდ მისითაა გამოხატული, სრულად მასზეა დამყარებული - **"თვითმოკრების ეფექტი"** და **"დაყოფის ეფექტი";** ანუ, იპოვო მოვალეობა - ნიშნავს გაამართლო საკუთარი არსებობა, მოიპოვო არსებობის უფლება. ეს მომენტი პიროვნული თვითრეალიზაციის ჩარჩოებში ძალაუფლებისკენ მისწრაფების საფუძველიცაა: აუცილებელია მას ჰქონდეს სრული შეუზღუდველობა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობის რეალიზაციისთვის აუცილებელ ყველა რესურსზე, რაც შესაძლებელია როგორც **საკუთრების** უფლების დაშვებით, ასევე, მხოლოდ შეუზღუდველად მოხმარების უფლების დაშვებითაც. ყოფიერების ჯერარსული მოდუსისკენ მისწრაფების პიროვნების იმანენტურ მახასიათებლად წარმოდგენის ამსახველია **"არასრულფასოვნების კომპლექსის"** ადლერისეული კონცეფცია.

* * *

როგორც აღინიშნა, კოლექტიური ფორმისქმნის აქტი არის ის, რაც თანხმობის ფაქტს მოსდევს, ხოლო ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრული ერთობის წევრებს არჩევანი არა აქვთ, ერთობაში მათი ადგილისა და როლის მიხედვით მათი მოქმედების ერთადერთი სწორი ფორმის, ანუ ჯერარსული ნორმის არსებობის პოსტულატის ძალით, რაც მის სწორად იდენტიფიკაციისა და რეალიზაციის მოვალეობის აქტუალიზაციას განაპირობებს; მაგრამ, ამგვარი მნიშვნელობით მოაზრებული მოვალეობის შეგნება არ აუქმებს თანხმობის კატეგორიის აქტუალობას, პირიქით - ის თანხმობის აქტუალობის გამოხატულებაა: ამგვარი ერთობის წევრის შემთხვევაში, მოვალეობის განცდა თანხმობაში დარჩენის მცდელობის გამომხატველია. ანუ, ამგვარი მოვალეობის განცდა, როგორც მოქმედების მამოძრავებელი ფაქტორი, არის არა თავისთავადი, არამედ თანხმობის აქტუალობით (მიზეზით) განპირობებული, თანხმობის აქტუალობის - თანხმობაში დარჩენის, თანხმობის შენარჩუნების მცდელობის გამოხატულება; მაგრამ როცა ჯერარსული ნორმა სრულყოფილად არის განსაზღვრული და რეალიზებული, მოვალეობა ქრება თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შინაარსიდან, რადგან ჯერარსული ნორმის რეალიზაციის პირობებში, განსაზღვრების მიხედვით, მხოლოდ სუბიექტის არსებობის ფაქტია საკმარისი მისი დანიშნულების შესრულების უზრუნველყოფილობისთვის (თანხვედრა დაოსურ პრინციპთან). მოვალეობის განცდის აღმოცენება თანხმობის დარღვევის, ან საამისო საფრთხის გაჩენის სიმპტომია და ამ განცდის გაჩენის არდაშვების ამოცანას აყენებს. ამრიგად, ფორმისქმნის აქტს, ფორმის მანიის ეფექტის რეალიზაციას, მოქმედების ლოგიკური ფაზების ციკლის ერთ-ერთ წარმოდგენაში ("თანხმობა"-"მოვალეობა"-"თანასწორობა"-"თავისუფლება"-"თანხმობა"), შე-

ესაბამება ცალმხრივად ღია ინტერვალი (ბოლოდან ჩაკეტილი ორიენტირებული რკალი), რომელიც, მათემატიკური სიმბოლიკის ანალოგიით, შეიძლება შემდეგნაირად ჩავწეროთ - [**"თანხმობა"; "მოვალეობა"**[: [**a; b**[- დასაწყისი მხრიდან ჩაკეტილი და დასასრულის მხრიდან ღია ორიენტირებული ინტერვალი.

ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრულ კოლექტიურ სუბიექტებში სტატუსებისა და ფუნქციების ჯერარსულ განსაზღვრა-განაწილებაზე ზედამხედველის ფუნქციაც იგულისხმება. ხოლო, ამგვარი კოლექტიური სუბიექტების უფრო დიდ, ამგვარივე ერთეულებად (თვით ფორმის მანიის კლასის ერად) შეკავშირების შესაძლებლობა, განაწილებაზე ზედამხედველთა იერარქიის საჭიროებას გვკარნახობს, რისი ერთ-ერთი რეალიზაციაცაა მონარქიზმი. ამ მოთხოვნას ადეკვატურად პასუხობს სახელმწიფო მოხელეთა მომზადებისა და სელექციის ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც ტრადიციულია ჩინეთისთვის, ხოლო თანამედროვე მსოფლიოში ე.წ. ერთპარტიული პოლიტიკური რეჟიმის ფენომენში პოულობს ასახვას (სინამდვილეში, მხოლოო პარტია არის სახელმწიფო მოხელეთა სელექციის ინსტიტუტი).

ამრიგად, პიროვნების, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის რეალიზაცია, მთელის პირველადობის პრინციპის მიხედვით ორგანიზებული საზოგადოებრივი ერთობის (ფორმის მანიის კლასის ერის, ან მისი ნაწილების, ანუ უფრო მცირე მასშტაბის ამგვარი მნიშვნელობის კრებითი სუბიექტის) წევრად თვითრეალიზაციას გულისხმობს. მსგავსად ამისა, საზოგადოებრივი ერთობის ჯერარსული თვითრეალიზაცია (ფორმის მანიის კლასის ერი) მთელის პირველადობის პრინციპის შესაბამისად ორგანიზებულ, მის მომცველ მთელად წარმოდგენილ, სრული სინამდვილის (უნივერსუმის) ნაწილად თვითგანსაზღვრასაც გულისხმობს, რაც, ზემოთქმულის მიხედვით, პიროვნების ჯერარსული თვითრეალიზაციის კერძო ასპექტიცაა.

ფორმის მანიის კლასის ერებისთვის დამახასიათებელი ეს მომენტი გამორჩეული ერის კონცეფციის სახით იჩენს თავს: წარმოდგენა, რომ სწორედ თვითონ და მხოლოდ თვითონ არის ყოფიერების ჯერარსული მოდუსის რეალიზატორი და განმსახიერებელი, ფორმის მანიის კლასის ერთა მოუცილებელი მახასიათებელია. ყოფიერების ყოველ სხვაგვარ მოდუსს ჯერარსული ნორმიდან გადახრის, ჯერარსულ ფორმის შემრყვნელი მომენტის მნიშვნელობა აქვს, დაქვეითებული ღირსების მქონე ფენომენის მნიშვნელობა მიეწერება და ლიკვიდაციის ობიექტად იდენტიფიცირდება. ამრიგად, ცხადია, რომ ფორმის მანიის ეფექტის რეალიზაციას, ფორმის მანიის მოდუსის პიროვნებას მოუცილებელ მახასიათებლად ეგულისხმება **უცხოთა შეუწყნარებლობა.**

ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში ჯერარსული ქცევის პრინციპი, ანუ ის, რომ დაშვებულია თითოეული ინდივიდის მხოლოდ ისეთი ქცევა, რომელიც მისი საზოგადოებრივი სტატუსისა და როლის მიხედვით მის განსაზღვრულ ფუნქციებს შეესაბამება, განაპირობებს ინდივიდურ ურთიერთობათა ადეკვატურად შეფასებადობის, ანუ ინდივიდურ ურთიერთობათა ფსიქოლოგიური კომფორტის ჯგუფად ამგ-

ვარ საზოგადოებრივ ერთობათა ყოველი წევრისთვის მთელი ერთობის დასახვადობას. მაშინაც კი, როდესაც თვით ინდივიდის საზოგადოებრივი სტატუსისა და როლის შინაარსი გულისხმობს საზოგადოებრივი ერთობის განსაზღვრულ წევრებთან ურთიერთობის აკრძალულობას - ამ დროს (ნეგაციური პოზიცირებით) ურთიერთობის შინაარსი მაინც ცალსახად იქნება განსაზღვრული.

ფორმის მანიის ერისთვის უნივერსალიზმი ყოფიერების სხვა, არაჯერარსულად შეფასებული, მოდუსების დაუშვებლობაში გამოიხატება - **"ჯერარსული (ნაციონალ-სოციალისტური) მონომოდალიზმის პრინციპი"**.

გარდა ზემოხსენებულებისა, ფორმის მანიის პარადიგმის ნოოფილოგენეზის სხვადასხვა საფეხურის რეალიზაციის მკაფიო მაგალითებია: მზის, მთის, იერარქიული სტატუსის დამცველი მგლის ტოტემისტური კულტები; ჩინურ და ძველეგვიპტურ მითოსურ სისტემათა მთავარი ასპექტი; აბსოლუტიზმი; კონფუციზმი და დაოსიზმი; კოლექტიური ხსნის იდეა; ძენი; პაპიზმი; ბიზანტიური ქრისტიანობა; სულიწმინდას მამისაგან და ძის მეშვეობით მომფენელობის პრინციპი - სამების წევრების იერარქიული დალაგება - და ქრისტე-პანტოკრატორის კონცეფცია და ემანაციის ნეოპლატონური პრინციპი (საფეხურთა დაღმავალი რიგი - ყოველ საფეხურს წარმოშობს მისი წინა საფეხური); სუნიტური ისლამი, შიიტური ისლამი; სოციალიზმი (ნაციონალ-სოციალიზმი); წარმოების სექტორის პრიმატი ეკონომიკაში; დასწრების პრინციპი სამხედრო ხელოვნებაში - ბლიცკრიგი, კუნგფუ, კარატე; საინჟინრო ფუნქციის პრიმატი არქიტექტურული დეტალის ჩამოყალიბებაში (ვიზუალის ესთეტიკურ გადაწყვეტაში) - გოთიკა, ჩინური და იაპონური არქიტექტურა; კაბუკი, მინიატურა, მანერიზმი; კლასიკური მუსიკა; ინდივიდუალური ფსიქიკის ექსტენსიურად დიფერენცირებულ მთელად წარმოდგენა, რაც ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ასპექტია და გეშტალტის არსი; სტრუქტურალიზმი; დიზაინი; დამწერლობაში ფონემურ თუ აზრობრივ ერთეულთა აღმნიშვნელების (შესაბამისად, ასო ნიშანთა თუ იეროგლიფების) კონსტანტურ, სტრუქტურულ ელემენტებად დაფიქსირების მცდელობა (ასო-ბგერებისა - გერმანულში, ესპანურში, იტალიურში, არაბულში და ა. შ. იეროგლიფებისა - ჩინურში, იაპონურში და ა.შ.); მიზეზობრივი მოტივაცია და ა. შ.

* * *

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე ფორმის მანიის კლასის ერის სტაბილიზაციის ხელშემწყობი (თუმცა, არა აუცილებელი და, საზოგადოდ, არც საკმარისი) პირობაა კოლექტიური მიწათმოქმედების კულტურა - სარწყავ-საწრეტი სისტემის შექნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა საზოგადოების ცენტრალიზებულ იერარქიულ ორგანიზაციას მოითხოვს, როგორც ძველი ეგვიპტის, ჩინეთის, სასანიდური ირანის და ინკების იმპერიების შემთხვევაში (ასეთ პირობებშც კი შეიძლება სხვა ნოოტიპის ერი ჩამოყალიბდეს, რისი მაგალითიცაა სარგონ დიდი აქადელისა და ლუგაზაგისის ხანამდელი შუმერი).

ფორმის მანიის კლასის ძირითადი ერები:

- ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური: ცის, მზის, მთის, იერარქიული სტატუსის დამცველი მგლის და სხვა ტოტემური კასტები;

- ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე დაასრულეს არსებობა ძველეგვიპტელებმა, აქადელებმა, ინკებმა და ა. შ.;

- ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე იმყოფებიან (არ დაუსრულებიათ მეოთხე საფეხურზე გადასვლა): ირანელები, არაბები, თურქები, ინდონეზიელები, მექსიკელები და ა. შ.;

- ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე იმყოფებიან: გერმანელები, იაპონელები, ჩინელები, შვედები, ნორვეგიელები, ფინელები, იტალიელები, ესპანელები, პოლონელები, ებრაელები, კორეელები, ვიეტნამელები და ა. შ.

§1.11 ძლევის მანია

ციკლურ რიგში ფორმის მანიის მომდევნო ელემენტია ძლევის მანია - "მეორე ნოოსფერული სტიქია".

სუბიექტი, რომელიც თავის მოქმედებას ძლევის აქტად სახავს (თავისი თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შინაარსის მიხედვით), მიმართულია წინააღმდეგობის ძიებაზე. ფორმისქმნის აქტის ობიექტისგან განსხვავებით, ძლევის აქტის ობიექტს ეგულისხმება მასზე ზემოქმედებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, თვითგანსაზღვრულობა. მას, ასევე, მოეთხოვება გარკვეული (სუბიექტისთვის არასასურველი) მდგომარეობისკენ უკუმისწრაფების უცვლელი უნარი, რაც ცხრომის მანიის ეფექტის აქტუალიზაციის (დაძაბულობის მოხსნის) გამომრიცხავიცაა და მართვის მანიის ეფექტის აქტუალიზაციის გამომრიცხავიც (იხ. გვ. 74). ძლევის აქტის სუბიექტს ამოძრავებს მიზანი - ეძებს ობიექტის წინააღმდეგობის საბოლოოდ დათრგუნვას, მაგრამ აქ დასასრულზე ორიენტირებულობა არ არის თავისთავადი - ის დაკავშირებულია ობიექტის წინააღმდეგობის ფაქტთან, ანუ მიზეზობრივი საფუძველიც გააჩნია. ეს ნიშნავს ძლევის აქტის მიზეზ-მიზნობრივ მოტივირებულ ქმედებად იდენტიფიცირებადობას. რადგან მიზეზი მოქმედების დასაწყისთან ასოცირდება, მიზანი - დასასრულთან, შეიძლება ითქვას, რომ ძლევის მანიის ეფექტს დროის ორმხრივად შემოსაზღვრულობის ასპექტით ჭვრეტა, **"დასაწყისისა და დასასრულის თანაარსებობის პრინციპი"** ახასიათებს - **"იანუსის სინდრომი"**.

ძლევის აქტის განვითარების პირობა ძალის ინტენსივობის ზრდაში მდგომარეობს. მისი სუბიექტის, როგორც ასეთის, განმსაზღვრელი მახასიათებელი ძალაა (ძლევის აქტის სუბიექტი ძალის ელემენტის განსახიერებაა), ამდენად, ამგვარი მნიშვნელობითვე (ძლევის აქტად) წარმოდგენილი ერთობლივი მოქმედების აქტის კრებითი სუბიექტის წევრები ინტენსივობით ოდენობებად მიემართებიან ერთიმეორეს - მათი გაერთიანება მათ მიერ გან-

სახიერებული ძალების შეკრებაა. ცხადია, რომ ძალების ამგვარი შეკრება მოითხოვს მათი განმსახიერებელი სუბიექტებისთვის ობიექტის ერთიდაიმავეობას და მასზე კრებითი სუბიექტის წევრების ურთიერთიდენტურად ანუ ერთიმეორის ეფექტის მაძლიერებლად მიმართულობის შესაძლებლობას. ხოლო, თუ მათი ძალისხმევები, მათ მიერ განსახიერებული ძალები მიმართულნი იქნებიან საერთო ობიექტზე ურთიერთგანსხვავებულად, მაშინ ისინი ნაწილობრივ მაინც ჩააქრობენ ერთიმეორეს, რაც იქნება ჯამური ძალის ინტენსივობის შემცირება და, ამდენად, არა ძლევის აქტის ხელშეწყობა, არამედ მისი (ძლევის აქტის) შეფერხება. ამგვარივე შედეგს მოგვცემს კრებითი სუბიექტის წევრთა ძალისხმევის სხვადასხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ობიექტებზე მიმართვა. ამრიგად, ამ შემთხვევაში, ერთობა იგივეობას ემყარება - **"იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპი"** - და კონსტრუქციულობის პირობად გულისხმობს მოქმედების სივრცის და შინაარსის შეკუმშვას - **"კუმშვის ეფექტი"**. თუ კუმშვის ეფექტი საერთო ობიექტის ან სამოქმედო არეალის თავისთავადი მახასიათებელია, მიიღება **"ძლევის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაცია"**.

ამგვარი ერთობის წარმოდგენა შესაძლებელია მისი ნებისმიერი ერთი წევრით, რადგან ასეთი ერთობის წევრი სხვა წევრებთან ურთიერთობას მხოლოდ თავისი ეფექტურობის ინტენსივობითი ზრდის ფაქტად თუ დააფიქსირებს. ანუ, ამგვარ ერთობაში ჩართვით მისი წევრი იძენს საკუთარი ძალების (ძალმოსილების) რეზონანსულ გაძლიერებას - თითქოს ერთობის სხვა წევრების მიერ განსახიერებული ძალები ერთობის ამ ერთ წევრში გადმოდის. თითოეული წევრი ერთნაირად მოიაზრება მიმღების როლში - თითოეული წევრი იძენს ძალის ნამატს, თუმცა გამცემი არავინაა. ამრიგად, ძლევის მანიის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში, ერთობის წევრებს შორის ურთიერთობა, მათი თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შინაარსის მიხედვით, მიღების აქტის მნიშვნელობისაა - **"მიღება"** წარმოიდგინება ურთიერთობის საზრისად: ამგვარი სუბიექტისთვის მეორე სუბიექტთან ურთიერთობა შემდგარ ფაქტად ჩაითვლება, თუ მან მეორისგან მიიღო რამე.

"მიღების" პოტენციურობისა და საამისოდ მოწოდებულობის მდგომარეობა გამოიხატება **"უფლების"** კატეგორიით. სწორედ, ამ ორი კატეგორიის ლოგიკური თანაკვეთადობაა განმსაზღვრელი უნივერსალიზმის ძლევის მანიის სათანადო მოდუსისა - **"უფლების აპოლოგიის პრინციპი";** მაგრამ ცხადია, ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციაში **"უფლებაც"** ურთიერთიგივეობის მოთხონით რეგლამენტირდება.

ძლევის მანიის ეფექტით განსაზღვრულ ერთობაში ჩართვის წინ, ერთობის წევრის მდგომარეობა უნდა დახასიათდეს **"მოვალეობის"** კატეგორიით - ერთობის წევრები მოელიან მისგან ინტენსივობით ნამატს. მოქმედებაში ჩართვა კი მათთან თანამიმართულობის, მათთან იდენტურობის მიღწევაა, რის შედეგადაც ის თვითონვე გახდება აღწერილი რეზონანსის ეფექტით მისაღების მიმღები. ანუ, მიიღწევა მდგომარეობა, რომელიც **"თანასწორობის"** კატეგორიით შეიძლება გამოიხატოს. ამგვარი ჩართვის აქტი მოვალეობის მომენტის აქტუალობას არ აუქმებს - თანამიმართულობის შენარჩუნება ერთობლივი მოქმედების წარმატებით გაგრძელების აუცილებელი პირობაა, როგორც აღინიშნა.

ამრიგად, ძლევის მანიის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში თვითრეალიზაცია **მოვალეობის** კატეგორიის შესაბამის მდგომარეობას გულისხმობს ამოსავალ პუნქტად, თვითრეალიზაციის მახასიათებლად ერთობის წევრთა ურთიერთიდენტურობა იგულისხმება, ამოსავალი მდგომარეობის არსებითი მახასიათებელი კი აქტუალურობას ინარჩუნებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციის არე, წინა პარაგრაფში გამოყენებული მოდელის დაცვით (იხ. გვ. 58) შემდეგი, ორივე მხრიდან ჩაკეტილი ორიენტირებული ინტერვალით შეიძლება წარმოვადგინოთ - [**"მოვალეობა"; "თანასწორობა"**].

აღსანიშნავია, რომ თვითონ ძლევის აქტი, როგორც ასეთი, შეიძლება მოვიაზროთ მიღების აქტად: ძლევის აქტის რეალიზაცია მისი ობიექტის დათრგუნვა-გაუქმედითებაა (დეზაქტუალიზაციაა) მხოლოდ იმ ასპექტით, რომლითაც ის (ობიექტი) მოქმედების განვითარებას ეღობება წინ, და, ამდენად, ძლევის აქტის განვითარება სუბიექტის მიერ ობიექტის თანდათანობითი დამორჩილების (თავის განკარგულებაში მოქცევის) პროცესად წარმოგვიდგება.

ძლევის მანიის ეფექტით განსაზღვრულ ერთობას, როგორიცაა ძლევის მანიის კლასის ერი ან მისი ნაწილი, **"იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპით განსაზღვრული ერთობა"** შეიძლება ეწოდოს. მისი ყოველი წევრი, ერთობის პირობით მათი ურთიერთიდენტურობის საფუძველზე, სხვა წევრებთან მიმართების გარეშე წარმოგვიდგენს ამ ერთობას - ვერცერთი წევრის დანაკლისი ვერ არღვევს (ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრული ერთობისგან განსხვავებით) ამგვარი მთელის მოცემულობის ფაქტს, მხოლოდ მისი მოცემულობის ინტენსივობით ვარიაციას განაპირობებს. ამ პრინციპს ვუწოდოთ **"მეორე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტი".** ის ერთგვარი ნოოსფერული ანალოგია ბოზონური სტატისტიკისა და ჰოლოგრამის ეფექტისა (ჰოლოგრამის ყოველი ნაწილი იგივე სურათს იძლევა რასაც მთელი ჰოლოგრამა, მხოლოდ, ნაკლებად მკაფიოს).

მსოფლმხედველობისთვის, რომელიც არსებობის საზრისად ბრძოლას სახავს, უპირატესი ელემენტია მოწინააღმდეგე ძალთა ონტოლოგიური ურთიერთდამოუკიდებლობა, რაც საწყისთა მრავლობას გულისხმობს (ორობა არის მრავლობის იდეალური სიმბოლო), თუმცა ბრძოლის აუცილებლობა დროებითი პირობის ძალითაც შეიძლება დადგეს. სინამდვილის კეთილი და ბოროტი ძალების ბრძოლის პროცესად წარმოდგენა ბრძოლისგან თავის არიდებას, კონფლიქტის არძიებას ბოროტების (რომელიც აუცილებლად უნდა დამარცხდეს) მფარველობის მნიშვნელობას ანიჭებს, რაც განაპირობებს ქცევის აგრესიული მანერის წახალისებას.

ძლევის მანიის მოდუსის პიროვნებას ახასიათებს ძალის პატივისცემა და ძლიერისადმი მიდრეკილება, რადგან ბრძოლაში დამარცხება მოწინააღმდეგის სახით უფრო დიდი ძალის აღმოჩენაა, რაც მის მატარებელთან გაერთიანებას კარნახობს დამარცხებულს, ამ ძალასთან, ზემოთ აღწერილი მექანიზმით, თანაზიარობის შესაძლებლობის გათვალისწინებით; ამასთანავე, სინამდვილის კეთილი და ბოროტი საწყისების ბრძოლად დასახულობის შემთხვევაში, ლოკალურ შეტაკებებში გამარჯვება შეიძლება მოაზრებულ იქნას გა-

მარჯვებულში სიკეთის მეტი ოდენობით წარმოდგენილობის დამადასტურებელ ფაქტად, რაც, ასევე, გამარჯვებულთან გაერთიანებას კარნახობს დამარცხებულს, კეთილი საწყისის ბანაკში დამკვიდრებისთვის. ეს არის დამარცხებულის მიერ გამარჯვებულის დანდობის პრინციპის საფუძველი, რაც ვიკინგურ საგებში გვხვდება.

ძალების კონსოლიდაციის, შეკრების მნიშვნელობა აქვს, ძლევის მანიის ეფექტის მიხედვით, სქესების კავშირსაც: მეუღლეები მოკავშირე ძალებად მოიაზრებიან და მათ შეკავშირებას წინ შეიძლება უძღოდეს პირველკონტაქტი კონფლიქტის მნიშვნელობით მძლე მხარის გამოსავლენად, რომელსაც მიეკედლება ძლეული, მასთან დაწყვილება-თვითასოცირებით. საამისო ილუსტრაციად გამოდგება ძველგერმანული ეპოსი - "სიმღერა ნიბელუნგებზე" (ბრუნჰილდას თავგადასავალი).

საერთო ინტერესის შემთხვევაში, ძლევის მანიის მოდუსის პიროვნებათა მაღალი კონსოლიდაციისუნარიანობა, რომელიც განპირობებულია იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპის გავლენით საერთო ინტერესის აღქმისუნარიანობის გამახვილებით, ძლიერდება ურთიერთქმედ პირთა სქესობრივი ურთიერთიდენტობის პირობებში (ურთიერთიდენტურ ასპექტს ახალი მომენტი ემატება). ხოლო, ერთი სქესის პიროვნებებს შორის სქესობრივი ინტერესის არსებობის შესაძლებლობის მხოლოდ დაშვებაც კი, ერთი პიროვნების მეორესთან დაახლოების მცდელობის მოტივის არაცალსახად (როგორც საერთო ინტერესის, ასევე, სქესობრივი ინტერესის გამოხატულებად) ინტერპრეტირებადობის განმაპირობებელია და, შედეგად, ასუსტებს კონსოლიდაციისუნარიანობას, უდიდესი მნიშვნელობის მახასიათებელს ძლევის მანიის კლასის ერისთვის. ამდენად, ჰომოსექსუალიზმი დესტრუქციულ ფაქტორად იდენტიფიცირდება ძლევის მანიის პარადიგმის პოზიციიდან, მიუღებელი ხდება ძლევის მანიის მოდუსის პიროვნებისთვის.

* * *

ძლევის მანიის მოდუსის პიროვნება შეიძლება ჩამოყალიბდეს ძლევის მანიის კლასის ერის გარეშეც: როდესაც ფორმის მანიის კლასის ერის დიასპორა იძულებულია იცხოვროს სხვა ერის სივრცეში, თავად მისთვის დამახასიათებელი შეუწყნარებლობა უცხოსადმი და ამითვე განპირობებული, გარემომცველი ერის მხრიდან ამგვარივე დამოკიდებულების მოლოდინი, ეროვნულ განსხვავებათა ნიველირების საარსებოდ აუცილებლობის განცდაშიც შეიძლება გამოიხატოს, რაც ამ დიასპორებისგან შესაბამისი განწყობის მატარებელ, ანუ ძლევის მანიის ნოოტიპის პიროვნებათა ჯგუფის გამოყოფის საფუძველს ქმნის, რომელიც ბუფერული ელემენტის როლს შეესაბამება. ამის მაგალითია ეთნიკურ ებრაელთა მნიშვნელოვანი წვლილი რუსი ერის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციაში - 1917 წლის ოქტობრის რევოლუციისა და 1918 - 1920 წლების სამოქალაქო ომისა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებში.

* * *

ძლევის მანიის პარადიგმის ნოოფილოგენეზის სხვადასხვა საფეხურის რეალიზაციებად შეიძლება დასახელდეს: ძუ მგლის და მგლის ლეკვების, ორთავიანი არწივის, დათვის, გველეშაპის და სხვა ტოტემური კულტები; მითოსურ სისტემაში ომის ღმერთის პრიმატი (კულტები: მარსისა, თენგრისა, ოდინისა და ა. შ.); არააქამენიდური, ანუ მოგვთა - პართიული მაზდეიზმი; ფილიოკვე (სულიწმინდას მამისგანაც და ძისგანაც თანაბრად მომფენელობის პრინციპი - სამების ორი წევრის მესამის მიმართ თანაბრად უპირატეს მდგომარეობაში დაყენება) და ჯვაროსნული მოძრაობა; რუსული სასოფლო თემის ("ობშჩინა") და კაზაკთა თემის თვითორგანიზაციის პრინციპები და საზოგადოდ სამხედრო ინსტიტუტის პრიმატი საზოგადოების თვითორგანიზაციაში (ძველი ასირია, რომი, რუსეთი); რუსული ქრისტიანობა - ქრისტეს კეთილი და ბოროტი საწყისების პოლარიზაციის დასაწყისის ინიციატორად იდენტიფიკაცია (შვიდქიმიანი ჯვარი - იხ. გვ. 130); ჩრდილოეთკავკასიური მიურიდიზმი; სამხედრო დემოკრატია და კომუნიზმი - თანასწორობის პრიმატი; დიალექტიკური მატერიალიზმი (მარქსიზმ-ლენინიზმი - საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ფაქტორად ბრძოლის დასახელება, მებრძოლ მხარეებად საერთო კლასობრივი ინტერესით, ანუ იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპით, განსაზღვრულ ერთეულთა - საზოგადოებრივ კლასთა წარმოდგენა); ექსპრესიონიზმი; უნისონური რეზონანსი კომპოზიციის პრინციპად მუსიკაში (რუსული საგუნდო მუსიკა), ძალის კონცენტრაციის პრინციპი და გამოფიტვის სტრატეგია საბრძოლო ხელოვნებაში; მიზეზ-მიზნობრივი მოტივაცია და ა. შ.

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე ძლევის მანიის კლასის ერის სტაბილიზაციით გადასვლის ხელშემწყობი (თუმცა, არა აუცილებელი და, საზოგადოდ, არც საკმარისი) პირობაა ადგილმონაცვლე (მომთაბარე) კოლექტიური ინტენსიური მესაქონლეობის კულტურის განვითარება (დიდი რაოდენობის პირუტყვის დასაცავად კოლექტიურად მოქმედების უნარისა და ცხოვრების ფაქტობრივად გასამხედროებული წესის აუცილებლობის გათვალისწინებით), რისი მაგალითიცაა ადრეული ინდოევროპელების და ალთაურ-მონღოლური ეთნოსების ისტორია, ხოლო ამ ფაქტორის არააუცილებლობის დამადასტურებელი მაგალითია ძველი ასირიელები, ხეთები, მიკენელები, რომაელები და ვიკინგები.

ძლევის მანიის კლასის ძირითადი ერები:

- ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური: ძუ მგლისა და მგლის ლეკვების, დათვის, გველის (გველეშაპის), ორთავიანი არწივის, იაგუარის და ა. შ. ტოტემური კასტები;

- ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე დაასრულეს არსებობა: სკვითებმა, კიმერიელებმა, ასირიელებმა, ხეთებმა, აქაველ-მიკენელებმა, ძველმაკედონელებმა, ძველარმენიელებმა, პართიელებმა, რომაელებმა, ჰუნებმა, აცტეკებმა, აპაჩებმა და ჩრდილოეთ ამერიკის პრერიის სხვა ტომებმა, ბუდიზმამდელმა ტიბეტელებმა და სხვა;

- ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე დაასრულეს არსებობა ფრანკებმა, ვიკინგებმა, თურქ-სელჩუკებმა და ა. შ.; არსებობას განაგრძობენ და დღესაც არ დაუსრულებიათ მეოთხე საფეხურზე გადასვლა მონღოლებს, იეზიდ ქურთებს, კაფრებს და ა. შ.;

- ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე იმყოფებიან რუსები და სერბები.

§1.12 ცხრომის მანია

მოქმედების აქტის ცხრომის (რელაქსაციის) აქტად წარმოდგენა ნიშნავს მისი სუბიექტის აქტის დასასრულზე ორიენტირებულობას - **"დასასრულის აქტუალობის პრინციპი"**. მოქმედებაში დასასრულზე ორიენტირებულობა, საზოგადოდ, ამგვარად მოქმედებას **"მიზნობრივად მოტივირებულ"** ქცევად წარმოგვიდგენს. აბსოლუტური დასასრულისკენ მოძრაობის მნიშვნელობით მთელი სინამდვილის წარმოდგენის მაგალითია **ნირვანას** კონცეფცია და კატეგორია **"ერთი"** (ყოველივეს საბოლოო მიზნის მნიშვნელობით წარმოდგენილი) ძველელინურ (პლატონისა და არისტოტელეს) ფილოსოფიაში (რაც რადიკალურად განსხვავებულია ამავე ტერმინის - **"ერთი"** - მნიშვნელობისგან **ნეოპლატონიზმში**).

დასასრულზე ორიენტირებულობის გათვალისწინებით, ცხრომის აქტი მისი ობიექტისთვის დამახასიათებელ სუბიექტის სამოქმედოდ გამოწვევისუნარიანობის გაუქმებისკენ მისწრაფებად მოიაზრება. ამის მიღწევით თვით სუბიექტიც მოიხსნის სუბიექტობას. ამრიგად, ცხრომის მანიის მოდუსის პიროვნების (სუბიექტობის სტატუსისგან თვითგათავისუფლების მცდელობით დაკავებული სუბიექტის) თვითრეალიზაციის ძირითადი ორიენტირი, თვითრეალიზაციის ხარისხის მთავარი მახასიათებელი და, ამდენად, ცხრომის მანიის პარადიგმის მთავარი კატეგორია, არის **"თავისუფლება"**.

ცხრომის აქტების სუბიექტების (ცხრომის მანიის მოდუსის პიროვნებების) ამგვარივე კოლექტიურ სუბიექტად გაერთიანების შესაძლებლობა მოითხოვს მათი ობიექტების ურთიერთდაკავშირებულობას (ურთიერთგავლენიანობას), რაც ნიშნავს სუბიექტების ერთი მეორის ობიექტებზე არაპირდაპირი გზით გავლენის გატარების შესაძლებლობასაც და, ამდენად, კოლექტიური სუბიექტის წევრების ურთიერთობის გაცვლის (ურთიერთსამსახურის) აქტად იდენტიფიცირებადობას. ამასთანავე, ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ჯგუფის ვერც ერთი წევრი ვერ მოახერხებს აქტის დასრულებას მანამ, სანამ მის ობიექტზე კოლექტივის სხვა წევრების ობიექტების ზემოქმედება არ შეწყდება, ანუ სანამ ყველა მათგანის ობიექტების დეზაქტუალიზაცია (სამოქმედოდ გამოწვევისუნარიანობის ჩაქრობა) არ მოხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელი ხდება ჯგუფის წევრების დამოუკიდებლად თვითრეალიზაცია. ეს ნიშნავს თითოეული მათგანის ინტერესების სფეროს ყველა სხვა მათგანის ობიექტების სიმრავლეზე გავრცელებულობას, ანუ ღია საჯაროობის აუცილებლობას. ამრიგად, ცხრომის მანიის მოდუსის პიროვნებისთვის საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრინციპია **"გაცვლა"**, საზოგადოებრივი ცხოვრება თავისუფალი (მათავისუფლებელი) გაცვლითი, ანუ **საბაზრო** ურთიერთობებია.

გაცვლის აქტი მისი რეალიზატორი ინდივიდების ერთიმეორისთვის აქტუალური ასპექტების მქონედ, ერთიმეორისთვის საჭირო ღირებულებათა და უნართა, როგორც საბაზრო აქტივთა, მატარებლად წარმოდგენის შესაძლებლობას გულისხმობს. იმისათვის, რომ ეს იყოს ხანიერი პროცესი, და არა მხოლოდ მყისიერი აქტების რიგი, აუცილებელია ღირებულებათა გადაცემა-მიღება მათ მომწოდებელ სუბიექტთა ხანიერ აქტივობას საჭი-

როებდეს, როგორც, მაგალითად, მომსახურების აქტში. კიდევ უფრო შინაარსიანი იქნება გაცვლის აქტი იმ შემთხვევაში, როცა გასაცვლელი აქტივები მოითხოვენ ხანიერ კვლავ-წარმოების პროცესებს და, ასევე, როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილება (დაძაბულობის მოხსნა) ერთობის თითოეული წევრისთვის მრავალასპექტიანი პროცესია, მით უმეტეს, თუ სხვადასხვა ასპექტი სხვადასხვა წევრებთან ითხოვს გაცვლითი ურთიერთობის დამყარებას. წარმოება გასაცვლელად გამიზნულობით (ანუ სხვათა მოთხოვნილებების, შეკვეთების დასაკმაყოფილებლად და არა ჯერარსული ქცევის ნიმუშად) ღირებულებათა წარმოება-აქტუალიზაციის ამსახველ აქტიურობას გაცვლის აქტის შემადგენელ მომენტად აფიქსირებს.

მხოლოდ ორი ინდივიდის ურთიერთობით რეალიზებული გაცვლის აქტი მისი უმარტივესი, მაგრამ არა ყოველთვის შესაძლებელი, მოდუსია: ორი ინდივიდის შემთხვევაში, საზოგადოდ, შეიძლება ვერ გამოინახოს ერთიმეორისთვის სასურველი აქტივ-ღირებულებები ამ ორის ხელთ არსებულთაგან. ასეთ შემთხვევაში, გაცვლის აქტის რეალიზაციისთვის უნდა მოიძებნოს სხვა ინდივიდი, რომელსაც აღმოაჩნდება პირველ ორთაგან ორივესთვის სასურველი ღირებულებანი და ორივე მათგანის ხელთ არსებული ღირებულებებით დაინტერესებაც, რაც, ასევე, არაა ყოველთვის შესაძლებელი. გაცვლით ურთიერთობაში ჩაბმის მოსურნეთა რიცხვის ზრდით მათი მიზნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა იზრდება. მრავალწევრიან ერთობაში გაცვლითი ურთიერთობების სისტემა შეიძლება სპეციალური ტოპოლოგიური ობიექტის - ორიენტირებული გრაფის - მეშვეობით წარმოვიდგინოთ. ამგვარი დეტალური სურათის აუცილებლობისგან გათავისუფლების საშუალებაა ღირებულებათა გაცვლითი პოტენციალის (ლიკვიდურობის) ოდენობრივი კლასიფიკაცია, რაც არის ფულის საზრისი. იგი ათავისუფლებს ინდივიდს გაცვლით ურთიერთობათა გრაფში გარკვევის აუცილებლობისგან და, საზოგადოების პირისპირ მდგომ, მასთან გაცვლითი ურთიერთობის რეალიზატორ ერთეულად აქცევს მას. ფული გაცვლით ურთიერთობათა ტოტალიზაციის საშუალებაა და, ამდენად, უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა ცხრომის მანიის კლასის ერებისთვის. ცხადია, რომ ცხრომის მანიის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში მის წევრთა ღირსება მათი საინვესტიციო პოტენციალით (მისი უნარებისა და აქტივების ლიკვიდურობით), ანუ გაცვლით ურთიერთობათა ინიციირებისა და ინტესიფიკაციის უნარიანობით განისაზღვრება. ცხრომის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა ღიაა ნებისმიერი მოდუსის პიროვნებისთვის, თუ მას შეუძლია გაცვლით ურთიერთობებში ჩაბმა, ანუ თუ მას აქვს ამ ერთობის წევრების მდგომარეობით უკვე აქტუალურ ან აქტუალიზირებად (პროვოცირებად) ინდივიდურ, თუ სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი.

გაცვლის აქტს, მის რეალიზატორ ინდივიდთა ურთიერთზე დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით, გააჩნია ზღვრული მოდუსი, რომელიც მოიცემა მდგომარეობით, როცა თითოეული ამ ინდივიდთაგან, გაცვლის აქტში თავისი მონაწილეობის გამომხატველი აქტივობისა და არსებობის ყოველ საშუალებას სხვისგან იღებს გაცვლის აქტით და მის მიერ წარმოებული აქტივი ერთობის ყველა წევრის ამგვარივე საარსებო მოთხოვნილების საგა-

ნია, ანუ როცა მისი არსებობის შინაარსი გაცვლით აქტებში მონაწილეობით ამოიწურება და არ შეიცავს მის მიერ თვითწარმოების მნიშვნელობით მოაზრებად მომენტებს. ეს მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რეალურად მიღწევადია იგი თუ არა, არის ცხრომის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის განვითარების ორიენტირი.

შევნიშნოთ, რომ გაცვლითი ურთიერთობის აქტი შეიცავს მასში ჩართულ სუბიექტთა, ნაწილობრივ მაინც, ურთიერთშერწყმის მომენტს, რადგან მასში ჩართული სუბიექტი გასაცვლელი ღირებულების წარმოების პროცესში დაკავებულია იმით, რისი კეთებაც თვითონ მოუწევდა ამ უკანასკნელს, რომ არა გაცვლის აქტი, ანუ თავისი არსებობის შინაარსის ნაწილით სხვისი არსებობის შინაარსის ნაწილის რეალიზაციას ახდენს. აქ იგულისხმება შერწყმის ასპექტების თვითსასურველობა, რაც სასურველობის ხარისხის ფაქტორის შემომტანია. სასურველობა „**სიყვარულის**“ კატეგორიის ასპექტია. ყოველივე ეს **სიყვარულის** კატეგორიის და **სინთეზის** მომენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზრისად გულვებას გვკარნახობს.

ინდივიდის მიერ მისი არსებობის შინაარსში თვითწარმოების მნიშვნელობის მომენტების მზარდი შეზღუდვა უფრო და უფრო მეტი სახეობის საარსებო ღირებულებების გარედან მოწოდებაზე საარსებოდ დამოკიდებულების და, ამდენად, საზოგადოდ, ერთობის უფრო და უფრო მეტ წევრთან გაცვლით ურთიერთობაში მისი ჩართვის, ერთობის წევრთა გლობალური დანიშნულების ვიწრო სპეციალიზაციის ტენდენციის საფუძველია. ზღვრულ შემთხვევაში საზოგადოების ყოველი წევრის ფუნქცია მთელს საზოგადოებაზე იქნება განფენილი და საზოგადოებრივი ერთობისგან მისი რომელიმე წევრის ჩამოშორება ამ ერთობის გლობალურ რესტრუქტურიზაციას მოიტანს - მივიღებთ სხვა ერთობას. რაც განაპირობებს ინდივიდის პრიმატს მისი მომცველი ამგვარი ერთობის ფაქტის მიმართ. ცხრომის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა პიროვნებათა ინტერესების (მიზნების) საფუძველზე და მათი შერწყმა-სინთეზით ყალიბდება, საწყისი ელემენტი პიროვნებაა. ამგვარი მდგომარეობა **“ნაწილის პირველადობის პრინციპის” - “მესამე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის”** - რეალიზაციაა.

მთელისადმი პირველადი ნაწილები (საწყისები) დაცალკევებულად ვერ მოიცემიან, რადგან ისინი ურთიერთშერწყმით მხოლოობისკენ მათი მისწრაფების დაფიქსირებით იდენტიფიცირდებიან ასეთებად. ე. ი. ურთიერთისგან სრულიად განცალკევებულ ერთეულთა სიმრავლედ წარმოდგენადი მდგომარეობა, რომელიც „**თანასწორობის**“ კატეგორიით შეიძლება დახასიათდეს (მათი ურთიერთგანსხვავება მხოლოდ ურთიერთშერწყმის მცდელობაში შეიძლება გამოვლინდეს), ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციის წინაპირობად, ამოსავალ მდგომარეობად იგულისხმება, ცხრომის მანიის ეფექტის ფარგლებს გარეთ რჩება, ხოლო ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაცია ითვალისწინებს მხოლოდ საშუალედო ეტაპების ფენომენების მოძრაობას დასასრულისკენ, მათი ურთიერთშერწყმის ხარისხის ზრდით. ცხადია, რომ აქ, ცხრომის მანიის ეფექტის წინაპირობად წარმოსახული მდგომარეობა (ინტენსივობით მრავლობად წარმოდგენილი მთელი) ძლევის მანიის ეფექტის ფენომენად შეიძლება იდენტიფიცირდეს - ციკლურ რიგში ცხრომის მანია მართლაც ძლევის

მანიის მომდევნოა. ამრიგად, ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციის არე, ნოოსფერულ სტიქიათა ციკლური მოწესრიგებულობის ადრე ხსენებულ წარმოდგენაში (იხ. გვ. 58; 62), შემდეგი დასაწყისიდან ღია და ბოლოდან დახურული ორიენტირებული ინტერვალით შეიძლება წარმოვიდგინოთ -]**"თანასწორობა"; "თავისუფლება"**].

ამრიგად, ცხრომის მანიის პარადიგმის მიხედვით წარმოდგენილი სინამდვილე, არა მის საწყისთა სიმრავლის, არამედ ურთიერთშერწყმის ტენდენციას დაქვემდებარებულ, საშუალედო ეტაპების ცვალებად ფენომენთა კონგლომერატის სახით მოიცემა. საწყისებსა და საშუალედო ეტაპების ფენომენებს შორის მიმართება მსგავსია პლატონისეული **"იდეების"** და **"კონკრეტული საგნების"** ურთიერთმიმართებისა. საშუალედო ეტაპების ცვალებადი ფენომენების სიმრავლის სახით გამოვლენა-წარმოდგენაში, საწყისები ვერ არიან სრულყოფილად ასახულ-გამოვლენილნი, რამეთუ ეს ფენომენები არიან საწყისთა ურთიერთშერწყმის არა საბოლოო შედეგები (სრული სინთეზი), არამედ აქეთკენ მოძრაობის მიმდინარე ეტაპების გამოხატულებანი (კარგი მეტაფორაა - კედელზე საგანთა ჩრდილების თამაში). ამასთანავე, საშუალედო ეტაპების ყოველ ფენომენში, როგორც საწყისთა ერთობლივად გამოვლენის მცდელობათაგანში, უნდა მონაწილეობდეს ყოველი საწყისთაგანი: **მთელის მიმართ პირველადი ნაწილი მთელის ფენომენური მოცემულობის ყოველ არეზე უნდა უსწრებდეს აქ მთელის გამოვლენის ფაქტს. ეს ნიშნავს თითოეული ნაწილთაგანის გლობალურობას, მთელის მთელს არეზე განფენილობას.** ამდენად, საშუალედო ეტაპების ფენომენები მათი დამფუძნებელი საწყისების სიმრავლის მიხედვით იდენტურნი არიან აბსოლუტური დასასრულის ფენომენისა, რომელიც განსხვავდება მათგან მხოლოდ საწყისთა სრულად გამოვლენის მიღწეულობით, სინთეზის უმაღლესი ხარისხით. ე. ი. ყოველი საშუალედო ეტაპის (ცვალებადი) ფენომენთაგანი შეიძლება იქცეს აბსოლუტური დასასრულის ფენომენად, თავის არსებობის ფაქტში საწყისთა სრულად გამოვლენის შესაძლებლობისთვის გზის გახსნით. ამ გარემოების ადეკვატური ასახვაა **ატმანისა** და **ბრაჰმანის** არსით ურთიერთიდენტურობის პრინციპი და პიროვნების **ნირვანაში** დამოუკიდებლად გადასვლის შესაძლებლობის აღიარება საწყის **ბუდიზმში.**

"პირველსაწყისები" - მთელის მიმართ პირველადი ნაწილები - და მათი კომპოზიციები საშუალედო ეტაპების ფენომენების მახასიათებლებად ვლინდებიან, მაგრამ არ იქნება სწორი, ეს მახასიათებლები ამ ფენომენების აქტუალიზაციის (სამოქმედო, სათვითრეალიზაციო) რესურსად მივიჩნიოთ, რადგან თვითონ ეს ფენომენებია პირველ საწყისთა გამოვლენის გამოხატულებანი - პირველსაწყისები ახდენენ ერთობლივ და, საზოგადოდ, ერთიმეორისგან განსხვავებული ინტენსივობებით თვითგამოვლენას საშუალედო ეტაპის ფენომენების სახით და მეშვეობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საშუალედო ეტაპების ფენომენებს არ შეუძლიათ არ ჰქონდეთ ის მახასიათებლები, რომლებიც მათი არსებობის აქტში ვლინდებიან ამა თუ იმ ინტენსივობით. ეს არის ქცევაში თავისუფლების კატეგორიის პრიმატის საფუძველი. ხოლო ის, თუ კონკრეტულ საშუალედო ფენომენში რომელი პირველსაწყისი რა ინტენსივობითაა წარმოდგენილი, რომელი მათგანი დომინირებს და რომლის გავლენაა უგულვებელყოფადი, შეიძლება დადგინდეს გარეგანი დაკვირვებით სხვადასხვა სიტუაციაში. სწორედ ესაა **ბიჰევიორიზმის** მეთოდოლოგიის არსი.

* * *

თუ მდედრობით და მამრობით საწყისებს **პირველსაწყისებად** ჩავთვლით, მაშინ, ცხრომის მანიის პარადიგმის მიხედვით, სქესი გამოდის არა ადამიანის თვითრეალიზაციის ფაქტორად, არამედ, პირიქით, თვითონ ადამიანი, როგორც საშუალედო ეტაპის ფენომენთაგანი, წარმოიდგინება ორივე სქესის (როგორც, ასევე, ყველა სხვა პირველსაწყისთაგანის) გამოვლენის ერთ-ერთ შედეგად და გამოხატულებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში, ადამიანის (და ყველა საშუალედო ეტაპის ფენომენის) შინაარსში ორივე სქესობრივი საწყისია საგულვებელი და, ამდენად, საშუალედო ეტაპის ფენომენთა ნებისმიერ სიმრავლეზეა გამოვლენადი სქესობრივ საწყისთა ურთიერთქმედების ფაქტი, ანუ სქესობრივი აქტი. ამით აიხსნება ჰომოსექსუალიზმის და, საზოგადოდ, ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა საკითხის სხვა ასპექტების გამოვლენადობა ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციაში.

რადგან პიროვნება ფსიქიკური სფეროს ფენომენია, საზოგადოდ, შეიძლება მის სქესობრივ თვითრეალიზაციას საერთოდ არ ერთვოდეს ბიოლოგიური ასპექტი. ამგვარი პოზიციის გამომხატველია **"პლატონური სიყვარულის"** კონცეფცია; მაგრამ, ამასთანავე, მოუცილებადმა კონფლიქტურობამ, რაც პიროვნების ფენომენის თავის ბიოლოგიურ მატარებელთან ურთიერთობას ახასიათებს, შეიძლება სქესობრივი თვითგამოხატვის აქტს ბიოლოგიური მატარებელის (სხეულის) ბიოლოგიურად გაუმართლებელი ზემოქმედების ობიექტად მაფიქსირებელი ქცევის სახე მიანიჭოს, რაც სქესობრივი ქცევის ე. წ. არატრადიციული მოდუსების საერთო მახასიათებელადაც შეიძლება დასახელდეს.

ზოოსექსუალიზმს ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე ყველა თვისებრივი ტიპის ერში აქვს გამოვლენის საფუძველი, როგორც ტოტემთან ურთიერთობის რიტუალის ელემენტს. ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე კი სქესობრივი თვითგამოხატვის ეს მოდუსი პარადიგმულ გამართლებას კარგავს სხვა სამი ტიპის ერებში, რადგან ნოოონტოგენეზის პირველი საფეხური, უკვე, სქესობრივი სიმწიფის ასაკის დადგომამდე სრულდება. ცხრომის მანიის კლასის ერებში, ზოოსექსუალიზმს და სხვა ე. წ. სქესობრივი ქცევის არატრადიციული მოდუსების შესაბამის პრაქტიკას ცალსახა პარადიგმული აკრძალვა არ ეხება (ალტერნატივად რჩება) ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის დასრულებამდე, რასაც ადასტურებს ძველი (ქრისტიანობამდელი) ელადისა და ძველი (ბუდიზმამდელი) ინდოეთის ისტორია, ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე კი ქცევის ამგვარი პრაქტიკა პარადიგმულად იკრძალება ამ ნოოტიპის ერების შემთხვევაშიც, რაც იმავე ძველი ელადისა და ძველი ინდოეთის მაგალითებზეც დასტურდება, შესაბამისად, ქრისტიანობისა და ბუდიზმის გავრცელების სინქრონულად. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ცხრომის მანიის პარადიგმა საპირისპირო პოზიციის ჩამოყალიბების საშუალებასაც იძლევა: თუ სქესებს არა პირველსაწყისებად, არამედ საშუალედო ეტაპის ფენომენებად მივიჩნევთ, მაშინ მათი ფენომენური თანხვედრა (ერთ ფენომენში ერთდროულად გამოვლენადობა) არ მოითხოვება, რაც ჰეტეროსექსუალიზმის შესაბამისია. ასე რომ ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე,

ცხრომის მანიის კლასის ერებშიც სქესობრივი ქცევის პრაქტიკაც უნდა იზღუდებოდეს აუცილებელ მინიმუმამდე, მსგავსად იმისა, როგორც სქესობრივი ფაქტორის პოპულაციური კვლავწარმოების ფუნქციამდე შეზღუდვა (თვით ჰეტეროსექსუალური სასიყვარულო ემოციებისა და სიამოვნების ნიველირება) მოხდა სხვა სამივე თვისებრივი ტიპის ერებშიც.

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე სქესობრივი თვითგამოხატვის შეზღუდვა უქმდება, რასაც მოწმობს მე-20 საუკუნის 60-იან წლების "სექსუალური რევოლუციაც", მაგრამ, რადგან ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერის ზრდასრულ წევრს უნდა ჰქონდეს გავლილი ნოოონტოგენეზის მესამე საფეხური, შეუძლებელია მის თვითგამოხატვაში სქესობრივი ქცევის ე. წ. არატრადიციული მოდუსის გამოვლენამ ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის დონეს მიაღწიოს. ამდენად, ის გაქანება, რაც, ამ მოლოდინის საპირისპიროდ, დღევანდელ მსოფლიოში მოიპოვა ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა საკითხმა - "ლგბტ" მოძრაობამ - ავლენს ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერებში ნოოონტოგენეზის ხარვეზიანობას: ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურის ნიველირების მცდელობა განაპირობებს მინოტავრის სინდრომს ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის სიმპტომატიკით. ამ პირობებში ფართოდ ვრცელდება ბიოლოგიურად ზრდასრული პიროვნების ნოოონტოგენეზური უმწიფრობა, რაც, როგორც საფუძველი სქესობრივ ასპექტში თვითრეალიზაციის ნოონტოგენეზის წინა საფეხურებზე მდგომ პირებთან ურთიერთობაში ძიებისა, სექსუალური პედოფილიის ამხსნელია: ოპტიმალურ პირობებში ნოონტოგენეზის მეორე საფეხური დაახლოებით 12 წლის ასაკში სრულდება, როცა ადამინი შორსაა სქესობრივი მოწიფულობისგან. ასე, რომ "ლგბტ" მოძრაობა (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) არის მინოტავრის სინდრომის გამოვლენა (რომელიც, ზოოსექსუალიზმის გათვალისწინებით, პირველ საფეხურსაც კი სწვდება) - უკიდურესი დესტრუქცია.

სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ, თავისუფლების კატეგორიის პრიმატის პრინციპის მიხედვით, პიროვნების თვითგამოხატვა ფაქტად ვერ ჩაითვლება, თუ ეს აქტი არ შეიცავს თავისივე შედგომის შესახებ ლეგიტიმურ განცხადებას - **"უხდომილობის პრეზუმფცია"**. ეს არის ლგბტ მოძრაობის წარმომადგენლების მიერ ამ ფენომენის საყოველთაოდ ლეგალიზაციისა და დემონსტრაციის მცდელობის საფუძველი - ისინი სქესობრივ თვითრეალიზაციას ფაქტად ვერ ჩათვლიან, თუ ამ აქტს არ ახლავს მისი შედგომის შესახებ ლეგიტიმური განცხადების საზოგადოებრივი აღიარება.

შევნიშნავთ, რომ **"უხდომილობის პრეზუმფცია"** არ არის დესტრუქციის ფაქტორი, საზოგადოდ. მისი კერძო ასპექტია **"უდანაშაულობის პრეზუმფცია"**, რომელიც, ამრიგად, ცხრომის მანიის პარადიგმის ელემენტად იდენტიფიცირდება.

* * *

საშუალედო ეტაპების ფენომენებში, მათ შორის ადამიანში, **პირველსაწყისთა** არასრულად გამოვლენილობა, შეიძლება გამოიხატოს **არცოდნის** კატეგორიითაც: კონკრეტული ფენომენის არსებობის ფაქტში პირველსაწყისების სრულად ვერგამოვლენილობა, ამ ფენო-

მენთან სრულად ვერზიარებულობის, არსით მათი ვერწვდომის, მათ შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის არქონის გამოხატულებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. სწორედ ამ მნიშვნელობით გააზრებული არცოდნა ისახება მთელის ფენომენური განფენილობის (პლატონისეული "საგანთა სივრცის" ანალოგის) საფუძვლად, სამყაროს განვითარებას კი ამ ფენომენური განფენილობის ლიკვიდაციისკენ მოძრაობის მნიშვნელობა მიეწერება. ცხადია, რომ ამგვარი მოძრაობა დაძაბულობის მოხსნისკენ მისწრაფების განსახიერებაა. ამრიგად, არცოდნა ონტოლოგიურ კატეგორიად იდენტიფიცირდება, ისევე, როგორც ინდურ მითოსურ-რელიგიურ ტრადიციაში. იმავე პარადიგმის ელემენტია თანდაყოლილი არცოდნის (სუფთა დაფის) კონცეფციაც - ფენომენური ზრდის ფენომენებში საწყისების გამოვლენის ხარისხის ზრდად წარმოდგენის მცდელობა.

ცხადია, ვერცერთი მდგომარეობა, რომელიც არ არის აბსოლუტური დასასრულის გამომხატველი, ვერ იქნება შეჩერების წერტილი. ეს ტენდენცია უნდა ვლინდებოდეს ყველა ლოკალურ ფენომენში (სამყაროს ამგვარი სურათის მთავარი ელემენტია მოვლენათა განვითარების ნაკადების ჭავლური კონა), რაც კარმის კონცეფციაშია ასახული. მოვლენათა კონკრეტული ნაკადის ყოველი ახალი ეტაპი (ინდურ ტრადიციაში - რეინკარნაცია) წინა ეტაპის ბოლოს შემორჩენილი დაძაბულობის მომენტის მოხსნის მცდელობის გაგრძელების გამოხატულებად მოიაზრება. ცხრომის მანიის პარადიგმის მიხედვით წარმოდგენილი სინამდვილე (და, ამდენად ცხრომის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობაც), მოვლენათა განვითარებაში შეუჩერებელი ნაკადების ასპექტით, ასოცირებადია დენად გარემოსთან. ამ გარემოების ასახვებს ვხვდებით ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურიდანვე - მდინარე და ქარი ტოტემისტური კულტის ობიექტებად.

რადგან, როგორც აღინიშნა, ვერცერთი საშუალედო მდგომარეობა ვერ იქნება აბსოლუტური დასასრულისკენ მოძრაობის შეჩერების წერტილი, ყოველი შემდგარი ეტაპი მოვლენათა განვითარებისა, შედარებითი იდენტიფიკაციის ასპექტის შემცველად წარმოიდგინება: თუ მიღწეული მდგომარეობა აბსოლუტური დასასრულის გამომხატველი აღმოჩნდება, მაშინ მას გაგრძელება ვერ ექნება, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში პროცესი გაგრძელდება. ამით აიხსნება ცხრომის მანიის კლასის ერებისთვის **პლებისციტისა** და **პერიოდული საყოველთაო არჩევნების** ინსტიტუტების ფუნდამენტური მნიშვნელობა.

* * *

ცხრომის მანიის მოდუსის პიროვნებაც (მსგავსად, როგორც აღინიშნა, ძლევის მანიის მოდუსის პიროვნებისა) შეიძლება ჩამოყალიბდეს ამავე მოდუსის ერის გარეთაც: როდესაც ფორმის მანიის კლასის ერის დიასპორა იძულებულია იცხოვროს სხვა ერის სივრცეში, თავად მისთვის დამახასიათებელი შეუწყნარებლობა უცხოსადმი და, ამითვე განპირობებული მოლოდინი გარემომცველი ერის მხრიდან ამგვარივე დამოკიდებულებისა, განსხვავებულთა თანაარსებობის დაშვება-გამართლების საარსებოდ აუცილებლობის განცდაშიც შეიძლება გამოიხატოს, რაც ხსენებული დიასპორისგან შესაბამისი განწყობის მატარებელი

ელემენტის, ანუ ცხრომის მანიის მოდუსის პიროვნებათა ჯგუფის გამოყოფის საფუძველს ქმნის, რომელიც პასუხობს დასახელებულ მოთხოვნას ორ ერს შორის საკონტაქტო ელემენტის ფუნქციის შესრულებით. ამის მაგალითია ეთნიკურ ებრაელთა წვლილი ჰოლანდიელი, ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი ერების ნოოფილოგენეზში. ამგვარივე ასპექტი გააჩნია ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის ისტორიასაც ისლამური სამყაროს სივრცეზე, ცხრომის მანიის კასტური ეფექტის წინააზიური ფენომენის რეალიზაციაში, სადაც ის დიასპორების კონგლომერატად იყო დაშლილი. მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ელემენტის როლის შესრულება შეუძლიათ ამგვარივე გენეზისის ელემენტებს ინდოელი ერის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის პროცესში, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

* * *

თავისი მოქმედების ცხრომის აქტად მაიდენტიფიცირებელი სუბიექტი ვერ შემოიფარგლება მოქმედების ფაქტობრივი მოცემულობის სხვა ფსიქიკურ სტიქიათა სათანადო ასპექტების გარემოების ფაქტორად იდენტიფიკაციით, რადგან აქტის დასრულებაში მთელი მისი ფაქტობრივი მოცემულობის, როგორც ასეთის, მოსპობა (ობიექტის სამოქმედოდ გამომწვევი უნარის სრული დეაქტუალიზაცია) იგულისხმება. ამდენად, ცხრომის მანიის ეფექტი ითვალისწინებს სხვა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ფენომენებს, მაგრამ, მხოლოდ, როგორც მოსახსნელ ფაქტორებს (სადეზაქტუალიზაციო ობიექტებს). ეს გარემოებაა ერთა ცხრომის მანიის კლასის ცივილიზაციური ფუნქციის ცივილიზაციის სხვა ელემენტების (სხვა ნოოტიპის ერების) მატარებელი გარემოს (როგორც ცოცხალ უჯრედში ციტოპლაზმისა და გარსის) ფუნქციად წარმოდგენადობის საფუძველი.

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის ცხრომის მანიის კლასის ერის სტაბილიზაციით რეალიზაციის ხელშემწყობი (თუმცა არა საკმარისი) პირობაა საშინაო (ტოტემური კასტის შიგნით) და საერთაშორისო (ტოტემურ კასტებს შორის, ტოტემურ თემებს შორის) ვაჭრობის განვითარება.

ცხრომის მანიის პარადიგმის ნოოფილოგენეზის სხვადასხვა საფეხურის რეალიზაციის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: ქარის, მდინარის, ზღვის, მეწყვილის მაძიებელი მგლის და სხვა ტოტემისტური კულტები; ჰერმესისა (ადამიანებსა და ღმერთებს შორის შუამავლის, ანუ გაცვლითი ურთიერთობის მითოსური პერსონიფიკაციისა და, შესაბამისად, ვაჭრობის ღმერთის) და მოირების კულტები; პოტლაჩი და კულა: გაცვლითი ურთიერთობების ინიციირების პრაქტიკა საამისო ეკონომიური მოთხოვნილების არარსებობის პირობებში კარმის კონცეფცია და ბრაჰმანიზმი, ინდივიდუალური თავდახსნის ბუდისტური კონცეფცია, რომელიც თჰერავადაშია შემორჩენილი (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თჰერავადა წმინდად ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენია); ინდუიზმი; სოკრატეს ხაზი ძველელინურ ფილოსოფიაში, პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფია (თუმცა, მათ მემკვიდრეობაში არის სხვაგვარი, თანადროული ფაზის გავლენის ამსახველი მართვის მანიის და ძლევის მანიის ეფექტების ამსახველი მომენტები); სუფიზმი, ალავიზმი და

შესაძლებელია - ალავიზმიც; კალვინიზმი (საეკლესიო იერარქიის უარყოფა), ცოდვის მატერიალურად გამოსყიდვის შესაძლებლობის პრინციპი (ინდულგენცია), ქრისტიანული ეკუმენიზმი და, საზოგადოდ, რელიგიური სინკრეტიზმი; ფსიქოანალიზი - ფსიქიკური პათოლოგიის დაძაბულობის ესკალაციის პროდუქტად, ხოლო განკურნების დაძაბულობის მოხსნის აქტად წარმოდგენის ასპექტით; ბიჰევიორიზმის მთავარი პრინციპი (ინდივიდის ქცევის გარემოსთან გაცვლით ურთიერთობად წარმოდგენა - "სტიმული-რეაქციის" პრინციპი - და ქცევის უმარტივესი ელემენტების - რეაქციების - სინთეზად წარმოდგენა); ადამიანის ფსიქოლოგიის ნაწილის პირველადობის პრინციპის შესაბამისად წარმოდგენის მცდელობის მაგალითია იუნგისეული "არქეტიპები" და "ინდივიდუალიზაციის" კონცეფცია. იმპრესიონიზმი (შთაბეჭდილება, როგორც აღქმისეული ელემენტების სინთეზი), კუბიზმი, სხვა აბსტრაქციონისტული მიმდინარეობები; ინიციატივის შეჩერება-დათმობა კონტრშეტევისთვის ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში - საბრძოლო სტრატეგიის მთავარი პრინციპი; შოპენის ხაზი ევროპულ კლასიკურ მუსიკაში, ჯაზი და მონათესავე სტილის მიმდინარეობები - რიტმის პრიმატი მუსიკალურ კომპოზიციაში; მიზნობრივი მოტივაცია, რაც განახლების და სიახლის შემოტანის უნარიანობის (ნოვაცია-ინოვაციის პოტენციის) საფუძველია და ხშირად ფასდება რაციონალიზმის უმაღლეს გამოვლინებად (რადგან ხშირად უგულებელყოფილია თავად მიზნის რაციონალურობა, რაკი მიზანს არავითარი წინაპირობა არ სჭირდება); ვაჭართა ოლიგარქია, მარკეტინგი და ფინანსური სექტორის პრიმატი ეკონომიკაში; ლიბერალიზმი - თავისუფლების პრიმატი და ა. შ.

* * *

ცხრომის მანიის კლასის ძირითადი ერები:

- ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური: მდინარის, ზღვის, მეწყვილის მაძიებელი მგლის და ა. შ. ტოტემური კასტები;

- ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე დაასრულეს არსებობა არამეელმა ბაბილონელებმა, ფინიკიელებმა და კართაგენელებმა, ასევე, ძველელინებმა (სტოიციზმში ასახული ტენდენცია ვერ განვითარდა საერთო ეროვნულ რელიგიად) და ა. შ.;

- ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე დაასრულეს არსებობა პრერენესანსის ჩრდილოეთ იტალიელებმა (ფლორენცია-ვენეცია-გენუასთან დაკავშირებულმა ქალაქსახელმწიფოთა კონგლომერატმა), ნოვგოროდელებმა; არსებობას განაგრძობენ, მაგრამ დღესაც არ დაუსრულებიათ მეოთხე საფეხურზე გადასვლა, ალევიტებს (სუფისტებს), ინდოელებს, ბრაზილიელებს (მიგრანტების ახალი ნაკადის ინტენსიფიკაციამ დაუქვემდებარა ბრაზილია ცხრომის მანიის ეფექტის დომინანტიზაციის ტენდენციას) და ა. შ.;

- ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე იმყოფებიან ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები და სხვა.

§1.13 მართვის მანია

მოქმედების აქტის მართვის აქტად (მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციად) დასახვა ნიშნავს მოქმედების აქტის ობიექტის ამავე აქტის სუბიექტის თვითრეფლექსიურ თვითიდენტიფიკაციაში იმგვარ ფენომენად წარმოდგენის შესაძლებლობას, რომელსაც არ გააჩნია საკუთრივი ფორმა (ფორმის მანიის აქტუალიზაციის გამომრიცხავი მომენტი), ვერ დაექვემდებარება ძალდატანებას (ძლევის მანიის აქტუალიზაციის გამომრიცხავი მომენტი) და არ გააჩნია სუბიექტის სამოქმედოდ გამომწვევი მახასიათებლები (ცხრომის მანიის და კვლავ, ასევე, ძლევის მანიის აქტუალიზაციის გამომრიცხავი მომენტი). ეს ნიშნავს იმას, რომ მართვის აქტის სუბიექტის (მართვის მანიის მოდუსის პიროვნების) **ამოსავალი მდგომარეობის მახასითებელია "თავისუფლება"** - მოქმედება ამ მდგომარეობიდან გამოსვლაა, თავისუფლების თვითდათმობაა და, ამდენად, გულისხმობს მსხვერპლის გაღებას, **"გაცემას"**. ასე, რომ გაცემა მართვის მანიის მოდუსის პიროვნების თვითრეალიზაციის ერთ-ერთ მახასიათებლად უნდა დასახელდეს.

ცხადია, მართვის აქტის ობიექტზე სუბიექტის ზემოქმედების ფაქტის დაფიქსირება, ანუ მართვის მანიის ეფექტის რეალიზაცია, ვერ მოხერხდება, თუ მის ობიექტს, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არ ახასიათებს განსხვავებულ მდგომარეობათა მიღების უნარი. ამასთანავე, ცხადია, რომ ამგვარ ობიექტზე ზემოქმედების (მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციის) ფაქტი მისი (ამ ობიექტის) მხოლოდ შემდგარი მდგომარეობით ვერ მოიცემა. ის მხოლოდ ამგვარი ზემოქმედების შედეგად მიღებული მდგომარეობის ამ ობიექტის ყველა სხვა, ალტერნატიული (წინა მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლო) მდგომარეობების ერთობლიობასთან შედარება-შეპირისპირებით შეიძლება დაფიქსირდეს - **"პოტენციურისა და რეალურის თანააქტუალობის პრინციპი"**.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართვის მანიის ეფექტის რეალიზაცია გულისხმობს ობიექტს, რომელსაც არაერთი ონტოლოგიურად ტოლშესაძლებელი (ან სუბიექტის თვითრეფლექსიური თვითიდენტიფიკაციის შინაარსის მიხედვით, ამგვარად მოაზრებადი) მდგომარეობების მიღების უნარი ახასიათებს, რომელთა ცვლის ინიციირება შესაძლებელია ამ ობიექტზე და მის ნაწილებზე ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის ეფექტების გამოხატულებად მოაზრებადი (იდენტიფიცირებადი) მომენტების არშემცველი ზემოქმედებით, ან ზემოქმედებით, რომლის შინაარსშიც ამგვარი მომენტები უმნიშვნელოა, უგულვებელყოფადია.

გამოდის, რომ მართვის აქტის სუბიექტი თავის ობიექტზე ზემოქმედებისას, ანიჭებს მას იმგვარი ცვლილების იმპულსს, რომელიც ობიექტში თავისთავადაც შეიძლება წარმოშობილიყო, ანუ რომელიც, ობიექტის პოზიციიდან, გარეგან ჩარევად ვერ იდენტიფიცირდება და, ამდენად, ობიექტის მდგომარეობის ცვლილებაში ვერ დაფიქსირდება გარეგანი ფაქტორის მიმართ საპასუხო რეაქციის მნიშვნელობის მომენტი. ანუ მართვის აქტის სუბიექტს მოეთხოვება არა მიზნობრივმოტივირებული, არა მიზეზობრივმოტივირებული და არა მი-

ზეზ-მიზნობრივმოტივირებული, ანუ თავისთავადი ცვალებადობის უნარი (სპონტანური ცვალებადობა) და, ამასთანავე, მისი (მართვის აქტის ობიექტის) პოზიციიდან ისე ჩანს, თითქოს სუბიექტი მის ცვლილებებს მხოლოდ გზას უთმობს, მუდმივად უკან იხევს მის წინაშე. ეს ნიშნავს იმას, რომ მართვის აქტში (მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში) სუბიექტ-ობიექტის ურთიერთქმედება ცალმხრივია, ანუ სუბიექტის აქტივობის საზრისია **"გაცემა"** (ცვლილების იმპულსის, ტენდენციის მინიჭება), როგორც ზემოთაც აღინიშნა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართვის აქტების სუბიექტთა ერთ კოლექტიურ სუბიექტად გაერთიანება მოითხოვს მათი აქტივობების (მათ მიერ ობიექტებისთვის მინიჭებული ტენდენციების) შედეგად განვითარებული ცვლილებების ერთიანი ობიექტის მდგომარეობის ცვლის განსხვავებულ (ერთიმეორეში აურეველ) ასპექტებად დაფიქსირებადობას. ამრიგად, მართვის მანიის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობაში ურთიერთობა ნიშნავს ერთიმეორის გვერდის ავლის, სხვათა მოქმედებების გამომხატველ ცვლილებათა ნაკადის არ შეფერხების, ერთიმეორისთვის ასპარეზის დათმობის (რაც, ასევე, გაცემის ასპექტთაგანია) მცდელობას. ეს ნიშნავს მართვის მანიის მოდუსის პიროვნებათა ურთიერთობაში თვითრეალიზაციის ორიენტირად **"თანხმობის"** კატეგორიის დადგენას.

უნდა შევნიშნოთ, რომ სხვის მიერ ინიციირებული ცვლილების შეუფერხებლად გატარება შეუძლებელია მისი იდენტიფიკაციის გარეშე. ამდენად, ამგვარად გაერთიანებისთვის აუცილებელია ჯგუფის წევრთა მოქმედებების დიაქრონულად მოწესრიგებულობა. რაც უფრო გვიან შემოდის ჯგუფის წევრი მოქმედებაში, მით უფრო მეტი წევრის მიერ ინიციირებული ცვლილებების გათვალისწინება მოუწევს მას, ამდენად, მით უფრო მაღალია მისმიერი **გაცემის** ინტენსივობა. მაგრამ რიგითი პირველობაც არ არის სხვა წევრების მიმართ გაცემის მნიშვნელობის მომენტის გამომრიცხავი - პირველმა უნდა აიცილოს ობიექტის ყველა შესაძლო ცვლილების ინიციირება მის მიერ, დატოვოს მოქმედებაში სხვათა ჩართვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მართვის მანიის ეფექტის კოლექტიურ რეალიზაციაში **"თანხმობის"** ფაქტად დაფიქსირება შეუძლებელია ჯგუფის ყოველი წევრის მოქმედებების დასრულებამდე, ანუ მოქმედების პროცესი თანხმობის მიღწევის მცდელობაზე დაკვირვებაა მხოლოდ და არა მისი რეალიზებულობის დემონსტრაცია. და თუ ეს ფაქტი შედგა, ეს იქნება იმის მომასწავებელიც, რომ მოქმედება დასრულებულია და, ამდენად, გამქრალია ის, რისი ატრიბუტიც უნდა გამხდარიყო რეალიზებული თანხმობა. ამრიგად, თანხმობის რეალიზებულობის ფაქტის მართვის მანიის მოდუსის პიროვნების აქტივობის ატრიბუტად დაფიქსირება გამორიცხულია, ის მხოლოდ ორიენტირად ფუნქციონირებს, რაც სუბიექტის მოქმედებაში გაცემის მომენტის მუდმივწარმოდგენილობაში აისახება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართვის მანიის ეფექტის კოლექტიურ რეალიზაციაში ცალკეული წევრის მოქმედების მუდმივი ელემენტია გაცემის მომენტი, მაგრამ აქტის დასრულებამდე გაურკვეველი რჩება, საკმარისია თუ არა ამ მომენტების ერთობლიობა თანხმობის ფაქტად შედგომისთვის.

ამრიგად, მართვის მანიის მოდუსის პიროვნების თვითრეალიზაციის ორიენტირად წარმოდგენილი **"თანხმობა"** დიაქრონულია და არარეალიზებული (ქმნადობაშია, ფაქტად

შედგომისკენ მისწრაფებაში), ფორმის მანიის ეფექტის ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებლად მისი წარმოდგენის შემთხვევისგან განსხვავებით, როცა **"თანხმობა"** სინქრონულია და მუდმივად რეალიზებული, ურღვევი.

ამრიგად, მართვის მანიის მოდუსის პიროვნების ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებელია **თავისუფლება,** თვითრეალიზაციის არსია **თავისუფლების** თვითდათმობა - **გაცემა** - ურთიერთობის პრინციპი (თვითრეალიზაციის სოციალური ასპექტი) - **თანხმობის მაძიებლობა** და, ამდენად, მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციის არე, ფსიქიკურ სტიქიათა ციკლური მოწესრიგებულობის, სხვა სამ შემთხვევაში გამოყენებულ, წარმოდგენაში, შეიძლება გამოვსახოთ ორივე მხრიდან ღია ორიენტირებული ინტერვალით -]**"თავისუფლება"; "თანხმობა"**[.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მართვის მანიის მოდუსის პიროვნებათა კრებით სუბიექტად გაერთიანებაში იგულისხმება ერთიანი მოქმედების აქტის იმგვარ ფენომენად იდენტიფიცირებადობა, რომელიც კრებითი სუბიექტის ყოველი წევრისთვის მხოლოდ მისეული მოქმედების აქტადაა წარმოდგენადი, მოაზრებადი - კრებითი სუბიექტის სხვა წევრების აქტიურობის გამოხატულებანი ობიექტის თვითმოძრაობის შინაარსის კერძო მომენტებად მოიაზრებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარი ერთობის ყოველი წევრი ამ ერთობის, როგორც მთელის, მხოლოდ განსახიერებაა სხვადასხვა მოდუსით - **"უნაწევრო სიმთელის პრინციპი" - "მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტი"**.

ინდივიდების ერთობის ამგვარად წარმოდგენის შესაბამისია ქართული ენისთვის დამახასიათებელი წესი ობიექტების სიმრავლის დასახელებისა. კერძოდ, სიმრავლე ერთობის მომენტის გარეშე აღინიშნება ობიექტთა მაიდენტიფიცირებელი სახელით მრავლობითი რიცხვის ფორმაში: "ცხენები", "მგლები", "გზები" და ა. შ.; ხოლო ერთობის მომენტის ასპექტიანი სიმრავლე აღინიშნება რიცხვითი სახელით და ობიექტთა მაიდენტიფიცირებელი სახელის მხოლობითი რიცხვის ფორმის გამოყენებით - "ხუთი არწივი" (და არა "ხუთი არწივები", როგორც ბევრ სხვა ენაშია): რიცხვითი სახელი მიგვანიშნებს ობიექტების საერთო რაიმე ნიშნით გაერთიანებულობაზე (დათვლა იგივურობის მომენტის გარეშე ვერ მოხერხდებოდა), ობიექტთა მაიდენტიფიცირებელი სახელის მხოლობითი რიცხვის ფორმაში დაყენება კი, თითოეული მათგანის ერთობის პერსონიფიკაციად წარმოდგენადობაზე მიგვანიშნებს.

მართვის მანიის მოდუსის კრებითი სუბიექტის წევრების ურთიერთმიმართება ხასიათდება იმით, რომ თითოეული მათგანი ამგვარ კრებით სუბიექტში მონაწილეობს იმდენად, რამდენადაც ახერხებს არ გადაიკვეთოს სხვა წევრთა სუბიექტობის ფაქტებთან. ე.ი. ყოველი კერძო სუბიექტი მონაწილეობს ამგვარი მოდუსის კრებით სუბიექტში, თუ მის აქტივობას ახასიათებს კრებითი სუბიექტის სხვა წევრებისგან თანხვედრის აცილების წარმატებული მცდელობად შეფასებადი მომენტი. საზოგადოებრივი ერთობის ამგვარ მოდუსს **"განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპით"** განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობას ვუწოდებთ - ფერმიონული სტატისტიკის ერთგვარი ნოოსფერული ანალოგი. ამ ფაქტორის გავლენით მართვის მანიის კლასის ერს შინაგან განსხვავებათა გენერაციისკენ,

მოცემულობით განსხვავებულ ნაწილების სიმრავლედ ჩამოყალიბებისკენ მისწრაფება უნდა ახასიათებდეს. ამ საკითხს ქვემოთ დაწვრილებით გავარჩევთ.

ამრიგად, მართვის მანიის მოდუსის პიროვნებათა ერთობას (რომელიც კერძო ნაწილია მართვის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობის სრული რეალიზაციისა - ცივილიზაციისა - იხ. გვ. 82), როგორც აღინიშნა, მისი წევრები წარმოადგენენ არა ერთობლივად, არამედ ცალ-ცალკე სხვადასხვა მოდუსით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართვის მანიის მოდუსის პიროვნებათა ერთობა არაფრით აღემატება თავის კონკრეტულ წევრებს, რომლებიც მის სხვადასხვა განსახიერებებად წარმოიდგინებიან. ეს სრულიად საპირისპირო მომენტია **ემერჯენტულობის** პრინციპისა, რომელიც სამივე სხვა ფსიქიკური სტიქიის ეფექტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობას შეესაბამება, განსხვავებული ასპექტებით: ფორმის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა აღემატება თავის წევრებს მათი მაერთიანებელი კავშირების სისტემით (თითოეული წევრი ამ სისტემის მხოლოდ ერთ-ერთი კვანძია), ძლევის მანიის ეფექტით განსაზღვრული - ინტენსივობით და მოძრაობით (იხ. გვ. 168) ცხრომის მანიის აქტით განსაზღვრული - სინთეზის მომენტით.

განხილული მოდუსის ერთობის ინიციირება, ან შენარჩუნება მოითხოვს ერთობლივად მოქმედების აქტში საკუთარი სუბიექტობის შინაარსის ნებისმიერი ასპექტის თვითშეკვეცის, ანუ თავისი ობიექტის ნებისმიერი ასპექტის დათმობის უნარს, ამგვარი მოდუსის კრებითი სუბიექტის წევრებს შორის ექსტენსიურ-ნეგაციური შინაარსის ურთიერთმიმართების დამყარების უზრუნველსაყოფად. სუბიექტის მზაობა, თავის ობიექტთან მისი მიმართების მიხედვით, ამგვარი, უკანდახევითი ქცევისთვის, კრებით (მათ შორის დასახელებული მოდუსის) სუბიექტში გაერთიანებულ სხვა ინდივიდურ სუბიექტებთან მის ურთიერთობას, მის მიერ, გაცემის აქტის რეალიზაციის მნიშვნელობას ანიჭებს. სხვასთან ურთიერთობისთვის საკუთარი ინიციატივით საკუთარი თავის რაიმეთი შეზღუდვა (რაიმე ქმედებისგან თავშეკავება, ან, თუ ეს ვერ ხერხდება, მოქმედების დემონსტრაციისგან თავშეკავება, დაფარვა) არის გაცემის აქტის სხვადასხვა ხარისხი. როდესაც მართვის მანიის მოდუსის პიროვნებას არა აქვს გაცემის პოტენცია, მაშინ გაცემის აქტის რეალიზაციის მნიშვნელობით მისი თვითრეალიზაცია შეიძლება გამოიხატოს, მის მიერ, სხვა ინდივიდთა გამცემ სუბიექტებად თვითრეალიზაციის ხელშეწყობაში, უკიდურეს ზღვრამდე, როცა ამგვარი ქცევა უკვე მიღების (მითვისების) აქტის პროვოცირების მნიშვნელობის მომენტს შეიძენს.

რადგან ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტები ერთიმეორეს ვერ აბათილებენ (მათი ერთობლიობის ჯამური ეფექტი მოქმედების საზრისიანობის, არსებობის აზრის განმსაზღვრელია) ოთხივე ნოოტიპის პიროვნებათა თანაარსებობის ფაქტი წარმოდგენადია (იდენტიფიცირებადია) მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციის აქტად ერთი სუბიექტით. ეს გარემოება განსაზღვრავს მართვის მანიის კლასის ერების ცივილიზაციურ ფუნქციას, როგორც ცივილიზაციის არსებობის (ოთხივე ნოოტიპის ერების თანაარსებობის) აქტის სუბიექტისა. ეს ნიშნავს ცივილიზაციის წარმომადგენლის სტატუსს, მათ შორის, მისი შემადგენელი ერების წინაშე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგან სხვა სამი ფსიქიკური სტიქიის ეფექტების რეალიზაციებს აუცილებლად ახასიათებთ მართვის მანიის ეფექტით გადაუფარავი ასპექტები, მართვის მანიის მოდუსის პიროვნებას (განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის მიხედვით) შეუძლია თავის მოქმედებაში კონსტრუქციულად ითვალისწინებდეს სამი სხვა ფსიქიკური სტიქიის ეფექტების ფენომენებს და თავის სამოქმედო არეზე მათი აქტიურობის პირობებშიც შეინარჩუნოს მათთან მისი ერთობლივად მოცემულობის ფაქტის, როგორც მოქმედების აქტის, მხოლოო სუბიექტად თვითიდენტიფიცირებადობა. ეს არის მართვის მანიის კლასის ერის, მისი მომცველი ცივილიზაციის წევრი ერების წინაშე, ამ ცივილიზაციის, როგორც მთელის, წარმომადგენელ სუბიექტად იდენტიფიცირებადობისა და ამ ფუნქციით კონსტრუქციული ქმედუნარიანობის საფუძველი.

თუ განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპით ორგანიზებული კოლექტიური სუბიექტის წევრთა აქტივობების შინაარსობრივი და სივრცითი ურთიერთაცილება მიღწევადია მათი აქტივობის შინაარსში საამისო მცდელობის გამოვლენის გარეშე (რაც უზრუნველყოფადია მოქმედების არეალის უნებლიეთ გაფართოებადობის პირობებში), **მიიღება "მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაცია"**.

ჯგუფის მართვის მანიის ეფექტის გამოხატულებად თვითორგანიზების ნიმუშს გვაძლევს ქართული პოლიფონია: ხმათა შემოსვლის დიაქრონულობა უზრუნველყოფს მათი მიმოქცევის დიაპაზონებს შორის ინტერვალების სიმეტრიის დაცვით (ყოველი მუხლის ბოლოს ეფექტური უნისონური ჟღერის უზრუნველმყოფელი წესით) შერჩევის შესაძლებლობას; ხოლო, ამ პირობებში, თითოეული ხმის სვლის რეგლამენტირებულობა (უშუალოდ მეზობელ ბგერებს შორის მუდმივი ტონალური დისტანცია) - ერთი მეორის სამომავლო ნაბიჯების წინასწარ ამოცნობის და, ამდენად, საკუთარი მიმოქცევის დიაპაზონში ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობას, თვით ამ დიაპაზონის წანაცვლების ჩათვლით, რაზეც, როგორც გარემოების ფაქტორზე, რეაგირებენ სხვები. ყოველდღიური ყოფის სფეროში ანალოგიური ფენომენია ქართული სუფრა, რომელიც, განსაზღვრული სადღეგრძელოების რამდენადმე ნორმირებული რიგით, წარმოადგენს იმ თვითმოძრავ ფენომენს, რომელსაც შეიძლება მხოლოდ სიტუაციურ მარეორიენტირებელ სუბიექტად მოევლინოს სუფრის თითოეული წევრი (თანამეინახე), საკუთარი სიტყვითა და ქცევის სხვა ასპექტებით.

* * *

მართვის მანიის კლასის ერი, როგორც საზოგადოებრივი ერთობა, განსხვავებების გენერაციის ხელშემწყობი გარემოა. განსხვავებათა დაფიქსირება შესაძლებელია მართვის მანიის კლასის ერის წარმომდგენ ალტერნატიულ საზოგადოებრივ ერთეულთა (ქვეერთობათა) ჩამოყალიბებით, რომელნიც ყოფის ან კულტურული მემკვიდრეობის რომელიმე, მაგრამ არა ფსიქიკურ სტიქიებს შორის განსხვავების გამომხატველი, ნიშნების მიხედვით განირჩევიან ერთმანეთისგან - **"მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფები"**. ამის მაგალითია საქართველოს ეთნოგრაფიულ კუთხეებად დანაწევრების

შეურყეველი ტრადიცია - ყოველი მათგანი ერთი და იმავე (ქართველი) ერის ალტერნატიული სოციალური განსახიერებაა: ჰერები, კახელები, ქიზიყელები, ქართლელები, თუშები, ფშავლები, ხევსურები, მოხევეები, მთიულები, მესხები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აჭარლები, ლაზები და სხვა.

როგორც ერთ-ერთ წინა პარაგრაფში აღინიშნა, პირველი ეთნოსები საერთო წარმომავლობის პირველადი ცივილიზაციების კონგლომერატების სახით ყალიბდებიან. ეთნოსებს შორის არსებული ენობრივი და კულტურული განსხვავებები ხელშემწყობი პირობაა მართვის მანიის კლასის ერად მათი კონსოლიდაციისთვის, ერთი ამგვარი ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფებად მათი ამოქმედებისთვის. ქართველი ერის შემთხვევაში, ამგვარ საწყისი ეთნიკური დიფერენციაციას შეიძლება წარმოადგენდეს სვანური, ეგრისული და ქართული ენების თანაარსებობის კვალი. თუმცა ამგვარი ეთნიკური დიფერენციაცა ერთგვაროვან ეთნიკურ საფუძველზე მართვის მანიის კლასის ერის ჩამოყალიბების შედეგადაც შეიძლება განვითარდეს. ამას ადასტურებს ქართველი ერის ზემოთ დასახელებული დანარჩენი ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფების ჩამოყალიბებაც: ეთნიკური დიფერენციაციის გაგრძელება (მათ შორის, ეგრისელების მეგრულ და ლაზურ ეთნოსებად დაყოფა), თუმცა ამას შეიძლება სხვა ფაქტორებმაც შეუწყო ხელი, თანხმობაშია ქართველი ერის არსებობის პირობებში განსხვავებათა განვითარებაზე მოთხოვნილების უცვლელობასთან.

“ქართლის ცხოვრება” გვკარნახობს აზრს, რომ ქართველი ერის შემადგენელ ამგვარ ერთეულთა სიმრავლე არ ამოიწურებოდა ურთიერთმონათესავე (ქართველური) ეთნოსებით და განსხვავებული წარმომავლობის ეთნოსებზეც ვრცელდებოდა და დღესაც ვრცელდება, შეიძლება ამის მაგალითს წარმოადგენდნენ თანამედროვე აფხაზები და ჩრდილოეთკავკასიელ ეთნოსთა უმრავლესობაც კი. თუმცა, ამ ეთნოსების სხვაგვარ ერთეულებად იდენტიფიკაცია უფრო საფუძვლიანი ჩანს. იგულისხმება **“მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის”** სტატუსი. ამგვარ სტატუსში ქართველი ერის ნაწილებად მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო სათანადო თეორიული ცოდნის გარეშე. საქართველოს საშინაო მდგომარეობის თანამედროვე პრობლემებიც ამ საფუძველზე განვითარდა. ამ სიძნელის იდეური დაძლევა მხოლოდ ნოოლოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი.

როგორც აღინიშნა, მართვის მანიის ეფექტით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთობა პოტენციურად მოიცავს მთელ ცივილიზაციას, როგორც ნოოტიპურად და ფენომენოლოგიურად განსხვავებული ერების სისტემას, რაც შეიძლება აისახოს თვით მართვის მანიის კლასის ერის წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობის სტრუქტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართვის მანიის კლასის ერის წევრებს შორის განსხვავებების განვითარება შესაძლებელია მათ მიერ გარეგნული თვითგამოხატვის მახასიათებლებად სხვა თვისებრივი ტიპების ერების მემკვიდრეობის ელემენტების გამოყენების გზით. საამისოდ აუცილებელია უცხო ერისთვის დამახასიათებელი ნოოფილოგენეზური და სხვა სოციალური ინ-

სტიტუციების ფუნქციების იმიტაცია, მეტნაკლები მოცულობითა და სიზუსტით. სწორედ ამგვარად ჩამოყალიბებულ ერთეულებს ვუწოდებთ **"მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს"**, ხოლო ერებს, რომლებთან თვითასოცირებითაც (მიკავშირებითაც) ხდება ამგვარ ერთეულთა კონსოლიდაცია - **"მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტ**ს", ან მოკლედ - **"მდგრადობის კომპონენტს"**. ქართველი ერის შემთხვევაში ამგვარ ისტორიულ ერთეულთა მაგალითებია: ურიები - მდგრადობის კომპონენტად ებრაელი ერით; აფსუები, აბაზები და, დღეს უკვე, აფხაზები - ადიღი ერით; ოსები - ირონი (ალანი) ერით; ყარაჩაელები და ბალყარელები - ძველბულგარი (ან ყივჩაღი) ერით; სომხები - ჯერ ძველარმენიელი, შემდეგ არმენიელი ერებით, და ბოლოს, ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენით (წინაazიურ-ბაბილონური ამგვარი ისტორიული ფაქტორის კერძო კომპონენტით); ქისტები და ბაცბები - ვაინახური სამყაროთი; მაჰმადიანი აჭარლები, თურქეთის გურჯები და მაჰმადიანი ლაზები - სუნიტური სამყაროთი; მაჰმადიანი ჰერები და ფერეიდნელი გურჯები - ირანელი ერით და ა.შ. ამგვარივე ისტორიულ ერთეულთა სახელები უნდა იყოს: რანები - მდგრადობის კომპონენტად ირანელი ერით; ბერძნები - ძველელინი ერით (ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე) და სხვა. ამგვარი კომპონენტი საგულვებელია საქართველოში რუსთა, ქვემოქართლელ ბორჩალოთა და თბილისელ იეზიდთა დიასპორებშიც. ზოგიერთი ამგვარ ერთეულთაგან, როგორც აღინიშნა, შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ქართველი ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფების ბაზაზე, მაგ., სომხები, ბაცბები, ოსები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ასეთი ერთეული, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის ბიზანტიელი ერით, ფაქტობრივად, მთლიანად ფარავს ქართველი ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფების ზემოჩამოთვლილ სიმრავლეს - მართლმადიდებელ ქართველობას. ეს არის ტერმინის - "ბერძენი", მნიშვნელობა ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე). რუს ერთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში დაიწყო ამ ერთეულის მოდიფიკაცია, მისი მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის რუსი ერის დაფიქსირების მცდელობის ამსახველი. ხოლო ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გამოიკვეთა ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ერთ ამგვარ ერთეულად კონსოლიდაციის ტენდენცია, მდგრადობის კომპონენტად უკვე ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასული რუსი ერით, რასაც ასახავდა ქართული საზოგადოების გარკვეული ფენის და საქართველოში ეთნიკური უმცირესობების (როგორც უწოდებენ) რუსიფიკაციის ტენდენცია. დღეს კი ქართულ საზოგადოებაში აქტუალიზებულია ახალი ამგვარი ერთეული, მდგრადობის კომპონენტად ამერიკელი ერით, რაც საქართველოში ლიბერალიზმის პარადიგმის პოპულარიზაციის ტენდენციაშია ასახული.

ირლანდიელი ერის შემთხვევაში გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებად წარმოგვიდგებიან კათოლიკე ირლანდიელები, მდგრადობის კომპონენტად კათოლიკური სამყაროთი, და პროტესტანტიზმის მიმდევარი ირლანდიელები, მდგრადობის კომპონენ-

ტად ინგლისელი ერით. დღეს ირლანდიური საზოგადოების ამერიკის შეერთებულ შტატებთან კავშირის ხასიათი მთელი ირლანდიური საზოგადოების ერთ გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფად, მდგრადობის კომპონენტად ამერიკელი ერით, რეორგანიზაციის ტენდენციაზე (ან თითქმის დასრულებულ პროცესზე) ლაპარაკის უფლებას გვაძლევს, რაც ირლანდიელი ერის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის ფაქტთანაცაა დაკავშირებული. ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფები ირლანდიელ ერში კლანური დიფერენციაციით იყო წარმოდგენილი. იგივე ითქმის შოტლანდიელი ერის შემთხვევაშიც, რომელიც, ასევე, ორი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის სახითაა წარმოდგენილი, მდგრადობის კომპონენტებად ინგლისელი და ამერიკელი ერებით. დასაშვებია შოტლანდიელთა და ირლანდიელთა ერთ ერად წარმოდგენა, ორი ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფით, რომლებიც გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებად არიან ტრანსფორმირებულნი.

მაფიის ინსტიტუტის სახით გვაქვს ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფების რეალიზაცია კორსიკელ და სიცილიელ ერებში. სიცილიელი ერი წარმოდგენილია ორ, გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფად, მდგრადობის კომპონენტებად იტალიელი და ამერიკელი ერებით. კორსიკელი ერის შემთხვევაშიც, ასევე, ორ ასეთი ჯგუფის არსებობაზე შეიძლება ლაპარაკი, მდგრადობის კომპონენტებად იტალიელი და ფრანგი ერებით. ტოსკანელი ერი ერთ გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფადაა წარმოდგენილი, მდგრადობის კომპონენტად იტალიელი ერით.

ბასკ ერში, ქართველი ერის მსგავსად, ეთნოსებადაა წარმოდგენილი ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფები, რომლებიც ორი, გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს შორის არიან განაწილებულნი, მდგრადობის კომპონენტებად ფრანგი და ესპანელი ერებით.

* * *

გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფები მართვის მანიის კლასის ერებისთვის წარმოადგენდნენ "ცივილიზაციურ ფაზებისადმი" (იხ. გვ. 212) რეაგირებისა და, რაც მთავარია, ინსტიტუციური თვითორგანიზაციის ძირითად და ნეოლითური რევოლუციის ხანიდან უკანასკნელ დრომდე ფაქტობრივად უალტერნატივო რესურსს. მაგრამ, ამასთანავე, მათი მაფორმირებელი ფაქტორი - მართვის მანიის ნოოტიპის პიროვნებათა გაერთიანებისთვის განსხვავებათა გენერაციის აუცილებლობა - ეწინააღმდეგება მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის გამოხატულებების ლეგალიზაციას, რადგან ეს გააუფასურებს (უგულვებელყოფადს გახდის) გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ჩამოყალიბებით მიღწევად განსხვავებებს. მართვის მანიის პარადიგმის მიხედვით, პიროვნების ისეთი ძირითადი მახასიათებელიც კი, როგორიცაა **"გაცემა"**, უნდა შეინიღბოს რაიმე მოტივით (მაგ., კუთვნილის მიზღვის, ან ვალის მოხდის გამოხატულებად იქნეს წარმოდგენილი), რაც დასტურდება ქართული საზოგადოების ყოველდღიურ ყოფაში.

მართალია, გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა ჩამოყალიბების საფუძველი მართვის მანიის კლასის ერში განსხვავებათა გენერაციისა და თანაარსებობის მოთხოვნილებაა, მაგრამ, ამასთანავე, მათი ფუნქციონირების პირობებში, მათ მდგრადობის კომპონენტებად ქცეულ ერებთან შეკავშირება მართვის მანიის კლასის ერს თავისი ცივილიზაციური ფუნქციის აქტუალიზაციის (ანუ პირდაპირი თვითგამოხატვით თვითრეალიზაციის) პერსპექტივასაც უქმნის. კერძოდ, მართვის მანიის კლასის ერის მისი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ერთობის სახით თვითორგანიზაციის ფაქტს მოუცილებელ მომენტად ახლავს მასთან თანააქტუალური საპირისპირო ტენდენციის გენერაცია: გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ერთობის ფაქტის მათ მდგრადობის კომპონენტებად დაფიქსირებულ ერებთან ერთობის ფაქტში ტრანსფორმაციის ლოგიკური შესაძლებლობა (რაც ნიშნავს ცივილიზაციური სტრუქტურის ინსტიტუციონალიზაციას) მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციის ხარისხობრივად და მასშტაბით ზრდის მიმზიდველ ორიენტირს იძლევა, რომელიც გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებს შორის უმწვავესი კონკურენციის განმაპირობებელია. საქმე ისაა, რომ გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ერთობის მდგრადობის კომპონენტების ერთობად გარდასახვა გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებსა და მათი მდგრადობის კომპონენტებს შორის თვისებრივი საზღვრის მოსპობას მოითხოვს (გარეგნულად საზღვარი ისედაც შეუმჩნევადია), რაც გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების მათი მდგრადობის კომპონენტებით სრულიად ჩანაცვლებას ნიშნავს. ანუ, დასახელებული ორიენტირის მიმართულებით ინტეგრაციის ხარისხის ზრდის პროცესში გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების თანდათანობით სრულიად გალევა უნდა მოხდეს თავიანთ მდგრადობის კომპონენტებში მათი თანდათანობითი სრული ასიმილაციით, რასაც მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ელის სხვა გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების მხრიდან, მათ შორის უმძაფრესი კონკურენციული ურთიერთდაპირისპირების აუცილებადობის გათვალისწინებით: ამგვარ ხვედრს გადარჩენილი უკანასკნელი მათგანი მართვის მანიის კლასის ერის ერთადერთ მემკვიდრედ დაფიქსირდება, არაპირდაპირი თვითგამოხატვით არსებობის მოთხოვნის გაუქმებისა და პირდაპირი თვითგამოხატვით თვითრეალიზაციის მოთხოვნის აქტუალიზაციის პირობებში. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია ინტეგრაციის პროცესში ჩართული ერების ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის დასრულებამდე, რის გამოც მოვლენების განვითარებაზე დასახელებული ტენდენციის გავლენას, უკანასკნელ დრომდე, შეუძლებელია დესტრუქციული მომენტი, უარყოფითი უკუკავშირის ეფექტი, არ ჰხლებოდა.

ამ საკითხის ურთიერთსაწინააღმდეგო ასპექტების გააზრებაში დაგვეხმარება ეგეოსურ მითოლოგიაში მართვის მანიის ეფექტის ამსახველი ასპექტი. ამით გარკვეული აზრით გავაგრძელებთ მეექვსე პარაგრაფის თემასაც. და, რადგან მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის პრობლემა ჩნდება ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე, პრობლემის ასპექტებს მხოლოდ მითოსური პერსონიფიკაციებით ავსახავთ. ამ თემაზე შეჩერება, საჭირო ცნებათა შემოტანის გარდა, ნოოლოგიური მეთოდის ეფექტურობის დემონსტრაციის

საშუალებასაც გვაძლევს. აქ დავეყრდნობით **"არგონავტიკას"** და ეგეოსური მითოლოგიის სისტემატიზაციის მცდელობის უმაღლეს შედეგს, ჰომეროსის **"ილიადა და ოდისეას"**.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ეგეოსურმა მითოსმა ჩვენამდე მოაღწია ცხრომის მანიის კლასის ძველელინელი ერის რედაქციით, რასაც, აქ განხილული თემებით რომ შემოვიფარგლოთ, ასახავს მაგ., **აქილევსის** მიზნობრივი მოტივაციით მოქმედ პიროვნებად დასახვა, მისი მოქმედების გაცვლის აქტად წარმოდგენა - სახელი სიცოცხლის ფასად, **"ოდისეას"** ცალკე წიგნად გამოყოფაც **ოდისევსის** წმინდად მიზნობრივად მოტივირებულ სუბიექტად წარმოდგენის მცდელობის ამსახველია; მაგრამ ძველელინური მითოსის ნოოლოგიური განხილვით, როგორც ვნახავთ, იოლად ხერხდება მასში მართვის მანიის და ძლევის მანიის ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების ერთობლივი რეალიზაციის გამომხატველი მომენტების გამოვლენა. ეს აიხსნება იმით, რომ ეგესოური მითოსი საწყისი სახით ჩამოყალიბდა **კოლხურ-პელაზგურ** და **აქავურ-მიკენურ-დორიულ** სამყაროთა სისტემურ ურთიერთინტეგრაციაში ასახულ, შესაბამისად, მართვის მანიისა და ძლევის მანიის ნოოსფერული სტიქიების თანხვედრილად აქტუალიზაციით ეგეოსური ცივილიზაციის პირველ **"ორმაგი ეფექტის ფაზის"** რეალიზაციაში (დაახლოებით 2000 - 1100 წლებში ქრისტეშობამდე) და, მხოლოდ შემდეგ (დაახლოებით 1100 - 420 წლებში ქრისტეშობამდე), ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაციის გამოხატულებად, იმავე ეთნოკონგლომერატების ძირითადი ნაწილის ურთიერთასიმილაციისა და ეგეიდაში ცხრომის მანიის კლასის ერად ჩამოყალიბების პროცესში, განიცადა ცხრომის მანიის პარადიგმის შესაბამისად რეინტერპრეტაცია ("ჰორის სინდრომის" და "თეზევსის სინდრომის" რეალიზაცია).

ადამიანის შემთხვევაში, ცივილიზაციის მითოლოგიურ მემკვიდრეობაში მართვის მანიის ეფექტის ამსახველი მთავარი მომენტები სქესების ურთიერთმიმართების ასპექტითაა წარმოდგენილი, რადგან ყველაზე მკაფიოდ, სწორედ, ამ საკითხში ჩანს მართვის მანიის ეფექტის განსხვავება სხვა სამივე ნოოსფერული სტიქიის ეფექტებისაგან (იხ. §1.15) და, ამასთანავე, მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ტრანსფორმაცია აუცილებლად ნიშნავს ქალის სტატუსის დაქვეითებას, ამდენად, მართვის მანიის კლასის ერის თავდაცვითი რეაქციის ინიციირებისა და მისი ცვალებადი მდგომარეობის მთავარ პერსონიფიკაციებად (მთავარ განმსახიერებლებად) ქალები არიან წარმოდგენილნი, აქ, შესაბამისად, **მედეა** და **ელენ**ე, ასევე, **ქალკიოპე.**

"არგონავტიკის" მიხედვით, მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგომარეობა მხოლოდ თავისთავად არსებობაში, სხვა ამგვარ ერთეულებთან ურთიერთობის გარეშეა წარმოდგენილი,"ილიადა და ოდისეა" კი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგომარეობაზე სხვა ამგვარ ერთეულებთან მისი ურთიერთობის გავლენის დეტალიზირებული გადმოცემაა.

- მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ინიციირება, მდგრადობის კომპონენტად სათანადო ნოოტიპის ერის აქტუალიზაციით, მართვის მანიის კლასის ერისთვის მისი მომცველი ცივილიზაციის ფაზების მიმართ ინსტიტუ-

ციური რეაქციის ძირითადი, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციამდე კი ერთადერთი საშუალებაა, თუმცა იგივე ფენომენი ცივილიზაციური ფაზის ცვლის ეტაპზე, მდგრადობის კომპონენტის როლში წინა ფაზის შესაბამისი ნოოტიპის ერის ახალი ფაზის შესაბამისი ნოოტიპის ერით ჩანაცვლებასთან დაკავშირებული პრობლემების გავლენით (თუნდაც იმის გამო, რომ შესაძლებელია ერის თავდაცვითი რეაქცია წინა მდგომარეობის ფაქტორების წინააღმდეგობისგან ვერ გაირჩეს), თავად მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის საფრთხედაც კი შეიძლება იქცეს - **"აიეტის სინდრომი"**: კოლხეთის მეფე **აიეტი**, თავისი სამეფოს მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფად, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის ერით, ჩამოყალიბების აქტის პერსონიფიკაციაა, რაც ამ აქტის ინიციირებისას არსებული მდგომარეობის დაძლევით მიიღწევა, რომელიც იდენტიფიცირდება მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის ერით, შესაბამის მდგომარეობად: აიეტის **ჰელიოსის** ძედ დასახელების მიხედვით, მზის კულტი კოლხეთის სამეფო ხელისუფლებასთანაა ასოცირებული და მზის, მართვის მანიის პარადიგმის საპირისპიროდ და ძველი სამეფოს ხანის ეგვიპტური **"რა"**-ს კულტის ანალოგიით (და მასთან ასოცირებულადაც კი) მამრობითი ბუნების ღმერთად წარმოდგენას ასახავს, რაც მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის ერის დაფიქსირების ამსახველია და **აიეტის** რეფორმებით იცვლება სამეფო ხელისუფლების **ოქროს საწმისისა** და მისი მცველი **გველეშაპის** კულტთან ასოცირებით; აიეტის რეფორმა სქესების ურთიერმიმართების მართვის მანიის პარადიგმის შესაბამისად (მუხისა და ვაზის ტოტემური წყვილით - იხ. გვ. 141) წარმომდგენის საპირისპიროა და, ძლევის მანიის პარადგმის შესაბამისად, ვაჟის ღირსების ქალის ჩაურევლად, საბრძოლო ხასიათის საკულტო ტურნირით შეფასების დაწესებით, ანუ ვაჟის შემფასებელი უმაღლესი ინსტანციის სტატუსის დედაკაცის კომპეტენციად აღიარების მართვის მანიის პარადიგმისეული პრინციპის გაუქმებით, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის ერის აქტუალიზაციის ამსახველია; კოლხურ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის შემზღუდავ ფაქტორად მოქმედებაზე მეტყველებს, ასევე სამეფო ხელისუფლებასთან ასოცირებული საკულტო ქმედება - მთელ კოლხეთში მჭედლების მიერ გრდემლზე უროს სინქრონული შემოკვრა, როგორც **პრომეთეს** (მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის მითოსური პერსონიფიკაციის - იხ. გვ. 105) დახსნის ჩამშლელი (არდამშვები), ანუ მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის შეფერხებულობის შემნარჩუნებელი ქმედება: მჭედლების ხსენებული რიტუალური მოქმედება ამთელებს პრომეთეს (ამირანის) ერთგული ცხოველის (ძაღლისა თუ ტახის) მიერ გაწყვეტამდე მიყვანილ ჯაჭვს, კვლავდაკვლავ; აიეტის რეფორმებით მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის ინსტიტუციური განვითარებით მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტის მდგომარეობის უკიდურესად შევიწროების გამოხატულებაა **აიეტის** მიერ თავისი ასულის, **ქალკიოპეს**, ამ უკანასკნელის ნების გაუთვალისწინებლად დაქორწინება ეგეიდიდან კოლხეთში გადმოხვეწილ **ფრიქსეზე**, რომელიც, როგორც ახალი კულტის ობი-

ექტის ჩამომტანი, მდგრადობის კომპონენტის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება. მდგრადობის კომპონენტის **ფრიქსეთი** პერსონიფიცირება ადეკვატური ასახვაა იმ ისტორიული ფაქტისა, რომ ეგეოსურ მითოსში აიეტის ინიციატივით ასახული, ძლევის მანიის ეფექტის აქტუალიზაციის მოთხოვნის დამყენებელი იყო ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა, ისტორიაში ამ ცივილიზაციის სტაბილიზაციის პირობად დაფიქსირებულ, კოლხურ-ეგეოსურ სამყაროზე ძველი სამეფოს ხანის ეგვიპტის გავლენას მოჰყვა, რამაც ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების პირველ ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის მნიშვნელობა იქონია (ფრიქსეს დევნის კადმოსის ასული ინო) (იხ. გვ. 218).

- მართვის მანიის კლასის ერის არაპირდაპირი თვითგამოხატვის წინაშე უპირობოდ უკანდახევამ შესაძლებელია, მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტა ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის კატალიზატორის სტატუსში ჩააგდოს - **"ქალკიოპეს სინდრომი":** მიუხედავად იმისა, რომ აიეტის ნების დამყოლი ქალკიოპეს ოთხი ვაჟიშვილი კოლხეთში დაიბადა და გაიზარდა, მათთვის სამშობლო უცხო გარემოდ რჩება და ისინი გარბიან კოლხეთიდან, მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზებული ერის მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის გავლენისგან თავდახსნისკენ მისწრაფების გამოხატულებად, ხოლო არგონავტების მეგზურებად მათი კოლხეთში დაბრუნება მდგრადობის კომპონენტის მიერ ინიციატივის დაუფლების შესაძლებლობის გამოყენების მცდელობის ასახვად შეიძლება შეფასდეს.

- მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის გაძლიერების შედეგად ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის საფრთხის აცილება მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციის ხარისხის ამაღლებას გულისხმობს; ამდენად, თავდაცვითი რეაქცია უნდა გამოიხატოს მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის აქტებით (რომელთაც, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციამდე, როგორც წესი, ინსტიტუციების ფუნქციის შემასუსტებელი გავლენა ახასიათებთ და, ამდენად, შეუძლიათ გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების წარმომდგენი ინსტიტუციების სათანადოდ შერყევა და შესუსტება) - **"მედეას სინდრომი":** მედეა პიროვნებებზე უდიდესი ზემოქმედების ფარულად გატარების უნარის მეშვეობით, რაც მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის მახასიათებელია, კოლხეთში **იაზონის** თავისი სამეფო ღირსების დასამტკიცებლად (აიეტის მიერ დაწესებულ რიტუალით გათვალისწინებული გამოცდის ჩასაბარებლად) ჩამოსვლას, ანუ გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის თავის მდგრადობის კომპონენტთან ურთიერთობის რიგით აქტს, აიეტის ინიციატივით დამყარებულ, ძლევის მანიის კასტური ეფექტის წარმომდგენი ინსტიტუციის იდეური ბაზისის (სამეფო ხელისუფლებასთან ასოცირებული ახალი კულტების სისტემის) მოსაშლელად იყენებს, რა დროსაც აიეტის მემკვიდრის, **აფსირტეს** დაღუპვა, აიეტის ინიციატივების სტაბილიზაციის აღკვეთას ასახავს და სამეფო ხელისუფლების დამხობაც ამ გარემოების შესაბამისია; მედეას ინიციატივებს ორმაგი ეფექტის რეალიზაციის ეპიცენტრი მდგრადობის კომპონენტის სივ-

რცეში გადააქვს, რასაც განასახიერებს იაზონთან ქორწინებაში ორი ვაჟიშვილის დაბადება, თუმცა, იქ ამ ინიციატივის ინსტიტუციონალიზაცია ვერ ხერხდება - მის შვილებს მემკვიდრეობის უფლებას არ აძლევენ - რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან მედეასა და იაზონის წყვილით წარმოდგენა ორმაგი ეფექტის რეალიზაციის არასიმეტრიულობას, არაოპტიმალურობას გამოხატავს - იაზონი ვერ არის მედეას ტოლფასი პარტნიორი, მას მხოლოდ მიეწერება მედეას ფარული მოქმედების შედეგების ავტორობა (ის მხოლოდ რეალური აქტორის ვინაობის დაფარვას ემსახურება) - მედეას კავშირი იაზონთან არა მართვის მანიისა და ძლევის მანიის ორმაგი ეფექტის რეალიზაცია, არამედ მხოლოდ მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში ორმაგი ეფექტის იმიტაციის მცდელობაა - მედეა, მისი ამოცანის განსაზღვრით არ შემოიფარგლება, როგორც სქესების ურთიერთმიმართების საკითხში მართვის მანიის პარადიგმითაა ნაკარნახევი (იხ. გვ. 140-141), არამედ, ვაჟის კომპეტენციად განსაზღვრულ, საპასუხო მოქმედების რეალიზაციის ფუნქციასაც, ფაქტობრივად, თავად ასრულებს, მისი ნამდვილი პარტნიორი მიჯაჭვული პრომეთეა, რომლის ძალას, მისი სისხლიდან აღმოცენებულ მცენარეებში მოხელთებულს, იყენებს თავისი ნებისამებრ - ასეთი მოდელის (არსით მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის) სტაბილიზაციის მცდელობის ამაოობას, უმომავლობას ასახავს მედეას და იაზონის შვილების დაღუპვის ფაქტი; დახოცილი შვილების სხეულების მედეას მიერ გატაცების იაზონის მიმართ შურისძიების გამოხატულებად წარმოდგენა, ანუ ნაცვალგების პრინციპით მოქმედ პერსონაჟად მედეას დასახვა, რაც ევრიპიდეს მიეწერება, ამ მითის ცხრომის მანიის პარადიგმის შესაბამისად ინტერპრეტაციის გამოხატულებაა, რასაც ეთანხმება ევრიპიდეს შესაბამისი ტრაგედიის შექმნის თარიღიც, რომელიც ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის მიწურულს ეკუთვნის; კორინთოდან წინასწარ დაგეგმილი გაქცევის შემდეგ, რა დროსაც შვილების სხეულების გატაცებას ახერხებს, მედეა რჩება ეგეიდაში, რაც ინიციატივის შენარჩუნების მცდელობაა და, ამდენად, ძლევის მანიის კლასის ერისადმი აროპტიმალური დამოკიდებულების წარსული პრაქტიკის არასასურველი შედეგების მომავალზე გავლენის აღკვეთის აუცილებლობასაც გულისხმობს, რაც მედეას მიერ საკუთარი შვილების არსებობის ფაქტიდან, როგორც მომავლის მდგომარეობის ჩანასახის შინაარსიდან, იაზონთან ასოცირებული მონეტის ჩამოშორებით შეიძლება გამოიხატოს და, ამდენად, ლოგიკურად ამართლებს მედეას საკუთარი შვილების დახოცვის მაპროვოცირებელი ქცევის ავტორად წარმოდგენას (სასიკვდილო ძღვენით მათ გაგზავნას სხვა მნიშვნელობას ვერ მივაწერთ): მას მკვდართა გაცოცხლების უნარი აქვს, ამდენად, რადგან იგულისხმება, რომ შვილებს სისხლი მამისგან გადაეცემათ, სისხლისგან დაცლით მათ მოცემულობას მხოლოდ მამისეული ნაწილი აკლდება (მამისეულ ადგილს, გაცოცხლების აქტში, შეავსებს პრომეთეული, ზემოთქმულის გათვალსიწინებით) და გაცოცხლების შემდეგ მხოლოდ დედის შთამომავლები - მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის პერსონიფიკაციები - იქნებიან რის ასახვადაც შეიძლება მივიჩნიოთ ის მითოსური ფაქტი, რომ მედეას შვილები - **მედოსი**, რომელიც იაზონისგან ნაშობად სახელდება, **მედეოსი**, რომელიც ეგეოსისგან ნაშობად

სახელდება, დედის სახელისგანაა ნაწარმოები: ცხადია, მედოსი და მედეოსი ერთმანეთთან უნდა გავაიგივოთ, მათი იდენტობის აღიარება კი ამ კონცეფციის სასარგებლო არგუმენტია. მედოსი **ეგეოსის** შვილი რომ ყოფილიყო, როგორც გვიანდელი ინტერპრეტაციების მიხედვითაა, თუმცა მას მოხუცად მოიხსენიებენ, მაშინ თეზევსის არგოსში დაბრუნება ვერ შექმნიდა მედეასთვის პრობლემას; მედეას ერთ-ერთი შვილის კუნძულ კერკირაზე ლომის მიერ დაგლეჯა, როგორც ერთ-ერთ ვერსიაშია, მათი გაცოცხლების შემდეგ მომხდარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ (მედეას შვილების დახოცვის ორი ვერსიის შეთანხმებაც მიიღწევა ამ კონცეფციით: მითის მიხედვით, კორინთელებმა ქვებით ჩაქოლეს სასიკვდილო ძღვენის მიმტანნი, მედეას კი სისხლი უნდა გამოეშვა მათი სხეულებიდან, როგორც ამას გაცოცხლება-გაახალგაზრდავების მისეული მაგიური პროცედურა მოითხოვდა, ხოლო მათი სხეულების გატაცება არა შურისძიების მაძიებლობით მოტივირებულ, არამედ წინასწარ გამზადებულ ადგილზე მათი გაცოცხლებისთვის აუცილებელ ნაბიჯად ისახება - კორინთოში ამას არ დაანებებდნენ); მედეასა და მედეოსის ათენიდან განდევნა ასახავს მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის შესაძლებლობის საბოლოოდ აღკვეთას ეგეიდაში და საამისო მცდელობის კვლავ კოლხეთში გადმოტანას, სადაც ისინი აღადგენენ კოლხეთში სახელმწიფოებრიობას, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარების მცდელობაში მედეოსი იღუპება, რაც ნიშნავს იმას, რომ კოლხეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მისი ინიციატივების შედეგი, მიდიის სახით, მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის გამოხატულება - მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზაციაა, მდგრადობის კომპონენტად აღმოსავლეთ კავკასიასა და ჰირიკანიაში ლოკალიზებული, ძლევის მანიის კლასის ერად იდენტიფიცირებადი ეთნოკონგლომერატით, რომელიც მოგვიანებით, ამ მითის ჩვენამდე მოღწეული ინტერპრეტაციის შექმნის ხანისეული (ეგეოსური ცივილიზაციის პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დროინდელი) მოცემულობის კარნახით, გაიგივებულ იქნა **მიდიელ** ერთან, რასაც ეთანხმება ამ ერის სახელის გეოგრაფიული (ტოპონიმური), ფუნქციურ წინაისტორიაზე მიმანიშნებელი წარმომავლობა (სხვათა შორის, ეს მითოსური ფაქტი ქართული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციური ცენტრის აღმოსავლეთ კავკასიაში გადმოტანის პირველი შემთხვევის ასახვაა და წარმოადგენს იმ ისტორიული ფაქტის ახსნასაც, რომ ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის განმავლობაში და ერთხანს ამის შემდეგაც, ევრაზიის სტეპიდან მომთაბარე ტომების კავკასიისა და ჰირიკანიის გავლით წინააზიაში შემოსვლა არ მომხდარა, რაც, გაიოზ ერაძისეული კონცეფციის შესაბამისად, ისტორიულად არსებული ინტერცივილიზაციური ბარიერის მოქმედების ამსახველია. აღსანიშნავია, რომ მეორედ, ამგვარი ინიციატივის ავტორი, "ქართლის ცხოვრებაში" ალექსანდრე მაკედონელის სარდლად დასახელებული **აზო**, რომელის ინიციატივის განვითარებად **ფარნავაზმა** დააარსა იბერია-ქართლის სამეფო, ელინურ ხანაში გაიგივდა **იაზონთან**, რაც წინა პრეცედენტის მედეას სახელთან კავშირის შესახებ ხსოვნის შედეგი უნდა იყოს); თავად ეგეიდაში მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში ახალ სტრატეგიაზე გადასვლის ამსახველია კორინთოდან ფივში

ჩასული მედეას მიერ **ჰერაკლეს** განკურნება სიგიჟისგან და **ევრისთევსის** სამსახურში ჩადგომაზე მისი დაყოლიება, საგმირო დავალებების შესრულებაში დახმარებისგან კი თავის შეკავება, რასაც ირიბ შედეგად მოსდევს მაქსიმალურად ოპტიმალური მნიშვნელობის ცვლილება - წამებისგან დახსნა და ზევსთან შერიგება **პრომეთესი,** როგორც მართვის მანიის ეფექტის აღმსრულებლობითი ასპექტისაც მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის მოდუსში გადასვლის ამსახველი მითოსური ფაქტი, რაც ხდება კავკასიაში და ვერ ხერხდება ეგეიდაში - ჰერაკლე ვერ ათავისუფლებს პრომეთეს მსგავსად კლდეს მიჯაჭვულ პეირითოეს (იხ. გვ. 93); მედეას მოქმედების იაზონისადმი სიყვარულით მოტივირებულ ქცევად მიჩნევა ცხრომის მანიის პარადიგმის შეასაბამისად ინტერპრეტაციის ელემენტია და არა მითის საწყისი ვერსიისა, რასაც გვკარნახობს ისიც, რომ მედეამ იაზონთან იქორწინა მხოლოდ მაშინ, როცა ფეაკთა მეფის მოთხოვნით აუცილებელი გახდა ამ ნაბიჯის გადადგმა, საწმისის კოლხეთში დაბრუნების ასაცილებლად: ეგეოსური ცივილიზაციის პირველ ორმაგი ეფექტის ფაზაში, როცა ეგეოსურ ცივილიზაციას ჯერ არ ჰქონდა ცხრომის მანიის ეფექტის აქტუალიზაციის წინაისტორია, **აფროდიტე**, როგორც ოლიმპიელ ქალღმერთთა უმაღლესი სამეულის წევრი, შეიძლებოდა ყოფილიყო განსახიერება არა სიყვარულისა, როგორც პირველსაწყისთაგანის, არამედ მართვის მანიის პარადიგმის მიხედვით ქალის უმაღლესი შესაძლო სტატუსისა საზოგადოებაში, რადგან **ჰერა** - აბსოლუტური თვითმპყრობელის გავლენით დაცულობის განსახიერება და **ათენა** - სამართლიანი უმფარველო ძლევამოსილების განსახიერება საზოგადოებაში, შესაბამისად, ფორმის მანიისა და ძლევის მანიის პარადიგმების მიხედვით, ქალის უმაღლეს შესაძლო სტატუსების პერსონიფიკაციებს წარმოადგენენ, ამდენად, ის (აფროდიტე) მედეას არა მოწინააღმდეგედ, არამედ მოკავშირედ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (რადგან, მართვის მანიის პარადიგმის მიხედვით, ქალის ფუნქცია სიტუაციის იდენტიფიკაცია, ამოცანის განსაზღვრა და მისი შესაბამისად წარმოდგენა-ტრანსფარაციით საპასუხო მოქმედებისთვის სათანადო უნარის მქონე ვაჟის მოტივირებაა, მედეასადმი, მისი სტატუსის გათვალისწინებით, დახმარება პელიასისთვის იაზონის კოლხეთში სათანადო დავალებით გამოგზავნის განზრახვის ჩაგონებაში და მედეას იაზონის შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებაში და მისადმი ნდობით განწყობაში შეიძლებოდა გამოხატულიყო, რაც სრულიად საპირისპიროა სიყვარულით ნებელობის შემზღუდვისა); ეგეოსურ ცივილიზაციაში, მხოლოდ მისი პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის დასასრულისთვის იყო შესაძლებელი მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის ინსტიტუციური სტაბილიზაციის შეუძლებლობის გამოცდილების გაჩენა და ამრიგად, აფროდიტეს სხვა სტატუსში წარმოდგენისთვის პირობების შექმნა: ეგეოსური ცივილიზაციის მორიგი ფაზის რომელობის გათვალისწინებით (რომელიც იყო პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა), სიყვარულის ქალღმერთის სტატუსი, ანუ სქესებს შორის ურთიერთმიზიდულობის წყაროს პერსონიფიკაციად დასახვა, აფროდიტეს, მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის მესამე ნოოტიპური მოდუსის განსახიერებად აფიქსირებს, რითაც ქალღმერთთა უმაღლესი სამეული ხდება სრული, ცხრომის მანიის პარადიგ-

მის მიხედვით კი, სიყვარულის ქალღმერთად აფროდიტეს დასახვა, ცხრომის მანიის პარადიგმით სიყვარულის ფუნდამენტურ ონტოლოგიურ პრინციპად წარმოდგენის გათვალისწინებით (იხ. გვ. 67), ცვლის სამეულის დანარჩენი ორი წევრის მნიშვნელობასაც და მათ საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელ პირველსაწყისთაგანთა - შესაბამისად, ინსტიტუციური ფაქტორისა და ძალის ფაქტორის - პერსონიფიკაციებად სახავს. ამრიგად, ე. წ. პარისის სამსჯავრო გააზრებადია ორგვარად.

- მართვის მანიის ეფექტის რეალიზაცია შეიძლება სრულიად უშედეგოობის პირობებშიც გაგრძელდეს, რადგან საამისო მცდელობასთან დაკავშირებული დანახარჯები შეიძლება ფარული სუბიექტის მიმართ გაცემის აქტის რეალიზაციად შეფასდეს - **"სიზიფეს სინდრომი": სიზიფე** წარმოდგენილია სიტუაციური მოტივაციით მოქმედ გმირად, ხოლო მისი სასჯელის ხასიათი მოჯადოებული წრის გარღვევის, ან გასაცემად შეუძლებლის გაცემის შეუჩერებელ, მაგრამ წარუმატებლობისთვის განწირულ მცდელობად წარმოგვიდგება, რაც მართვის მანიის ეფექტის, შესაბამისად, ცხრომის მანიის ეფექტის, ან ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციად გადაგვარების, ანუ მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში დაუძლეველი შეფერხების გამომხატველია და ადეკვატურად მიგვანიშნებს ეგეოსური ცივილიზაციის ეგეიდურ ნაწილში ფაქტობრივად მუდმივად არსებულ პრობლემაზე; მითის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სამეფო ხელისუფლება სიზიფეს მედეასგან გადაეცემა და ეს ხდება, სწორედ კორინთოში, რომელიც მართვის მანიის ეფექტის სტაბილიზაციის ჩაშლილი მცდელობის ადგილადაა წარმოდგენილი.

- რადგან, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის დადგომამდე, მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის ეფექტურობა მიღწევადია მხოლოდ ხანმოკლე (იმპულსურ) ინიციატივებში, მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტისთვის ოპტიმალურობა ენიჭება მის ფაქტობრივად ფარულ არსებობას - **"პარისის სინდრომი": პარისი** საზოგადოებისთვის უცნობი შვილია **ტროას** მეფისა - ტროას სახით წარმოდგენილი და ჰექტორით პერსონიფიცირებული ინსტიტუციების გარეთ დგას; **პარისის** მიერ **ჰერასა** და **ათენას** შეპირებების - შესაბამისად, მთელ აზიაზე სამეფო ხელისუფლებისა და სამართლიან ომებში უდიდესი სახელის მოხვეჭის - საწინააღმდეგოდ, უპირატესობის **აფროდიტეს** შეპირებისადმი მინიჭებით, ვაჟის ღირსების შემფასებელ უზენაესი ინსტანციის სტატუსის ქალის კომპეტენციად აღიარებას გამოხატავს, რაც სქესების ურთიერთმიმართების საკითხში მართვის მანიის პარადიგმის შესაბამისია (როგორც აღინიშნა, მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი და სხვა ნოოსფერულ სტიქიათგან განსაკუთრებით განმასხვავებელი ელემენტი, სწორედ, სქესების ურთიერთმიმართების საკითხია); პარისმა დაიხსნა **ელენე** სქესების ურთიერთმიმართების ასპექტით მართვის მანიის პარადიგმასთან შეუთავსებადი მდგომარეობისგან (იხ. "ელენეს სინდრომი" გვ. 93), არა ელენეს მითითებით, არამედ ელენეს მდგომარეობით განსახიერებული ამოცანის საპასუხოდ საკუთარი ნებისამებრ მოქმედებით, როგორც მოითხოვს ამას მართვის მანიის პარადიგმა; პარისი, მიუხედავად გამორჩეული გმირებისთვის დამახასიათებელი უნარებისა,

რასაც ადასტურებს სამხედრო ტურნირში გამარჯვება, როცა თავად ჰექტორი დაამარცხა და თვით უდიდესი მებრძოლის, აქილევსის, მისი ხელით სიკვდილია და მიუხედავად რადიკალური გადაწყვეტილებების მიღების უნარისა (არ მოერიდა ათენას და ჰერას განაწყენებას, სპარტელებს მოსტაცა ელენე) თავს არიდებს საჯაროდ ინიციატივის აღებას: სამხედრო ტურნირში მონაწილეობა იძულებითი იყო, ელენე ფარულად, ძალის გამოუყენებლად გაარიდა სპარტას; პარისი არ ღებულობს მენელაოსის გამოწვევას (ჰექტორის წაქეზებით მენელაოსთან მისი შერკინების აქტი არ შეესაბამება მითის ლოგიკას და გვიან, ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში, ჩამატებულ მომენტად უნდა ჩაითვალოს), რადგან ამგვარი ნაბიჯი იქნებოდა **ელენეს** ნების ნიველირება, ვაჟის შემფასებელ უმაღლესი ინსტანციის სატატუსის ქალის კომპეტენციად აღიარების უარყოფა, ვაჟების ღირსების მათი უშუალო ურთიერთშეჯიბრის შედეგით განსაზღვრის პრინციპის აღიარება, ანუ პრაქტიკაში მართვის მანიის პარადიგმის ძლევის მანიის პარადიგმით შეცვლა, რაც დასაშვებია მხოლოდ მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირ რეალიზაციაში, ანუ შეუთავსებადია **პარისის** სტატუსთან და შესაბამისია **აქილევსისა** და **ჰექტორის** სტატუსებისა; მენელაოსის გამოწვევის არმიღება ვერ ჩაითვლება ომის დასრულების ჩაშლად - მენელაოსის მოკვლით ომის შეჩერება ვერ მოხერხდებოდა - რადგან, ელენეს ქმრად მისი არჩევისას დადებული ხელშეკრულების ძალით, ელენეზე მისი უფლება გადაეცემოდა მის მრავალრიცხოვან საქმროთაგან (რომლებიც მიკენური კოალიციის ბირთვს წარმოადგენდნენ) რომელიმეს, ასე, რომ სიტუაციის ლოგიკის შესაბამისია პარისის მიერ შერკინების წინ მენელაოსის ფარულად ისრით დაჭრა, რაც, ამასთანავე, მწყობრში ახლად ჩადგომისთვის აღდგენის პროცესის გავლის აუცილებლობის გათვალისწინებით, **მენელაოსის** სტატუსის კორექციის პროცესის ინიციირებასაც ნიშნავს (იხ. "მენელაოსის სინდრომი"); მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის თავის მდგრადობის კომპონენტში ასიმილაციით, ან ამგვარ სხვა ერთეულებთან კონფლიქტში მისი განადგურებით (რასაც ჰექტორის სიკვდილი განასახიერებს), მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტა კარგავს ფარულად არსებობის შესაძლებლობას, რასაც მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში **აქილევსით** (იხ. "აქილევის სინდრომი" გვ. 91) განსახიერებული ალტერნატივის პროდუქტიულობის დამჩრდილავი შედეგი - მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის დისკრეტული პრეცედენტები - შეიძლება მოჰყვეს, რაც ასახულია პარისის ხელით აქილევსის სიკვდილის მითოსურ ფაქტში; ხოლო, **ჰერაკლესეული** ისრისგან მიყენებული ჭრილობით (პროგრესის განმასახიერებელი კენტავრების მსგავსად) თავად პარისის სიკვდილი, განასახიერებს მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის სტაბილიზაციის (მართვის მანიის ეფექტის ხარისხობრივი განვითარების) შეუძლებლობას ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე (მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციამდე), რაც გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის გარეშე მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტის არსებობის შეუძლებლობას ასახავს.

- გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებს შორის ურთიერთკონკურენციის გამწვავების ხელშემწყობია, გარდა მართვის მანიის კლასის ერის ცივილიზაციური ფუნქციის აქტუალიზაციისკენ მისწრაფებისა, ის გარემოებაც, რომ მართვის მანიის კლასის ერის

გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის წევრებისთვის მდგრადობის კომპონენტად დაფიქსირებული ერის ინტერესების დაცვა გაცემის აქტის სუბიექტებად თვითრეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი (მართვის მანიის ნოოტიპის ერის ცივილიზაციური ფუნქციის აქტუალიზაციასთან თავსებადი) ასპექტია და მდგრადობის კომპონენტების ინტერესების კონფლიქტის საფუძველზე, შეიძლება ომშიც გადაიზარდოს (როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის მაგალითზეც სჩანს) და მართვის მანიის კლასის ერის საარსებო საფრთხედაც კი იქცეს - **"აქილევსის სინდრომი":** ტროას წინააღმდეგ ომში **აქილევსის** მონაწილეობა განასახიერებს **პელაზგურ** სამყაროში არსებულ მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტის ინტერესების გასატარებლად მოქმედებას, რასაც ნაწინასწარმეტყველები გარდაუვალი სიკვდილის წინაშე არშეჩერება გაცემის აქტის უკიდურესი ხარისხით რეალიზაციის მნიშვნელობას ანიჭებს; ტროას ომი არის მართვის მანიის კლასის ერის ორი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის (ან ამგვარი დაწინაურებული ერთეულის და სხვა დანარჩენთა კოალიციის) კონფლიქტი მათი მდგრადობის კომპონენტების, შესაბამისად, **აქავურ-მიკენურ-დორიული** სამყაროს სახით და **ხეთურ-ლუვიური** სამყაროს სახით, ინტერესების კონფლიქტის საფუძველზე; **ჰექტორის** შემდეგ, მცირე ხანშივე **აქილევსის** სიკვდილი ასახავს იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მიერ თავისივე ერში სხვა ამგვარ ერთეულთა განადგურებით, რაც მდგრადობის კომპონენტების ინტერესების შესაბამისად მოქმედების ლოგიკამ შეიძლება მოიტანოს, თავად ამ, გამარჯვებული ერთეულის ლიკვიდაციის (ფუნქციის აღკვეთის) პირობა იქმნება: მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს, მხოლოობაში დარჩენილს, არ შეუძლია გაცემის აქტის მნიშვნელობის ქცევით გააგრძელოს მისი მდგრადობის კომპონენტის ინტერესების გატარება სხვა ერთან ურთიერთობაში, თუ იმ ერთან არ იქნება ასოცირებული ამავე მართვის მანიის კლასის ერის სხვა გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი, რომლის შეერწყმის გამომხატველი დანაკლისიც ჩაითვლება ამ მართვის მანიის კლასის ერის მიერ გაცემულ რაობად, გამცემ სუბიექტად ამ დანაკლისის მიმყენებელ გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის დაფიქსირებით, ხოლო გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ლიკვიდაციის შემთხვევაში, მართვის მანიის კლასის ერს ცივილიზაციის ინტერესების გამტარებელი სუბიექტის როლშიღა ექნება გაცემის აქტად შეფასებადი აქტივობით თვითრეალიზაციის საშუალება, რაც შეუძლებელია ნოოფილოგენეზის მეოთხე სფეხურის სტაბილიზაციამდე, ასე, რომ ამის მიღწევამდე გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების უკიდურეს ზღვრამდე ურთიერთშეერწყმის ტენდენციის აღკვეთა საარსებოდ აუცილებელია მართვის მანიის კლასის ერისთვის, რისიც დესტრუქციის გარეშე განხორციელებაში მართვის მანიის ეფექტის უფრო მაღალი ხარისხის რეალიზაცია იგულისხმება და, როგორც აღინიშნა, სწორედ ამას ასახავს **პარისის** - მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის პერსონიფიკაციის (თუმცა, სპონტანური, ხანმოკლე გამოვლენებში - იხ. "პარისის სინდრომი") - ხელით სიკვდილი **აქილევსისა;** მართალია, თავად აქილევსის ქცე-

ვაშიც არის მართვის მანიის ეფექტის პირდაპირ რეალიზაციასთან ასოცირებადი მომენტიც - ტყვე ქალის, ბრიზეიდას (ჰიპპოდამიას) გამო აქილევსის დაპირისპირება **აგამემნონთან**, ძლევის მანიის კლასის ერის პერსონიფიკაციასთან, როცა აქილევსმა უკან დაახევინა აგამემნონს და დაიხსნა მასზე (აქილევსზე) შეყვარებული ქალი, თანაც მართვის მანიის ეფექტის გამოხატულებად იდენტიფიცირებადი ქცევით (ობიექტზე ძალისმიერი ზემოქმედების გარეშე) მაგრამ, ამ სპონტანური გადახრის ტროელების წინააღმდეგ აქილევსის მტრული მოქმედების განახლებით გაგრძელება, აქილევსის ქცევას ტოვებს მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის ჩარჩოებში - მის განდგომას აქცევს სამხედრო ნადავლიდან კუთვნილი წილის მიღების უზრუნველყოფის წარმატებული მცდელობისა და გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მიერ მისი მდგრადობის კომპონენტის წინაშე ინიციატივის დაუფლების მომტან მოქმედებად.

- მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგომარეობის ცვლილების (ოპტიმალურობა-არაოპტიმალურობის) მიხედვით იცვლება მისი მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზებული ერის მდგომარეობის შინაარსში ამ მომენტის (მდგომარეობის კომპონენტის სტატუსის) მნიშვნელობა - **"მენელაოსის სინდრომი": მენელაოსის** ცოლის სტატუსში **ელენეს** მდგომარეობა სქესების ურთიერთმიმართების საკითხში მართვის მანიის პარადიგმასთან შეუთავსებადი მომენტით - მამაკაცების ჯგუფის კოლექტიური უფლებისადმი მისი დაქვემდებარებულობით - ხასიათდება (ის თეზევსის ტყვეობიდან მისი დამხსნელი გმირების ჯგუფს შიშველი უნდა ჩვენებოდა), რითაც განასახიერებს პელაზგური სამყაროში მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის უკიდურესად შევიწროებულ მდგომარეობას, ადეკვატურად ასახულს, ასევე, მისი მდგრადობის კომპონენტის პერსონიფიკაციის, **მენელაოსის** მიერ **აგამემნონისადმი**, აქაურ-მიკენური-დორიული სამყაროს სახით წარმოდგენილი ძლევის მანიის კლასის ერის პერსონიფიკაციისადმი სრული თვითდაქვემდებარების მითოსური ფაქტით, რაც ნიშნავს ძლევის მანიის კლასის ერის ისეთ მდგომარეობას, რომელშიც მდგრადობის კომპონენტად მისი აქტუალიზაციის მომენტი მისი თვითრეალიზაციის შინაარსის სხვა მომენტებისგან განურჩეველია, იდენტიფიცირებადია ერთ-ერთ რიგით მონაპოვრად - მისი გავლენის მის გარეთ გავრცელების გამოხატულებად; მაგრამ ომის დასასრულს **აგამემნონთან** განხეთქილება (რისი ინიციირებაც ათენას, სამართლიანი ომის ქალღმერთს მიეწერება) და ტროადან მათი ცალ-ცალკე გამომგზავრება მიმანიშნებელია მდგომარეობის ფუნდამეტურ ცვლილებაზე: **აგამემნონის** შინ დაბრუნებისთანავე ტრაგიკულად დაღუპვა და, ამრიგად, მისი სტატუსის მემკვიდრედ დარჩენილი **მენელაოსის** ხანგრძლივი მოგზაურობის მშვიდობიანად დასრულება ასახავს მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტის სტატუსის ძლევის მანიის კლასის ერის მდგომარეობის სრულ შინაარსად გადაქცევას, რაც ნიშნავს ამ ერის მიერ მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად გასნხვავების მატარებელი ჯგუფისთვის ინიციატივის დათმობას - ომამდელი ტროას ვითარების სპარტაში გადმოტანას.

- თავისი მდგრადობის კომპონენტისადმი სრული დაქვემდებარებულობის პირობებში, მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების ჯგუფის თავის მდგრადობის კომპონენტში სრული ასიმილაციის საფრთხე (ინიციატივის ფლობის გარეშე არსებობას ვერ ექნება გაცემის აქტის მნიშვნელობა) წარმოშობს ამგვარი მდგომარეობის სტაბილიზაციის არიდან თავის დაღწევის მისწრაფებას, მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენელი ელემენტის (მისი ნოოტიპური ელიტის ნაშთის) განწყობაში - **"ელენეს სინდრომი"**: ეგეიდაში ძლევის მანიის ეფექტის ინტენსიფიკაციის შედეგად, მართვის მანიის ეფექტის შევიწროება, ასახული თეზევსის მიერ მედეას ეგეიდიდან განდევნით, ეგეოსური ცივილიზაციის თანადროულ ფაზაში ვერ მივიდოდა მართვის მანიის ეფექტის სრულ ლიკვიდაციამდე, გარდაუვალი იყო მისი არაპირდაპირი რეალიზაციის მოდუსში მაინც, დაუყოვნებლად აღორძინება, რასაც ასახავს თეზევსის იძულებითი დამეგობრება **პეირითოესთან,** ამ უკანასკნელის ინიციატივით, რასაც მოსდევს მათ მიერ ელენეს მოტაცება და დატყვევება, მართვის მანიის ეფექტის ფენომენების ახალი სტატუსის გამოხატულებად, (მედეას ალტერნატიული ჩანაცვლება), რასაც შეესაბამება შემდგომ სპარტაში დაბრუნებული ელენეს მდგომარეობაც (ელენეს მოტაცება, ძალით მოპოვებულზე უფლების მაღიარებლობის პრინციპის, ანუ ძლევის მანიის ეფექტის, გამოხატულებაა და მართვის მანიის ეფექტის მხოლოდ არაპირდაპირი რეალიზაციის მნიშვნელობის მომენტად შემცველი შეიძლება იყოს), ხოლო ჰადესის მიერ ძალით მოტაცებული პერსეფონეს დახსნა-მოტაცების მცდელობა მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის ინიციირების, ანუ მედეას ინიციატივის განმეორების, მცდელობის ამსახველია, რასაც იმ ეტაპზე აღკვეთა ვერ ასცდებოდა - თეზევსი და პეირითოესი ჰადესის ტყვეობაში აღმოჩნდნენ - ასე, რომ მართვის მანიის ეფექტის ფენომენების სტატუსი ელენეს მდგომარეობით წარმოდგენილს ვერ გასცდა); ელენე ილტვის პელაზგურ სამყაროში (მის ევროპულ ნაწილში) არსებული მართვის მანიის კლასის ერის ერთი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის სივრციდან და პელასგურ სამყაროშივე (მის აზიურ ნაწილში) არსებულ მეორე ამგვარ ერთეულს აფარებს თავს, რომელიც თავისი მდგრადობის კომპონენტის წინაშე ინიციატივას ინარჩუნებს; მართვის მანიის პარადიგმის შესაბამისად, ელენე სასურველ შედეგს აღწევს არა საკუთარი, არამედ, მისი რჩეული ვაჟის, **პარისის** ძალისხმევით, რაც, პარისის სტატუსის გათვალისწინებით ("იხ. "პარისის სინდრომი") მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის პრეცედენტის ამსახველია; მართვის მანიის ეფექტის აქტუალობის არეში მართვის მანიის კლასის ერის წარმომადგენელი ელემენტის დანაკლისის გაჩენა (ელენეს ლტოლვილობის მითოსური ფაქტით ასახული მდგომარეობა), ამ დანაკლისის შევსების მცდელობის გამოხატულებად, წარმოშობს (ან აძლიერებს) ექსპანსიონისტურ განწყობას (გაფართოება მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა) და იმავე არეში მართვის მანიის კლასის ერის შემორჩენილი ელემენტების მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმების (ოპტიმუმიდან უფრო მეტად გადახრის) დაუძლეველ პირობას ქმნის, რასაც ასახავს ტროას წინააღმდეგ ომში ჩართვისგან თავის არიდების **ოდისევსისეულ** და **აქილევ-**

სისეულ მცდელობათა ჩაშლა; მართვის მანიის ეფექტის ფენომენის დანაკლისით (ელენეს ნაბიჯით) ინიციირებული ექსპანსიის წარმატება მართვის მანიის კლასის ერისთვის საარსებო საფრთხეა, მაგრამ მისი ქმედუნარიანობის უმძაფრესად გამოვლენის (უკანასკნელი გამონათების) შესაძლებლობასაც ქმნის, რაშიც შესაბამისი მისი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მიერ მდგრადობის კომპონენტად წარმოდგენილი ერისგან, ექსპანსიის მცდელობაში ინიციატივის მიტაცება იგულისხმება, თუმცა, ინიციატივისთვის ამგვარი შეჯიბრი, ცხადია, კატასტროფის თვითდაჩქარებასაც ნიშნავს, რასაც ადეკვატურად ასახავს აქილევსისეული არჩევანიც - ხანმოკლე, მაგრამ სახელიანი ცხოვრება; როგორც აღინიშნა, აგამემნონთან სპონტანურ დაპირისპირებაში აქილევსის გამარჯვება, მართვის მანიის კლასის ერის მდგრადობის კომპონენტის მიერ ძლევის მანიის კლასის ერისგან ინიციატივის მიტაცების ფაქტის ამსახველია, რამაც პელაზგი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებს შორის ბრძოლა უფრო გაამწვავა და მართვის მანიის კლასის ერის არსებობის გასაგრძელებლად მოვლენათა ახალი მიმართულებით განვითარების აუცილებლობა შექმნა, რასაც ასახავს ტროას წინააღმდეგ მოქმედი კოალიციის ლიდერის როლში **აქილევსის** შეცვლა **ოდისევსით** (მას ერგო აქილევსის საჭურველიც). მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების მთავარი ხაზი **"ოდისეას"** თემაა, ხოლო, იმავე პროცესის მდგრადობის კომპონენტის მდგომარეობის ასპექტით გადმოცემად, როგორც აღინიშნა, წარმოგვიდგება **მენელაოსის** ხანგრძლივი მოგზაურობა შინისაკენ.

- მართვის მანიის კლასის ერის არაპირდაპირი თვითგამოხატვა, თავის უმაღლეს რეალიზაციაშიც კი, რაც მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტის ოპტიმალურ საარსებო გარემოდ ქცეული, თავისი მდგრადობის კომპონენტთან თანხმობაში მყოფ გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფით მოიცემა, მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციაში პროდუქტიულობით მაინც ბევრად ჩამოუვარდება მართვის მანიის კლასის ერის პირდაპირ თვითგამოხატვას, რის გამოც გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების კონკურენციის გამწვავებისას რომელიმე მათგანში შეიძლება გაჩნდეს მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის გამომხატველი მდგომარეობისკენ გადახრა-მისწრაფება და, რადგან, მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის ინსტიტუციონალიზაცია ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის დადგომამდე შეუძლებლია, ამგვარი ტენდენციის სტაბილიზაციას დაქვემდებარებული გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი (ინსტიტუციური ფენომენი), თუმცა საუკეთესო გარემო ხდება მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტისთვის, მაგრამ კარგავს თავის მდგრადობის კომპონენტთან მიმართებაში ინსტიტუციურ ადეკვატურობას და, შედეგად, მხარდაჭერას თავისი მდგრადობის კომპონენტის მხრიდან, რის გამოც ამგვარი გადახრის არდამშვება გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთან კონკურენციაში დამარცხებას ვერ აიცილებს - **"ჰექტორის სინდრომი":** ძლევამოსილი **ჰექტორი** პერსონიფიკაციაა ტროას ომის წინ პელაზგურ სამყაროში მართვის მანიის კლასის ერის დაწინაურებული გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისა, მდგრადობის კომპონენტად ხეთურ-ლუვიური სამყაროთი, მაგრამ მას

სამხედრო ტურნირში ამარცხებს **პარისი,** გაცემის აქტის მნიშვნელობის ქცევის რეალიზაციაში (სამსხვერპლოდ არჩეული საყვარელი ხარის გადასარჩენად გამოსული საასპარეზოდ, რითაც უნებლიედ ამჟღავნებს თავის ვინაობას); **ელენეს** არჩევანის ლეგალურ დამცველის სტატუსში, **ჰექტორი,** თავად გვევლინება გაცემის აქტის მნიშვნელობის ქცევის ავტორად, ამგვარი ცვლილების აცილების (ელენეს ლეგალურ დამცველად პარისის გამოსვლის პროვოცირების - იხ. "პარისის სინდრომი") მისმიერი მცდელობის ჩაშლის შემდეგ, და ამგვარად, მისით პერსონიფიცირებული გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციისკენ გადახრის ტენდენციის ვერ შეჩერების შედეგად, ამ ტენდენციის სტაბილიზაციის შეუძლებლობის გამოხატულებად, იღუპება **აქილევსთან შერკინებაში**, რომელიც, **აგამემნონთან** (მდგრადობის კომპონენტის პერსონიფიკაციასთან) სპონტანურ კონფლიქტში გამარჯვების შემდეგ კვლავ ტროელთა წინააღმდეგ (ანუ, ელენეს არჩევანის წინააღმდეგ) მოქმედების განახლებით, მისით პერსონიფიცირებული გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მოქმედებაში მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციისკენ გადახრის მხოლოდ საკუთარი მდგრადობის კომპონენტის წინაშე ინიციატივის დაუფლების მიღწევით შემოფარგვლისა და მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის ჩარჩოებში დარჩენის გამომხატველად ფიქსირდება - როგორც აღინიშნა; ამ გარემოების ასახვაა თავისი უკანასკნელი ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში, ჰექტორის მხარდამჭერის გარეშე დარჩენა მაშინ, როცა, აქილევსს ათენა, მდგრადობის კომპონენტის მხარდაჭერის გამოხატულებად, აწოდებს დამატებით შუბს; ჰექტორის სიკვდილი მისით პერსონიფიცირებული გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ლიკვიდაციის სიმბოლოა - ჰექტორის შემდეგ ტროელთა ბანაკის ლიდერებად არატროელი გმირები, ყოფილი (შეუქცევადი მილევის გზაზე დამდგარი) გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტებად აქტუალიზებული სამყაროს პერსონიფიკაციები გვევლინებიან.

- პარისის სიკვდილით პელასგური სამყაროს აზიურ ნაწილში მართვის მანიის ეფექტის რამენაირი (არაპირდაპირი თუ პირდაპირი) რეალიზაციის სიმპტომების არსებობა წყდება, **ჰექტორით** პერსონიფიცირებული ყოფილი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ეთნიკური ნაშთები ასიმილირებულია მდგრადობის კომპონენტში - **"დეიფობის სინდრომი": დეიფობი, პარისთან** მოქიშპე მისივე ძმა, **პარისის** სიკვდილის შემდეგ ცოლად ირთავს **ელენეს,** ამ უკანასკნელის ნების იგნორირებით, რასაც ავლენს ტროას დაცემისას, ანუ უკვე სხვა გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის სივრცეში, **ელენეს** მიერ **დეიფობის** მოკვდინება - იგულისხმება, რომ უკვე მხოლოდ გამარჯვებულ გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფშია შესაძლებელი მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტის არსებობა, ის ხომ, უკვე **ოდისევსით** პერსონიფიცირებული, შესაბამის ცვლილებებს განიცდის (იხ. "ოდისევსის სინდრომი").

- მართვის მანიის კლასის ერის არაპირდაპირი თვითგამოხატვის ოპტიმუმი არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობაა, რომლის დარღვევა თავად მართვის მანიის კლასის

ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ინიციატივითაცაა შესაძლებელი, მისით წარმოდგენილი მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციის ხარისხის მისი არაპირდაპირი რეალიზაციიდან პირდაპირ რეალიზაციაში გადაზრდით ამაღლების საცდურის გავლენით, რასაც, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციამდე, ჩიხი და უკუქცევის მცდელობაში გადაზრდა ვერ ასცდება - **"პალამედეს სინდრომი":** პალამედე ეწირება ტროას ომის შეჩერების მცდელობას, რომლის გაჩაღებაშიც უდიდესი წვლილი თავად მას ერგო, დასძლია რა ამ პროცესზე ოდისევსის შემფერხებელი გავლენა; მისი მოქმედება, არაძალისმიერია, ინერპრეტირებადია მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციად, მსგავსად ოდისევსის მოქმედებისა, ეფქტურობით კი (ოდისევსის სტატუსის - შეცვლამდე) აღემატება ამ უკანასკნელს, როგორც მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაცია - არაპირდაპირს.

- როდესაც მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზებული ერების სიმრავლეზე მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი ინსტიტუციური რეალიზაცია შეუძლებელია (და ეს ასეა ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის დადგომამდე), მართვის მანიის კლასის ერის არსებობის გასაგრძელებლად აუცილებელი ხდება მისი ერთი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მაინც, თავის მდგრადობის კომპონენტში ასიმილაციის ტენდენციის შეჩერება, თუნდაც ყველა სხვა ამგვარი ერთეულის განადგურების ფასად (რისკენაც მათი კონკურენციული ურთიერთდაპირისპირების შეჩერების მოთხოვნა უბიძგებს), და ამ ერთის მაინც მართვის მანიის კლასის ერის ნოოტიპური ელიტის ოპტიმალურ საარსებო გარემოდ ჩამოყალიბების ტენდენციის სტაბილიზაცია, რაც მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის პრეცედენტების გარეშე შეუძლებელია - **"ოდისევსის სინდრომი": "ოდისეა"** არის სპარტაში **ელენეს** ქმრობის მოსურნე გმირებს შორის, ელენეს მათი კოლექტიური უფლებისადმი დამქვემდებარებელ, სქესების ურთიერთმიმართების საკითხში მართვის მანიის პარადიგმასთან შეუთავსებად სტატუსში ჩამყენებელი გარიგების შედგომით დარღვეულ, საწყის მდგომარეობაში უკუქცევის პროცესის სიძნელეებისა და ამ პროცესის წარმატებით დასრულების აღწერა - ოდისევსი გმირებისგან განცალკევებულად, დამოუკიდებლად იკვლევს გზას შინისაკენ, სადაც ხოცავს მდგრადობის კომპონენტის განმსახიერებელ, **პენელოპეს** ქმრობის მოსურნე მამაკაცთა გუნდს, ანუ სპობს **ელენეს** შემთხვევაში დესტრუქციული გარიგების დადების წინაპირობად ქცეულის ანალოგიურ მოცემულობას და აცილებს ერთგულ მეუღლეს ძალდატანებას; უკუქცევის მცდელობაში გარდატეხის ეტაპია **ოდისევსის** შეხვედრა **კირკესთან** - ოდისევსის თანამგზავრების ტახებად გადაქცევა, მითის სიუჟეტის მიხედვით, მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის გამოცდილების აღდგენად ("ჰორის სინდრომის" აქტუალიზაციად) იდენტიფიცირდება (ტახი მართვის მანიის პარადიგმის ასახვაში ერთ-ერთი მთავარი ტოტემაა - იხ გვ. 104), ხოლო თავად ოდისევსის ტახად ვერ გადაქცევა, როგორც მის მიმართ "ჰორის სინდრომის" არააქტუალობის ასახვა, შესაბამისობაშია ოდისევსის პელაზგურ სამყაროში მართვის მანიის კლასის ერის მუდმივად შემორჩენილი ელემენტის პერსონიფიკაციად წარმოდგენასთან; ამ ელემენტის

თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებაა ოდისევსის მიერ ტროას ომისგან (ხსენებულ კრიტიკულ ზღვარამდე გადახრის მომტანი აქტისგან) თავის არიდების მცდელობა და მისი სიძულვილი **პალამედის** მიმართ, რომელმაც ჩაშალა მისი ეს მცდელობა; ამ ელემენტის არ ჩაქრობის და რყევების მისი ნოოტიპური ტრანსფორმაციის აცილებით მიმდინარეობაზე მიმანიშნებელია ისიც, რომ პენელოპეს არ მოუშლია მათი საქორწინო საწოლი, რომელიც - გიგანტური ხის გადაჭრილი ცოცხალი ძირი - სქესობრივი საწყისების ფუნქციისა და ურთიერთმიმართების მართვის მანიის პარადიგმის შესაბამისად წარმოდგენის ამსახველია (იხ. გვ. 102), და რომ ეს ახსოვს ოდისევსსაც (რითაც სცნობს მას პენელოპე). ასე, რომ მდგომარეობა, რომელსაც საბოლოოდ ოდისევსი ამყარებს, არის არა რაღაც ახალი, არამედ სწორედ ის, რომელიც დაირღვა ელენეს ხვედრის გადამწყვეტი დესტრუქციული გარიგებითა და მის შედეგად განვითარებული მოვლენებით.

ცხადია, ამ მითოსური პერსონაჟების მითოლოგიური ფუნქცია არ ამოიწურება აქ მათ სახელებთან ასოცირებული ცნებებათა შინაარსებით. ეგეოსური მითოსის მნიშვნელოვანი ასპექტია მასში **"ეგეოსური ცივილიზაციის"** (იხ. §3.2) ფაზების ცვლის ასახულობაც.

აქ წარმოდგენილ მოკლე განხილვით "არგონავტიკასა" და "ილიადა და ოდისეას" შორის გამოვლენილი კავშირი - ის, რომ ორივე მათგანის ძირითადი თემაა მართვის მანიის კლასის ერის თვითრეალიზაციის პრობლემურობა - არაშემთხვევითია, გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ "არგონავტიკა" ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისის (სტაბილიზაციის ეტაპის) ამსახველია, "ილიადა და ოდისეა" კი ამავე ფაზის მიწურულს ასახავს. "ილიადა და ოდისეა" გახდა ეგეოსური ცივილიზაციის არსებობის გამგრძელებელ მოვლენათა ნაკადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის (დაახლოებით, ქრისტეშობამდე 430 - ქრისტეშობიდან 180 წლები), უმთავრესმა აქტორმა - ძლევის მანიის კლასის რომაელმა ერმა და მართვის მანიის კლასის ეტრუსკმა ერმა თვითიდენტიფიკაციისთვის გამოიყენეს ეგეოსური ცივილიზაციის წინა ორი ფაზის ურთიერთმიმართების თემა. ეს ნიშნავს ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზატორი ერების, მათი მცირე ნაწილების გამოკლებით, ამ ცივილიზაციის პირველ ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაციის გამოხატულებად ცხრომის მანიის კლასის ერად ურთიერთასიმილაციის შემდგარ ფაქტად მიღებას (რასაც "ოდისეას" ცხრომის მანიის პარადიგმის პოზიციიდან ინტერპრეტაცია შეესაბამება) და ურთიერთასიმილაციას გადარჩენილი მათი ნაწილების, რევანშისტულ უკუშემოქცევად მოსაზრებას რომაელი ერის აღზევებისა, რაც მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებად დაფიქსირდა ისტორიაში. ამის ამსახველია ეტრუსკი და რომაელი ერების წარმოშობის ტროას დაცემის შემდეგ იქიდან ენეასის წინამძღოლობით ლტოლვილ ტროელებთან დაკავშირება. ამრიგად, "ენეადა" დაუპირისპირდა "ოდისეას", როგორც ნოოტიპური ტრანსფორმაციის აცილების მცდელობის ასახვა ნოოტიპური ტრანსფორმაციისადმი დაყოლის ასახვას.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო წარმომავლობის კონცეფციის მიუხედავად, რომაე-

ლებსა და ეტრუსკებს შორის განსხვავება მაინც არის - რომაელები ენეასით პერსონიფიცირებულ ერთეულად - მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფად, მდგრადობის კომპონენტად ძლევის ეფექტის ფენომენით, შეხვდნენ ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზას, ეტრუსკები კი ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის გავლენის ამსახველ მდგომარეობაში, ანუ მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფად, მდგრადობის კომპონენტად ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენით, რაც ახალი ფაზის დადგომის წინ რომაელების წინაშე მათი უპირატესობის ამხსნელია.

* * *

მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზაციისთვის გამოსადეგია ერთა სხვა თვისებრივი ტიპების თითქმის ყოველგვარი ატრიბუტი. იშვიათ გამონაკლისთაგანია ჰომოსექსუალიზმი - ცხრომის მანიის პარადიგმით დაშვებული (თუმცა, როგორც აღინიშნა, არაუცილებელი) მომენტი სქესობრივი თვითგამოხატვისა, ასე, რომ თუ ეს ელემენტი არ გამოირიცხა ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტად ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერით, სტაბილიზაციის მცდელობის მიმდინარე პროცესში, შეუძლებელს გახდის ამის მიღწევას (ეს არ ნიშნავს ამ ერთეულის წარმომადგენელ ქართველებისგან - გარეგნულ თვითგამოხატვაში ლიბერალიზმის პარადიგმით მოსარგებლეთაგან - ე. წ. სქესობრივ უმცირესობებთან ასოცირებული ესთეტიკის ელემენტების, მაგ., სქესობრივი სხვაობის მანიველირებელი ჩაცმის სტილის უარყოფის აუცილებლობას, მაგრამ მათ დასაშვებად ამ ელემენტების სქესობრივი ქცევის ე. წ. არატრადიციული მოდუსებისგან მკაცრად აბსტრაგირებულობის დაფიქსირებაა აუცილებელი).

საქმე ისაა, რომ განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი განსხვავებული სქესის მართვის მანიის მოდუსის პიროვნებათა ურთიერთობას უკიდურესად დისკომფორტულს ხდის, ამგვარი ურთიერთობის არაადეკვატურად შეფასების - გადამეტფასების - აუცილებადობის გამო. ამით აიხსნება სქესის ფუნქციის ნეიტრალიზაციის ჯგუფების ფუნქციის მაღალი აქტუალობა და მათი მრავალგვარობა ქართულ საზოგადოებაში, როგორიცაა მაგ., სანათესაო, რაც ე. წ. შვიდი თავის პრინციპის შემოტანით მნიშვნელოვნად შეარბილა ეკლესიამ (ტრადიციით აკრძალვა უფრო ფართო წრეს ეხებოდა - მოგვარეებს, დედის და ბებიების მოგვარეებს); სამეზობლო (მთაში - მთელი თემის მასშტაბით), ნათელმირონობა (რომელსაც ითვლიან ცხრა თავის პრინციპით), სამეგობრო, ძუძუმტეობა და, დღეს უკვე, თანამშრომლობა და თანაჯგუფელობა ნოოონტოგენეზურ სექტორში. ფსიქოლოგიური კომფორტის ჯგუფებად რჩება წყვილების (ცოლ-ქმარი) სიმრავლე და, ყოველდღიური პირადი და საქმიანი ურთიერთობების ადეკვატურობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორი ჯგუფი, საზოგადოების მდედრობითი სქესის ნაწილი და საზოგადოების მამრობითი სქესის ნაწილი, რომლებიც, ამასთანავე, მათი წევრებისთვის გამცემ სუბიექტად თვითრეალიზაცი-

ის მთავარ ასპარეზად ისახებიან: ოჯახის წევრების, ან საპიროსპირო სქესის პიროვნების მიმართ გაცემის აქტს მოუცილებლად ახლავს, ან მიეწერება საპასუხო უკუგების მიღების ან შესაძლებლობის მომენტი, რაც გაცემის აქტს შეუძლებელს ხდის. ასე რომ, ჰომოსექსუალური კავშირის შესაძლებლობის მხოლოდ დაშვებაც კი, მოსპობს ხსენებულ ფსიქოლოგიური კომფორტის ჯგუფებს, როგორც ასეთებს, რაც მართვის მანიის კლასის ერის სოციალური თვითორგანიზაციის მთავარი ტაქტიკური რესურსის ლიკვიდაცია იქნება.

ადამიანთა პოპულაციაზე რეალიზებულ (ანთროპოგენულ) მართვის მანიის კლასის ერში ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაციის აკრძალვის აუცილებადობას სხვა, მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც - ადამიანის სქესობრივი ქცევის ბიოლოგიური მოდელის განსაკუთრებულობაც გვკარნახობს: ბიოსფეროში ადამიანის გამომრჩეველი მახასიათებლის - მაღალგანვითარებულ ბიოსახეობებს შორის უპრეცედენტოდ მკვეთრი სქესობრივი დიმორფიზმის - როგორც განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის უმაღლესი ხარისხით რეალიზაციის რესურსის, იგნორირება, რასაც ჰომოსექსუალიზმი გულისხმობს, შეუძლებელია მართვის მანიის მოდუსის პიროვნებამ დასაშვებ ხდომილებად ჩათვალოს (ასე, რომ ირლანდიაში ე. წ. სქესობრივი უცირესობათა სტატუსის ლეგალიზაცია მაჩვენებელია ირლადიულ საზოგადოებაში, რომელიც მართვის მანიის კლასის ირლანდიელი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფად იდენტიფიცირდება, მდგრადობის კომპონენტად ამერიკელი ერით, მდგრადობის კომპონენტში ასიმილაციის ტენდენციის - "დეიფობის სინდრომის" - გაღრმავებისა).

ადამიანის სქესის ბიოლოგიის ზემოხსენებულ ასპექტს ჩვენ §1.15 პარაგრაფში გავნიხილავთ. აქ კი შემოვიფარგლოთ ზემოთქმულის სასარგებლოდ მეტყველი ერთი ფაქტის დასახელებით, რაც ქართულ ენაში პიროვნების სქესის საიდენტიფიკაციო ტერმინების ეტიმოლოგიის განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპით განსაზღვრულობაში მდგომარეობს: **"დედაკაცი"** და **"მამაკაცი"** სხვადასხვა სქესის პიროვნების მესამე პირისადმი, **"შვილის"** (პოტენციურის თუ რეალურის) სახით, მიმართების განსხვავებულობის - **"დედობა", "მამობა"** - გამოყენებითაა ნაწარმოები. ეს არჩევანი სქესებს შორის ურთიერთმიმართებაში ერთიმეორისადმი დაქვემდებარების მომენტის აცილების საშუალებაც არის ამასთანავე, რაც მართვის მანიის პარადიგმასთან სრულ შესაბამისობაშია. ამ პირობას ვერ დავიცავთ (აზრობრივად მაინც სქესების ერთიმეორისადმი დაქვემდებარებულობას ვერ გამოვრიცხავთ) საიდენტიფიკაციო ტერმინოლოგიის სქესების უშუალო ურთიერთმიმართების საფუძველზე - **"ცოლობა", "ქმრობა** - წარმოების შემთხვევებში, როგორც გვაქვს უმრავლეს ენებში.

* * *

მართვის მანიის პარადიგმის ნოოფილოგენეზის სხვადასხვა საფეხურის რეალიზაციის ზოგიერთი სხვა მაგალითებია: მეხის, მუხის, ცეცხლის, ვაზისა და ტახის, მონადირე მგლისა და სხვა ტოტემური კულტები; შუმერული და ქართული (კოლხურ-პელაზგური) მითოსი (რომლის აღდგენა ხერხდება ჩვენამდე სათანადო ინფორმაციის, შესაბამისად, აქადური და ძველელინური ინტერპრეტაციებით, მნიშვნელოვანი ცვლილებებით მოღწეუ-

ლობის მიუხედავად); იოანეს სახარების ძირითადი ასპექტები; ქრისტიანული სამება და ქრისტეს ორბუნებოვნების პრინციპი - შესაქმის პროცესის წმინდა გაცემის აქტად წარმოდგენის გამოხატულება, რასაც ასახავს, ასევე, ნინოს ჯვარი და წმინდა გიორგის კულტი ქართულ ქრისტიანობაში (იხ. გვ. 125-128); ინდივიდურ სულთა უქმნელობისა და პოტენციური მარადიულობის (ყველა მათგანის ცოდვისგან საბოლოოდ დახსნის შესაძლებლობის) ორიგენესეული პრინციპები; შესაქმის პროცესის გაცემის აქტების უსასრულო დისკრეტულ რიგად წარმოდგენა და ემანაციის არეოპაგიტული (პეტრე იბერისეული, ან მის მიერ პოპულარიზებული) პრინციპი - საფეხურთა აღმავალი რიგი (ყოველი ახალი საფეხურის არა მისი წინასგან, არამედ უშუალოდ პირველწყაროსგან გამომდინარედ წარმოდგენა, რასაც ასახავს ნინოს ჯვარიც); ალავიზმი (მხოლოდ სავარაუდოდ, რადგან ამ მიმდინარეობას დაფარული ასპექტი გააჩნია, რომლის მიხედვით ის ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენი შეიძლება აღმოჩნდეს); ჰამილტონისეული უმცირესი ქმედების პრინციპი; დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ძირითადი ასპექტი (განწყობა - სუბიექტის სიმთელის მოდუსი); კვანტური რელატივისტური ნოოლოგია და ოპტიმალიზმის დოქტრინა; სიტუაციურ-ჩართვითი მოტივაცია; მოწინააღმდეგის ჩათრევა-აყოლიება მის მადეზორიენტირებელ მოქმედებაში - საბრძოლო ხელოვნების პრინციპად, და სხვა.

მართვის მანიის ნოოტიპის პიროვნებისთვის ეკონომიკური და სოციალური აქტივობის უპირატესი მოდუსებია: ინდივიდუალური მიწათმოქმედება (გაცემისუნარიანობის უზრუნველყოფა საზოგადოების სხვა წევრებთან თანამშრომლობის გარეშე); მენეჯმენტი, მეურვეობა (უცხოს სამსახურის მეურვის განწყობით მოკიდება); მედიცინა და პედაგოგიკა (მკურნალისა და მასწავლებლის ღვაწლი რჩება გაცემის აქტად, რადგან მორალურ ასპექტში მატერიალური მისაგებლით ვერ ანაზღაურდება); საიდუმლო სამსახურები.

მართვის მანიის კლასის ძირითადი ერები:

- ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე, პირველად ცივილიზაციებში - მუხის, ვენახისა და ტახის, ხროვასთან მონადირე მგლის, მეხის და სხვა ტოტემური კასტები;

- ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე დაასრულეს არსებობა - შუმერებმა, პელასგებმა, ფილისტიმიელებმა, ეტრუსკებმა, გალებმა და ა. შ.; ამ საფეხურის ერებად განაგრძობენ არსებობას პაპუა-ახალი გვინეის ზოგიერთი მცირე ეთნოსები;

- ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე დაასრულეს არსებობა კაპადოკიელებმა, ამ საფეხურის ერებად განაგრძობენ არსებობას ალავიტები (ზემოხსენებული პირობით);

- ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე პირდაპირი თვითგამოხატვის ასპექტებით მოწინავეობს ქართველი ერი, ამავე საფეხურზე იმყოფებიან, მაგრამ არაპირდაპირი თვითგამოხატვით, ირლანდიელები, შოტლანდიელები, ბასკები, კორსიკელები, სიცილიელები და ა. შ.

§1.14 მართვის მანიის ეფექტის ფენომენოლოგიის ნოოფილოგენეზური ასპექტები, ნოოსფეროს გამამთლიანებელი მომენტი

სხვა სამ ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების ფენომენები ლეგალური მოცემულობებია, მართვის მანიის შემთხვევაში კი საქმე სხვაგვარადაა. მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის მკაცრად შეზღუდულობა, რაც ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის დადგომისთანავე იჩენს თავს და ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის საბოლოო სტაბილიზაციამდე ნარჩუნდება, გამორიცხავს შესაბამისი ფენომენური მოცემულობის ლეგალური ასპექტის საკმარისი სისრულით წარმოდგენილობას. წინა პარაგრაფში ჩამოთვლილი ფენომენებიც მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის შესაბამისი ასპექტებითაა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამის გამო უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე.

როგორც აღინიშნა, ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე, ნოოლოგიური ოპტიმუმის ბიოლოგიური ოპტიმუმით შეზღუდულობის პირობებში, უპირატესობა ენიჭება საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის მეორე ნოოსფერულ მოდუსს - განსხვავებული ნოოტიპის პიროვნებებათა ურთიერთობას, განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპს: პირველადი ცივილიზაციები - ტოტემური თემები, როგორც სხვადასხვა თვისებრივი ტიპის ერების განმასახიერებელ ტოტემურ კასტათა გაერთიანებები - მართვის მანიის ეფექტით (განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპით) განსაზღვრულ საზოგადოებრივ ერთობებად წარმოგვიდგებიან. ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე კი მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაცია (იმავე ფაქტორის - განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის გავლენით) უკიდურესად იზღუდება - ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის მემკვიდრეობით და მართვის მანიის კლასის ერთა თავდაცვითი რეაქციების დისკრეტული აქტების პროდუქტებით შემოიფარგლება.

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე მართვის მანიის კლასის ერის სტაბილიზაციით გადასვლის ხელშემწყობი (თუმცა, არაა აუცილებელი და არც საკმარისი) პირობაა არაკოლექტიური მიწათმოქმედების (გაცემის პოტენციის სხვა ადამიანებთან, სხვა ოჯახებთან თანამშრომლობის გარეშე გამომუშავების უზრუნველმყოფელი ცხოვრების წესის) განვითარება, რაც მოსავლიანობისთვის აუცილებელი პირობის - ამინდის ფაქტორების ოპტიმალური შეთანხმების უნარიანი და ნიადაგის ნაყოფიერების მაინიციირებელი - სუბიექტის კულტის ჩამოყალიბებისა და გაბატონების პირობაა, რისი მაგალითიცაა **მორიგე ღმერთი** ქართულ მითოსში. მორიგე ღმერთთან დაკავშირებულია ტოტემისტური სამება, რომელიც ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე პირველი საფეხურის მოცემულობის ნოოონტოგენეზური ფუნქციის აქტუალობის საფუძველზე, პრომეთეს სინდრომის გამოხატულებადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ტოტემისტური სამების პირველი წევრის, რომელსაც ზოგადობის დაურღვევლად შეიძლება ეწოდოს **მორიგე ღმერთი**, ტოტემისტურ პროტოტიპად უპირატესობა ეკუთვნის წვიმას (ზევსის შეუღლება დანაესთან) და უფრო მეტად ელვის (დაღმავალი ცეცხლის) ხა-

ზებით წარმოდგენილ სიცოცხლის ხეს, როგორც ამინდის ცვლის (მორიგე სუბიექტის ჩარევად ინტერპრეტირებადი) აქტის ყველაზე შთამბეჭდავ ელემენტს, რომელიც ცის, როგორც მამრობითი საწყისის ტოტემის (ურანოსი, ანი), მიწის, როგორც მდედრობითი საწყისის ტოტემის (გეა), მიმართ ამ უკანასკნელის ნაყოფიერების მაპროვოცირებელი ინიციატივით დაძვრა-მისწრაფების ტოტემური განსახიერებაა, ანუ მამრობითი საწყისია მოქმედებაში. რა თქმა უნდა, მეხის დაკვრას გააჩნია სხვა ნოოსფერულ სტიქიებთან ასოცირებადი ასპექტებიც (მისი დამანგრეველი უნარის გათვალისწინებით, ის, ძალმოსილების დემონსტრაციად წარმოდგენილი, ძლევის მანიის ეფექტთანაც შეიძლება ასოცირდეს, ხოლო, როგორც სასჯელის მოუგერიებლად აღსრულების მეტაფორა, სხვა ორი ნოოსფერული სტიქიის ეფექტებთანაც), მაგრამ მას მოეპოვება გრაფიკული ასპექტით მის ანალოგად აღქმადი ბიოსფერული ფენომენიც, რომელიც მხოლოდ ზემოხსენებული კეთილისმყოფელი ფაქტორის როლში მისი წარმოდგენის შესაბამისია - ხე: ხის მწვანე გვირგვინი ასოცირებადია საავდრო ღრუბელთან, რომელიც მანაყოფიერებელი ინიციატივით აღძრულ მამრობით საწყისს განასახიერებს (მოწმენდილი ცა მამრობითი საწყისის ნეიტრალური, თავისთავში ყოფიერების მდგომარეობის განსახიერებაა), ვარჯი და ზრო კი, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მუხისა (ვარჯის თავისებური გრაფიკით), ელვის ხაზებთან; ხეზე მეხის დაცემა ცეცხლოვანი ხის ბიოლოგიურ ხეში გარდამოსვლა-ჩაბუდების აქტად მოაზრებადი მოვლენაა. ამასთანავე, დიდტანიანი ხე (როგორიც ზრდასრული მუხაა) მეტაფორაა მასშტაბური განვითარების შესაძლებლობისა, მიწათმოქმედებისთვის დამახასიათებელ, ადგილსმიჯაჭვულად არსებობის პირობებში. ამრიგად, მორიგე ღმერთის მანაყოფიერებელი ინიციატივის ერთ-ერთ მთავარ ტოტემურ პერსონიფიკაციად სწორედ ხეა საგულვებელი, ქართულ ტრადიციაში ესაა უპირატესად მუხა და კედარი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სვეტიცხოვლის სასწაულში - იესოს კვართის (ძე ღმერთის ატრიბუტის) დაფლვის ადგილას აღმოცენებული "ლიბანური ნაძვი". გავრცელებული ალტერნატივაა ირემიც, რქების ხის ვარჯთან ასოცირებადობის გათვალისწინებით (გამოსახულება გვხვდება კოლხურ ცულებზე). ასევე ისტორიულად დადასტურებული სხვა ალტერნტივაა წითელი მელა (მელია-ტელეფია - ნაყოფიერების კულტის სარიტუალო სვანური ფერხული, რომლის მსგავსი სცენა თრიალეთისა და ხეთური კულტურების გრაფიკულ ნიმუშებშიც გვხვდება): თავისი ფერით და საცხოვრისის მიწის სიღრმეში (ხშირად ნამეხარი ხის ძირში) მოწყობის წესით მეხის დაკვრით გამოხატული მანაყოფიერებელი ინიციატივის მოქმედების მიწის სიღრმეში გაგრძელების სიმბოლოდაა დასახვადი. კიდევ ერთი გავრცელებული მაგალითია წყარო - მიწაში ჩაღწეული წვიმის კონცენტრირებული ნაკადი.

მამრობითი საწყისის მანაყოფიერებელი ინციატივისადმი მდედრობითი საწყისის დადებითი რეაქციის განსახიერებად ლოგიკურია აღმავალი ცეცხლის დასახვა, რომელიც თვით ელვის დაკვრის აქტშიც შეინიშნება. მისი უფრო თვალსაჩინო ხატია კოცონის ან ხანძრის აღმავალი ალი (რომელიც მეხდაკრულ ხესაც შეიძლება მოედოს), რაც კერიის ცეცხლის და ხვნის წინ ყანის გასაწმენდად გაჩაღებული ცეცხლის მდედრობით საწყისად დასახული

მიწის მიერ მორიგე ღმერთის ინიციატივის გაზიარების ამსახველი საპასუხო სწრაფვის, ან საამისო მზადყოფნის ტოტემურ განსახიერებად წარმოდგენის საფუძველია. მსგავსი სიმბოლოა გაზაფხულის წვიმების შემდეგ მიწიდან აღმავალი ნისლიც, რაც მეგრულ ფოლკლორში შემორჩენილ, ბუნების ნაყოფიერების განმსახიერებელი პერსონაჟის - **ტყაშმაფას** (ტყა - ფლორის სინონიმია, რადგან ტყესაც აღნიშნავს და ყანას მოდებულ სარეველა ბალახსაც, როგორც ადრე აღვნიშნეთ) - თმების სითეთრის ამხსნელია (ტყაშმაფას თავიდან კოჭებამდე დაშვებული თეთრი თმა აქვს, რომლითაც, როგორც სამოსით, შეუძლია ტანი დაიფაროს). ამის გათვალისწინებით, ცხადია, საპასუხო რეაქციის ალტერნატიულ სიმბოლოდ გამოდგება ქალის წითური თმაც, ფერით ცეცხლთან ასოცირებადი, ხოლო ქალის შავი თმა მდედრობითი საწყისის (მიწის, ნიადაგის, ღამის) ნეიტრალური მდგომარეობის მითოსურ სიმბოლოდ გამოდგება. აღმავალი ნისლისა და ცეცხლის აღმავალი ალის ხეზე გასულ ხვიარა მცენარესთან ასოცირებადობა, მდედრობითი საწყისის საპასუხო რეაქციის ტოტემისტურ განსახიერებათა არჩევანს აფართოებს, რაც ასახულია მაგ., ვენახის (ვაზის), სუროს და მაყვლის დასახელებული ფუნქციის ტოტემებად არჩევაში, რაც დასტურდება ეგეოსურ ტრადიციაში (დიონისეს დაბადება), ძველი აღთქმის ტრადიციასა (ცეცხლმოდებული მაყვლის ბუჩქის ხატი) და თვით ქართულ ქრისტიანულ სიმბოლიკაშიც (ნინოს ჯვარი და ნინოს პირველი სამლოცველო მცხეთას მაყვლიანში, საგალობელი - "შენ ხარ ვენახი"). ასე რომ, ხეზე ვაზის მიშვების ტრადიცია და საოჯახო კერიის საცხოვრისი დარბაზის საყრდენ ბოძთან, **დედაბოძად** წოდებულთან (რომელიც, მინოსური სასახლეთა სვეტების მსგავსად, ციდან მიწისკენ მისწრაფების გამოხატულებად, ძირისკენ ვიწროვდება) განთავსების ქართული ტრადიცია შესაბამისობაშია სქესობრივ საწყისთა ურთიერთობის აქ წარმოდგენილ მოდელთან. დედაბოძად წოდება ნიშნავს არა მდედრობით ბუნებაზე მინიშნებას, არამედ, მსგავსად **"გუთნისდედის"** შემთხვევისა, მამრობითი საწყისის მანაყოფიერებელი ინიციატივის მიმართულების არჩევის აქტუალობას - მისი იმპულსის კონკრეტულ ოჯახზე კონცენტრაციის მცდელობას: გუთნისდედა მამაკაცია, რომელიც გუთანს საჭირო მიმართულებას ანიჭებს, ანუ, თუმცა მის მოქმედებას ამოცანის დაკონკრეტების მნიშვნელობა აქვს, რითაც თითქოს მდედრობით სქესის ფუნქციაში იჭრება, მაგრამ არჩეული მიმართულების სტაბილიზაციის პრობლემურობის ასპექტით ეს მომენტი მამრობითი სქესის კომპეტენციაშიც ექცევა. მიმართულების კარნახის თემა არსებითია საოჯახო მეურნეობასა და ველურ ბუნებას შორის არჩევანის არსებობის გათვალისწინებითაც. ამასთანავეა დაკავშირებული ადგილის დედის კულტი, რომელიც ნაყოფიერებით გამორჩეული გეოგრაფიული არეალის მდედრობითი პერსონიფიკაციაა.

შევნიშნოთ, რომ ვენახი მართვის მანიის კლასის ერის მდედრობითი სქესის წარმომადგენელ პიროვნებათა ერთობის სიმბოლოცაა, მუხა და კედარი კი მამრობითი სქესის პიროვნებათა ერთობისა. ამგვარი არჩევანის გამამართლებელია დასახელებულ მცენარეთა ყლორტების ტოტის მიმართ მაქსიმალურად განსხვავებული მიმართულებით (მართი კუთხით) ზრდადობა, რაც განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის ილუსტრაციაა

და ვარჯის სტურუქტურაშიც აისახება. ამდენად, კვიპაროსი, ვარჯის კონუსური ფორმით, იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპის ილუსტრაციად, ანუ ძლევის მანიის კლასის ერის სოციუმის ტოტემად შეიძლება არჩეულ იქნას, თუმცა უპირატესობა ეკუთვნის გველს, სხეულის გრძივი ერთგვაროვნებისა და აგრესიისუნარიანობის გათვალისწინებით.

დავუბრუნდეთ ძირითად ხაზს. შემგროვებლობის (ბიოსფეროს თავისთავადი ნაყოფით სარგებლობის) ეტაპზე მართვის მანიის ეფექტის ტოტემისტური წარმოდგენისთვის საკმარისი იქნებოდა უკვე ზემოაღნიშნული ორი ასპექტი, მაგრამ სამიწათმოქმედო კულტურაში აუცილებელია საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ელემენტების ტოტემისტური პერსონიფიცირებაც, რომელიც მამრობითი საწყისის მანაყოფიერებელ ინიციატივის გამგრძელებელ-განმავითარებელ აქტივობად მოიაზრება, რაც მის ბუნებით მამრობითობას გვკარნახობს და, ამდენად, **ძე ღმერთის** ტოტემისტური კულტის საფუძველს ქმნის. ამ მომენტის ტოტემურ ასახვაში უპირატესობა ეკუთვნის **ტახს**, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ტოტემისტური ზიარების აქტით უკავშირდება როგორც ვენახს, ასევე, მუხას (მიირთმევს ორივე მათგანის ნაყოფს - ყურძენსაც და რკოსაც), და, ამდენად, ორივესთან, როგორც შვილი დედასთან და მამასთან, საარსებო კავშირშია, არამედ უფრო იმიტომ, რომ საკვების ძიების პროცესში დინგით მიწის თხრა, რაც ტახს ახასიათებს, მიწის დამუშავების ძირითადი ტექნოლოგიური ელემენტების (ხვნის, ბარვის, მარგვლის) საუკეთესო ბიოსფერული პროტოტიპია. მართალია, ტახს, მისი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, როგორც კონცენტრირებული შეტევის სიმბოლოს, ალტერნატიული - ძლევის მანიის კლასის ერების აქტივობის აღმნიშვნელი ტოტემის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამგვარი ტაქტიკით ეფექტურად მოქმედება მხოლოდ მრავალრიცხოვანი არმიების და კავალერიის შექმნის შემდეგ გახდა ეფექტური ხერხი, როცა ტოტემისტური მემკვიდრეობა უკვე ისტორიულ მოცემულობად იყო დაფიქსირებული. ასე, რომ ტახის ტოტემის ძირითადი მნიშვნელობა ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე გარდამავალ ეტაპზე, სწორედ, საზოგადოებრივი სამიწათმოქმედო აქტივობის, ანუ უპირატესად, მართვის მანიის კლასის ერის სიმპტომატური აქტივობის ამსახველი მთავარი სიმბოლო უნდა ყოფილიყო, ან ფორმის მანიის კლასის ერისა. ხარი კი მხოლოდ მიწის დასამუშავებლად გამწევი ძალის გამოყენების ტექნოლოგიის შემუშავების შემდეგ შეიძლებოდა ასოცირებულიყო მიწათმოქმედებასთან, მანამდე კი მას ადგილმონაცვლე მესაქონლეობის კულტურის, ანუ, ან ძლევის მანიის კლასის ერის ტოტემის როლში ეკუთვნოდა უპირატესობა, ან ცხრომის მანიის კლასის ერის ტოტემის როლში (ადგილმონაცვლების უნარის ერთიმეორისგან მოშორებით მდებარე რეგიონებს შორის სავაჭრო მნიშვნელობის ტვირთების გადაადგილებისთვის გამოყენების პირობით).

ცხენიც, მისი გვიან (წამყვან ცივილიზაციებში ნოოფილოგენეზის მორე საფეხურის სტაბილიზაციის შემდეგ) მოშინაურების გამო, ვერ იქნებოდა სამიწათმოქმედო კულტურასთან ასოცირებული (იმ ეტაპზე ცხენი ადგილმონაცვლე ცხოვრების წესის მეტაფორად არის საგულვებელი); თუმცა, მითოსის საფეხურზე, "ჰორის სინდრომის" აქტუალიზაციით შესაძლებელია საპირისპირო პრეცედენტების შექმნაც. გარდა ამისა, არსებობს სხვა საფუძ-

ველიც ცხენის მართვის მანიის ეფექტის ამსახველ ტოტემთა რიგში მოხვედრისა: ველური ცხენების ჯოგის დიქრონული რიგით სვლის წესის საფუძველზე (რასაც სულხან-საბა "ოგურობა"-ს უწოდებს), მართვის მანიის ეფექტით განსაზღრულ საზოგადოებრივი ერთობის ზოგად (სამიწათმოქმედო აქტივობასთან დაუკავშირებელ) ტოტემადაც შემორჩა ისტორიულ მემკვიდრეობას.

ამრიგად, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე გადასვლისას, ერი-ეთნოსების სტაბილიზაციის ეტაპზე, სწორედ **ტახისა** და **ხარის** ანტაგონიზირებული წყვილია მისაჩნევი ერის მოდუსის არჩევა-სტაბილიზაციისას ალტერნატივების კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ ტოტემისტურ მეტაფორად. ამის გათვალისწინებით დაიწერა (იხ. გვ. 45), რომ კლდის გამოქვაბულში მიჯაჭვული პრომეთე-ამირანის, რომელიც ადამიანებისთვის მიწათმოქმედების და მეტალურგიის (სამეურნეო იარაღების დამზადების ტექნოლოგიის) მასწავლებლადაა წარმოდგენილი ეგეოსურ მითოსში, მეოხად ტახიც შეიძლება ვიგულისხმოთ. ახლა კი ვხედავთ, რომ მას უპირატესობაც კი ეკუთვნის ამ როლში. ამ მითის ქართულ ფოლკლორში შემორჩენილ ვარიანტში ტახის ძაღლით ჩანაცვლება ისტორიული საქართველოს მთაში (სადაც მეტ ხანს გაგრძელდა ნოოფილოგენეზის მეორე საფეხური) ყოველდღიურ ცხოვრებაში სამონადირეო საქმიანობის უფრო დიდი როლით უნდა იყოს განპირობებული.

ამირანის მეოხ არსებად ტახის მიჩნევა გვეხმარება პრომეთე-ამირანის თემაზე ქართული და ეგეოსური მითოსური მოცემულობების ურთიერთშეთანხმების მიღწევაშიც. როგორც ცნობილია, ზევსმა კავკასიის კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, ამავე მდგომარეობაში კლდესთან ერთად გარკვეული ხნით დაფლა მიწის სიღრმეში (წარმოდგენადია კლდის ამობრუნებით) და მხოლოდ ტახს შეიძლება მივაწეროთ პრომეთეს დასახსნელად იმ გამოქვაბულის გამოთხრა, რომლის სიღრმეშიც, ქართულ ფოლკლორის მიხედვით, ამირანია მიჯაჭვული. ქართული ფოლკლორის ნიმუში, რომელიც ამგვარი დაშვების უფლებას გვაძლევს, გახლავთ ქართული ხალხური ზღაპარი - **"წიქარა"**, რომელშიც ხარის მდევარი ტახი ეშვებით ჭრის კლდეს. ფოლკლორის ეს ნიმუში საგულისხმოა იმითაც, რომ ინახავს ხსოვნას სამიწათმოქმედო და სამესაქონლეო კულტურების კონფლიქტის შესახებ (გეოგრაფიული ლოკალიზაციის დაკონკრეტების შესაძლებლობითაც კი): ხარის მდევარი ტახის ძლევამოსილება ტოტემისტური წარმოდგენაა მდგომარეობისა, როცა სამიწათმოქმედო კულტურის გავრცელების გამო მესაქონლეობის კულტურის არეალის შევიწროება ვერც წყლის ბარიერმა შეაჩერა (შეიძლება ვიგულისხმოთ მცირე აზიიდან ბალკანეთში შეღწევაც) და ვერც ტყის საფარმა (შეიძლება ვიგულისხმოთ ბალკანეთის ზღვისპირა ტყიანი დაბლობები) და მხოლოდ კლდიანი ლანდშაფტი აღმოჩნდა დაუძლეველი, უნდა ვიფიქროთ რომ, სამიწათმოქმედოდ გამოუსადეგარობის გამო (შეიძლება ვიგულისხმოთ ბალკანეთის მთიანეთი, საიდანაც მოგვიანებით დაიწყო საპირისპირო პროცესი, უკვე ნომადური კულტურის ექსპანსია საპირისპირო მიმართულებით). ამგვარივე მდგომარეობის ამსახველია ძველი აღთქმის სიუჟეტში **კაენისა** და **აბელის** ურთიერთდაპირისპირებაც: კაენი (მიწათმოქმედი) განასახი-

ერებს მართვის მანიის კლასის, ან ფორმის მანიის კლასის ერს, აბელი (მესაქონლე) - ძლევის მანიის კლასის, ან ცხრომის მანიის კლასის ერს. საპირისპირო მდგომარეობის სიმბოლოდ კი გამოდგება **მინოტავრ-ოჩოკოჩის** მიერ **ტყაშმაფას** დევნა (სხვა მნიშვნელობის შესახებ იხ. გვ. 43). მეორეული ცივილიზაციების სტაბილიზაციის ეტაპზე, ნოოტიპური ალტერნატივების კონფლიქტს შეიძლება ვუწოდოთ **"კაენის სინდრომი".**

სამიწათმოქმედო კულტურის საფუძველზე რეალიზებული მართვის მანიის ეფექტის ტოტემისტური წარმოდგენის ალტერნატიული ვარიანტია **მზისა** და **მთვარის** კულტი, რაც ზემოაღწერილი ტოტემისტური სამებისგან განსხვავებულ სისტემას იძლევა. ნაყოფის დამწიფებაში მზის თვალსაჩინო წვლილი, მდედრობითი საწყისის ტოტემად მისი დასახვის საფუძველია (იგივე ითქმის ქალის ოქროსფერ თმაზე), ხოლო ამინდზე გავლენისუნარიან ფაქტორად დასახული მთვარე მამრობითი საწყისის ტოტემად ისახება. წინა მოდელისგან განსხვავება ისაა, რომ მამრობითი საწყისის ტოტემურ პერსონიფიკაციას ძე ღმერთის სტატუსიც მიეწერება, რაც საზოგადოების სამიწათმოქმედო აქტიურობის გრაფიკის მთვარის კალენდარზე დაყრდნობით განსაზღვრის პრაქტიკაშიცაა ასახული (ქართული ტრადიციის მკაფიო ელემენტი). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მოდელში მამრობითი საწყისის ორი ჰიპოსტასი "ძე" და "მამა" ერთ პერსონაშია გაერთიანებული, ან ამგვარი დაყოფა იგნორირებულია.

სქესობრივ საწყისთა ურთიერთმიმართების ტოტემისტური ასახვის ეს, მეორე ვარიანტიც მკაფიოდაა წარმოდგენილი ქართულ ყოფით ტრადიციასა და ფოლკლორში, როგორც სიტყვიერი მასალით - "მზე დედაა ჩემი,/ მთვარე - მამა ჩემი..." (საგალობელი), ასევე, ქორეოგრაფიის ელემენტით - **"ცეკვა ქართული"**. ეს ცეკვა მონახაზით, მანერით (სვლის წესით) და რიტმით რადიკალურად განსხვავებული ორი ნაწილისგან შედგება: პირველია - ვაჟის მარტოდ სწორხაზოვნად მოძრაობა უძრავად მდგომი ქალის გამოსაწვევად, მეორეა - ქალ -ვაჟის ერთობლივი მოძრაობა წრეზე. წრეზე მოძრაობა ცაზე მზის და მთვარის მოძრაობის იმიტაციაა, ხოლო ამ დროს ვაჟის ფეხის მოსმის მანერით ხვნის პროცესის იმიტაცია (უკანა ტერფის მოძრაობა გუთნის სახნისის სვლის გამომსახველია, წინა ფეხის მოძრაობა სახნისის სვლაში ბელტების ამობრუნებით განზე გადანაცვლებისა) მთვარის კალენდარის მიხედვით საზოგადოების სამიწათმოქმედო აქტივობას, ანუ "ძის" ფუნქციის რეალიზაციას განასახიერებს. გამოწვევის მოლოდინში ქალის უძრავად დგომა - მზის ბუნიობის განსახიერებაა, როცა ბუნების ნაყოფისუნარიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს, რაც მამრობითი საწყისის მეორე ასპექტის, "მამის" ფუნქციაა. სწორედ, ამ ფუნქციის რეალიზაციას განასახიერებს ქალის გამოსაწვევად ვაჟის სწორხაზოვანად და უაღრესად ინტენსიური ფეხისმოსმით მოძრაობა, რომელიც გამალებული წვიმისა და მეხის დაკვრის აქტების ასოციაციის გამომწვევია.

უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია ამ ორი მოდელის ერთმანეთთან დაკავშირება და შეთანხმება. ამ შესაძლებლობის საფუძველია მთვარის ტახთან ასოცირებადობა - ახალი მთვარე ტახის ეშვის გრაფიკული ანალოგია, მზე კი წარმოდგენადია მიწიდან ამომავალი ცეცხლის ყოველდღიურ მოვლინებად.

ნოოფილოგენეზურ რევოლუციასთან დაკავშირებული სოციალური ეფექტებისა და მართვის მანიის კლასის ერის თვითორგანიზაციის მახასიათებლებისთვის ეგეოსური მითოსიდან სიმბოლიკის შერჩევისას, ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის შესახებ არც თუ მცირე ინფორმაციის წარმოდგენა დაგვჭირდა. ნოოფილოგენეზის საფეხურების იდენტიფიკაციაც მართვის მანიის პარადიგმის ელემენტია. ამდენად, ახლა უკვე შეიძლება გადავიდეთ ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის დახასიათებაზე, სადაც ისევ შევხვდებით მეორე საფეხურის ფენომენებს.

* * *

მესამე საფეხურის პარადიგმის ჩარჩოებში ღმერთის საკუთრივ მახასიათებელზე ვერაფერს ვიტყვთ - უატრიბუტო პერსონალიზაცია ამ საფეხურის მთავარი მახასიათებელია. ამრიგად, ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე შესაძლებელია **ჭეშმარიტი ღმერთის** (ვუწოდოთ ასე) მხოლოდ ამა თუ იმ პირობით მოტივირებულ აქტივობებზე მსჯელობა. ერთ-ერთი მთავარი ამგვარი აქტივობაა სამყაროს შესაქმე. მართვის მანიის ეფექტის ასპექტით წარმოდგენაში შესაქმეს **გაცემის აქტის** მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს განაპირობებს ჭეშმარიტი ღმერთის, როგორც შესაქმის აქტის სუბიექტის, გამოვლენის სამასპექტიანობის აუცილებლობას:

1) გაცემის აქტის უმაღლესი რეალიზაციის (სხვაგვარად ვერ მოიაზრება ჭეშმარიტი ღმერთის შემთხვევა) სუბიექტი მიუწვდომელი უნდა იყოს მასზე გარეგანი გავლენისთვის, რომ ინიციატივის წმინდად მისეულობა საეჭვო არ გახდეს, რაც ნიშნავს სამყაროსთან მისი კავშირის მკაცრად ცალმხრივობას; ასევე აუცილებელია, ის, რაც მის მიერ გაიცემა, იყოს სასრული (სხვანაირად ვერ მოხერხდება გაცემის ფაქტის დაფიქსირება), ხოლო იმის დასადასტურებლად, რომ ჭეშმარიტი ღმერთი კვლავ (უსასრულოდ შორეული წარსულიდან და აწ და მარადის) გამცემ სუბიექტად რჩება, აუცილებელია შესაქმეს ჰქონდეს გაცემის აქტთა დისკრეტული, წარსულის მხრიდან უსასრულო და შეუჩერებელი რიგის სახე;

2) ამგვარ აქტში გასაცემი რამ მის გაცემამდე არ შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს - ის (გასაცემი) გამცემი სუბიექტის შინაარსის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს გაცემამდე; ხოლო, იმისათვის, რომ გაცემის აქტი არ გადაგვარდეს გამცემის მიერ მისგან გაუცხოებული თავისივე ნაწილის თვითმოშორების (მოკვეთა-უარყოფის) აქტად, აუცილებელია გასაცემის, როგორც ასეთის, თვითგანსაზღვრისა და თვითპერსონიფიცირებადობის უნარიანობა, რითაც გაცემის აქტი შეიძენს თვითგაცემის აქტის მნიშვნელობას, ეს კი ნიშნავს გამცემ სუბიექტში საკუთარი თავისგან გაუცხოების პერსონიფიცირებადი მომენტის კვლავ და კვლავ (დაუსრულებლად) გენერირებადობის აუცილებლობას;

3) და ბოლოს, მესამე ასპექტად უნდა გამოვყოთ ჭეშმარიტი ღმერთის მიერ გაცემამდე გასაცემის მატარებლობა, რადგან გასაცემის სხვადყოფნისკენ მისწრაფების განვითარებაში, მისი ტარება, მისგან გაუცხოებისა და თვითპერსონიფიცირების გზაზე დამდგარი სუბიექტის ნებისადმი მისი მატარებლი სუბიექტის დაქვემდებარებულობას ნიშნავს, რის

გამოც ეს ასპექტი გაცემის აქტის უმაღლესი რეალიზაციის სუბიექტის პირველდახასიათებულ ასპექტთან ვერ გაიგივდება. ამასთანავე, უკვე ინიციირებულ გაცემის აქტში აუცილებელია იმ სუბიექტთა მდგომარეობის გათვალისწინებაც, რომლებზეც უნდა მოხდეს გაცემა, რაც ნიშნავს თანაგრძნობისუნარიანობას, გარეგანი პირობების გავლენისადმიც დაქვემდებარებადობას. საამისოდ აუცილებელია ყოვლისმცოდნეობაც, მაგრამ მხოლოდ გაცემის აქტის მიმდინარეობაში.

გაცემის აქტის სრულყოფილი რეალიზაციის სუბიექტის ეს ასპექტები ადეკვატურადაა წარმოდგენილი ქრისტიანული სამებით - **მამა ღმერთი, ძე ღმერთი** და **სულიწმიდა**.

უნდა აღინიშნოს, რომ სამების ამგვარ ინტერპრეტაციის პირობებში, მისი წევრების (ჰიპოსტასების) ურთიერთმიმართებაში არ არის რაიმე სახის იერარქიის მომენტი. ხოლო, ცხადია, ორთოდოქსული დოგმატი - **სულიწმიდას მამისგან და ძის მეშვეობით მომფენელობა** - როგორც საწყისის მხოლოობის ხაზგასმა (სამების მკაცრად ვერტიკალურ ხაზზე განლაგება), შეესაბამება ფორმის მანიის ეფექტს და **ფილიოკვე** კი, ანუ **სულიწმიდას მამისგანაც და ძისგანაც თანაბრადმომფენელობა**, როგორც უმაღლესი იერარქიის დონეზე მხოლოობის მომენტის აცილების მცდელობა (სამების ერთი წევრის მიმართ დანარჩენი ორის თანაბრადამაღლებულად ანუ ინტენსივობით ურთიერთმიმართებაში წარმოდგენა) - ძლევის მანიის ეფექტს.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას. მითითებული პარალელიზმის გათვალისწინებით, საკითხის განხილვა შეიძლება ზოგადობის დაურღვევლად გავაგრძელოთ შესაქმის ქრისტიანული მოდელის სათანადო ინტერპრეტაციის განხილვით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაცემის აქტის უმაღლესი რეალიზაციისთვის აუცილებელია სხვა, გამცემისგან სავსებით დამოუკიდებელი სუბიექტიც (ან ამგვართა სიმრავლე), ვის მიმართაც მოხდება გაცემა და, ამასთანავე, რომლის (რომელთა) მოლოდინი და მოთხოვნილების შინაარსი საერთოდ არ ემთხვევა მის (მათ) მიმართ შესაქმის აქტში გაცემულის შინაარსს - ამით მის (მათ) მიმართ გაცემის აქტის მიღების აქტად ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გამოირიცხება. ამრიგად, ჭეშმარიტი ღმერთის მარადიულ გამცემ სუბიექტად წარმოდგენა მოითხოვს გაცემის აქტის ადრესატთა დაუსაბამოდ (უსასრულოდ შორეული წარსულიდან) არსებობას, რასაც პასუხობს ინდივიდურ სულთა უქმნელობის **ორიგენესეული** კონცეფცია. ხოლო, იმის დასტურად, რომ ჭეშმარიტი ღმერთის მიერ გაცემის აქტის რეალიზაცია არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ მისი არსის უცვლელი გამოხატულებაა, აუცილებელია არაერთი ამგვარი აქტის შედეგების თანაარსებობა, ანუ შესაქმის შემდგარ საფეხურთა (ან მათი მინიმიზირებული კვალის მაინც) მარადიულობა და, ასევე, ის, რომ ყოველი ახალი საფეხური იყოს სამყაროს მანამდელი მოცემულობისგან მკვეთრად განსხვავებული (მის მკვიდრთათვის წარმოუდგენელი და მოულოდნელი) ფენომენური კონკრეტულობისა (დისკრეტულობის მეორე მომენტი). ასევე, აუცილებელია, ის, რაც უკვე გაიცა ჭეშმარიტი ღმერთის მიერ (გაცემის აქტის უმაღლეს რეალიზაციაში), იყოს გაცემული უპირობოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცემის აქტის ხარისხი ვერ იქნება უმაღლესი.

შესაქმის ამგვარი კონცეფციის საუკეთესო მეტაფორაა მეტყველების აქტი: მეტყველების წინაპირობა და დასაწყისია სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც აზრის გამოთქმის სურვილად იდენტიფიცირდება; შემდეგ კონკრეტდება აზრის შინაარსი, რომელიც, მის სიტყვად ქცევამდე, მეტყველი სუბიექტის მდგომარეობის ნაწილია; აზრი სიტყვად იქცევა მის გამოთქმამდეც - სიტყვად ქცევა გამოსათქმელი აზრის მეტყველი სუბიექტისგან გაუცხოების, სხვათა მიერ მისაღებ მოდუსში გადასვლის პროცესის დასრულებაა, გამოთქმის შემდეგ კი აზრი სხვათა (მსმენელთა) მდგომარეობის შინაარსად იქცევა; მაგრამ, თუ არავინ ისურვა მეტყველი სუბიექტის მოსმენა, აზრის გადაცემის აქტი ვერ შედგება. ეს ანალოგია გატარებულია იოანეს სახარებაში: "პირველითგან იყო სიტყუაი, სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი".

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდურ სულთა არსებობის საფუძვლად რაიმე სხვა წყაროს ძიება არ არის საჭირო - მათი არსებობა ჭეშმარიტი ღმერთის მეორე ასპექტის აუცილებელი თანმხლები მომენტია: ჭეშმარიტი ღმერთის ბუნებაში თვითგაუცხოებისკენ მისწრაფების არსებობა ნიშნავს არაღმერთად არსებობის შესაძლებლობის მარად (უსასრულოდ შორეული წარსულიდან მოყოლებით) რეალიზებულობასაც, რაც, ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის პარადიგმის მიხედვით, რაიმე ფენომენოლოგიურ გამოხატულებებს არ საჭიროებს და, ამდენად, ინდივიდური სულის არსებობის ფაქტით შეიძლება გამოიხატოს. რადგან ამგვარი რაგინდ მრავალრიცხოვანი პრეცედენტით ჭეშმარიტი ღმერთის ბუნებაში თვითგაუცხოებისკენ მისწრაფების მომენტის მარად გენერირებადობა არ უქმდება, მიიღება ინდივიდურ სულთა სიმრავლის უსასრულობა.

ინდივიდურ სულთა მრავალრიცხოვნობას მოითხოვს შესაქმის საფეხურთა თანაარსებობის აუცილებლობაც. შესაქმის ცალკეულ საფეხურებსაც ინდივიდურ სულთა საკმარისად დიდი სიმრავლე ეგულისხმება, რადგან ვერ დავუშვებთ, რომ ცალკეულ ინდივიდურ სულს დამოუკიდებლად შეეძლოს, თუმცა სასრული, მაგრამ ჭეშმარიტი ღმერთის მიერ თვითნებურად გაცემული ფენომენური მოცემულობის სრულად ტარება, სრულყოფილად აქტუალიზაცია: გაცემის აქტის ადრესატად არა ერთი ინდივიდური სულის, არამედ სათანადოდ შერჩეული მათი დასის გულვებით, უქმდება გასაცემის რაოდენობრივად რეგლამენტაციის მოთხოვნა, რაც გარეგანი პირობებით ჭეშმარიტი ღმერთის შეზღუდვა იქნებოდა - რეგლამენტირდება არა გასაცემი (თუმცა, როგორც აღინიშნა, სასრულობა მოეთხოვება), არამედ ახალი საფეხურის დამფუძნებელ ინდივიდურ სულთა დასების შემადგენლობა (რომელიც კერძო შემთხვევაში - როცა ჭეშმარიტი ღმერთი მცირედის გაცემას ინებებს - მხოლოო წევრითაც შეიძლება შემოიფარგლოს). შემადგენლობის რეგლამენტაცია თავად ინდივიდურ სულთა ძალისხმევაზე უნდა იყოს დამყარებული, რადგან ინდივიდურ სულთა კონკრეტული დასი იგულისხმება თვითმტვირთებლებად იმისა, რასაც გასცემს ჭეშმარიტი ღმერთი შესაქმის აქტის კონკრეტული საფეხურის რეალიზაციის გამოხატულებად. ჭეშმარიტი ღმერთის მიერ გაცემულის კონკრეტულობა განსაზღვრავს შესაქმის ახალი საფეხურის კონკრეტულობას, ანუ ამ საფეხურის წარმომადგენლებად ქცეულ ინდივიდურ სულთა დასის წევრების არსებობის ფენომენურ გამოხატულებათა მოდალურ მახასიათებლებს.

შესაქმის ამ მოდელის მიხედვით, თვითგამოვლენის ყოველი ატრიბუტი ინდივიდურ სულებს ჭეშმარიტი ღმერთისგან უნდა მოენიჭოთ - წინააღმდეგ შემთხვევაში სამყარო ვერ იქნებოდა გაცემის უმაღლესი აქტის სუბიექტის შექმნილი. ეს ნიშნავს შესაქმის პროცესში თვითჩართვამდე ინდივიდური სულების სრულ თავისუფლობას (რაც ამოსავალი მდგომარეობაა მართვის მანიის მოდუსის პიროვნებისთვის). ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის პარადიგმის მიხედვითაც, პიროვნებას გარეგან სამყაროსთან მაკავშირებელი საკუთრივი ატრიბუტი არ უნდა გააჩნდეს. მაგრამ საიმისოდ, რომ ინდივიდური სულების შესაქმის პროცესში ჩართვასთან შეუძლებელი იყოს ძალდატანების მომენტის ასოცირება, მოითხოვება ინდივიდურ სულებს ჰქონდეთ ერთი მახასიათებელი მაინც, რომელიც სქესთანაა ასოცირებადი, თუმცა რაიმე გარეგნულ ატრიბუტს არ მოითხოვს. კერძოდ, ინდივიდური სულის მისწრაფება (სურვილი) ვინმეს უნდოდეს მისი არსებობის გამოვლენა, ფენომენური კონკრეტულობისგან დამოუკიდებლად, ასოცირებადია მამრობით სქესთან, ხოლო ინდივიდური სულის მისწრაფება იყოს ის, ვისგანაც სხვა ინდივიდური სული თავისი არსებობის გამოვლენის სურვილის გამოხატვას მოელის, ასოცირებადია მდედრობით სქესთან და ჭეშმარიტი ღმერთის ბუნების ზემოხსენებულ მესამე ასპექტთან (ეს განსაზღვრება, როგორც ვნახავთ, თავსებადია სქესების ურთიერთმიმართების მართვის მანიის პარადიგმის სათანადოდ წარმოდგენასთან - იხ. §1.15). ამგვარი განმარტების პირობებში მდედრობითი სქესის და მამრობითი სქესის ინდივიდურ სულთა წყვილები წარმოგვიდგებიან თვითიზოლაციაში უატრიბუტოდ და ნეიტრალურად არსებობისუნარიან ერთეულებად (მივიღეთ ვაკუუმის კვანტური მოდელის ანალოგია). უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი წყვილის წევრები, ღმერთის ბუნების მეორე და მესამე ასპექტებთან მათი თვისებრივი ანალოგიის გათვალისწინებით, არიან არა მეუღლეობის მნიშვნელობის კავშირში, არამედ ძისა და დედის ურთიერთმიმართებით კავშირში (თუმცა, სქესების განსაზღვრების შინაარსს ეს არ ცვლის), შესაქმის პროცესში მათი ჩართვა ერთიმეორისგან დაშორებად და ჭეშმარიტი ღმერთისკენ შემობრუნებად შეფასებადი აქტია. ლოგიკურია დავუშვათ, რომ შესაქმის ჩაშლილი აქტის შედეგად ჩნდება არაერთი ინდივიდური სული, არამედ აღწერილი წყვილი, ჭეშმარიტი ღმერთის გამოვლენის მეორე და მესამე ასპექტების აქტუალიზაციის ინდივიდურ სულთა წყვილზე რედუქციით. ეგეოსურ მითოსში დადასტურებულია სქესების ერთარსობის დაშლით წარმოშობის მითოლოგემა, რაც, იმ დაზუსტებით, რომ წყვილის წევრები შესაქმის აქტში ჩართვის შემდეგ ეძებენ ერთიმეორეს არა სქესობრივი ინტერესით, ხოლო სქესობრივი ინტერესით ესწრაფვიან საპირისპირო სქესის ინდივიდურ სულებს სხვა დაშლილი წყვილებიდან, უკვე ატრიბუტიან ქმედით არსებობაში სქესების ფუნქციის მართვის მანიის პარადიგმის შესაბამისი კავშირის რეალიზაციისთვის, ქრისტიანობის ეგეოსური სამყაროდან მომდინარეობის სასარგებლოდ მეტყველ არგუმენტთაგანია.

უატრიბუტობის მიუხედავად, შეიძლება ინდივიდური სულების რომელობითი ურთიერთგარჩევა ჭეშმარიტი ღმერთის ინიციატივებზე მათივე რეაგირების - წმინდად თავისუფალი ნებელობითი აქტების - ქრონოლოგიით. უნდა გვახსოვდეს, რომ ლოგიკურად

დასაშვებია თავისუფლების მდგომარეობაში დარჩენილ ინდივიდურ სულთა არსებობა შესაქმის საფეხუროვანი პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

შესაქმის ამგვარ პროცესში მონაწილეობა ინდივიდური სულებისთვის გამცემ სუბიექტებად თვითრეალიზაციაა: ითავისებენ და ხარობენ რა მათ მიმართ გაცემულით, თუმცა შეიძლება არც ელოდნენ არაფერს, ან ელოდნენ სრულიად სხვა რამეს, ისინი ჭეშმარიტ ღმერთს გამცემ სუბიექტად თვითრეალიზაციის შესაძლებლობას აძლევენ. იგულისხმება, მათი მოლოდინის (რაც ჭეშმარიტი ღმერთისკენ მისწრაფების სიმპტომად იდენტიფიცირდება) მუდმივი არგამართლების მიუხედავად, ჭეშმარიტი ღმერთისგან მიღებულით მათი უმაღლესი ხარისხით დაკმაყოფილებადობა - სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ჭეშმარიტი ღმერთის ინიციატივის უმაღლესი ხარისხის გაცემის აქტად იდენტიფიკაცია - რასაც უზრუნველყოფს ჭეშმარიტი ღმერთის მეორე და მესამე ასპექტებთან მათი მიმართება.

ინდივიდურ სულებს გამცემ სუბიექტებად თვითრეალიზაციის სხვაგვარი შესაძლებლობაც ეგულისხმებათ - მათ თავადაც უნდა გააჩნდეთ სხვა ინდივიდური სულებისთვის იმის გაზიარების უნარი, რაც ჭეშმარიტი ღმერთისგან მოენიჭათ (და გენეზისის მიხედვით გადაცემადია ინდივიდურ სულებზე), და მათდამი მონიჭებულის საკუთარი ნებით სრულიად დათმობის შესაძლებლობაც კი (როგორც კენტავრი ქირონის ქვესკნელში საკუთარი ნებით ჩასვლის შემთვევაში) - სხვაგვარად ჭეშმარიტი ღმერთი ინდივიდურ სულთა დამტყვევებლად გამოჩნდებოდა. ინდივიდურ სულთა გამცემ სუბიექტებად ამგვარად თვითრეალიზაციის შესაძლებლობა დამატებით რესურსად ჩანს თავისუფლების მდგომარეობაში დარჩენილ ინდივიდურ სულთა ნეიტრალური წყვილების ჩასართველად შესაქმის პროცესში: ინდივიდური სულის სხვა ინდივიდური სულის ზეგავლენით ჩათრევა შესაქმის პროცესში ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტი ღმერთისმიერ პროვოცირებად, ან ძალდატანებად.

შესაქმის ახალ საფეხურზე ინდივიდური სული შეიძლება მოხვდეს უშუალოდ წინა საფეხურიდან (შესაქმის მორიგი აქტი შესაქმის პროცესში აქამდე ჩაურთველ ინდივიდურ სულებზე გათვლილი ვერ იქნება. გარდა ამისა, შესაქმის საფეხურებს შორის კავშირს ითხოვს შექმნილი სამყაროს ერთიანობაც). კერძოდ, წინა საფეხურის სათანადო ფენომენური მოცემულობის ჩამოშორებისა და ახლის სათანადოთი შემოსვის გზით, ანუ გარდაცვალების აქტით (პარალელი იოანეს სახარებასთან: "უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაი" - იოანე 3.3.). ხოლო იმისათვის, რომ შესაქმის აქტში გამოვრიცხოთ ძალდატანების (ახლის მისაღებად მზადყოფნის მდგომარეობაში ჩასაყენებლად, ინდივიდური სულის, თავის ძველი ფენომენური მოცემულობისგან ძალდატანებით განძარცვის) აუცილებლობა, ყოველ საფეხურს მოეთხოვება მასზე ინდივიდური სულების თავისთავად (დაბერებით) მოკვდავ ფენომენურ მოდუსში არსებობის შესაძლებლობა.

რადგან გაცემის უმაღლესი აქტის სუბიექტი მარადიულია, მის მიერ გაცემულიც მარადიული უნდა იყოს. ამრიგად, ჭეშმარიტი ღმერთისგან მონიჭებული უნდა იყოს მარადიული, ინდივიდური სულისთვის სათნო და მისგან მხოლოდ მისივე (ინდივიდური სულის) ნებით მოცილებადი. გარდა ამისა, ყველა ის მდგომარეობა, რომელსაც მიიღებს ამგვარი

ფენომენური მოცემულობა, მასზე არა მისი მატარებელი ინდივიდური სულის მიერ განხორციელებული ზემოქმედების შედეგად, რაგინდ მძიმეც არ უნდა იყოს იგი, უნდა ჩაითვალოს გარეგან ზემოქმედებაზე რეაქციის გამოხატულებად, რომელიც შექცევადია, ამ ფენომენური მოცემულობის მატარებელი ინდივიდური სულის ნებელობის შესაბამისად, და მის (მატარებლის) მიერ თვითგენერირებადიც, ანუ თვითგამოხატვის ნებელობით ალტერნატულ მოდუსებად იდენტიფიცირებადი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვდავი ფენომენური მოცემულობის მატარებელ ინდივიდურ სულს მისი ნებელობისგან დამოუკიდებლად მხოლოდ საარსებო გარემო თუ შეიძლება შეეცვალოს და არა ფენომენური მოცემულობის მდგომარეობა, თუმცა ფენომენური მოცემულობის მდგომარეობის ცვლის მოთხოვნა შეიძლება ინიცირებული იყოს გარეგანი ზემოქმედებით.

ეგეოსური მითოსი შეიცავს ამგვარად ინტერპრეტირებად ასპექტებს: მოურჩენელი წყლული ვერ კლავს კენტავრ ქირონს, თუმცა ტკივილით გატანჯული, ის, თავისი ნებით ჩადის ქვესკნელში - თავისი ნებით თმობს უკვდავ მოცემულობას; ზევსი ვერ კლავს ტიტანებს, მხოლოდ ტარტაროზში ამწყვდევს მათ; მიჯაჭვულ პრომეთეს ფერდიდან გადმონადენი სისხლი ზევსის საუფლოში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის გატარების საშუალებაა - პრომეთეს სისხლი მანაყოფიერებელი ინიციატივის მატარებელ ელემენტად აღწევს ნიადაგში, რის შედეგადაც აღმოცენებული მცენარეები კოლხი მედეას მაგიურ არსენალს შეადგენენ.

დავუბრუნდეთ ძირითად ხაზს. ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ფენომენურად მოკვდავ მოდუსში არსებობის ატრიბუტები არ შეიძლება ჭეშმარიტი ღმერთის მიერ იყოს მონიჭებული და, ამდენად, შესაქმის კონკრეტულ საფეხურზე ფენომენურად მოკვდავ მოდუსში არსებობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოითხოვს გარკვეული რეორგანიზაციის (მეორეული შესაქმის აქტის, ანუ ერთგვარი დემიურგის ფუნქციის აქტუალიზაციის) აუცილებლობას, რომლის ინიციატორადაც შესაქმის ამ საფეხურზე ფენომენურად უკვდავ მოდუსში მოარსებე ინდივიდურ სულთა დასის წევრთაგანნი იგულისხმებიან.

მითოსურ მემკვიდრეობასთან კავშირის შესანარჩუნებლად და, ამასთანავე, რადგან ისინი ჭეშმარიტი ღმერთის უკანასკნელი გამოვლენის კერძო ასპექტების მოდუსით არსებულებად იგულვებიან, შესაქმის კონკრეტულ საფეხურზე ფენომენურად უკვდავ და ფენომენური რანგით უმაღლეს ინდივიდურ სულებს, სანამ ეს საფეხური უკანასკნელია, ვუწოდოთ **ღმერთები** (კონკრეტული საფეხურისანი), ყველა სხვა რანგისა და სხვა საფეხურების ფენომენურად უკვდავ წარმომადგენლებს კი, თავიანთ საფეხურებზე მათი ფენომენური რანგისა და შესაქმის პროცესისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით, ვუწოდოთ **ანგელოზები, დემონები** და სხვა ზებუნებრივ არსებათა ტიპების სახელები, რომლებიც მითოსურ და ტოტემისტურ მემკვიდრეობებში გვხვდება (უნდა შევნიშნოთ, რომ ფორმის მანიის სათანადო მითოსური პარადიგმის შემთხვევაში, როგორც ამას ძველი აღთქმის ტექსტიც გვიჩვენებს, შეიძლება ღმერთად იხსენებოდეს მხოლოდ უმაღლესი ერთპიროვნული იერარქი, სხვები ანგელოზების სახელით მოიხსენიებოდნენ). კონკრეტული საფეხურის ღმერთებს შო-

რის შეიძლება იყვნენ ამ საფეხურის დამფუძნებელი დასის წევრები, რომლებსაც ამგვარად არსებობის ატრიბუტები უშუალოდ სამყაროს შესაქმის აქტის სუბიექტისგან ენიჭებათ და, ასევე, მათი ფენომენურად უკვდავი შვილები. ამ შეთანხმების წინასწარგანზრახულობის გამო ვუწოდეთ სამყაროს შესაქმის მთავარ სუბიექტს **ჭეშმარიტი ღმერთი.**

როგორც აღინიშნა, შესაქმის უკვე არსებულ საფეხურთა მჭიდრო სისტემური ურთიერთშეკავშირება (ფაქტობრივი სინთეზი) ლოგიკურად დასაშვებია (რისი მაგალითებიცაა: კენტავრი, მინოტავრი, სფინქსი, ქიმერა და ეგვიპტური და ინდური პანთეონის უდიდესი ნაწილი და ა. შ.), მაგრამ **ჭეშმარიტი ღმერთის** მორიგი თვითგამოვლენისთვის აუცილებელ ცვლილებებს შესაქმის ყოველი საფეხური დამოუკიდებლად და მხოლოდ საეტაპოდ უკანასკნელი საფეხურის სტატუსში უნდა განიცდიდეს (თუმცა, ამგვარი მომენტებით არ ამოიწურება შესაქმის საფეხურთა შესაძლო ცვლილებები).

კერძოდ, შესაქმის საფეხურების შინაარსობრივ-მოცემულობითი სასრულობის გამო, ყოველ ახალ საფეხურზე აუცილებლად მიიღწევა მდგომარეობა, როდესაც ამ საფეხურის ღმერთების დასის წარმომადგენლებს აღარ შეეძლებათ ამ საფეხურზე უკვდავ მოდუსში არსებობისთვის საკმარისი შინაარსისა და სტრუქტურის ფენომენური მოცემულობის გაზიარება მათი ფენომენური შვილების მორიგი თაობისთვის. ასეთ ვითარებაში იძულებით წყდება ამ საფეხურის ღმერთების დასის ახალი თაობის წევრებით შევსება (რასაც დააჩქარებდა წინა საფეხურების წარმომადგენლებთან ფენომენური შეჯვარებაც) და წინა საფეხურებიდან უკანასკნელი საფეხურისკენ ინდივიდურ სულთა ნაკადის შესანარჩუნებლად (რის გარეშეც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შესაქმის ამგვარი მოდელის რეალიზაცია შეუძლებელია), აუცილებელი ხდება ამ საფეხურის გახლეჩა ფენომენურად უკვდავ მოდუსში და მოკვდავ მოდუსში არსებობის სფეროებად. ამ ნაწილებს უნდა ვუწოდოთ ამ საფეხურის **ზესკნელი** და ამავე საფეხურის **შუასკნელი**, რადგან შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის რეალიზაციისთვის, უკანასკნელი საფეხურის აღწერილი გახლეჩის ერთდროულად, აუცილებელია ცალკე გამოყოფა მისი კიდევ ერთი ნაწილისა, რასაც ამ საფეხურის **ქვესკნელს** ვუწოდებთ - საიქიო, სადაც შეიძლება ინდივიდურ სულთა თავმოყრა ამ საფეხურზე ფენომენურად მოკვდავ მოდუსში არსებობის დასრულების შემდეგ, ამავე საფეხურზე დარჩენისთვის აუცილებელი მინიმალური ფენომენური მოცემულობით - აჩრდილისებური სხეულებით. ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ქვესკნელის შესაბამისია ადამიანისებური აჩრდილებით წარმოდგენილ ინდივიდურ სულთა თავმოყრის ადგილი, რომელსაც, ასევე, შესაქმის წარმოდგენილი კონცეფციის შესაბამისად, ამავე საფეხურის ერთ-ერთი ღმერთი (ეგეოსურ მითოსში - ჰადესი) განაგებს. ცხადია თავსებადობა არეოპაგიტიკასთან.

შუასკნელის შესაბამისი ფენომენური მოცემულობა, მისი წარმავალობის გამო, ვერ იქნება აბსოლუტური ხელშეუვალობით დაცული. ამდენად, დემიურგის მხრიდან მისი გაცემა ვერ არის მაღალი ხარისხის გაცემის აქტი, რაც არის საფუძველი იმისა, რომ გამცემმა სუბიექტმა დამალოს თავისი ვინაობა იმ ინდივიდური სულის წინაშე, რომელზეც ხდება გაცემა. ეს მოითხოვს გასაცემის არაერთდროულ გაცემას, გაცემის აქტის გაჭიანურება-გაპრო-

ცესუალურებას, მინიმალური საწყისი ფენომენური მოცემულობის მინიჭებით დაწყებას, რომ მომნიჭებელ (გამცემ) სუბიექტთან საწყისი კონტაქტის შთაბეჭდილება მინიმალური, ამ კონტაქტის საზრისის იდენტიფიკაციისთვის უკიდურესად არასაკმარისი იყოს, გაცემის აქტის შემდგომ ეტაპებს კი ინერციით, წინასწარგანსაზღვრული პროგრამით რეალიზებადობა უნდა ახასიათებდეთ, რაშიც იგულისხმება გამრავლების ფუნქციის ინიციირება შუასკნელში. ამრიგად შესაძლებელია (დემიურგის ნების მიხედვით), რომ შუასკნელის მკვიდრმა ინდივიდურმა სულებმა არ იცოდნენ საიდან მოვიდნენ, რანი იყვნენ (როგორი იყო მათი არსებობის ფენომენური გამოხატულება) ამჯერად შუასკნელში ცხოვრების (შესაბამისი ფენომენური მოცემულობის) მონიჭებამდე. თვითონ შუასკნელური მოდუსის ფენომენური მოცემულობაც შეიძლება ვიგულისმოთ ინდივიდური სულისთვის, მის მიერ გამოვლილი გზის დანარჩენი ნაწილის დამფარავად. ცხადია, ინდივიდური სულისთვის საკუთარი წარსულისა და ვინაობის დაფარულობა გაგრძელდება შუასკნელში ფენომენური სიკვდილის აქტამდე. გარდა ამისა, საკუთარი შუასკნელური ფენომენური მოცემულობის არახელშეუვალობა (ექსკლუზივით დაუცველობა) ნიშნავს იმას, რომ ინდივიდურ სულს, მისი შუასკნელური ცხოვრების განმავლობაშიც შეიძლება გამოუჩნდეს მასზე მოცილე ინდივიდური სულები, როგორც სხვა საფეხურების შუასკნელების მკვიდრთა სახით (რაც იქნება ბიოცენოზის და კვების ჯაჭვის სახელით ცნობილი ფენომენის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის შესაბამისად ახსნა), ასევე, სხვის სხეულში ჩასახლების მცდელობით დაკავებულ, ანუ შუასკნელში არა გაცემის აქტის გავლით, თვითნებურად და ძალდატანებით შემოსვლის მოწადინე, ინდივიდურ სულთა დასების სახითაც.

დედამიწის პირობებში შეიძლება შესაქმის რამდენიმე საფეხურის შუასკნელად მისაჩნევ ასპექტთა გამოყოფა: ადამიანთა საზოგადოება (შუასკნელი ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურისა), ფაუნა (ზოომორფულისა, რომელიც თავადაც შეიძლება რამდენიმე ამგვარადვე იდენტიფიცირებად ნაწილად დაიყოს. იგივე ითქმის ყველა მომდევნო მაგალითების შემთხვევებში), ფლორა (“ვეგეტამორფულისა”), ატმოსფერო (“მეტეომორფულისა”), ჰიდროსფერო (“ჰიდრომორფულისა”), ლითოსფერო (“ლითომორფულისა”) და ა. შ. ამ სფეროთა მჭიდრო, სისტემური ურთიერთკავშირის გათვალისწინებით ცხადია, შესაქმის ამ მოდელში სხვადასხვა საფეხურების სამივე სკნელის მჭიდრო ურთიერთქმედების შესაძლებლობის დაშვების აუცილებლობა. გარდა ამისა, სხვადასხვა საფეხურების შუასკნელების კონტაქტი უზრუნველყოფს ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლის მოსურნე ინდივიდურ სულთა ნაკადის მუდმივობას.

უკანასკნელი საფეხურის ქვესკნელში მოხვედრა გარკვეული პრივილეგიაა: აქ მოხვედრილთგან ზოგიერთისთვის მაინც შესაქმის ახალი საფეხურის რეალიზაცია ახალი ღმერთების დასში ამაღლების აქტად შეიძლება იქცეს. მორიგ თვითგამოვლენის აქტში ჭეშმარიტი ღმერთი ნამდვილ მხსნელად მოევლინება შესაქმის აქამდელ, უკანასკნელი საფეხურის ქვესკნელში შეყოვნებულ ინდივიდურ სულებს, რომელთაც შესაქმის უკვე არსებული საფეხურების შუასკნელებისკენ უკუქცევას (ერთგვარი კარმული ნაკადის გაგრძელებას) ჭეშმარიტი ღმერთის ახალი თვითგამოვლენის მოლოდინი ამჯობინეს, ანუ შესაქმის

განახლებამდე ყოვლად უჩინოდ მყოფი ჭეშმარიტი ღმერთისკენ სწრაფვა შეინარჩუნეს, საკუთარი ფენომენური მოცემულობის მინიმალურობის პირობებში. მათ ფენომენური მოცემულობა ჭეშმარიტი ღმერთის ახალი გამოვლენის მომლოდინეობის გამოხატვის უნარით უნდა იყოს არსებითად შემოფარგლული და სხვა რამ მისწრაფების, რომელიც მოკვდავ მოდუსში ახლადდაბადებით დაკმაყოფილდებოდა, გამომხატველი ასპექტი არ გააჩნდეს. ცხადია, რომ, სიკვდილის აქტგავლილ ინდივიდურ სულთა დასის არსებობის გარეშე, ჭეშმარიტი ღმერთის ახალი თვითგამოვლენა გაცემის აქტის უმაღლეს რეალიზაციად ვერ ჩაითვლებოდა. ამით მართლდება დემიურგი თავისი თავის წინაშე შუასკნელის შექმნისას, მით უმეტეს, რომ შეიძლება ის თავადაც ვიგულისხმოთ ახალი საფეხურის შუასკნელის დაარსებისას იქ მოხვედრილ ინდივიდურ სულთა პირველი დასის წევრადაც: შუასკნელის შექმნისას, შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე დემიურგის მიერ (ერთის ან რამდენიმეს) საკუთარი, ზესკნელური მოდუსის ფენომენური მოცემულობის დათმობა სრულადაც, რაც შესაქმის აქტიდან გასვლას ნიშნავს, და ქვესკნელში დამკვიდრებისთვის საკმარის ზღვრამდეც, რაც ინიციატორთა პირდაპირ ქვესკნელში გადასვლას ნიშნავს.

ახალი საფეხურის დამფუძნებელი დასის შერჩევის აქტად შეიძლება მოვიაზროთ იესოს სამდღიანი მისია ქვესკნელში. მისი ქრისტედ (მხსნელად) წოდებაც ამას ეთანხმება. იესო მხსნელად ევლინება ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის არა მხოლოდ ქვესკნელის წევრთაგან შერჩეულ დასს, არამედ მისი მისიის ჟამს ჯერ კიდევ შუასკნელის მკვიდრ იმ ადამიანებსაც, ვინც ახალ საფეხურზე გადასვლისთვის განწყობით შეხვდება ფენომენურ სიკვდილს: როგორც აღინიშნა, შესაქმის ახალი საფეხურის ღმერთთა დასი არ შემოიფარგლება ამ საფეხურის დამფუძნებელი დასით, არამედ მისი შევსება გაგრძელდება ამის შემდგომ წინა საფეხურზე ფენომენური სიკვდილის განმცდელი ინდივიდური სულებით, ზემოთხსენებული კრიტიკული მომენტის დადგომამდე (გადავსებამდე).

იესო ქრისტეს შემთხვევაში შესაქმის მანამდელ უკანასკნელ საფეხურად იგულისხმება ანთროპომორფული ყოფიერების საფეხური, მის ზესკნელად - მითოსური ღმერთების საზოგადოება, შუასკნელად - მოკვდავ ადამიანთა საზოგადოება, ხოლო ახალქმნადი საფეხურის სახელად - სასუფეველი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სასუფეველი შეიძლება მივიჩნიოთ ყოველი ახალი საფეხურის აღმნიშვნელად, მასზე ფენომენური სიკვდილის აქტუალიზაციამდე, სამ სკნელად გახლეჩამდე. ამ ასპექტით სასუფევლის მნიშვნელობით მოაზრებადია გნოსტიციზმის პლერომა (ეონთა კრებული) და ძველაღთქმისეული სამოთხეც, რომელიც თიხისგან ადამის შექმნამდე "სავსე იყო" დედაკაცად და მამაკაცად და ერთი მეორისთვის, შესაბამისად, ცოლად და ქმრად შექმნილი უკვდავი ანთროპომორფული არსებებით ("დედაკაცად და მამაკაცად შექმნა ისინი, უწოდა მათ ცოლი და ქმარი და უბრძანა - გამრავლდით და აავსეთ ქვეყანა"), რომლებიც, ამ პარალელიზმის ლოგიკით, ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ღმერთების დასს უნდა მივაკუთვნოთ, ადამი კი ამ საფეხურის შუასკნელის შექმნის წარმატებული მცდელობის პროდუქტად იდენტიფიცირდება. ეგეოსურ მითოსში არის საამისო წარუმატებელ მცდელობებად იდენტიფიცირებადი

ფაქტებიც: შუასკნელის სტაბილური არსებობის უზრუნველმყოფელი გამოდგა ადამიანთა მხოლოდ მეხუთე (ქვის) მოდგმა.

ამრიგად, შესაქმის ამ მოდელის მიხედვით, ქრისტიანობა წარმოგვიდგება სამყაროს შესაქმის ახალი საფეხურის რეალიზაციის აქტის ამსახველ მოძღვრებად, რომელიც მითოსური პარადიგმის შესაბამის სურათს ითვალისწინებს მანამდელ უკანასკნელ საფეხურად, ხოლო ტოტემისტური პარადიგმის შესაბამის სურათს - ყველა უფრო ადრინდელი საფეხურის ერთობლიობად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამგვარ ინტერპრეტაციაში ქრისტიანობისა და მითოსის ურთიერთმიმართება ადეკვატურად ასახავს, შესაბამისად, ნოოფილოგენეზის მესამე და მეორე საფეხურების ურთიერთმიმართებას.

ახალი საფეხურის დამფუძნებელ ინდივიდურ სულთა დასის შეკრების მომენტამდე, მასზე გადასაცემი ფენომენური მოცემულობა ჯერ კიდევ ღმერთის გამოვლენის მესამე ასპექტს, სულიწმიდას ებარება. თავად ეს დასიც ჯერ უნდა მოიწონოს მამა ღმერთმა, ძე ღმერთის დანარჩენი შინაარსი კი შესაქმის აქამდელ, უკანასკნელ საფეხურზე აუცილებელი მისიის პერსონიფიკაციითაა წარმოდგენილი, რომელმაც, როგორც აღინიშნა, აქამდელი უკანასკნელი საფეხურის შუასკნელის ბინადრებს უნდა აუწყოს უკვდავებისკენ სავალი ახალი, აქამდე არარსებული გზის გახსნის შესახებ, რასაც ახალი საფეხურის შესაქმის დასრულება მოიტანს. ეს არის იესოს ამქვეყნიური და საიქიო მისიების საზრისი, რისი გაგრძელებაც იგულისხმება ქრისტიან მოძღვართა და ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციად, რადგან არაა საკმარისი ახალი საფეხურის მხოლოდ დაარსება, აუცილებელია მისი სახით ფენომენური მოკვდავობისგან თავდახსნის ახალი გზის არსებობის შესახებ ცოდნის გავრცელება ახალ და ახალ თაობებში. ეს ამ საფეხურის მდგომარეობის დასაშვებ დიაპაზონში ცვლილებებისადმი ადეკვატურად რეაგირების რესურსის არსებობასაც მოითხოვს, რაც ქრისტიანობის სხვადასხვა ერებში, მათი ნოოტიპის გათვალისწინებით (თანაგრძნობით) გავრცელებისთვის სამი სხვა ნოოსფერული სტიქიის ეფექტების გამომხატველი ინსტიტუციური ასპექტების განვითარების შესაძლებლობითაა უზრუნველყოფილი (იხ. გვ. 122). ამ გარემოების დემონსტრაციაა სულთმოფენის სასწაული - მოციქულთადმი სხვადასხვა ენებზე მეტყველების უნარის მინიჭება.

ახლა შეიძლება გადავიდეთ ძე ღმერთის ორბუნებოვნების საკითხზე. შესაქმის აქ წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, ჭეშმარიტი ღმერთის ყოველი თვითგამოვლენის დასასრულს აუცილებელია მისი მესამე ასპექტის მემკვიდრედ გაჩნდეს მდედრობითი ბუნების ინდივიდური სული: ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე მართვის მანიის პირდაპირი ეფექტი სარაინსტიტუციურობა მოითხოვს პირველქრისტიანთა საზოგადოების, ანუ ეკლესიის, ცხოვრების არაინსტიტუციურ ქმედებად ინტერპრეტირებადობას, რისთვისაც საკმარისია სულთმოფენის სასწაულის წარმოდგენა ჭეშმარიტი ღმერთის მესამე ასპექტის კვალის პერსონიფიკაციად წარმოშობილი ინდივიდური სულის მიერ პირველქრისტიანთა საზოგადოების სახით განსხეულების აქტად. ამით შეიძლება

გავამართლოთ დედა-ეკლესიის ცნების არსებობა. ეს მომენტი ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურისეული წარმოდგენაა პიროვნების და ერის (ნოოსფერულ სტიქიათა ინდივიდური და კოლექტიური ეფექტების) არსით ურთიერთეკვივალენტობის პრინციპისა. მაგრამ ეს მომენტი არაა ორბუნებოვნების გამოხატულებად შეფასებადი - მემკვიდრე ინდივიდური სული მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთის თვითგამოვლენის დასრულების შემდეგ ჩნდება.

როგორც აღინიშნა, ძე ღმერთით წარმოდგენილი ჭეშმარიტი ღმერთის საკუთარი არსებისგან თვითგაუცხოების იმპულსი ღვთაებრივი ბუნებისაა, მაგრამ ის თუ მხოლოდ ღვთაებრივად დარჩა, გაცემის აქტი მიღების აქტად გადაგვარდება - თავისთავისგან გაუცხოებული ღმერთი აღმოჩნდება მთელი თავისი თვითგამოვლენის შედეგის მფლობელი (თვითგაუცხოების საზრისი გამცემი სუბიექტის მიმთვისებელ სუბიექტად ტრანსფორმაცია იქნება, ასეთ შემთხვევაში) და ჩნდება თავისთავთან დაბრუნების, ანუ თვითგამოვლენის პროდუქტის ძველ მდგომარეობაში დაბრუნებით დაუფლების ამოცანა, რაც ახალი მდგომარეობის მხოლოდ განმტკიცებაა (ორმხრივი ბრძოლის გაჩაღება სამყაროს დასაუფლებლად), რის გამოც მთელი ამ აქტის გამოხატულებები უნდა განადგურდეს და ახალ ცდას დაეთმოს ადგილი, რაც საწყისი ზოროასტრიზმის მთავარი (ბრძოლის მარადიულობის უზრუნველმყოფელი) პრინციპია. ამრიგად, თუ გვსურს თავი ავარიდოთ სამყაროს შესაქმის ძლევის მანიის ეფექტის გამოხატულებად წარმოდგენას, აუცილებელია სხვად ქცევისკენ მისწრაფების იმპულსის პერსონიფიცირებადობა შესაქმის აქამდელი უკანასკნელი საფეხურის ერთ-ერთ წარმომადგენლად, ანუ ერთ-ერთ ინდივიდურ სულად, რომელიც, რადგან ამ საფეხურის ზესკნელი ამ დროისთვის ფაქტობრივად დახურული უნდა იყოს, მხოლოდ მის შუასკნელს შეიძლება მოევლინოს შესაბამისი წესით. სწორედ ამას გამოხატავს იესოს მოკვდავ ადამიანთა წესით შობის ფაქტი: ღვთისმშობელი მარიამი, მასზე მისივე თანხმობით სულიწმიდას გარდამოსვლის შედეგად, ხდება მატარებელი ძე ღმერთის კერძო (ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურზე ძე ღმერთის მისიის შესაბამისი) ასპექტისა, რაც არის უმანკოდ ჩასახვის სასწაულის საზრისი (ასე რომ, ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სქესების წყვილი ძისა და დედის ურთიერთმიმართების გამოხატულებად აქტუალიზდება და შესაქმის მორიგ შემდგარ აქტშიც ჩნდება ინდივიდურ სულთა იგივენაირი წყვილი, როგორიც ჩაშლილ აქტებში. ღვთისმშობლის ინდივიდური სული არ უნდა გავაიგივოთ იესოს ინდივიდური სულის მეწყვილე დედასთან - სულიწმინდა გადმოვიდა უკვე არსებულ ღვთისმშობელზე. ამ აზრის სასარგებლოდ შეიძლება მივიჩნიოთ იესოს სიტყვები იოანეს სახარებიდან - „ხოლო იესო, ვითარცა იხილა დედაი თვისი და მოწაფე იგი რომელი უყვარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თვისსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი!“ (იოანე, 19.26) - როგორც უატრიბუტო ყოფიერებაში მეწყვილე ძეზე მითითება).

ამრიგად, ჭეშმარიტი ღმერთის თვითგაუცხოების იმპულსის პერსონიფიცირების პროცესი უნდა მთავრდებოდეს ახალი ინდივიდური სულის გაჩენის ფაქტით. ეს არის იესო ქრისტეს, როგორც კაცის, არსი. ეს ასპექტი განუყოფელია ძე ღმერთის შინაარსის დანარჩენი ნაწილისგან შესაქმის ახალი საფეხური ჩამოყალიბების დასრულებამდე, რის შემდეგაც

გაუცხოების მომენტი მთლიანად მასში კონცენტრირდება. ეს პროცესი, რომლის დროსაც ძე ღმერთს მდგომარეობა ორთოდოქსული დიოფიზიტიზმის შესაბამისია, გრძელდება ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის შუასკნელსა და ქვესკნელში იესოს მისიის დასრულებამდე. ამის შემდეგ კი, როცა ძე ღმერთის გამოვლენის დანარჩენი ნაწილი უკვე გადაცემული იქნება შესაქმის ახალი საფეხურის დამფუძნებელ ინდივიდურ სულთა დასზე, იესოს ინდივიდური სული იძენს დამოუკიდებლობას, რადგან ამის შემდეგ, მისი არსებობის ფენომენური გამოხატულება ეკუთვნის ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ზესკნელს (იხ. ქვემოთ) და, ამდენად, ხდება სასუფევლით (შესაქმის ახალი, უკანასკნელი, ამჯერად პოსტანთროპომორფული საფეხურით) გაშუალოებული ჭეშმარიტი ღმერთისგან. მისი ეს მდგომარეობა, არსებობის ფენომენური გამოხატულების შინაარსის ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის შუასკნელის კუთვნილი ასპექტისგან დაცლილობით, მონოფიზიტიზმის პრინციპებთან შესაბამისი ჩანს. შეიძლება ითქვას მეტიც - ძე ღმერთის აქ გადმოცემულ, წარმოდგენას გააჩნია ამ საკითხზე ყველა ისტორიულად ცნობილი პოზიციის შესატყვისად ინტერპრეტირებადი სტადია ან ასპექტი (როგორც წრეს გააჩნია მისით განსაზღვრულ სიბრტყეზე მდებარე ნებისმიერი წრფის პარალელური მხები), ასე, რომ ამგვარი ქრისტოლოგიის მაღიარებელი პიროვნება ქრისტიანობის ნებისმიერი სხვა მიმდინარეობის წარმომადგენელმა შეიძლება თავის მომხრედაც მიიჩნიოს და მოწინააღმდეგედაც. ისტორიულ პერსონად, ვისაც ამგვარი კონცეფციის ლეგალიზაციის მცდელობა შეიძლება მიეწეროს, უნდა დასახელდეს **პეტრე იბერი** - დიდ ქრისტიან მოძღვართაგან ერთადერთი, რომლის მიმართაც მისი თანამედროვე მონიფიზიტებისა და დიოფიზიტების ერთნაირად დადებითი დამოკიდებულება ისტორიულად დადასტურებული ფაქტია: ის ერთადერთია სირიაში მონოფიზიტების აღზევების ჟამს არჩეულ ეპისკოპოსთაგან, რომელსაც დიოფიზიტების გამარჯვების შემდეგ სტატუსი შეუნარჩუნდა და დევნას არ დაქვემდებარებია, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ავტორიტეტის გამოყენება ორივე მხარეს შესაძლოდ მიაჩნდა, მაგრამ რადგან საბოლოოდ მონოფიზიტები დამარცხდნენ, მათ უფრო მეტი დაბეჯითებით სცადეს ამ ფაქტორის გამოყენება, რისთვისაც ფაქტების გაყალბებასაც არ მორიდებიან. პეტრე იბერის მიმართ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რადიკალურად ცვალებადი დამოკიდებულებაც, ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის ამგვარივე იდენტიფიკაციას ეთანხმება.

წარმოდგენილ ინტერპრეტაციაში მნიშვნელოვანი მომენტია იესოს ფერისცვალების სასწაული, როგორც დემონსტრაცია იმისა, რომ ქვესკნელში მისიის წინ, იესომ მიიღო ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ზესკნელის მკვიდრთა მხარდაჭერა: ფერისცვალებას, სახარების მიხედვით, ესწრებიან მოსე და ელია (რომელნიც მანამდე, ძველი აღთქმის მიხედვით, გამონაკლისის წესით ამაღლებულ იქნენ შუასკნელიდან ზესკნელში), რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იესოს ზესკნელის მკვიდრად ამაღლება მოხდება, მსგავსად **მოსესი** და **ელიასი** და მანამდე ენოქისა და, ასევე, ეგეოსური მითოსის არაერთი პერსონაჟისა, იესოს შემდეგ კი, ღვთისმშობელ მარიამისა და იოანე მახარობლისა („მოწაფე იგი, რომელი უყვარდა იესოს“ - იხ. გვ. 117) წმინდა გიორგის, ისლამური ტრადიციის მიხედვით - წინასწარმეტყველ მუჰამედისა და, ქართული ტრადიციის მიხედვით, სავარაუდოდ, თამარ

მეფისა - იხ. გვ. 127). იგულისხმება (დასაშვებია, ერთ-ერთი ალტერნატიული შესაძლებლობაა), რომ მოსე ან ელია, ან რომელიმე სხვა ზესკნელის მკვიდრთაგანი დაუთმობს იესოს შესაბამის ფენომენურ მოცემულობას (ინაცვალებს, თან ეახლება ქვესკნელში მისიის ჟამს და ფენომენური მოცემულობის დათმობით ახალი საფეხურის დამფუძნებელთა დასში მოიპოვებს ადგილს: ახალი საფეხურის შექმნის აქტის მიმდინარეობაში მასში მონაწილე ინდივიდური სულებისთვის მაინც, როგორადაც წარმოდგენილია ახალ აღთქმაში მოსე და ელია, არ შეიძლება ცხადი არ გამხდარიყო, რომ ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ზესკნელის მკვიდრის სტატუსი კარგავდა უპირატესობას, ჭეშმარიტი ღმერთისგან გაუშუალებლობას). მოსესა და ელიას შუასკნელში ცხოვრებაც მომავალ ამგვარ აქტში მონაწილეობის სურვილის გამოხატულებადაა იდენტიფიცირებადი. ამრიგად, **ფერისცვალება** შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდური სულის ფენომენური მოცემულობის შუასკნელური მოდუსიდან ზესკნელურ მოდუსში ტრანსფორმაციის (შუასკნელის მკვიდრის სიკვდილის აქტის გავლის გარეშე, და ამდენად, ამავე საფეხურის ზესკნელის მკვიდრად გარდასახვის აქტის) ზოგად აღმნიშვნელად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფერისცვალების სასწაულში მონაწილე ორი ზესკნელური პერსონა იდენტიფიცირებადია ეგეოსური მითოსის პერსონებადაც (იხ. გვ. 132).

ფერისცვალების სასწაულის ამგვარად ინტერპრეტაცია აუცილებელია იმის გამო, რომ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა და ქვესკნელში მისიაც უნდა შემდგარიყო განახლებული ფენომენური მოცემულობით, განახლებული სხეულით და არა სხეულით, რომლითაც შუასკნელში იშვა და ჯვარცმა განიცადა: ქვესკნელური და შუასკნელური ფენომენური მოცემულობებით ჰადესის კომპეტენციაში ჩარევა შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ და, გარდა ამისა, შუასკნელის წესით სიკვდილისა და დაკრძალვის შემდეგ იმავე სხეულით აღდგომა იქნებოდა ჭეშმარიტი ღმერთის მიერ შუასკნელის არსებობის წესის დარღვევა, გაცემულზე ზემოქმედება გაცემის შემდეგ, ანუ მოქმედება არა საკუთარი არსებობის წესისამებრ. ასე, რომ ახალი შეპირებული (ფერისცვალების სასწაულით გარანტირებული) ფენომენური მოცემულობის გარეშე, იესო, ქმედითობის შენარჩუნების პირობად, ვერ აიცილებდა ახალი საფეხურის დამფუძნებელ ინდივიდურ სულთა დასთან ერთად ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ქვესკნელიდან ახალ საფეხურზე (სასუფეველში) გადასვლას და (უკვე, როგორც ახალი საფეხურის მკვიდრი) კვლავ ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის მოდუსით (ანთროპომორფული სხეულით) ვერ გამოეცხადებოდა მოწაფეებს, გასაცემის კერძო ასპექტის მის მიერ ამგვარად (ახალი საფეხურის სათანადო მოცემულობის განაწილებაში მონაწილეობით) შენარჩუნება კი შებღალავდა გაცემის აქტის ხარისხს და ეს, ამასთანავე, ღმერთისმიერი თვითგაუცხოების იმპულსის დათრგუნვაც იქნებოდა, რადგან ახალ სხეულში გადასვლის გარეშე, ფენომენური ასპექტით იესო დარჩებოდა ჭეშმარიტი ღმერთის გამოვლენის კერძო მომენტად და ვერ მიაღწევდა დამოუკიდებელ ინდივიდურ სულად დადგენას. ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა შესაქმის ეტაპის რეალიზაციის მცდელობის ზემოთხსენებულ ზოროასტრულ მოდელში გადაზრდაც (ძე ღმერთის მიერ გა-

საცემის მთლიანად დასაკუთრება). ამრიგად, იესოს დამოუკიდებელ ინდივიდურ სულად გამოკერძოებისთვის აუცილებელია მის მიერ ფენომენური სიკვდილის გავლა (თუმცა, არა აუცილებლად ჯვარცმით და წამებით) და მისი შემოსვა ახალი ძე ღმერთის მიმდინარე გამოვლენასთან დაუკავშირებელი ფენომენური მოცემულობით.

აღდგომის აქტში იესოს ფენომენური მოცემულობის (სხეულის) ცვლას ეთანხმება ის ფაქტი, რომ იესო ვერ იცნო მარიამ მაგდალელმა, აღდგომის შემდეგ მისმა პირველმხილველმა, და ვერც სხვა მოწაფეები ცნობდნენ მას ადვილად - თომამ ჭრილობის ჩვენებაც კი მოსთხოვა, აღიარების პირობად. თუმცა, სახარებაში არ არის დაკონკრეტებული, შეეხო თუ არა თომა ჭრილობებს. თუ კი, მაშინ ის, რომ იესომ შეძლო მისი დარწმუნება (ფერდზე ნაიარევის დემონსტრაცია), შეიძლებოდა ჩაგვეთვალა იესოს პრომეთესეული ფენომენური მოცემულობით აღდგომის სასარგებლოდ მეტყველ გარემოებად, რაც უპირატესობას ანიჭებს ფერისცვალების სასწაულის ეგეოსურ მითოსთან ასოცირებით ინტერპრეტაციას (როგორც აღინიშნა, ზესკნელური მოდუსის ფენომენური მოცემულობა, მათი მატარებელი ინდივიდური სულების თვითგამოვლენაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამ მოცემულობის მიერ წინაისტორიის განმავლობაში გადატანილი ნებისმიერი მდგომარეობის გამომხატველად). ხოლო მოციქულ თომასადმი იესოს მიმართვის შინაარსი (თვალსაჩინოების მოთხოვნით რწმენის ხარისხის დაკნინებაზე მინიშნება) ადასტურებს იმას, რომ მითოსური ცნობიერების რელიგიური ცნობიერებით შეცვლაა ქრისტიანობის გაზიარების არსი.

ქვესკნელში იესოს მისიას ეგულისხმება მისგან დამოუკიდებელი წინაპირობაც - ახალი საფეხურის დამფუძნებელ ინდივიდურ სულთა დასის მზადყოფნა, რაც ძე ღმერთის ჩარევის გარეშე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამ ფუნქციის შემსრულებლად უნდა მივიჩნიოთ **იოანე ნათლისმცემელი**, რაც ამართლებს მოკვდავ კაცთაგან უდიდეს პიროვნებად მის დასახელებას იესოს მიერ. ამას ეთანხმება ის ფაქტიც, რომ, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, იესოს ამაღლების (ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის შუასკნელის დატოვების) შემდეგ, ამ საფეხურის ქვესკნელიდან ახალ საფეხურზე ინდივიდურ სულთა გადაყვანას ახორციელებს იოანე ნათლისმცემელი, რაც ხდება წლის განსაკუთრებულ დღეებში (ასევე, იხ. გვ. 126).

ქვესკნელიდან უკუქცევის აქტშიც ჰყავს წინამორბედი ქრისტეს - ბეთანიელი **ლაზარე**, რომლის მკვდრეთით აღდგენა უნდა მივიჩნიოთ დადასტურებად ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ქვესკნელის გახსნისა იქიდან ინდივიდურ სულთა უკუქცევისთვის, რის გარეშეც ქვესკნელში ქრისტეს მისიის წარმატებით დასრულება შეუძლებელი იქნებოდა - ახალი საფეხურის შესაქმის მცდელობა დასრულდებოდა მხოლოდ იმით, რომ ერთი ახალი ინდივიდური სული შეემატებოდა შესაქმის პროცესში ჩაბმულ ინდივიდურ სულთა დასს: ლაზარე ერთადერთია იესოს მიერ მკვდრეთით აღდგენილთაგან, რომლის მიმართაც პიროვნების გარდაცვალებასთან დაკავშირებული ყველა რიტუალი შესრულებული იყო და, ამდენად, რომელიც მისი აღდგინების წინ ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ქვესკნელში ჩაღწეულ ინდივიდურ სულად შეიძლება ვიგულვოთ. ლოგიკურად დასაშვე-

ბია, რომ იესოს შემთხვევა არ იყოს პირველი მცდელობა პოსტანთროპომორფული საფეხურის შექმნისა, ანუ, რომ სამყაროს ყოველი საფეხურის შექმნასთან არაერთი ჩაშლილი მცდელობა და, ამდენად, არაერთი ინდივიდური სულის წარმოშობა იყოს დაკავშირებული. ეს არის შესაქმის წარმოდგენილი მოდელის რეალიზაციის შეჩერების შეუძლებელმყოფელი მომენტი.

ცხადია, ლაზარეს აღდგინებაც გულისხმობს მისი ფენომენური მოცემულობის შეცვლას (შუასკნელური ანთროპომორფული სხეულის ზესკნელური სხეულით შეცვლას), ისევე, როგორც იესო-ქრისტეს აღდგომის შემთხვევაში. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ლაზარე ინაცვალა ელიამ: ელია, როგორც ამინდის მმართველი მითოსური პერსონა, ქართულ ტრადიციაში ჩანაცვლებულია ლაზარეთი (ქართული ხალხური საგალობელი, რომელიც სარიტუალო მსვლელობის პროცესში სრულდება გვალვის დასრულების, ან ხანგრძლივი წვიმის შეწყვეტის თხოვნით, ლაზარესადმი მიმართვაა). აღსანიშნავია, ასევე, რომ ლაზარე შეიძლება გაიგივდეს იოანე მახარობელთან: როგორც აღინიშნა, იოანეს სახარება შეიცავს თავისი ავტორის ფენომენური გაუკვდავების შესახებ მინიშნებასაც „უკეთუ მნებავს ყოფაი მისი ვიდრემდე მოვიდეთ თქვენდა რაი?“ (იოანე 21.20 - 21.24). იოანე-ზოსიმეს “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი” ქართული ენის სახარებისეულ ლაზარესთან ასოცირებით (“და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან”) მიგვანიშნებს ქართულ ღვთისმეტყველებაში ქრისტიანობის ამ ასპექტის აქტუალობის (გაცნობიერებულობის) შესახებ.

იესოს აღდგომისა და ცადამაღლების სასწაულის შემდეგ, (გარკვეულ მომენტამდე) ის იგულისხმება ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ზესკნელის მკვიდრთა დასის წევრად. როგორც აღინიშნა, ამით შესაქმის აქტში ჩართულ ინდივიდურ სულთა სიმრავლე კიდევ ერთი წევრით ივსება.

შესაქმის განხილული მოდელის შემთხვევაში ცხადია, რომ შესაქმის საფეხურთა ზესკნელების მკვიდრებს (შესაქმის უკანასკნელი საფეხურის ღმერთებსა და წინა საფეხურების ანგელოზებს) და სხვადასხვაგვარი შემადგენლობის მათ დასებს შორის მრავალგვარი ურთიერთობების განვითარებაა ლოგიკურად შესაძლებელი, მათ შორის, შუასკნელების მკვიდრთა მონაწილეობით, რაც ჭეშმარიტი ღმერთის ორ ურთიერთმომდევნო თვითგამოვლენას შორის მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებში ნებისმიერი ცნობილი ტოტემისტური, მითოსური და რელიგიური ნარატივების და მათი ნებისმიერი ვარიაციების ასახვა-გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. ამრიგად, გამოდის რომ, მართვის მანიის ეფექტი ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზეც უზრუნველყოფს ოთხივე ფსიქიკური სტიქიის ეფექტების სისტემურ ერთიანობად წარმოდგენას, თუმცა ამ საფეხურზე ამ ფაქტის ინსტიტუციური გამოხატულება ვერ გასცდებოდა მართვის მანიის კლასის ერების გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების აქტუალიზაციის პრეცედენტებს, ანუ მართვის მანიის კლასის ერის მიერ მესამე საფეხურის გარეგნულ გამოხატულებად სხვა თვისებრივი ტიპის ერების რელიგიის ინსტიტუციების გადმოღება-იმიტაციის ფაქტებს, რაც დასტურდება ქართველი ერის მაგალითზეც.

სახარების მიხედვით, იესო-ქრისტე თავადაც ქმნის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა აქტუალიზაციის ახალ რესურსს: იესოს წინასწარმეტყველება პეტრე მოციქულის მიერ მისი სამგზის უარყოფის შესახებ, მიგვანიშნებს ქრისტიანობის აქ წარმოდგენილ, ფუნდამენტურ (საწყისეულ) ასპექტზე სხვა, სამივე ფსიქიკური სტიქიის ეფექტების გამომხატველი (და მათი პოზიციიდან მართვის მანიის სათანადო ასპექტის უარმყოფელი) მომენტების დართვის გარდაუვალობაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს მართვის მანიის ეფექტის დაფარვა სხვა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ამსახველი ინსტიტუციებით - "პეტრეს სინდრომი"; **პეტრე მოციქულს**, გარდა ამ საზოგადო მნიშვნელობისა, გააჩნია კერძო მნიშვნელობაც - ის (იესოს მიერ კლდედ წოდებული, მომავალი ეკლესიის შეუმუსრავ საძირკვლად დასახული, ეკლესიის ერთპიროვნულ წინამძღოლად მოაზრებული) ქრისტიანობაში ფორმის მანიის სათანადო ასპექტის ინიციირების პერსონიფიკაციაა, რაც რომის პაპის ინსტიტუტის მის სახელთან ასოცირებაში აისახა - "პაპიზმი"; **იუდა ისკარიოტელი** (მეგუადრუცე), ქრისტიანული სამყაროს პირველი ჩანასახის ფინანსური საკითხების განმკარგავი, ქრისტიანობაში ცხრომის მანიის სათანადო ასპექტის ინიციირების პერსონიფიკაციაა: იუდას მიერ იესოს გაცემა, იესოს არასწორად გასამართლების გარდაუვალობის გათვალისწინებით, ღვთაებრივი (სასტიკი, მაგრამ სამართლიანი) ნაცვალგების აქტის პროვოცირების მცდელობადაც შეიძლება მოაზრებულ იქნას, ხოლო იესოს გაცემისთვის გასამრჯელოს აღება მის მიერ, ცხრომის მანიის პარადიგმის გათვალისწინებთ, მოსამართლეთა დაეჭვების გამორიცხვის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ (იუდას შეცდომა იესოს მისიის არსის არასწორად გაგებაშია: შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან იესო კარმის პრინციპით მოქმედ შურისმაძიებელ ღმერთად წარმოიდგინა, რაც ცხრომის მანიის კასტური ეფექტის რეალიზაციაში მართვის მანიის ეფექტის სრული ნიველირების ტენდენციის გამოვლენად იდენტიფიცირდება); **იოანე მახარობელი**, ავტორი სახარებისა, რომელშიც სხვა სახარებებზე მკაფიოდ არის მართვის მანიის ეფექტის ელემენტები წარმოდგენილი, იმავე დროს, აპოკალიფსის ტექსტის მასთან ასოცირებულობის გათვალისწინებით, ქრისტიანობაში ძლევის მანიის კასტური ეფექტის ინიციირების პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება; ძლევის მანიის კასტური ეფექტის ინიციირების პერსონიფიკაციად შეიძლება მივიჩნიოთ ანდრია პირველწოდებულიც, მისი სახელით აღნიშნული ჯვრის ფორმის მიხედვით, რომელიც, ერთი მხრივ, აღმავალი და დაღმავალი ტენდენციების შეჯახებას განასახიერებს და ბრძოლის აქტის ყველაზე გავრცელებულ სიმბოლოსთან, გადაჯვარედინებულ ხმლებთანაცაა ასოცირებადი, მეორე მხრივ კი, იგივე ჯვარი, ბორბალთან მისი ასოცირებულობის გათვალისწინებით (ანდრია პირველწოდებული ბორბალზე გაკვრით აწამეს), სამყაროს შესაქმის საფეხუროვან პროცესში მორიგი შეყოვნების დასრულების, პროცესის კვლავ დაძვრის სიმბოლოცაა (რაც, ასევე, უქმე დღის შაბათიდან კვირადღეზე გადატანითაცაა სიმბოლიზირებული), და ანდრიას ჯვარია პროტოტიპიც (კონცეპტუალური ამოსავალი) ნინოს ჯვრისა, რომელიც შესაქმის აქ წარმოდგენილ კონცეფციას მაქსიმალური სისრულით განასახიერებს (იხ. გვ. 128).

უნდა აღინიშნოს, რომ იესოს მოციქულთა ცხოვრება ძლევის მანიის ეფექტის აქტუალობის ისტორიულ პერიოდს ეკუთვნის (ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექ-

ტის ფაზას - იხ. გვ. 221), ამის გამო ფორმის მანიის და ცხრომის მანიის კასტური ეფექტების ინიციირების პერსონიფიკაციებსაც ახლავს ძლევის მანიის კასტური ეფექტის სიმპტომად იდენტიფიცირებადი ასპექტები: პეტრე მოციქული, იესოს მიერ ეკლესიის ერთპიროვნულ წინამძღოლად დასახული, ამ სტატუსს იზიარებს პავლე მოციქულთან (სტატუსის ინტენსივობითი დანაწევრების ეფექტი); იუდა ისკარიოტელის მოქმედების ზემოთ წარმოდგენილ, მიზნობრივად მოტივირებულ ქცევაში ღმერთის მხრიდან ნაცვალგება ძალისმიერ აქციად მოიაზრება და ა. შ.

რაც შეეხება კონფლიქტების წარმოშობას. შესაქმის უკანასკნელი საფეხურის ზესკნელის მკვიდრ ინდივიდურ სულებს აქვთ საფუძველი უკმაყოფილებით შეხვდნენ ახალი საფეხურის შექმნას, რადგან ის გააშუალოებს მათ ჭეშმარიტი ღმერთისგან, წაართმევს მათ ღმერთის უკანასკნელი თვითგამოვლენის ატრიბუტების მატარებელთა სტატუსს. ასე, რომ შესაძლებელია მწვავე ამბოხი ჭეშმარიტი ღმერთის წინააღმდეგ მისკენვე მისწრაფების საფუძველზე (ამგვარი აქტივობის ჭეშმარიტი ღმერთის წინა თვითგამოვლენის ატრიბუტების ღირსების დაქვეითების არდაშვების, მისგან გაშუალების აცილების მცდელობად წარმოდგენის შესაძლებლობის გათვალისწინებით), რის მაგალითად გამოდგება დაცემული ანგელოზის შესახებ ძველაღთქმისეული მითოლოგემაც.

ამგვარი ამბოხი ჭეშმარიტი ღმერთის მორიგი თვითგამოვლენის ჩაშლის მცდელობით უნდა გამოიხატოს. ამბოხის წარმატებით დასრულებისთვის საკმარისია უკანასკნელი საფეხურის რომელიმე წინა საფეხურთაგანთან ჩაციკლვა, ან უკანასკნელი საფეხურის ქვესკნელში ახალი საფეხურის დაფუძნებისთვის საჭირო დასის დაგროვების არდაშვებაც კი. ეს ამ საფეხურის შუასკნელის მკვიდრი ყოველი ინდივიდური სულის ცხოვრების დასრულებისთანავე წინა საფეხურთაგანის შუასკნელში დაუყოვნებელი გადასვლა-რეინკარნაციის უზრუნველყოფითაა შესაძლებელი. ამ ამოცანის შესაბამისია უკანასკნელი საფეხურის შუასკნელში ჭეშმარიტი ღმერთის უგულვებელყოფის, ანუ ცოდვილთა წესით ცხოვრების, საყოველთაოდ გაბატონება. ეს ნიშნავს უზრუნველყოფას იმისა, რომ მინიმალური ფენომენური მოცემულობა, რაც სიკვდილის შემდეგ რჩებათ ინდივიდურ სულებს, როგორც წესი, გამოხატავდეს არა ჭეშმარიტი ღმერთისკენ მისწრაფებას, არამედ რომელიმე კონკრეტულობით რომელიმე არსებული საფეხურის შუასკნელის მკვიდრად შობით დაკმაყოფილებად მოთხოვნილებას. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ამბოხის წარმატებისთვის, შესაქმის მორიგი აქტის ჩაშლისთვის აუცილებელი გახდება შესაქმის უკანასკნელი საფეხურის შუასკნელსა და ქვესკნელში თვით ძე ღმერთის მისიის ჩაშლა (როგორც აღინიშნა, ჭეშმარიტი ღმერთის მორიგი თვითგამოვლენა სამყაროს ინდივიდურ სულთა სიმრავლის ქვესკნელის ერთი ახალი მკვიდრით შევსებით შეიძლება შემოიფარგლოს). ამგვარ წინააღმდეგობის მცდელობის ილუსტრაციად ახალი აღთქმის სიუჟეტიც გამოდგება.

ამრიგად, ჭეშმარიტი ღმერთის წინააღმდეგ მოქმედება შეიძლება მუდმივად თან ახლდეს შესაქმის პროცესს. ამ წინააღმდეგობას შეიძლება ახალი ასპექტები მიემატოს ყოველ უკანასკნელ საფეხურზე. მისი ლიდერი კი შეიძლება იცვლებოდეს, ან იყოს ერთი და იგივე,

რომელიმე კონკრეტული საფეხურის ზესკნელის მკვიდრი ინდივიდური სული, როგორიცაა მაგ., ბიბლიური პერსონაჟი - ამბოხებული (დაცემული) სინათლის ანგელოზი; მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ შესაქმის განხილული მოდელის შემთხვევაში, ამბოხების პოტენციური მარადიულობის მიუხედავად, მისი საფუძველია არა სუბსტანციური ბოროტების არსებობა, არამედ ნებელობა და, ამდენად, ლოგიკურია ნებისმიერი ინდივიდური სულის ცოდვისგან საბოლოოდ დახსნის შესაძლებლობა, რასაც, ასევე, ქადაგებდა **ორიგენე**.

სხვათა შორის, შესაძლებელია ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის ეფექტების გამომხატველი რელიგიების შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის ჩაშლის მცდელობებად წარმოდგენაც. კერძოდ: ფორმის მანიის ეფექტის ამგვარად ინტერპრეტირებადი რეალიზაციისთვის საკმარისია სამყაროს ჯერარსულ მოდუსად შესაქმის საფეხურთა ზესკნელების გაერთიანების, ან რომელიმე ერთი საფეხურის ზესკნელის გამოცხადება და პიროვნების ქცევის ჯერარსულობის ნიშნად სამყაროს ამგვარ მდგომარეობაში გადასვლის ხელშეწყობისა და მასში ადგილის მოპოვების (დასაკუთრების) მცდელობის დასახვა (რაც ნიშნავს შუასკნელებისა და ქვესკნელების ლიკვიდაციის ამოცანის დასმას). ცხრომის მანიის შემთხვევაში კი საამისოდ საკმარისია ნირვანას ინტერპრეტაცია შესაქმის პროცესში ჩართულ ყოველ ინდივიდურ სულთა ამოსავალი თავისუფლების, სრული უატრიბუტობის (ნეიტრალური წყვილების) მდგომარეობაში დაბრუნებად. ხოლო ამგვარი მნიშვნელობის ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციის ერთ-ერთი, ზოროასტრიზმთან ასოცირებადი შესძლებლობა ადრეც დავახასიათეთ (იხ. გვ. 117).

ჭეშმარიტი ღმერთი, მის ორ გამოვლენას შორის საერთოდ უჩინარია, ამდენად, ასეთ დროს ხსენებულ წინააღმდეგობას ინდივიდური სულების სხვადასხვა ზესკნელურ დასებს შორის კონფლიქტის სახე უნდა ჰქონდეს, სამყაროს უკვე არსებულ ნაწილში ჰეგემონიის მოსაპოვებლად. განსაკუთრებით თვალსაჩინო ილუსტრაციად გამოდგება ეგვიპტური და ეგეოსური მითოსი - სეთის და ჰორის, ზევსის და ტიტანების კონფლიქტები. ზევსის და პრომეთეს ურთიერთდაპირისპირებაც ამგვარი კონფლიქტის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ: პრომეთეს დასში მის გარდა მხოლოდ შუასკნელის მკვიდრნი იგულვებიან - პრომეთე მათი ყოფის გაუმჯობესებას ცდილობს ოლიმპიელთა დასის წინააღმდეგობის პირობებში. შესაქმის ახალი საფეხურის დაარსების შემდეგ, ამგვარი პროცესების ერთ-ერთ მონაწილედ უნდა ვიგულისხმოთ იესო ქრისტეც, როგორც ჭეშმარიტი ღმერთისგან უკვე სრულიად განცალკევებული ინდივიდური სული, და, როგორც აღინიშნა, შესაძლებელია პრომეთესეულ ფენომენურ მოცემულობაში, პრომეთეს მემკვიდრედაც კი.

პირველი ორი საუკუნის განმავლობაში, ქრისტიანობა ვრცელდებოდა არაინსტიტუციური მოდუსით - ქრისტიანული ქცევის მთავარ პრინციპად რჩებოდა გაცემა (პირადი ქონების ღატაკთათვის დარიგება და პირადი ცხოვრების ქრისტეს მოძღვრების ქადაგებისთვის მიძღვნა). იმ დროს ქრისტიანობის გავრცელების არეებზე აქტუალური იყო ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციაც (იხ. გვ. 221), მაგრამ ამ მოთხოვნას ეფექტურად აკმაყოფილებდა რომაელი ერი, რამაც არ მისცა გასაქანი ქრისტიანობის ძლევის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის ინსტიტუციურ განვითარებას, თუმცა ქრისტიანობის გავრცელებას გა-

რეგნულად თვალსაჩინო ძლევის მანიის კასტური ეფექტი მაინც ახლდა - პირველქრისტიანთა უწყვეტი დევნა და წამება, რაც კრონოსის სინდრომის გამოხატულებად მოაზრებადი მოვლენაცაა. ამდენად, ამ პერიოდის ქრისტიანობის სიმბოლოდ მაინც ანდრიას ჯვარია მისაჩნევი.

წმინდად ქრისტიანულ საზოგადოებრივ ერთეულთა ჩამოყალიბება (ქრისტიანობის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის სასაფუძვლო ფაქტორად გადაქცევა) დაიწყო მესამე საუკუნიდან, მეუდაბნოე ბერობის პრაქტიკისა და მეუდაბნოე ბერთა კონცენტრაციის ტენდენციის განვითარებით, რაც რეგლამენტირებული ცხოვრების წესით ორგანიზებული პირველი მონასტრების ჩამოყალიბებაში გადაიზარდა. ქრისტიანობის ფორმის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის განვითარება აისახა ქრისტე-პანტოკრატორის კონცეფციის შემუშავებაშიც, რაც შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, იესო ქრისტეს ინდივიდური სულის შესაქმის ახალი საფეხურის ზესკნელის ერთპიროვნულ ჰეგემონად ამაღლების ამსახველ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ, რასაც ადეკვატურად პასუხობს სიახლე ქრისტიანულ არქიტექტურაში - გუმბათი. ამ შემთხვევაში, იესოს მიერ ამ სტატუსის შესაბამისი ფენომენური მოცემულობის მიღება უკვე ვერ შებღალავს ახალი საფეხურის შესაქმით გამოხატულ, გაცემის აქტის ხარისხს, რადგან ამჯერად ის დამოუკიდებელი ინდივიდური სულია და, ამასთანავე, არა უშუალოდ ჭეშმარიტი ღმერთისგან, არამედ ახალი სასუფევლის მკვიდრ ინდივიდურ სულთაგან უნდა გადაეცეს ხსენებული ფენომენური მოცემულობა. ეს ნიშნავს თავად ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ზესკნელში იესოს ჩანაცვლებას რომელიმე ინდივიდური სულით - რომელმაც უნდა გადმოიბაროს იესოს მიერ აღდგომისას მიღებული ზესკნელური ანთროპომორფული მოცემულობა და უზრუნველყოს ამ საფეხურის სტაბილიზაცია შესაქმის ბოლოსწინა საფეხურის სტატუსში. სწორედ ამ როლში წარმოგვიდგენს ქართული ქრისტიანული ტრადიცია წმინდა გიორგის.

ქართველებისთვის, სხვა ქრისტიანებისგან განსხვავებით, წმინდა გიორგის სახელობის მთავარი დღესასწაულია არა თავის მოკვეთის დღე, 6 მაისი, არამედ ბორბალზე წამების დღე, 23 ნოემბერი (ორივე დღესასწაულის კალენდარული ფიქსირებულობის პირობებში გიორგობისთვედ იწოდა ნოემბერი და არა მაისი): ბორბალი მინიშნებაა წინა ეტაპთან, რომლის სიმბოლოც იყო ანდრიას ჯვარი, მემკვიდრეობით კავშირზე. ამასთანავე, სწორედ, ბორბალზე წამების აქტში გამოვლინდა მისი ფერისცვალების (ზესკნელის მკვიდრთათვის დამახასიათებელი ფენომენური უკვდავობის მიღწეულობის) ფაქტიც, რის შემდეგაც თავის მოკვეთით შუასკნელიდან მისი გასვლა მის მიერ გარკვეული ფენომენური მოცემულობის ნებით დათმობის აქტადაა მისაჩნევი, რამაც მოგვცა სამყაროს ერთიანად სისტემური მოწესრიგების ახალი სიმბოლო - წმინდა გიორგის 363 წმინდა ნაწილი, დაცული ყოფილი მითოსური და ტოტემისტური კულტების ცენტრებში აგებულ ქრისტიანულ სალოცავებში; ზესკნელური ფენომენური მოცემულობის იესოსგან მიღების დაშვებას ეთანხმება ის გარემოებაც, რომ წმინდა გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ფენას ეკუთვნის, არ ავლენს წინააღმდეგობის არავითარ ნიშნებს, მაგრამ ზესკნელის წარმომადგენლის სტატუსში წმინდა გიორგის ხატის ატრიბუტებად წამოდგენილია შუბი და ცხენი, რომლებიც ომის ღმერ-

თის - მარსის ერთ-ერთი ჰიპოსტასის ("მარსი ომსა შემავალი") ატრიბუტებიცაა, რაც გვკარნახობს სრული ლოგიკური თვითშეთანხმებულობის მიღწევის შესაძლებლობას, რისთვისაც საკმარისია წმინდა გიორგის მიერ იესოსგან მიღებულ მოცემულობა მივიჩნიოთ წმინდა გიორგის სახელით განაწილებული წმინდა ნაწილების შინაარსად, ხოლო ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის ზესკნელში მისი საბოლოოდ დამამკვიდრებელი მოცემულობა თავად მარსისგან მიღებულად (აღსანიშნავია, რომ იბერია-ქართლის მეფის - ფარსმან II ქველის რომაული ძეგლიც მარსის ამავე ჰიპოსტასს განასახიერებდა, რაც ქრისტიანულ ტრადიციაში კაპადოკიის ქართველ ერთან ასოცირებულობაზე მიგვანიშნებს). ამით, წმინდა გიორგი, ძლევის მანიის ეფექტის გამომხატველი სტატუსით, ქრისტე-პანტოკრატორის კონცეფციით გამოხატულ ფორმის მანიის ეფექტის ანტროპომორფული ყოფიერების საფეხურზე გავრცელებული ასპექტის (363 კულტის სისტემის) დამცველად წარმოგვიდგება, რაც ქართველი ერის ეგეოსური ცივილიზაციის ახალი ფაზისადმი რეაქციის ადეკვატური ასახვაა: ეგეოსური ცივილიზაციის ახალი, მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის (იხ. გვ. 221) გამოხატულებად ფორმის მანიის ეფექტის ინსტიტუციური ასპექტის განვითარება ქრისტე-პანტოკრატორის კონცეფციის ჩამოყალიბებით და ქრისტიანობის სხვა ასპექტების ამსახველი ტექსტებისა და პრაქტიკების დევნის დაწყებითა და თანდათანობითი გაძლიერებით გამოიხატა, რამაც აუცილებელი გახადა მართვის მანიის კლასის ერების თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებად ქრისტიანობის სხვა ასპექტის ინსტიტუციური აქტუალიზაცია, ასახული წმინდა გიორგის აქ წარმოდგენილი, ძლევის მანიის კასტური ეფექტის გამომხატველი სტატუსით წარმოდგენაში, რასაც შეიძლება ვუწოდოთ **ქრისტე-გიორგის** კონცეფცია.

წმინდა გიორგის კულტის ეს ასპექტი მართვის მანიის პარადიგმის პოზიციიდან ლოგიკურად ავსებს **ქრისტე-პანტოკრატორის** კონცეფციას. სამყაროს მდგომარეობაში **ქრისტე-პანტოკრატორის** კონცეფციით ასახული ცვლილება **ქრისტე-გიორგის** კონცეფციის ასპექტით ვრცელდება დროზეც: წმინდა გიორგის თითოეულ წმინდა ნაწილს წლის თითო დღე შეიძლება შევუსაბამოთ, წლის დარჩენილი ორი დღე უნდა ვიგულისხმოთ შობის და აღდგომის დღესასწაულების შესაბამისებად, რომლებიც შესაქმის წინა საფეხურების ახალ საფეხურთან დაკავშირის სიმბოლოა, ისევე, როგორც ნაკიანი წლის ერთი დამატებითი დღეც, რომელიც (შეიძლება იმ ორ დღესთან ერთადაც) იოანე ნათლისმცემელის ზემოხსენებული ფუნქციის შესაბამისად, ახალ საფეხურზე გადამსვლელად მზადმყოფ ინდივიდურ სულთა ახალ-ახალი დასების ახალ საფეხურზე გადაყვანისთვის განკუთვნილად შეიძლება ვიგულვოთ.

ანდრიას ჯვრის ორი დაღმავალი ხაზი (შვეული მიმართულებით წაკითხვა) განასახიერებს მამა ღმერთის და სულიწმიდას (ჯვრის ორი ზედა ქიმით გამოხატულთა) პროექცირებას ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურზე - პროექციები პერსონიფიცირებულია, შესაბამისად, იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობელ მარიამის ფენომენებით (სიმბოლურად წარმოდგენილებით ჯვრის ქვედა ორი ქიმით), რომელთაგან მეორეს (ქართული ტრადიციის მიხედვით) ჩაენაცვლა, ჯერ წმინდა ნინო კაპადოკიელი

(შუასკნელის ასპექტით), შემდეგ თამარ მეფე (ზესკნელური ასპექტით: თამარ მეფის საფლავის საგანგებოდ დამალვის შესახებ ხალხური გადმოცემა - დახურული სარკოფაგების ცხრა მიმართულებით გამოსვენება - მისი ამაღლების შედეგად ნეშტის გაქრობის ფაქტის დაფარვის მცდელობადაც შეიძლება წარმოვადგინოთ), ხოლო პირველს ჩაენაცვლა ანდრია პირველწოდებული, მოვლინებული ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ღვთისმშობლის სახელით საქადაგებლად: მამაკაცის, თავისი რჩეული დედაკაცით განსახიერებული ამოცანის საპასუხოდ მოქმედ სუბიექტად წარმოდგენა სქესების ურთიერთმიმართების საკითხში მართვის მანიის პარადიგმის შესაბამისია (იხ. §1.15). აქ, ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე სქესების ურთიერთმიმართების განსაზღვრაში ბიოლოგიური ასპექტი არაარსებითია); ანდრიას ჯვრის ორი ხაზის ურთიერთგადაკვეთილობა განასახიერებს ღმერთის გამოვლენის ხსენებული ორი ასპექტის ერთიანობას (ურთიერთთანხვედრილობას) და, ამდენად, შესაქმის ინიციატივას და თვითგაუცხოების იმპულსის (რომლის მატარებელიც ძე ღმერთია) შეწყნარებას: გადაკვეთის წერტილამდე დაშვებული ხაზები ქვევითკენ მიმართულ ისრისპირს ქმნიან, ხოლო გადაკვეთის წერტილის ზედა ქიმებით და ქვედა ქიმებით გამოხატულ ორ დონეს შორის განთავსებულობა, ძე ღმერთის ორბუნებოვნების სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ანდრიას ჯვრის ტოტებით შედგენილი კუთხეების ისრისპირებთან ასოცირება საშუალებას იძლევა ჯვრის კომპოზიციურ ელემენტებად ისრის ფორმის დეტალები წარმოვიდგინოთ, როგორც ეს ბოლნური (ბოლნისის სიონზე გამოსახული) ჯვრის მაგალითზე გვაქვს. ამით ანდრიას ჯვრის სურათი მისი გრაფიკული ნეგატივით იცვლება, მცირე სტილიზაციით (კომპოზიციის დეტალების ისრის პირთან უფრო მკაფიოდ დამსგავსებით) წმინდა გიორგიზე, როგორც სამხედრო ფენის წარმომადგენელსა და ძლევის მანიის კასტური ეფექტის პერსონიფიკაციაზეა მინიშნებაც მიიღწევა და, ბოლნური ჯვრის წრეში მოქცეულობით, ბორბალთან (შესაქმის აქტის დაძრულობასთან) ასოციაციაც დაცულია. გრაფიკული გამოსახულების მისი ნეგატივით შეცვლა მდგომარეობის ცვლის სიმბოლოა, ისრების ცენტრიკენ მიმართულობა კი გვკარნახობს ცვლილების საზრისს - ანდრიას ჯვრის ცენტრთან ასოცირებულ, იესოს სტატუსის ცვლილებას - და ბოლნური ჯვრის გიორგის ჯვრად სახელდებისა და იესოს სტატუსის ცვლილების სიმბოლოდ წარმოდგენის საფუძველს გვაძლევს: ჯვრის ცენტრი, რომელიც ანდრიას ჯვრის შემთხვევაში ძე ღმერთის ორბუნებოვნების სიმბოლო იყო, გიორგის (ბოლნური) ჯვრის შემთხვევაში იესო ქრისტეს ახალი სტატუსის (როგორც ყოვლისმპყრობელის, ახალი უკანასკნელი საფეხურის უმაღლესი იერარქისა და წესრიგის ცენტრის) სიმბოლო ხდება, თავად წმინდა გიორგი ცენტრის ისრის მეორე ბოლოებით შექმნილ წრესთან ასოცირდება, როგორც დამცავი ბარიერის სიმბოლოსთან.

ამ კონცეფციის განვითარების მორიგი ნაბიჯი ნინოს ჯვრითაა წარმოდგენილი, რომელიც ინარჩუნებს ხსენებული წერტილის (ჯვრის ცენტრის) იესო ქრისტეს ახალ სტატუსთან ასოცირებადობას, რაც ამ წერტილის შესაქმის ახალ უკანასკნელ საფეხურთან ასოცირების პირობაცაა (ახალ სტატუსში იესოა მისი უმაღლესი იერარქი). იესო ქრისტეს ახალი

სტატუსით წარმოდგენის პირობებში, ის ჭეშმარიტ ღმერთს გარეგან ფენომენად მიემართება და ეს მიმართება ჭეშმარიტი ღმერთის ჰიპოსტასებს არ განარჩევს, რის საილუსტრაციოდ ჭეშმარიტი ღმერთი შეიძლება გამოისახოს ანდრიას ჯვრის ორი ზედა ტოტის შეერთებით მიღებული ახალი ტოტის ქიმით, რაც ანდრიას ჯვრის (ოთხტოტიანი ფიგურის) სამტოტიან ფიგურად გარდასახვას გვაძლევს, ხოლო ამ ფიგურის ცენტრის შვეული ხაზის მიმართ სიმეტრიულად დახრილი ტოტების ბოლოების მიმართ მაღლა მდგომობა გვკარნახობს შვეული ხაზის შესაქმის საფეხურთა რიგთან ასოცირებას (გადაკვეთის წერტილის დონე, შეესაბამება ახალ უკანასკნელ საფეხურს - ახალ სასუფეველს, შვეული ხაზის მიმართ სიმეტრიულად ქვემოთ დახრილ პოზიციაში დარჩენილი ტოტების ქვედა ბოლოების დონე კი ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურს) და, ამდენად, ზედა შვეული ტოტი შეიძლება გაგრძელდეს შვეულადვე ქვევით, შესაქმის წინა საფეხურთა უსასრულო რიგის გამომხატველად, რასაც ასახავს ნინოს ჯვრის მასალა - ვაზის ნასხლავი; ვაზის რქის მუხლებს შორის ჭრიან, რაც მას დასაწყისის და დასასრულის არმქონე (ორმხრივუსასრულო) მიმდევრობის სიმბოლოდ აქცევს; ვაზის რქის მუხლებთან ასოცირებით შესაქმის საფეხურთა რიგის დიაქრონულად ზრდადობაც პოულობს სიმბოლურ გამოხატულებას: ვაზის რქას მუხლები ზრდის პროცესში ერთიმეორის მიყოლებით ემატებიან, წვეროს მხრიდან, ამასთანავე, მუხლი იკვეთება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მორჩი მის სამომავლო ადგილს კარგად გასცილდება, რაც შიძლება შესაქმის პროცესის შესაქმის საფეხურზე შეჩერების შეუძლებლობის სიმბოლოდ მივიჩნიოთ; ნინოს ჯვრის შემკრავად გამოყენებული ქალის თმა კი ნინოს ჯვრის ტოტების შეკრების წერტილის იესოსთან ასოცირების ხაზგასმაა და შესაქმის საფეხურებს შორის კავშირის უზრუნველყოფაში ძე ღმერთთან ერთად სულიწმიდას როლზეც მიანიშნებს, რაც ქალწულ მარიამზე (და ქრისტეს ამაღლების შემდეგ მისი მიმდევრების დასზე) მისი გარდამოსვლის სასწაულშიცაა ასახული.

ნინოს ჯვრის, როგორც სიმბოლოს, ჩამოყალიბება, არის ქრისტიანობის საწყისი მიმართულების მიმდევრების რეაქცია ქრისტიანობაში ფორმის მანიის ეფექტის შესაბამისი მიმდინარეობის დომინანტიზაციაზე. თავის მხრივ, ახალმა მამიმართულებამაც მოითხოვა ანდრიას ჯვრის ახალი სიმბოლოთი შეცვლა, რისი დაკმაყოფილებაც დაკავშირებულია ჯვართამაღლების სასწაულთან: ჯვარი, რომელზეც ეწამა იესო (ცალსახად წამების იარაღი, რასაც ვერ ვიტყვით ანდრიას ჯვარზე, და მით უმეტეს, ნინოს ჯვარზე), გახდა სიმბოლო თანხმობისა ადამიანთა საზოგადოების ახლებურად და სახელდობრ ფორმის მანიის პარადიგმის მიხედვით წარმოდგენილ ქრისტე-პანტოკრატორის კონცეფციის შესაბამისად ცენტრალიზებული იერარქიის პრინციპით მოწყობის საკითხში.

ბიზანტიური ქრისტიანობა, თავისი საწყისი სახით, მაქსიმალურად შეთანხმებულია შესაქმის აქ წარმოდგენილ (მართვის მანიის ეფექტის გამომხატველ) კონცეფციასთან, ინტერპრეტირებადია ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის შესაქმის საშუალედო საფეხურად სტაბილიზაციის ამსახველ მოძღვრებად, რაც კაპადოკიური წრის, პატრისტიკის მწვერვალებად წოდებული სამეულის - **ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელისა** და **გრიგოლ**

ნაზიანელის - დამსახურებაა, ისევე, როგორც ძველი აღთქმის ტრადიციის ქრისტიანობასთან დაკავშირება. მეორე საუკუნის დასასრულამდე, ძველი აღთქმის ტრადიციასთან ქრისტიანობის დაკავშირების მცდელობა მხოლოდ ებრაელ ერზე ეგეოსური ცივილიზაციის თანადროული ფაზის გავლენის გამოხატულებას წარმოადგენდა, ხოლო უფრო მნშვნელოვანი იყო მეორე, ნეგატიური დამოკიდებულების განმსაზღრელი მომენტი: ქრისტიანობის საწყისი მოდუსი ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ფორმის მანიის ეფექტის ებრაული რეალიზაციის - თალმუდიზმის - საპირისპირო ალტერნატივაა, როგორც ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის მართვის მანიის ეფექტის რეალიზაცია; ამრიგად, სახარებაში "ძველი აღთქმის" თემატიკის წარმოდგენილობა მაშინ უკვე ორსაუკუნიანი ისტორიის მქონე თალმუდიზმის საწინააღმდეგო არგუმენტების მის წყაროდ აღიარებულ მოცემულობაშივე დაფიქსირების მცდელობის გამოხატულებაა, რაც უშედეგო ვერ იქნებოდა, რადგან მოსესთან ასოცირებული ნაწილი "ძველი აღთქმისა", არის მართვის მანიის კლასის შუმერი ერის მითოსური მემკვიდრეობის ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის მიერ რეინტერპრეტაციის პროდუქტი, რაშიც საწყისი მოცემულობის პარადიგმული კვალის სავსებით როდი იყო წაშლილი; მხოლოდ შემდეგ დაემატა "ძველი აღთქმა" ქრისტიანულ წმინდა წიგნების რიგს, როგორც ფორმის მანიის ეფექტის ასპექტის რეალიზაციის ალტერნატიული რესურსი, სათანადო მომენტის შემცველობის საფუძველზე - ეგეოსური მითოსი არ შეიცავდა ასეთ ელემენტს, თუ არ ჩავთვლით ეგვიპტური ცივილიზაციის ზეგავლენას, რომელმაც ხელშემწყობი გარეგანი ფაქტორის როლი შეასრულა ეგეოსური ცივილიზაციის სტაბილიზაციაში (იხ. გვ. 218). სწორედ ამ გავლენის კვალის ასახვაა უკვე "ახალი აღთქმის" ტრადიციით იესოს ეგვიპტესთან დაკავშირება. ამრიგად, ქრისტიანობის კაპადოკიური კერის გავლენა ბიზანტიურ ინსტიტუციურ ქრისტიანობაზე უნდა დასახელდეს იმ ფაქტორად, რომელმაც განაპირობა ქრისტიანობის ამ მიმდინარეობის განსაკუთრებული ადგილი ქართველი ერის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის გარეგნულ გამოხატულებათა შორის. მის ამგვარ გამორჩეულობას დაემუქრა ხატმებრძოლეობა, როგორც ქრისტიანობიდან მითოსთან ასოცირებადი ასპექტის ამოღების მცდელობა. ეს ტენდენცია ისლამის გავლენით (ფორმის მანიის ეფექტის ასახვაში ისლამის დაწინაურების დაძლევის მცდელობის გამოხატულებადაც) განვითარებულ რეაქციად, აქ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით კი შესაქმის გაგრძელების წინააღმდეგ ამბოხებად, შეიძლება შეფასდეს, ისლამის მსგავსად. მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ქრისტეს ანთროპომორფულად გამოსახვის აკრძალვა შეიძლება მივიჩნიოთ იესო ქრისტეს სტატუსის ცვლილებაზე (ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურიდან სასუფეველში გადასვლაზე) ადეკვატურ რეაქციადაც. ისლამური ქრისტოლოგიაც იესოს ამგვარ სტატუსთანაა თავსებადი. მხოლოდ ამგვარი ინტერპრეტაციითაა დასაშვები ისლამი ქართველი ერის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის გარეგნული არაპირდაპირი ინსტიტუციური თვითგამოხატვის ალტერნატიულ მოდუსად, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველმა მუსლიმებმა წინასწარმეტველი მუჰამედის პოზიცია ქრისტიანობის საწყისი მოდუსის უარყოფის (დაფარვის, "პეტრეს სინდრომის") გამო ქრისტიანობის ინსტიტუციური

("პეტრეანული") ასპექტის კრიტიკად უნდა წარმოადგინონ და არა ისლამური ინსტიტუციის გარეგნული თვითგამოხატვის ალტერნატიულ მოდუსად აქტუალიზაციის ასპექტით. თუმცა, სანამ მართლმადიდებლობაა ქართველთა უმეტესობის არჩევანი არაპირდაპირი თვითგამოხატვის მოდუსად, ნებისმიერი კონფესია შეიძლება ქართველთა მცირე ჯგუფების არჩევანი გახდეს ამგვარივე დანიშნულებით.

იესოს ღმერთად არმაღიარებელი სხვა რელიგიური მიმდინარეობებიც, როგორც აღინიშნა, შეიძლება, ან ჭეშმარიტი ღმერთის წინააღმდეგ ამბოხის გამოხატულებად ჩავთვალოთ, ან იესოს რომელიმე იმ სტატუსის ამსახველად მივიჩნიოთ, რომლებიც აღდგომის შემდეგ მის რომელიმე მდგომარეობას შეესაბამებიან, შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით.

მოგვიანებით, ქრისტიანობის ძლევის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტსაც ჩამოუყალიბდა საკუთარი სიმბოლო, ე. წ. შვიდქიმიანი ჯვარი, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა რუსეთსა და სერბეთში. შვიდქიმიანი ჯვარი არის ბიზანტიური ჯვრის შევსება ორი განივი ხაზით, რომელთაგან ერთი, ზედა, ჰორიზონტალურია ძირითადი განივი ხაზის მსგავსად, მეორე, ქვედა კი, - დახრილი. დახრილი ხაზი თავადაც გამოხატავს კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებას (მაღლა აწეული მხარე სიკეთეს განასახიერებს, ძირს დაწეული - ბოროტებას), მაგრამ უფრო მკაფიოდ ჩანს ეს მომენტი თვით ამ დამატებითი ხაზების ურთიერთმიმართების მეშვეობით: ზედა, ჰორიზონტალური ხაზის სიკეთის სიმბოლოდ, ხოლო ქვედა, დახრილი ხაზის ბოროტების სიმბოლოდ დასახვით მთავარი, შუა ხაზი ბოროტის და კეთილის გამყოფი საზღვრის მნიშვნელობას იძენს, რაც ქრისტეს სამყაროს პოლარიზაციის (ბოროტი-კეთილი ძალების განცალკევების) ინიციატორიად წარმოდგენის შესაბამისია, კეთილი ძალების თვითონ მასთან ასოცირების პირობით (ზედა ხაზი ბევრად უფრო ახლოსაა ძირითად ჰორიზონტალურ ხაზთან, ვიდრე ქვედა ხაზი). ამ კონცეფციის სასარგებლოდ მეტყველებს რუსეთში ხუთქიმიანი ჯვრის გავრცელებულობაც, რომელიც არის მიღებული შვიდქიმიანი ჯვრისგან შუა (ძირითადი ჰორიზონტალური) ხაზის მოცილებით და ზედა და ქვედა ხაზების თანაბრად გადიდებით: იგულისხმება, რომ ეს ჯვარი განასახიერებს სამყაროს მდგომარეობას ქრისტეს მოვლინებამდე, როცა ბოროტისა და კეთილის გამყოფი საზღვარი არ არსებობდა, როცა ყოველი გამყოფი ხაზის (შვეული ხაზით წარმოდგენილის) ორივე მხარეს იყო როგორც სიკეთის, ასევე, ბოროტების ელემენტები (შესაბამისად, როგორც ჰორიზონტალური ხაზის, ასევე, დახრილი ხაზის ნაწილები). ხუთქიმიან ჯვრებს დგამენ საფლავებზე, რაც ცხოვრების უცოდველად გავლის შეუძლებლობის აღმნიშვნელია და იმის აღიარების გამომხატველიც, რომ გავლილი ცხოვრების მიხედვით პიროვნების შეფასება (სიმბოლურად - ჯვრის ძირითადი ჰორიზონტალური ხაზის გავლება) ღმერთის საქმეა და არა საზოგადოებისა. ქრისტიანობის ძლევის მანიის ასპექტის სიმბოლოდ შეიძლება დასახელდეს ევროპელ რაინდთა სწორი ვადაჯვრიანი ხმალიც, რომელიც, გარდა იმისა, რომ ქრისტიანობის სახელით ბრძოლის იარაღია, ფორმითაც ასოცირებადია შვიდქიმიან ჯვართან: ზედა ხაზი განსახიერებულია ხმლის ვადის კოპით, შუახაზი - ხელე-

ბის დამცველი განივი შვერილებით ვადაზე, ქვედა ხაზი - ხმლის სამკუთხა ფორმის წვეროს კონტურით (კიდიდან ცენტრისკენ ორმხრივი დახრილობით).

შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილების გადატანა მოელის. კერძოდ, როდესაც ახალი უკანასკნელი საფეხური დაკარგავს სასუფევლის სტატუსს და დაექვემდებარება სამ სკნელად გახლეჩას, გაჩნდება ისეთ ინდივიდურ სულთა ნაკადი, რომელთაც უკანასკნელ საფეხურზე ფენომენური სიკვდილის შემდეგ, ნაცვლად ჭეშმარიტი ღმერთის მორიგი თვითგამოვლენის მოლოდინით ამავე საფეხურის ქვესკნელში შეყოვნების სურვილისა, წინა საფეხურისკენ უკუქცევის, ანუ ანთროპომორფული მოდუსით შობისკენ მისწრაფება დაუფიქსირდებათ. ეს ნიშნავს იმას, რომ შედგეს იესოს მიერ ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურიდან ახალი საფეხურისკენ გაჭრილი გზის საპირისპირო მიმართულებით გავლის ფაქტები, რაც არის ანტიქრისტეს არსი შესაქმის აქ წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით.

რაც შეეხება მეორედ მოსვლას. ეს ელემენტი შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით მრავალნაირად ინტერპრეტაციაა შესაძლებელი. მაგ., მეორედ მოსვლის აღთქმა ჭეშმარიტი ღმერთის მორიგი თვითგამოვლენის გარდაუვალობის შესახებ განცხადებადაც შეიძლება მოვიაზროთ: იესო ქრისტემ ეს აღთქმა დადო ჯერ კიდევ ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის მკვიდრ ინდივიდურ სულთა წინაშე, რომელთაც მის მიერ დასახული გზა აირჩიეს და, ამდენად, რომელნიც უნდა ვიგულვოთ ახალი უკანასკნელი საფეხურის ზესკნელის მკვიდრებად ჭეშმარიტი ღმერთის მორიგი თვითგამოვლენის აქტში. ფორმის მანიის სათანადო ასპექტით კი, მეორედ მოსვლა ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის აღდგენაა წმინდად მის ზესკნელურ მოდუსში, ინდივიდურ სულთა საამისოდ აუცილებელი დასის სრულად მოკრეფის შემდეგ, რაც, ფორმის მანიის ეფექტის კასტურ რეალზიაციაში, ნებელობითი მოტივაციის საკითხია და შუასკნელური გამოცდილების კონკრეტულობაზე დამოკიდებულ ფაქტორად შეიძლება დაისახოს.

თავად ფორმის მანიის ეფექტის რეალიზაციაში კი ინდივიდური სულები ღმერთის მიერვე იქმნებიან, ამქვეყნიური ცხოვრებით გადიან გამოცდას და სიკვდილის შემდეგ გადადიან მეორედ მოსვლის, ანუ სრული დასის მოკრების დასრულების მოლოდინში, რაც კოლექტიური ხსნის კონცეფციის საფუძველია. ცხადია, ინდივიდურ სულთა სრულყოფილი დასის მოკრების დასრულებამდე, რაც კოლექტიური ხსნის მიღწევის წინაპირობაა, აუცილებელია ახალ თაობათა გაჩენის შეუფერხებლობა, ანუ დედ-მამობა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ისახება. ამქვეყნიური ცხოვრებით გამოცდა ნიშნავს დადგენას იმისა, თუ რამდენად არის მიდრეკილი ინდივიდური სული ყოფიერების ჯერარსული ნორმების რეალიზაციისა და დაცვის კოლექტიურ მცდელობაში მონაწილეობისკენ (რასაც ასახავს ლეგიზმი, კონფუციზმი და დაოსიზმი, თალმუდი, ქრისტიანობის ერთ-ერთი ასპექტი, შარიათი და ა.შ., ხოლო უმაღლესი გამოვლინებად შეიძლება დასახელდეს ღვთის ნებით სანქცირებული აბსოლუტური მონარქიის იდეის ერთგულება). ამ შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდური სულის შეფასება ერთი ცხოვრების შედეგის მიხედვით ხდებოდეს, რაც ინდივიდური

სულის შექმნისას მის მიერ მიღებული თვისებრიობის უცვლელობის შემთხვევაში იძენს გამართლებას და, ამდენად ფატალიზმის საფუძველია. მაგრამ თუ დაშვებული იქნა, რომ ინდივიდურ სულს შეეძლოს ცვლილება ცხოვრებისეული გამოცდილების გავლენით, მაშინ ლოგიკურია მრავალჯერ დაბადების შესაძლებლობის მინიჭება, ცხოვრებათა რიგის გავლით საჭირო მდგომარეობამდე მიღწევის უზრუნველსაყოფად.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალჯერ შობის შესაძლებლობის დაშვება კარმის კონცეფციის საფუძვლადაც გამოდგება, რაც მეორედ მოსვლის ნირვანაში გადასვლად მოაზრების, ანუ ცხრომის მანიის ასპექტით წარმოდგენის შესაძლებლობას გავძლევს. ამ შემთხვევაში, ასევე, იგულისხმება ამქვეყნიური ცხოვრების ინდივიდური სულის მიერ დაბადებამდე ღმერთთან დადებული შეთანხმების პირობების სწორად გახსენებისა და ზედმიწევნილობით შესრულების მცდელობის პროცესად მოაზრებაც, რაც ინდივიდური ხსნის პრინციპის საფუძველია და ხსნის ინდივიდური წინასწარგანსაზღვრულობის პრინციპის საფუძვლადაც გამოდგება - დასაღუპად განწირული ინდივიდური სულებისთვის დაბადება ღმერთის მიერ მათი უკანასკნელი სურვილის შესრულებად შეიძლება წარმოდგენილ იქნას. ამ კონცეფციის კვალს ვხედავთ პროტესტანტიზმში.

ძლევის მანიის ასპექტით კი, მეორედ მოსვლა აპოკალიფსური შერკინების აქტია, რომელიც მხოლოდ წინაპირობაა კეთილი და ბოროტი საწყისების ურთიერთბრძოლის მორიგი ეტაპისა, ბრძოლისგან საბოლოოდ თავის დახსნა შეუძლებელია, ამდენად ხსნას მხოლოდ კეთილი ძალის მხარეს პოზიციის შენარჩუნებაშია, მეორედ მოსვლა კი მარადგანმეორებადი აპოკალიფსური მომენტია.

* * *

როგორც აღინიშნა, ქრისტიანობა არ არის ძველი აღთქმის საფუძველზე აღმოცენებული რელიგია. ქრისტეს მითოსური პროტოტიპია პრომეთე და არა რომელიმე პერსონაჟი ძველი აღთქმიდან. ახალი აღთქმის ყველა თემას მოეძებნება მის პრეისტორიად იდენტიფიცირებადი ფაქტი ეგეოსური მითოსიდან. მაგ., ფერისცვალების სასწაული იესოს მიერ ზევსის და პრომეთეს საბოლოოდ შერიგების სცენადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, შესაქმის ახალი საფეხურის აქტში ამ ეპიზოდის მნიშვნელობის (იხ. გვ. 119) შეუცვლელად.

ეგეოსურ მემკვიდრეობაში ძე ღმერთის კონცეფციას ეძებნება ტოტემისტური პროტოტიპიც - ტახის კულტი, რასაც ადასტურებს ქართულ ტრადიციაში ქრისტეშობის აღსანიშნავ ყოფით რიტუალში ტახის ხორცით ზიარების აუცილებელ ელემენტად წამოდგენილობა.

სხვათა შორის, ტახი ამავე ტოტემისტური მნიშვნელობითაა წარმოდგენილი ახალ აღთქმაშიც. კერძოდ, იესოს ცნობილი იგავი მარგალიტების შესახებ, ამ შეგონების ადრესატთა ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე მდგომობის გათვალისწინებით, იდენტიფიცირდება არა ღირსების ასპექტზე მინიშნებად, არამედ მინოტავრის სინდრომის, ღრმა დესტრუქციის პოტენციის მქონე პროცესის განვითარების საფრთხის შესახებ გაფრთხი-

ლებად: შეგონების აზრია, არ მიეძღვნას საზოგადოების ღირებული რესურსები ტოტემურ კულტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლტის დაღუპვის ეპიზოდითაა ახალ აღთქმაში წარმოდგენილი ადამიანის ამქვეყნიური ყოფის დამამძიმებელ ფაქტორთა ამ სოფლიდან მოსაშორებლად თავგანწირვად იდენტიფიცირებადი ქცევის მოდელიც, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების გაცემის აქტად წარმოდგენის შესაბამისია.

ქრისტეს ამქვეყნიური ღვაწლი გაცემის აქტია და ამგვარივე ქცევის ნიმუშის შეთავაზებაც, მაგრამ, ამასთანავე, შეიძლება მისი გამოყენება სხვა სამი ნოოსფერული სტიქიის ეფექტის გამომხატველი ქცევის მოტივირებისთვისაც, როგორც, შესაბამისად, საზოგადოებრივი ყოფის არაჯერარსულობის დემონსტრაციისა, აპოკალიფსური აქტისთვის ძალთა პოლარიზაციის ინიციირებისა, და ბოლოს, ცოდვათაგან დახსნის სანაცვლოდ, ადამიანთაგან საპასუხო ქცევის მოლოდინის დამყარებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტები, მათ შორის ოთხი სახარება, შერჩეულ იქნა ქრისტიანობაში ფორმის მანიის ეფექტის სათანადო ასპექტის დომინირების პირობებში, როცა სხვა ასპექტების ამსახველი მასალა (რამდენადაც იდენტიფიცირებადი იყო ის ამგვარ რამედ) დევნის ობიექტად იყო ქცეული. ამას ადასტურებს შემთხვევით შემორჩენილი ტექსტები, მათ შორის, ე. წ. აპოკრიფული სახარებები. ერთერთი მათგანი, **მარიამ მაგდალინელის** სახარება, სხვა საინტერესო ასპექტებთან ერთად შეიცავს მინიშნებას იესოს ამქვეყნიურ ცხოვრებაში მარიამ მაგდალელის განსაკუთრებული როლის შესახებ. არსებობს ვერსიაც, რომ იესო, სანამ ის ქადაგებას შეუდგებოდა (ანუ ნათლისღებამდე), დაქორწინებული იყო მარიამ მაგდალელზე და ორი შვილიც კი ჰყავდა, რომელთა სიმწიფის ასაკის დადგომის შემდეგღა შეუდგა ახალ ცხოვრებას, ქადაგებას (ნოოფილოგენეზის მეორე საფეხური სრულდება 12 წლის ასაკში, ასე რომ, მაშინდელ პალესტინაში 13 წლის ადამიანი შეიძლება ვიგულისხმოთ ფსიქოლოგიურად ზრდასრულ პირად, ხოლო ქორწინებისთვის ოპტიმალურ ასაკად მისაღები ხდება 16 წელი და, ამდენად იესოს 30 წლის ასაკში შეიძლებოდა ჰყოლოდა სიმწიფის ასაკს გადაცილებული შვილები). ეს კონცეფცია თავსებადია შესაქმის აქ წარმოდგენილ მოდელთან: იმისათვის რომ შუასკნელის მკვიდრთ უჩვენო ახალი გზა, აუცილებელია იცხოვრო მათი შუასკნელური ცხოვრების ყოველი კონსტრუქციული ასპექტის ამსახველი ცხოვრებით. ამ მომენტის კვალმა თავი იჩინა ფრანკთა ფოლკლორში, მეროვინგების დინასტიის იდეურ საფუძვლად. ბაგრატიონთა დინასტიის იდეურ დაფუძნებაშიცაა სავარაუდო მისი გავლენა. თუმცა, ოფიციალურად ქართველი ბაგრატიონები იესოს მხოლოდ ხორციელ ნათესავებად და არა უშუალო შთამომავლებად მოიხსენიებიან. სხვათა შორის, ბაგრატიონების დინასტიის ამგვარად დაფუძნება ებრაული ეთნოსისგან, როგორც მართვის მანიის კლასის შუმერი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისგან, შუმერული ელემენტის უკუგამოკერძოების გამოხატულებადაც (აბრ**აა**მის კვლავ აბ**რ**ამად მოქცევად) შეიძლება მივიჩნიოთ, რაც ქართველი ერის შუმერი ერის მემკვიდრედაც წარმოდგენის უფლებასაც გვაძლევს: ერთი ერი შეიძლება მისივე თვისებრივი ტიპის რამდენიმე ერად დაიშალოს ისტორიულ პროცესში, რაც ერთი ბიოსახეობის

რამდენიმე ბიოსახეობად დაშლის მოვლენების ნოოსფერული ანალოგია, მაგრამ ბიოსფეროსგან განსხვავებით, ნოოსფეროში შესაძლებელია უკუპროცესიც - ერთი და იმავე თვისებრივი ტიპის რამდენიმე ერის ამავე თვისებრივი ტიპის ერთ ერად გაერთიანება. მსგავსად ამისა, ბიოსფერული ანალოგი არ მოეძებნება არც ერის ფსიქოპტიპური ტრანსფორმაციის მოვლენას, როცა ეთნოსი თავის წინაისტორიასთან მემკვიდრეობით კავშირს კარგავს და სხვა ეთნიკურ ბაზისზე არსებული ისტორიული ერის (რომლის არსებობა მანამდე შეწყდა) მემკვიდრე ერის წარმომადგენელ საზოგადოებად იქცევა, ამის მაგალითია ცხრომის მანიის კლასის ერის სტატუსში ძველელინელი ერის მემკვიდრედ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოთა ერთობის ჩამოყალიბება საერთო კულტურის საფუძველზე, რაც ამ კულტურის "რენესანსად" სახელდებაშიც აისახა. დღეს ორივე მათგანის მემკვიდრებად ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

* * *

შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, სამყაროს არასოდეს ექნება დასრულებული სახე - შესაქმის ყოველი ახალი საფეხური სრულიად ახალი (უპრეცედენტო) მოდუსის ფენომენებს ჰმატებს მას. ამგვარი წარმოდგენის გავლენადაა იდენტიფიცირებადი ქართული ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების ტენდენცია, რომელმაც სამთავისის სკოლის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. კერძოდ, ქართული ტაძრების არქიტექტურის განმასხვავებელი ნიშანი - არქიტექტურული მასივების საფეხუროვანი წყობა, ხაზგასმულად საფეხუროვანი გადახურვა - რაც ადრეული ხანის ტაძრებზე (თავდაპირველად ბაზილიკებზე) არქიტექტურული მასივების მიშენების პრაქტიკის გავრცელებით დაიწყო, ნაგებობის მუდმივად გართულების შესაძლებლობის დამშვები პრინციპის ამსახველია, ხოლო დანაწევრებული გადახურვა, არქიტექტურულ მასივთა ხაზგასმულად საფეხუროვანი წყობა, რაც შემდეგ ამოსავალი არქიტექტურული გეგმის მახასიათებელი (სამთავისის სკოლის გამომრჩეველი მომენტი) გახდა, შესაქმის პროცესის საფეხუროვნების და მარად დაუსრულებლობის პრინციპის სიმბოლოა. ამსთანავე, მინაშენთა სახურავების საფეხურები თითქმის ადამიანის სიმაღლემდე ჩამოდის, რაც მონუმენტურობისგან დამთრგუნველ ეფექტს აბათილებს, ღვთაებრივის ადამიანისგან ახლობლობის განცდას იწვევს. ამან განსაზღვრა არქიტექტურული მასივის წმინდად პირამიდული წყობისკენ მისწრაფება. სწორედ ეს მომენტები განასხვავებს ქართულ ტაძრების საუკეთესო ნიმუშების არქიტექტურას არმენიული, ბიზანტიური და რუსული ტაძრების არქიტექტურისაგან. არმენიულ ტაძრებში გადახურვის სიბრტყეთა სიმთლიანის დარღვევას პლასტიკური შტრიხის მნიშვნელობა აქვს და საფეხურთა რიგის ასოციაციას არ იწვევს, მიშენების პრაქტიკა არ დასტურდება - შენება დასრულებული ნაგებობის შექმნად მოიაზრება. არქიტექტურული მასივების წყობა პრიზმულ-პირამიდულია - სახურავი მიწიდან დიდ სიმაღლეზე რჩება, ამძაფრებს მონუმენტურობას და ღვთაებრივის ადამიანურისგან უფსკრულით გამიჯნულობის განცდას ასახავს, რაც ფორმის მანიის პარადიგმის შესატყვისია. ამგვარივე შთაბეჭდილებას იწვევს ბიზანტიური არქიტექტურაც, რომელში არქიტექტურული მასივების წყობაში პრიზმულო-

ბის მომენტი უფრო დომინირებს და ყურადღება გადატანილია ინტერიერის მოწყობაზე. ხაზგასმული მონუმენტურობით ხასიათდება რუსული არქიტექტურაც, რომელსაც არქიტექტურული მასივების წყობის საფეხუროვნება არ ახასიათებს, გუმბათების სიმრავლით კი აპოკალიფსური შერკინების წინ კონსოლიდაციისკენ მოწოდებას განასახიერებს.

* * *

შესაქმის აქ წარმოდგენილი მოდელი გვაძლევს იმ ცვლილებების ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც, რაც ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლას მოაქვს. კერძოდ, ეს ცვლილებები შეიძლება დავუკავშიროთ შესაქმის უკანასკნელ საფეხურის სასუფევლის სტატუსში არსებობის დასასრულის დადგომას, მის სამ სკნელად გაყოფას: როგორც აღინიშნა, შესაქმის საფეხურთა შუასკნელებიც დაკავშირებულია ერთიმეორესთან, ამდენად ახალი საფეხურის შუასკნელის შექმნას უნდა მოჰყვეს წინა საფეხურების შუასკნელთა არსებობაში სიახლის შეტანა. თავად ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის შუასკნელის (რაც ადამიანთა საზოგადოების, დედამიწის ნოოსფეროს სახით უნდა წარმოვიდგინოთ) გაჩენასაც უნდა ხლებოდა მსგავსი მნიშვნელობის ცვლილებები წინა საფეხურების შუასკნელების არსებობაში, რადაც შეიძლება დავასახელოთ დედამიწის ბიოსფეროზე, ლითოსფეროსა და ეკოსიტემის სხვა კომპონენტებზე ადამიანის ტექნოლოგიური აქტიურობის ზეგავლენა, როგორიცაა მაგ., ზოგიერთი სახეობის ცხოველების მოშინაურება, ზოგიერთი სახეობის მცენარის გადაქცევა სამეურნეო კულტურად, ლანდშაფტის და ეკოლოგიის სხვა ფაქტორების რამდენადმე მაინც შესამჩნევი ცვლილებები. ხოლო ე. წ. მასობრივ კულტურაში ახალგაჩენილი ე. წ. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების (უცხოპლანეტელების) მითოლოგიზირებული თემატიკა შეიძლება თავად ანთროპომორფული ყოფიერების საფეხურის მოვლენებზე შესაქმის ახალი საფეხურის გავლენის სიმპტომად იქნეს გააზრებული. ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება გააზრებადია პრომეთეს მიერ დაწყებული ამბოხის განვითარებად. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია მხოლოდ ნოოონტოგენეზური ფუნქციით.

მართვის მანიის ეფექტის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ფენომენურ გამოხატულებებზე აქ არ არის საჭირო შევჩერდეთ, რადგან მთელი ამ წიგნის შინაარსი სწორედ ესაა.

§1.15 ადამიანის სქესის ბიოლოგია და ნოოლოგია

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, რომლის განხილვის პირობაც დავდეთ - ადამიანის სქესის ბიოლოგიის ექსკლუზიური ასპექტის განხილვას. ადამიანისთვის დამახასიათებელი სქესობრივი ქცევის ბიოლოგიური მოდელის ექსკლუზიურობა მდგომარეობს იმაში, რომ მამრის სქესობრივი აღმგზნები ფაქტორის როლს ასრულებს არა ოვულაციურ ციკლებ-

თან დაკავშირებული ჰორმონული აგენტები, როგორც სხვა ბიოსახეობათა შემთხვევაში, არამედ მდედრის სხეულის ვიზუალური და ტაქტილური მახასიათებლები (სილუეტი, ტანის დეტალების გლუვი და მომრგვალებული ფორმები, მოტორიკა-პლასტიკის თავისებურება, კანის და სხეულის რბილი ქსოვილების განსაკუთრებული ფაქტურა), ანუ ფაქტორები, რომლებიც ქმედითობას ინარჩუნებენ მუდმივად, მდედრის განწყობისგან და მისი მდგომარეობის სქესობრივი ასპექტის კონკრეტულობისგან დამოუკიდებლად - ოვულაციური ციკლის ნებისმიერ ფაზაში, ორსულობისას, მეძუძურობისას თუ მენოპაუზის პირობებში. სხვათა შორის, ეს გარემოება განმაპირობებელია ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე ვაჟებთან შედარებით ქალებისადმი მეტი თვითშეზღუდვის მოთხოვნის დაყენებისა და რელიგიის ინსტიტუტებში დედაკაცების როლის მამაკაცების როლთან შედარებით დიდად შეზღუდულობისა.

თუ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მამრობითი სქესის ადამიანს სქესობრივი სურვილისა და მოთხოვნილების (განწყობის) თვითგენერირება (უნებლიე და სწრაფი სქესობრივი აღგზნებადობა) ახასიათებს, მდედრობითი სქესის ადამიანს კი, მისთვის თავისი მდგომარეობის სქესობრივ ასპექტთან დაუკავშირებელი, მოთხოვნილება იყოს გარეგნულად ეფექტური და უნარი, ნებისმიერ დროს (შენელებული ტემპით, რაც შეცდომას გამორიცხავს) აჰყვეს მასზე მამრის სქესობრივად მოტივირებულ ზემოქმედებას (რაშიც დიდად ეხმარება შეხების, ტაქტილური გაღიზიანების მიმართ თანდაყოლილი რეფლექსით განსაზღვრული გამახვილებული დადებითი ფიზიოლოგიური რეაქციის უნარი), ცხადი ხდება, რომ სქესობრივი ქცევის ეს მოდელი მდედრის მიერ მამრის მუდმივად დაკავების უზრუნველყოფას ემსახურება.

ვიზუალური ფაქტორის როლის ამგვარად გამახვილება მამრობითი სქესის ინდივიდის ვიზუალური ყურადღების საგნის იდენტიფიკაციის უნარის გამახვილებას მოითხოვს, რასაც უზრუნველყოფს მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ანატომიური დეტალი - თვალის კაკლის გარეთა გარსის - სკლერას - სითეთრე: ერთი შეხედვაც საკმარისია ადამიანის თვალების პოზიციის და, შედეგად, მისი მზერის ობიექტის იდენტიფიკაციისთვის. ხოლო მამრობითი სქესის ადამიანის ყურადღების გამომწვევი ვიზუალური მახასიათებლების ხაზგასმა-დემონსტრაციის თანდაყოლილი რეფლექსური მოთხოვნილების, რაც მდედრობითი სქესის ადამიანს ახასიათებს, მისთვის თავისი მდგომარეობის სქესობრივ ასპექტთან დაუკავშირებლობა, მდედრობითი სქესის ადამიანის ფერტილურობის პერიოდის მიჩქმალვას უზრუნველყოფს, რაც აუცილებელია მის მიერ მამრობითი სქესის ადამიანის მუდმივად ერთნაირად გამოწვევისუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

მდედრობითი სქესის ინდივიდის მიერ მამრობითი სქესის ინდივიდის მუდმივად დაკავების მოთხოვნა შეიძლება განპირობებული იყოს განსაკუთრებით მწვავე შიდასახეობრივი კონკურენციით (რჩეული მამრის გენეტიკის სხვა მდედრის ნაშიერებში მოხვედრის შეფერხების აუცილებლობით), ან მდედრისთვის მამრის მიერ მისი დაცვის საარსებო აუცილებლობით, ან სხვა რამ ფაქტორით. დაცვის ამოცანის აქტუალიზაციას თვითონ სქესების ურთიერთობის აღწერილი მოდელიც მოითხოვს: მდედრის რეალური მდგომარეობის და

მამრის მიერ მდედრის ვიზუალური აღქმით მიღებული შთაბეჭდილების რადიკალურად არათანხვედრის შესაძლებლობა (რაც სხვა ბიოსახეობათა შემთხვევაში გამორიცხულია), სექსუალური დევნა-შევიწროების და ძალდატანების შესაძლებლობას განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოა, თუ კონკრეტულად როგორ ჩამოყალიბდა ადამიანის აღნიშნული ბიოლოგიური მახასიათებლები (როგორც ვნახავთ, ბიოსფეროს მოვლენების საზრისი მხოლოდ მიზეზობრივი, მიზნობრივი და მიზეზ-მიზნობრივი ასპექტებით არც ამოიწურება; იხ. ქვემოთ - "სისრულის პირობა"), მაგრამ ეს საკითხი თავისთავადაა საინტერესო და ზედმეტი არ იქნება, მოკლედ დავახასიათოთ ერთ-ერთი შესაძლო ახსნა - აკვატიკური (გარდამავალი ფორმების), სავანისა და ტრანზიტულობის ჰიპოტეზების ერთგვარი კომბინაცია - რომელიც სადღეისოდ, კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის პოზიციიდან, ყველაზე საფუძვლიანი ჩანს.

ადამიანის არაერთი ანატომიური და ფიზიოლოგიური მახასიათებელი გვაძლევს იმის დაშვების უფლებას, რომ მისი ბიოფილოგენეზის ერთ-ერთი მონაკვეთი წყლის გარემოს მიმართ ადაპტაციას დაეთმო. ასეთებია: კანქვეშა ცხიმოვანი ფენა, რომელიც ხმელეთის არცერთ სხვა ბიოსახეობას არ გააჩნია, და კანის სინაზე; წყალქვეშ გულისცემის შენელების თანდაყოლილი რეფლექსი; კანი, რომელიც საპოხი ცხიმის გამოყოფის, ჟანგბადის შეთვისებისა და გარემოსთან სითბოს გაცვლის რეჟიმის რეგულირების უნარებით ხასიათდება (ოფლის გამოყოფის უნარი კი ხმელეთის პირობებისადმი შეგუების შესატყვისია); ცხვირის ფორმა, რომელიც სასუნთქ გზებში წყლის შეღწევას აძნელებს წყალში ყოფნისას; წყალთან კონტაქტში სუნთქვის რეგულირების თანდაყოლილი რეფლექსი, რასაც ახალშობილები ავლენენ; წყლის სმასთან ერთდროულად სუნთქვისუუნარობა, რაც ხმელეთის არცერთ სხვა ბინადარს არ ახასიათებს; წყლის არაეკონომიურად ხარჯვა ორგანიზმის მიერ; სქესობრივ ორგანოთა ანატომია, რაც წყალში სრულფასოვანი სქესობრივი აქტის განხორციელების უნარს უზრუნველყოფს; წყალში მშობიარობის უმტკივნეულობა; საჭმელზე წყლის მიყოლების რეფლექსური მოთხოვნილება; წყლის ჰიგიენური პროცედურების მოთხოვნილება და მათი აუცილებლობა ბიოლოგიური ნარჩენების გამოყოფისას; ბიოლოგიური ნარჩენების წყალში გამოყოფის უნარი; თავისივე გამონაყოფი ბიოლოგიური ნარჩენების მიმართ ბიოლოგიური ზიზღი, ხმელეთის ცხოველებისგან (რომლებიც მათ სასიგნალო ფუნქციით იყენებენ) განსხვავებით და ყნოსვის უნარის დაქვეითებულობა: წყალში მოპოვებად საკვებზე გადასვლის შემთხვევაში ხმელეთზე ორგანიზმის გამონაყოფებით ტერიტორიის მონიშვნის წესიც არაეფექტური ხდება და ყნოსვაც, ხოლო ხელის (ხამანწკების გასაწმენდად და მცირე ზომის ობიექტებზე მანიპულაციისთვის იდეალური ინსტრუმენტის) სიმარჯვე და ხელისგულისა და თითების გამახვილებული შემხებლობითი (ტაქტილური) მგრძნობიარობა, რაც ადამიანს ახასიათებს, ხდება გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი; ფეხის ტერფის გაბრტყელებული ფორმისა და ფეხისგულებისა და თითების მაღალი ტაქტილური მგრძნობელობის ოპტიმალურობა ცურვის, შლამში სიარულისა და შლამში დამალული მცირე ზომის ობიექტების (ხამანწკების, კიბორჩხალებისა და სხვათა) მოსაძიებლად; ხელის

და ფეხის თითებსშორისი გადმონაშთი თუ ვერგანვითარებული (რუდიმენტული) აპკი, რაც არცერთ სხვა ხმელეთის პრიმატს არ აღენიშნება, და წყალში ყოფნისას თითებზე კანის დანაოჭების რეფლექსური უნარი, რაც სველ და სლიპინა საყრდენთან კონტაქტში ხახუნის ძალის გაზრდას უზრუნველყოფს; თავზე თმის და ტანზე ბეწვის საფარის ნაშთის ორიენტირებულობა ცურვისას სხეულის გარშემო წარმოქმნადი წყლის ტურბულენტური ნაკადების შესაბამისად; თავზე გრძელი თმის საფარი - წყალში საკვების ძიებისას თავის მზით გადახურებისგან დამცავი საშუალება, რომელიც წყლის ბარიერების ცურვით გადალახვისას მცირეწლოვან შვილთათვის სამაშველო ხელმოსაჭიდის როლშიც გამოსადეგია; დიდი დუნდულა კუნთები - წყალში, განსაკუთრებით მოძრავში, ორ ფეხზე გამართულად გადაადგილების უნარის (რაც, ასევე, წყლის გარემოს ხელშეწყობით ჩამოყალიბებული მახასითებელი სჩანს) შესატყვისი, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ანატომიური ელემენტი, რომელიც მეჩეჩზე და მარჩხ წყალში ორ ფეხზე გადაადგილებით საკვების ძიებისას ხშირად შესასრულებელი მოძრაობის - მოხრილი მდგომარეობიდან ტორსის გამართვის - შესატყვისიცაა (და ხმელეთზე ორ ფეხზე სირბილის მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი მოდელის განმაპირობებელიც) და სხვა.

განსხვავებული სქესის ადამიანებს შორის ანატომიურ განსხვავებათა ზოგიერთი ასპექტი გვკარნახობს იმ აზრს, რომ წყლის გარემოს მიმართ ადაპტაციის ბიოფილოგენეზურ ეტაპს, ან ბიოცენოზური ფუნქციის სქესობრივი დიფერენციაციის (სქესობრივი დიმორფიზმის განვითარების) ასპექტიც ახლდა, ან ამგვარი ბიოფილოგენეზური ეტაპი მოჰყვა, რამაც მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანები ბიოცენოზური სტატუსის მიხედვით რადიკალურ (რიგ ბიოსახეობათა შორის არსებულ სხვაობებს აღმატებულ) ურთიერთგანსხვავებამდე მიიყვანა:

- მდედრობითი სქესის ადამიანთან შედარებით, მამრობითი სქესის ადამიანის კანის ფარდობითი გაუხეშებულობა, ყურადღების დიაპაზონის სივიწროვე-კონცენტრირებულობა, ბინოკულარული მხედველობის გამახვილებულობა და სუსტი გვერდითი მხედველობა, სივრცეში ორიენტაციის უნარის გამახვილებულობა, სახის ძვლების გამსხვილებულობა და სხეულის მასაში საყრდენ-მამოძრავებელი (ძვალ-კუნთოვანი) სისტემის მასის წილის მეტობა და კანქვეშა ცხიმოვანი ფენის წილის ნაკლებობა, განსაკუთრებით კიდურებზე, მათი სისწრაფის გაზრდის მოთხოვნის შესაბამისად, ერთობლიობაში ხმელეთზე გადაადგილების უნარის გაუმჯობესებას ემსახურება, წყლის გარემოს მიმართ ადაპტაციის ტენდენციის შეჩერება-რედუქციის მაჩვენებელია და მამრობითი სქესის ადამიანების სავანის სივრცეზე მონადირე (ნადირობის კოლექტიური წესის მიმდევარ) მტაცებელთა ბიოცენოზური ქცევის წესზე გადასვლის შესახებ მეტყველებს;

- ხოლო მდედრობითი სქესის ადამიანების მთელს სხეულზე შეუმცირებლად განაწილებული, უფრო სქელი კანქვეშა ცხიმოვანი ფენა (თბოიზოლაციისა და ცურვის უნარის გამაუმჯობესებელი მახასიათებელი, რომელიც სხეულის გარეგნული ფორმის ვარირების - ძუძუების და თეძოების გამოკვეთის - შესაძლებლობასაც ქმნის) და, ტორსის ფორმის

(ქვევითკენ გაფართოებულობის) გამო, სხეულის სიმძიმის ცენტრის შედარებით დაბლა განლაგებულობა (ორფეხზე გადაადგილების პირობებში, უძრავ თუ მოძრავ წყალთან კონტაქტში, ბალანსის გამაუმჯობესებელი მახასიათებელი), რაც მდედრობითი სქესის ადამიანის სხეულის ზემოაღნიშნული, ვიზუალური და ტაქტილური მახასიათებლების (ზედაპირის სიგლუვის, განსაკუთრებული ფაქტურისა და კონსისტენციის, ნაწილების ფორმების სიმრგვალის, განსაკუთრებული მოტორიკა-პლასტიკის) ჩამოყალიბების საფუძველია, წყლის გარემოს მიმართ უფრო ხანგრძლივ (უფრო მაღალი ხარისხის) ადაპტაციაზე და, ამდენად, იმის შესახებ მეტყველებს, რომ მდედრობითი სქესის ადამიანები, მათ მცირეწლოვან შვილებთან ერთად, რომელთაც ასევე ახასიათებთ კანქვეშა ცხიმოვანი ფენის სათანადოდ განვითარებულობა, წყლისა და ხმელეთის სასაზღვრო ზოლზე ბინადრობის წესის მიმდევრებად რჩებოდნენ ადამიანის ბიოფილოგენეზის აღნიშნულ ეტაპზე.

ტანზე თმის საფარის გაქრობა ცალსახად წყლის გარემოსადმი ადაპტაციის შედეგად ვერ ჩაითვლება. მართალია, დელფინების და ვეშაპების, ასევე, წყალთან ხშირ კონტაქტს შეგუებულ ხმელეთის ძუძუმწოვართაგან, სპილოსა და ჰიპოპოტამის მაგალითები ამის სასარგებლოდ მეტყველებენ, მაგრამ სელაპის, თეთრი დათვის, თახვისა და სხვა ბიოსახეობათა შემთხვევა სრულიად საპირისპირო მაგალითს გვაძლევს. ამასვე გვიჩვენებს მესამეული თმის საფარის ევოლუცია, რომელიც ახლო კონტაქტის პირობებში მაინც უნარჩუნებს ყნოსვას სქესობრივ ფუნქციას, წყლის გარემოს გავლენის საწინააღმდეგოდ. ამდენად, ადამიანის ეს მახასიათებელი თვითონ სქესობრივი ქცევის მისეული მოდელის გავლენით განპირობებული ჩანს: შიშველი კანი უზრუნველყოფს მდედრობითი სქესის ადამიანის სხეულის ზემოხსენებული, განსაკუთრებული ვიზუალური და ტაქტილური მახასიათებლების ჩამოყალიბებასა და სრულყოფილად აღქმადობას.

მამრობითი სქესის ადამიანებთან შედარებით ფერების აღქმის უნარის მიხედვით უპირატესობა, მდედრობითი სქესის ადამიანების ბიოცენოზური ქცევის შინაარსში შემგროვებლობის მეტ მნიშვნელობაზე მეტყველი მახასიათებელი (წყლის სიახლოვეს საკვებად ვარგისი და საკვებადვარგის ნაყოფიანი მცენარეების გავრცელებულობა უეჭველი ფაქტია), ასევე, შესაბამისობაშია იმ ფაქტთან, რომ მდედრობითი სქესის ადამიანი დარჩა საშუალო რგოლის მტაცებლის სტატუსში, რაც უმაღლესი მტაცებლებისგან დაცვის ამოცანის აქტუალობას გულისხმობს, რაც პერიფერიული მხდეველობის უკეთ განვითარებისა და, საზოგადოდ, ყურადღების დიაპაზონის მეტი სიფართოვისა და განაწილების უნარის განვითარების (ყურადღების დივერსიფიცირებულობის) საფუძველიცაა.

მდედრობითი სქესის ადამიანებისთვის ამ პრიორიტეტული ამოცანის გადაჭრის (ბიოლოგიური მტრებისგან დაცვის) უნარი გამოუმუშავდა მამრობითი სქესის ადამიანს, რომელმაც ბიოცენოზური ფუნქციის ზემოთხსენებული ცვლილების შემდეგ მიაღწია უმაღლესი მტაცებლის სტატუსს ("სუსტი სქესისა" და "ძლიერი სქესის" კონცეფციის ბიოლოგიური საფუძველი). სწორედ ეს გარემოება, მამრობითი სქესის ადამიანში სქესობრივი სურვილის თვითგენერირებადობის და მდედრობითი სქესის ადამიანის შემფასებლობითი

რეაქციის მიმართ უკიდურესად გამახვილებული მგრძნობიარობის გათვალისწინებით, შეიძლება დასახელდეს ბიოლოგიური სქესობრივი ქცევის ადამიანისეული უნიკალური მოდელის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობად.

* * *

ადამიანის ბიოცენოზური სტატუსის მკვეთრი სქესობრივი დიმორფიზმი (ორსახობა) ბიოლოგიური სქესობრივი ქცევის ადამიანისეულ მოდელს ბიოსახეობათა სიმბიოზური კავშირის მნიშვნელობის მომენტს სძენს: სიმბიოზის პირობაა, ერთი მხრივ, მდედრობითი სქესის ადამიანის უპირატესობა სიტუაციის იდენტიფიკაციის უნარის მიხედვით (დივერსიფიცირებული ყურადღების, უკეთ განვითარებული სპექტრული და პერიფერიული მხედველობისა და უკეთესი ფაქტობრივ-ასოციაციური მეხსიერების გათვალისწინებით), რაც ტაქტიკური თუ სტრატეგიული მასშტაბის სიტუაციური პრობლემის (დისკომფორტის ფაქტორის) განსაზღვრის და, შედეგად ამოცანის ადეკვატურად დასმის უნარის მიხედვითაც უპირატესობის საფუძველია, და, მეორე მხრივ, მამრობითი სქესის ადამიანების უპირატესობა სივრცეში ორიენტაციისა და მოქმედების ალგორითმის შედგენა-რეალიზაციის უნარების მიხედვით.

ამგვარი განსხვავების შესაბამისია ადამიანის ტვინის აგებულებაც: მდედრობითი სქესის ადამიანის ტვინის ნახევარსფეროები ნეირონული კავშირების მხრივ თანაბრად განვითარებული და ფუნქციურად უკეთ ურთიერთშეკავშირებულია (შემფასებლობის ფუნქციის გამახვილების ამოცანის შესაბამისად), მამრობითი სქესის ადამიანს კი ახასიათებს ნეორონული კავშირების ტვინის ნახევარსფეროების შიგნით უკეთ განვითარებულობა, მარჯვენა ნახევარსფეროს (რომელიც წარმოსახვის ფუნქციას ემსახურება) გარკვეული უპირატესობით (ალგორითმის შემუშავების უნარის გამახვილების საფუძველი), და ნახევარსფეროების უფრო სუსტად ურთიერთშეკავშირებულობა (ალგორითმის შემუშავების დაჩქარების ხელშემწყობი ნიშანი).

ამრიგად, ოპტიმალურ მოქმედ ერთეულად ისახება მდედრობითი სქესისა და მამრობითი სქესის ადამიანთა წყვილი: მამრობითი სქესის ადამიანი სწრაფად აყალიბებს სამოქმედო ალგორითმს, რადგან, ყურადღების დიაპაზონის სივიწროვის გამო, ის უფრო ხშირად ვერც შეამჩნევს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ვერ გამოადგებიან (ფაქტორების გადარჩევაზე დრო ნაკლებად ეხარჯება), ხოლო სამოქმედოდ გამოსადეგ ფაქტორთა და პრიორიტეტულ ამოცანათა ვერშემჩნევას გამორიცხავს მოქმედებაში დამკვირვებლად ჩართულ მდედრობითი სქესის ადამიანის ფუნქცია ("ძლიერი სქესისა" და "სუსტი სქესის" კონცეფციის უარყოფის ბიოლოგიური საფუძველი). ცხადია, ასეთი მოდელი უპირატესია მაღალი ტემპითა და გაძლიერებული ინტენსივობით მოქმედების პირობებში, ხოლო, საპირისპირო შემთხვევაში, რაც სამოქმედოდ დროის რესურსის შეუზღუდველობას ნიშნავს, ვაჟიც მოასწრებს ყველა ფაქტორის შემჩნევას და ამოცანის დასმას და ქალიც - მოახერხებს ნებისმიერი ალგორითმის შემუშავებას და რეალიზაციას.

* * *

ამრიგად, **ადამიანისთვის დამახასიათებელი სქესობრივი ქცევის ბიოლოგიური მოდელის მიხედვით**, სქესების ურთიერთმიმართებას მკვეთრად გამოხატული გარეგნული და ფუნქციური განსხვავებებით განსაზღვრული ერთობის მნიშვნელობა აქვს, ანუ მისი სახით გვაქვს **"განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის" რეალიზაცია.** სწორედ ეს არის **სქესობრივი ქცევის მართვის მანიის სათანადო მოდელის ადამიანის სქესობრივი ქცევის ბიოლოგიურ მოდელთან სრული თავსებადობის საფუძველი**, რაც, მართვის მანიის ეფექტის ანთროპოგენული რეალიზაციის შემთხვევაში, **სქესების ურთიერთობაში კონფლიქტურობის მომენტის გამომრიცხავია.** ხოლო ჰომოსექსუალიზმი, როგორც ინდივიდის სქესობრივ თვითგამოხატვაში სქესების ურთიერთგანსხვავების ნიველირების გამოხატულება, სქესობრივი ქცევის ადამიანისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მოდელის უარყოფის მცდელობად იდენტიფიცირდება, რაც სქესების ურთიერთობაში კონფლიქტის განვითარების საფუძველია.

რადგან მართვის მანიის სათანადო სქესობრივი ქცევის მოდელი ადამიანის სქესობრივი ქცევის ბიოლოგიურ მოდელთან სრულ შესაბამისობაშია (მის ნოოლოგიურ ეკვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ), ამ შემთხვევაში, სქესის ნოოლოგიური ასპექტის აღსანიშნავად ახალი ტერმინი არ არის საჭირო. მაგრამ, სხვა ფსიქიკურ სტიქიათა შემთხვევებში, სქესობრივი ქცევის მოდელები, როგორც ფსიქიკურ სტიქიათა პარამეტრების დახასიათებისასაც ვნახეთ, სხვადასხვა ასპექტებით წინააღმდეგობაშია სქესობრივი ქცევის ადამიანისეულ ბიოლოგიურ მოდელთან: ფორმის მანია მოითხოვს სქესთა ფუნქციების ჯერარსის ნორმით (არა მათ ურთიერთმიმართების მეშვეობით) განსაზღვრას და ერთ-ერთი სქესის მეორისადმი დაქვემდებარებას (საწყისის მხოლოობის მოთხოვნის ძალით, რაც პოლიგამიის დამშვებიცაა), ძლევის მანია - სქესების ერთიდაიმავე კრიტერიუმებით შეფასებას, ცხრომის მანია - კლიენტურ დამოკიდებულებასა და ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურამდე ჰომოსექსუალიზმის სქესობრივი თვითგამოხატვის დასაშვებ მოდუსად წარმოდგენას. ასე რომ, საზოგადოდ, გამართლებულია ახალი ტერნიმის - **"გენდერი"** - შემოტანა.

* * *

ადამიანის შემთხვევაში, სქესებს შორის სხვაობის ბიოსახეობებს შორის სხვაობასთან თანაზომადობით და ბიოსფეროში მისი უნიკალურობით (ექსკლუზიურობით) აიხსნება სქესობრივი ქცევის ნოოლოგიური პარადიგმების ტოტემისტურ წარმოდგენებში სქესების ურთიერთმიმართების განსხვავებულ ბიოსახეობათა წყვილებით წარმოდგენის გავრცელებულობა.

- მაგალითად, სქესების ურთიერთმიმართების მართვის მანიის სათანადო მოდელის იდეალური ასახვაა სქესების ვაზის (მაყვლის, ან რომელიმე სხვა ხვიარა მცენარის) და მუხის (ან რომელიმე სხვა ხის) ტოტემური წყვილით წარმოდგენა, რაც ქართულ მემკვიდრეობაში დასტურდება: მუხა საყრდენად ემსახურება ვაზს, ანუ პასუხობს ვაზის ზროს პლასტი-

კურობის პირობებში მწვანე გვირგვინის სათანადო სიმაღლეზე გაშლის ამოცანას (არსებობს ვაზის ხეზე მიშვებით გაშენების ქართული წესი და ქართული ვაზის ჯიშები, მაგ., ოჯალეში და ალადასტური, რომლებიც ამ წესით უფრო ხარისხიან ნაყოფს იძლევიან) - ვაზის და მუხის მწვანე გვირგვინები ცას და მიწას შორის ერთიდაიმავე სიმაღლეზე იშლება, რაც სქესების ღირსებით ტოლფასობის იდეალური სიმბოლოა.

- ხოლო სქესების ურთიერთმიმართების წარმოდგენა, მაგალითად, გველისა და ვერძის ტოტემური წყვილით კონფლიქტურობის მომენტის ამსახველია: ვერძს შემოხვეული გველი, როგორც სქესების ურთიერთობის სიმბოლო - უკიდურესი კონფლიქტის გამომხატველია. ამდენად, ცხადია, რომ ასეთი წარმოდგენა მართვის მანიის პარადიგმასთან შეუთავსებელია, თუმცა კი, შესაძლებელია, იყოს მართვის მანიის კლასის ერის გარეგანი განსხვავების მატარებელი ჯგუფის ატრიბუტი - მისი მდგრადობის კომპონენტის თვისებრიობის გამომხატველი მომენტი, რისი მაგალითიცაა ოქროს საწმისის კულტის შემოტანა კოლხეთში (აიეტის რეფორმა).

ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის გენდერული პარადიგმები შეიძლება რომელიმე ბიოსახეობათათვის დამახასიათებელი სქესობრივი ქცევის მოდელების, ან მათი ცალკეული ასპექტების მაინც, ანალოგიური აღმოჩნდნენ, მაგრამ, რადგან სქესობის ურთიერთობა არც ერთი სხვა ბიოსახეობის შემთხვევაში არ შეიცავს კონფლიქტურობის მომენტს, ერთი ბიოსახეობის ინდივიდების სქესობრივი წყვილით ხსენებული გენდერული პარადიგმების ტოტემისტური წარმოდგენა მაინც არათანმიმდევრული იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის გენდერული პარადიგმების სქესების ურთიერთმიმართების ადამიანისთვის ბუნებრივ (ბიოლოგიურ) მოდელთან არათავსებადობით განპირობებული კონფლიქტი ამ მოდელში სქესობრივი დიმორფიზმის მომენტის გამახვილებულობის წინააღმდეგ გამოსვლაშიც შეიძლება აისახოს, რაც ჰომოსექსუალიზმისკენ მიდრეკილების გაჩენის შესაძლებლობას ნიშნავს. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს მომენტი, გარდა ცხრომის მანიის კლასის ერების შემთხვევისა, დათრგუნვას ვერ ასცდება.

* * *

სქესის საკითხში მართვის მანიის პარადიგმის სხვა ფსიქიკური სტიქიების პარადიგმებისგან განსხვავების კარგი ილუსტრაციაა ტრადიციულ ქორეოგრაფიათა (ტოტემისტური გენეზისის ელემენტთა) შედარება:

- ევროპულ ცეკვებში ვაჟია წამყვანი, ის თავის ნებაზე ატარებს ქალს;

- ქართულ ქორეოგრაფიაში, და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, „ცეკვა ქართულში“, ქალიც და ვაჟიც თავისთავადი სვლით მოძრაობენ, არ არის დაქვემდებარება ერთისა მეორისადმი, მაგრამ აქ სრული სიმეტრია როდია - ვაჟის მოძრაობის ორიენტირი მუდამ ქალია, ქალი კი მხოლოდ თავისი ნებით მოძრაობს; როგორც ვაჟი, ასევე, ქალი სარგებლობს გამოწვევის უფლებით, ვაჟი მისმიერ გამოწვევის შედეგს (მიიღებს თუ არა ქალი გამოწვევას) უძრავად ელოდება და უკან მიჰყვება გამოწვეულს, ქალი კი არ ელოდება მისმიერი გამოწვე-

ვის შედეგს, აგრძელებს მოძრაობას - ქალი განასახიერებს მოწოდებას, ვაჟი - საპასუხო მოქმედებას: მოწოდების გარეშე მოქმედებას აზრი არა აქვს, მოწოდება წინ უნდა უსწრებდეს მოქმედებას, და არა უცდიდეს მას. „ცეკვა ხევსურულში“ ხანჯლებით ბრძოლის იმიტაციის გამომხატველი მოქმედება ქალის მანდილის ჩამოგდებით წყდება, რაც გამომხატველია იმ აზრისა, რომ მხოლოდ იმ მოქმედებასა აქვს აზრი, რომელიც ქალის ნების შესაბამისი თუ არა, მისი საწინააღმდეგო მაინც არაა.

* * *

მამრობითი სქესის ადამიანთა ბიოცენოზური სტატუსის ზემოხსენებული ცვლილება სავანის სივრცეზე კოლექტიური ნადირობის უნარიანი სხვა ბიოსახეობის ბიოცენოზური ქცევის მოდელის იმიტაცია-გადმოღებად მოაზრებადი მოვლენაა. ეს მომენტი სავანის პირობებისადმი ადამიანის ადაპტაციის დაჩქარების რესურსად უნდა განვიხილოთ. გადმოსაღებად ადამიანისთვის კოლექტიური ნადირობის მგლისთვის (ველური ძაღლისთვის) დამახასიათებელი მოდელია ოპტიმალური (ამით აიხსნება კაცობრიობის ტოტემისტურ მემკვიდრეობაში მგლის როლის განსაკუთრებულობა).

- კოლექტიური ქცევის მგლისეული მოდელის გადმოღება, ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის (მთელი ერის გადამფარავის) აქტუალიზაციად იდენტიფიცირებადი მოვლენაა, მდგრადობის კომპონენტის ბირთვად მგლის ხროვით. ეს ინტერპრეტაცია უპირატესია, რადგან პირველად ცივილიზაციაში მართვის მანიის კლასის ერთან სხვა სამიდან ნებისმიერი თვისებრივი ტიპის ერების თანაარსებობას უზრუნველყოფს: რადგან მდგრადობის კომპონენტის საზღვარი არ არის მკაფიო, მის წევრებად მგლის ხროვასთან ერთად ადამიანებიც შეიძლება დაფიქსირდნენ. მიუხედავად მისი ასეთი უნივერსალიზმისა, მგლის ხატი ვერ გახდებოდა პიროვნების (ნოოსფეროს ინდივიდის) მხოლოო საზოგადო ტოტემისტური ეკვივალენტი: მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანების ბიოცენოზური სტატუსების განსხვავებულობა პიროვნების საზოგადო ტოტემისტურ სიმბოლოთა არსენალის მრავალფეროვნების უზრუნველმყოფელია.

მართალია, სხვა ბიოსახეობის ქცევის მოდელის მიბაძვა არ არის საკმარისი ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნისთვის (საამისოდ აუცილებელია თვითრეფლექსიის ფუნქციის აქტუალიზაცია), მაგრამ ამგვარი ქცევა გარეგნულად იდენტურია პიროვნების (საზოგადოების) საკუთარი ტოტემის მოდუსით თვითგამოხატვისა, რაც გვკარნახობს იმ აზრს, რომ ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის პირველი პრეცედენტები, თანაც ოთხივე შესაძლო მოდუსით (როგორც ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის დახასიათებისას აღინიშნა, მგელი ინტერპრეტირებადია ოთხივე ფსიქიკური სტიქიის ტოტემისტურ სიმბოლოდ), შესაძლებელია მამრობითი სქესის ადამიანებს შემთხვეოდათ.

მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნასთან (ინდივიდის პიროვნებად მქცეველ გარდაქმნასთან) დაკავშირებული ფსიქოლოგიური დისკომფორტის დასაძლევად, ის დამატებითი (ერად თუ ცივილიზაციად კონ-

სოლიდაციის პოტენციისგან განსხვავებული) რესურსიც, რომელსაც ადამიანის ბიოფილოგენეზის აქ წარმოდგენილი ჰიპოტეტური ასპექტი ქმნის: ერთი სქესის ადამიანისთვის მეორე სქესის ადამიანი, როგორც სქესობრივი ქცევის ადამიანისეული ბიოლოგიური მოდელის მიხედვით მისი ფუნქციური მეწყვილე, შეიძლება, ადეკვატურად მოქმედი ერთეულის რეალიზაციაში, ვიგულვოთ განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის იმ ასპექტების მატარებლად, რომელთა უარყოფაც ხდება ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნით, ანუ სხვა, სამ ფსიქიკურ სტიქიათა ერთობლიობის, ან მათგან რომელიმე ერთის მაინც, მატარებლად: ხსენებულ მითოლოგემაში, ადამთან შეიძლება ასოცირდეს სამი, ევასთან ერთი ფსიქიკური სტიქიათაგანი (ლოგიკურადაც უფრო გამართლებულია ეს შემთხვევა - ნეკნი საწყისი სხეულის მცირე ნაწილია) და, ამ შემთხვევაში, ფსიქიკურ სტიქიათაგან ევას ხვედრის როლში უპირატესობა ეკუთვნის მართვის მანიას - ევა მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი რეალიზაციის სიმბოლოდ ისახება, ადამი - მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის სიმბოლოდ, ანუ, ასევე, მართვის მანიის მოდუსის პიროვნებად, საამისოდ (მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზაციისთვის) უდიდესი რესურსით, რასაც სამივე სხვა ფსიქიკური სტიქიის ეფექტების ატრიბუტების გამოყენების შესაძლებლობა ქმნის. საყურადღებო პარალელია ქართულ ფოლკლორში ქალთა ვოკალური რეპერტუარის ერთხმიანობა და ვაჟთა რეპერტუარის სამხმიანობა, ასიმეტრიული კომპოზიციური ფუნქციებით:

- დამწყები - შემხმობარი - ინტენსიფიკაციისკენ მომწოდებელი;

- მეორედ შემსვლელი - ხმებს შორის ტონალური დიაპაზონის დამდგენი, სტრუქტურიზაციის ინიციატორი;

- მესამედ შემომსვლელი (ხშირად ბანი) - რიტმის განმსაზღვრელი.

* * *

ანთროპოგენულ რეალიზაციაში მართვის მანიის კლასის ერში ოპტიმალური იქნება ხელისუფლების ინსტიტუციური დიფერენციაცია არა საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებად, არამედ "მოტივაციისა" (ამოცანის განმსაზღვრელ) და "ინიციირების" (დასმული ამოცანის გადაწყვეტის ალგორითმის შემუშავება-რეალიზაციის) შტოებად: მოტივაციის შტოს ინსტიტუტები დაკომპლექტდება ქალებით (დედაკაცებით), ინიციირების შტოსი - ვაჟებით (მამაკაცებით). დღევანდელი დიფერენციაციის პირობებში საქართველოში ხელისუფლების ინსტიტუტებში ვაჟების უმრავლესობა აიხსნება იმით, რომ სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების ფუნქცია ინიციირების შტოს ფუნქციის ფარგლებს ვერ სცილდება, რადგან ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ქმედებები თვითდინებით დამდგარ ან გარედან თავსმოხვეული საკითხების მიმართ რეაქციის მნიშვნელობის აქტებია მხოლოდ და, ამდენად, არა საწყისეული, არამედ მეორეული (რეაგირებითი) ინიციატივის გამოხატულებად წარმოგვიდგებიან.

მოტივაციის შტოს ფუნქციის ნიველირების პირობებში ეს მდგომარეობა ვერ დაიძლევა, რადგან ხელისუფლებაში ვაჟების დომინანტი ოპტიმალურ მდგომარეობად დარჩება,

ვაჟები კი, როგორც შემსრულებლები, თვითონ არასოდეს მოახდენენ ისეთი პრობლემის აქტუალიზაციას, რომელიც თავისით არ დამდგარა, ან რომლის გადაწყვეტის გამოცდილება არა აქვთ. ხოლო ქალები, როგორც შესრულებაზე არაპასუხისმგებლები (ქართული პარადიგმის მიხედვით), დაზღვეულნი არიან ამგვარი თვითშემზღუდველობისგან, რაც ჩვენს საზოგადოებას ინიციატივის თვითწარმომშობ გარემოდ გადაქცევის მთავარი რესურსია.

მოტივაციის შტოს ინსტიტუციონალიზაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს. მაგ., შესაძლებელია ის მეცნიერებათა აკადემიის სექტორიც იყოს, ან ორდენის მსგავსი ინსტიტუტი, ან პარლამენტის ერთ-ერთი პალატა და ა.შ.

მეორე ალტერნატივაა ყოველ თანამდებობაზე ქალ-ვაჟის (დედაკაც-მამაკაცის) წყვილის დანიშვნა, სქესების სათანადო ფუნქციებით. შესაძლებელია ამ ორი ალტერნატივის სუპერპოზიციაც.

* * *

უნდა შევნიშნოთ, რომ სქესების ურთიერთმიმართების მართვის მანიის სათანადო მოდელი ნაკლებად აქტუალური შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი ინსტიტუციების განვითარების პირობებში (როგორც სიტუაციათა შეფასების, ასევე, მოთხოვნათა დაკმაყოფილების ინსტიტუციური უზრუნველყოფის შესაძლებლობის გათვალისწინებით), მაგრამ ის მუდამ ეფექტური და აქტუალური იქნება ცხოვრების არაპროგნოზირებად ვითარებებში და სინამდვილის ახალი სფეროების გამოვლენა-ათვისების საწყის ეტაპებზე, რაც მართვის მანიის კლასის ერების ცივილიზაციური ფუნქციის მნიშვნელოვანი მომენტია.

* * *

საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუციონალიზაციის განვითარების პირობებში, როცა ცხოვრების უფრო და უფრო მეტი სფერო ექვემდებარება ინსტიტუციურ რეგლამენტაციას და არაინსტიტუციურ კონტაქტებს უფრო და უფრო ნაკლები ადგილი რჩება პიროვნების ცხოვრებაში, ცხადია, რომ ფორმის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის რეალიზაციაში კონფლიქტურობის მომენტიც სულ უფრო და უფრო შეუმჩნევადი გახდება. ძლევის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის რეალიზაციაში კონფლიქტურობის შემცირებას საზოგადოების ძალების უკიდურესი მობილიზაციის აუცილებლობის დამყენებელი სიტუაცია სჭირდება, როცა ძალის ყოველი ნამატი მნიშვნელოვანია. ცხრომის მანიის პარადიგმის რეალიზაციის ფარგლებში კი სქესების ურთიერთობაში კონფლიქტურობის მომენტის შესუსტება საერთოდ შეუძლებელი ჩანს: საზოგადოებრივ ურთიერთობათა საბაზრო პრინციპზე დამყარებულობის პირობებში, მამრობითი სქესის ადამიანში სქესობრივი სურვილის უნებლიობა-თვითგენერირებადობის გათვალისწინებით, სქესობრივ ურთიერთობას (მამრობითი სქესის ადამიანის სქესობრივი დაკმაყოფილების აქტს) ვერ ჩამოსცილდება საბაზრო აქტივის შეძენის მნიშვნელობის მომენტი (ოჯახის შექმნაც კი ამგვარი იდენტიფიკაციის დაღს ატარებს - საქორწინო ხელშეკრულების ფენომენი); მდგომარეობას ამძიმებს მამრობითი სქესის ადამიანის მიერ მდედრობითი სქესის ადამიანის გარეგნობის

მუდმივ გამომწვევ სიგნალად იდენტიფიკაცია, რაც მას (მამრობითი სქესის ადამიანს) ორმხრივი სქესობრივი დაინტერესებულობის სიტუაციის, ანუ გაცვლის აქტში მონაწილეობის ილუზიას უქმნის და, შედეგად, ცხრომის მანიის პარადიგმასთან შესაბამისობის განცდაში, ფსიქოლოგიურ კომფორტში ამყოფებს. **"ფემინიზმის"** მთავარი წყაროც და სამიზნეც ეს მოუსპობადი ილუზიაა (მდედრობითი სქესის ადამიანის ხსენებული ილუზიის შესაბამის მდგომარეობაში ჩაყენება, რაც გაცვლის აქტის ილუზიას რეალობად გადააქცევდა, ხელოვნური აღმგზნები საშუალებების გამოყენებას, ანუ ბიოლოგიურ მატარებელზე დამატებით ძალდატანებას მოითხოვს).

სქესების ურთიერთობაში კონფლიქტის განვითარება შესაძლებელია მართვის მანიის კლასის ერშიც, კერძოდ, მისი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ფარგლებში, მდგრადობის კომპონენტების ანალოგიით, და, ასევე, სქესების ფუნქციის მართვის მანიის პარადიგმით განსაზღვრული დაყოფის დარღვევის შემთხვევაში (სქესების ერთიმეორის კომპეტენციაში შეჭრის პირობებში), რაც ქართველი ერის თავდაცვითი რეაქციის ერთ-ერთი უმაღლესი პროდუქტის, რუსთველის "ვეფხისტყაოსნის" მთავარი თემაა: ინდოეთში ნესტან-დარეჯანის და ტარიელის ურთიერთობა მოქმედების ალგორითმის შემუშავება-შერჩევის ფუნქციის მითვისებით ქალის შეჭრაა ვაჟის კომპეტენციაში - ვაჟის ფუნქციის ბრმად შემსრულებლობაზე დაყვანაა, რასაც მოსდევს ქაოსი და ქალის ფუნქციის სრული იგნორირება, გამოქვაბულში შეხიზნული ასმათის მდგომარეობით და ფრიდონის სამეფოს რეალიებით - თვითმიზნური მოქმედების სივრცე, სადაც ქალი პერსონაჟი საერთოდ არ სჩანს წარმოდგენილი; ტარიელის საშველად ავთანდილის მეორედ გაპარვა სქესების ურთიერთმიმართების ოპტიმალური მოდუსის აღდგენის სიმბოლოა. უნდა აღინიშნოს, რომ "ვეფხისტყაოსნის" ოთხ მთავარ ქალ პერსონაჟთაგან - ასმათი, ნესტან-დარეჯანი, ფატმანი და თინათინი - თითოეული სქესების ურთიერთმიმართების კონკრეტული (დასახელების რიგით მითითებული) ნოოსფერული სტიქიის პარადიგმის განმსახიერებელია (იხ. ავტორის "თამარ მეფე და რუსთველი").

* * *

სქესის ბიოლოგიური დიმორფიზმი - ქალის უპირატესობა სიტუაციის იდენტიფიკაციასა და ამოცანის განსაზღვრაში და ვაჟის უპირატესობა სამოქმედო ალგორითმის შემუშავებასა და რეალიზაციაში (რაც, როგორც აღინიშნა, გვკარნახობს სრულყოფილ მოქმედ სუბიექტად ქალ-ვაჟის წყვილის წარმოდგენას), ქალისა და ვაჟის ერთიმეორისგან დამოუკიდებლად მოქმედების პირობებში (დღემდე მეუღლეებსაც კი მეტწილად დაცალკევებულად უწევთ საქმიანობა, რასაც ხელს უწყობს სქესობრივი ქცევის ნოოლოგიური მოდელების ბიოლოგიურთან შეუსატყვისობაც, ოთხიდან სამ შემთხვევაში), აყენებს მეორე კომპონენტის კომპენსაციის მოთხოვნას, რაც ქალების ტექნოლოგიური ინოვაციების (მოქმედების გამაადვილებელი რესურსის) შემუშავებადანერგვისკენ მისწრაფებაში, ხოლო ვაჟების თეორიული ცოდნის (სიტუაციის შეფასების გამაადვილებელი რესურსის) შემუშავებისკენ მისწრაფებაში უნდა გამოვლინდეს. და,

მართლაც, საწყისი თუ უკანასკნელი ხანის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარღვევების (ბორბლის, საქსოვი საშუალებების, ღილების ... მაცივრის, სარეცხი მანქანის, ფიჭური კავშირგაბმულობის და სხვა) შემოქმედები არიან ქალები, რელიგიურ და ფილოსოფიურ მოძღვრებათა და, დღეს უკვე სამეცნიერო თეორიების, ავტორებად კი მეტწილად ვაჟები არიან ცნობილი.

§1.16 ნოოონტოგენეზი

ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა ინდივიდებს (პიროვნებებს) შორის ურთიერთობის (კომუნიკაციის: ურთიერთკავშირის, ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის) ხასიათის რადიკალური ცვლილების (მეტამორფოზის) საფუძველია. ის, როგორც ფსიქიკურ სტიქიათა დახასიათებამ ცხადყო, განაპირობებს ახალი ტიპის სოციალური ქსოვილების ჩამოყალიბებას, რისთვისაც აღარაა საკმარისი სასიგნალო ფუნქციით შემოფარგლული "**ბიოლოგიური ენა**", რომელიც ეგულისხმება ადამიანსაც, როგორც ერთ-ერთ ბიოსახეობას, ინდივიდების საერთო ბიოლოგიური ინტერესის ფაქტორებზე ოპტიმალური კოლექტიური რეაგირებისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ სხვა და, მით უმეტეს, ჯოგური ცხოვრების წესის მიმდევარ ბიოსახეობათა მსგავსად. ნოოსფეროს არსებობა და განვითარება მოითხოვს ოთხივე ფსიქიკური სტიქიისთვის მათი შესაბამისი პარადიგმების გამოხატვისუნარიან, ანუ ოთხივე ტიპის "**ნოოლოგიურ ენებს**". **ნოოლოგიური ენის** კონკრეტული რეალიზაციებია ბგერით, ანუ ფონემურ, მოდუსში ის, რასაც ენათმეცნიერებაში "**ენა**" ეწოდება, ჩვენ კი უფრო ფართო გაგებით გამოვიყენებთ. ნოოლოგიური ენა ერის უმთავრესი ატრიბუტთაგანია.

რადგან ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა ბიოლოგიურ ინდივიდს ემართება, ნოოლოგიური ენის გამოვლენა ბიოლოგიური ენის მოცემულობა-ქმედითობას გულისხმობს წინაპირობად (არანულოვანი დასაწყისი), მაგრამ ის (ნოოლოგიური ენა), ბიოლოგიური ენის მეტამორფოზის ან განვითარების პროდუქტად ვერ ჩაითვლება: რადგან ინდივიდის ნოოლოგიური და ბიოლოგიური ასპექტები ურთიერთდაპირისპირებული ფენომენებია, ნოოლოგიური და ბიოლოგიური ენების ურთიერთმიმართებაშიც არ შეიძლება არ იყოს ურთიერთდაპირისპირების მომენტი.

ბიოლოგიური ენა არსებითად **სასიგნალო** ენაა, ნოოლოგიური ენისთვის კი მთავარი ფუნქციაა ინტერპრეტაცია - სუბიექტის მდგომარეობის და სიტუაციის კონკრეტული ნოოსფერული სტიქიის პარადიგმების მიხედვით წარმოდგენის უნარი. ასე, რომ ნოოლოგიური ენა **ინტერპრეტაციის** ენაა, რომელიც, ცხადია, სასიგნალო ფუნქციის უფრო დიფერენცირებულად რეალიზაციის უნარითაც ხასიათდება.

ამრიგად, ბიოლოგიურ ინდივიდად შობილი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება, ნოოონტოგენეზის პირველი საფეხურის დადგომა ფაქტად უნდა ჩაითვალოს მაშინვე, რო-

გორც კი მოზარდი, **ნოამ ჩომსკისეული** ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გამოავლენს **ენობრივ უნარს**. ეს, ფენომენოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 3 (მაქსიმუმ 5) წლის ასაკში ბიოლოგიური ინდივიდის პიროვნებად გარდაქმნა, ამ თვისებრივ ნახტომთან დაკავშირებული მერყეობა (ახალი მდგომარეობის ფრაგმენტულობა) დასრულებულია.

რადგან პიროვნულობა (ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა) ბიოლოგიურ ინდივიდში (ბიოლოგიური მოცემულობის საფუძველზე, ბიოლოგიური რესურსით) რეალიზებადი (პრეზენტირებადი) ფუნქციაა, მასაც, როგორც ნებისმიერ სხვა ბიოლოგიურ ფუნქციას (მხედველობა, ფრენის უნარი და სხვა), ეგულისხმება შესაბამისი მააქტუალიზებელი სტიმული, რომელიც ადამიანთა საზოგადოების გარეთ (როგორც "მაუგლების" შემთხვევები მოწმობს) არ გვხვდება. ასეთ სტიმულად უნდა დასახელდეს კონტრასტი ინდივიდების ურთიერთობის შემდეგ, სამ მოდუსს შორის: 1) პიროვნებათა ურთიერთობა, 2) გადაგვარებულ ინდივიდურ ფსიქიკურ ფენომენთან პიროვნების ურთიერთობა და 3) გადაგვარებულ ინდივიდურ ფსიქიკურ ფენომენთა ურთიერთობა. საამისო პრეცედენტები მოზარდს ეძლევა, შესაბამისად: 1) მისი მშობლებისა და მათი წრის წარმომადგენლების ურთიერთობის აქტების სახით, 2) მშობლებისა და მათი წრის წარმომადგენელ პიროვნებათა თავად მოზარდთან (ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნამდე) და ცხოველებთან ურთიერთობის აქტების სახით და 3) მოზარდების (ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნამდე) ერთმანეთთან, მათი ცხოველებთან (პირველ რიგში, შინაურ ცხოველებთან) და ცხოველების ცხოველებთან ურთიერთობის აქტების სახით. ამგვარი კონტრასტის დაფიქსირება ადამიანთა საზოგადოების გარეთ მართლაც შეუძლებელია. ამ კონტრასტის იდენტიფიკაციის ფაქტი თავდაპირველად გამოჩნდება მოზარდის ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურის პარადიგმის მიხედვით ქცევის პრეცედენტით: დაფიქსირებამ იმისა, რომ მაგ., მისი მშობლების ერთიმეორესთან ურთიერთობა ერთნაირად განსხვავდება მშობლების მასთან, ცხოველებთან და თვით ზოგიერთ უსულო ნივთებთანაც კი ურთიერთობებისაგან (მისი მშობლები მას და ცხოველებს აწვდიან საჭმელს, ასწავლიან გარკვეული წესების დაცვას, ეთამაშებიან და უტარებენ ჰიგიენურ პროცედურებს, აწესრიგებენ და განსაზღვრულ ადგილებს მიუჩენენ უსულო საგნებსაც და ა. შ., რასაც ერთიმეორის მიმართ არ სჩადიან) მოზარდს არ შეიძლება არ ჩამოუყალიბდეს ცხოველებთან ან საგნებთან თვითასოცირების მომენტი, რაც ტოტემის ფუნქციის აქტუალიზაციაა და პიროვნებად ქცევის სიმპტომად უნდა მივიჩნიოთ.

ცხადია, რომ ენობრივი უნარის გამოვლენა ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხნის სიმპტომია და არა საფუძველი, ამდენად, ადამიანის გენეტიკაში ჩაშენებულად უნდა მივიჩნიოთ ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გამომხატველი გარდაქმნისადმი დაქვემდებარებადობის უნარი, რასაც სოციალური ურთიერთობების სფეროდან ზემოთხსენებული, კონკრეტული მოდუსის სტიმული ეგულისხმება აქტუალიზატორად, და არა თავად ენობრივი უნარი. ეს ჩომსკის კონცეფციაში არსებული მთავარი პრობლემის გადაჭრაა.

* * *

რადგან ადამიანების შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გამოხატველი გარდაქმნა რეალიზებულია უკვე სამი წლის ასაკშიც კი, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თითქოს მხოლოდ მშობლებთან, ან მათი ახლობლების ვიწრო წრესთან კონტაქტია საკმარისი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ ეს ასე არ არის.

- განწყობის შინაარსის სხვა ასპექტებისგან განსხვავებით, რომლებიც, როგორც დიმიტრი უზნაძემ აჩვენა, მათთვის კრიტიკული სიტუაციების კრიტიკულზე მეტ რიცხვჯერ განმეორების შემდეგ შეიძლება საერთოდ მოიხსნან, ფსიქიკური სტიქიებისთვის (განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტისთვის) კრიტიკული სიტუაციების სტატისტიკის ზრდას მხოლოდ ფსიქიკური დაძაბულობის ზრდის, სტრესის გამოწვევა შეუძლია, რასაც დიდი ზიანი მოაქვს პიროვნებისთვის. ხოლო მოზარდმა პიროვნებამ კრიტიკულ სიტუაციად შეიძლება დაისახოს არსით არა ამგვარი სიტუაციებიც, იმის გამო, რომ სათანადოდ რეაგირების პარადიგმულ მოდელებს არ იცნობს. ასეთი გამოცდილების შეძენისთვის, რასაც შეუძლია აღკვეთოს სტრესის ესკალაცია, აუცილებელია მოზარდის ამავე მოდუსის პიროვნებათა გარემოში არსებობა, მისი წევრების ურთიერთობებზე თუნდაც მხოლოდ დაკვირვების შესაძლებლობის პირობებში. ეროვნულ გარემოში (ერის წევრების ყოველდღიურ გარემოცვაში, ან საგანგებოდ ორგანიზებულ ვითარებაში მაინც) ცხოვრება ერის ახალი თაობის მოზარდ წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს შეივსონ ცხოვრებისეული სიტუაციების იდენტიფიკაციისა და მათზე საკუთარი ნოოტიპის (კონკრეტული ნოოსფერული სტიქიის) შესაბამისად რეაგირების პარადიგმული მოდელები. ეს არის ნოოონტოგენეზის ინსტიტუციური უზრუნველყოფის აუცილებლობის ერთ-ერთი საფუძველი. ერების მიგრაციული ნაკადების ინტენსიფიკაციის ხელშეწყობით მოსალოდნელ პირობებში (იხ. გვ. 249), როდესაც დედამიწის ყოველ ლოკალურ რეგიონში ადგილობრივი ერის წარმომდგენი ეთნოსი მოელის აღმოჩნდეს უმცირესობაში, ერების ატრიბუტები შეიძენენ გარეგნული თვითგამოხატვის მიხედვით პიროვნების თავისუფლების გამოხატულების მნიშვნელობას, რაც მხოლოდ ცხრომის მანიის მოდუსის პიროვნებათა ნოოონტოგენეზის ხელშემწყობ გარემოდ აქცევს მთელს მსოფლიო საზოგადოებას. სხვა მოდუსის პიროვნებათა ნოოონტოგენეზის შესაძლებლობისთვის მოზარდთა შესაბამისი კონტინგენტების უმკაცრესი ინფორმაციული კარანტინის პირობებში მოქცევა გახდება აუცილებელი.

ხოლო ის, რომ ადამიანთა ახალ თაობებს ხელოვნური, მაღალტექნოლოგიური ობიექტებით გადატვირთულ სივრცეში უხდებათ ნოონტოგენეზის პირველი საფეხურის გავლა, არ ქმნის რაიმე სიძნელეს ნოონტოგენეზის უხარვეზოდ გავლისთვის: როგორც ადრეც აღინიშნა (იხ. გვ. 32), ტოტემისტურ სიმბოლოთა გალერეა შეიძლება უმტკივნეულოდ შეივსოს ტექნოლოგიური წარმოშობის ობიექტებით. ნოოონტოგენეზის მეორე საფეხურის პიროვნებისთვისაც არ იქნება მტკივნეული და პრობლემური ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ფენომენური გამოხატულებების ფაქტად მიღება, თეორიული ცოდნის მისგან დაფარვის პირობებში, რადგან მეოთხე საფეხურს სინამდვილის მოცემულობის კონკრე-

ტულობით დაინტერესების აღდგენა ახასიათებს, რაც მეორე საფეხურისკენ შემობრუნების ილუზიას ქმნის (რისი სანიმუშო მაგალითია გრიგოლ რობაქიძის მიერ ვაჟა-ფშაველას იდენტიფიკაციაში დაშვებული უზუსტობა).

განსაკუთრებული შემთხვევაა ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურის პიროვნება, მაგრამ ოპტიმალურ პირობებში, ამ შემთხვევაშიც მიღწევადია სტრესის გენერაციის აცილება: ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერში ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურის რეალიზაციის ოპტიმალური ასაკია 13 - 16 წლების შუალედი (საზღვრების ჩათვლით), რა დროსაც პიროვნებას მეოთხე საფეხურის ფენომენური გამოხატულებები თავისი მშობლებისა და მშობელთა მშობლების თაობების წარმომადგენელთა ცხოვრების ფაქტების სახით ეძლევა დაკვირვების ობიექტად, რის გამოც შეუძლია ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურთან მათი ასოცირება, საკუთარი ნოოონტოგენეზის წინა საფეხურებისეული გამოცდილების კარნახით და, ამდენად, ნოოონტოგნეზის მესამე საფეხურის საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპის გამოხატულებად დასახვა და ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურის რეალიზაციით უმცროსი ასაკის მოზარდებისთვის (რომლებიც საკუთარი ნოოონტოგენეზური გამოცდილების გათვალისწინებით, წინა საფეხურზე მდგომებად ეგულება) გზის გამკვალავად თვითიდენტიფიკაცია.

* * *

მართალია, ადამიანის პიროვნებად ჩამომყალიბებელი გარდაქმნის რეალიზაციაში მნიშვნელოვანია არა ენის უშუალო მოცემულობა (ფონეტიკა, სემანტიკა, სინტაქსი, თუ მორფოლოგია), არამედ ტოტემისტური, მითოსური, რელიგიური და მეცნიერული პარადიგმები - რომლებიც უმეტეს თანამედროვე ენათაგანით შეიძლება ერთნაირი წარმატებით გადმოიცეს, მაგრამ, რადგან პიროვნების ოთხი ნოოტიპი არსებობს და ყოველი ერი ერთი ნოოტიპის პიროვნებათა გაერთიანებაა, მოსალოდნელია ენებს შორის იყოს განსხვავება იმის მიხედვით, თუ პიროვნების რომელი ნოოტიპის (რომელი ნოოსფერული სტიქიის) შესაბამისი პარადიგმების გადმოცემა ხერხდება უკეთესად მათი მეშვეობით. და როცა ხდება საზოგადოების სხვა ნოოტიპის ერად ტრანსფორმაცია, ენა ექვემდებარება საზოგადოების ახალი მდგომარეობის შესაბამისი ნოოსფერული სტიქიის გავლენას, რის გამოც დროის მსვლელობაში იქცევა სრულიად განსხვავებულ ენად.

ენის ფენომენურ მახასიათებლებზე ნოოსფერულ სტიქიათა გავლენის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია ინგლისური და გერმანული ენების შედარება ფონეტიკის ასპექტით. ორივე ეს ენა ძველგერმანული ენისგან - ძლევის მანიის კლასის ერის ატრიბუტისგან - წარმოიშვა (ძველგერმანულისგან მომდინარეობს ორივეს საერთო კომპონენტი): ინგლისური ენის ფონეტიკის განვითარების ტენდენციაში ცხრომის მანიის ეფექტის გამოხატულებაა რიტმის როლის გაძლიერება და სიტყვის შემადგენლობაში ბგერების (ფონემების) ძლიერი ურთიერთგავლენა, ერთმარცვლიანი წარმოთქმისკენ (ფონემების ურთიერთშერწყმისკენ) მისწრაფება, რაც ამერიკულ დიალექტს უფრო მეტად ახასიათებს; ხოლო გერმანულ ენაში სიტყვების შემადგენლობაში ბგერებისა (ფონემებისა) და მარცვლებისა და წინადადებაში

სიტყვების მკაფიოდ გამოკვეთილობა ფორმის მანიის ეფექტის გავლენად იდენტიფიცირებადი მახასიათებელია. ინგლისურის და გერმანულის მსგავს ურთიერთმიმართებაშია, ასევე, საერთო ძირისგან (ლათინურის სახით, ძლევის მანიის კლასის ერის ატრიბუტისგან) მომდინარე, ფრანგული და ესპანური ენები. ფორმის მანიის და ცხრომის მანიის გავლენის ამსახველია, ასევე, შესაბამისად, გერმანულში კონკრეტულ საგანთა აღმნიშვნელი სიტყვების სიჭარბე, ფრანგულში ზოგად კატეგორიათა აღმნიშვნელი სიტყვების სიჭარბის საპირისპიროდ (იუნგისეული მაგალითი). ინგლისურ ენაში, გარდამავალი დროის ფორმების სიმრავლე, ცხრომის მანიის გავლენის გამოხატულებად იდენტიფიცირდება. ხოლო დროის სხვა ფორმების წარსულის ფორმის საფუძვერლზე წარმოება და ერგატივის კონსტრუქცია, რაც ქართველურ ენებს ახასიათებთ, მართვის მანიის გავლენასთან შეიძლება ასოცირდეს. იგივე ითქმის ქართველურ ენებში ზმნის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ. ქართულში მრავლობითის რიცხვის გამოხატვის წესიც, როგორც ადრე აღინიშნა (იხ. გვ. 76), ასეთივე მაგალითია. ლაკონიზმი და მეტყველებაში ემოციური შემადგენლის ინტენსიფიკაციის უნარის გამახვილება და პარალელურად მიმდინარე პროცესების გადმოცემისუნარიანი კონსტრუქცია ("დეეპრიჩასტიე"), რაც რუსულ ენას ახასიათებს, ძლევის მანიის ფსიქიკური სტიქიის გავლენით შეიძლება აიხსნას. ამ მიმართულებით ენების კვლევა მომავლის საქმეა.

რადგან პირველად ცივილიზაციებში (ტოტემისტურ თემებში) სინქრონულად თანააქტუალობს ერთზე მეტი თვისებრივი ტიპის ერი (ტოტემური კასტები) ბოლოგიური ენის არსებობის პარალელურად ნოოლოგიური ენის განვითარება უნდა დაწყებულიყო არა ეროვნული ენების, არამედ ოთხივე ნოოტიპის ერთა ენების კონგლომერატების მოდუსში, რაც ხელს უწყობს სიტყვათა მრავალმნიშვნელიანობას - პოლისემიას.

ნოოტიპური პოლიმორფიზმი თანამედროვე (მეორეული ცივილიზაციის წარმომადგენელი) ერების ენებსაც არ უნდა ჰქონდეთ ბოლომდე ჩამოშორებული (ფაზათა ცვლის გავლენა, იხ. გვ. 213-214), თუმცა, ისინი გაცილებით უფრო ნაკლებად პოლიმორფულნი შეიძლება იყონ.

ნოოსფერულ სტიქიებთან მიმართებაში ენის მონომორფიზაციის ტენდენცია ნოოონტოგენეზში საკუთრივ ენის, მისი სინტაქსურ-სემანტიკური მახასიათებლების როლის ზრდის პირობაა. ეს ტენდენცია ლოგიკურ ზღვრად გულისხმობს მდგომარეობას (შეიძლება რეალურად მიუღწევადს), როდესაც კონკრეტული ნოოსფერული სტიქიის პარადიგმის ზუსტად გადმოცემა შეუძლებელი იქნება შესაბამისი ნოოტიპის ენების გამოყენების გარეშე, რაც ნიშნავს ნოოონტოგენეზის არსის დაყვანას ენის ათვისებაზე. მაშინ პირველი ენა იქნება პიროვნების ეროვნების ცალსახად განმსაზღვრელი, სხვა სამი ტიპის ერების ენების სრულყოფილად დაუფლება კი შეუძლებელი გახდება - თარგმნა იქცევა ახალი აზრის ჩამოყალიბების აქტად. მაშინ ოთხი განსხვავებული ნოოტიპის ერთა ენების ოთხეული წარმოგვიდგება ინფორმაციის შეუჩერებელი გენერაციის მექანიზმად: თითოეული ენის მატარებელს მის მიერ გამოთქმული დებულება, მის სხვა ენებზე თარგმნის აქტების რიგის გავლით დაუბრუნდება შეცვლილი სახით, რომლის კვლავ ამ ენაზე თარგმნაც სპირალის მორიგი მუხლის დასაწყისს მოგვცემს.

რამდენიმე არაურთიერთექვივალენტური ენის არსებობის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს სასრული აქსიომატიზაციის შეუძლებლობის შესახებ **გიოდელის** თეორემაც, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ენის (მინიმუმ ნატურალურ რიცხვთა სიმრავლის შემცველი ფორმალური სისტემის) გამოყენებით შეიძლება ჩამოყალიბდეს დებულება (ფორმულა), რომლის ვერც გამოყვანა (ჭეშმარიტების დამტკიცება) მოხერხდება უკვე არსებული ცოდნის მეშვეობით და - ვერც უარყოფა (სიმცდარის დამტკიცება). ყოველი ცალკეული ენით მოუხელთებელი (ვერიდენტიფიცირებადი) დებულების არსებობის აუცილებადობაში გამოხატული პრობლემა შეიძლება დაძლეულ იქნას არაექვივალენტურ ენათა სიმრავლის მეშვეობით, იმ ლოგიკური მოლოდინის შესაბამისად, რომ ნებისმიერ ამგვარ დებულებათაგანი ამ ენათაგან ერთ-ერთით მაინც იდენტიფიცირებადი აღმოჩნდება. თუ სინამდვილე ბოლომდე შემეცნებადია (ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხური დასრულებადია) ასეთი ენების სიმრავლე უსასრულო არ უნდა იყოს. ხოლო, ნოოსფერულ სტიქიათა თეორიის მიხედვით, მათი რიცხვი ოთხზე ნაკლები ვერ იქნება. ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის მიმდინარეობა ოთხი განსხვავებული ნოოტიპის ენის თანმიმდევრული გამოყენებით სინამდვილის ახალახალი კონკრეტული (სასრული) ასპექტის ყოველმხრივი ათვისების საფეხუროვან პროცესადაა მოაზრებადი. როგორც ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, სინამდვილის ყოველ ასპექტისთვის სპეციფიკური (მხოლოდ ამ სფეროს ფარგლებში გამოსადეგი, ლოკალური დანიშნულების) "ტექნოლოგიური" (არსებითად, სასიგნალო ენის მნიშვნელობის მქონე) ენა ყალიბდება, ერთზე მეტი ტიპის ენების ელემენტების სათანადოდ შეკავშირებით. ეს აძნელებს ენათა მონომორფიზაციის უდიდესი კონსტრუქციული მნიშვნელობის შემჩნევას.

ყოველივე ზომოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ გარადუვალია ეროვნული სამეცნიერო სკოლების მნიშვნელობის ზრდა. ამგვარი ტენდენცია გამოიკვეთა ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლისას კენტავრის სინდრომის ეტაპზევე, ლათინურენოვანი საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიის სკოლის დაშლით - ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ეროვნულენოვანი სკოლების ჩამოყალიბებით. მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს ტენდენცია განსხვავებული ნოოტიპის ერებთან ასოცირებადი ფსიქოლოგიური სკოლების - გეშტალტფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი, მატერიალისტური (მარქსისტული) ფსიქოლოგია, უზნაძის განწყობის თეორია - ჩამოყალიბებაშიც აისახა, მაგრამ შემდეგ, მონომოდალისტური გლობალიზმის ბატონობის პირობებში, ეს ტენდენცია შეფერხდა (იხ. §3.3).

ნოოსფეროს ფენომენების კვლევის სფეროებში (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ისტორია, ფილოლოგია და სხვა), რადგან კვლევის საგანები ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გამომხატველი მახასიათებლების მატარებლები არიან, სამეცნიერო სკოლების ნოოტიპური დიფერენციაცია მკვეთრად გამოხატული უნდა იყოს (და როგორც ვნახავთ ასეცაა). ნოოსფეროს გარეთ კი, ნოოლოგიურად გადაგვარებული ფენომენების სამყაროში, მოვლენების ახსნა ერთი ნოოოსფერული სტიქიის პოზიციიდან არ იქნება სრული, მოგვცემს ამგვარი ფენომენების არა სრულ შინაარსს, არამედ მათ ერთ-ერთ პროექციას ნოოსფეროში.

ამით აიხსნება მეცნიერების საბუნებისმეტყველო დარგებში სამეცნიერო სკოლების ნოოტიპური დიფერენციაციის უფრო ძნელად შესამჩნევობა - ყოველი მეცნიერი იძულებულია გაითვალისწინოს ობიექტის შესახებ ოთხივე პოზიციიდან მოპოვებული ინფორმაცია. სინამდვილეში, სამეცნიერო სკოლების ნოოტიპური დიფერენციაცია გვაქვს ამ სფეროშიც - ყოველ მეცნიერს მისი ერის ნოოტიპის შესაბამისი ასპექტის ასახვაში შეაქვს მეტი წვლილი. მაგალითად, თვით მათემატიკაშიც კი ნამდვილ რიცხვთა განმარტების დედეკინდისეული კონცეფცია ფორმის მანიის ეფექტის გამომხატველია, კრებად მიმდევრობასთან ასოცირების მეთოდი კი ცხრომის მანიის პარადიგმის შესაბამისი; კვანტური ფიზიკა ჰაიზენბერგისა და შრედინგერის მოდგომით, ფორმის მანიის პარადიგმის შესაბამისია, ფეინმანის მიდგომაში ცხრომის მანიისა და ძლევის მანიის პარადიგმებთან ასოცირებადი მომენტებია წამყვანი. სამომავლოდ, ცივილიზაციური ფაზების ცვლის ზეგავლენისგან ერების დაზღვევის პირობებში, ინფორმაციის დაგროვების ტემპის ზრდასთან ერთად, საბუნებისმეტყველო სამეცნიერო სკოლების ნოოტიპური დიფერენციაცია უფრო და უფრო მკაფიო გახდება.

მეცნიერების ეროვნული სკოლების არსებობა ასევე აუცილებელია ერების ნოოფილოგენეზური ზრდის გამომხატველი პროდუქტების ნოოონტოგენეზურ მოდუსში დაფიქსირებისთვის. ამის გარეშე, ნოოფილოგენეზურ განვითარებას შეფერხება ემუქრება.

* * *

რადგან, ადამიანის შემთხვევაში, ენის ელემენტების აღქმის უკანასკნელი ეტაპია ტვინის ნეირონულ წრედებში გამავალი ელექტრო-მაგნიტური სიგნალების იდენტიფიკაცია, ენის ელემენტებს, მაქსიმალურად ფუნდამენტურ რეალიზაციაში, ელექტრო-მაგნიტური იმპულსების სახე უნდა ჰქონდეთ. ამგვარი მოდუსის ენით ურთიერთობას შეიძლება ეწოდოს **ტელეპატია.** ელექტრონული კიბერნეტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ამგვარი უნარის ტექნოლოგიურად უზრუნველყოფის შესაძლებლობას გვკარნახობს. ცხადია, თარგმნის არატრივიალურობას ეს ვერ გააუქმებს.

* * *

არსებობს ენის ცვლილების საფუძველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის გარეშეც, კერძოდ, ნოოფილოგენეზურ განვითარებასთან დაკავშირებით. ამ გარემოების და, საზოგადოდ, ენისა და ერის ურთიერთმიმართების არაცალსახობის საილუსტრაციოდ კარგ მაგალითს გვაძლევს ქართველური სამყარო. ქართველური (სვანური, მეგრული, ლაზური, ქართული) ენების მატარებელი ეთნოსები ერთი, და კერძოდ, მართვის მანიის კლასის ერის ნაწილებად იდენტიფიცირდებიან, რომელმაც, კოლხური სამყაროს სახით, თავისი ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის სტაბილიზაცია განიცადა ეგეოსური ცივილიზაციის ისტორიის საწყის ეტაპზე (დაახ. XX - XII საუკუნეებში ქრისტეშობამდე, ეგეოსური ცივილიზაციის პირველი, ორმაგი ეფექტის ფაზაში - იხ, გვ. 218), ან უფრო ადრე შესაძლებელია მაშინ ჯერ კიდევ არადიფერენცირებული, საერთოქართველური ენის არსებობის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ მასში მოქცეული პოპულაციის საერთო ენის არსებობა არ არის

მართვის მანიის კლასის ერის კონსოლიდაციის (განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის რეალიზაციის) ხელშემწყობი პირობა: ეთნიკურ-ენობრივი განსხვავებები არა თუ არ ისპობოდნენ ამ ტიპის ერთა კონსოლიდაციის შემდეგ, არამედ სწორედ ამგვარი აქტი (მართვის მანიის კლასის ერად კონსოლიდაცია) არის მისი რეალიზაციის არეში ეთნიკური დიფერენციაციის იმპულსის წარმომშობი პირობაა, რასაც ადასტურებს საკუთრივ ქართული ენის ეთნოგრაფიულ დიალექტებად დიფერენციაციის პროცესიც. ასე, რომ სვანური, მეგრული, ლაზური და ქართული ენები ნოოფილოგენეზის მეორე (მითოსის) საფეხურზე ერთი და იმავე ერის სრულიად ურთიერთტოლფასი ატრიბუტებიც კი შეიძლება ყოფილიყვნენ. თუმცა, ცნობილი ფაქტია ქართული ენის ინსტიტუცური ფუნქციით დაწინაურება ფარნავაზის ხანიდან მაინც, რასაც გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი. ამ ერის (მისი ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე კოლხ ერად წოდებულის) ნოოფილოგენეზის მესამე (რელიგიის) საფეხურის ატრიბუტად, კერძოდ, მესამე საფეხურზე უნივერსალური გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის (მართლმადიდებელი ქართველობის) ატრიბუტად, მხოლოდ ქართული სამწერლობო ენა დაფიქსირდა, ხოლო სვანურმა, მეგრულმა და ლაზურმა ენებმა, ისევე როგორც ქართულის დიალექტებმა, არსებობა გააგრძელეს მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფების ნოოონტოგენეზურ ატრიბუტებად. ეს მოხდა გეოპოლიტიკური რეალიების ხელშეწყობითაც და, რაც მთავარია, საერთო ქართველური კონსენსუსის საფუძველზე, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ სვანებს, მეგრელებს და ლაზებს არც ერთხელ არ უცდიათ მათი ენების სტატუსის შეცვლა. ქართული რელიგიური ტექსტების ენა განსხვავებულია თავად ქართულის კუთხური დიალექტებისგან, ამდენად მათი სტატუსი ისეთივეა, როგორიც მეგრულის, სვანურისა და ლაზურისა. იგივე ითქმის ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებად იდენტიფიცირებადი ზოგიერთი არაქართველური (ჩრდილოეთკავკასიური თუ სხვა) წარმოშობის ეთნოსების ენათა შესახებ, ქართველ ერთან მიმართების ასპექტით.

დღეს, ქართველი ერი გადასულია ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე, რაც, ცხადია, უკვე, მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით შეიძლება დაფიქსირდეს. ეს ქართული ენის მნიშვნელოვან განახლებასაც გულისხმობს (რის გამოც, საბოლოოდ, ის შეიძლება ახალ ენადაც კი ჩამოყალიბდეს). ამის მაჩვენებელია ქართული ლექსიკის ახალი, მათ შორის ნასესხები, სიტყვებით შევსების ტენდენცია, რაც გრამატიკული ფორმებით გამდიდრებასაც უწყობს ხელს.

არასწორია ქართული რელიგიური (ქართველი ერის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ამსახველი) ტექსტების თარგმნა თანამედროვე ქართულ ენაზე. მეგრულს, სვანურს, ლაზურს, ქართულის კუთხურ (განსაკუთრებით მთის) დიალექტებსა და ქართველ ერთან ასოცირებად, ზემოხსენებულ სხვა (არაქართველურ) ენებს უპირატესობა ეკუთვნით ქართველ პიროვნებათა ნოოონტოგენეზის პირველ და მეორე საფეხურებზე, თუმცა არ არის აუცილებელი ამ საფეხურების შესაბამისი ყველა სახის ინფორმაცია (მაგ. საბუნებისმეტყველო დარგებში) მიეწოდოს ამ ენებზე, მაგრამ ტოტემისტური და მითოსური ტექსტების

გასაცნობად მათი გამოყენება ოპტიმალურია: ქართველური ენების განვითარებაზე მართვის მანიის ეფექტის გავლენის გამოხატულებად (ქართველთა ნოოონტოგენეზის ხელშემწყობ ფაქტორად) ზემოთ დასახელებული ნიშნები უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი, ვიდრე საკუთრივ ქართულ ენაში - მაგ., ზმნის განსაკუთრებული სტატუსი (ყველა ზმნა დგება ოთხპირიან ფორმაში) და ერგატივის კონსტრუქცია - მეგრულ ენაში, რადგან დამწერლობას არ შეუშლია ხელი ხსენებული გავლენით განპირობებული ტენდენციის გაღრმავებისთვის, რომელიც ნოოფილოგენეზის პირველსაფეხურზე ნაკლებად შესამჩნევი უნდა ყოფილოყო ან საერთოდ მხოლოდ შემდეგ ენის ნოოტიპური მონომოდალიზაციის ტენდენციის გამოხატულებად შეიძლება იყოს წარმოშობლი. კერძოდ, ერგატივის კონსტრუქციის ქართულ-მეგრული ბგერათა შესატყვისობის წესით დაუკავშირებელი ბოლოსართებით წარმოება (შესაბამისად „მა“ და „ქ“) ამ ელემენტის ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად მართვის მანიის ეფექტის გავლენით ჩამოყალიბებაზე მეტყველებს.

* * *

განსაზღვრებების მიხედვით ცხადია, და აღინიშნა კიდეც, რომ ნოოფილოგენეზის ყოველ საფეხურზე აქტუალობას ინარჩუნებს ყველა წინა საფეხური - ახალი თაობის ინდივიდი ნოოფილოგენეზის კონკრეტული საფეხურის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში გაივლის ყოველი წინა საფეხურის შესაბამის ეტაპებს, იმავე რიგით. დაბადებით, ანუ ბიოონტოგენეზის დაბადებამდელი (პრენატალური) ეტაპის დასრულებით, ადამიანი მხოლოდ ბიოსფეროს ინდივიდია (“ბიოიდია”), ხოლო ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის გარდაქმნისადმი მისი დაქვემდებარება, ანუ პიროვნებად ქცევა, ეროვნულ საზოგადოებაში - კონკრეტული მოდუსის ნოოსფერულ გარემოში ცხოვრების პირობებში (ეროვნულ კულტურასთან ზიარებით) მიიღწევა, როგორც აღინიშნა. ეს ნიშნავს იმას, რომ პიროვნება აუცილებლად კონკრეტული ერის წარმომადგენელია. მაგრამ ცივილიზაციური ფაზების ცვლის გავლენით ერის ნოოტიპური ტრანსფორმაციის შემთხვევაში ახალი თაობის პიროვნების ნოოონტოგენეზი, მის მანამდე არარსებული ერის წამომადგენლად ჩამოყალიბებით სრულდება, ახალი ნოოტიპის ერის გაჩენის გამოხატულებად.

რადგან ადამიანის შემთხვევაში სქესობრივი მომწიფება გოგონებისა და ვაჟებისა, შესაბამისად, 11 წლის ასაკში და 12 წლის ასაკში იწყება, ასევე, მოზარდებზე დაკვირვებით მოპოვებული ფენომენოლოგიური გამოცდილების გათვალისწინებით, ოპტიმალურია ნოოონტოგენეზის ეტაპის შემდეგნაირი დაყოფა:

- დაბადებიდან პირველი 8 წელი დაეთმოს ნოოონტოგენეზის პირველ საფეხურს, რომლის განმავლობაში მოზარდი უნდა დაეუფლოს ეროვნული მემკვიდრეობის ტოტემისტურ შრეს; - მას უნდა ჩამოუყალიბდეს საკუთარი ქცევის ბიოსფეროს ინდივიდებთან, სხვა ბუნებრივ (არაანთროპომორფულ) ფაქტორებთან და, დასაშვებია, ტექნოლოგიურ (მანქანების, რობოტების თუ სხვა სახის) ობიექტებთან თვითასოცირებით მოდელირება-რეგულირების უნარი, რაც მოითხოვს საორიენტაციო ობიექტების არსებობისა და ქცევა-ფუნქციონირების სხვადასხვა მახასიათებლების შესწავლა-გაცნობიერებას (აზროვნებით

შესაძლებელია განწყობისეულ ფაქტორებზე ზემოქმედება); ამრიგად, ამ ეტაპის ბოლოს მოზარდის ცოდნა, როგორც საკუთარი ქცევის რეგულირების მოდელების მარაგი, შეიძლება მოიცავდეს მთელ ფენომენოლოგიურ ბოტანიკასა და ზოოლოგიას, მეტეოროლოგიას და ადამიანის ბიოცენოზური უნარებით აღქმად სხვა სფეროთა მონაცემებს (გარეგნული, მოზარდი პიროვნების ქცევის მოდელირებისთვის გამოსადეგი ასპექტით), მარტივი იარაღების დამზადების და ყოველდიურ ყოფაში დანერგილი ზოგიერთი ტექნოლოგიური ობიექტებით სარგებლობის გარკვეულ უნარებს, ნოოფილოგენეზის პირველი საფეხურისთვის დამახასიათებელი იტერპრეტაციით - მაგ.: ბარის ან თოხის გამოყენება ტახის მიერ მიწის დინგით თხრის იმიტაციად, შუბის ტყორცნა - მეხის დაკვრისა ან ცხოველის ნახტომის იმიტაციად, ხელკეტის დაკვრა - ტორის დარტყმის ან რქებით ძგერების იმიტაციად, მშვილდისრის სროლა - ფრინველის შეტევის, ან თვითმფინავის მანევრის იმიტაციად და ა. შ.; ამ საფეხურზე მოზარდს შეუძლია აითვისოს საწყისები - ფერწერის, გრაფიკისა და პლასტიკის, ქორეოგრაფიის, ვოკალური ხელოვნებისა; შეიძინოს უნარები საბრძოლო ხელოვნებისა და სპორტის სხვადასხვა დარგებში, ცხოველების აგრესიული და თავდაცვითი ქცევებისა და ბუნებრივი მოვლენების დამანგრეველი და ბარიერული ასპექტების იმიტაციის გამომხატველი სტილით; დაეუფლოს პიქტოგრაფიულ დამწერლობას, გეომეტრიული ფიგურების ვიზუალურ კლასიფიკაციას, ნატურალური რიცხვებისა და დადებითი რაციონალური რიცხვების არითმეტიკას; ნოოონტოგენეზის პირველი საფეხურის მთავარი მახასიათებელი - მოზარდი პიროვნების ქცევის (მისი ცხოვრების აღზრდის პროცესით რეგულირებული ასპექტის) გარეგანი ობიექტების არსებობის ცალკეულ ასპექტებთან ასოცირებულობა - გამორიცხავს მოზარდებში სტრესის განვითარებას: პასუხისმგებლობის ტვირთი ეკისრება დროის კონკრეტულ მომენტში თვითასოცირებისთვის არჩეულ ობიექტს (ფუნქციურ ტოტემს), ამ ობიექტის არსებობის კონკრეტულ ასპექტად იდენტიფიცირებად ქცევის მოდელს, რითაც მოზარდს უადვილდება საკუთარი ყოფა-ქცევის კორექცია და უძლიერდება თვითრეფლექსიის ფუნქციის რეალიზაციის უნარი; პირველ საფეხურზე მშობლებთან კონტაქტი მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ფაქტორია: გენეტიკური მოცემულობით განპირობებული ბიოლოგიური მონაცემების მსგავსებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააადვილოს სათანადო ტოტემის შერჩევისა და ქცევის შესაბამისად მოდელირების მანერების გამომუშავება; ნოოონტოგენეზის პირველ საფეხურზე (ოპტიმალურ შემთხვევაში - 8 წლამდელ ასაკში) მსოფლმხედველობრივ შეკითხვებზე პასუხები ტოტემისტური პარადიგმების მიხედვით უნდა გაეცეს: კერძოდ, სიკვდილის შესახებ ითქვას, რომ ეს ტოტემად არჩეულ ფენომენად პიროვნების გარდასახვის აქტია, ხოლო დაბადება ხდება ტოტემად არჩეულ ფენომენის დაბადების წესით, რა დროსაც დედა ტოტემად არჩეულ არსებად გადაიქცევა, საჭირო დროით - ტოტემად არჩეული ფენომენის შესაბამისი ქცევის (მაკეობა-მშობიარობის) ბუნებრივი პირობებში დაკვირვების შესაძლებლობა უზრუნველყოფს საჭირო მოდუსით სქესობრივ განათლებას, მოზარდის არასასურველი სექსუალიზაციის გარეშე;

- [9; 12] წლების შუალედი ოპტიმალურია დაეთმოს ნოოონტოგენეზის მეორე საფეხურს, რომლის განმავლობაშიც მოზარდი უნდა დაეუფლოს ეროვნული მემკვიდრეობის

მითოსურ შრეს, გაეცნოს საკუთარი ერის ისტორიას მითოსურ წარმოდგენაში, რაც გულისხმობს ყურადღების კონცენტრაციას ერის ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურის შესაბამის მონაკვეთზე; ამ ეტაპზე აუცილებელია თეატრალურ-სამსახიობო პრაქტიკა და შესაბამისი უნარების შეძენა (ადამიანის შემთხვევაში სამსახიობო ხელოვნება, სწორედ, ანთროპომორფული პერსონაჟების განსახიერებას გულისხმობს); ამ საფეხურის მთავარი ასპექტია ენობრივი უნარის (ადამიანის შემთხვევაში - ფონემური ენის ფლობის) განვითარება, იგულისხმება დამწერლობის განვითარებული ფორმების და გრამატიკის საწყისი ელემენტების ათვისება დედაენის მიხედვით და უცხო ენების სწავლების დაწყებაც; ამავე საფეხურის შესაბამისია მარტივი მექანიზმების ფიზიკისა და თვალსაჩინო ობიექტებისა და ურთიერთობების მათემატიკის შესწავლა (პროგრამა შეიძლება შემუშავდეს ძველშუმერთა და ძველეგვიპტელთა მემკვიდრეობებისა და არისტოტელეს, ევკლიდეს, არქიმედესა და, საზოგადოდ, ანტიკური ხანის ტექსტების საფუძველზე, მხოლოდ - სისტემატიზაციის მომენტის იგნორირებით; თვალსაჩინო გეომეტრიის გარდა, პროგრამაში, ასევე, დასაშვებია ნებისმიერი სირთულის, მაგრამ მხოლოდ ისეთი ტიპის ამოცანები, რომელთა ამოხსნა შესაძლებელია თვალსაჩინო ილუსტრაციების გამოყენებით, ან კითხვების კასკადით, რომლებზეც პასუხის გაცემა არითმეტიკული მოქმედებებითაა შესაძლებელი, ფორმალური ალგებრის ელემენტების გამოუყენებლად); ამავე ეტაპზე მნიშვნელოვანია ხელოვნური ტექნოლოგიური ობიექტებით სარგებლობის უნარების გაღრმავება, მაგრამ ტექნოლოგიების თეორიულ საფუძვლების იგნორირებით; მშობლებთან კონტაქტი მეორე საფეხურზეც მნიშვნელოვან კონსტრუქციულ ფაქტორად რჩება: გენეტიკური მოცემულობით განპირობებული ბიოლოგიური მონაცემების მსგავსებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააადვილოს სინამდვილის ანთროპომოდალური ინტერპრეტაციის ჩამოყალიბება;

- [13; 16] წლების შუალედი ოპტიმალურია ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურისთვის, რომლის განმავლობაშიც მოზარდი უნდა დაეუფლოს ეროვნული მემკვიდრეობის რელიგიურ შრეს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება დაეკისროს რელიგიის ეროვნულ ინსტიტუტს (თუმცა, მართვის მანიის კლასის ერის შემთხვევაში, ინსტიტუციურობის არსებითად ნიველირებით); მოზარდი უნდა გაეცნოს საკუთარი ერის ისტორიას რელიგიურ ინტერპრეტაციაში, რაც გულისხმობს ყურადღების კონცენტრაციას ერის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის შესაბამის მონაკვეთზე; ამ ეტაპზე ის უნდა დაეუფლოს სისტემური აზროვნების უნარს, რასაც სინამდვილის რელიგიური მოდელის ათვისებასთან ერთად, ხელს შეუწყობს უმაღლესი მათემატიკის (მათანალიზის, ანალიზური გეომეტრიის, რიცხვთა თეორიის, უმაღლესი ალგებრისა და ფორმალური ლოგიკის საწყისების) შესწავლა; მესამე საფეხურზე მშობლებთან კონტაქტი ოპტიმიზაციის მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს, ისევე, როგორც ყველა წინა საფეხურისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები და ბიოლოგიური ფუნქციები, რაშიც პირველ რიგში, იგულისხმება სქესობრივი იმპულსების ნებელობითი რეგულირების უნარის გამომუშავება: ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურის დასაწყისისა და ადამიანის ბიოლოგიური სქესობრივი მომწიფების დასაწყისის ურთიერთდამთხვევა ამ უმთავრესი ინსტინქტის ნოოონტოგენეზში იმთავითვე პიროვნული ასპექტი-

სადმი დაქვემდებარების შესაძლებლობის პირობაა და საშუალებას იძლევა ბიოლოგიური ოპტიმუმის ზღვარით შემოიფარგლოს მოზარდის (მისი, ჯერ კიდევ სწრაფი გარდაქმნების პროცესში მყოფი, ორგანიზმის) სხვა ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა შეზღუდვა (ცხადია, რომ ნოოონტოგენეზის პირველ და მეორე საფეხურებზე, მოზარდების მოპირდაპირე სქესისადმი ინტერესი, სქესობრივი მოუმწიფებლობის გამო ესთეტიკის სფეროს ვერ გასცდება და ამ ასპექტით ხელიც უნდა შეეწყოს);

- [17; 20] წლების შუალედი ოპტიმალურია დაეთმოს ნოოონტოგენეზის მეოთხე საფეხურს, რომლის განმავლობაშიც მოზარდი უნდა დაეუფლოს ეროვნული მემკვიდრეობის სამეცნიერო შრეს, გაეცნოს საკუთარი ერის ისტორიას, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის პარადიგმის შესაბამის წარმოდგენაში; ამ ეტაპზე, ის უნდა დაეუფლოს ეროვნული სამეცნიერო სკოლის თეორიულ მიღწევებს მეცნიერების ყველა დარგში, უნდა გაეცნოს მეცნიერების ყველა დარგს საკუთარი ეროვნული სამეცნიერო სკოლების პოზიციიდან, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თეორიულ ფიზიკას, კიბერნეტიკას (წინა საფეხურზე შეძენილი უმაღლესი მათემატიკის მიღწევების სინამდვილესთან მიმართების საკითხს), ლინგვისტიკას, მოლეკულურ ბიოლოგიას, ინდივიდურ და სოციალურ ფსიქოლოგიას; მეოთხე საფეხურზე მშობლებთან კონტაქტი კვლავ სავსებით კონსტრუქციულ ფაქტორადაა მისაჩნევი.

ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურს მიღწეულ საზოგადოებაში 20 წლამდე ასაკის პიროვნება ვერ ჩაითვლება ფსიქოლოგიურად სრულფასოვან ინდივიდად (სრულფასოვან ნოოიდად). პიროვნების პროფესიული მომზადება უნდა დაიწყოს 21 წლის ასაკიდან. სწორი ნოოონტოგენეზური წინაისტორია მას არჩევანის მაქსიმალურად შეუზღუდველობით უზრუნველყოფს. ოპტიმალური იქნება ამ დროს აირჩიოს პიროვნებამ თავისი საბოლოო სახელიც, ნოოონტოგენეზის ყოველ წინა საფეხურზე მის მიერ ნატარები (დარქმეული) სახელების გათვალისწინებით.

თანამედროვე პირობებში ნოოონტოგენეზის ხანგრძლივობის 20 წლით განსაზღვრა ნაკარნახევია ცივილიზაციური ფაზების ცვლის ტემპით (იხ. ცივილიზაციური ფაზების ქრონოლოგია §3.2 გვ. 227-დან). შეიძლება ადამიანმა დასახელებულ ოპტიმალურ ასაკობრივ შუალედებში ვერ გაიაროს ნოოონტოგენეზის შესაბამისი საფეხურები, მაშინ მას უფრო გვიან მოუწევს იმავე საფეხურების იმავე რიგით გავლა. ცხადია, რომ ეს პროცესი შეიძლება ხელოვნურადაც შეჩერდეს ნებისმიერ საფეხურზე. ამგვარი დესტრუქციული მოქმედების მსხვერპლად ქცეულმა ადამიანმა შეიძლება ცხოვრების ბოლომდე ვერ მიაღწიოს მისი წარმომშობი საზოგადოების ნოოფილოგენეზის მიმდინარე საფეხურს. ეს ნიშნავს მინოტავრის სინდრომის ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობას (იხ. გვ. §3.3).

* * *

ნოოონტოგენეზის თითოეულ საფეხურს სათანადოდ მოწყობილი და სხვათაგან განკერძოებულად განთავსებული დაწესებულება სჭირდება. ნოოონტოგენეზის მორიგი საფეხურის საწყისი (კენტავრის სინდრომის) ეტაპი, პიროვნებამ, ნოოონტოგენეზის წინა საფე-

ხურის დაწესებულებაში შეიძლება გაიაროს, დამხმარე-გამოსაცდელი მასწავლებლის სტატუსში. ნოოონტოგენეზის ოთხივე საფეხურის დაწესებულება ერთ შენობაშიც შეიძლება განლაგდეს ეზოს ყოველი ფასადის მიმდებარე სექტორის და ცალკეული სართულების ცალკეულ საფეხურებს შორის განაწილებით, მათ შორის კონტაქტის რეგლამენტირებით და მოზარდებისთვის ასაკის შესაბამის საფეხურის შესაბამის სართულზე (ან სართულებზე) მხოლოდ შესაბამისი ფასადის მხრიდან არსებული შესასველით შეღწევადობის უზრუნველყოფით.

ნოოონტოგენეზის ყოველ საფეხურზე, პიროვნება, ნოოონტოგენეზის წინა საფეხურზე მდგომი პიროვნების მიმართ, ნოონტოგენეზური მნიშვნელობის კონსტრუქციული ზემოქმედებისუნარიან სუბიექტად წარმოგვიდგება. ამ გარემოების ადეკვატური ასახვა იქნებოდა პიროვნების სქესობრივი იდენტიფიკაციის ქართული ტერმინების – **"დედაკაცი", "მამაკაცი"** - გამოყენება ნოოონტოგენეზის ნებისმიერი საფეხურის პიროვნების მიმართ, ნოოონტოგენეზის პირველი საფეხურის შემდეგ.

მოზარდს ერის ისტორიის ყოველი ეტაპი ნოოფილოგენეზის თანადროული საფეხურის შესაბამისი მოდუსით უნდა წარმოვუდგინოთ. მას ნოოონტოგენეზის ყოველ საფეხურზე უნდა მოექცნენ, როგორც სრულფასოვან პიროვნებას, მხოლოდ, ამ საფეხურის შესაბამისი პარადიგმების დაცვით, ანუ - როგორც წინაპარს. მხოლოდ მოზარდ პიროვნებათა შემოქმედების პროდუქტებით შეიძლება შეივსოს ნოოონტოგენეზურად მნიშვნელოვანი ნოოფილოგენეზის წინა საფეხურების მასალა (მისი დანაკლისი) ეროვნულ მემკვიდრეობაში. ეს საგამოცდო პროცედურის მნიშვნელობას ახალი კონსტრუქციული მომენტით შეავსებს.

ნოოონტოგენეზის პროცესში აუცილებელია გათვალისწინება არა მხოლოდ ნოოფილოგენეზის საფეხურებისა, არამედ ფსიქიკური სტიქიების მიხედვით განსხვავებებისაც. მაგ., მართვის მანიის კლასის ერის შემთხვევაში, ოპტიმალურია ქალებისა და ვაჟების განსხვავებული კრიტერიუმებით გამოცდა - ქალების შეფასება ამოცანის დასმის უნარის მიხედვით, ვაჟებისა - ამოცანის ამოხსნის უნარის მიხედვით. ორივე შემთხვევაში, არატრივიალური შედეგი მოზარდისგან მოითხოვს ცოდნის კონკრეტული დარგის სათანადოდ დაუფლებას.

პიროვნების ნოოტიპის გათვალისწინება შეფასების წესის განსაზღვრაშიც აუცილებელია. მაგ., მართვის მანიის ნოოტიპის პიროვნება, უნაწევრო სიმთელის ასპექტის აქცენტირებულობის გავლენით, მისი თვითგამოხატვის შედეგის შეფასებას არა მისი კონკრეტული უნარის, არამედ მთლიანად პიროვნების შეფასებად მიიღებს, რის გამოც ნეგატიურ შეფასებას დიდი დესტრუქციული შედეგი შეიძლება მოჰყვეს, რაც შეიძლება ავიცილოთ შეფასების გადავადებით. ხოლო ნეგატიური (არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ამსახველი) შეფასების საბოლოო შედეგად დაფიქსირება დაუშვებელია, რადგან ეს ნიშნავს მოზარდის ნოოონტოგენეზის ხარვეზიანობასთან შერიგებას. გამოსავალია მოზარდებთან მუშაობის ინდივიდუალიზაცია.

§1.17 ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების მახასიათებლების ცხრილი

ნოოსფერულ სტიქიათა ზემოთ წარმოდგენილი დახასიათებათა შედეგი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილით.

0	ნოოსფერული (ფსიქიკური) სტიქიები:	I - ფორმის მანია	II - ძლევის მანია	III -ცხრომის მანია	IV - მართვის მანია
1	ნოოლოგიური პოზიციები:	მთელის პირველადობის პრინციპი	ინტენსივობითი დანაწევრების პრინციპი	ნაწილის პირველადობის პრინციპი	უნაწევრო სიმთელის პრინციპი
2	ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებლები:	[თანხმობა	[მოვალეობა	] თანასწორობა	] თავისუფლება
3	ეფექტის რეალიზაციის მახასიათებლები:	მოვალეობა [	თანასწორობა]	თავისუფლება]	თანხმობა [
4	ურთიერთობის პრინციპები:	დაყოფა-დანაწილება	მიღება	გაცვლა	გაცემა
5	გაერთიანების პრინციპები:	ერთობის უპირობობის (მარეგლამენტი-რებლობის) პრინციპი	იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპი	ერთობის პირობითობის (ნებელობითობის) პრინციპი	განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი
6	ეფექტის სივრცითი ასპექტები:	დგომა, ფლობა	კუმშვა	დინება	გაფართოება
7	ეფექტის დროითი ასპექტები:	დასაწყისის აქტუალობა	დასასრულისა და დასაწყისის თანააქტუალობა	დასასრულის აქტუალობა	დაუსაზღვრავობა
8	დროის აღქმის მოდუსები:	ქმნადი მყისიერი აწმყო	მილევადი აწმყო	უხანო გარდამავალი აწმყო	გარდაუვალი გაფართოებადი ამწმყო
9	უპირატესი ფსიქოლოგიური ფუნქციები:	ანალიზი	რეაქცია, შეგრძნება	სინთეზი, გრძნობა	ინტუიცია
10	მოტივაციის მოდუსები:	მიზეზობრივი	მიზან-მიზეზობრივი	მიზნობრივი	სიტუაციური
11	ექსკლუზიური სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმები:	ნაციონალ-სოციალიზმი, ცენტრალიზმი, წარმოების სექტორის პრიმატი	კომუნიზმი, სამხედრო სექტორის პრიმატი	ლიბერალიზმი, საბაზრო-ფინანსური სექტორის პრიმატი	ოპტიმალიზმი - ნოოტიპური მულტიმოდალიზმი
12	უცხოს, ნოოტი-პურად განსხვა-ვებულის მიმართ დამოკიდებულობა	შეუწყნარებლობა	ნიველირება	დამშვებლობა	მომთხოვნელობა

როგორც ვხედავთ, ადამიანის თვითრეალიზაციის ყოველი სფეროსთვის გვაქვს კატეგორიათა ოთხეული, რომლებიც პიროვნების ფენომენის განსხვავებული მოდუსებისა და ერის თვისებრივი ტიპების ურთიერთმიმართების დახასიათების საშუალებას გვაძლევენ: სინამდვილის ყოველი სფერო განსხვავებული ნოოსფერული სტიქიის პოზიციიდან განსხვავებულად იდენტიფიცირდება. ეს არის რელატივიზმის არსი აქ წარმოდგენილ მიდგომაში. ამ გარემოების გაუცნობიერებლობა უნივერსალისტური პოზიციის გავრცელების საფუძველს წარმოადგენდა: ყოველი ერი თავისი თვისებრივი ტიპის, ანუ კონკრეტული ნოოსფერული სტიქიის სათანადო კატეგორიების საფუძველზე ცდილობდა (და ასე გრძელდება დღემდე) მთელი სინამდვილის და, მათ შორის, სხვა თვისებრივი ტიპის ერთა, ანუ სხვა ნოოსფერულ სტიქიათა, სათანადო ფუნდამენტური კატეგორიების წარმოდგენა-ინტერპრეტაციას. ამის მაგალითია ჰეგელისეული დეფინიცია თავისუფლებისა: "თავისუფლება - გაცნობიერებული აუცილებლობა" - თავისუფლების ჯერარსზე დაყვანა.

კატეგორიათა ოთხეულად წარმოდგენის კერძო შემთხვევა დასტურდება კარლ იუნგთანაც, რომელმაც ფსიქიკური ქმედუნარიანობის ოთხი ასპექტი - "ანალიზი", "შეგრძნება", "გრძნობა" და "ინტუიცია" - მათ ურთიერთმიმართებათა საილუსტრაციოდ გამოსახა ტოლმხრიანი ჯვრის ფორმის სქემაზე, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა იუნგისეული სქემა ინტერპრეტირებადია წრეწირის ორი ურთიერთმართობული დიამეტრის კომპოზიციად, იუნგი ამ ილუსტრაციის განმარტებაში არაფერს ამბობს ამ ოთხეულის ურთიერთმიმართებაში ციკლურობის მომენტის შესახებ, საწინააღმდეგოდ იმისა, რომ ნოოსფერულ სტიქიათა თეორიაში კატეგორიათა ოთხეულის წევრების ურთიერთმიმართებაში ციკლურ წესრიგს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა "მოვალეობის", "თანასწორობის", "თავისუფლებისა" და "თანხმობის" კატეგორიათა ოთხეულის მაგალითზე:

- თუ ამ ოთხ კატეგორიას შევუსაბამებთ წრეწირის თანაბრად გამყოფ ოთხ წერტილს, მაშინ ფსიქიკურ სტიქიათა შესაბამისი ორიენტირებული რკალები - [**თანხმობა; მოვალეობა**[, [**მოვალეობა; თანასწორობა**],]**თანასწორობა; თავისუფლება**] და]**თავისუფლება**; **თანხმობა**[- ორიენტაციის დაცვით დასახელებული რიგით დალაგებისას თანაკვეთების გარეშე ავსებენ მთელ წრეს. ნოოსფერულ სტიქიათა თეორიის კატეგორიათა ოთხეულებში ციკლურობის მომენტის არსებით მნიშვნელობას უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს "ციკლური ლოგიკა", რაც ამ წიგნის მეორე ნაწილის თემაა.

იუნგის სქემაში წარმოდგენილი ოთხეული, თავად მის მიერ იდენტიფიცირებულია არა ოთხეულად, არამედ ოპოზიციურ კატეგორიათა ორი წყვილის ერთობლიობად: ერთი ურთიერთდაპირისპირებული წყვილია "ანალიზი"და "გრძნობა", მეორე - "შეგრძნება" და "ინტუიცია". ასე, რომ ეს საილუსტრაციო მოდელი ორი წყვილის ერთად წარმოდგენის მცდელობის შედეგია და არა ციკლური წესრიგის კონცეფციით ნაკარნახევი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ოთხეულს იუნგი იყენებს ადამიანთა ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის პარამეტრებად. პირველი წყვილი კი, შესაბამისად, გერმანელი და ფრანგი ერების (ენების) თვისებრივი ურთიერთდაპირისპირების დასახასიათებლადაც კი აქვს გამოყენებული.

კატეგორიათა ამგვარად დაწყვილება თანხმობაშია კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის პრინციპებთანაც, მხოლოდ შემდეგი ინტერპრეტაციის პირობით: "ანალიზი" - მთელის დანაწევრებისა და დეტალების სისტემად წარმოდგენის პრინციპი, "გრძნობა" - გენერაციით ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, აღქმისეული ელემენტების მთელი პიროვნების ერთ მდგომარეობად კონსოლიდაციის, ანუ "სინთეზის" პრინციპი (იმპრესიონისტული კონცეფცია); პირველი მათგანი ფორმის მანიის პარადიგმასთანაა ასოცირებადი, მეორე - ცხრომის მანიის პარადიგმასთან. ფორმის მანია და ცხრომის მანია, სწორედ, რომ ფსიქიკურ სტიქიათა ოთხეულში ერთიმეორისგან გაშუალოებული (დიამეტრალურად ურთიერთსაპირისპირო) წყვილია. მსგავსად ამისა, შესაძლებელია მეორე წყვილის - "შეგრძნება"-"ინტუიცია" - შესაბამისად, ძლევის მანიისა და მართვის მანიის წყვილთან ასოცირება (რუსი და ქართველი ერების ურთიერთმიმართების დასახასიათებლად გამოყენება), მაგრამ ეს ნაბიჯი იუნგს არ გადაუდგამს - მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიელი ერის სახით მართვის მანიის კლასის ერის მისთვის კარგად ცნობილი მაგალითი ჰქონდა: მას მიეწერება გამოთქმა - "ირლანდიელებში ფსიქოანალიზი არ მუშაობს" - რაც სწორი დებულებაა, ფსიქოანალიზის ცხრომის მანიის და ფორმის მანიის ორმაგი ეფექტის ფენომენად (ფორმის მანიის ეფექტის წინაპირობით ცხრომის მანიის კასტური ეფექტის რეალიზაციად) იდენტიფიცირებადობის გათვალისწინებით.

* * *

ჰეგელისეული "რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლის კანონი", ერთი მხრივ, ძლევის მანიის პარადიგმის ელემენტად წარმოგვიდგება - არსებობს ძალის ინტენსივობის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლის მიღწევამდე ძლევის ეფექტი ვერ მიიღწევა - მაგრამ, ამასთანავე, ამავე შინაარსის წინადადებით სხვა მნიშვნელობის ფაქტებიც შეიძლება გამოიხატოს: გაცვლის აქტში, როგორც ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციაში, გაცვლილ ღირებულებათა ტოლობის დარღვევაში გამოხატულ, რაოდენობრივ ცვლილებას ეს აქტი (გაცვლა) შეუძლია გადააქციოს, ან მიღების აქტად, ანუ ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციად (თუ მეტის მიმღები დაფიქსირდება ინიციატორად), ან გაცემის აქტად, ანუ მართვის მანიის ეფექტის რეალიზაციად (თუ ნაკლების მიმღები დაფიქსირდება ინიციატორად).

"დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონით" და ტრიადით - "თეზა-ანტითეზა-სინთეზი" წარმოდგენილი განვითარების კონცეფცია კარგი მაგალითია აზროვნების სფეროში შემუშავებული კანონების ცივილიზაციის თვისებრივ ტიპთან კავშირის საილუსტრაციოდ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები (იხ. გვ. 231). ჯერ მხოლოდ ის შევნიშნოთ, რომ "თეზა-ანტითეზა" იდენტიფიცირებადია დიფერენციაციის, ანუ ანალიზის ასპექტად, რომელიც ფორმის მანიის ეფექტის შესაბამისია, "სინთეზი" კი ცხრომის მანიის შესაბამისი ასპექტია, რაც გვაძლევს დაპირსპირებულთა წყვილს.

ეს ფაქტებიც კარგი ილუსტრაციებია იმისა, რომ კვანტური რელატივისტური ნოოლოგია აქამდე უცნობი კუთხიდან აშუქებს სინამდვილეს. სხვა სამი ფსიქიკური სტიქი-

ისთვის დამახასიათებელია სინამდვილის ცალსახა სურათი შექმნის მცდელობა, რაც ცნებათა ცალსახა მნიშვნელობით გამოყენების მცდელობასაც გულისხმობს, მართვის მანიის პარადიგმა კი სხვა სამი ფსიქიკური სტიქიის არსებობის აუცილებლობას ითვალისწინებს და ამდენად, ცნებათა არაცალსახობას ვერ გამორიცხავს: მაგ., როგორც არ უნდა განვსაზღვროთ "თავისუფლება", ცხრომის მანიის პარადიგმის ფარგლებში მას დაერთვის პიროვნების თვითრეალიზაციის მახასიათებლის სტატუსი, მართვის მანიის პარადიგმების ფარგლებში კი - პიროვნების ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებლის სტატუსი. გარდა ამისა, ცნების შინაარსის განსაზღვრაში ვერ ავიცილებთ ნოოფილოგენეზის საფეხურების გავლენას. ასე, რომ მართვის მანიის პარადიგმის ფარგლებში სრული ლოგიკური კორექტულობისთვის ყოველ K ტერმინს უნდა დაერთოს ორი ინდექსი, რაც გვაძლევს $K^{m\,n}$ სახის ჩანაწერს, სადაც პირველი ინდექსი, m მიუთითებს ნოოფილოგენეზის საფეხურის რომელობას, ანუ m ღებულობს მნიშვნელობებს ერთიდან ხუთამდე (საფეხურთა რიცხვი შეიძლება ხუთზე მეტიც აღმოჩნდეს, თუმცა დღეს m = 5 შემთხვევასაც ბევრს ვერაფერს შევუსაბამებთ), ხოლო მეორე ინდექსი n მიუთითებს ფსიქიკური სტიქიის რომელობას, ანუ ღებულობს მნიშვნელობებს ნულიდან სამამდე. მაგ.: "თავისუფლება$^{4\,3}$" აღნიშნავს თავისუფლების კატეგორიას ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურისა და ცხრომის მანიის პარადიგმით განსაზღვრული შინაარსით, ხოლო "თავისუფლება$^{2\,0}$" - თავისუფლების კატეგორიას ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურისა და მართვის მანიის პარადიგმით განსაზღვრული შინაარსით.

ნოოფილოგენეზის ყოველი საფეხურის დახასიათებისას შეიძლება შეგვხვდეს ფსიქიკური სტიქიის კონკრეტულობისგან დამოუკიდებელი მომენტებიც. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამის ტექსტში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა არ არის დამკონკრეტებელი მეორე ინდექსის მნიშვნელობისა, რაც შეიძლება მეორე ინდექსის პოზიციაზე ცვლადის აღმნიშვნელი სიმბოლოს გამოყენებით ავსახოთ, რაც მოგვცემს $K^{m\,x}$ სახის ჩანაწერს.

ასევე, შესაძლებელია ყოველი ფსიქიკური სტიქიის დახასიათებისას შეგვხვდეს ნოოფილოგენეზის საფეხურების კონკრეტულობისგან დამოუკიდებელი მომენტები. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამის ტექსტში გამოყენებულ ტერმინების მნიშვნელობა არ არის დამკონკრეტებელი პირველი ინდექსის მნიშვნელობისა, რაც შეიძლება პირველი ინდექსის პოზიციაზე ცვლადის აღმნიშვნელი სიმბოლოს გამოყენებით ავსახოთ, რასაც შეესაბამება $K^{x\,n}$ სახის ჩანაწერი.

შეიძლება დავუშვათ m = 0 შემთხვევაც, როგორც გადაგვარებული ინდივიდური ფსიქიკური ფენომენის პოზიციის, ანუ სასიგნალო ენის ელემენტის აღმნიშვნელი. ცხადია, ამ შემთხვევაში მეორე ინდექსი ზედმეტია, მაგრამ შეიძლება შევთანხმდეთ ამ პოზიციაზე კვლავ ცვლადის სიმბოლოს გამოყენებაზე, ანუ $K^{0\,X}$ სახით ჩაწერაზე.

არაცალსახობის აცილების ეს წესი ართულებს წერას და ზედმეტიც სჩანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არაცალსახა მნიშვნელობის ტერმინი ტექსტში გვხვდება კონტექსტის გარეშე, ხოლო, როცა ამგვარი ტერმინი ცხადი კონტექსტითაა წარმოდგენილი, როგორც მაგალითად ტერმინები - "ნაწილი" და "მთელი" წინადადებაში - "მთელის მიმართ პირვე-

ლადი ნაწილი” ინდექსების გამოყენება ზედმეტია. შემდგომში, სადაც შესაძლებელია, თავს ავარიდებთ ინდექსების გამოყენებას.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან ნოოსფერული სტიქიები წარმოადგენენ განწყობისეულ მომენტებს, არაა აუცილებელი ისტორიულად დაფიქსირებული იყოს მათი ეფექტების სრული, ყოველმხრივი რეალიზაციები - ნოოსფერული სტიქიის ეფექტის ცალკეულ ფენომენურად დაუკავშირებელ, ფრაგმენტულ რეალიზაციებს შორის ლოგიკური შესაბამისობა თავისთავად დაცულია ნოოსფერული სტიქიების, როგორც განწყობის მომენტების, შინაარსით, მათი სათანადო პარადიგმების ლოგიკით - „ფარული კლერტის ეფექტი“.

სხვადასხვა მოდუსის პიროვნებებს შორის ურთიერთგაგება შესაძლებელია აღქმის, აზროვნების, ემოციისა თუ სხვა ფსიქიკური ფუნქციების დონეებზე; მაგრამ ერთი მოდუსის პიროვნების აქტივობის პროდუქტის სხვა მოდუსის პიროვნების მიერ ამგვარად გაცნობა-გაგება გამოიწვევს ფსიქოლოგიურ უხერხულობას, დისკომფორტს ამ უკანასკნელის (გამგების) განწყობის შინაარსის უცვლელ კომპონენტთან (შესაბამის ნოოსფერულ სტიქიასთან) შეუსაბამობის საფუძველზე, რაც არის საპასუხო შემოქმედებითი აქტივობის გამომწვევი. ეს არის განვითარების მთავარი მამოძრავებელი. ასე, რომ განვითარებას არ სჭირდება გარეგანი მოტივატორი, ის იმანენტური, მოუცილებადი მახასიათებელია ცივილიზაციისა, სხვადასხვა ნოოტიპის პიროვნებათა ურთიერთობის აქტებისა.

ყოველი ნოოტიპის პიროვნება ქმნის შესაბამისი ნოოსფერული სტიქიის პარადიგმის გამომხატველ პროდუქტებს. ერთგვარი გამონაკლისია მართვის მანიის ნოოტიპის პიროვნება, რომელსაც მოქმედების პროცესში შეუძლია ზედმიწევნილობით დაიცვას სხვა ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების პარადიგმული პრინციპები, რადგან დისკომფორტი, რომელსაც განაცდევინებს მას სხვა ნოოტიპის პიროვნებათა შემოქმედების პროდუქტის აღქმა და მისი ამავე მოდუსში განვითარების მცდელობა, გაცილებით ნაკლებია იმ დისკომფორტზე, რომელსაც ამგვარი არაპირდაპირი თითგამოხატვით (მიმიკრიული ქცევის მცდელობით) განვითარებული განსხვავების გარეშე განაცდევინებდა მას თავისივე ერის სხვა წევრებთან (მართვის მანიის ნოოტიპის პიროვნებებთან) ურთიერთობა.

2. ციკლური ლოგიკა - ნოოლოგიურ სტიქიათა თეორია

§2.1 ნოოლოგიური სტიქიები

ციკლური ლოგიკის მთავარმა ელემენტებმა ნოოსფერულ სტიქიათა თეორიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე იჩინეს თავი. კერძოდ, ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების შედარებითი დახასიათების მცდელობაში გაირკვა, რომ ურთიერთმიმართების **"ნაწილი-მთელი"** ისტორიულად ცნობილი ორი, **"ტრივიალური"** მოდუსი, რომელთაც ვუწოდეთ **"მთელის პირველადობის პრინციპი"** და **"ნაწილის პირველადობის პრინციპი",** ცალსახად ეთანადება, შესაბამისად, ფორმის მანიას და ცხრომის მანიას, რაც ბადებს კითხვას ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების სხვა ორი ნოოსფერული სტიქიის სათანადო მოდუსის არსებობის შესაძლებლობის შესახებ. ეს ფაქტი გახდა **"სრულ სისტემათა"** განსაზღვრების შემოტანის საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ აბზაცშივე ტერმინები **"ნაწილი"** და **"მთელი"** ორი განსხვავებული მნიშვნელობითაა გამოყენებული - ნაწილის მიმართ პირველადი მთელი და მთელის მიმართ მეორეული ნაწილი არ შეიძლება იგივე იყოს, რაც, შესაბამისად, ნაწილის მიმართ მეორეული მთელი, და მთელის მიმართ პირველადი ნაწილი. ქვემოთ ამ ტერმინების კიდევ ორი ახალი მნიშვნელობით გამოყენების აუცილებლობამდეც მივალთ. ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა ტერმინის მნიშვნელობის დამკონკრეტებელი დამატებითი ინდექსების გამოყენება (იხ. გვ. 163) აზრის გადმოცემის გამაიოლებელ საშუალებადაც კი ჩანს და ქვემოთ გვექნება საშუალება პრაქტიკით შევამოწმოთ ეს მოლოდინი.

"სრული სისტემა" ვუწოდოთ ისეთ ობიექტს, რომელსაც შეუძლია მიიღოს როგორც მთელის პირველადობის პრინციპის (პირველი ნოოლოგიური სტიქიის), ასევე, ნაწილის პირველადობის პრინციპის (მესამე ნოოლოგიური სტიქიის) სათანადო მდგომარეობები. ეს ნიშნავს შემდეგი ორი პირობის შესრულების აუცილებლობასაც:

1) ამ ორი მდგომარეობის ერთი და იმავე ობიექტის ორ განსხვავებულ მდგომარეობად (და არა ერთი და იმავე ბაზისზე რეალიზებად ორ განსხვავებულ ობიექტად) წარმოდგენადობა-იდენტიფიცირებადობა - **"ნოოლოგიური უწყვეტობის პრინციპი";**

2) ამ ორ მდგომარეობათაგან თითოეულის რეალიზაციის ფენომენური სასრულობა და მეორე მათგანის რეალიზაციაში თვითგადაზრდადობა - **"ნოოლოგიური დროითობის პრინციპი".**

ასეთი ობიექტების არსებობის შესაძლებლობას გვკარნახობს ცოცხალი ორგანიზმებისა და ბიოცენოზების მაგალითებიც: ცოცხალი ორგანიზმი, მისი ანატომიის ასპექტით, წარმოგვიდგება მთელის პირველადობის პრინციპის მიხედვით ორგანიზებულ წარმონაქმნად (ორგანოები ყალიბდებიან და ფუნქციონირებენ მხოლოდ კონკრეტული ორგანიზმის შემადგენლობაში), ხოლო სასიცოცხლო ფუნქციების (თვითწარმოება და კვლავწარმოება,

იმუნიტეტი, გამრავლება, ნივთიერებათა ცვლა და ა. შ.), გენების და თვით არაორგანული ქიმიური ნივთიერებების სინთეზის პროდუქტად წარმოდგენის ასპექტითაც კი - ნაწილის პირველადობის პრინციპის შესაბამისად ორგანიზებულ წარმონაქმნად. მართლაც, სასიცოცხლო ფუნქციებიც, გენებიც, რომელთაც მშობლებისგან ღებულობს ყოველი ორგანიზმი, ამინომჟავები და არაორგანული ნივთიერებებიც, რისგანაც შედგება ორგანიზმი, არსებობს ორგანიზმის წინმსწრებად, ყოველი ტიპის ორგანიზმი ზოგადი სასიცოცხლო ფუნქციების კონკრეტული სინთეზია, ხოლო ერთი და იმავე ორგანული ნივთიერების მოლეკულებისა (მათ შორის დნმ-ს) და არაორგანული ატომების აბსოლუტური ურთიერთგანურჩეველობა, ორგანიზმის შემადგენლობაში მყოფ ყოველ ნივთიერებას, მისი დისკრეტულად განაწილების მიუხედავად, ორგანიზმის მასშტაბით გლობალურად აქტუალურ სასინთეზო ფაქტორად წარმოგვიდგენს (არსებობს ნივთიერება - ჟანგბადის და არა ჟანგბადის კონკრეტული ატომის ფუნქცია. იგივე ითქმის ყოველ ამინომჟავაზე, ფერმენტსა თუ გენზე).

ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების ამ ორი მოდუსის ზოგიერთ ასპექტებს შევეხეთ ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების დახასიათებისას. კერძოდ, აღინიშნა, რომ ნაწილის მიმართ მთელის პირველადობა ნიშნავს იმას, რომ მთელი^{X1} მოცემულია არა უშუალოდ, არამედ მისი ნაწილების^{X1} სისტემურად მოწესრიგებულ სიმრავლედ, ანუ დანაწევრებული, სტრუქტურირებული სახით - წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ვიტყოდით, რომ ის ასეთია - მთელია^{X1} (პირველი ინდექსის პოზიციაზე მდგომი X მიუთითებს ცნების მნიშვნელობის ნოოფილოგენეზის საფეხურისგან დამოუკიდებლობას - იხ. გვ. 163). ამგვარ მთელის^{X1} ნაწილების^{X1} ამოცნობა-იდენტიფიკაციისთვის არასაკმარისია მხოლოდ მათი საკუთრივი მოცემულობების შინაარსები, აუცილებელია მთელის^{X1} სტრუქტურაში მათი ადგილების განმსაზღვრელი, ანუ მალოკალიზებელი მოცემულობების (ნაწილებს შორის კავშირ-მიმართებათა შინაარსების) გათვალისწინებაც. ამრიგად, თავად ამგვარი მთელის^{X1} არსებობას საზრისეული მომენტის მნიშვნელობა აქვს, რაც უშუალოდ მოცემულ მის ნაწილთა^{X1}, როგორც ლოკალურ ელემენტთა, სისტემური ერთიანობის ფაქტშია ასახული. ცხადია, რომ ამ მდგომარეობაში სრული სისტემის ცვლილება და განვითარება მისი დაყოფის ხაზების ვარირებით და ნაწილების^{X1} ახალი თაობის ნაწილებად^{X1} დაშლის (სტრუქტურიზაციის გაღრმავების) გზითაა შესაძლებელი, რაც წინა საფეხურის ნაწილებს^{X1} ახალი საფეხურის ნაწილების^{X1} ურთიერთმიმართებათა სისტემით წარმოდგენილ საზრისეულ მომენტებად აქცევს. მთელის^{X1} ამგვარად დაშლის საფეხურთა რიგი საზრისეული კატეგორიათა კრებულების იერარქიული სისტემის განმსაზღვრელია (ერთ საფეხურს ეკუთვნის ერთი და იმავე საშუალედო საფეხურის ნაწილთა^{X1} სიმრავლის შესაბამისი კატეგორიების კრებული. საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, ორგანიზმია საზრისეული ფაქტორი ორგანოებისთვის, როცა მათ ურთიერთქმედებებს განვიხილავთ, ორგანოები კი ორგანოიდებისთვის ორგანოს შინაგანი ფუნქციონირების განხილვისას და ა. შ. ცხადია, ერთი საფეხურის კატეგორიების ანალოგებია ბიოსახეობათა სიმრავლე ბიოცენოზში, ორგანოების სიმრავლე ორგანიზმში და ა. შ.).

რადიკალურად საპირისპირო შემთხვევაა, როგორც, ასევე, აღინიშნა, ნაწილის პირველადობის პრინციპის სათანადო მდგომარეობა, რომლის დროსაც უშუალოდ მოცემულია მთელი^{X3}, ხოლო საზრისეული ელემენტების მნიშვნელობა აქვთ ნაწილებს^{X3}. ეს განსხვავება გვკარნახობს ციკლური ლოგიკის გადმოცემის უმოკლეს გზას, რომელიც სრული სისტემის განსხვავებული მდგომარეობის **"საზრისის სიბრტყის"** და **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყის"** კონცეპტების მეშვეობით დახასიათებაში მდგომარეობს.

თითოეული ნაწილთაგანი^{X3}, როგორც ასეთი, აქტუალური უნდა იყოს მთელის^{X3} გამოვლენის მთელ არეზე (მსგავსად სითხის თავისუფალ ზედაპირზე ურთიერთთანხლებით გავრცელებული ტალღებისა, ან ფუნდამენტური სიმეტრიის ჯგუფებისა, რომლებიც ჩვენი სამყაროს ყოველ უბანზე მოქმედებენ და განსაზღვრავენ ელემენტარულ ნაწილაკთა და ურთიერთქმედებათა ფუნდამენტური მოდუსების ერთგვაროვნებას სამყაროში) - სხვაგვარად ნაწილი^{X3} ვერ იქნებოდა პირველადი სრულიად მთელის^{X3} მიმართ (ვერ იქნება პირველსაწყისთაგანი). სხვანაირად რომ ვთქვათ, ფაქტორთა (ელემენტთა) სიმრავლე ნაწილთა^{X3} (მთელის მიმართ პირველად ნაწილთა) სიმრავლედ იდენტიფიცირდება მთელის^{X3} შედგომის გამომხატველ მათი ურთიერთთანხვედრის, ამა თუ იმ ხარისხით მათი სინთეზის ხდომილობის (მომხდარობის, შედგომის, ფაქტად დაფიქსირების) პირობით და არა მათი (ნაწილთა^{X3}) ერთიმეორისგან სრულად განცალკევებულად მოცემულობის პირობებში. მთელის^{X3} ყოველი გამოვლინება ნაწილების^{X3} სრული კრებულის სინთეზის გამოვლინებაა ამა თუ იმ მოდუსით (კონკრეტულობითა და ხარისხით), სინთეზის აქტების (ალტერნატიული ვარიანტების) ერთდროული აქტუალიზაცია კი მთელის^{X3} მის ნაწილთა^{X3} სხვადასხვა ხარისხის სინთეზის ფაქტებად ფენომენური ნაწევრიანობის, ფენომენურად დიფერენცირებულობის საფუძველია.

ამის საილუსტრაციო მაგალითად შეიძლება დასახელდეს სითხის თავისუფალ ზედაპირზე სხვადასხვა ტალღათა ერთდროულად გავრცელებით (ინტერფერენციით) წარმოქმნილი ბორცვებისა და ჩაღრმავებების მდგრადი თუ ცვლადი კრებული. ასევე, პოპულაცია (ფენოტიპთა სიმრავლე), როგორც გენების სინთეზის ფაქტების (გენოტიპის ვარიაციული ფენომენოლოგიზაციის პრეცედენტების) სიმრავლე.

ამგვარ მდგომარეობას გააჩნია განვითარების შესაძლებლობა, არასრული სინთეზის წარმომდგენი ფენომენების ერთ მხოლოო ფენომენად ურთიერთშერწყმის მიმართულებით, რაც ორიენტირად ნაწილთა^{X3} სრულყოფილი სინთეზის ფაქტის დასახვას აღნიშნავს, რომელშიც ერთად და სავსებით გამოვლინდება თითოეული ნაწილთაგანი^{X3} (შეიძლება მსგავს ფენომენად ვივარაუდოთ სამყაროს ხილული ნაწილის მდგომარეობა დიდი აფეთქების წინ). მაგრამ ამგვარი მდგომარეობა (მთელის ფენომენურად უნაწევრობის მიღწევა) ზღვრული წერტილია, რომელიც ნაწილის პირველადობის პრინციპის ეფექტის მიღმა დგას, რადგან ამ შემთხვევაში ნაწილების მთელის წინმსწრებად არსებობის ფაქტის დაფიქსირება შეუძლებელი გახდება.

აქ შეუსაბამობაში გადასვლის ილუსტრაციას თვით მოყვანილი მაგალითებიც გვაძლევენ: ერთეული ფენოტიპი, ინდივიდი, რომელიც გენოტიპს სრულყოფილად წარმოგვიდგენდა, მხოლოდ აზრია, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია, თუნდაც იმის გამო, რომ რეცესიული და დომინანტური ნიშნების ერთდროულად გამოვლენა-ფენომენიზაციაა გამორიცხული. ეს იმას ნიშნავს, რომ მოყვანილი მაგალითი მესამე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობის სტაბილიზებულობის შემთხვევის შესაბამისია, რომელიც შორსაა აღწერილი ზღვრული მდგომარეობის წერტილისგან.

რადგან ნაწილები$^{X\,1}$ მთელს$^{X\,1}$ არა დამოუკიდებლად, არამედ ერთიმეორესთან კავშირების სისტემის, ანუ სტრუქტურაში მათი მალოკალიზებელი პირობების მეშვეობით წარმოადგენენ (მთელის პირველადობის პრინციპის სათანადო მდგომარეობა), ამდენად, ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში ნაწილთა$^{X\,1}$ ლოკალიზებულობის (მათ მიერ მთელის$^{X\,1}$ ლოკალიზებულად წარმოდგენისუნარიანობის) მოხსნა, ანუ ყოველი ნაწილთაგანის$^{X\,2}$ მიერ (ინდექსის შეცვლით ავსახოთ მნიშვნელობის ცვლილება) მთელის$^{X\,2}$ გლობალურად და სხვა ნაწილებისგან$^{X\,2}$ დამოუკიდებლად (ამ ნაწილის^{X2} სხვა ნაწილებთან^{X2} კავშირ-მიმართებათა გარეშე) წარდგენა-გამოვლენის უნარის შეძენა იგულისხმება. ეს კი ნიშნავს ისეთ მდგომარეობაში გადასვლას, რომლის დროსაც სრული სისტემის ყოველი ნაწილი^{X2} აღემატება თავის საკუთრივ მოცემულობას მისივე არსებობის ფაქტში მთელის^{X2} არსებობის გამომხატველი (პრეზენტაციული) მომენტით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **"მოძრაობა**$^{X\,2}$" (მატერიის და მოძრაობის განუყოფელობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მახასიათებელია. საილუსტრაციოდ კი გამოდგება ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპი და ტალღურ-კორპუსკულური დუალიზმი კვანტური ფიზიკიდან). ამით, მთელის^{XX} არსებობა **"საზრისის სიბრტყიდან"** გადმოინაცვლებს **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეში",** სადაც ნაწილთა$^{X\,2}$ საკუთრივ მოცემულობასთან ერთად აღმოჩნდება **"მოძრაობათა**^{X2}" ჯამის სახით. ამრიგად, ამგვარი მდგომარეობაც დისკრეტულად გამოყოფილი აღმოჩნდა, როგორც მთელის პირველადობის პრინციპის შესაბამისი მდგომარეობისგან, ასევე, ნაწილის პირველადობის პრინციპის შესაბამისი მდგომარეობისგანაც, რომელთაგან ორივეს "საზრისის სიბრტყესა" და "უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეს" შორის არსებითი ურთიერთკავშირი, ორივე მათგანზე ერთდროულად და ასიმეტრიულად წარმოდგენილობა ახასიათებთ.

ამ ახალ მდგომარეობაში სრული სისტემის ნაწილების^{X2} ურთიერთმიმართებაში რჩება მხოლოდ ურთიერთიგივეობის მომენტი, რაც ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ერთი და იმავე მთელის^{X2} წარმომდგენებად (პრეზენტატორებად) მათი დადგენა-იდენტიფიკაციის ფაქტით მოიცემა. ამრიგად, ეს მდგომარეობა, იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპის რეალიზაციაა, **"მეორე ნოოლოგიური სტიქიის"** შესაბამისია. მას პირობითად **"ნაწილისა და მთელის კომპლანარულობის პრინციპი"**, ან "ჰოლოგრაფიულობის პრინციპი" შეიძლება ეწოდოს. ეს არის **"მთელის ინტენსიფიკაციის პრინციპი"**.

ნაწილები^{X3} სრული სისტემის მოცემულობაზე გლობალური გამოვლენის (გლობალური სიმპტომატიკის) მქონე ფაქტორებია (მესამე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობა). **ნაწილისა და მთელის კომპლანარულობის პრინციპის** (მეორე ნოოლოგიური სტიქიის) შესაბამის მდგომარეობასაც ახასიათებს მთელის^{X2} არალოკალურად წარმომდგენ-მახასიათებელი ასპექტები, **მოძრაობის**^{X2} მომენტების სახით. ამდენად, სწორედ მათი მთელის მიმართ პირველად ნაწილებად ტრანსფორმაციის აქტად შეიძლება მეორე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობიდან მესამე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამის მდგომარეობაში გადასვლის აქტის წარმოდგენა. კერძოდ, მაგ., ცალკეულ ნაწილებთან^{X2} დაკავშირებული მოძრაობის^{X2} მომენტების სხვა ნაწილების^{X2} მიმართ ნეიტრალობის (ექსკლუზიურობის) დარღვევა, მათი დეპერსონალიზაციის ტენდენციის განვითარება ქმნის "უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეზე" სინთეზის მომენტის შეტანის შესაძლებლობას. ამის წინაპირობაა მეორე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის მდგომარეობის ლოგიკით დაშვებული, ნაწილებს^{X2} შორის მათი თანმხლები მოძრაობის^{X2} მომენტების სრულად ან ცალკეული ასპექტებით ურთიერთგაცვლის (ერთგვარი კროსინგოვერის) შესაძლებლობა (ნაწილების^{X2} ურთიერთიგივურობის მომენტით უზრუნველყოფილი), ხოლო მდგომარეობის შესაცვლელად საკმარისია გასაცვლელი ასპექტების გაცვლის შეფერხება, მათი (ორ ან მეტ ნაწილთა^{X2} შორის) საზიაროდ (სუპერპოზიციულ მდგომარეობაში) შენარჩუნება (ან გაცვლა-კროსინგოვერის აქტში მესამე ან მეტი მონაწილის ჩართვით გაცვლის აქტის შეუჩერებელ ციკლურ, ან მიმოქცევის პროცესად გადაქცევა), რაც რამდენიმე ფაქტორის არსებობის საერთო გამოვლინებას მოგვცემს, ნაწილთა^{X3} არასრული სინთეზის ლოკალური ფენომენების მსგავსი (მესამე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის რეალიზაციის მახასიათებელი), თუმცა არა მათი იგივური, ხდომილობაა და ისახება ნაწილი^{X2} => ნაწილი^{X3} ტრანსფორმაციის სიმპტომად.

ყოველივე აღნიშნული არ უნდა მივიჩნიოთ ამ სამსაფეხურიანი გადასვლის უწყვეტ პროცესად აღწერის მცდელობად - ამგვარ რამეზე ფიქრი ზედმეტია - რადგან აღწერილი სამეული, როგორც ეს **"უშუალო მოცემულობის სიბრტყისა"** და **"საზრისის სიბრტყისადმი"** მათი მიმართების ასპექტით ჩანს, ერთი მეორისგან დისკრეტულადაა გამოყოფილი. აქ ზედმეტი არ იქნება ამ აზრის საილუსტრაციო მაგალითზე შეჩერება.

- უწყვეტი პროცესის გამოხატულებების მკაცრად საფეხუროვანი ცვლის (სიმპტომატიკის მოდალურად დისკრეტული სტადიალურობის) საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია კონუსური ზედაპირის უწყვეტად მოძრავ სიბრტყესთან თანაკვეთის წირის ცვლა, რასაც ელიფსის, პარაბოლას, ჰიპერბოლას და კვლავ პარაბოლას ციკლური მონაცვლეობის სახე შეიძლება ჰქონდეს: სანამ მკვეთი სიბრტყე კონუსური ზედაპირის ყველა მსახველს კვეთს, თანაკვეთის წირი ელიფსად რჩება, თუმცა, მკვეთი სიბრტყის კონუსური ზედაპირის სიმეტრიის ღერძისადმი დახრის კუთხის ცვლილებით მოძრაობისას, მნიშვნელოვნად იცვლის ფორმას, ექსცენტირისიტეტს; მაგრამ როდესაც მკვეთი სიბრტყე კონუსური ზედაპირის ერთ-ერთი მსახველთან პარალელურობის პოზიციას მიაღწევს, თანაკვეთის წირი ნახ-

ტომისებურად იცვლება - იქცევა პარაბოლად, რის შემდეგაც, თუ გავაგრძელებთ მკვეთი სიბრტყის კონუსური ზედაპირის სიმეტრიის ღერძისადმი დახრის კუთხის ცვლას, თანაკვეთის წირი მყისიერადვე შეიცვლება - გადაიქცევა ჰიპერბოლად და ფორმის განმსაზღვრელი მახასიათებლების ცვლის მიუხედავად დარჩება ასეთად, სანამ მკვეთი სიბრტყე კვლავ რომელიმე მსახველის პარალელურ პოზიციას არ მიაღწევს, როცა კვეთის წირი, კვლავ მყისიერად იცვლის სახეს - გადაიქცევა პარაბოლად (ამჯერად, კონუსური ზედაპირის მეორე ნაწილზე მდებარედ). ამ ილუსტრაციაში პარაბოლით წარმოდგენილი საშუალედო პოზიციები მყისიერია, მაგრამ შეგვიძლია ხანიერადაც წარმოვადგინოთ: თუ პარაბოლის შესაბამისი პოზიციის მიღწევის შემდეგ მკვეთი სიბრტყის მოძრაობას გარკვეული ხნით პარალელური გადატანით გავაგრძელებთ, თანაკვეთის წირი დარჩება პარაბოლად, ფორმის ცვლის მიუხედავად.

დავუბრუნდეთ ძირითად ხაზს. გადავიდეთ ზემოთ განხილული გადასვლის საპიროსპირო მიმართულების პროცესის - მესამე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობიდან პირველი ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომაერობაში გადასვლის - შესაძლო გზების განხილვაზე. ცხადია, რომ ლოგიკურად გაუმართლებელია **"ნოოლოგიური დროითობის პრინციპის"** დაკმაყოფილებისთვის მესამე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობიდან პირველი ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარობაში სრული სისტემის იმავე გზით - მეორე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობის გავლით - დაბრუნების შესაძლებობაზე ფიქრი, რადგან ამგვარი შესაძლებლობის დაშვება მოითხოვს დამატებითი, გარეგანი ფაქტორის შემოტანას, რომელიც ახსნიდა, თუ რატომ აქვს ტრანსფორმაციის (ტრანსფორმაციული ტრავერსის) ერთი და იმავე კონკრეტულ ეტაპზე სისტემას ხან ერთი და ხან მისი საპირისპირო მიმართულებით ცვლილების ტენდენცია. ამრიგად, ცხადია, რომ სრული სისტემის, როგორც თვითკმარ-თვითმოძრავი ობიექტის, მესამე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობიდან პირველი ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობაში დაბრუნება, მეორე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობის გვერდის ავლით უნდა ხდებოდეს, რაც გვაძლევს ციკლურობის აუცილებლობას (საილუსტრაციოდ წარმოდგენილ, კონუსური ზედაპირის კვეთის წირების ცვლილების მაგალითშიც კი შეიძლება ურთიერთსაპირისპირო მიმართულებებით გადასვლათა საშუალედო ეტაპების ერთიმეორისგან განსხვავებულ მდგომარეობებად წარმოდგენა: კვეთის წირის ელიფსურობიდან ჰიპერბოლურობაში და ჰიპერბოლურობიდან ელიფსურობაში გადასვლისას მიღებული პარაბოლები, რომლებიც კონუსური ზედაპირის განსხვავებულ, ერთიმეორისადმი ცენტრულად სიმეტრიულ ნაწილებს ეკუთვნიან, კონუსის სიმეტრიის ღერძის გასწვრივ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით არიან ორიენტირებულნი).

მესამე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობიდან პირველი ნოოლოგიური სტიქიის შესაბამის მდგომარეობაში მეორე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობის გვერდის ავლით გადასვლის შესაძლებლობას გვკარნახობს **"საზრისის სიბრტყისა"** და **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყის"** კონცეპტების მეშვეობით სრული სისტემის

მეოთხე, წინა სამისგან, ასევე, დისკრეტულად გამოყოფილი, მდგომარეობის წარმოდგენის შესაძლებლობა, რომელიც **ნაწილის**$^{X\,0}$ და **მთელის**$^{X\,0}$ ერთად, ამჯერად **"საზრისის სიბრტყეზე",** ლოკალიზაციას შეესაბამება (რასაც ინდექსის ცვლა ასახავს). სინამდვილეში, მეოთხე პოზიცია რამდენადმე განსხვავებულად განისაზღვრება, რადგან, როგორც ვნახავთ, ნაწილი, როგორც ასეთი, სრული სისტემის იმ მდგომარეობაში, რომელიც მეოთხე ნოოლოგიურ სტიქიას შეესაბამება, საერთოდ კარგავს აზრს, ანუ **"ნაწილი**^{X0}" - სრული სისტემის მდგომარეობის მახასიათებლად არაარსებითი მნიშვნელობის მქონე, უშინაარსო ცნებაა. მეოთხე მდგომარეობის ამგვარად წარმოდგენის მცდელობა მაინც სასარგებლოა საერთო სურათის ინტუიციური ხედვის ჩამოყალიბებისთვის.

მესამე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის რეალიზაცია, როგორც აღინიშნა, არასაკუთრივ ზღვრულ მდგომარეობად გულისხმობს ნაწილთა$^{X\,3}$ სინთეზის საეტაპო ფენომენების სიმრავლის ერთ უნაწევრო ფენომენად კონსოლიდაციას, რაც ნიშნავს **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეზე"** სრული სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესების გამოხატულებათა კვალის გაქრობას, ანუ სრული სისტემის მდგომარეობის მთელი შინაარსის **"საზრისის სიბრტყეში"** მოქცევას და იქ უნაწევრო სიმთელის ასპექტით წარმოდგენას, რომელშიც სრულიად ასიმილირებულად, სრულიად ურთიერთსინთეზირებულად იქნება წარმოდგენილი ამ მდგომარეობის შესაბამისად შეცვლილ ნაწილთა სრული კრებული, რითაც მთელი^{X0} საზრისის სიბრტყეზე იჭერს ნაწილების^{X3} ადგილს, დევნის მათ იქიდან, რადგან ყველა მათგანი სრულად იქნება ამ მდგომარეობაში მისით - ერთი და იმავე უნაწევრო მთელით^{X0} - წარმოდგენილი. ცხადია, რომ სრული სისტემის ამგვარ მდგომარეობას ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართებით ვერ დავახასიათებთ: უმაღლესი ხარისხის სინთეზის ფაქტის შემდეგ, სრული სისტემის არსებობის ხდომილებიანობის (პროცესუალობის) შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მთელის^{X0} უნაწევრო მდგომარეობის არაცალსახად განსაზღვრულობის, ვარიაბელურობისა და ალტერნატიულობის საფუძველზე, როცა ცალკეული ფაქტორების როლში გამოდიან სრული სისტემის განუყოფელ სიმთელეში ყოფნის ალტერნატიული მოდუსები, მათი საზრისეული ასპექტებით (ფიზიკური სისტემის ფაზური სივრცის წერტილების ანალოგები) და არა მთელის^{X0} შემადგენელი ფენომენები - **"მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტი"**.

ამრიგად, საბოლოოდ მაინც გამოვიდა, რომ **"საზრისის სიბრტყესთან"** და **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყესთან"** მიმართებათა ასპექტით მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობა სრული სისტემისა, დისკრეტულად არის გამოყოფილი როგორც მესამე ნოოლოგიური სტიქიისა და პირველი ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობისგან, ასევე, მეორე ნოოლოგიური სტიქიის სათანადო მდგომარეობისგანაც, რის გამოც მას მივიჩნევთ ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების ახალ, **"მეორე არატრივიალურ მოდუსად"**. ვუწოდოთ მას **"უნაწევრო სიმთელის პრინციპი"**.

მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობის საილუსტრაციო მაგალითად შეიძლება დასახელდეს კვანტური ობიექტი გადაგვარებულ მდგომარეობაში - მაგ.,

გადაგვარებულობა სპინის პროექციის მნიშვნელობის მიხედვით. რომელიმე ღერძზე სპინის პროექციის მნიშვნელობა ობიექტის მახასიათებელია უნაწევრო მთლიანობაში: მართალია, სპინის პროექციის მნიშვნელობა განისაზღვრება გარეგანი დამკვირვებლის მიერ, მაგრამ ამ ფაქტის საფუძველი კვანტური ობიექტის, როგორც უნაწევრო მთელის, მდგომარეობის შინაარსის ვარიაბელურობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპინის პროექციის ყოველი შესაძლო მნიშვნელობა ობიექტის, როგორც უნაწევრო მთელის, რომელიმე კონკრეტული მდგომარეობის გამომხატველია. სანამ ობიექტი ნოოლოგიურად გადაგვარებულ მდგომარეობაშია, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მახასიათებელი პარამეტრის მნიშვნელობის გამოვლენები (გაზომვის მცდელობათა შედეგები) იქნება მონაცემების ისეთი ერთობლიობა, რომელსაც შემთხვევით ხდომილებათა მწკრივის ხასიათის აქვს, ხოლო ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხნას რომელიმე ერთი ალტერნატივის შესაბამისი მნიშვნელობის სტაბილიზაციით გამოვლინდება (გაზომვის მცდელობათა შედეგებში) და, ამით (შედეგის მუდმივობით), კანონზომიერი მოლოდინის გამართლებულობას (ვითარების ჯერარსულობის სიმპტომს) უზრუნველყოფს.

მსგავსად ამისა, **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეზე"** სრული სისტემის მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი მდგომარეობის გამოხატულებებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ უნაწევრო სიმთელის ალტერნატიული მოდუსების სიმპტომების შემთხვევითი მონაცვლეობის ამსახველ ხდომილებათა მწკრივის სახე, ხოლო ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ტენდენციად საგულვებელია რომელიმე ერთი ალტერნატივის სიმპტომების დომინანტიზაცია, რაც ზღვარში, რადგან **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეზე"** ერთიდაიმავე ალტერნატივის სიმპტომები თანათავსებადია (სხვადასხვა ალტერნატივების სიმპტომები კი არაურთიერთთავსებადი), მოგვცემს ერთი ალტერნატივის სათანადო მოცემულობის სრულად დაფიქსირებას **"უშუალოდ მოცემულობის სიბრტყეზე"**, რაც პირველი ონტოლოგიური სტიქიის ეფექტის სათანადო მდგომარეობაში გადასვლა იქნება. ამით სრულდება ციკლი, რომელიც, ამრიგად, ოთხსაფეხურიანი აღმოჩნდა.

მაშასადამე, ნოოლოგიური სტიქიებსა და ნოოსფერულ სტიქიებს შორის ცალსახა და შექცევადი ურთიერთშესაბამისობაა - **"ნოოსფერული ეფექტი"**. ამით ნოოსფერულ სტიქიათა ოთხეულის ლოგიკური სისრულის საკითხიც დაიხურა. ეს არის ცივილიზაციებისა (ნოოცენოზებისა), მთელი ნოოსფეროს სრულ სისტემად იდენტიფიცირებადობის პირობა.

"ნოოლოგიური სტიქიის ეფექტი" ვუწოდოთ ნოოლოგიური სტიქიის გავლენას, წარმოდგენილს ზოგადი მახასიათებლებით, ხოლო მის კონკრეტულ რეალიზაციას - **"ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის ფენომენი"**. ამრიგად, გამოდის, რომ ნოოსფერულ სტიქიათა ოთხეულის ციკლური მოწესრიგებულობა ნოოსფერული ეფექტის კერძო ასპექტთაგანია, ხოლო ნოოსფერული სტიქიის ეფექტი ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის ფენომენად წარმოგვიდგება. მაშასადამე, ნოოსფერული სტიქიის ეფექტის კერძო მომენტი - ნაწილის^{XX} და მთელის^{XX} ურთიერთმიმართების ყოველი კონკრეტული მოდუსი - აღმოჩნდა შესაბამი-

სი ნოოსფერული სტიქიის ეფექტის თავის კერძო რეალიზაციად დამშვები ფაქტორი. ამგვარი ურთიერთმიმართება მხოლოდ მართვის მანიის პარადიგმის ჩარჩოებშია დაშვებული.

შევნიშნოთ, რომ ციკლური წესრიგის დახასიათების ზემოთ წარმოდგენილ პროცედურაში პირველი და მესამე ნოოლოგიური სტიქიები ამოსავალ ელემენტებს წარმოადგენენ, მეორე და მეოთხე ნოოლოგიური სტიქიები კი - ამ ამოსავალ ელემენტთაგან ერთის სათანადოდ მდგომარეობიდან მეორის სათანადო მდგომარეობაში გადასვლის შუალედური პუნქტების მოდუსებად წარმოგვიდგნენ. მართალია, ამგვარი მიდგომის გარეშე ამ ახალი ელემენტების დეფინიცია შეიძლება ვერც მოხერხებულიყო, მაგრამ, როცა ოთხივე ნოოლოგიური სტიქია უკვე განსაზღვრულია, ამ ორ წყვილს შორის სიმეტრია ადვილად შესამჩნევია. კერძოდ, შეიძლება წყვილებს ადგილებიც კი შევუცვალოთ: პირველი ნოოლოგიური სტიქია, როგორც მთელის სტრუქტურული დანაწევრების პრინციპი, მოაზრებადია სრული სისტემის უნაწევრო სიმთელის მდგომარეობიდან (რომელიც მეოთხე ნოოლოგიურ სტიქიას შეესაბამება) ინტენსივობითი მრავლობის (ინტენსიფიკაციის - მეორე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამის) მდგომარეობაში გადასვლის საშუალედო პუნქტის მოდუსად, ხოლო მესამე ნოოლოგიური სტიქია, როგორც პირველსაწყისთა სიმრავლის სინთეზის პრინციპი, საპირისპირო მიმართულებით - ინტენსივობითი დანაწევრებულობის მდგომარეობიდან უნაწევრო სიმთელის მდგომარეობაში - გადასვლის საშუალედო პუნქტის მოდუსად.

* * *

ნოოლოგიურ სტიქიათა ციკლური მოწესრიგებულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მათი პირობითი გამოსახვა წრეწირზე. ორიენტირებულ წრეწირზე დადებითი მიმართულებით დალაგებული A, B, C და D წერტილები ავირჩიოთ. თვალსაჩინოებისთვის უმჯობესია ამ ოთხი წერტილით წრეწირი თანაბარ რკალებად იყოფოდეს. [A, B[, [B, C],] C, D] და]D, A[ორიენტირებული რკალები ურთიერთთანაკვეთის გარეშე ავსებენ მთელ წრეწირს, რაც დისკრეტულობის ილუსტრაციაა, და ერთი-მეორისგანაც, მათი ორიენტაციის გათვალისწინებით, არსებითად განსხვავდებიან.



[A, B[ჩაკეტილია დასაწყისის მხრიდან, ანუ ტოპოლოგიურად ეკვივალენტურია საკოორდინატო ღერძის (გამორჩეულწერტილიანი ორიენტირებული წრფის) დადებითი სხივისა. [B, C] ჩაკეტილია ორმრივად (როგორც დასაწყისის, ასევე, დასასრულის მხრიდან), ანუ ეკვივალენტურია ღერძის ნებისმიერი მონაკვეთისა.]C, D] ჩაკეტილია დასასრულის მხრიდან, ანუ ეკვივალენტურია საკოორდინატო ღერძის უარყოფითი სხივისა.]D, A[ორივე მხრიდან ღიაა და ე. ი. ტოპოლოგიურად ეკვივალენტურია მთელი საკოორდინატო ღერძისა. ამრიგად, [A, B[ილუსტრაციაა დასაწყისის აქტუალობის პრინციპისა და შეიძლება შე-

ვუსაბამოთ პირველ ნოოლოგიურ სტიქიას - S_I. [B, C] ილუსტრაციაა ორმხრივი დასაზღვრულობის პრინციპისა და, ამდენად, შეესაბამება მეორე ნოოლოგიურ სტიქიას - S_{II}.]C, D] ილუსტრაციაა დასასრულის აქტუალობის პრინციპისა და შეიძლება შევუსაბამოთ მესამე ნოოლოგიურ სტიქიას - S_{III}. დაბოლოს,]D, A[ილუსტრაციაა ორმხრივი დაუსაზღვრელობის პრინციპისა და, ამდენად, შეესაბამება მეოთხე ნოოლოგიურ სტიქიას - S_{IV}.

A, B, C და D წერტილთაგან თითოეული წყვეტის წერტილია და ორაზროვანია. ეს კარგად ჩანს ამ ოთხეულის ნოოსფერულ სტიქიათა დახასიათებისას განხილული წამოდგენის მაგალითზე: A - "თანხმობა", B - "მოვალეობა", C - "თანასწორობა", D - "თავისუფლება". კერძოდ:

[A, B[= [თანხმობა$^{x\,1}$, მოვალეობა$^{x\,1}$[,

[B, C] = [მოვალეობა$^{x\,2}$, თანასწორობა$^{x\,2}$],

]C, D] =]თანასწორობა$^{x\,3}$, თავისუფლება$^{x\,3}$],

]D, A[=]თავისუფლება$^{x\,0}$, თანხმობა$^{x\,0}$[.

როგორც ტექსტის დასახელებულ ნაწილში აღინიშნა:

თანხმობა^{x1} ("თანხმობა" ფორმის მანიის პარადიგმით) - პიროვნების ამოსავალი მდგომარეობისა და თვითრეალიზაციის მოუცილებელი მახასიათებელი;

თანხმობა^{x0} ("თანხმობა" მართვის მანიის პარადიგმით) - პიროვნების თვითრეალიზაციის ორიენტირი;

მოვალეობა^{x1} ("მოვალეობა" ფორმის მანიის პარადიგმით) - პიროვნების ამოსავალი თვითრეალიზაციის ორიენტირი;

მოვალეობა^{x2} ("მოვალეობა" ძლევის მანიის პარადიგმით) - პიროვნების ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებელი, მოუცილებელი;

თანასწორობა^{x2} ("თანასწორობა" ძლევის მანიის პარადიგმით) - პიროვნების თვითრეალიზაციის მახასიათებელი;

თანასწორობა^{x3} ("თანასწორობა" ცხრომის მანიის პარადიგმით) - პიროვნების ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებელი;

თავისუფლება^{x3} ("თავისუფლება" ცხრომის მანიის პარადიგმით) - პიროვნების თვითრეალიზაციის მახასიათებელი;

თავისუფლება^{x0} ("თავისუფლება" მართვის მანიის პარადიგმით) - პიროვნების ამოსავალი მდგომარეობის მახასიათებელი.

* * *

ნოოლოგიურ სტიქიათა დიამეტრალური წყვილების ურთიერთჩანაცვლებადობა ნოოლოგიურ სტიქიათა სიმრავლეში გარკვეული ერთგვაროვნების მომენტის გამოყოფის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, რომელიც ნოოლოგიურ სტიქიათა სიმრავლეზე მათი კონკრეტულობისგან განყენებული ლოგიკური ოპერაციების შემოტანის საშუალებას მოგვცემდა. კერძოდ, ციკლური ლოგიკის ოპერაციების განსაზღვრისას შეიძლება იმ ფაქტის გამო-

ყენება, რომ ციკლურად მოწესრიგებულ ოთხელემენტიან სიმრავლეში ელემენტთა ნებისმიერი წყვილი ცალსახად განსაზღვრავს მესამე ელემენტს: თუ აღებული ორი ელემენტი ციკლურ რიგში უშუალოდ ერთიმეორის მეზობელია (ურთიერთგაუშუალოებელია), მაშინ ამ წყვილით მითითებული მესამე ელემენტი შეიძლება იყოს აღებული წყვილის დასახელების რიგის მიხედვით განსაზღვრული (წინსვლითი თუ უკუსვლითი) მიმართულებით ციკლურ რიგში მათი წინმსწრები ან მომდევნო ელემენტი, ხოლო დიამეტრალური წყვილის შემთხვევაში - ციკლურ რიგში მათ შორის მდგომი, ან ამ უკანასკნელისადმი დიამეტრალური (მისგან გაშუალოებული) ელემენტი.

ნოოსფერული ეფექტის (ნოოლოგიურ სტიქიებსა და ნოოსფერულ სტიქიებს შორის ურთიერთცალსახა შესაბამისობის) გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა - შესაძლებელია თუ არა ნოოლოგიურ სტიქიათა სიმრავლეზე რეალიზებადი ამ უმარტივესი და უზოგადესი ორარგუმენტიანი (ბინარული) განყენებული (აბსტრაგირებული) ოპერაციების გამოყენება ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების მახასიათებლებს შორის ახალი კავშირების გამოსავლენად, ან ამგვარ ახალ მახასიათებელთა მისაღებად.

ამ კითხვაზე პასუხი არაცალსახაა. საქმე ისაა, რომ ნოოსფერულ სტიქიათა ოთხეული არის ნოოლოგიურ სტიქიათა ოთხეულის წარმოდგენა სინამდვილის კერძო სფეროში, ამდენად, არ არის აუცილებელი ნოოლოგიურ სტიქიათა ურთიერთმიმართებების შინაარსის ყოველი მომენტი ასახული იყოს ნოოსფერულ სტიქიათა ურთიერთმიმართებებში. ასევე, ცხადია, რომ ნოოსფერული სტიქიების ეფექტების მახასიათებლებს შორის მათი მოქმედების სფეროს სინამდვილის კერძო ასპექტად მქცეველი ელემენტებიცაა საგულვებელი, ანუ ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების არა ყოველი მახასიათებელი იქნება მათი შესაბამისი ნოოლოგიური სტიქიების მახასიათებლებით სრულად და ცალსახად განსაზღვრული. ასე, რომ ნოოსფერულ სტიქიათა ეფექტების მახასიათებელთა (ამსახველ ცნებათა) სიმრავლეში მოსალოდნელია ხსენებული ბინარული კანონზომიერების მხოლოდ არასისტემური გამოვლენები. შევჩერდეთ ამის საილუსტრაციო რამდენიმე მაგალითზე.

1) მართვის მანიის ეფექტის სივრცითი ასპექტია **"გაფართოება"**, ძლევის მანიის ეფექტისა - **"კუმშვა"**. ამ თანმიმდევრობით მათი რეალიზაცია გვაძლევს ცხრომის მანიის ეფექტის სივრცით ასპექტს - **"დინება-წანაცვლებას":** საამისოდ საკმარისია გაფართოების ცენტრი განსხვავებული იყოს კუმშვის ცენტრისგან, ხოლო მეტი თვალსაჩინოებისთვის, საწყისი და საბოლოო მოცულობათა თანაკვეთა უნდა იყოს ცარიელი. დასახელებული წყვილის შეცვლილი თანმიმდევრობით რეალიზაცია (ჯერ კუმშვის ეფექტი, შემდეგ გაფართოებისა, რაც ეპიცენტრის შეცვლას გამორიცხავს) მოაზრებადია მოცემულობის შესწორებად (კორექციად), ანუ **"დადგომა-დამყარებად"**, რაც ფორმის მანიის ეფექტის მახასიათებელია.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მივიღეთ ბინარული ლოგიკური ოპერაციის არგუმენტებს შორის მდებარე ელემენტისადმი დიამეტრალურ ელემენტზე მითითება.

წინა მაგალითის შებრუნებული შემთხვევაა არგუმენეტებად ცხრომის მანიის ეფექტის და ფორმის მანიის ეფექტის მახასიათებლების, შესაბამისად, **"დინება-წანაცვლებისა"**

და **"დადგომა-დამყარების"** არჩევა. ამ დიაქრონული რიგით რეალიზებულ ფაქტორებად მათი წარმოდგენა ვერ გვაძლევს რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას. ანუ, ამ შემთხვევაში დიამეტრალური წყვილების ურთიერთჩანაცვლება შეუძლებელია

2) მართვის მანიის სათანადო ურთიერთობის პრინციპი არის **"გაცემა"**, ძლევის მანიისა - **"მიღება"**, მათი დიაქრონული რიგით რეალიზაცია - გაცემა და შემდეგ მიღება (რაიმეზე კონტროლის დათმობა და შემდეგ რაიმეს კონტროლქვეშ მოქცევა), განხილული ერთი სუბიექტის პოზიციიდან, გვაძლევს **"დაუფლებას"**, რომელიც ფორმის მანიის სათანადო ურთიერთობის პრინციპია, ხოლო - ჯერ მიღება და შემდეგ გაცემა, განხილული ერთი სუბიექტის პოზიციიდან - გვაძლევს **"გაცვლას"** - ცხრომის მანიის ეფექტის სათანადო ურთიერთობის პრინციპს. აგრუმენტების ფსიქიკურ სტიქიათა მეორე დიამეტრალური წყვილით ჩანაცვლება აქაც შეუძლებელია.

ეს მაგალითებიც ცხადყოფენ, რომ ფსიქიკურ სტიქიათა შედარებითი დახასიათებისთვის ხსენებული განყენებული ბინარული ოპერაციები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგრამ მათ გამოვლენებს არასისტემური ხასიათი აქვთ.

* * *

შევნიშნოთ, რომ სრული სისტემის არსებობის გამომხატველი მოვლენების იდენტიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ფაზების სიზუსტით, რომლებიც დისკრეტულ რიგს ქმნიან - **"კვანტური ეფექტი"**.

§2.2 თვითკმარი არსებობის პრინციპები (დრო, როგორც ლოგიკის კატეგორია)

გადავიდეთ მოვლენათა სიმრავლეში სრული სისტემის არსებობის გამომხატველი სტრუქტურის, ანუ თვითკმარობის წესით არსებობის გამოხატულებათა შესწავლაზე. ეს ნიშნავს სრული სისტემების ფაზების ცვლაზე დაკვირვების შესაძლო შედეგების, ანუ ფაზების ცვლის შესაძლო სქემების, რაგვარობის დადგენასაც. ამის ერთ-ერთი დანიშნულება ცივილიზაციათა თვისებრივი ტიპების განსაზღვრაა. ამ წიგნის ძირითადი თემის ასპექტით სწორედ ეს უკანასკნელი მომენტია მნიშვნელოვანი.

რადგან ნოოლოგიურ სტიქიათა ოთხეული, სისრულის პირობის ძალით, მათ დასახელებაში ასახული თანმიმდევრობით, ციკლურად მოწესრიგებული სიმრავლეა, სრულ სისტემათა არსებობის საზრისი ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების გამომხატველი მდგომარეობების ციკლური ურთიერთმონაცვლეობის უსასრულო პროცესია - **"ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფაზების"** უსასრულო რიგია. უსასრულობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ციკლურ რიგში არ გვაქვს არც საწყისი ელემენტი (ყოველი ელემენტის წინ დგას ციკლურ რიგში მისი წინმსწრები) და არც ბოლო ელემენტი (ყოველი ელემენტის შემდეგ დგას ციკლურ რიგში მისი მომდევნო). აღვნიშნოთ ნოოლოგიური სტიქიები S_I, S_{II}, S_{III}, S_{IV} სიმბო-

ლოებით. ფაზების ცვლის უსასრულო რიგი შეიძლება შემდეგი მწკრივის სახით წარმოვადგინოთ:

$$\ldots S_I; S_{II}; S_{III}; S_{IV}; S_I; S_{II}; S_{III}; S_{IV}; S_I; S_{II}; S_{III}; S_{IV}; S_I; \ldots \quad (1)$$

ვუწოდოთ ამ მწკრივს **"ფუნდამენტური ნოოლოგიური მწკრივი"**. ის ინვარიანტულია ორ ელემენტს შორის სრული ოთხეულის ჩადგმა-ამოღების ოპერაციების მიმართ.

საზოგადოდ, შესაძლებელია თითოეული ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის სხვადასხვა რეალიზაციის ფენომენურად ერთიმეორისგან გარჩევადობა, რასაც უნაწევრო სიმთელის მდგომარეობის ვარიაბელურობის პირობა უზრუნველყოფს: მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის შესაბამისი ფაზის პროცესუალურობისთვის, როგორც აღინიშნა (იხ. გვ. 171), უნაწევრო სიმთელის მდგომარეობა უნდა იყოს არაერთი, ხოლო ამგვარი ორი მდგომარეობის არსებობაც კი საკმარისია მათი რიცხვის უსასრულობისთვის, მათზე, როგორც საბაზისო ვექტორების წყვილზე, მოჭიმული ორგანზომილებიანი წრფივი სივრცის სხვა ვექტორების სახით.

"ფუნდამენტურ ნოოლოგიურ მწკრივს" მისი ნებისმიერი ორი ელემენტის ურთიერთისგან ფენომენურად გარჩევადობის შემთხვევაში ვუწოდოთ **"სრული სისტემის საკუთარი დრო"**. ამგვარი არჩევანი ნაკარნახევია იმ ლოგიკური მოლოდინით, რომ სამყარო ერთიანობაში სრული სისტემაა და ფიზიკური დროის ცნებით წარმოდგენილი წესრიგი სრული სისტემის ფაზების ცვლის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს, პირდაპირ თუ ირიბად. როგორც ვნახავთ, ამგვარი მოლოდინი არაა უსაფუძვლო.

"სრული სისტემის საკუთარ დროს" ადვილად ეძებნება რიცხვითი გამოხატულება. საამისოდ საკმარისია "ფუნდამენტური ნოოლოგიური მწკრივის" ელემენტების დანომრვა რომელიმე ველის ელემენტებით. მაგ., "ფუნდამენტური ნოოლოგიური მწკრივის" ზემოთხსენებული კვეცადობა (სრული ოთხეულების სახით ფრაგმენტების ამოღების ოპერაციის მიმართ ინვარიანტობა, სურათის გამარტივების რესურსი), გვაძლევს მთელ რიცხვათა სიმრავლით გადანომრვად ქვესიმრავლეზე მისი დაყვანის შესაძლებლობას. შედეგი შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$\ldots S_{IV}(-4); S_I(-3); S_{II}(-2); S_{III}(-1); S_{IV}(0); S_I(1); S_{II}(2); S_{III}(3); S_{IV}(4); S_I(5); S_{II}(6); S_{III}(7); \ldots \quad (2)$$

აქ არჩეულია ოთხივე ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ერთიანი დანომრვა (ნომრები მითითებულია ფრჩხილებში). ეს არჩევანი ცალკეული ნოოლოგიური სტიქიის ეფექტების სხვა ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტებისგან დამოუკიდებლად გადანომრვაზე უკეთესია იმით, რომ გვიჩვენებს ოთხ ნოოლოგიურ სტიქიას შორის სისტემურ ურთიერთკავშირს. წარმოდგენილ დანომრვაში გათვალისწინებულია აგრეთვე ჩვენ მიერ ნოოლოგიურ სტიქიათა დასახელებისთვის შერჩეული მათი დანომრვა: თითოეულ ნოოლოგიურ სტიქიას შეესაბამება ნოოლოგიურ სტიქიათა ოთხეულში თავისი ნომრის შესაბამისი რიცხვი 4-ის ნაშთთა კონკრეტული კლასიდან. კერძოდ, პირველი ნოოლოგიური სტიქიის ეფექტების ნომრები 4-ის ჯერად რიცხვებზე ერთით მეტი რიცხვებია, ანუ $4n + 1$, მეორე ნოო-

ლოგიური სტიქიისა - 2-ით მეტი რიცხვები, ანუ 4n + 2, მესამისა - 3-ით მეტი რიცხვები, ანუ 4n + 3, და ბოლოს, მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტების ნომრები 4-ის ჯერადი რიცხვებია, ანუ 4n + 0 = 4n. ვსარგებლობთ იმით, რომ 4-ზე გაყოფისას 0-ის და 4-ის ნაშთთა კლასი ერთი და იგივეა: $4 \equiv 0(\mathrm{mod}\ 4)$. ამრიგად, რიცხვითი ჩაწერისას მოხერხებულია ფსიქიკურ სტიქიათა ახალ აღნიშვნებზე გადასვლა - S_1, S_2, S_3, S_0. ამ შემთხვევაში დანომრვის აქ წარმოდგენილი არჩევანი შეიძლება შემდეგი სახით ჩავწეროთ:

$$S_K(n) \Rightarrow k \equiv n(\mathrm{mod}\ 4), \text{ სადაც } k = 1, 2, 3, 0. \qquad (3)$$

ფსიქიკურ სტიქიათა აღნიშვნის პირველი ვარიანტი - $S_I, S_{II}, S_{III}, S_{IV}$ - თვალსაჩინოებით უკეთესია ახალ ვარიანტზე. ამიტომ ჩვენ შემდგომში მასაც გამოვიყენებთ.

დანომრვის დასახელებული წესის გათვალისწინებით შესაძლებელია ნოოლოგიურ სტიქიათა გაერთგვაროვნებულ აღნიშვნაზე გადასვლაც:

$$S(n) \equiv S_K(n), \text{ როცა } k \equiv n(\mathrm{mod}\ 4), \qquad (3\ ^*)$$

რაც მწკრივი (2)-ის შემდეგი სახით ჩაწერის შესაძლებლობას გვაძლევს:

$$\ldots S(-4);\ S(-3); S(-2); S(-1); S(0); S(1); S(2); S(3); S(4); S(5); S(6); S(7); S(8); S(9); S(10); \ldots \qquad (3^{**})$$

დანომრვის არჩეული წესი, ასევე, გვაძლევს საშუალებას სრული სისტემის "საკუთარი დრო", მწკრივი (2) უფრო გამარტივებული სახითაც, რიცხვთა (ფაზების ნომრების) მწკრივად ჩავწეროთ:

$$\ldots -4; -3; -2; -1; 0; 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; \ldots \qquad (4)$$

ამ მწკრივის ყოველი წევრისთვის ფორმულა (3) ცალსახად განსაზღვრავს ნოოლოგიური სტიქიის რომელობას, რომლის მორიგი კონკრეტული ეფექტის რეალიზაციის ფაქტის გამომსახველიც ეს წევრია.

* * *

ნოოლოგიური ფაზების ცვლის მწკრივი (4)-ის სახით ჩაწერა ფაზების ცვლის პროცესის ისტორიული, ანუ ინფორმაციის დაგროვების, ასპექტის ასახვის საშუალებასაც გვაძლევს. კერძოდ, S(n) ფაზის ჩათვლით, სრული სისტემის ისტორიის ინფორმაციული მოცულობა exp(n) მაჩვენებლიანი ფუნქციით (ექსპონენტათი) შეიძლება გამოისახოს: სიდიდის ზრდის წესი, როცა ცვლადი სიდიდის ნაზრდი მისი მანამდელი მნიშვნელობის პროპორციულია, საუკეთესოდ ასახავს ისტორიულ პროცესს. ცხადია, ზუსტი რაოდენობრივი აღწერის აპარატის ჩამოყალიბებას მაჩვენებლიანი ფუნქციის სახის დაზუსტება დასჭირდება. აქ ამ საკითხზე არ შევჩერდებით.

* * *

შესაძლებელია "ფუნდამენტური ნოოლოგიური მწკრივის" ელემენტების დანომრვის წესი ამ მწკრივის ნებისმიერ ორ ურთიერთმომდევნო ელემენტს შორის სრული ოთხეულების ჩადგმის ოპერაციის მიმართ ინვარიანტულობასაც ასახავდეს: სრული ოთხეულების ჩადგმის შემდეგ "ფუნდამენტური ნოოლოგიური მწკრივის", მისი ძველი წევრების საწყი-

სი ნომრების შენარჩუნებით გადანომრვისთვის (მთელი მწკრივის ხელახლა გადანომრვის აუცილებლობის ასაცილებლად) საკმარისია "საკუთარი დროის" მწკრივის ელემენტების ნომრები ჩავწეროთ ხუთობით სისტემაში. ამ შემთხვევაში მწკრივი (4) მიიღებს შემდეგ სახეს (ერთნიშნა რიცხვებისთვის ჩაწერის სისტემაზე მიმანიშნებელი ინდექსები და უარყოფითი რიცხვების ჩაწერისას ფრჩხილები გამოტოვებულია):

$$\ldots -10_5; -4; -3; -2; -1; 0; 1; 2; 3; 4; 10_5; 11_5; 12_5; 13_5; 14_5; 20_5; \ldots \qquad (4^*)$$

ჩადგმულ ოთხეულთა წევრები კი დაინომრებიან ხუთწილადებით. მაგ., პირველი საფეხურის ჩადგმათათვის გვექნება:

$$\ldots -1; -0.4_{5;} -0.3_5; -0.2_5; 0.1_5; 0; 0.1_5; 0.2_5; 0.3_5; 0.4_5; 1; 1.1_5; 1.2_5; 1.3_5; 1.4_5; 2; \ldots$$

მეორე სფეხურის ჩადგმათათვის:

$$\ldots -0.1_5; -0.04_{5;} -0.03_5; -0.02_5; 0.01_5; 0; 0.01_5; 0.02_5; 0.03_5; 0.04_5; 0.1_5; 0.11_5; 0.12_5; 0.13_5; 0.4_5; \ldots$$

და ა. შ. ამ გარემოებას შეიძლება ვუწოდოთ "ფუნდამენტური ნოოლოგიური მწკრივის" დისკრეტული მასშტაბური ინვარიანტობა.

ხუთობითი სისტემის გამოყენებისას $S(x) \equiv S_K(x)$ იგივეობაც დაცულია და ნომრის მიხედვით ნოოლოგიური სტიქიის რომელობის განმსაზღვრელი ალტერნატიული შესაძლებლობაც ჩნდება, რადგან ხუთობით სისტემაში უდიდესი ოთხნიშნა რიცხია 4. ეს ალტერნატიული წესი შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$S_K(x) \Rightarrow k \equiv x^*(\mathrm{mod}\ 4),), \qquad (4^{**})$$

სადაც k= 1, 2, 3, 0, ხოლო x^* ხუთობით სისტემაში ჩაწერილი x რიცხვის (სასრული რაოდენობის ციფრებით ჩაწერილი ხუთწილადის) ციფრთა ჯამია, აღებული ამავე რიცხვის ნიშნით.

* * *

არსებობს მწკრივი (2)-ის არაერთი უსასრულო ქვესიმრავლე, რომლის ელემენტები დალაგებულია ნოოლოგიურ სტიქიათა პერიოდული რიგის დაცვით. ყოველი ამგვარი ქვესიმრავლე წარმოდგენადია მწკრივი (2)-ით მოცემული "სრული სისტემისგან" განსხვავებული "სრული სისტემის" ნოოლოგიური სტიქიათა ფაზების რიგის ამსახველ მწკრივად (ეს უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, როცა გადავალთ ოთხგანზომილებიანი წარმოდგენის განხილვაზე). ამგვარ ქვესიმრავლეთაგან თითოეულით განსაზღვრულ ობიექტს ვუწოდოთ **"ზედნაგი სრული სისტემა"**, ხოლო მწკრივით (2) მოცემულ "სრულ სიტემას" - **"საბაზისო სრული სიტემა"**. ეს ორი ტერმინი "სრული სისტემის" არა რაიმე საკუთრივი მახასიათებელის, არამედ ერთიმეორისადმი მიმართების შინაარსის გამომხატველია. **ამასთანავე, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ "ზედნაგი სრული სისტემის" მოცემულობის ფაქტი "საბაზისო სრული სისტემის" მოცემულობის ფაქტის შინაარსის კერძო ასპექტია, ანუ "საბაზისო სრული სისტემის" უნაწევრო სიმთელის ასპექტით წარმოდგენადობაც დაცულია.**

სრულ სისტემათა დასახელებული ურთიერთმიმართების ამსახველად მწკრივი (2)-ს და მის გამარტივებულ ვარიანტს, მწკრივი (4)-ს ვუწოდოთ **"საბაზისო დრო"**, ხოლო მის იმ

ქვესიმრავლეებს, რომლებიც **"ზედნაგ სრულ სისტემათა"** არსებობის გამომხატველ მწკრივებს წარმოადგენენ, - **"ფარდობითი დრო"**.

"ფარდობითი დროის" (შესაბამისი მწკრივის) ელემენტები შეიძლება დაინომროს სრული სისტემის ფაზების დანომრვის იმავე წესის დაცვით, რომელმაც მწკრივი (4)-ის მიღების შესაძლებლობა მოგვცა. ახალი ნომრები განსაზღვრავენ **"ზედნაგი სრული სისტემის"** "საკუთარ დროს", რომელიც მწკრივი (4)-ის იგივურია, ანუ მთელ რიცხვთა სიმრავლეს ემთხვევა. მაშინ **"ფარდობითი დროის"** ყოველ ელემენტს შეესაბამება ორი რიცხვი (ორი ნომერი), რაც გვაძლევს "ზედნაგი სრული სისტემის" **"საკუთარი დროის"** ელემენტების (ნომრების) სიმრავლეზე განსაზღვრულ ფუნქციას, რომლის მნიშვნელობათა არე იქნება სიმრავლე ამ მწკრივის ელემენტების ნომრებისა **"საბაზისო დროში"**. **"ფარდობითი დროის"** ელემენტები ამ ფუნქციის გრაფიკის წერტილებად ისახებიან - თითოეულ მათგანს შეესაბამება როგორც ფუნქციის არგუმენტის კონკრეტული მნიშვნელობა, ასევე, არგუმენტის ამ კონკრეტული მნიშვნელობის შესაბამისი მნიშვნელობა ფუნქციისა. ანუ "ფარდობითი დრო" ზოგადი სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს:

$$\{ S_k(f(n)| \; k \equiv f(n)(\mathrm{mod}\ 4); \;\; n \text{ - მთელი რიცხვია; } k = 1, 2, 3, 0\} . \qquad (5)$$

საზოგადოდ, f(n) ფუნქციაა "ზედნაგი სრული სისტემის" რომელობითობის განმსაზღვრელი პირობაა, ანუ იდენტიფიკატორია. "საკუთარი დროის" და "ფარდობითი დროის" განმსაზღვრელი დანომრვის ზემოთხსენებული წესის დაცვა უზრუნველყოფს $f(n) \equiv n(\mathrm{mod}\ 4)$ პირობის დაცვას.

შესაძლებელია "ფარდობითი დროის" აგება f(n) ფუნქციის ცხადი სახით ჩაწერის გარეშეც, გრაფების გამოყენებით. კერძოდ, თუ "საბაზისო დროის" ელემენტებს შევუსაბამებთ მათი ნომრების შესაბამის წერტილებს რიცხვით ღერძზე და ამ წერტილების რაიმე სასრულ სიმრავლეს ნოოლოგიურ სტიქიათა ციკლური რიგის დაცვით შევაერთებთ ორიენტირებული რკალებით, მივიღებთ ორიენტირებულ გრაფს, რომლის გამოყენებითაც (ღერძის მიმართ წანაცვლებების რიგით) შეიძლება ავაგოთ უსასრულო ორიენტირებული გრაფი. ამოსავალ გრაფს ვუწოდოთ **"ატომური გრაფი"**. არ არის აუცილებელი "ატომური გრაფი" შეიცავდეს "საბაზისო დროის" ყველა იმ ელემენტის შესაბამის წერტილებს, რომლებიც "ფარდობითი დროის" რიგით მის ("ატომური გრაფის") პირველ და უკანასკნელ ელემენტებს შორის არიან მოქცეულნი, თუმცა არც ეს შესაძლებლობაა გამორიცხული. "ფარდობითი დრო" შეიძლება არაპერიოდული გრაფის სახით იყოს წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში მას ჩავთვლით "უსასრულო ატომურ გრაფად". საზოგადოდ, ყოველი "ატომური გრაფი" როდი წარმოადგენს მის საფუძველზე მიღებული პერიოდული გრაფის პერიოდს, მნიშვნელოვანია მისი კიდურა ელემენტების კონკრეტულობაც: თუ "ატომური გრაფის" პირველი და უკანასკნელი წერტილები ერთი და იმავე "ნოოლოგიურ სტიქიას" შეესაბამებიან, მაშინ მხოლოდ ოთხი ასეთი ატომური გრაფის უწყვეტი (მიჯრით თუ დაშორიშორებით განლაგებული) ჯაჭვი - ოთხატომიანი "მოლეკულური გრაფი" - შეადგენს ერთ პერიოდს; თუ "ატომური გრაფის" ბოლო წერტილის შესაბამისი "ნოოლოგიური სტიქია" ამავე გრაფის პირველი წერტილის

შესაბამისი “ნოოლოგიური სტიქიის” მომდევნოა ციკლური რიგით, მაშინ ორი ასეთი გრაფის (მიჯრით თუ დაშორიშორებით განლაგებული) ჯაჭვი იქნება პერიოდის შემდგენი; თუ “ატომური გრაფის” პირველი და ბოლო წერტილები “ნოოლოგიურ სტიქიათა” ციკლურ რიგში ურთიერთგაშუალოებულ, ანუ დიამეტრალურ წყვილს, შეესაბამებიან, მაშინ კვლავ ოთხი “ატომური გრაფის” ჯაჭვი იქნება პერიოდის შემდგენი; და ბოლოს, თუ “ატომური გრაფის” ბოლო წერტილის შესაბამისი “ნოოლოგიური სტიქია”, პირველი წერტილის შესაბამისის წინმსწრებია ციკლურ რიგში, მაშინ “ატომური გრაფი” დამოუკიდებლად შეადგენს პერიოდს. ხოლო ამ ოთხი ვარიანტის კომბინირებით შესაძლებელია ნებისმიერი წინასწარ-დასახელებული სიგრძის “მოლეკულური გრაფის” მიღება (მისი უსასრულობის შემთხვევაში, ის ატომურ გრაფად რჩება). ამ თემას ისევ დავუბრუნდებით ნოოლოგიური მწკრივის ოთხგანზომილებიანი წარმოდგენის განხილვისას. ახლა კი განვიხილოთ “ფარდობითი დროის” მწკრივის გრაფული წესით აგების რამდენიმე მაგალითი:

ყოველი “ფარდობითი დრო” მოიცემა პერიოდული ან რაიმე რეკურენტული თუ სხვა კონკრეტული წესით განსაზღვრული უსასრულო ორიენტირებული გრაფით, რომლის წვეროები “საბაზისო დროის” ელემენტების გამომსახველი წერტილებია. ეს გრაფი გასდევს მთელს “საბაზისო დროს” და შესაძლებელია მოიცავდეს როგორც მის ყოველ ელემენტს, ასევე, მისი ელემენტების მხოლოდ ნაწილს.

$$\ldots S_{I}(-3), S_{II}(2), S_{III}(7), S_{IV}(12), S_{I}(17), S_{II}(22), S_{III}(27), S_{IV}(32), S_{I}(37), S_{II}(42) \ldots \quad (6)$$

$$\ldots S_{I}(-27), S_{II}(-14), S_{III}(-5), S_{IV}(0), S_{I}(5), S_{II}(14), S_{III}(27), S_{IV}(44), S_{I}(65), S_{II}(90) \ldots \quad (6^*)$$

$$\ldots S_{I}(17), S_{II}(14), S_{III}(11), S_{IV}(8), S_{I}(5), S_{II}(2), S_{III}(-1), S_{IV}(-4), S_{I}(-7), \ldots \quad (7)$$

$$\ldots S_{I}(13), S_{II}(14), S_{III}(15), S_{IV}(16), S_{I}(9), S_{II}(10), S_{III}(11), S_{IV}(12), S_{I}(5), S_{II}(6), S_{III}(7), S_{IV}(8),$$
$$S_{I}(1), S_{II}(2), S_{III}(3), S_{IV}(4), S_{I}(-3), S_{II}(-2), S_{III}(-1), S_{IV}(0) \ldots \quad (8)$$

$$\ldots S_{I}(1), S_{II}(2), S_{III}(-1), S_{IV}(0), S_{I}(5), S_{II}(6), S_{III}(3), S_{IV}(4), S_{I}(9), S_{II}(10), S_{III}(7), S_{IV}(8), S_{I}(13),$$
$$S_{II}(14), S_{III}(11), S_{IV}(12), S_{I}(17), S_{II}(18), S_{III}(15), S_{IV}(16), .. \quad (9)$$

$$\ldots S_{IV}(-8), S_{I}(-7), S_{II}(-10), S_{III}(-9), S_{IV}(-4), S_{I}(-3), S_{II}(-6), S_{III}(-5), S_{IV}(0), S_{I}(1), S_{II}(-2), S_{III}(-1),$$
$$S_{IV}(4), S_{I}(5), S_{II}(2), S_{III}(3), S_{IV}(8), S_{I}(9), S_{II}(6), S_{III}(7) \ldots \quad (10)$$

ყველა წარმოდგენილ მაგალითში, გარდა მწკრივი (6* * *)-ისა, “ატომურ გრაფს” ოთხი წვერო აქვს და “ფარდობით დროში” მისი მომდევნო (ან წინმსწრებ) თავისივე წანაცვლებულ ასლთან მისი შემაერთებელი, ბოლოდან (დასაწყისიდან) ღია წიბოსთან ერთად წარმოადგენს “ფარდობითი დროის” გრაფის პერიოდს.

მწკრივი (6) მიღებულია მწკრივი (2)-ისგან პერიოდულობის დაცვით სრული ოთხეულების გამოტოვებით - მეზობელი ელემენტების ნომრების სხვაობა უდრის 5-ს. ანალოგიური წესით, მაგრამ პერიოდულობის დარღვევით არის აგებული მწკრივი (6*), რომელიც $S_{IV}(0)$ ელემენტითა და ორივე მიმართულებით ერთი, ორი, სამი და ა. შ. ოთხეულების, ანუ მე-n-ე ნაბიჯზე 4n რაოდენობის ელემენტის, სადაც n ნებისმიერი მთელი რიცხვია, გამოტოვებითაა მიღებული. ამ ორივე შემთხვევაში დაცულია მწკრივის ელემენ-

ტების მათი ნომრების ზრდის მიხედვით დალაგებულობა - "ფარდობითი დრო" (და ამადენად ზედნაგი სრული სისტემის "საკუთარი დროც") "საბაზისო დროის" თანამიმართულია.

მწკრივი (7)-ის შემთხვევაში კი "ფარდობითი დრო" "საბაზისო დროის" საწინააღმდეგოდაა მიმართული, მწკრივში მეზობელი ელემენტების ნომრებს შორის სხვაობა კვლავ მუდმივია, მაგრამ, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, უარყოფითი რიცხვია, -3. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია "ფუნდამენტური დროის" არაპერიოდული გრაფის აგება მწკრივი (6*)-ის აგებისას გამოყენებული მეთოდით - მზარდი რაოდენობის ელემენტების გამოტოვებით "საბაზისო დროის" მწკრივიდან.

ცხადია, რომ "ფარდობით დროში" მეზობელი წევრების ნომრების სხვაობა შეიძლება იყოს გარკვეული წესით განსაზღვრული, მოდულით ნებისმიერად დიდი დადებითი თუ უარყოფითი რიცხვის ტოლი. შესაძლებელია ეს მახასიათებელი ("ფარდობით დროში" მეზობელი წევრების ნომრების სხვაობა) გარკვეული წესით ცვლადი, მწკრივის წევრების ნომრებზე დამოკიდებულიც იყოს, რაც f(n) ფუნქციის არაწრფივობის შესაძლებლობასაც გულისხმობს.

მომდევნო მაგალითში, რომელიც წარმოდგენილია მწკრივით (8), "ფარდობითი დრო" მიღებულია "საბაზისო დროის" ოთხეულებად დანაწილებით (რაც ოთხი განსხვავებული წესითაა შესაძლებელი) და ამ ოთხეულების (ჩანაწერში ყოველი მეორე გამუქებული შრიფტითაა გამოყოფილი) შებრუნებული რიგით დალაგების გზით. ცხადია, ოთხეულები შეიძლება დალაგდეს არაერთი განსხვავებული წესით, მათ შორის, წინსვლისა და უკუსვლის შეთავსებით და "საბაზისო მწკრივის ნაწილის "ფარდობითი დროის" გამომხატველი მწკრივის გარეთ დატოვებით, როგორც წინა ორი მაგალითის შემთხვევაშია.

მწკრივი (9) "საბაზისო დროის" წყვილებად დანაწევრებით (რაც ორი ხერხითაა შესაძლებელი) და წყვილების შებრუნებული რიგით დალაგების გზითაა მიღებული.

მწკრივი (10) "საბაზისო დროის", წინა მაგალითის მსგავსად, წყვილებად დანაწევრებით (წინა შემთხვევისგან განსხვავებული ხერხით), მაგრამ წყვილების განსხვავებული წესით - უახლოეს დასაშვებ წყვილთან მონაცვლეობით უკუსვლით და წინსვლითი დალაგების გზითაა მიღებული (წყვილების რიგზე ერთი ნაბიჯი უკან, სამი ნაბიჯი წინ). ცხადია, რომ ამგვარი შემთხვევების ვარიანტების არჩევანი, როგორც ნაბიჯის სიგრძის, ასევე "საბაზისო დროის" მიმართ "ფარდობითი დროის" წინსვლა-უკუსვლის ეტაპების მონაცვლეობის წესების მიხედვით, უსასრულოდ ბევრია.

შეიძლება ფარდობითი დროის შესაბამისი მწკრივის აგების ზოგადი წესის ჩამოყალიბებაც: დავყოთ "საბაზისო დრო" პერიოდული წესით ერთი და იმავე, ან რამდენიმე განსხვავებული სიგრძის მონაკვეთებად; შემდეგ ავირჩოთ კონკრეტული წესი ერთი და იმავე სიგრძის, ან განსხვავებული სიგრძეების მონაკვეთების დალაგებისა "საბაზისო დროის" მიმართ თანამიმართული, საწინააღმდეგოდ მიმართული თუ ორივე მიმართულების შეთავსებით და ფაზათა ცვლის რიგის დაცვით (წესით, რომელიც დანაყოფ მონაკვეთთა საწყისი და ბოლო წევრების რომელობაზეა დამოკიდებული) გადავაბათ ისინი ერთიმეორეს. ზოგ-

ჯერ ხერხდება ყველა დანაყოფის ერთ "ფარდობითი დროდ" გაერთიანება, როგორც მწკრივების (8), (9) და (10) მაგალითზე. ასეთ შემთხვევებში "საბაზისო დროის" და "ფარდობითი დროის" ცნებების წყვილით განსაზღვრული ურთიერთმიმართება შექცევადია. სხვა შემთხვევებში, რისი მაგალითებიცაა მწკრივები (6) და (7), ეს ვერ მოხერხდება და "ფარდობით დროსა" და "საბაზისო დროს" შორის ასიმეტრია თვალსაჩინოა - პირველის ბაზაზე მეორის წარმოდგენა ოთხეულების ჩადგმას და ხუთწილადების გამოყენებას მოგვთხოვს.

"ფარდობითი დროით" "საბაზისო დროის" არასრულად დაფარვის შემთხვევებში "საბაზისო დროის" დანარჩენ ნაწილზე შესაძლებელია "ფადრობითი დროის" სხვა რეალიზაციებად წარმოდგენადი ქვესიმრავლეების ამორჩევა. მაგალითად, მწკრივი (6)-ის ყოველ ორ ელემენტს შორის ჩარჩენილია "საბაზისო დროის" მწკრივის ოთხი ელემენტი. კერძოდ, $S_I(-3)$-სა და $S_{II}(2)$-ს შორის გამოტოვებული ელემენტების ოთხეულია - $S_{II}(-2)$, $S_{III}(-1)$, $S_{IV}(0)$, $S_I(1)$. ყოველი მათგანიდან ორივე მიმართულებით ყოველი მეხუთე ელემენტის მონიშვნა მოგვცემს მწკრივი (6)-ის იგივურ მწკრივებს, რომელნიც მწკრივი (6)-ის, შესაბამისად, 1, 2, 3 და 4 ნაბიჯით წანაცვლებითაც შეგვიძლია მივიღოთ. ამით მიიღწევა ხუთი ურთიერთიგივური "ზედნაგი სრული სისტემის" თანაარსებობის ფაქტის წარმოდგენა. შესაძლებელია, ასევე, გამოტოვებული ელემენტებისგან ავაგოთ მწკრივი (6)-ისგან განსხვავებული ერთი მწკრივი, თუ გადავნომრავთ მთელი რიცხვებით გამოტოვებულ ოთხეულთა სიმრავლეს და შემდეგ წინსვლითი ან უკუსვლითი რიგით გადავაბამთ ერთიმეორეს ისეთ ოთხეულებს, რომელთა ნომრებიც რომელიმე ნატურალური რიცხვის ერთი და იმავე ნაშთთა კლასს მიეკუთვნებიან. ეს მოგვცემდა არჩეული რიცხვის ნაშთთა კლასების რაოდენობის ერთნაირად შედგენილ მწკრივს, რაც ერთი ტიპის ფუნდამენტური ობიექტების (ნაწილაკების) ურთიერთგანურჩევლობის ფაქტის მოდელირების საშუალებას გვაძლევს. გამოტოვებული ოთხეულებისგან შეიძლება სხვაგვარი მწკრივების აგებაც.

ცხადია, რომ "საბაზისო დროზე" რეალიზებადი, აქ აღწერილი ოპერაციები უკლებლივ შეიძლება გავიმეოროთ "ფარდობით დროზე", რაც მოგვცემს მეორე რანგის ზედნაგ სრულ სისტემებს, რომლებზეც, ასევე, შეიძლება ყველა აღწერილი ოპერაციის გამეორება, ანუ - მესამე რანგის ზედნაგი სრული სისტემების მიღება და ა. შ.

ეს ნიშნავს ერთი სრული სისტემის ბაზაზე რაგინდ მრავალრიცხოვან და მრავალგვაროვან სხვადასხვა რანგის ზედნაგ სისტემათა მოცემის შესაძლებლობას, რაც სამყაროს ერთიანი სურათის მოდელირების შესაძლებლობის მოლოდინს წარმოშობს. ამ მოდელში ფუნდამენტური ობიექტები სხვადასხვა რანგის "ზედნაგი სრული სისტემებია", რომელთაგან არა ყოველი წყვილი იქნება "ფარდობითი დროის" და "საბაზისო დროის" ცნებებით განსაზღვრულ ურთიერთმიმართებაში, ანუ იერარქიის წესით ურთიერთდაკავშირებულნი. "საბაზისო სრული სისტემა", რომლის "საკუთარი დროისგანაც" მიიღება ეს სტრუქტურა, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს მასში. "საბაზისო სრული სისტემის" "საკუთარ დროს" - **"აბსოლუტურ დროს"** ვუწოდებთ. "აბსოლუტური დრო" გამორჩეულია იმით, რომ მის ელემენტებს შორის სრული ოთხეულების ჩადგმა არ შეიძლება (წინააღმდეგ შემთხვევა-

ში, ის თავად იქნებოდა "ფარდობითი დრო" მასში სრული ოთხეულების ჩადგმით მიღებული მწკრივის მიმართ). ამრიგად, "აბსოლუტური დროის" კონცეფცია **პლანკის შეზღუდვის** პრინციპთან შეიძლება დავაკავშიროთ; მაგრამ ეს არ გვიკრძალავს "აბსოლუტური დროის" მწკრივში სრულ ოთხეულთა ჩადგმის გზით წარმოდგენადი სტრუქტურების ვირტუალურ ფაქტორებად მიჩნევას.

"აბსოლუტური დრო" ყველა ზედნაგი სრული სისტემისთვის წარმოდგენადია "საბაზისო დროდ", მაგრამ მეორე და უფრო მაღალი რანგის ამგვარი ერთეულებისთვის ეს კავშირი რთული ფუნქციებით მოიცემა - $f(f_1(n))$, $f(f_1(f_2(n)))$ და ა. შ. შევნიშნოთ, რომ ერთი იერარქიული ხაზის ზედნაგ სრულ სიტემებს შორის კავშირიც, როცა რანგით სხვაობა ერთზე მეტია, რთული ფუნქციებით მოიცემა. "აბსოლუტური დროის" მწკრივი მასზე დაშენებული ამ სტრუქტურისთვის სივრცე-დროის ქსოვილის ჩანასახის როლს ასრულებს, რომელთანაც ზედნაგი სრული სისტემებით წარმოდგენილი ობიექტები მოუცილებლად და სივრცე-დროის ქსოვილის შემვსებ ელემენტებად არიან დაკავშირებულნი. ეს კარგად გამოჩნდება ოთხგანზომილებიანი წარმოდგენის განხილვისას.

* * *

"სრული სისტემის" "საკუთარ დროს" გააჩნია ბუნებრივი ოთხგანზომილებიანი წარმოდგენა. აქ განვიხილავთ მხოლოდ ოთხგანზომილებიან ევკლიდურ სივრცეში რეალიზებულს, როგორც უმარტივეს ვარიანტს. ამასთანავე, შევნიშნავ, რომ არსებობს საამისოდ არაევკლიდური სივრცის (ლობაჩევსკის გეომეტრიის) უპირატესობის შესახებ მეტყველი არგუმენტი. ასე რომ, არაევკლიდურ სივრცეში რეალიზებული წარმოდგენისგან უნდა ველოდეთ უფრო მეტ საინტერესო შედეგებს, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროსთვის.

დავუბრუნდეთ ძირითად ხაზს. "საკუთარი დროის" მწკრივის ერთგვაროვანი ნაწილია ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ოთხეულები, როგორც მაგ.,

$$\{S_{III}(-1), S_{IV}(0), S_I(1), S_{II}(2)\}; \{S_I(1), S_{II}(2), S_{III}(3), S_{IV}(4)\} \quad \text{და ა. შ.}$$

ეს ოთხეულები ოთხგანზომილებიანი სივრცის წერტილებით შეიძლება გამოვსახოთ. საამისოდ, უმარტივესი შესაძლებლობაა, ყოველ ნოოლოგიურ სტიქიას შევუსაბამოთ ოთხგანზომილებიან ევკლიდურ სივრცეში დეკარტული საკოორდინატო სისტემის რომელიმე ღერძი და დავნომროთ ეს ღერძები ნოოლოგიურ სტიქიათა დასახელებაში გამოყენებული რიგის დაცვით: S_I-ს შევუსაბამოთ x^1 ღერძი, S_{II}-ს - x^2, S_{III}-ს - x^3, S_{IV}-ს - x^0. მაშინ ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ყოველი თანმიმდევრული ოთხეულის შესაბამისი წერტილის კოორდინატები ამ ოთხეულის წევრების ნომრებით მოიცემა. ამგვარად განსაზღვრულ წერტილებს ვუწოდოთ **"აქტუალური წერტილები"**.

მაგ., $\{S_{III}(-1), S_{IV}(0), S_I(1), S_{II}(2)\}$ ოთხეულს შეესაბამება "აქტუალური წერტილი" (1; 2; -1; 0), ხოლო ოთხეულს $\{S_I(1), S_{II}(2), S_{III}(3), S_{IV}(4)\}$ - (1; 2; 3; 4). ასე რომ, შეიძლება ავაგოთ

მწკრივი (4)-ის ოთხგანზომილებიანი ანალოგი - **"აქტუალური საბაზისო დრო"** - ოთხგანზომილებიანი სივრცის "აქტუალური წერტილების" მწკრივი, რომელსაც შემდეგი სიმრავლის სახე აქვს:

... (-3; -2; -1; -4); (-3; -2; -1; 0); (1; -2; -1; 0); (1; 2; -1; 0); (1; 2; 3; 0); (1; 2; 3; 4); (5; 2; 3; 4);
(5; 6; 3; 4); (5; 6; 7; 4); (5; 6; 7; 8); (9; 6; 7; 8) (9; 10; 7; 8); ... (11)

მისი ელემენტები მწკრივი (2)-ის ელემენტების დანომრვის წესთან შეთანხმებული წესით შეიძლება დავნომროთ. კერძოდ, მწკრივ (11)-ში ყოველი "აქტუალური წერტილის" კოორდინატთა ოთხეული არის მწკრივი (4)-ის ოთხი ურთიერთმომდევნო ელემენტის ერთობლიობა და შეიცავს ამ მწკრივისეული რიგით უკანასკნელ ელემენტს (რადგან მწკრივი (4) მოწესრიგებული სიმრავლეა), რომელსაც დავასახელებთ აქტუალური წერტილის ნომრად. ამ შეთანხმების პირობებში მწკრივი (11) ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$...A_{-1};\ A_0;\ A_1;\ A_2;\ A_3;\ A_4;\ A_5;\ A_6;\ A_7;\ A_8;\ A_9;\ A_{10}... \qquad (11^*)$$

მწკრივების (11) და (11 *) ყოველი ელემენტის მომდევნო ელემენტი მიიღება ციკლური რიგის დაცვით შერჩეული საკოორდინატო ღერძის პარალელურად 4 ერთეულის ტოლ მანძილზე გადაადგილებით, რაც ასახულია შემდეგ ვექტორულ ტოლობებში (მსხვილი შრიფტით აღნიშნულია ვექტორები):

$$\mathbf{A_1A_2} = (0;\ 4;\ 0;\ 0) = 4 \cdot \mathbf{t_2},$$
$$\mathbf{A_2A_3} = (0;\ 0;\ 4;\ 0) = 4 \cdot \mathbf{t_3},$$
$$\mathbf{A_3A_4} = (0;\ 0;\ 0;\ 4) = 4 \cdot \mathbf{t_0},$$
$$\mathbf{A_4A_5} = (4;\ 0;\ 0;\ 0) = 4 \cdot \mathbf{t_1},$$

და

$$\mathbf{A_5A_6} = \mathbf{A_1A_2},$$

სადაც $\mathbf{t_1}$, $\mathbf{t_2}$, $\mathbf{t_3}$ და $\mathbf{t_0}$ საკოორდინატო ღერძების მიმართულების განმსაზღვრელი ერთეულოვანი ვექტორებია. ეს ფაქტი ზოგადი სახითაც შეიძლება ჩავწეროთ:

$$\mathbf{A_{n-1}A_n} = 4 \cdot \mathbf{t_i},\ \text{სადაც}\ \ i = n(\mathrm{mod}\ 4) \qquad (11^{**})$$

ეს ნიშნავს მწკრივების (2) და (11 *) დანომრვის ურთიერთშეთანხმებულობას. საჭიროების შემთხვევაში მწკრივი (11*) შეგვიძლია შევცვალოთ რიცხვითი მწკრივით, როგორც მწკრივი (2) შევცვალეთ მწკრივი (4)-ით (რასაც აქ არ გავაკეთებთ). ამ შემთხვევაშიც მთელ რიცხვთა სიმრავლეს მივიღებთ, მაგრამ მწკრივი (4)-ისგან განსხვავებით, ახალი ელემენტების ჩადგმით მისი შევსება შეუძლებელია და ამ მწკრივის ნომრებად გამოყენებული რიცხვები, როგორც მათემატიკური ობიექტები, არსებითად უნდა განვასხვაოთ მწკრივი (4)-ის შემადგენელი რიცხვებისგან.

გამოდის, რომ "აქტუალური აბსოლუტური დრო", ისევე, როგორც "აქტუალური საკუთარი დრო", ოთხგანზომილებიან სივრცეში უსასრულო ტოლმონაკვეთებიანი ორიენტირებული მართკუთხა ტეხილით გამოისახება, რომლის ყოველი მონაკვეთი (ვექტორი) გამოხატავს მისი ბოლო წერტილით წარმოდგენილი ფაზის რეალიზაციაში დროის მი-

მართულებას, ის რომელიმე ერთი საკოორდინატო ღერძის პარალელურია, ხოლო ღერძის რომელობა, რომელიც "აქტუალური აბსოლუტური დროის" გამომსახველი ტეხილის ყოველი მორიგი მონაკვეთის პარალელურია, იცვლება ნოოლოგიურ სტიქიათა ციკლური რიგის შესაბამისად. ეს წესი შეიძლება წარმოვადგინოთ სამგანზომილებიან ვექტორულ სივრცეში განსაზღვრული ვექტორული ნამრავლის ბინარული ოპერაციის ტრინარული ანალოგიით ოთხგანზომილებიან სივრცეში:

$$\mathbf{t_1} = [\mathbf{t_2}, \mathbf{t_3}, \mathbf{t_0}]. \qquad (11^{***})$$

დანარჩენი პოზიციები მიიღება ინდექსების ციკლური წანაცვლებებით.

მწკრივი (2)-ის ყოველი ელემენტი ოთხი განსხვავებული ოთხეულის წევრია. მაგ., $S_I(1)$-ისთვის ამგვარ ოთხეულთა ოთხეულია:

$$\{S_{II}(-2), S_{III}(-1), S_{IV}(0), S_I(1)\},$$
$$\{S_{III}(-1), S_{IV}(0), S_I(1), S_{II}(2)\},$$
$$\{S_{IV}(0), S_I(1), S_{II}(2), S_{III}(3)\},$$
$$\{S_I(1), S_{II}(2), S_{III}(3), S_{IV}(4)\}.$$

ისინი წარმოადგენენ მწკრივი (2)-ის ოთხელემენტიან ფრაგნტებებს, რომლებშიც $S_I(1)$ არის, შესაბამისად, რიგით მეოთხე, რიგით მესამე, რიგით მეორე და რიგით პირველი ელემენტი. ოთხგანზომილებიან სივრცეში ამ ოთხეულებს შეესაბამებათ წერტილები:

(1; -2; -1; 0),
(1; 2; -1; 0),
(1; 2; 3; 0) და
(1; 2; 3; 4),

ანუ A_1, A_2, A_3 და A_4 წერტილები მწკრივიდან (11*). $S_I(1)$ ელემენტის მომდევნო ელემენტია $S_{II}(2)$, მის შესაბამის "აქტუალურ წერტილთა" ოთხეული - A_2, A_3, A_4 და A_5, $S_{III}(3)$ ელემენტისა - A_3, A_4, A_5 და A_6 წერტილები და ა. შ. საზოგადოდ, $S_K(n)$-ის შესაბამისი ამგვარი ოთხეული, რომელსაც ვუწოდებთ $S_K(n)$-ის **"აქტუალურ პლეადას"**, მწკრივი (11*)-ის A_n, A_{n+1}, A_{n+2} და A_{n+3} წევრებს მოიცავს. "აქტუალური პლეადა" ოთხგანზომილებიან სივრცეში სამგანზომილებიან ფიგურას, მწკრივი (11)-ის შემთხვევაში კუბს, მონიშნავს, რაც კვანტური ფიზიკის ობიექტების არალოკალურობის ლოგიკური მოდელირების რესურსია.

$S_K(n)$ შეიძლება არაერთი "ფარდობითი დროის" ელემენტი იყოს. თითოეულ შემთხვევაში მას განსხვავებული შემადგენლობის "აქტუალური პლეადა" შეესაბამება. $S_K(n)$ ფაზის მომცველ ყველა შესაძლო "ფარდობითი დროით" განსაზღვრულ "აქტუალურ პლეადათა" გაერთიანება წარმოადგენს $\mathbf{t}_k$ ვექტორისადმი მართობულ ჰიპერზედაპირებზე განლაგებულ სტრუქტურას - **"აქტუალურ ტალღას"** - რომლის წერტილების განაწილების სიმკვრივე უდიდესია "საბაზისო დროის" სათანადო "აქტუალური პლეადის" ოთხეულით განსაზღვრული სამგანზომილებიანი კუბის მახლობლად და მცირდება ამ კუბისგან დაშორების კვალდაკვალ. "სრული სისტემის" არსებობა (ნოოლოგიური სტიქიათა ფაზების ცვლა) ოთხგანზომილებიან სივრცეში "აქტუალური ტალღის" გადანაცვლებათა რიგით შეიძლება გამოისახოს.

“აქტუალური ტალღა” გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ მთელი სამყაროს ტალღური ფუნქციის კონცეფციაზე - “აბსოლუტური დროის აქტუალური ტალღა”.

“აქტუალურ აბსოლუტურ დროში” $S_I(1)$ ფაზა პირველად თავს იჩენს $A_1(1; -2; -1; 0)$ წერტილის განმსაზღვრელ ფაქტორად. ეს წერტილი $\mathbf{t_1}$ ღერძის პარალელური A_0A_1 მონაკვეთის ბოლოა: $\mathbf{A_0A_1} = 4 \ldots \mathbf{t_1}$, სადაც $A_0(-3; -2; -1; 0)$ არის $S_{IV}(0)$ ფაზის შესაბამისი “აქტუალური პლეადის” მეოთხე წერტილი. ამრიგად, $S_I(1)$ ფაზის აქტუალიზაციას შეესაბამება ოთხ სივრცეში “აქტუალური აბსოლუტური დროის” სვლა $\mathbf{t_1}$ ღერძის პარალელური მიმართულებით. ეს მიმართულება პერპენდიკულარულია $S_I(1)$ ფაზის სათანადო “აქტუალური პლეადით”, ანუ A_1, A_2, A_3 და A_4 წერტილებით, განსაზღვრული სამგანზომილებიანი ჰიპერზედაპირისა ოთხგანზომილებიან სივრცეში. $A_4(1; 2; 3; 4)$ წერტილში “აქტუალური აბსოლუტური დროის” მიმართულება, $\mathbf{A_4A_5}$ ვექტორი, კვლავ $\mathbf{t_1}$-ის პარალელური ხდება. “აქტუალური აბსოლუტური დროის” გამომსახველი ტეხილის ყოველი წვერო დროის მიმართულების მართი კუთხით შემობრუნების წერტილია. სივრცე-დროის აღწერილი კონცეფცია (დროის მიმართულების ცვლადობა) არის სიახლე, რომელსაც ციკლური ლოგიკა გვაძლევს, როგორც ფუნდამენტურ დონეზე სინამდვილის კვანტური ხასიათის ლოგიკური დასაბუთების სავარაუდო რესურსს.

დროის მიმართულების ცვლას სამყაროს მსხვილმასშტაბიან სურათშიც მოეპოვება ასახვა (ან ამგვარად გააზრებად-ინტერპრეტირებადი ფენომენი): როგორც ცნობილია (ერთ-ერთი ინტერპრეტაციით), შავი ხვრელის მოვლენათა ჰორიზონტზე შეუქცევადი ხდება წანაცვლება შავი ხვრელის ცენტრის მიმართულებით, დრო კი შექცევადი (ერთ-ერთი სივრცითი მიმართულება ენაცვლება დროის ღერძს). ამრიგად, აზრს იძენს შემდეგი ჰიპოთეზა: შავი ხვრელები მივიჩნიოთ ხილული ჰიპერზედაპირის იმ არეებად, სადაც უკვე მორიგი ფაზის მოვლენები ვითარდებიან (დროს სხვა მიმართულება აქვს), ხოლო დიდი აფეთქება და თეთრი ხვრელები იმ ფაზის რეალიზაციის დასაწყისის სხვადასხვამასშტაბიან გამოვლინებებად, რომელ ფაზასაც ჩვენ ვეკუთვნით (“ჩვენი სამყარო” ეკუთვნის).

სრული სისტემის ფაზების ცვლის სქემას, “საკუთარი დროის” მსგავსად, ორივე მიმართულებით უსასრულოს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ - **“უსასრულობის ეფექტის სქემა”**, თუ “აქტუალური პლეადების” სტრუქტურის პოზიციიდან შევხედავთ, მართ კუთხეზე მობრუნებათა რიგის სახე აქვს, რადგან როგორც “აბსოლუტურ დროში”, ასევე, “ფარდობით დროში” მეზობელი ელემენტების სათანადო “აქტუალური პლეადები” ურთიერთმართობულ ჰიპერზედაპირებზე მდებარეობენ. ეს ნიშნავს იმას, რომ სრულ სისტემათა იდენტიფიკაციისთვის შესაძლებელია ბრუნვის ჯგუფების გამოყენება. ამ შემთხვევაში, **“დროის”** (ვუწოდოთ ასე, დამზერად ხდომილებათა რიგს, რომელიც ფიზიკურ დროდ შეიძლება ვიგულისხმოთ) ერთიანი ღერძით წარმოდგენა შეუძლებელია და “დრო” მხოლოდ კონკრეტული ფაზის რეალიზაციის მონაკვეთების რიგად წარმოიდგინება. კერძოდ, როცა $0 \leq k \equiv n(\mathrm{mod}\ 4) \leq 3$ მაშინ $A_{n-1}A_n$ მონაკვეთის პროექცია $\mathbf{t_k}$ ღერძზე შეესაბამება S_k ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის ფაზის რეალიზაციას. ეს არის სრულ სისტემად იდენტიფიცირე-

ბადი ობიექტის არსებობის წესის წარმოდგენის პირველი ვარიანტი, რომელიც ონტოლოგიურ სტიქიათა ეფექტების დაცალკევებულად რეალიზაციების ციკლური რიგით მონაცვლეობაში გამოიხატება.

აღსანიშნავია, რომ "დროის" მიმართულების ცვალებადობის მომენტი, რაც კვანტური არალოკალურობის მოდელირების რესურსადაა საგულვებელი, აქ წარმოდგენილ მოდელში თანაარსებობს "დროის" მიმართულების უცვლელობის მომენტთან, რომელიც კლასიკური ფიზიკისა და აინშტაინის ფარდობითობის სპეციალური თეორიის მახასიათებელია. კერძოდ, A_1, A_2, A_3 და A_4 წერტილების პროექციები x^1 საკოორდინატო ღერძზე, ანუ $\mathbf{t}_1$ ვექტორის მიმართულებაზე, ერთი და იგივეა და x^1 ღერძზე. $\mathbf{A}_4\mathbf{A}_5$ ვექტორის ორთოგონალური პროექცია წყვეტის გარეშე აგრძელებს ამავე ღერძზე $\mathbf{A}_0\mathbf{A}_1$ ვექტორის ორთოგონალურ პროექციას. იგივე ითქმის "დროის" სხვა სამი შესაძლო ძირითადი მიმართულების, ანუ $\mathbf{t}_2$, $\mathbf{t}_3$ და $\mathbf{t}_0$ ღერძების შესახებაც: საზოგადოდ, "აქტუალურ საბაზისო დროსა" თუ "აქტუალურ ფარდობით დროს" ოთხივე ღერძზე უწყვეტი პროექცია აქვთ, ანუ ნოოლოგიურ სტიქიათა ფაზების ცვლის პროცესი ოთხივე ღერძზე უწყვეტ პროცესად აისახება. $\mathbf{A}_{n+3}\mathbf{A}_{n+4}$ ვექტორის პროექცია x^i ღერძზე უწყვეტად აგრძელებს ამავე ღერძზე $\mathbf{A}_{n-1}\mathbf{A}_n$ ვექტორის პროექციას, სადაც $i \equiv n(\mathrm{mod}\ 4)$, და, ამასთანავე, თითოეული ღერძისთვის დანარჩენი სამი ღერძი იმ სამგანზომილებიან ჰიპერზედაპირებს ეკუთვნის, რომლებშიც შესაბამისი "აქტუალური პლეადებია" განთავსებული. ამრიგად, თითოეული საკოორდინატო ღერძი შესაძლებელია ნებისმიერი მასშტაბით დროის უცვლელ მიმართულებად იქნეს წარმოდგენილი. თუ დროის მიმართულებად არჩეულია x^k ღერძი ($\mathbf{t}_k$ მიმართულება) მაშინ, რადგან მასზე არანულოვანი პროექციები აქვთ მხოლოდ $[A_{n-1}A_n]$ მონაკვეთებს, როცა $n \equiv k(\mathrm{mod}\ 4)$ (A_n არის $S_k(n)$ ფაზის რეალიზაციის გამომხატველი ელემენტი), ხოლო A_{n+1}, A_{n+2} და A_{n+3} ელემენტები ისახებიან x^k ღერძზე $[A_nA_{n+4}]$ მონაკვეთის პროექციით წარმოდგენილი დროის შუალედის შინაარსად. ეს გვაძლევს სრული სისტემის ფაზების ცვლის ზემოთ განხილულისგან განსხვავებულ დამზერად სქემას, რომელსაც ონტოლოგიურ სტიქიათა ერთი და იმავე, S_k-სგან განსხვავებული სამეულის - $S_{k+1(\mathrm{mod}\ 4)}$, $S_{k+2(\mathrm{mod}\ 4)}$, $S_{k+3(\mathrm{mod}\ 4)}$ - "სამმაგი ეფექტის ფენომენის" - მდგომარეობის S_k ნოოლოგიური სტიქიის ეფექტების სიმპტომატიკასთან ასოცირებადი მიომენტებით განახლების აქტების რიგის სახე აქვს (როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, სამი ნოოლოგიური სტიქიის ერთობლიობით იდენტიფიცირებადია მეოთხე). მაგ.: $k = 0$ შემთხვევაში განახლების სიმპტომი იქნებოდა სამმაგი ეფექტის ფენომენის კვლავადი გაფართოება; $k = 1$ შემთხვევაში - ერთი და იმავე ადგილის კვლავ დასაკუთრება; $k = 2$ შემთხვევაში - კუმშვა; დაბოლოს $k = 3$ შემთხვევაში - მუდმივი ადგილმონაცვლება.

თუ დამზერადი დროის მიმართულებად ავირჩევთ რომელიმე საკოორდინატო სიბრტყეში მდებარე ვექტორს, მაშინ ფაზების ცვლას ექნება დანარჩენი ორი ღერძის შესაბამის ონტოლოგიურ სტიქიათა ორმაგი ეფექტის ფაზების რიგის სახე.

აღწერილ ოთხგანზომილებიან სივრცეში არსებობს ერთი განსაკუთრებული მიმართულება: მწკრივი (11)-ის ნებისმიერი არჩეული ელემენტი მისგან 4-ის ჯერადი ნაბიჯით

დაშორებულ ელემენტებთან ერთად ერთსა და იმავე წრფეზეა განლაგებული, რომელიც პარალელურია **s** = (1/2; 1/2; 1/2; 1/2) ერთეულოვანი ვექტორისა, რასაც ასახავს შემდეგი ვექტორული ტოლობები: $\mathbf{a} = \mathbf{A}_n\mathbf{A}_{n+4} = 8 \cdot \mathbf{s}$, სადაც n ნებისმიერი მთელი რიცხვია. **a** ვექტორს ვუწოდოთ **"აბსოლუტური დროის ციკლისეული წანაცვლება"**. მწკრივი (11)-ის ყველა ელემენტი ოთხ ურთიერთპარალელურ წრფეზე თავსდება. კერძოდ, ერთ წრფეზე მდებარეობენ A_{4n+1} წერტილები (მაგ., A_1; A_5; A_9; A_{13} და ა. შ.), მეორეზე - A_{4n+2} ; მესამეზე - A_{4n+1}; მეოთხეზე - A_{4n} წერტილები, სადაც n ნებისმიერი მთელი რიცხვია. დროის მიმართულებად **s** ვექტორის არჩევა გვაძლევს "ნოოლოგიურ სტიქიათა" ეფექტების ფაზების ცვლის კიდევ ერთ განსხვავებულ სქემას, რომელსაც "ოთხმაგი ეფექტის ფაზების" რიგის სახე აქვს: A_n და A_{n+4}, სადაც n ნებისმიერი მთელი რიცხვია, არის "აქტუალური აბსოლუტური დროის" მიხედვით უახლოესი ელემენტების წყვილი, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავდებიან ოთხივე კოორდინატით, ამდენად A_n და A_{n+4} წერტილების წყვილით სრული სისტემის მდგომარეობის სრულად განახლება შეიძლება გამოხატოს და $\mathbf{A}_n\mathbf{A}_{n+4}$ ვექტორის პროექცია დროის ღერძზე A_{n+1}, A_{n+2}, A_{n+3} და A_{n+4} ელემენტების შესაბამისი ფაზების, ანუ ოთხივე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტების ერთი რეალიზაციის დროით მონაკვეთად ჩაითვალოს.

ნოოლოგიურ ფაზათა ცვლის სქემის კიდევ ერთი ვარიანტის წარმოჩენა (სხვა შესაძლო შემთხვევებს აქ არ განვიხილავთ) უფრო ძნელი საქმეა და ამ პარაგრაფის დანარჩენი ნაწილის მთელ შინარსთანაა კავშირში.

* * *

ჩავწეროთ "ფარდობითი დროის" წარმომდგენი მწკრივები (6), (7), (8), (9), (10) წმინდა რიცხვით ფორმაში და შევადგინოთ მათი შესაბამისი "აქტუალურ ფარდობით დროთა" წარმომდგენი მწკრივები (აღნიშნულნი ვარსკვლავიანი ნომრებით) მივიღებთ, შესაბამისად, შემდეგი მწკრივების წყვილებს:

... -3; 2; 7; 12; 17; 22; 27; 32; 37; 42 ... (12)

... (-3; 2; 7; 12); (17; 2; 7; 12); (17; 22; 7; 12); (17; 22; 27; 12); (17; 22; 27; 32); (37; 22; 27; 32); (37; 42; 27; 32) ... (12*)

... 17; 14; 11; 8; 5; 2; -1; -4; -7... (13)

... (17; 14; 11; 8); (5; 14; 11; 8); (5; 2; 11; 8); (5; 2; -1; 8); (5; 2; -1; -4); (-7; 2; -1; -4) ... (13*)

...13; 14; 15; 16; 9; 10; 11; 12; 5; 6; 7; 8; 1; 2; 3; 4; -3; -2; -1; 0 ... (14)

...(13; 14; 15; 16); (9; 14; 15; 16); (9; 10; 15; 16); (9; 10; 11; 16); (9; 10; 11; 12); (5; 10; 11; 12); (5; 6; 11; 12); (5; 6; 7; 12); (5; 6; 7; 8); (1; 6; 7; 8); (1; 2; 7; 8); (1; 2; 3; 8); (1; 2; 3; 4); (-3; 2; 3; 4); (-3; -2; 3; 4); (-3; -2; -1; 4); (-3; -2; -1; 4); (-3; -2; -1; 0) ... (14*)

... 1; 2; -1; 0; 5; 6; 3; 4; 9; 10; 7; 8; 13; 14; 11; 12; 17; 18; 15; 16 ... (15)

... (1; 2; -1; 0); (5; 2; -1; 0); (5; 6; -1; 0); (5; 6; 3; 0); (5; 6; 3; 4); (9; 6; 3; 4); (9; 10; 3; 4); (9; 10; 7; 4); (9; 10; 7; 8); (13; 10; 7; 8); (13; 14; 7; 8); (13; 14; 11; 8); (13; 14; 11; 12); (17; 14; 11; 12); (17; 18; 11; 12); (17; 18; 15; 12); (17; 18; 15; 16) ... (15*)

... -8; -7; -10; -9; -4; -3; -6; -5; 0; 1; -2; -1; 4; 5; 2; 3; 8; 9; 6; 7 ... (16)

... (-7; -10; -9; -8;); (-7; -10; -4); (-3; -10; -9; -4); (-3; -6; -9; -4); (-3; -6; -5; -4); (-3; -6; -5; 0); (1; -6; -5; 0); (1; -6; -5; 0); (1; -2; -5; 0); (1; -2; -1; 0); (1; -2; -1; 4); (5; -2; -1; 4); (5; 2; -1; 4); (5; 2; 3; 4); (5; 2; 3; 4); (9; 2; 3; 4); (9; 6; 3; 4); (9; 6; 7; 4) ... (16*)

როგორც ვხედავთ, (12*) - (16*) მწკრივები ("აქტუალური ფარდობითი დროები") არ თანაიკვეთებიან ერთიმეორესთან და მხოლოდ მწკრივი (14*)-ს აქვს საერთო წერტილები მწკრივი (11)-თან, რაც აიხსნება იმით, რომ მწკრივი (14*) მიღებულია მწკრივი (4)-ის სრულ ოთხეულებად დაყოფის გზით - "ატომური გრაფი" მწკრივი (4)-ის უშუალოდ ურთიერთ-მომდევნო ელემენტების ოთხეულისგანაა შედგენილი. თუ "ფარდობითი დროის" მწკრივის ასაგებად "საბაზისო დროის" მწკრივის არაუმეტეს სამელემენტიანი სიგრძის მონაკვეთებად დაყოფაა გამოყენებული, მაშინ "აქტუალურ ფარდობით დროს" არც ერთი საერთო წერტილი არ ექნება "აქტუალურ საბაზისო დროსთან", რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია მწკრივი (11)-ით. ყოველი ობიექტი, კონკრეტული ზედნაგი სრული სისტემის სახით, ოთხგანზომილებიანი სივრცის ექსკლუზიურ ნაწილს წარმოგვიდგენს, რაც **მატერიის და სივრცე-დროის კავშირის** მოდელირების რესურსად წარმოგვიდგება.

ოთხსივრცის ოთხივე საკოორდინატო ვექტორს აქვს არანულოვანი და ურთიერთტოლი გეგმილები **s** ვექტორის მიმართულებაზე, ასე, რომ მწკრივი (11)-ის შემთხვევაში ოთხივე ფაზა გვაძლევს ერთნაირ წანაცვლებას ამ ღერძზე, რომელსაც ლოგიკურია ვუწოდოთ **"აბსოლუტური ეფექტური დროის"** ღერძი. მის მართობულ ჰიპერზედაპირს ვუწოდოთ **"აბსოლუტური ეფექტური სივრცე".** $\mathbf{t}_i$ ვექტორების მართობული, ჰიპერზედაპირები განსხვავდებიან "აბსოლუტური ეფექტური სივრცისგან" და, ამდენად, მასთან თანაკვეთის სიბრტყეებს გვაძლევენ. "აქტუალური პლეადებით" წარმოდგენადი ობიექტების ურთიერთმიმართებებს "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" ორგანზომილებიანი გამოხატულებები გააჩნია.

ოთხსივრცის ოთხივე საკოორდინატო ვექტორს "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეშიც" არანულოვანი და ურთიერთტოლი პროექციები აქვთ, ასე რომ, მწკრივი (11)-ის შემთხვევაში ყველა ფაზა სიმეტრიულ ასახვას პოულობს "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეშიც". თუ $\mathbf{e}_1$, $\mathbf{e}_2$ და $\mathbf{e}_3$ "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" საბაზისო ვექტორებია, მაშინ სრულდება შემდეგი პირობები:

$$(\mathbf{e}_i, \mathbf{t}_j) = \text{const. } =/=0,$$

$$(\mathbf{e}_i, \mathbf{s}) = 0,$$

$$(\mathbf{s}, \mathbf{t}_j) = \text{const. } =/=0,$$

ყოველი $i = 1, 2, 3$ და $j = 1, 2, 3, 0$. (17)

განსხვავება ისაა, რომ "აბსოლუტური აქტუალური დროის" მიმართულების ცვლა "აბსოლუტური ეფექტური დროის" ღერძზე ბოლოებით გადაბმული დალაგებული მონაკვეთების რიგს გვაძლევს 4 ... $\mathbf{t}_j$ ვექტორების ($j = 1, 2, 3, 0$) პროექციების სახით, "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" კი, ანუ **s** ვექტორის მართობულ ჰიპერზედაპირზე, ამ ვექტორების

პროექციები შეკრულ, ორიენტირებულ ტეხილს, გრაფს ქმნიან (რომელიც ერთ სიბრტყეში არ თავსდება, ამიტომ "ოთხკუთხედს" ვერ ვუწოდებთ). ანუ, "აბსოლუტური დროის" სვლას "აბსოლუტური ეფექტური დროის" ღერძზე უწყვეტი და შეუქცევადი წანაცვლებების რიგი ასახავს, "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" კი - წანაცვლებათა ციკლები.

მწკრივი (11)-ის (q^1; q^2; q^3; q^0) წერტილზე გამავალ "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეს", ანუ (1/2; 1/2; 1/2; 1/2) = 1/2 ...(1; 1; 1; 1) ვექტორის მართობულ ჰიპერზედაპირს, ეკუთვნიან (x^1; x^2; x^3; x^0) "აქტუალური წერტილები", რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას:

$$(x^1 - q^1) + (x^2 - q^2) + (x^3 - q^3) + (x^0 - q^0) = 0 \qquad (18)$$

ამ განტოლების ამონახსნები, რომელთა კომპონენტები მხოლოდ მთელი რიცხვებია, მოცემულ წერტილზე გამავალ "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეზე" მდებარე "აქტუალურ წერტილებს" განსაზღვრავენ. ამასთანავე, სრულდება პირობა:

$(x^i - q^i) = 0 (\mathrm{mod}\ 4)$, სადაც i = 1; 2; 3; 0.

ეს პროცედურა ადვილად შეიძლება გავავრცელოთ ნებისმიერი "ფარდობითი დროის" შემთხვევაზე და შემოვიტანოთ **"ფარდობითი ეფექტური დროისა"** და **"ფარდობითი ეფექტური სივრცის"** ცნებები.

შემდგომში A_n და **s** სიმბოლოებს, სადაც n ნებისმიერი მთელი რიცხვია, გამოვიყენებთ მხოლოდ, შესაბამისად, "აბსოლუტური დროის" შემადგენელი "აქტუალური წერტილებისა" და "აბსოლუტური ეფექტური დროის" ერთეულოვანი ვექტორის აღსანიშნავად, ხოლო "ფარდობითი დროის" შემადგენელ "აქტუალურ წერტილებსა" და "ფარდობითი ეფექტური დროის" ერთეულოვან ვექტორს აღვნიშნავთ, შესაბამისად, $A^{(m)}_n$ და $\mathbf{s}^{(m)}$ სიმბოლოებით, სადაც n ნებისმიერი მთელი რიცხვი, ან ხუთწილადია, ხოლო m, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არის ამ (კონკრეტული) "ფარდობით დროის" მწკრივის რომელობაზე მიმანიშნებელი (მაიდენტიფიცირებელი) რიცხვი (მაგ., ამ ტექსტში "ფარდობითი დროის" მწკრივის ნომერი), ან რაიმე სხვაგვარი სიმბოლო. "ფარდობითი დროის ციკლისეული წანაცვლების ვექტორები" შეიძლება m ინდექსით გავარჩიოთ ერთიმეორისგან, ანუ აღვნიშნოთ ისინი $\mathbf{a}^{(m)}$ სიმბოლოებით. ცხადია, $\mathbf{a}^{(m)} \equiv A^{(m)}_n A^{(m)}_{n+4}$. უინდექსო **a** შეესაბამება "აბსოლუტური დროის" მწკრივს, ანუ $\mathbf{a} \equiv A_n A_{n+4}$. უმარტივეს შემთხვევაში, "ფარდობითი ეფექტური დროის ციკლისეული წანაცვლება" n-ისგან დამოუკიდებელი მუდმივი ვექტორია, ანუ, თუ $\mathbf{a}^{(m)}$ = const..

შევნიშნოთ, რომ (12*) - (16*) მწკრივების შემთხვევაშიც "ფარდობითი ეფექტური დროის" მიმართულება (1; 1; 1; 1) ვექტორის პარალელურია, ან ანტიპარალელური (თანამიმართული, ან საწინააღმდეგოდ მიმართული):

$$\mathbf{a}^{(12)} = (17 - (-3); 22 - 2; 27 - 7; 32 - 12) = 20 \cdot (1; 1; 1; 1) = 40 \cdot \mathbf{s},$$

$$\mathbf{a}^{(13)} = (5 - 17; 2 - 14; -1 - 11; -4 - 8) = -12 \cdot (1; 1; 1; 1) = -24 \cdot \mathbf{s},$$

$$\mathbf{a}^{(14)} = (9 - 13; 10 - 14; 11 - 15; 12 - 16) = -4 \cdot (1; 1; 1; 1) = -8 \cdot \mathbf{s},$$

$$\mathbf{a}^{(15)} = (5 - 1; 6 - 4; 3 - (-1); 4 - 0) = 4 \cdot (1; 1; 1; 1) = 8 \cdot \mathbf{s},$$

$$\mathbf{a}^{(16)} = (-3 - (-7); -6 - (-10); -5 - (-9); -4 - (-8)) = 4 \cdot (1; 1; 1; 1) = 8 \cdot \mathbf{s}.$$

აქ, "ფარდობით დროთა" საიდენტიფიკაციო სიმბოლოებად შესაბამისი მწკრივების ნომრებია გამოყენებული. მივიღეთ ორი განსხვავებული შემთხვევა: $\mathbf{s}^{(m)} = \pm\mathbf{s}$, ანუ

“ფარდობითი ეფექტური დრო” “აბსოლუტური ეფექტური დროის” თანამიმართულიც შეიძლება იყოს და საწინააღმდეგოდ მიმართულიც. ეს გარემოება ფუნდამენტურ დონეზე (ელემენტარული ნაწილაკების შემთხვევაში) განსხვავებული ნიშნის ელექტრული მუხტების არსებობის ფაქტის მოდელირების რესურსადაა საგულვებელი.

ამრიგად, (12*) - (16*) მწკრივების შემთხვევაში, მათ (q^1; q^2; q^3; q^0) აქტუალურ წერტილზე გამავალი “ფარდობითი ეფექტური სივრცის” განმსაზღვრელია იგივე განტოლება (18) და “ფარდობითი ეფექტური სივრცეები” და “აბსოლუტური ეფექტური სივრცეებიი” პარალელურ, ან ერთი და იმავე ჰიპერზედაპირებზე მდებარეობენ, რომლებზეც, მათ შორის განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ ჰიპერზედაპირებზე აქტუალური წერტილების სიმკვრივის მიხედვით.

საზოგადოდ, “ფარდობითი ეფექტური დროის” მიმართულება $\mathbf{s}^{(m)}$ არაა აუცილებელი $\mathbf{s}$ ვექტორის პარალელური, ან ანტიპარალელური იყოს. შესაძლებელია ეს ორი ვექტორი ერთმანეთთან როგორც ბლაგვ, ასევე, მახვილ კუთხეს ადგენდეს. ამის საილუსტრაციოდ გამოსადეგი “ფარდობითი დროის” მაგალითები გრაფების მეთოდითაც ადვილად მიიღება, მაგრამ უფრო მოხერხებულია სხვა მეთოდი. კერძოდ, “ფარდობითი დროის” მწკრივის აგება მისი ნებისმიერი ერთი (q^1; q^2; q^3; q^0) ელემენტისა (ერთი “აქტუალური წერტილისა”) და წინასწარ არჩეული $\mathbf{a}^{(m)} \equiv (a^{(m)1}; a^{(m)2}; a^{(m)3}; a^{(m)0})$ ვექტორის მეშვეობითაცაა შესაძლებელი: $\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორის “ფარდობითი დროის ციკლისეული წანაცვლებად” მივიჩნევთ (ინდექსი m “აქტუალურ წერტილთა” მწკრივის საიდენტიფიკაციო სიმბოლოა). საამისოდ აუცილებელია და საკმარისი, ამ ვექტორის კომპონენტები აკმაყოფილებდნენ პირობებს:

$$a^{(m)k} = 0(\mathrm{mod}\ 4), \text{ სადაც } 0 \le k \le 3.$$

$\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორით აგებულ “ფადრობითი დროის” სახე დამოკიდებულია იმაზეც თუ რა წესით იქნება დალაგებული “ფარდობითი დროის” მწკრივში “საბაზისო დროის” მწკრივის $S_I(q^1)$, $S_{II}(q^2)$, $S_{III}(q^3)$, $S_{IV}(q^0)$ ელემენტები: თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ამ ოთხეულით მოცემული ერთი ციკლის რიგით მეოთხე ელემენტი. მაგ., თუ დასახელებულ ოთხეულში ასეთია (რიგით უკანასკნელი ელემენტია) $S_{IV}(q^0)$, მაშინ “ფარდობითი დრო” ჩაიწერება შემდეგი სახით (ხაზგასმულია ამოსავალი ელემენტი):

$$\begin{gathered}
\ldots\ S_{III}(q^3 - 2a^{(m)3});\ S_{IV}(q^0 - 2a^{(m)0});\ S_I(q^1\ \ a^{(m)1});\ S_{II}(q^2 - a^{(m)2});\\
S_{III}(q^3 - a^{(m)3});\ S_{IV}(q^0 - a^{(m)0});\ \underline{S_I(q^1),\ S_{II}(q^2);\ S_{III}(q^3);\ S_{IV}(q^0)};\ S_I(q^1 + a^{(m)1});\ S_{II}(q^2 + a^{(m)2});\\
S_{III}(q^3 + a^{(m)3});\ S_{IV}(q^0 + a^{(m)0});\ S_I(q^1 + 2a^{(m)1});\ S_{II}(q^2 + 2a^{(m)2});\ \ldots
\end{gathered} \tag{19}$$

“აქტუალური ფარდობითი დრო” კი შემდეგი მწკრივის სახით ჩაიწერება:

$$\begin{gathered}
\ldots\ (q^1 - a^{(m)1};\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - 2a^{(m)3};\ q^0 - 2a^{(m)0});\ (q^1 - a^{(m)1};\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - a^{(m)3};\ q^0 - 2a^{(m)0});\\
(q^1 - a^{(m)1};\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - a^{(m)3};\ q^0 - a^{(m)0});\ (q^1;\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - a^{(m)3};\ q^0 - a^{(m)0});\\
(q^1;\ q^2;\ q^3 - a^{(m)3};\ q^0 - a^{(m)0});\ (q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0 - a^{(m)0});\ \underline{(q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0)};\\
(q^1 + a^{(m)1};\ q^2;\ q^3;\ q^0);\ (q^1 + a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^3;\ q^0);\ (q^1 + a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^3 + a^{(m)3};\ q^0);\\
(q^1 + a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^3 + a^3;\ q^0 + a^{(m)0});\ (q^1 + 2a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^3 + a^{(m)3};\ q^0 + a^{(m)0});\\
(q^1 + 2a^{(m)1};\ q^2 + 2a^{(m)2};\ q^3 + a^{(m)3};\ q^0 + a^{(m)0});\ \ldots
\end{gathered} \tag{19*}$$

ხოლო, თუ დასახელებულ ოთხეულში "ფარდობითი დროის" რიგით უკანასკნელი ელემენტი არის $S_{III}(q^3)$, მაშინ "ფარდობითი დრო" შემდეგ სახეს მიიღებს (ხაზგასმულია ამოსავალი ოთხეული):

$$\ldots S_{II}(q^2 - 2a^{(m)2});\ S_{III}(q^3 - 2a^{(m)3});\ S_{IV}(q^0 - a^{(m)0});\ S_I(q^1\ \ a^{(m)1});\ S_{II}(q^2 - a^{(m)2});$$

$$S_{III}(q^3 - a^{(m)3});\ \underline{S_{IV}(q^0);\ S_I(q^1),\ S_{II}(q^2);\ S_{III}(q^3)};\ S_{IV}(q^0 + a^{(m)0});\ S_I(q^1 + a^{(m)1});$$

$$S_{II}(q^2 + a^{(m)2});\ S_{III}(q^3 + a^{(m)3});\ S_{IV}(q^0 + 2a^{(m)0});\ S_I(q^1 + 2a^{(m)1});\ \ldots \qquad (20)$$

"აქტუალური ფარდობითი დრო" კი შემდეგი სახისაა:

$$\ldots (q^1 - a^{(m)1};\ q^2 - 2a^{(m)2};\ q^3 - 2a^{(m)3};\ q^0 - a^{(m)0});\ (q^1 - a^{(m)1};\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - 2a^{(m)3};\ q^0 - a^{(m)0});$$

$$(q^1 - a^{(m)1};\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - a^{(m)3};\ q^0 - a^{(m)0});\ (q^1 - a^{(m)1};\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - a^{(m)3};\ q^0);$$

$$(q^1;\ q^2 - a^{(m)2};\ q^3 - a^{(m)3};\ q^0);\ (q^1;\ q^2;\ q^3 - a^{(m)3};\ q^0);\ \underline{(q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0)};\ (q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0 + a^{(m)0});$$

$$(q^1 + a^{(m)1};\ q^2;\ q^3;\ q^0 + a^{(m)0});\ (q^1 + a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^{(m)3};\ q^0 + a^{(m)0});$$

$$(q^1 + a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^3 + a^{(m)3};\ q^0 + a^{(m)0});\ (q^1 + a^{(m)1};\ q^2 + a^{(m)2};\ q^3 + a^{(m)3};\ q^0 + 2a^{(m)0});$$

$$(q^1 + 2^{(m)}a^1;\ q^2 + a^{(m)2};\ q^3 + a^{(m)3};\ q^0 + 2a^{(m)0});\ \ldots \qquad (20\ ^*)$$

დარჩენილი ორი შემთხვევაც ანალოგიურად აიგება. მწკრივები (19)-ისა და (20)-ის აგების პროცედურის გათვალისწინებით, ცხადია, $\mathbf{a}^{(19)} = \mathbf{a}^{(20)}$. აქ, m ინდექსის მნიშვნელობად არჩეულია შესაბამის მწკრივთა ნომრები - რადგან მწკრივები (19) და (19*), ისევე, როგორც მწკრივები (20) და (20*), ერთი და იმავე ზედნაგ სრულ სისტემებს წარმოგვიდგენენ, m-ის შერჩევისას (19)-სა და (19*) სიმბოლოებს, ასევე, (20)-სა და (20*) სიმბოლოებს შორის განსხვავებები არ არის.

საზოგადოდ, "აქტუალური ფარდობითი დროის" ელემენტების დანომრვის წესიც შეიძლება შევათანხმოთ მწკრივი (2)-ის დანომრვის წესთან. კერძოდ, ნული ნომრად მივანიჭოთ "აქტუალურ წერტილს", რომლის შესაბამის ოთხეულშიც, "ფარდობითი დროის" მწკრივში ელემენტების რიგის მიხედვით, უკანასკნელი ელემენტია მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის ფაზის შესაბამისი ელემენტი. მაგ., მწკრივი (19*)-ის შემთხვევაში, რადგან $(q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0)$ წერტილის შესაბამის "ნოოლოგიურ სტიქიათა" ეფექტების ოთხეულში "ეფექტური დროის" რიგით უკანასკნელი ელემენტია $S_{IV}(q^0)$, აქ შეთანხმებული წესის მიხედვით დაშვებული არჩევანი იქნებოდა:

$$\ldots \text{ან } A^{(19)}{}_0 \equiv (q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0),\ \text{ან } A^{(19)}{}_0 \equiv (q^1 - a^{(19)1};\ q^2 - a^{(19)2};\ q^3 - a^{(19)3};\ q^0 - a^{(19)0}),$$

$$\text{ან } A^{(19)}{}_0 \equiv (q^1 + a^{(19)1};\ q^2 + a^{(19)2};\ q^3 + a^{(19)3};\ q^0 + a^{(19)0}) \text{ და ა. შ.}$$

მწკრივი (20* * *)-ის შემთხვევაში კი გვექნება შემდეგი სახის არჩევანი:

$$\ldots \text{ან } A^{(20)}{}_0 \equiv (q^1 - a^{(20)1};\ q^2 - a^{(20)2};\ q^3 - a^{(20)3};\ q^0),$$

$$\text{ან } A^{(20)}{}_0 \equiv (q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0 + a^{(20)0}),\ \text{ან } A^{(20)}{}_0 \equiv (q^1 + a^{(20)1};\ q^2 + a^{(20)2};\ q^3 + a^{(20)3};\ q^0 + 2a^{(20)0}) \text{ და ა. შ.}$$

$\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის "ფარდობით ეფექტურ სივრცეთა" მიმართულება იქნება განსხვავებული. კერძოდ, $(q^1;\ q^2;\ q^3;\ q^0)$ წერტილზე გამავალი "ფარდობითი ეფექტური დროის" მართობული ჰიპერზედაპირების განტოლებებს ექნებათ შემდეგი სახე:

$$a^{(m)1} \cdot (x^1 - q^1) + a^{(m)2} \cdot (x^2 - q^2) + a^{(m)3} \cdot (x^3 - q^3) + a^{(m)0} \cdot (x^0 - q^0) = 0. \qquad (21)$$

ამრიგად, მივიღეთ, რომ "ფარდობით ეფექტურ სივრცეებსა" და $\mathbf{t_i}$ ვექტორს შორის კუთხეები შეიძლება იყოს სხვადასხვა.

* * *

აქამდე, "სრულ სისტემათა" ფაზების რიგებს განვიხილავდით, როგორც რეალიზებულ, აქტუალურ უსასრულობებს, რაც სრულ სისტემათა ურთიერთკავშირის სტატიკურ სურათს იძლევა. შესაძლებელია მივიღოთ ცვლადი, "დროში" განვითარებადი სურათიც. კერძოდ, მართალია, "საბაზისო სრული სისტემის" ფაზების რიგი წარსულის მიმართულებით არ შეიძლება უსასრულო არ იყოს, მაგრამ მომავლის მხრიდან შეიძლება ის შემოსაზღვრულ, თუმცა მუდმივად შევსების პროცესში მყოფ სიმრავლედ წარმოვიდგინოთ. მაშინ ოთხსივრცეშიც ფაზების ცვლის პროცესი გამოისახება მზარდი ტეხილის სახით, რომელსაც "სრული სისტემის" ყოველი ახალი ფაზის რეალიზაციით შესაბამისი საკოორდინატო ღერძის პარალელური მონაკვეთი ემატება, რომელიც გამოსახავს "დროის" ნაზრდს ამ ფაზის რეალიზაციის შედეგად და მის მიმართულებას ამ ფაზის რეალიზაციის პროცესში.

წარმოვადგინოთ "აქტუალური აბსოლუტური დრო" ზრდის (ქმნადობის) პროცესში. ვთქვათ, აქტუალური წერტილი $(q^1; q^2; q^3; q^0)$ ამ მწკრივის უკანასკნელი რეალიზებული წერტილია და $q^1 < q^2 < q^3 < q^0$, რაც ნიშნავს იმას, რომ მწკრივი (4)-ის უკანასკნელი რეალიზებული ელემენტია $S_{IV}(q^0)$, ანუ ამ მომენტისთვის გამოვლენილია "აბსოლუტური დროის" მწკრივის მარჯვნიდან შემოსაზღვრული შემდეგი ნაწილი:

$$\ldots q^1 - 4; q^2 - 4; q^3 - 4; q^0 - 4; q^1; q^2; q^3; q^0.$$

იგივე მწკრივი შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$\ldots q - 7; q - 6; q - 5; q - 4; q - 3; q - 2; q - 1; q. \qquad (22)$$

ამ უკანასკნელი ჩანაწერის მისაღებად შემოტანილია აღნიშვნა $q^0 = q$. ზემოაღნიშნულ პირობებში, "საკუთარი დროის" მწკრივის ელემენტების დანომრვის წესის გათვალისწინებით, გვექნება $q = 0 (\mathrm{mod}\ 4)$ და

$$(q^1; q^2; q^3; q^0) \equiv (q - 3; q - 2; q - 1; q) \equiv A_q,$$

ხოლო მწკრივი (11*)-ის ჩანაწერის შესაბამისი ფრაგმენტი იქნება შემდეგი სახისა:

$$\ldots A_{q-7}; A_{q-6}; A_{q-5}; A_{q-4}; A_{q-3}; A_{q-2}; A_{q-1}; A_q. \qquad (22^*)$$

ერთ პარამეტრზე გადასვლა შესაძლებელია ნებისმიერი სახის "აქტუალური ფარდობითი დროის" მწკრივის შემთხვევაშიც. ერთ პარამეტრზე გადასვლით აქტუალურ წერტილთა ჩაწერის ზოგადი სახეა $A_q = (f^1(q); f^2(q); f^3(q); f^0(q))$.

დავუბრუნდეთ განსახილველ მაგალითს. "აქტუალური აბსოლუტური დროის" რეალიზაციის იმ ეტაპზე, რომელიც მწკრივი (22*)-ითაა გამოსახული, "აქტუალური ფარდობითი დროის" მწკრივების წარმოდგენისთვის დაშვებული "აქტუალური წერტილების" სიმრავლე შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$\{(x^1; x^2; x^3; x^0) \mid x^i \leq q^i, \}$$

სადაც q^i რიცხვები A_q წერტილის კოორდინატებია.

ვუწოდოთ ამ სიმრავლეს **"აქტუალური კორპუსი"**, ამ კერძო შემთხვევაში ეს არის **"აბსოლუტური აქტუალური კორპუსი"**, ხოლო "ფარდობითი დროის" შესაბამის ამგვარივე სიმრავლეს ვუწოდოთ **"ფარდობითი აქტუალური კორპუსი"**. ზემოხსენებული ერთპარამეტრიანი წარმოდგენის შემთხვევაში "აბსოლუტური აქტუალური კორპუსი" შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$\{(x^1; x^2; x^3; x^0)|\ x^1 \leq q - 3,\ x^2 \leq q - 2,\ x^3 \leq q - 1,\ x^0 \leq q\} \qquad (22^{**})$$

$(x^1; x^2; x^3; x^0)$ წერტილების $x^i < b^i$ სახის უტოლობებით განსაზღვრული სიმრავლე, სადაც b^i სასრული რიცხვებია, წარმოადგენს ოთხგანზომილებიანი სივრცის 1/16 ნაწილს, ოთხწახნაგა კუთხეს, წახნაგებად საკოორდინატო ღერძების პარალელური სხივებით შედგენილი მართი სამწახნაგა კუთხეებით. $(b^1; b^2; b^3; b^0)$ წერტილი ამ კუთხის წვეროა. b^i რიცხვთაგან რომელიმე ერთის გაზრდით ამ ოთხწახნაგა კუთხეს ემატება შესაბამისი სამგანზომილებიანი მისი წახნაგთაგანის პარალელური შრე და იცვლება კუთხის წვერო. "სრული სისტემის" ფაზების სვლაში "აქტუალური კორპუსი" (აბსოლუტური, თუ ფარდობითი) ამგვარ ზრდას განიცდის ოთხივე სამგანზომილებიანი წახნაგის მიმართულებით, ციკლური რიგის დაცვით. ყოველ საფეხურზე იცვლება მის წარმომდგენ ოთხწახნაგა კუთხის წვეროც. ვუწოდოთ მას - **"აქტუალური კორპუსის წვერო"**.

განსახილველ შემთხვევაში $S_{IV}(q)$ ფაზის რეალიზაციის განმსახიერებელ-განსაზღვრულ A_q წერტილზე გამავალი "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გამოვლენა იწყება ამ მხოლოო წერტილით (სინგულარული დასაწყისი). ამის გათვალისწინებით, მის გამოვლენილ ნაწილს A_q წერტილზე "მზარდი ეფექტური სივრცე" შეიძლება ვუწოდოთ. წარმოდგენილ განვითარებად სურათში A_q შემოდის "აბსოლუტური აქტუალური კორპუსის" ახალი წვეროდ.

$S_{IV}(q)$ ფაზის მომდევნოა $S_I(q + 1)$ ფაზა, რომლის რეალიზაციით "აბსოლუტური დრო" შეივსება ერთი ელემენტით და მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\ldots q - 7;\ q - 6;\ q - 5;\ q - 4;\ q - 3;\ q - 2;\ q - 1;\ q;\ q + 1. \qquad (23)$$

$A_{q+1} \equiv (q + 1; q - 2; q - 1; q)$ წერტილი ცვლის A_q წერტილს "აბსოლუტური აქტუალური კორპუსის წვეროს" როლში. "აქტუალური აბსოლუტური დრო" ივსება ახალი ელემენტით და ღებულობს სახეს:

$$\ldots A_{q-7}; A_{q-6}; A_{q-5}; A_{q-4}; A_{q-3}; A_{q-2}; A_{q-1}; A_q; A_{q+1}. \qquad (23^*)$$

"აბსოლუტური აქტუალური კორპუსის" წერტილთა სიმრავლე კი ფართოვდება ახალი ფენით:

$$\{(q + 1; x^2; x^3; x^0)|\ x^2 \leq q - 2,\ x^3 \leq q - 1,\ x^0 \leq q\},$$

გაფართოებული "აბსოლუტური აქტუალური კორპუსი" კი შემდეგი სახისაა:

$$\{(x^1; x^2; x^3; x^0)|\ x^1 \leq q + 1,\ x^2 \leq q - 2,\ x^3 \leq q - 1,\ x^0 \leq q\}. \qquad (23^{**})$$

ამ ეტაპზე, "აბსოლუტური აქტუალური კორპუსის" მხოლოდ სამი წერტილი ეკუთვნის A_q "წერტილზე მზარდ აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეს". ვუწოდოთ მათ "A_q "წერტილზე

მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" პირველი თაობის წერტილები" და აღვნიშნოთ შემდეგნაირად:

$$B^{(q)}_{1,2} \equiv (q+1;\ q-6;\ q-1;\ q),\ B^{(q)}_{1,3} \equiv (q+1;\ q-2;\ q-5;\ q),$$
$$B^{(q)}_{1,0} \equiv (q+1;\ q-2;\ q-1;\ q-4). \qquad (24)$$

$B^{(q)}_{m,n}$ გამოსახულებაში ინდექსი q მიუთითებს "აბსოლუტური ეფექტური სივრცის წერტილის" რომელობაზე (რომელ "აქტუალურ წერტილზეა" მზარდი ის), ქვედა პირველი ინდექსი m - მიუთითებს თუ რომელი თაობისაა დასახელებული წერტილი, ხოლო ინდექსი n ერთიმეორისგან განარჩევს ერთი თაობის წერტილებს. ყოველ თაობაში მხოლოდ სამი წერტილია, n ღებულობს მნიშვნელობებს {1; 2; 3; 0} სიმრავლიდან და ერთი თაობის წერტილთა სამეულის შესაბამისი n-ის მნიშვნელობათა სამეული ოთხეულამდე ივსება რიცხვი k-ს მნიშვნელობით, სადაც $0 \le k \equiv m \pmod 4 \le 3$. წერტილზე მზარდი "ეფექტური სივრცის" წარმომდეგენი "აქტუალური წერტილების" თაობათა დანომრვის წესის "აბსოლუტური დროის" მწკრივის ელემენტების დანომრვის წესთან სრული შეთანხმების დასასრულებლად საკმარისია თავად A_q, რომელიც მასზე მზარდი "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გამოვლენის დამწყები წერტილია, მივიჩნიოთ ნულოვანი თაობის წერტილად; კერძოდ, დავნომროთ ის შემდეგი წესით:

$$A_q \equiv B^{(q)}_{0,g},\ \text{სადაც}\ g = 1 + \min\{q \pmod 4 \ge 0\} \qquad (24^*)$$

ამ კერძო შემთხვევაში $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$, რადგან $q \equiv 0 \pmod 4$ და, ამრიგად, $g = 1 + 0 = 1$. როგორც ვხედავთ $B^{(q)}_{1,2}$, $B^{(q)}_{1,3}$ და $B^{(q)}_{1,0}$ წერტილების ქვედა მეორე ინდექსების სამეულს სრულ ოთხეულებამდე ავსებს, სწორედ, რიცხვი 1. ამ შემთხვევაში, m და n ინდექსების მნიშვნელობები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ეს ამ კერძო მაგალითის მახასიათებელია და არა - საზოგადო კანონზომიერება. მაგ., ამავე პირობებში ($q \equiv 0 \pmod 4$) გვაქვს: $A_{q+3} \equiv B^{(q+3)}_{0,0}$, $B^{(q+3)}_{1,1}$, $B^{(q+3)}_{1,2}$ და $B^{(q+3)}_{1,3}$ - მეორე ინდექსები კვლავ სრულ ოთხეულს შეადგენენ, მაგრამ გვაქვს პირველ ინდექსებთან დამთხვევის ორი შემთხვევა. ინდექსების ურთიერთდამთხვევებს ავიცილებდით, თუ მზარდი სივრცის წერტილთა თაობების დანომრვას დავიწყებდით არა 0-იდან, არამედ $\min\{q \pmod 4 \ge 0\}$-ის მნიშვნელობიდან, რაც $q \equiv 0 \pmod 4$ შემთხვევაში სრულდება.

დავუბრუნდეთ განსახილველ შემთხვევას. $B^{(q)}_{1,2}$, $B^{(q)}_{1,3}$ და $B^{(q)}_{1,0}$ წერტილები $B^{(q)}_{0,1} \equiv A_q$ წერტილიდან $\mathbf{t_1}$ ვექტორით დაშორებულ A_{q+1} წერტილისგან დანარჩენი სამი საკოორდინატო ღერძების გასწვრივ $(-4) \cdot \mathbf{t_i}$ ვექტორებზე წანაცვლებით არიან მიღებული, სადაც $i = 2, 3, 0$.

$B^{(q)}_{12}$, $B^{(q)}_{13}$, $B^{(q)}_{10}$ და $B_{0,1} \equiv A_q$ წერტილების ოთხეული განსაზღვრავს ტეტრაედრს, რასაც ადასტურებს

$$\mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{1,2} = (4;\ -4;\ 0;\ 0),\ \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{1,3} = (4;\ 0;\ -4;\ 0),\ \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{1,0} = (4;\ 0;\ 0;\ -4),\ \mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{1,3} = (0;\ 4;\ -4;\ 0),$$
$$\mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{1,0} = (0;\ 4;\ 0;\ -4),\ \mathbf{B}^{(q)}_{1,0}\mathbf{B}^{(q)}_{1,3} = (0;\ 0;\ -4;\ 4) \qquad (24^{**})$$

ვექტორების მოდულების ურთიერთშედარება. ხოლო, ის ფაქტი, რომ ყველა ეს ვექტორი მართობულია მწკრივი (11)-ის შესაბამისი "აბსოლუტური ეფექტური დროის" მი-

მართულებისა, **s** ვექტორისა, ადასტურებს $B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}\,A_q$ ტეტრაედრის "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" ლოკალიზებულობას. ეს სივრცე ამ ეტაპზე მხოლოდ ამ ტეტრაედრით მოიცემა. ეს ტეტრაედრი არის "აბსოლუტური აქტუალური კორპუსისა" და "აბსოლუტური ეფექტური დროის" მართობული ჰიპერზედაპირის თანაკვეთა, რომელიც, როგორც ვნახავთ, ფართოვდება "აქტუალური კორპუსის" ზრდის კვალდაკვალ.

ამრიგად, $S_I(q^1 + 4)$ ფაზის რეალიზაციით A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცე $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$ მხოლოო წერტილით წარმოდგენილ მდგომარეობიდან გადადის ამ წერტილითა და $B^{(q)}_{1,2}$, $B^{(q)}_{1,3}$, $B^{(q)}_{1,0}$ წერტილების სამეულით განსაზღვრული სამგანზომილებიანი ფიგურით, ტეტრაედრით წარმოდგენილ მდგომარეობაში. ამ ორ მდგომარეობას შორის არა გვაქვს არავითარი სხვა, მწკრივი (11)-ით წარმოდგენილ "სრული სისტემის" მდგომარეობით ინტერპრეტირებადი ეტაპი, რაც გვაძლევს ნახტომისებური (მყისიერი ბიჯით) გაფართოების ეფექტს. საწყისი წერტილი (სინგულარული დასაწყისი) $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$ ამ ტეტრაედრის საზღვარზეა - ტეტრაედრის წვეროა და არა მისი შიგა წერტილი, ანუ ამ გაფართოებას ახასიათებს ასიმეტრიულობა, თუმცა, როგორც ვნახავთ, $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$ წერტილი პერიოდულად აღმოჩნდება მასზე მზარდი "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წამომდგენი გეომეტრიული ფიგურის სიმეტრიის ცენტრში.

მორიგი, $S_{II}(q + 2)$ ფაზის რეალიზაციით მიიღწევა "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გაფართოების მორიგი ნაბიჯი (ასევე, დისკრეტული ნახტომი) - "აბსოლუტური დროის" მწკრივის ფრაგმენტი (23) ივსება ახალი ელემენტით და ღებულობს სახეს:

$$. . q - 7; q - 6; q - 5; q - 4; q - 3; q - 2; q - 1; q; q + 1; q + 2. \qquad (25)$$

"აქტუალურ აბსოლუტურ დროს" ემატება $A_{q+2} = (q+1; q+2; q-1; q)$ წერტილი და ღებულობს შემდეგ სახეს:

$$\ldots A_{q-7}; A_{q-6}; A_{q-5}; A_{q-4}; A_{q-3}; A_{q-2}; A_{q-1}; A_q; A_{q+1}; A_{q+2}. \qquad (25^*)$$

"აბსოლუტური აქტუალური კორპუსი" ივსება შესაბამისი წახნაგის პარალელური ფენით:

$$\{(x^1; q + 2; x^3; x^0) \backslash\, x^1 \le q + 1,\ x^3 \le q - 1,\ x^0 \le q\}. \qquad (25^{**})$$

ამ ფენიდან "A_q წერტილზე მზარდი, აბსოლუტური ეფექტური სივრცის" სამი მთავარი წერტილი განისაზღვრება პირველი თაობის წერტილთა სამეულის ანალოგიურად. კერძოდ, A_{q+2} წერტილიდან $(-8) \cdot \mathbf{t}_i = 2 \ldots (-4) \cdot \mathbf{t}_i$ ვექტორებზე წანაცვლებით, სადაც i = 1, 3 და 0:

$$B^{(q)}_{21} \equiv (q - 7; q + 2; q - 1; q),\ B^{(q)}_{23} \equiv (q+ 1; q + 2; q - 9; q),$$
$$B^{(q)}_{20} \equiv (q + 1; q + 2; q - 1; q - 8) \qquad (26)$$

რადგან ვექტორები

$$\mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{2,1} \equiv (-4; 4; 0; 0),\ \ \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{2,3} \equiv (4; 4; -8; 0),\ \ \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{2,0} \equiv (4; 4; 0; -8),$$
$$\mathbf{B}^{(q)}_{2,1}\mathbf{B}^{(q)}_{2,3} \equiv (8; 0; -8; 0),\ \ \mathbf{B}^{(q)}_{2,1}\mathbf{B}^{(q)}_{2,0} \equiv (8; 0; 0; -8),\ \ \mathbf{B}^{(q)}_{2,0}\mathbf{B}^{(q)}_{2,3} \equiv (0; 0; -8; 8) \qquad (26^*)$$

მართობულებია **s** ვექტორისა და

$$\mathbf{B}^{(q)}_{2,1}\mathbf{B}^{(q)}_{2,3} \,||\, \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{1,3},\ \ \mathbf{B}^{(q)}_{2,3}\mathbf{B}^{(q)}_{2,0} \,||\, \mathbf{B}^{(q)}_{1,0}\mathbf{B}^{(q)}_{1,3},\ \ \mathbf{B}^{(q)}_{2,1}\mathbf{B}^{(q)}_{2,0} \,||\, \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{1,0}, \qquad (26^{**})$$

გამოდის, რომ $(B^{(q)}_{2,1}B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{2,0}) \,||\, (B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}A_q)$, და, რადგან "$A_q$ წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წარმომდგენი ფიგურა ამ მეორე ნაბიჯით ფართოვდება $B^{(q)}_{2,1}$, $B^{(q)}_{2,3}$ და $B^{(q)}_{2,0}$ წერტილების მიმართულებით, ეს მიმართულება $B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}A_q$ ტეტრაედრის $B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}A_q$ წახნაგის მართობულია.

გარდა ამისა, რადგან,

$$\mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{2,0} \,||\, \mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{1,0}, \quad \mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{2,1} \,||\, \mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{A}_q, \quad \mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{2,3} \,||\, \mathbf{B}^{(q)}_{1,2}\mathbf{B}^{(q)}_{1,3}$$

და

$$B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{2,0} = B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{2,1} = B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{2,3} = B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{2,1} = B^{(q)}_{2,0}B^{(q)}_{2,1} = B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{2,0}, \qquad (26^{**})$$

გამოდის, რომ გაფართოების მეორე ნაბიჯის შემდეგაც "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცე" კვლავ წარმოდგენილია ტეტრაედრით. ამჯერად, ეს არის $B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{2,1}B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{2,0}$ ტეტრაედრი. ის მიიღება $A_qB^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}$ ტეტრაედრის $A_qB^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}B^{(q)}_{2,1}B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{2,0}$ წაკვეთილი პირამიდით შევსების შედეგად. გაფართოების ეს მეორე ნაბიჯიც ასიმეტრიულია: A_q წერტილი აღარ არის ახალი ტეტრაედრის წვერო, მაგრამ ის მაინც მის ზედაპირზე რჩება, $B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{2,1}$ წიბოს ეკუთნის, მისი შუაწერტილია, რასაც ამტკიცებს შემდეგი ვექტორული ტოლობა:

$$\mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{1,2} + \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{2,1} = 0. \qquad (26^{***})$$

"A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წარმომდგენი პირველი და მეორე ტეტრაედრები ადვილად შესამჩნევი წესითაა განსაზღვრული: უკანასკნელი რეალიზებული "აქტუალური წერტილიდან" "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წერტილებამდე უკუქცევის დისტანცია ახალი თაობის წერტილთა თაობის ნომრის პროპორციულია; ახალი (აქ - მეორე) თაობის ტეტრაედრის სამი წვერო ბოლო (აქ - მეორე) თაობის წერტილთა სამეულია, მეოთხე წვერო კი წინა (აქ - პირველი) თაობის ის წერტილია, რომლის მეორე ქვედა ინდექსი სრულ ოთხეულამდე ავსებს ხსენებული სამეულის მეორე ქვედა ინდექსების სიმრავლეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განახლებული ტეტრაედრის წვეროდ დადგენილი წინა თაობის წერტილის მეორე ქვედა ინდექსი ემთხვევა უკანასკნელი რეალიზებული ფაზის შესაბამისი ნოოლოგიური სტიქიის ნომერს, ანუ უკანასკნელი ფაზის რეალიზაციაში "აქტუალური აბსოლუტური დროის" მიმართულების პარალელურ საკოორდინატო ღერძის ნომერს. ამ წესს ეთანხმება A_q წერტილის მეორადი დანომრვის წესიც - $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$: ამ შემთხვევაში, პირველი თაობის წერტილებს, სწორედ, $S_I(q+1)$ ფაზის რეალიზაცია გვაძლევს.

მორიგი ნაბიჯი, $S_{III}(q + 3)$ ფაზის რეალიზაცია, გვაძლევს "აბსოლუტური დროისა" და "აქტუალური აბსოლუტური დროის" თითო ელემენტებით შევსებას:

$$\ldots q-7;\ q-6;\ q-5;\ q-4;\ q-3;\ q-2;\ q-1;\ q;\ q+1;\ q+2;\ q+3. \qquad (27)$$

$$\ldots A_{q-7};\ A_{q-6};\ A_{q-5};\ A_{q-4};\ A_{q-3};\ A_{q-2};\ A_{q-1};\ A_q;\ A_{q+1};\ A_{q+2};\ A_{q+3}. \qquad (27^*)$$

"A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წარმომდგენი "აქტუალურ ი წერტილების" მესამე თაობის წერტილთა მთავარი სამეული მიიღება

$A_{q+3} \equiv (q+1; q+2; q+3; q)$ წერტილისგან $(-12) \cdot \mathbf{t}_i = 3 \ldots (-4) \cdot \mathbf{t}_i$, სადაც ამჯერად $i = 1, 2, 0$, ვექტორებზე წანაცვლებით:

$$B^{(q)}_{3,1} = (q-11; q+2; q+3; q), \quad B^{(q)}_{3,2} = (q+1; q-10; q+3; q),$$
$$B^{(q)}_{3,0} = (q+1; q+2; q+3; q-12). \qquad (27^{**})$$

ამჯერად "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცე" წარმოდგენილი იქნება $B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{3,1}B^{(q)}_{3,2}B^{(q)}_{3,0}$ ტეტრაედრით. წერტილი A_q კვლავ "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წარმომდგენი ტეტრაედრის საზღვრის წერტილად რჩება, მაგრამ ამჯერად უკვე, როგორც $B^{(q)}_{2,3}B^{(q)}_{3,1}B^{(q)}_{3,2}$ წახნაგის შუაწერტილი, რასაც ადასტურებს შემდეგი ვექტორული ტოლობა:

$$\mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{2,3} + \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{3,1} + \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{3,2} = 0 \qquad (27^{***})$$

არაა შემთხვევითი ამავე წახნაგზე ვერმოხვედრა $B^{(q)}_{3,0}$ წერტილისა, რადგან ის "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გაფართოების მორიგი ნაბიჯის მიმართულების საპირისპირო მხარეს მდებარეობს ამ წახნაგის სიბრტყის მიმართ.

$S_{IV}(q+4)$ ფაზის რეალიზაციის შესაბამის, შევსებულ მწკრივებს აქვთ შემდეგი სახე:

$$\ldots q-7; q-6; q-5; q-4; q-3; q-2; q-1; q; q+1; q+2; q+3; q+4. \qquad (28)$$
$$.. A_{q-7}; A_{q-6}; A_{q-5}; A_{q-4}; A_{q-3}; A_{q-2}; A_{q-1}; A_q; A_{q+1}; A_{q+2}; A_{q+3}; A_{q+4}. \qquad (28^{*})$$

მეოთხე თაობის წერტილთა მთავარი სამეული მიიღება $A_{q+4} \equiv (q+1; q+2; q+3; q+4)$ წერტილისგან $(-16) \ldots \mathbf{t}_i = 4 \ldots (-4) \ldots \mathbf{t}_i$, $i = 1, 2, 3$, ვექტორებზე წანაცვლებით:

$$B^{(q)}_{4,1}(q-15; q+2; q+3; q+4), \quad B^{(q)}_{4,2}(q+1; q-14; q+3; q+4),$$
$$B^{(q)}_{4,3}(q+1; q+2; q-13; q+4), \qquad (28^{**})$$

"A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცე" კი $B^{(q)}_{3,0}B^{(q)}_{4,1}B^{(q)}_{4,2}B^{(q)}_{4,3}$ ტეტრაედრით იქნება წარმოდგენილი. ამით $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$ წერტილი "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" შიგა წერტილად, კერძოდ კი, ამ ეტაპზე მისი წარმომდგენი ტეტრაედრის სიმეტრიის ცენტრად იქცევა, რასაც ადასტურებს შემდეგი ვექტორული ტოლობა:

$$\mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{3,0} + \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{4,1} + \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{4,2} + \mathbf{A}_q\mathbf{B}^{(q)}_{4,3} = 0 \qquad (28^{***})$$

მომდევნო ნაბიჯი, $S_I(q+5)$ ფაზის რეალიზაცია, "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გაფართოების ახალი ციკლის დასაწყისია. ახალი წახნაგის განმსაზღვრელ მეხუთე თაობის წერტილთა სამეულს კი $A_5 \equiv (q+5; q+2; q+3; q+4)$ წერტილისგან $(-20) \cdot \mathbf{t}_i = 5 \cdot (-4) \cdot \mathbf{t}_i$, სადაც $i = 2, 3, 0$, ვექტორებზე წანაცვლება მოგვცემს:

$$B^{(q)}_{5,2} \equiv (q+5; q-18; q+3; q+4), \; B^{(q)}_{5,3} \equiv (q+5; q+2; q-17; q+4),$$
$$B^{(q)}_{5,0} \equiv (q+5; q+2; q+3; q-16). \qquad (29)$$

"A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცე" $B^{(q)}_{4,1}B^{(q)}_{5,2}B^{(q)}_{5,3}B^{(q)}_{5,0}$ ტეტრაედრით მოიცემა. მისი მორიგი **"გაფართოების ფრონტალური წახნაგი"** - წახნაგი რომლის მართობულადაც მოხდა უკანასკნელი გაფართოება - $B^{(q)}_{5,2}B^{(q)}_{5,3}B^{(q)}_{5,0}$ - "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" პირველი არანულოვანი მოცემულობის - $B^{(q)}_{0,1}B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}$ ტეტრაედრის ფრონტალური $B^{(q)}_{1,2}B^{(q)}_{1,3}B^{(q)}_{1,0}$ წახნაგის პარალელურია, ხო-

ლო წერტილი $A_q \equiv B^{(q)}_{0,1}$ კვლავ კარგავს "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" ცენტრის პოზიციას, თუმცა ამჯერად და ამიერიდან სამუდამოდ რჩება "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" სიღრმეში და გაფართოების ყოველ მეოთხე საფეხურზე კვლავ და კვლავ აღმოჩნდება "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გეომეტრიული ცენტრის პოზიციაში. გაფართოების პროცესის შემდგომი საფეხურების განხილვა ვერაფერს ახალს ვერ მოგვცემს. უკვე შეგვიძლია ამ პროცესის ზოგადი აღწერაც.

"A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გაფართოების პირველი საფეხური ტეტრაედრით მოიცემა, რომლის ერთი წვერო თავად A_q წერტილია, სხვა სამი წვერო კი A_{q+1} წერტილიდან $(-4) \cdot \mathbf{t}_i$ ვექტორზე წანაცვლებებით მიიღება, სადაც $0 \leq i =/= q+1 (\mathrm{mod} 4) \leq 3$. ამ სამეულის განმსაზღვრელი წესი შემდეგი ვექტორული ტოლობის სახითაც შეიძლება ჩავწეროთ:

$$\mathbf{OB}^{(q)}_{1,i} = \mathbf{OA}_{q+1} + (-4) \cdot \mathbf{t}_i,$$

სადაც O(0;0;0;0) კოორდინატთა სათავეა. შემდგომი გაფართოება ხდება საწყისი ტეტრაედრის წახნაგების მართობულ მიმართულებებზე, ციკლური რიგის დაცვით. გაფრთოების n-ურ საფეხურზე, შესაბამისი მიმართულებით მიღწეული ახალი საზღვრის განმსაზღვრელი n-ური თაობის $B^{(q)}_{n,i}$ წერტილთა სამეული მიიღება წინა თაობის A_{q+n} წერტილისგან $n \cdot (-4) \cdot \mathbf{t}_i$ ვექტორებზე წანაცვლებით, სადაც $0 \leq i =/= q + n (\mathrm{mod}\ 4) \leq 3$. ამ სამეულის განმსაზღვრელი წესი შეიძლება ჩავწეროთ ვექტორული ტოლობის სახითაც:

$$\mathbf{OB}^{(q)}_{n,i} = \mathbf{OA}_{q+n} + (-4) \cdot \mathbf{t}_i,$$

ხოლო "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წარმომდგენი ტეტრაედრის მეოთხე წვერო წინა თაობის ერთ-ერთი წერტილია $B^{(q)}_{n-1,k}$, სადაც $0 \leq k \equiv q + n (\mathrm{mod}\ 4) \leq 3$. გაფართოების ყოველ მომდევნო საფეხურზე, "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" მოცემულობის (მოცულობის) ნამატი წაკვეთილ პირამიდას წარმოადგენს, რომელიც წინა საფეხურზე "A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" წარმომდგენ ტეტრაედრს ახალი საფეხურის სათანადო ტეტრაედრამდე ავსებს.

A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის გაფართოების n-ურ საფეხურზე ემატება შესაბამისი მიმართულების ახალ წახნაგზე მდებარე

$$1 + 2 + \ldots n + (n + 1) = (n + 1) \cdot (n + 2) \cdot (1/2)$$

რაოდენობის "აქტუალური წერტილი". მათგან სამი ტეტრაედრის სამი ახალი წვეროა, $B^{(q)}_{n,k}$ წერტილები. დანარჩენი $C^{(q)}_{n,k,j}$ წერტილები, რომლებიც ტეტრაედრის წვეროთა ახალი სამეულით წარმოდგენილ წახნაგზე მდებარე აქტუალური წერტილებია, შეიძლება ვიპოვოთ შემდეგ ვექტორულ განტოლებათა მეშვეობით:

$$k \cdot (\mathbf{OB}^{(q)}_{n,i+1(\mathrm{mod}\ 4)} - \mathbf{OB}^{(q)}_{n,i}) + j \cdot (\mathbf{OB}^{(q)}_{n,i+2(\mathrm{mod}\ 4)} - \mathbf{OB}^{(q)}_{n,i}) = n \cdot \mathbf{OC}^{(q)}_{n,k,j}$$

სადაც $0 < k < n$, $0 < j < n$ და $k + j \leq n$.

გაფართოების n-ური ეტაპის შემდეგ, “A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის” აქტუალურ წერტილთა რაოდენობა იქნება:

$(1/2) \cdot \{(0 + 1) \cdot (0 + 2) + (1 + 1) \cdot (1 + 2) + (2 + 1) \cdot (2 + 2) + \ldots + (n + 1) \cdot (n + 2)\} =$
$= (n + 1) \cdot 1 + n \cdot 2 + (n - 1) \cdot 3 + (n - 2) \cdot 4 + \ldots + (n - k) \cdot (k + 2) + \ldots + 3 \cdot (n - 1) + 2 \cdot n + 1 \cdot (n + 1).$

რაც მზარდი სირთულის სტრუქტურების განვითარების საშუალებას გვაძლევს.

“A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის” გაფართოება არის შეუქცევადად აჩქარებული. კერძოდ, თუ მოცულობის ერთეულად ავიღებთ “აბსოლუტური ეფექტური სივრცის” პირველ, არანულოვანი მოცემულობის (პირველი ტეტრაედრის) მოცულობას, მაშინ გაფართოების მეორე საფეხურზე მისი მოცულობის ნამატი იქნება (2^3 - 1^3)=7 ერთეული, მესამეზე - (3^3 - 2^3) =19, მეოთხეზე - (4^3 - 3^3) =37, მეხუთეზე - (5^3 - 4^3)=61. საზოგადოდ, “A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის” გაფართოების მე-n-ე საფეხურზე (n = 1, 2, 3, ...) ეფექტური სივრცის ნამატი დასახელებულ ერთეულში გამოხატული იქნება n-ის ნებისმიერი ნატურალური მნიშვნელობისთვის ზრდადი ფუნქციით

$$n^3 - (n - 1)^3 = 3 \cdot n^2 - 3 \cdot n + 1. \qquad (30)$$

მართლაც:

$$d(3 \cdot n^2 - 3 \cdot n + 1)/dn = 6 \cdot n - 3 > 0, \text{ როცა } n > 1/2. \qquad (30^*)$$

ანუ ზრდადობის პირობაა n > 1/2. ეს პირობა სრულდება ყველა შემთხვევაში, რადგან n გაფართოების საფეხურის ნომერია და, ამდენად, ღებულობს მნიშვნელობებს მხოლოდ ნატურალურ რიცხვთა სიმრავლიდან.

გაფართოების აჩქარებულობის მიუხედავად, “A_q წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის” საეტაპო მოცემულობის ფარდობითი ზრდის მაჩვენებელი n-ის კლებადი ფუნქციაა:

$$((n + 1)^3)/(n^3) = (1 + 1/n)^3 \qquad (31)$$

თუმცა, “ფარდობითი დროის” მწკრივისთვის, “A_q წერტილზე მზარდი ფარდობითი ეფექტური სივრცისთვის” გაფართოების ეს მაჩვენებელიც n-ის ზრდადი ფუნქცია შეიძლება გახდეს.

აჩქარებით გაფართოება, თანამედროვე კოსმოლოგიის მიხედვით, სამყაროს სამგანზომილებიანი დამზერადი ნაწილის მახასიათებელია, რის გამოც “წერტილზე მზარდი აბსოლუტური (ფარდობითი) ეფექტური სივრცე” ფიზიკური სივრცის მოდელირების რესურსად უნდა ვიგულვოთ. ამასთანავე, “წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის” გაფართოების, ანუ მის ფარგლებში აქტუალურ წერტილთა სიმრავლის ზრდის კვალდაკვალ უფრო და უფრო მეტ “ზედნაგ სრულ სიტემათა” არსებობა გამომჟღავნდება, რაც მატერიის წარმოშობის სურათის მოდელირების რესურსია: $B^{(q)}_{m,n}$ წერტილები წარმოადგენენ არაერთი “ფადრობითი დროის” მწკრივის ელემენტებს და, ამდენად, თითოეული მათგანი არაერთი ობიექტის გამომვლენია. ამასთანავე, ახალ უბნები და მათში ლოკალიზებულად მოაზრებადი “ზედნაგი სრული სისტემები” ერთად შემოდიან საერთო სურათში და ძველ უბნებშიც მანამდე გამოუვლენელი ელემენტების გამოვლენის პირობასაც ქმნის.

ანუ, სივრცის მოცულობის ნამატი დამოუკიდებლად, საკუთარი მოცემულობით დაერთვის "წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" მანამდელ მოცულობას და მის ხდომილებრივ გამდიდრებასაც, შემკვრევასაც განაპირობებს - გაფართოებულ სივრცეზე დაფიქსირებადი ხდება მის ცალკეულ ნაწილებზე დაუფიქსირებადი "ზედნაგი სრული სიტემის" არსებობის გამოხატულებანი (გაფართოების გარეშე დაუფიქსირებადი მოცემულობა "შავი მატერიის" მოდელირების რესურსად სჩანს). "წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გაფართეობას აქვს სპირალური ხასიათი, ახლავს ბრუნვა, თუმცა, თუ გაფართოების მხოლოდ ყოველ მეოთხე საფეხურის შედეგებს შევადარებთ სიმეტიული გაფართოების სურათს მივიღებთ, გაფართოების ბრუნვის მომენტი კი ციკლის მსვლელობაში იჩენს თავს.

ამრიგად, სრული სისტემის ნოოლოგიური ფაზის რეალიზაციას მოეპოვება არაწერტილოვანი გამოხატულებაც - მორიგი "გაფართოების ფრონტალური წახნაგის", $B^{(q)}_{m,n}$ და $C^{(q)}_{n,k,j}$ წერტილების სიმრავლე და ამ წერტილების მეშვეობით და ამ სრულ სისტემაზე ზედნაგი სრული სისტემების მორიგი ნოოლოგიური ფაზების რეალიზაციის ხდომილებანი. "გაფართოების ფრონტალური წახნაგის" რიგი ერთი და იგივე ფიგურის (სამკუთხედის) გეომეტრიული გარდაქმნების (წანაცვლება-გაფართოება-მობრუნებათა კომპოზიციების) ერგვარი პერიოდული იტერაციის ეტაპებადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. ყოველივე ეს, სინამდვილის მოდელირების რესურსად სჩანს.

"წერტილზე მზარდი აბსოლუტური ეფექტური სივრცე" ნებისმიერ აქტუალურ წერტილისთვის შეიძლება განისაზღვროს, რაც მწკრივი (11)-ის შემთხვევაში გვაძლევს ურთიერთპარალელურ "წერტილზე მზარდ აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეთა" უსასრულო რიგს. ისინი ერთიმეორის შემდეგ ჩნდებიან წერტილოვანი (სინგულარული) დასაწყისით და ერთიმეორის კვალდაკვალ, სინქრონულად ფართოვდებიან. ეს სურათი მსგავსია სამყაროს შესაქმის მართვის მანიის ეფექტის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის შესაბამისად წარმოდგენისა (იხ. პარაგრაფი 1.14), რაც მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ჩვენ კვლავ მართვის მანიის პარადიგმის ფარგლებში ვრჩებით. ასე რომ, მემკვიდრეობითი კავშირი უზრუნველყოფილია.

* * *

გავაგრძელოთ მწკრივი (11)-ის $(q - 3; q - 2; q - 1; q) \equiv A_q$, წერტილზე გამავალი "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" განხილვა. ამ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გამოვლენა-გაფართოების განმსაზღვრელია A_q წერტილი და მწკრივ (11)-ში მისი მოდევნო წერტილების რიგი:

$$A_q; A_{q+1}; A_{q+2}; A_{q+3}; A_{q+4}; A_{q+5}; A_{q+6}; A_{q+7}; \ldots \qquad (32)$$

აქ

$A_{q+1} \equiv (q+1; q-2; q-1; q)$, $A_{q+2} \equiv (q+1; q+2; q-1; q)$, $A_{q+3} \equiv (q+1; q+2; q+3; q)$, $A_{q+4} \equiv (q+1; q+2; q+3; q+4)$, $A_{q+5} \equiv (q+5; q+2; q+3; q+4)$, $A_{q+6} \equiv (q+5; q+6; q+3; q+4)$ და ა. შ.

ამ უსასრულოდ მზარდი სიმრავლის ელემენტების ორთოგონალური პროექციები "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში", ადრე შეთანხმებული წესის შესაბამისად, აღვნიშნოთ A'_{q+n} სიმბოლოებით, ხოლო მათივე ორთოგონალური პროექციები "აბსოლუტური ეფექტური დროის" ღერძზე - A''_{q+n}-ით.

A_q წერტილის პროექცია თავად ეს წერტილია $A_q \equiv A'_q$, ხოლო მომდევნო A_{q+n} წერტილების პროექციების კოორდინატებს ადვილად ვიპოვით $\mathbf{A_qA_{q+n}}$ ვექტორის კომპონენტების მიხედვით.

$$\mathbf{A_qA'_{q+n} = A_qA_{q+n} - A_qA''_{q+n}}, \qquad (33)$$

სადაც n ნებისმიერი ნატურალური რიცხვია და

$$\mathbf{A_qA''_{q+n} = (A_qA_{q+n}, s) \ldots s}, \qquad (33^*)$$

ხოლო **s** = (1/2; 1/2; 1/2; 1/2) "აბსოლუტური ეფექტური დროის" ღერძის მიმართულების განმსაზღვრელი ერთეულოვანი ვექტორია, კვლავ.

(33) და (33*) ფორმულების მიხედვით ვღებულობთ:

$$\mathbf{A_qA_{q+1}} = (4; 0; 0; 0) \Rightarrow \mathbf{A_qA''_{q+1}} = 2 \cdot \mathbf{s} = (1; 1; 1; 1) \Rightarrow \mathbf{A_qA'_{q+1}} = (3; -1; -1; -1),$$
$$\mathbf{A_qA_{q+2}} = (4; 4; 0; 0) \Rightarrow \mathbf{A_qA''_{q+2}} = 4 \cdot \mathbf{s} = (2; 2; 2; 2) \Rightarrow \mathbf{A_qA'_{q+2}} = (2; 2; -2; -2),$$
$$\mathbf{A_qA_{q+3}} = (4; 4; 4; 0) \Rightarrow \mathbf{A_qA''_{q+3}} = 6 \cdot \mathbf{s} = (3; 3; 3; 3) \Rightarrow \mathbf{A_qA'_{q+3}} = (1; 1; 1; -3),$$
$$\mathbf{A_qA_{q+4}} = (4; 4; 4; 4) \Rightarrow \mathbf{A_qA''_{q+4}} = 8 \cdot \mathbf{s} = (4; 4; 4; 4) \Rightarrow \mathbf{A_qA'_{q+4}} = (0; 0; 0; 0),$$
$$\mathbf{A_qA_{q+5}} = (8; 4; 4; 4) \Rightarrow \mathbf{A_qA''_{q+5}} = 10 \cdot \mathbf{s} = (5; 5; 5; 5) \Rightarrow \mathbf{A_qA'_{q+5}} = (3; -1; -1; -1),$$
$$\mathbf{A_qA_{q+6}} = (8; 8; 4; 4) \Rightarrow \mathbf{A_qA''_{q+6}} = 12 \cdot \mathbf{s} = (6; 6; 6; 6) \Rightarrow \mathbf{A_qA'_{q+6}} = (2; 2; -2; -2)$$

და ა. შ. (33**)

ცხადია რომ პერიოდულ პროცესთან გვაქვს საქმე, ასე, რომ მწკრივი (32)-ის პროექცია ამოიწურება A_q, A'_{q+1}, A'_{q+2} და A'_{q+3} წერტილებით:

$$A'_{q+n} = A'_{q+k}, \text{ სადაც } 0 \le k = n(\mathrm{mod}\ 4) \le 3 \qquad (33^{***})$$

და რადგან $A_q \equiv (q - 3; q - 2; q - 1; q)$, გვექნება:

$$A'_{q+1} \equiv (q; q - 3; q - 2; q - 1), \quad A'_{q+2} \equiv (q -1; q; q - 3; - 2),$$
$$A'_{q+3} \equiv (q -2; q - 1; q; q - 3). \qquad (33^{****})$$

როგორც ვხედავთ, ოთხივე წერტილის კოორდინატები რიცხვთა ერთი და იმავე ოთხეულის ციკლური გადანაცვლებით მიიღება, გადანაცვლების მიმართულებაც ადვილად შესამჩნევ კანონს ემორჩილება: რიცხვი q არის A'_{q+n} წერტილის k-ური კოორდინატი, სადაც $0 \le k = n(\mathrm{mod}\ 4) \le 3$. ასე, რომ დანარჩენი სამი წერტილის კოორდინატები მხოლოდ A_q წერტილის კოორდინატებით განისაზღვრება.

ამ შედეგების გათვალისწინებით, $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}$ ტეტრაედრია და ადვილად მიიღებაა შემდეგი მონაკვეთების ტოლობები:

$$A'_{q+1}B_{1,2} = A'_{q+1}B_{1,3} = A'_{q+1}B_{1,0} = A'_{q+1}A_q,$$
$$A'_{q+2}B_{2,1} = A'_{q+2}B_{2,3} = A'_{q+2}B_{2,0} = A'_{q+2}B_{1,2},$$
$$A'_{q+3}B_{3,1} = A'_{q+3}B_{3,2} = A'_{q+3}B_{3,0} = A'_{q+3}B_{2,3},$$

$$A_qB_{4,1} = A_qB_{4,2} = A_qB_{4,3} = AB_{3,0},$$
$$A'_{q+1}B_{5,2} = A'_{q+1}B_{5,3} = A'_{q+1}B_{5,0} = A'_{q+1}B_{4,1} \text{ და ა. შ.} \qquad (33^{*****})$$

ამ ტოლობების მიხედვით, A'_{q+1} არის $A_qB_{1,2}B_{1,3}B_{1,0}$ ტეტრაედრის სიმეტრიის ცენტრი, A'_{q+2} - ტეტრაედრისა $A_{1,2}B_{2,1}B_{2,3}B_{2,0}$, A'_{q+3} - ტეტრაედრისა $B_{2,3}B_{3,1}B_{3,2}B_{3,0}$, A_q - ტეტრაედრისა $B_{3,0}B_{4,1}B_{4,2}B_{4,3}$. ამას მოსდევს მორიგი ციკლი - "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" სიმეტრიის ცენტრი ბრუნდება A'_{q+1} წერტილში, უკვე როგორც $B_{4,1}B_{5,2}B_{5,3}B_{5,0}$ ტეტრაედრის ცენტრი, და ა. შ. ასე, რომ გაფართოების ნებისმიერ ეტაპს "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" გეომეტრიული ცენტრის გადანაცვლება მოსდევს, მაგრამ ის $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}$ ტეტრაედრის რომელიმე წვეროს ემთხვევა. ასე, რომ "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" აჩქარებულ გაფართოებას, დასახელებული ტეტრაედრის სახით, გააჩნია ცენტრალური ობიექტი, რომელიც მზარდი რადიუსის სამგანზომილებიანი სპირალის ცენტრად სჩანს ამ პროცესში.

ამრიგად, ამ შედეგების მიხედვით, A_q წერტილის შემდეგ "აბსოლუტური დროის" (და ნებისმიერი სრული სისტემისთვის "საკუთარი დროის") სვლა "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" ციკლების უსარულო რიგით გამოისახება:

$$A_q \Rightarrow A'_{q+1} \Rightarrow A'_{q+2} \Rightarrow A'_{q+3} \Rightarrow A_q \qquad (34)$$

მსგავსად იმისა, რომ ფიზიკური დროის დინება იზომება და აღიქმება მხოლოდ სამგანზომილებიან ფიზიკურ სივრცეში მიმდინარე ციკლური პროცესების მეშვეობით. ეს გვკარნახობს შესაძლო ლოგიკურ ახსნას იმისა, თუ რატომ ვერ ვხედავთ ადამიანები მეოთხე განზომილებას მოვლენათა სიმრავლის სხვა სამი, ე. წ. სივრცითი განზომილებებისგან განსხვავებით. ეს ჰიპოტეტური დასკვნა ასეთია: ადამიანის ყოფიერება "წერტილზე მზარდ ეფექტურ სივრცეში" რეალიზებული ფენომენია. თუმცა, საფიქრებელია, რომ, ნოოსფეროს შეუძლია ამ შეზღუდულობის დაძლევა, რისი ერთ-ერთი წინაპირობა შესაძლო მოვლენათა სიმრავლეში ყოველივე აქ წარმოდგენილი სიახლით ასახული სტრუქტურის არსებობის გაცნობიერებაცაა.

დავუბრუნდეთ ძირითად ხაზს. $A_q \Rightarrow A'_{q+1} \Rightarrow A'_{q+2} \Rightarrow A'_{q+3} \Rightarrow A_q$ ციკლების რიგი $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}$ ტეტრაედრის 6-დან მხოლოდ 4 წიბოს - $[A_qA'_{q+1}]$, $[A'_{q+1}A'_{q+2}]$, $[A'_{q+2}A'_{q+3}]$ და $[A'_{q+3}A_q]$ მონაკვეთებს - მოიცავს. ამრიგად, ციკლების ეს რიგი გამოისახება არა ტეტრაედრით, არამედ $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}A_q$ შეკრული ორიენტირებული ტეხულით, რომელიც დასახელებული ტეტრაედრის ორი წახნაგის გაერთიანების საზღვარს წარმოადგენს. ეს ტეხილი ორ თანამკვეთ სიბრტყეში განლაგებული ფიგურაა, რომელიც ორიენტირებულ კვანძადაც შეიძლება განვიხილოთ. ამ შემთხვევაში გვაქვს ე. წ. ტრივიალური კვანძი. თითოეული ციკლის $A_q \Rightarrow A'_{q+1}$ ეტაპი შეესაბამება მწკრივით (11) წარმოდგენილი "აბსოლუტური დროის" მსვლელობაში x^1 ღერძის გასწვრივ წინსვლას, $A'_{q+1} \Rightarrow A'_{q+2}$ გადასვლა x^2 ღერძის გასწვრივ წინსვლას, $A'_{q+2} \Rightarrow A'_{q+3}$ და $A'_{q+3} \Rightarrow A_q$ კი, შესაბამისად, - x^3 და x^0 ღერძების გასწვრივ წანაცვლებებს და ასე გრძელდება მორიგ ციკლებში. საზოგადოდ, $A'_n \Rightarrow A'_{n+1}$ გადასვლა x^k ღერძის გასწვრივ წინსვლის შესაბამისია, სადაც $0 \le k \equiv 1 + n (\mathrm{mod}\ 4) \le 3$.

ამრიგად, საზოგადოდ რომ ვთქვათ, "სრული სისტემის" არსებობის ფაქტს "ეფექტური სივრცის" აჩქარებული გაფართოების გარდა, სხვა გამოხატულებაც გააჩნია "ეფექტურ სივრცეში", ორიენტირებული გრაფით წარმოდგენილი ცირკულაციის სახით. ეს გრაფი "აქტუალურ კორპუსს" მიბმულია A_q წერტილით, მაგრამ A'_{q+1}, A'_{q+2} და A'_{q+3} წერტილები არ მიეკუთვნებიან ამ სიმრავლეს ($A_qA'_{q+i} < A_qA_{q+i}$). ასე, რომ "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" ფარგლებში $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}A_q$ გრაფი და მისით წარმოდგენილი ცირკულაცია მეორეული ობიექტის არსებობის ატრიბუტებად შეიძლება წარმოვადგინოთ. $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}A_q$ გრაფი არ არის მეორეულ ობიექტად იდენტიფიცირებადი ერთადერთი სტრუქტურა "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში": "ეფექტური სივრცის" ნებისმიერი აქტუალური წერტილთაგანი არის "აბსოლუტური დროის" მწკრივის ბაზაზე რეალიზებადი არაერთი "ფარდობითი დროის" მწკრივის ელემენტი და, ამდენად, ეკუთვნის თითოეული მათგანის პროექციას "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში". ამ პროექციების სახე დამოკიდებულია შესაბამისი "ეფექტური დროის ციკლისეული წანაცვლების" $\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორებზე. "ფარდობითი დროის" შესაბამის "აქტუალურ წერტილთა" მწკრივის პროექცია $A^{(m)}_q$ წერტილზე აგებულ "ფარდობით ეფექტურ სივრცეში" $A_qA'_{q+1}A'_{q+2}A'_{q+3}A_q$ გრაფის მსგავს ფუგურას, $A^{(m)}_qA^{(m)`}_{q+1}A^{(m)`}_{q+2}A^{(m)`}_{q+3}A^{(m)}_q$ გრაფს წარმოადგენს. "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" კი ეს პროექცია შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი სხვადასხვა $\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორისთვის.

ავაგოთ ამგვარი პროექტი მწკრივი (19)-ის (q^1; q^2; q^3; q^0) წერტილზე გამავალ "აბსოლუტური ეფექტური სივრცის" მომცველი ჰიპერზედაპირისთვის. მწკრივი (19)-ის აგების პირობებში, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი შესაძლო არჩევანია (q^1; q^2; q^3; q^0) $\equiv A_0^{(19)}$. მაშინ ფორმულა (33)-ის მიხედვით გამოვთვლით $\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_n$ ვექტორების კოორდინატებს. კერძოდ, გვექნება (ჩანაწერის გასაადვილებლად $\mathbf{a}^{(19)}$ ვექტორის კომპონენტებს ჩავწერთ "ფარდობითი დროის" მწკრივის მაიდენტიფიცირებელი ინდექსის გარეშე, ანუ a^i ნაცვლად $a^{(19)i}$-სა):

$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_1 = (1/4)\cdot(3a^1; -a^1; -a^1; -a^1);$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_2 = (1/4)\cdot(3a^1 - a^2; 3a^2 - a^1; -(a^1 + a^2); -(a^1 + a^2));$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_3 = (1/4)\cdot(3a^1 - a^2 - a^3; 3a^2 - a^1 - a^3; 3a^3 - a^1 - a^2; -(a^1 + a^2 + a^3));$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_4 = (1/4)\cdot(3a^1 - a^2 - a^3 - a^0; 3a^2 - a^1 - a^3 - a^0; 3a^3 - a^1 - a^2 - a^0; 3a^0 - a^1 - a^2 - a^3);$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_5 = (1/4)\cdot(6a^1 - a^2 - a^3 - a^0; 3a^2 - 2a^1 - a^3 - a^0; 3a^3 - 2a^1 - a^2 - a^0; 3a^0 - 2a^1 - a^2 - a^3);$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_6 = (1/4)\cdot(6a^1 - 2a^2 - a^3 - a^0; 6a^2 - 2a^1 - a^3 - a^0; 3a^3 - 2a^1 - 2a^2 - a^0; 3a^0 - 2a^1 - 2a^2 - a^3);$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_7 = (1/4)\cdot(6a^1 - 2a^2 - 2a^3 - a^0; 6a^2 - 2a^1 - 2a^3 - a^0; 6a^3 - 2a^1 - 2a^2 - a^0; 3a^0 - 2a^1 - 2a^2 - 2a^3);$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_8 = (1/4)\cdot(6a^1 - 2a^2 - 2a^3 - 2a^0; 6a^2 - 2a^1 - 2a^3 - 2a^0; 6a^3 - 2a^1 - 2a^2 - a^0; 6a^0 - 2a^1 - 2a^2 - 2a^3);$$
$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_9 = (1/4)\cdot(9a^1 - 2a^2 - 2a^3 - 2a^0; 6a^2 - 3a^1 - 2a^3 - 2a^0; 6a^3 - 3a^1 - 2a^2 - a^0; 6a^0 - 3a^1 - 2a^2 - 2a^3);$$
$$\ldots \qquad (35)$$

ჩნდება კითხვა, თუ რამდენ წიბოიანი გრაფი შეიძლება იყოს "ფარდობითი დროის" ტეხილის პროექცია "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში". ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია

$$\mathbf{A}_0^{(19)}\mathbf{A}'^{(19)}_n = 0 \qquad (35^*)$$

ვექტორული ტოლობის ამოხსნები, რომლებიც ამასთანავე აუცილებელ, $a^{(19)i} \equiv 0(\mathrm{mod}4)$ პირობას აკმაყოფილებენ, სადაც $i = 1, 2, 3$ და 0-ს. შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა n-ისთვის

განსხვავებული "ფარდობითი დროის" მწკრივი მიიღება, ამდენად უფრო სწორია უკანასკნელი პირობა შემდეგი სახით ჩავწეროთ:

$$a^{(19,\, n,\, c))i} \equiv 0 (\mathrm{mod}\ 4), \qquad (35^{**})$$

სადაც (19, n, c) არის n-ზე და ამონახსნის დამატებით მაკონკრეტებელ c პარამეტრზე (იხ. აქვე ქვემოთ) დამოკიდებული, "ფარდობითი დროის" საიდენტიფიკაციო სიმბოლო. (35*) ვექტორულ ტოლობას შეესაბამება ოთხუცნობიან წრფივ ერთგვაროვან განტოლებათა სისტემა, რომლისთვისაც არატრივიალური ამონახსნის არსებობა მოითხოვს მეოთხე რანგის დეტერმინანტის ნულთან ტოლობას, რაც ამცირებს სისტემის რანგს და გვაძლევს ერთ პარამეტრზე დამოკიდებულ ამონახსნთა სისტემას. c პარამეტრად შეიძლება ავირჩიოთ $\mathbf{a}^{(19)}$ ვექტორის ერთ-ერთი კოორდინატი (ამ შემთხვევაში ესაა a^0). პარამეტრის მნიშვნელობათა სიმრავლე (35**) პირობით იზღუდება. n-ის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის (35*) განტოლების ამოხსნა გვიჩვენებს, რომ "ეფექტურ სივრცეში" "ფარდობითი დროის" პროექცია შეუძლებელია იყოს გრაფი ოთხზე ნაკლები წვეროთი. ანუ, პირველი არატრივიალურ ამონახსნს გვაძლევს n = 4 შემთხვევა, $\mathbf{A_0^{(19)}A'^{(19)}_4=0}$ ვექტორული განტოლება, რომლის ამონახსნებია $\mathbf{a}^{(19,\,4,\,c)} = 4 \cdot c \cdot (1;\ 1;\ 1;\ 1)$ სახის ვექტორები. კოეფიციანტი $4 \cdot c$, სადაც c ნებისმიერი ნულის არატოლი მთელი რიცხვია, უზრუნველყოფს აუცილებელი (35**) პირობის შესრულებას, ხოლო (19, 4, c) მიღებული "ეფექტური დროის" საიდენტიფიკაციო სიმბოლოა. c = 1 გვაძლევს "აბსოლუტურ დროს". c-ს სხვა მნიშვნელობებისთვის "ფარდობითი ეფექტური სივრცე" და "აბსოლუტური ეფექტური სივრცე" მდებარეობენ ერთსა და იმავე ჰიპერზედაპირზე და, მხოლოდ, აქტუალური წერტილების რომელობითა და განაწილების სიმკვრივით (რასაც განსაზღვრავს c) განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ხოლო "ეფექტური დროის" პროექცია $A_0A'^{(19,\,4,\,c)}_1A'^{(19,\,4,\,c)}_2A'^{(19,\,4,\,c)}_3$ შეკრული გრაფია.

n = 5 შემთხვევა, ანუ $\mathbf{A_0^{(19)}A'^{(19)}_5 = 0}$ ვექტორული განტოლების ამონახსნი მოიცემა $\mathbf{a}^{(19,\,5,\,c)} = 32 \cdot c \cdot (1/2;\ 1;\ 9/8;\ 1)$ ვექტორებით, სადაც c ნებისმიერი არანულოვანი მთელი რიცხვია, კოეფიციენტის $32 \cdot c$-ს სახით წარმოდგენა კი (35**) პირობის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში, "ფარდობითი დროის" პროექციაც ხუთწვერიანი $A_0A'^{(19,\,5,\,c)}_1A'^{(19,\,5,\,c)}_2A'^{(19,\,5,\,c)}_3A'^{(19,\,5,\,c)}_4$ შეკრული გრაფია.

n = 6 შემთხვევა, ანუ $\mathbf{A_0^{(19)}A'^{(19)}_6 = 0}$ ვექტორულ განტოლების ამონახსნებია $\mathbf{a}^{(19,\,6,\,c)} = 124 \cdot c \cdot (18/31;\ 16/31;\ 32/31;\ 1)$ ვექტორები, რომელსაც "ფარდობითი დროის" პროექციად $A_0A'^{(19,\,6,\,c)}_1A'^{(19,\,6,\,c)}_2A''^{(19,\,6,\,c)}_3A'^{(19,\,6,\,c)}_4A'^{(19,\,5,\,c)}_5$ ექვსწვერიანი შეკრული გრაფი შეესაბამება. კოეფიციენტის $124 \cdot c$-ს სახით წარმოდგენა (35**) პირობის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

ამრიგად, გამოდის, რომ, არატრივიალურ შემთხვევაში, "ფარდობითი აქტუალური დროის" პროექციას "აბსოლუტურ ეფექტურ სივრცეში" შეიძლება ჰქონდეს შეკრული გრაფის სახე, არანაკლებ 4 წვეროთი. ამრიგად, "ფარდობითი აქტუალური დროის" პროექციები მრავალგვარი შეიძლება იყოს $\mathbf{a}^{(m)}$ (ფარდობითი ეფექტური დროის ციკლური წანაცვლების)

ვექტორის მუდმივობის პირობებშიც, რაც კარგი რესურსია მეორეულ ფენომენთა მოდელირებისთვის.

გრაფების მეთოდით შესაძლებელია ავაგოთ "ფარდობითი დრო" არამუდმივი "ციკლისეული წანაცვლების ვექტორით". გაცილებით უფრო მრავალგვაროვანი შედეგების მიღებაა "ფარდობითი დროის" მისი წერტილების სათითაოდ ამორჩევის წესით აგების შემთხვევაში. შედეგი დამოკიდებული იქნება n არგუმენტის (ელემენტების ნომრების) ვექტორულ ფუნქციაზე $\mathbf{a}^{(m)}(n)$. ცხადია, $\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორის ყოველი მდგენელის მნიშვნელობა აქტუალური ხდება მხოლოდ ყოველ მეოთხე ნაბიჯზე: $A_n^{(m)} => A_{n+1}^{(m)}$ გადასვლაში $\mathbf{a}^{(m)}(n)$ ვექტორის მხოლოდ ერთი $a^{(m)i}(n)$ კომპონენტის კონკრეტულობაა მნიშვნელოვანი, სადაც i განისაზღვრება $\mathbf{A}_n^{(m)}\mathbf{A}_{n+1}^{(m)} = a^{(m)i}(n)\ldots\mathbf{t}_i$ ვექტორული ტოლობით, ან რაც იგივეა, ტოლობით $i = n + 1(\mathrm{mod}\ 4)$ და $a^{(m)i} = 0(\mathrm{mod}\ 4)$. ხოლო, $a^{(m)i}(n - 4)$-სა და $a^{(m)i}(n)$-ს შორის, ანუ $a^{(m)i}(n - 3)$, $a^{(m)i}(n - 2)$ და $a^{(m)i}(n - 1)$, ნებისმიერი შეიძლება იყოს. ეს თავისუფლება შეიძლება გამოვიყენოთ "წერტილზე მზარდი "ფარდობითი ეფექტური სივრცის" გეომეტრიის განსაზღვრაში შემთხვევითობის მომენტის შესატანად. ამის მიღწევა შესაძლებელია ნაკლები რესურსითაც, კერძოდ, $\mathbf{a}^{(m)}(n)$ ვექტორის არამუდმივობის, მაგრამ მისი კომპონენტების მნიშვნელობების ნებისმიერ n-ისთვის ცალსახად განსაზღვრულობის პირობებში. მართლაც, $\mathbf{a}^{(m)}(n)$ არამუდმივობის (თუნდაც, წინასწარგანსაზღვრულობის პირობებში) მოიძებნება n-ის ისეთი მნიშვნელობა, რომ შესრულდეს პირობა:

$$\mathbf{a}^{(m)}(n - 4) = \mathbf{A}_{n-4}^{(m)}\mathbf{A}_n^{(m)} \neq \mathbf{A}_n^{(m)}\mathbf{A}_{n+4}^{(m)} = \mathbf{a}^{(m)}(n),$$

რაც ნიშნავს იმას, რომ $q < n$ შემთხვევაში A_q წერტილში მზარდი ფარდობითი ეფექტური სივრცის $(n - q)$-ური "გაფართოების ფრონტალური წახნაგი" შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც $\mathbf{a}^{(m)}(n - 4)$ ვექტორის მართობულ ჰიპერზედაპირზე, ასევე, $\mathbf{a}^{(m)}(n)$ ვექტორის მართობულზე, ხოლო არჩევანი ყოველ საფეხურზე შეიძლება ხდებოდეს ალბათური წესით. ეს ნიშნავს იმას, რომ A_q წერტილში მზარდი ფარდობითი ეფექტური სივრცის გეომეტრია შეიძლება იყოს არაწინასწარგანსაზღვრული (ეს სინამდვილის რეალური სურათის მოდელირების რესურსს მნიშვნელოვნად ზრდის). ასეთ შემთხვევაში წერტილში მზარდი ფარდობითი ეფექტური სივრცის წარმომდგენი ფიგურა იქნება არა ტეტრაედრი, არამედ სხვადასხვა ჰიპერზედაპირებთან თანამკვეთი სამკუთხა პირამიდისებური ფიგურა.

* * *

"ფარდობითი დროის" აგება შესაძლებელია მისი ერთი რომელიმე წერტილის არჩევით და "საბაზისო დროის" სვლასთან სინქრონიზებულ საფეხუროვან პროცესად წარმოდგენით. მწკრივი (19) და მწკრივი (20)-იც ამგვარად ავაგეთ "ფარდობითი დროის" სვლასთან კავშირის გარეშე.

ამოსავალი წეტრილი $(q^1; q^2; q^3; q^0)$ შევარჩიოთ მწკრივი (19)-ის განმსაზღვრელი პირობის შესაბამისად, რომელიც $(q^1; q^2; q^3; q^0) \equiv A^{(m)}_0$ არჩევანის უფლებას გვაძლევს, როგორც

აღინიშნა. ეს ნიშნავს იმას, რომ $A^{(m)}_0$ წერტილი $S_I(q^0)$ ფაზის რეალიზაციის ამსახველია. სიმარტივისთვის, "ფუნდამენტურ დროდ" ავირჩიოთ "აბსოლუტური დრო". "ფუნდამენტური დროის" სვლის პირველივე ნაბიჯზე შესაძლებელია ერთდროულად განისაზღვროს "ფარდობითი დროის" ორი წერტილი, $A^{(m)}_0$-ის უშუალო მეზობლები:

$$A^{(m)}_{-1} \equiv (q^1; q^2; q^3; q^0 - a^{(m)0}) \text{ და } A^{(m)}_1 \equiv (q^1 + a^{(m)1}; q^2; q^3; q^0),$$

რომელთაც"ფარდობითი დროის" პირველი თაობის წერტილები შეიძლება ვუწოდოთ, $a^{(m)i} = 0(\mathrm{mod}\ 4)$. $A^{(m)}_{-1}$ შეესაბამება $S_{III}(q^3)$ ფაზას, $A^{(m)}_1$ კი $S_I(q^1 + a^{(m)1})$ ფაზას. "ფუნდადმენტური დროის" ქმნადობასთან (სვლასთან) კავშირის გამოხარულებად მოვითხოვოთ $A``^{(m)}_{-1} = A``^{(m)}_1$ პირობის შესრულება, ანუ ამ ორი წერტილის ერთ წერტილში პროექცირებადობა "აბსოლუტური ეფექტური დროის" ღერძზე (რომელიც "ფუნდამენტური დროის" დასახელებული არჩევანის პირობებში "დროის" ღერძის მნიშვნელობას იძენს). ეს ნიშნავს $\mathbf{A}^{(m)}_{-1}\mathbf{A}^{(m)}_1 = (a^{(m)1}; 0; 0; a^{(m)0})$ ვექტორის **s** ვექტორისადმი ორთოგონალურობას, რაც ტოლფასია ტოლობისა:

$$a^{(m)1} = -a^{(m)0}. \tag{36}$$

მეორე საფეხური გვაძლევს ორ ახალ წერტილს:

$$A^{(m)}_{-2} \equiv (q^1; q^2; q^3 - a^{(m)3}; q^0 - a^{(m)0}),\ A^{(m)}_2 \equiv (q^1 + a^{(m)1}; q^2 + a^{(m)2}; q^3; q^0),$$

ორივე მათგანი მეორე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის ფაზების: $S_{II}(q^2)$-ისა და $S_{II}(q^2 + a^{(m)2})$-ის ამსახველია. წინა შემთხვევის მსგავსად მოვითხოვოთ $A``^{(m)}_{-2} = A``^{(m)}_2$ პირობის შესრულება, რაც ტოლფასია $\mathbf{A}^{(m)}_{-2}\mathbf{A}^{(m)}_2 = (a^{(m)1}; a^{(m)2}; a^{(m)3}; a^{(m)0})$ და **s** ვექტორების ურთიერთორთგონალურობისა და (36)-ე პირობის გათვალისწინებით გვაძლევს დამატებით პირობას:

$$a^{(m)2} = -a^{(m)3}. \tag{37}$$

(36) და (37) პირობების გათვალისწინებით, $\mathbf{a}^{(m)}$ ვექტორი შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$\mathbf{a}^{(m)} = (p; q; -q; -p), \text{ სადაც } p \equiv 0(\mathrm{mod}\ 4) \text{ და } q \equiv 0(\mathrm{mod}\ 4). \tag{38}$$

მოვითხოვოთ ამ ვექტორის მუდმივობა და გავაგრძელოთ "ფარდობითი დროის" მწკრივის აგების პროცესი. ადვილი შესამოწმებელია, რომ (38)-ე პირობა უზრუნველყოფს

$$A''^{(m)}_{-n} = A''^{(m)}_n \tag{39}$$

პირობის დაკმაყოფილებას ნებისმიერი მორიგი თაობის წერტილთა წყვილისთვის. აღწერილი პროცესის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის რამდენიმე ნაბიჯის დემონსტრაციაც საკმარისია.

მესამე საფეხური გვაძლევს წერტილთა მორიგ წყვილს, რომლებიც, პირველი თაობის წყვილის მსგავსად, კვლავ პირველი და მესამე ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ფაზების, კერძოდ, $S_I(q^1)$-ისა და $S_{III}(q^3 + a^{(m)3})$-ის, ამსახველებია:

$$A^{(m)}_{-3} \equiv (q^1; q^2 - a^{(m)2}; q^3 - a^{(m)3}; q^0 - a^{(m)0}),\ A^{(m)}_3 \equiv (q^1 + a^{(m)1}; q^2 + a^{(m)2}; q^3 + a^{(m)3}; q^0),$$

(36)-ე და (37)-ე პირობის გათვალისწინებით, გვექნება:

$$\mathbf{A}^{(m)}_{-3}\mathbf{A}^{(m)}_3 = (a^{(m)1}; 2a^{(m)2}; 2a^{(m)3}; a^{(m)0}) = (p; 2q; -2q; -p).$$

როგორც ვხედავთ, ეს ვექტორიც პერპენდიკულარულია **s** ვექტორისა. ამით $n = 3$ შემთხვევისთვის კმაყოფილდება (39)-ე პირობა.

წერტილთა მეოთხე თაობა წარმოიდგინება მორიგი წყვილით, რომლებიც ასახავენ ერთი და იმავე, კერძოდ, მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ფაზებს, $S_{IV}(q^0 - a^{(m)0})$-სა და $S_{IV}(q^0 + a^{(m)0})$-ს:

$$A^{(m)}_{-4} \equiv (q^1 - a^{(m)1}; q^2 - a^{(m)2}; q^3 - a^{(m)3}; q^0 - a^{(m)0}),\ A^{(m)}_{4} \equiv (q^1 + a^{(m)1}; q^2 + a^{(m)2}; q^3 + a^{(m)3}; q^0 + a^{(m)0}),$$

რაც გვაძლევს

$$\mathbf{A}^{(m)}_{-4}\mathbf{A}^{(m)}_{4} = (2a^{(m)1}; 2a^{(m)2}; 2a^{(m)3}; 2a^{(m)0}) = 2 \cdot (p; q; -q; -p)$$

და, ამდენად, კვლავ ამ წერტილების წყვილით განსაზღვრული ვექტორის **s** ვექტორისადმი პერპენდიკულარულობად, ანუ (39)-ე პირობის დაკმაყოფილებას $n = 4$ შემთხვევისთვის.

მეხუთე თაობის წერტილთა წყვილი კი ავლენს "ფარდობითი დროის" ამგვარად აგების პროცესის პერიოდულ ხასიათს. კერძოდ, მეხუთე თაობის წერტილები:

$$A^{(m)}_{-5} \equiv (q^1 - a^{(m)1}; q^2 - a^{(m)2}; q^3 - a^{(m)3}; q^0 - 2a^{(m)0}),\ A^{(m)}_{5} \equiv (q^1 + 2a^{(m)1}; q^2 + a^{(m)2}; q^3 + a^3; q^0 + a^{(m)0}),$$

ასახავენ, შესაბამისად, $S_{III}(q^3 - a^{(m)3})$ და $S_I(q^1 + 2a^{(m)1})$ ფაზებს, მსგავსად პირველი და მესამე თაობების წყვილებისა, რასაც, როგორც ამ უკანასკნელთა შემთხვევაში, მოსდევს ერთი და იმავე, ამჯერად მეორე, ნოოლოგიური სტიქიის ფაზების - $S_{II}(q^2 - a^{(m)2})$-ისა და $S_{II}(q^2 + 2a^{(m)2})$-ის - ამსახველი წყვილი მეექვსე თაობის წერტილებისა, შესაბამისად:

$$A^{(m)}_{-6} \equiv (q^1 - a^{(m)1}; q^2 - a^{(m)2}; q^3 - 2a^{(m)3}; q^0 - 2a^{(m)0}),$$

$$A^{(m)}_{6} \equiv (q^1 + 2a^{(m)1}; q^2 + 2a^{(m)2}; q^3 + a^3; q^0 + a^{(m)0}).$$

(39)-ე პირობის შესრულებულობა ამ, $n = 5$ და $n = 6$ შემთხვევებისთვის, სჩანს შემდეგი პირობებიდან:

$$\mathbf{A}^{(m)}_{-5}\mathbf{A}^{(m)}_{5} = (3a^{(m)1}; 2a^{(m)2}; 2a^{(m)3}; 3a^{(m)0}) = (3p; 2q; -2q; -3p)$$

და

$$\mathbf{A}^{(m)}_{-6}\mathbf{A}^{(m)}_{6} = (3a^{(m)1}; 3a^{(m)2}; 3a^{(m)3}; 3a^{(m)0}) = 3 \cdot (p; q; -q; -p),$$

ამრიგად, ამ კონკრეტულ შეთხვევაში, "ეფექტური დროის" მწკრივის აგება-დალაგების პროცედურა შემდეგნაირად აღიწერება: ამოსავალი, ანუ ნულოვანი თაობის წერტილის პოზიციაზე დგას მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტის ამსახველი წერტილი; მომდევნო, ანუ პირველი თაობის წერტილები წარმოდგენილია პირველი და მესამე ნოოლოგიური სტიქიების ეფექტების ამსახველი წყვილით; მორიგი, ანუ მეორე თაობის წერტილთა წყვილი ასახავს მხოლოდ მეორე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტს; მესამე თაობის წერტილთა წყვილი, პირველი თაობის წერტილთა წყვილის ანალოგიურად, პირველ და მესამე ნოოლოგიურ სტიქიათა ეფექტების ამსახველია; მეოთხე თაობის წერტილთა წყვილი კი, ამოსავალი წერტილის მსგავსად, მხოლოდ მეოთხე ნოოლოგიური სტიქიის ეფექტს ასახავს და წარმოადგენს ახალი ციკლის დასაწყისს და ა. შ.. თაობის ნომრების მზარდი რიგი ზღვარში ამოწურავს არაუარყოფითი მთელი რიცხვების სიმრავლეს.

"ფარდობითი დროის" მწკრივის ამგვარად აგება-დალაგებას, საზოგადოდ, **"ორმხრივი სვლით აგებას"** ვუწოდებთ. ამ პროცედურის ამოსავალ წერტილად, ანუ **"ფარდობითი დროის ორმხრივი სვლით აგების ამოსავალ წერტილად"** შესაძლებელია ავირჩიოთ არა მხოლოდ $A^{(m)}{}_0$ წერტილი, არამედ ნებისმიერი $A^{(m)}{}_k$ წერტილი. ზოგად შემთხვევაში წერტილთა წყვილების თაობის ნომერი დაითვლება ფორმულით:

$$\#(A^{(m)}{}_n) \equiv n - k$$

უნდა აღინიშნოს, რომ, ფარდობითი დროის მწკრივის ელემენტების დანომრვის წესის გათვალისწინებით, ზოგადობა არსებითად არ დაირღვევა თუ k-ს მნიშვნელობებს შევზღუდავთ {1; 2; 3; 0} სიმრავლით.

ამრიგად, თუ "ფარდობითი დროის" "ორმხრივი სვლით აგების" შემთხვევაში, მისი ორივე ბოლო ("საკუთარი დროის" წარსულისა და მომავლის მიმართულებები) "ფუნდამენტური დროის" (განხილულ მაგალითში ეს იყო "აბსოლუტური დრო") რომელიმე ერთი ბოლოსკენ არის მიმართული, მაშინ "ფარდობითი დროის" სვლას **"ცალფა ეფექტისა"** და **"ორმაგი ეფექტის"** ფაზების რიგის სახე აქვს. ცხადია, რომ, თუ "ორმხრივი სვლით აგების ამოსავალ წერტილად" არჩეულია $A^{(m)}{}_{k\,=\,0(\mathrm{mod}\ 4)}$ ან $A^{(m)}{}_{k\,=\,2(\mathrm{mod}\ 4)}$ წერტილები, მაშინ ყოველი მეორე ფაზა იქნება პირველი და მესამე ნოოლოგიური სტიქიების "ორმაგი ეფექტის ფაზები" ("ფუნდამენტური დროის" ერთსა და იმავე მონაკვეთზე აქტუალიზაციის ეტაპები), რომელთაც მორიგეობით მოჰყვებიან მეორე და მოთხე ნოოლოგიურ სტიქიათა "ცალფა ეფექტის ფაზები" (დაცალკევებულად აქტუალიზაციის ეტაპები). და პირიქით, თუ "ფარდობითი დროის" "ორმხრივი სვლით აგების ამოსავალ წერტილად" არჩეულია $A^{(m)}{}_{k\,=\,1(\mathrm{mod}\ 4)}$ ან $A^{(m)}{}_{k\,=\,3(\mathrm{mod}\ 4)}$ წერტილები, მაშინ ყოველი მეორე ფაზა იქნება მეორე და მეოთხე ნოოლოგიური სტიქიების "ორმაგი ეფექტის ფაზები", რომელთაც მორიგეობით მოჰყვებიან პირველი და მესამე ნოოლოგიურ სტიქიათა "ცალფა ეფექტის ფაზები". თუ "ფარდობითი დროის" ბოლოები მიმართულია "ფუნდამენტური დროის" მომავლისკენ, მაშინ ნოოლოგიური ფაზების ცვლის ასეთ სქემას ვუწოდებთ **"ფარდობითი დასაწყისის ეფექტს"**, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში (როცა "ფარდობითი დროის" ბოლოები მიმართულია "ფუნდამენტური დროის" წარსულისკენ) - **"ფარდობითი დასასრულის ეფექტს"**. ფაზების ცვლის ამგვარი წესით მოარსებე "სრული სისტემა" შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი "სრული სისტემის" შერწყმით, როცა ისინი განიცდიან ონტოლოგიურ სტიქიათა დიამეტრალურ ფუნქციონალური ინტეგრალის წყვილთა (მეორის და მეოთხის, ან პირველის და მესამის) ეფექტების ფაზებს. ასეთ შემთხვევევბში ვერ მივუთითებთ "ფარდობითი დროის ორმხრივი სვლით აგების ამოსავალ წერტილს", ანუ **"ფარდობითი დასაწყისის წერტილსა"** თუ **"ფარდობითი დასასრულის წერტილს"** და, ლოგიკურია, ასეთ შემთხვევებში ფაზების ცვლის ამავე სქემას ვუწოდოთ, შესაბამისად, **"ფარული დასაწყისის ეფექტი"** და **"ფარული დასასრულის ეფექტი"**.

„საინტერესო შემთხვევაა, ასევე, "ფარდობითი დროის" აგება ორი წერტილიდან ამოსვლით - "ორმხრივი დასაზღვრულობის ეფექტი" - რაც კვანტურ ფიზიკაში ფეინმანის

ფუნქციონალური ინტეგრალის სახელით ცნობილი მეთოდის მოდელირების რესურსს წარმოადგენს. აქ ამ საკითხზე არ შევჩრდებით.“

* * *

ეს მოკლე განხილვაც ცხადყოფს “ციკლური ლოგიკის”, ანუ ნოოლოგიურ სტიქიათა თეორიის შესაძლებლობებს სინამდვილის ცნობილი სურათის მოდელირებაში. აღწერილი სტრუქტურების არაევკლიდური გეომეტრიის გამოყენებით წარმოდგენა უფრო მეტ შესაძლებლობებს შეიცავს; მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მიდგომით შეუძლებელია სინამდვილის სრულად აღწერა, რადგან მას გააჩნია სხვა, სამი ნოოსფერული სტიქიის პოზიციიდან მოხელთებადი ასპექტებიც.

3. დედამიწის ნოოსფეროს ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა

§3.1 ზოგადი სურათი

„ნოოსფერული ეფექტის“ – „ნოოსფერულ (ფსიქიკურ) სტიქიათა“ და „ნოოლოგიურ სტიქიათა“ ცალსახა ურთიერთშესატყვისობის – ერთ-ერთი მთავარი შედეგი ცივილიზაციის სრულ სისტემად იდენტიფიკაციაა. ტექსტის შემდგომ ნაწილში, ცივილიზაციებისთვის, როგორც სრული სისტემის სოციალური რეალიზაციებისთვის, „საბაზისო დროდ“ იგულისხმება ფიზიკური დრო, „ფარდობით დროდ“ – ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების რეალიზაციების – **„ცივილიზაციური ფაზების“** – დისკრეტული რიგი, რომელიც ფიზიკურ დროს (ისტორიული ფაქტების ქრონოლოგიას) დიკსრეტულ თვისებრივ ეტაპებად ყოფს. ცივილიზაციურ ფაზათა ცვლა შესაძლებელია ფარდობითი დროის ნებისმიერი სქემის მიხედვით. ამ წიგნის მეორე ნაწილში დავასაბუთეთ ნოოლოგიურ ფაზათა ცვლის რამდენიმე ისეთი სქემის შესაძლებლობა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით დედამიწის ნოოსფეროს ისტორიის ახსნაში. პირველია სქემა, რომელსაც ცალფა ეფექტის ფაზების რიგის სახე აქვს, მეორე – სამმაგი ეფექტის ფაზების რიგი, მესამე – ოთხმაგი ეფექტის ფაზების რიგი, რასაც ერთგვაროვნების ეფექტის სქემას ვუწოდებთ და ბოლოს, მეოთხე – ფარული (ფარდობითი) დასაწყისის ეფექტის სქემა. ფაზათა ცვლის კონკრეტული სქემა და ფსიქიკურ სტიქიათა კონკრეტული დაჯგუფება განსაზღვრავს ცივილიზაციის თვისებრივ ტიპს. ცივილიზაციურ ფაზათა ფენომენური (და, შედეგად, ქრონოლოგიური) იდენტიფიკაციის კრიტერიუმები ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მახასიათებლებია, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს უკვე გავეცანით.

რადგან ფსიქიკური სტიქიის ეფექტის უმაღლესი რეალიზაცია არის შესაბამისი თვისებრივი ტიპის ერი, ცივილიზაციური ფაზები, ოპტიმალურ შემთხვევაში, სათანადო (ერთი ან რამდენიმე) თვისებრივი ტიპის ერთა პროდუქტიულ აქტიურობაში გამოიხატება, სხვა თვისებრივი ტიპის ერები მიმდინარე ფაზის რეალიზატორ ერთა ზემოქმედების (თვითრეალიზაციის კერძო ასპექტის) ობიექტების როლშიღა ინარჩუნებენ აქტუალობას, ექვემდებარებიან მათ გავლენას, რაც ამ ფაზის სათანადო ფსიქიკური სტიქიის **„კასტური ეფექტის“** განვითარებაში გამოიხატება.

ფსიქიკური სტიქიის **„კასტურ ეფექტს“** ვუწოდებთ ფსიქიკური სტიქიის ეფექტს, განვითარებულს სხვა ფსიქიკური სტიქიის ეფექტის აქტუალური ფენომენის ფონზე. ფსიქიკური სტიქიის კასტური ეფექტით შეიძლება ამოიწუროს ცივილიზაციური ფაზის რეალიზაციაც (რაც „დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის“ და „ეგეოსური ცივილიზაციის“ ცალკეული ფაზების, ხოლო „ჩინური ცივილიზაციის“ და „დიდი სტეპის ცივილიზაციის“ მნიშვნელოვანი მახასიათებელია), მაგრამ, ასევე, შესაძლებელია, რომ, ცივილიზაციური ფაზის ხელშეწყობით, მისი შესაბამისი ნოოსფერული სტიქიის კასტური ეფექტი მისი რეალი-

ზაციის არეში არსებული ერების ნოოტიპური ტრანსფორმაციის ტენდენციაში გადაიზარდოს. ამრიგად, შესაძლებელია ცივილიზაციის მთელი არე კონკრეტულ ფაზაში, სათანადო ნოოტიპის (ნოოტიპების) ერებმა მთლიანად მოიცვან. ასეთი მდგომარეობისკენ მისწრაფება – **„საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია“** – კონსტრუქციული მნიშვნელობის ფაქტორია ცივილიზაციათა მრავლობის პირობებში: ერთი მხრივ, კონკრეტული ცივილიზაციის განფენის მთელს არეზე არსებული რესურსების მიმდინარე ფაზის სათანადო ნოოტიპის (ნოოტიპების) ერთა მინიმალური რიცხვის თვითრეალიზაციის ამოცანისადმი დაქვემდებარება მიმდინარე ფაზის რეალიზაციის (ინფორმაციის წარმოება-დაგროვების) დაჩქარების პირობაა; მეორე მხრივ, ასეთ შემთხვევებში, ცივილიზაციაში მორიგი ფაზის დადგომისას, საჭირო ელემენტების (ახალი ფაზის სათანადო ნოოტიპის ერების) გარდაუვალი დანაკლისი, მისი გარედან (მეზობელი ცივილიზაციებიდან) შევსების მოთხოვნილების წარმოშობის და, შედეგად, ცივილიზაციათა ურთიერთშერწყმის, ცივილიზაციათა მასშტაბის ზრდის ტენდენციის გაძლიერების პირობაა. ნოოსფერულ წარმონაქმნთა მასშტაბის ზრდა, როგორც აღინიშნა, საზოგადოებრივი ყოფის მოვლენათა ნაკადში ნოოსფერული სტიქიების ეფექტების, საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის დომინანტიზაციის ხელშემწყობი პირობაა. ასე რომ, ნოოსფეროს ისტორიაში დიდ ექსპანსიონისტთა წვლილი, მიუხედავად უდიდესი დანაკარგებისა, რაც მათ მოქმედებებს ახლდა, მაინც კონსტრუქციულია. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ კონსტრუქციული მნიშვნელობა აქვს ექსპანსიონისტური ტენდენციის საპირისპირო ფაქტორსაც, ერთა თავდაცვით რეაქციას, როგორც ნოოფილოგენეზური უკანდახევის (მინოტავრის სინდრომის) აცილების მთავარ რესურსს. „ამდენად, ერების ურთიერთბრძოლის ისტორია დედამიწის ნოოსფეროს ისტორიის კონსტრუქციული შემადგენელია.

* * *

საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიას ცივილიზაციათა თანაარსებობის, ანუ მათი მრავლობის გარეშეც შეიძლება ჰქონდეს კონსტრუქციული მნიშვნელობა: როდესაც ცივილიზაციის ფაზათა ხანგრძლივობა პიროვნების სიცოცხლის (მისი ბიოლოგიური მატარებლის არსებობის) საშუალო ხანგრძლივობას მრავალჯერ აღემატება, თაობათა ცვლის პროცესში შესაძლებელია, ნებისმიერი ნოოტიპის ერის ნებისმიერი სხვა ნოოტიპის ერად გარდაქმნა და ყოველი დამდგარი ფაზის მისი რეალიზატორი ელემენტით ამგვარად უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში ცივილიზაციურ ფაზათა ცვლა ერთი და იმავე ისტორიული საზოგადოებრივი ერთეულის ამ ფაზათა სათანადო ნოოტიპის ერებად ტრანსფორმაციის აქტების რიგია. ამგვარ ისტორიულ საზოგადოებრივ ერთეულში, ერის წარმომდგენი ისტორიული საზოგადოებრივი ერთეულისგან განსხვავებით, რიგ თაობათათვის, თავის წინა თაობასთან მემკვიდრეობითი კავშირი ამოიწურება იმით, რომ ის დაკავებულია წინამორბედთა მემკვიდრეობის სხვა ნოოსფერული სტიქიის ეფექტის სათანადოდ რეინტერპრეტაციის მცდელობით.

ამგვარი ტრანსფორმაციის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება დედამიწის ნოოსფეროს ისტორიიდან: ელინებმა და იტალიის ლათინებმა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე სამი განსხვავებული ნოოტიპის ერად იარსებეს; ერთხელ განიცადეს ტრანსფორმაცია შუმერებმა, ებრაელებმა, სპარსებმა, არამეელებმა, გერმანელებმა, არმენიელებმა, თურქებმა და არაერთმა სხვა ეთნოსმა; ჩინურ ტრადიციულ ისტორიოგრაფიაში კი (სიმა ციენი) იდენტიფიცირებულია მათი ოთხი განსხვავებული ნოოტიპის ერად არსებობის ისტორიული ეტაპები. ხოლო ნოოტიპური ტრანსფორმაციის გარეშე არსებობის მაგალითებად შეიძლება დასახელდეს ქართველების, რუსების, მონღოლების, ამერიკელებისა და არაერთი სხვა ერის ისტორია.

ცივილიზაციას, რომელშიც ფაზათა ცვლაში ერთა ნოოტიპური გარდაქმნების (ტრანსფორმაციების) პრეცედენტები დაშვებულია, შეიძლება ვუწოდოთ **„სპონტანური ცივილიზაცია“**, ან **„სტიქიური ცივილიზაცია“;** ხოლო, ცივილიზაციას, რომელშიც ერთა ნოოტიპური ტრანსფორმაციების აუცილებლობის დამყენებელი სიტუაციების გენერაცია გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების გარეშე გამორიცხულია და ოთხივე ნოოტიპის ერის თანაარსებობა ინსტიტუციურად უზრუნველყოფილია – **„საბოლოოდ სტაბილიზებული ცივილიზაცია“**, ან **„წმინდად ნოოსფერული ცივილიზაცია“**. საბოლოოდ სტაბილიზებული ცივილიზაცია ნიშნავს ერთა ახალი თაობების ნოოონტოგენეზის დაცულობას ცივილიზაციური ფაზების ცვლის გავლენისგან.

რადგან ცივილიზაციური ფაზები მოქმედების საზრისეულ ასპექტებს წარმოადგენენ, თითოეულ მათგანს შეესაბამება სათანადო მოდუსის და რაოდენობრივად მისი (ყოველი ფაზის) რეალიზაციის ფაქტის დასაფიქსირებლად საკმარისი ნაზარდი ინფორმაციისა. ამდენად, რაც უფრო მაღალია ინფორმაციის წარმოებისა და დაგროვების სიჩქარე, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს ცივილიზაციურ ფაზათა ხანგრძლივობა „საბაზისო დროში“. სპონტანური ცივილიზაციის შემთხვევაში, ცივილიზაციურ ფაზათა ხანგრძლივობის შემცირებას გააჩნია კრიტიკული ზღვარი – პიროვნების ნოოონტოგენეზის ხანგრძლივობა – რომლის მიღწევის შემდეგ ეს ტენდენცია ვერ გაგრძელდება საბოლოოდ სტაბილიზებული ცივილიზაციის მდგომარეობაში გადასვლის გარეშე: ფაზის ხანგრძლივობის უფრო შემცირების შემთხვევაში, ვერცერთი თვისებრივი ტიპის ერში ვერ მოესწრება პიროვნებათა ზრდასრული თაობის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც, ცივილიზაცია ან ნოოფილოგენეზის იმ საფეხურს დაუბრუნდება, ნოოონტოგენეზის რომელი საფეხურის დასრულების ასაკობრივ ზღვარსაც გადასწვდება ცივილიზაციური ფაზის ხანგრძლივობა, რაც, თავის მხრივ, ფაზის ხანგრძლივობის გაზრდას გამოიწვევს (უარყოფითი უკუკავშირის ეფექტი), ან მოხდება ადამიანთა მთელი პოპულაციის ბიოსახეობისთვის ნორმალურ (განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულ ანუ ნოოლოგიურად გადაგვარებულ) მდგომარეობაში დაბრუნება – **„მხეცის აღდგომის სინდრომი“** – რაც საერთოდ მოსპობს დედამიწის ნოოსფეროს.

ამდენად, სპონტანური ცივილიზაციის პირობებში ფაზის ხანგრძლივობის შემცირების აღკვეთა ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებად იდენტიფიცირდება. მისი საფუძველი სხვადასხვა ნოოტიპის ერებს შორის ინფორმაციის გაზიარების შეფერხება – ინფორმაციის გასაიდუმლოების პრაქტიკაა. რადგან დედამიწაზე ცივილიზაციურ ფაზათა ხანგრძლივობის შემცირება 20 წელიწადის ნიშნულზე შეწყდა (იხ. გვ. §3.2), გვაქვს საფუძველი, დავასკვნათ, რომ ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერებში ანთროპოგენური პიროვნების ნოოონტოგენეზის ხანგრძლივობა 20 წელია.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი, რასაც პოლიტიკის ცნების ქვეშ ვგულისხმობთ, წარმოადგენს ან ცივილიზაციათა კონფლიქტის (მათ შორის, ერთსა და იმავე საზოგადოებაში), ან ცივილიზაციური ფაზის რეალიზაციის ალტერნატივების კონფლიქტის (მათ შორის, ერთა თავდაცვითი რეაქციების), ან ნოოფილოგენეზის სხვადასხვა საფეხურის ფაქტორთა, ან მათი რეალიზაციის ალტერნატივათა კონფლიქტის გამოხატულებას.

* * *

დედამიწის (ანთროპოგენული) ნოოსფეროს საწყის მდგომარეობას, პირველადი ცივილიზაციების ეპოქას, რომელსაც ნოოფილოგენეზის პირველი საფეხური შეესაბამება, საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის მასშტაბის ბიოსფერული ოპტიმუმით შეზღუდულობა ახასიათებდა. ამ ეტაპზე, რომელიც რამდენიმე ათეულ ათას წელს გაგრძელდა, ცივილიზაციები წარმოდგენილი იყო **„ტოტემური თემების“**, ერები კი – **„ტოტემური კასტების“ ან „ტოტემური ფენების“** სახით, ხოლო ცივილიზაციური ფაზების ცვლა ყოველდღიური ყოფის მოვლენების განრიგთან იყო დაკავშირებული და უპირატესობა „ოთხმაგი ეფექტის სქემას“ ეკუთვნოდა (რომლის რეალიზაციაშიც შესაძლებელია უშუალოდ წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ორი ნოოტიპის ერიც – სხვა ორი ნოოსფერული სტიქიის ეფექტების რეალიზაცია უზრუნველიყოფა მოცემული ორის მეშვეობითაც, ციკლური ლოგიკის ცნებათა ალგებრის საფუძველზე). ბიოსფერულ სეზონთა ცვლა და ასტრონომიული ციკლები იყო მთავარი რესურსი (ნოოფილოგენეზის პირველ საფეხურზე გარემოს ფაქტორთა პრიმატის გათვალისწინებით) ფაზათა ცვლის სქემის ვარირებისა და მსხვილმასშტაბიანი წარმოდგენისა (ერთ სოციუმში შეიძლება ფაზათა ცვლის რამდენიმე სქემის პარალელურად რეალიზაცია, რამდენიმე ცივილიზაციის სუპერპოზიციული თანაარსებობა).

ნოოსფერული ოპტიმუმის ბიოსფერული ოპტიმუმით შეზღუდულობა განსაზღვრულ დემოგრაფიულ ბარიერზე პირველად ცივილიზაციათა ახალ ამგვარ ერთეულებად კვლავ და კვლავ დაყოფის აუცილებლობას განაპირობებს, რის შედეგადაც საკმარისად დიდი რეგიონები საერთო წარმომავლობის პირველად ცივილიზაციათა კონგლომერატით შეიძლება შეივსოს. გეოგრაფიული რეგიონის ამგვარი ეთნიკური ერთგვაროვნება არის არა რაიმე ახალი მასშტაბის ნოოსფერული ერთეულის ფორმირების გამოხატულება, არამედ

მხოლოდ ხელსაყრელი (თუმცა, არააუცილებელი) პირობა ნოოსფეროს განვითარების მეორე ეტაპზე გადასასვლელად.

ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე, რომლის დასაწყისი დედამიწის ნოოსფეროს ისტორიაში ე. წ. ნეოლითური რევოლუციის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს, იქ, სადაც გამოვლინდა და შეუქცევადი გახდა ამგვარი ცვლილების სიმპტომები (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების კერებში), მოიხსნა საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის მასშტაბის ბიოცენოზური ოპტიმუმით შეზღუდვა, დადგა პირველადი ცივილიზაციების ურთიერთასიმილაციის მამოძრავებელი **„საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“** ოპტიმალურობის (ბატონობის) ეპოქა, დაიწყო **„მეორეული ცივილიზაციების“** ჩამოყალიბება. ხოლო ფაზათა ცვლამ ცივილიზაციათა არეებზე მთავარი ინიციატორების როლში შესაბამისი (ერთი ან რამდენიმე) ნოოტიპის ერების ფორმირების (ან რეაქტუალიზაციის) და დომინირების ეპოქათა მონაცვლეობის სახე მიიღო. ცივილიზაციათა უმრავლესობას გაუჩნდა მუდმივი კომპონენტები, ერები, რომელთაც აიცილეს ნოოტიპური ტრანსფორმაცია და მათი მაფორმირებელი ფაზების დასრულების შემდეგაც მოახერხეს არსებობის გაგრძელება, სხვა ნოოსფერული სტიქიების კასტური ეფექტების მოდუსით რეალიზაციების უზრუნველყოფით.

მეორეული ცივილიზაციის ფიზიკური მასშტაბის ზრდა, ერთი მხრივ, ცივილიზაციური ფაზის ხანგრძლივობის ზრდის პირობაა, რადგან, რაც უფრო დიდია სოციუმი, რომელიც ცივილიზაციის კონკრეტული ფაზის რეალიზაციას განიცდის, მით უფრო მეტი დრო იქნება საჭირო ამ სოციუმის ერთობლივი მოქმედების აქტებად იდენტიფიცირებადი მოვლენების კონკრეტული ფაზების დასრულებისთვის საკმარისი რაოდენობრიობით რეალიზაციისთვის, მეორე მხრივ კი, მზარდი მასშტაბის სოციუმის არსებობა მისი წევრების ურთიერთკომუნიკაციის უნარებისა და საშუალებების, ინფორმაციის წარმოებისა და შენახვა-დაგროვების ტექნოლოგიების განვითარებას მოითხოვს, რის გამოც კონკრეტული ფაზის შესაბამისი მოვლენები უფრო და უფრო მცირე დროში შეიძლება განხორციელდეს. ცხადია, რომ მეორეული ცივილიზაციების ეპოქის საწყის ეტაპებზე ჯერ ცივილიზაციურ ფაზათა ხანგრძლივობის ზრდა იყო გარდაუვალი, შემდეგ კი – ამ მახასიათებლის შემცირების ტენდენცია.

დედამიწის ნოოსფეროს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს განსხვავებული თვისებრივი ტიპის მეორეულმა ცივილიზაციებმა. მათ შორის, **„ჩინური ცივილიზაციის“, „დიდი სტეპის ცივილიზაციის“, „იაპონური ცივილიზაციის“, „ტიბეტური ცივილიზაციის“ „მაიას ცივილიზაციის“** და, სავარაუდოდ, **„ინკების ცივილიზაციასა“** და **„აცტეკების ცივილიზაციის“** შემთხვევაში ფაზათა ცვლა პირველად დასახელებული სქემის მიხედვით (ნოოსფერულ სტიქიათა დაცალკევებულად აქტუალიზაციით) მიმდინარეობდა.

ნოოლოგიურ ფაზათა ცვლას სამმაგი ეფექტის ფაზების რიგის სახე ჰქონდა **„ეგვიპტური ცივილიზაციისა“** (რომელმაც მოახერხა თავის სივრცეში მაკედონელთა ინ-

ტეგრაცია და ერთხანს რომის იმპერიის ფარგლებშიც შეინარჩუნა არსებობა) და **„მეორე მესოპოტამიური (ბაბილონური) ცივილიზაციის“** (რომელიც ჩამოყალიბდა ურის III დინასტიის დამხობის შემდეგ და არსებობდა მაკედონელთა შემოტევამდე) შემთხვევებში, თანაც ორივე შემთხვევაში აქტუალიზებული იყო პირველი სამი ნოოსფერული სტიქია, რაც აიხსნება იმით, რომ მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის მთავარი სიმპტომი – **გაფართოება** – ყოველთვის თავსებადია განვითარებასთან, მაშინ როცა სხვა სამი ნოოსფერული სტიქიის არაპირდაპირი ეფექტების ძირითადი მახასიათებლები – **დგომა, კუმშვა** და **დინება** – ადვილასოცირებადია განვითარების შეფერხებასთანაც.

„ინდური ცივილიზაცია“ მეორეული ცივილიზაციის ერთადერთი მაგალითია, რომლის ფაზათა ცვლას პირველად ცივილიზაციებისთვის უპირატესი სქემის, ოთხმაგი ეფექტის ფაზების რიგის სახე ჰქონდა.

ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის რეალიზაციის მაგალითებად კი შეიძლება დასახელდეს **„პირველი მესოპოტამიური (შუმერული) ცივილიზაცია“, „ეგეოსური ცივილიზაცია“** და **„დასავლეთევროპული ცივილიზაცია“.**

პირველი მესოპოტამიური (შუმერული) ცივილიზაციის მემკვიდრეობამ, რომელმაც ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის მეშვეობით („ძველი აღთქმის“ ტექსტებში წარმოდგენილი რედაქციით) მოაღწია უფრო გვიან ჩამოყალიბებული, მეორეული ცივილიზაციების სივრცეებამდე, დიდი გავლენა იქონია დედამიწის ნოოსფეროს მეტ ნაწილზე ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის რეალიზაცია-სტაბილიზაციაში, მაგრამ ამავე თვისებრივი ტიპის სხვა ორი ცივილიზაციის ისტორიული როლი მაინც უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: **დასავლეთევროპული ცივილიზაციის** მოწინავე ერები პირველები გადავიდნენ ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე, დედამიწის ნოოსფეროს დანარჩენ ნაწილში (საქართველოს გამოკლებით) საამისო სიმპტომებიც მათი გავლენის გამოხატულებად გავრცელდა და გლობალიზაციის ზღვარსაც პირველად ამ ცივილიზაციამ მიაღწია; **ეგეოსურმა ცივილიზაციამ** კი, სხვა მეორეულ ცივილიზაციებთან (უკანასკნელ ეტაპზე – დასავლეთევროპულ ცივილიზაციასთან), გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე კონფლიქტში საბოლოო გამარჯვებით მიაღწია დედამიწის ნოოსფეროს ფენომენურ გამთლიანებას, რამაც მისი ისტორია მსოფლიოს ისტორიის მაგისტრალურ ხაზად აქცია. ამ უკანასკნელ ცივილიზაციათა კონფლიქტის შედეგის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ჩანს მათი ფაზების ცვლის სქემებს შორის განსხვავება: ეგეოსური ცივილიზაციის ორმაგი ეფექტის ფაზების რეალიზაციაში დაწყვილებულია მართვის მანია და ძლევის მანია, ხოლო ცხრომის მანია და ფორმის მანია პასუხობენ ცალფა ეფექტის ფაზებს, რაც ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის ეფექტების დაცალკევებულად რეალიზაციის (ერების როლის გამახვილების) ხელშემწყობია; დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში კი დიამეტრალური წყვილები საპირისპირო პოზიციებზე იყვნენ დაფიქსირებულნი: ორმაგი ეფექტის ფაზებს ცხრომის მანიისა და ფორმის მანიის წყვილი პაუხობდა, ცალფა ეფექტის ფაზებს კი – მართვის მანია და ძლევის მანია, რაც ხსენებული სამეულის ეფექტების დაცალკევებულად რეალიზაციის ხელშემშლელია.

ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების ფაზების ცვლა არაერთი ურთიერთგადაკვეთით წარიმართა და, ამდენად, უმჯობესია მათი ერთი ქრონოლოგიით გადმოცემა (ქრონოლოგიურ რიგს განსაზღვრავს ფაზათა დასაწყისის თარიღები).

§3.2 დედამიწის ნოოსფეროს ისტორიის მაგისტრალური ხაზი

შევნიშნავთ, რომ ცივილიზაციათა ისტორიის ყოველი ეტაპი ნოოფილოგენეზის თანადროული საფეხურების პარადიგმების გათვალისწინებით უნდა გადმოიცეს.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის სტაბილიზაცია – მისი პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა, დაახლოებით 2000 – 1100 წლები ქრისტეშობამდე.

ეგეოსური მითოსის მიხედვით, ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა ეგეოსის ზღვის აუზის, შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და კავკასიის სივრცეზე, მეორად ცივილიზაციებად რეკონსოლიდაციის გზაზე დამდგარი (შესაძლებელია, ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით არაერთგვაროვანი, მაგრამ, მობინადრე სამიწათმოქმედო კულტურის სახით, საერთო ნიშნის მატარებელი) ეთნოსებისა და ბალკანეთში ევროპიდან თუ მცირეაზიიდან შემოსული, ნომადი პროტოელინების – აქაველების ურთიერთინტეგრაციით განხორციელდა და მოიცავს დაახლოებით 2000-1100 წლების შუალედს ქრისტეშობამდე. ეგეოსური ცივილიზაციის სტაბილიზაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად უნდა დასახელდეს ეგვიპტური ცივილიზაციის ექსპანსია, როგორც ეგეოსური სამყაროს თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებად პელაზგთა და აქაველთა კონსოლიდაციის დამაჩქარებელი ფაქტორი. ამას ადასტურებს მითოსიც („დანაიდები“) და არქეოლოგიის მონაცემებიც: არქეოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქრისტეშობამდე, დაახლოებით, 2400-2100 წლების შუალედში ნილოსის დონის სეზონური მატება შეწყვეტილი იყო (ფაიუმის ტბის ფსკერზე, რომელიც ნილოსის წყლით მარაგდებოდა, ნალექ შრეს აკლია ისტორიის დასახელებული მონაკვეთის შესაბამისი ფენები); და, ამდენად, ეგვიპტის მდებარეობის გათვალისწინებით, ახალი საცხოვრის-სავარგულების საძიებო საზღვაო ექსპედიციები ამ ცივილიზაციის დაქვეითების ასაცილებლად მთავარ საშუალებად უნდა დასახულიყო – ეგეიდის და სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, მათ შორის ძველი კოლხეთის, ერთი ცივილიზაციის კონსოლიდაციის არედ ქცევა შესაბამისობაშია ძველეგვიპტელთა კაბოტაჟური ცურვის მარშრუტების სავარაუდო გეოგრაფიასთან (მაშინ მათ არ ჰქონდათ ღია ზღვაში ცურვის ტექნოლოგია).

ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციაში მობინადრე სამიწათმოქმედო კულტურის მატარებელმა კოლხურ-პელაზგურმა სამყარომ მართ-

ვის მანიის ეფექტის რეალიზატორი ელემენტის – მართვის მანიის კლასის ერის – ფუნქცია შეასრულა, რომლის თვითრეალიზაცია მისი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზაციაში გამოიხატა (სხვა შესაძლებლობა არ იყო), მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის ერით, აქაველ-მიკენელთა სახით. ორმაგი ეფექტის ამგვარად რეალიზაციამ დასახელებული მართვის მანიის კლასის ერის ძლევის მანიის კლასის ერად ტრანსფორმაციის ტენდენციის განვითარება გამოიწვია, რასაც დაერთო ფაზის მიწურულს ეგეიდაში დორიელების შემოჭრა და მათ მიერ ინიციატივის დაუფლება ძლევის მანიის ეფექტის რეალიზატორი ელემენტის როლში. ამის შემდეგ მართვის მანიის ეფექტის რეალიზაცია ამ ცივილიზაციის კატასტროფული გაფართოების აქტში გადაიზარდა, რაც ზღვის ხალხთა შემოსევის სახელითაა ცნობილი. ამგვარად, თავისი პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის დასასრულს, ეგეოსური ცივილიზაცია წინაზიის მნიშვნელოვან ნაწილზე აღმოჩნდა განფენილი და, საფიქრებელია, მთელს კავკასიასაც მოიცავდა.

ეგეოსური ცივილიზაციის კონსოლიდაციის მოვლენაზე ეგვიპტური ცივილიზაციის გავლენის ხელშემწყობ როლს შემდეგი ლოგიკა აქვს: ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურზე სოციუმის მართვის მანიის კლასის ერად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს (თუმცა არ არის აუცილებელი) მიწათმოქმედების არაკოლექტიურად წარმოების წესი, რომელიც მოსავალზე და, ამდენად, საზოგადოების კეთილდღეობაზე ამინდის ფაქტორების გადამწყვეტი გავლენის შენარჩუნებას (ურანოსის სინდრომს) და, შედეგად, ამ ფაქტორების ოპტიმალური თანხმობის პერსონიფიკაციის – **„მორიგე ღმერთის“** – პრიმატზე დამყარებული მითოსური სისტემის ჩამოყალიბებას განაპირობებს; როგორც აღვნიშნეთ, მართვის მანიის კლასის ერის ამგვარად არსებობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა მიწათმოქმედების კოლექტიური წესით წარმოებაზე (მასშტაბური სარწყავ-საწრეტი და პროდუქტის დაცვა-დამარაგების ინფრასტრუქტურის ჩასახვა-განვითარებით სოციუმის ცენტრალიზებულ თვითორგანიზაციაზე) გადასვლის ტენდენცია, რომელიც იმ დროს ათასწლიანი ამგვარი (ფორმის მანიის კლასის ერად არსებობის) გამოცდილების მატარებელ, ძველეგვიპტელებთან კონტაქტს შეეძლო დიდად გაეძლიერებინა, (სწორედ ამგვარი გავლენის შესახებ მეტყველებს კრეტაზე ხარის, აპისის კულტთან ასოცირებადი კულტის არსებობაც, მიწის, კრონოსის სახით, მამრობითი ბუნების ღმერთით პერსონიფიცირება და ძველ კოლხეთში აიეტით პერსონიფიცირებული სამეფო ხელისუფლების ინსტიტუტის, ადგილობრივი ტრადიციის საპირისპიროდ, მამრობითი მოდუსით წარმოდგენილ მზის კულტთან ასოცირებულობაც); ხოლო ნომადური კულტურის მატარებელ აქაველებთან კონტაქტი, მათგან ახალი მიღწევების (ცხოველების გამწევ ძალად გამოყენების ეფექტური ტექნოლოგიების) ათვისების შესაძლებლობის გათვალისწინებით (იმ ეტაპზე მესაქონლეებსა და მიწათმოქმედებს ბევრი რამის ათვისება შეეძლოთ ერთიმეორისგან), მიწათმოქმედების არაკოლექტიური წესით წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და, ამდენად, კოლხურ-პელაზგური სამყაროს ფორმის მანიის კლასის ერად ტრანსფორმაციის ტენდენციის შეჩერების (მართვის მანიის კლასის ერის არსებობის გაგრძელების) ახალ რესურსს ქმნიდა.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ძველეგვიპტელთა ეგეოსურ სამყაროზე გავლენის ეგეოსური ფარდობითი დასაწყისის პუნქტად, ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის გამოხატულებად იდენტიფიკაციისთვის, რაც ისტორიული ფაქტის რეტროსპექციული რეიდენტიფიკაციის პრეცედენტად შეიძლება დასახელდეს.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის პირველი ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა, დაახლოებით 1100 - 430 წლები ქრისტეშობამდე.

ძირითადი ფენომენები: ფინიკია, ლიდია, კართაგენი, ძველი ელადა – სავაჭრო ფუნქციის ქალაქსახელმწიფოები და მათი კავშირები.

ამ ფაზის დასასრული უნდა დათარიღდეს ძველელინურ სამყაროში სპარტას – ძლევის მანიის კასტური ეფექტის ფენომენის – ჰეგემონიის დამყარების ფაქტით, რაც პელეპონესის ომს მოჰყვა (431-404 წწ. ქრისტეშობამდე), მაგრამ ახალი ფაზის ფენომენების დომინანტიზაცია (გარდამავალი პერიოდის დასრულება) გაგრძელდა ძლევის მანიის კლასის ძველმაკედონელი ერის მიერ ძველი ელადის დაპყრობის დასრულებით, რაც ქრისტეშობამდე 338 წლით თარიღდება; ამ დრომდე ეგოსური ცივილიზაციის სივრცეზე ცხრომის მანიის ეფექტის გავლენა მნიშვნელოვან ფაქტორად რჩებოდა, რისი ერთ-ერთი მთავარი სიმპტომიც ძველელინურ ფილოსოფიაში ნაწილის პირველადობის პრინციპის ამსახველი მიმდინარეობის გაბატონებაა, რასაც საფუძველი სოკრატემ შეუქმნა (კატეგორიათა დეფინიციების დაზუსტების მცდელობა) პლატონმა და არისტოტელემ კი განავითარეს, რისი უმაღლესი გამოხატულებებია ისეთი კონცეპტები, როგორიცაა პლატონისეული „იდეები“, როგორც სინამდვილის პირველსაწყისები, და არისტოტელესეული „ერთი“, როგორც უნაწევრო სიმთელის და ყოველივეს საბოლოო მიზნის აღმნიშვნელი; აზროვნების სისტემურობის ის ხარისხი, რაც სოკრატეს დროიდან ახასიათებდა ძველელინურ ფილოსოფიას, ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის შესაბამისია და, სწორედ, ახალი ფაზის დადგომის შედეგად ცხრომის მანიის ეფექტის ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვით შეიძლება აიხსნას ის, რომ ძველელინური საზოგადოება მაშინ რელიგიის შექმნამდე ვერ მივიდა და მეტი გასაქანი მიენიჭა ფილოსოფიის განვითარებას (თვითრეფლექსიის ზედნართი რანგების აქტუალიზაციას); ახლი ფაზის დადგომით აიხსნება იმ დროის ძველელინურ ფილოსოფიაში (მათ შორის პლატონისა და არისტოტელეს მემკვიდრეობაში) მართვის მანიისა და ძლევის მანიის ეფექტების ამსახველი ასპექტების წარმოდგენილობაც, რამაც უნივერსალიზმი (და, შედეგად, არათანმიმდევრულობა) შესძინა მას (ძველელინურ ფილოსოფიას).

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით ქრისტეშობამდე 430 - ქრისტეშობიდან 180 წლები.

ძლევის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები: ძლევის მანიის კასტური ეფექტის სპარტანული ფენომენის ჰეგემონიის დამყარება ელადაში; ძველმაკედონელი, პართელი, ძველარმენიელი და რომაელი ერები.

მართვის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები: ეგეოსური ცივილიზაციის გაფართოება; ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფები: არიან-ქართლი, იბერია-ქართლი, პონტო, სომხეთი; კავკასიის ალბანეთი, კელტური სამყარო და საწყისეული (არაინსტიტუციური) ქრისტიანობა.

ამ ფაზის დასასრულს დაიწყო ეგესოური ცივილიზაციის ფაზათა დიაქრონიის დარღვევა: რომაელი ერის თავდაცვითმა რეაქციამ (მესამე საუკუნის კრიზისი) სათავე დაუდო ძლევის მანიის კლასის ერად იდენტიფიცირებადი ელემენტის, ძველგერმანული სამყაროს ეგეოსურ ცივილიზაციაში თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესს (მეოთხე საუკუნეში დროებით ამავე როლში აღმოჩნდნენ ჰუნებიც – დიდი სტეპის ცივილიზაციის ელემენტი), რასაც ეგეოსური ცივილიზაციის ხსენებული ფაზის, მის ძველგერმანულ სამყაროზე და შემდეგ ნორმანდიულ სამყაროზე თანდათანობითი გავრცელებით, თითქმის ათასი წლით გახანგრძლივება მოჰყვა, **180 - 1130** წლები.

მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის ამ, ინერციულ რეალიზაციაში ძლევის მანიის ეფექტის მთავარი ფენომენებია: ფრანკი ერი, რომლის სახელმწიფოშიც ჩაისახა რაინდობის ინსტიტუტი; ფილიოკვე (გერმანული ღვთისმეტყველების პრინციპი); ვიკინგები; რომანული კულტურა.

ხოლო იმავე მოვლენის თანმხლებ მართვის მანიის ეფექტის მთავარ ფენომენად უნდა დავასახელოთ ეგეოსური ცივილიზაციის გაფართოება – ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით ქრისტეშობიდან 180 - 750 წლები.

ძირითადი ფენომენები: სასანიდური ირანი; ქრისტე პანტოკრატორის კონცეფცია (შესაბამისი მოდუსის ინსტიტუციური ქრისტიანობა), ბიზანტია, პაპიზმი, არმენია, გერმანული მონარქიის ფორმირების ტენდენცია ძველგერმანულ სამყაროში (შეფერხებული ზემოაღნიშნული გარემოების გავლენით – მაიორდომის, როგორც სამხედრო ლიდერის, ინსტიტუტის ფუნქციით მეფის ინსტიტუტის ფუნქციის შეზღუდვა); ისლამი და არაბთა ხალიფატი.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 750-1130 წლები.

ძლევის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები: აბასიანთა რეფორმა (ისლამურ სამყაროში ირანელთა გათანაბრება არაბებთან და ამ უკანასკნელთა მიერ სასანიდური მემკვიდრეობის ათვისების დასაწყისი – მიღების აქტი); კაროლინგების დინასტია და დასავლეთევროპული რაინდობის ინსტიტუტი; კომუნალური მოძრაობა; რომანული კულტურა; კიევის რუსეთი; სულთანატი (ხალიფის დამცველის კონცეფცია) – სელჯუკების იმპერია; ჯვაროსნული მოძრაობა (1130-იან წლებამდე); ტამპლიერების ორდენი (მხოლოდ გენეზისით – სწრაფად გადაიქცა მორიგი ფაზის შესატყვის ფენომენად).

მართვის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები: საქართველოს სამეფო; საღვთო რომის იმპერია – გერმანული იმპერიის იდეის ტრანსფორმაცია თანხმობის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობის გამოხატულებად; ეგეოსური ცივილიზაციის გაფართოება.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1130 - 1580 წლები.

ძირითადი ფენომენები: ქალაქების დაწინაურება სავაჭრო ფუნქციით – ფლორენცია, გენუა, ვენეცია მე-12 საუკუნის დასასრულამდე, ხოლო კონსტანტინოპოლი, ტრაპიზონი, დიდი ნოვგოროდი – ფაზის ბოლომდე; ვაჭარ-ფინანსისტთა ოლიგარქიის დამყარების მცდელობა საქართველოში (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა) და მონარქიის შეზღუდვა; მამლუქობა (სამხედრო კონტინგენტის კომპლექტაცია საბაზრო პრინციპით); სუფიზმის პოპულარიზაცია ისლამურ სამყაროში, ბექთაშების ორდენი, ირანული და თურანული ელემენტების ყიზილბაშური სინთეზი; ცხრომის მანიის კასტური ეფექტის ებრაული და არმენიული ფენომენები წინააზიაში.

* * *

ამ ფაზის დასაწყისი, გერმანულ-ნორმანდიული ელემენტის მდგომარეობის მთავარი ასპექტის მიხედვით, ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის დასასრულს, ამ ცივილიზაციის დანარჩენი ნაწილის მდგომარეობის მიხედვით კი ეგეოსური ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დასასრულს საკმარისი სიზუსტით დაემთხვა საიმისოდ, რომ მათი ლოგიკური გაგრძელებები, შესაბამისად, ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციები, ურთიერთინტეგრაციას დაქვემდებარებოდა: გერმანულ-ნორმანდიულ სამყაროში მონარქიის განვითარების ტენდენციისა და გერმანულ-ნორმანდიული ელემენტის დომინირების არეებზე ჩასახული გოთიკის კულტურის სახით, ფორმის მანიის ეფექტი გავრცელდა ლათინურ სამყაროზე; ხოლო სავაჭრო ფუნქციითა და ვაჭართა ოლიგარქიით ქალაქებისა და მათი კავშირების აღმავლობის ტენდენციისა

და პროტორენესანსის სახით, ცხრომის მანიის ეფექტი ლათინური სამყაროდან გავრცელდა გერმანულ-ნორმანდიულ სამყაროზე. ასე რომ, ეგეოსური ცივილიზაციის ამ ფაზის დასაწყისით შეიძლება დასავლეთევროპული ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისიც დავათარიღოთ.

ეგეოსური ცივილიზაციის ამგვარად გაყოფის მთავარ სიმპტომად დასავლეთევროპელი ჯვაროსნებისა და საქართველოს სამეფოს ურთიერთობაში კონფრონტაციის ტენდენციის განვითარება უნდა დასახელდეს – პალესტინაში ჯვაროსნების წინააღმდეგ სალადინის (ეგვიპტეში მამლუქის ინსტიტუტის შემქმნელის) გააქტიურების ხელშემწყობი პირობა და ამ პროცესში ქრისტიანთა მიმართ შემწყნარებლობითი დამოკიდებულების სტაბილიზაციის საფუძველი, რასაც, საბოლოოდ, იერუსალიმიდან ჯვაროსანთა განდევნა და წმინდა ადგილების ქართველთა ხელში გადასვლა მოჰყვა. კონფრონტაციის ესკალაციას ჯვაროსნების ბიზანტიის წინააღმდეგ შემობრუნება და საქართველოს სამეფოსა და ჯვაროსნებს შორის ბიზანტიის მემკვიდრეობის გაყოფა მოჰყვა. ამის შემდეგ მოვლენათა განვითარებაში ჩაერია ძლიერი გარეგანი ფაქტორი, მონღოლების ექსპანსია – მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაცია – ჩინური ცივილიზაციის მეორე მართვის მანიის ეფექტის ფაზის დამაგვირგვინებელი, ეგეოსური ცივილიზაციისთვის უკიდურესად დესტრუქციული მნიშვნელობის ფაქტი: ეგეოსური ცივილიზაციის მოწინავე ერები ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის დასასრულს უახლოვდებოდნენ, ქართველ ერს დასრულებულიც კი ჰქონდა ეს საფეხური, მაშინ, როცა მონღოლი ერი ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურზე გადასვლის საწყის (კენტავრის სინდრომის) ეტაპზე იმყოფებოდა. დასავლეთევროპული ცივილიზაციის უდიდესი ნაწილი, შემთხვევით გადაურჩა მონღოლთა ბატონობას, რაც გახდა მისი წევრი ერების ნოოფილოგენეზური დაწინაურების საფუძველი – მანამდე ისინი ამ ასპექტით ჩამორჩებოდნენ ეგეოსური ცივილიზაციის მოწინავე ერებსა და ჩინელ ერსაც.

* * *

დასავლეთევროპული ცივილიზაციის პირველი ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1130-1520 წლები.

ფორმის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები: პაპიზმი, გოთიკის კულტურა; ფრანგული, ინგლისური, ესპანური, გერმანული და თურქული აბსოლუტიზმის ფორმირების მეტ-ნაკლებად წარმატებული ტენდენციები.

ცხრომის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები: პროტორენესანსი, ფლორენცია, ვენეცია, გენუა და სავაჭრო ფუნქციის ქალაქთა კავშირები – ჰანზა, რეინის კავშირი და სხვა; ტამპლიერების ფინანსური იმპერია; ბექთაშიზმი და იანიჩრობა; ცხრომის მანიის კასტური ეფქტის ებრაული და არმენიული ფენომენები ოსმალეთის იმპერიასა და დასავლეთ ევროპაში.

* * *

დასავლეთევროპული ცივილიზაციის პირველი მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1520-1847 წლები.

ძირითადი ფენომენი:

ინტენსიური გაფართოება (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და კოლონიური იმპერიების ზრდის სტაბილიზაცია), რამაც დიდად შეაფერხა მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის რეალიზაციის რესურსი: ირლანდიელი ერი აგრესიის ობიექტად იქცა (ამერიკაში მონათმფლობელობის ისტორია რეპრესირებული ირლანდიელების მონებად გაყიდვით დაიწყო), ხოლო საზოგადოებაში ქალის სტატუსის ამაღლების ტენდენცია, რაც ევროპის სინამდვილეში მართვის მანიის ეფექტის აქტუალიზაციის ერთ-ერთ მთავარ სიმპტომად იყო საგულვებელი, ასევე ძალადობით აღიკვეთა – „ჯადოქრებზე ნადირობის კამპანია“.

შოტლანდიელი, ბასკი, კორსიკელი და სიცილიელი ერების არაპირდაპირი თვითრეალიზაცია და ამგვარივე მნიშვნელობისა და, ამასთანავე, ქართველი ერის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაციის ტენდენციის (ქართველი მამლუქებით წარმოდგენილი ალტერნატივის საპირისპირო ალტერნატივის) გამოვლენად იდენტიფიცირებადი გააქტიურება ქართული ელემენტისა ოსმალეთის ხელისუფლების ცენტრალურ ინსტიტუტებში.

ინტენსიური გაფართოების პროცესში შესაძლებელი გახდა წინა ფაზის ორმაგი ეფექტის ფენომენების – მონარქიებისა და სავაჭრო ქალაქთა ლიბერალისტური კოალიციების სტრატეგიული თანამშრომლობით განსაზღვრული ბიმოდალური წარმონაქმნების – ფორმის მანიის ან ცხრომის მანიის კლასის ერზე დაყვანა, ან ამგვარ ერთეულებად პოლარიზაციის ტენდენციის სტაბილიზაცია, საწყის ერთეულთა ბიმოდალიზმის დარღვევის გარეშეც, მეორე ელემენტის ახალასათვისებელ სივრცეში გატანა-რეგენერაციის ტენდენციის განვითარებით, რაც ასიმეტრიული ბიმოდალური (მეტროპოლია-კოლონია) იმპერიების ჩამოყალიბებაში გამოიხატა. თანამედროვე ევროპელი ერების ფორმირება ამგვარი ტენდენციების დასრულების შედეგია, რამაც საფუძველი მისცა ერის ფენომენის ახალი დროის მოვლენად დამსახავ, მცდარ წარმოდგენას.

ცალფა ეფექტის ფენომენებად დაიწყეს გაფართოება პრუსიამ, რომელიც გამოეყო საღვთო რომის იმპერიას და ფორმის მანიის კლასის გერმანელი ერის კონსოლიდაციის ცენტრად იქცა (წინა ფაზაში ტევტონთა ორდენის მიერ ინიციირებული ტენდენციის განვითარება) და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც გამოეყო ინდოეთის (ოთხმაგი ეფექტის ფენომენის) გავლენით ცალფა ეფექტის ფენომენზე რედუქციის შეფერხებას დაქვემდებარებულ დიდი ბრიტანეთის მეტროპოლიას და მალევე დაწინაურდა ერთა ცხრომის მანიის კლასში.

ჩინური ცივილიზაციის ფორმის მანიის ეფექტის ფაზის ერთ-ერთ ფენომენად ჩამოყალიბებულ, მოსკოვის რუსეთის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაციის ტენ-

დენციისადმი დაქვემდებარებამ აღკვეთა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ ევროპასა და კასპიის ჩრდილოეთიდან შუა აზიისკენ გაფართოება (მე-16 საუკუნის შუა წლები). ოსმალეთის გაფართოება კასპიის სამხრეთითაც შეუძლებელი გახდა, ეგეოსური ცივილიზაციის ფენომენის ყიზილბაშური იმპერიის წინააღმდეგობის გამო (1555 წ. ამასიის ზავი). ასე რომ, მოსკოვის რუსეთი დასავლეთევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ინტენსიურად გაფართოებად ფორმის მანიის ეფექტის ფენომენად იქცა. ამას ხელი შეუწყო ამავე საუკუნის, მიწურულს ეგეოსური ცივილიზაციის მორიგი ფაზის დადგომის შედეგად ძლევის მანიის კლასის რუსი ერის გააქტიურებამაც, რის გარეშეც მოსკოვის რუსეთს შეიძლება პოლონეთი ვერ ჩაენაცვლებინა დასახელებულ როლში.

დასავლეთევროპული ცივილიზაციის ერებმა გაფართოების გასაქანი ფაქტობრივად ამოწურეს ამავე ფაზის დასრულებამდე, „დასავლეთევროპული ცივილიზაცია გლობალიზაციის ზღვარს მიუახლოვდა, რის შედეგადაც მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის რეალიზაციის გარკვეული შესაძლებლობა მაინც გაჩნდა. ამის უმაღლესი გამოხატულებაა დიდი ირლანდიელი მეცნიერის, უილიამ ჰამილტონის მიერ უმცირესი ქმედების პრინციპის აღმოჩენა (1834 -1835 წწ.), რითაც, ფიზიკური მოვლენების ისააკ ნიუტონისეული მიზეზ-მიზნობრივი ინტერპრეტაციით აღწერის საპირისპირო, არამიზეზ-მიზნობრივი და უნაწევრო სიმთელის ასპექტით აღმწერი მიდგომის ჩამოყალიბება დასრულდა (ჰამილტონის მონაპოვარი დღემდე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად რჩება).

ამავე ფაზაში მოხდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის მოწინავე ერების ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის შეუქცევად ტენდენციად სტაბილიზაცია, რაც არის დასავლეთევროპული განმანათლებლობის არსი. ამ შემთხვევაში ჰერაკლეს სინდრომის პერსონიფიკაციად ნაპოლეონ ბონაპარტეც შეიძლება დასახელდეს.

თუმცა ნაპოლეონის ომებს ახლდა ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების კონფლიქტის მომენტიც: რუსეთის იმპერიასთან ომი ძლევის მანიის კლასის რუსი ერის წინააღმდეგ მოქმედებაც იყო, ეგვიპტეში მის ლაშქრობას კი, იქ მამლუქთა ხელისუფლების – ეგეოსური ცივილიზაციის გავლენის ფაქტორის – ლიკვიდაცია მოჰყვა, რამაც ბიძგი მისცა ფორმის მანიის კლასის არაბი ერის სახელმწიფოებრივი რეკონსოლიდაციის პროცესს (მუჰამედ ალი ეგვიპტელი), რაც, ეგეოსური ცივილიზაციის თანადროულ ფაზასთან მისი თვისებრივი შეუსაბამობის გამო, მხოლოდ დასავლეთევროპული ცივილიზაციის მოვლენად შეიძლებოდა განვითარებულიყო. ეს პროცესი ინგლისელი და ფრანგი ერების წინააღმდეგობამ შეაჩერა – ოსმალეთის იმპერია ფაქტობრივად მათი კოლონიური (ბიმოდალური) იმპერიების ნაწილად იქცა. იანიჩრობის ინსტიტუტის ლიკვიდაციამ გააძლიერა ოსმალეთის იმპერიის ფორმის მანიის კლასის თურქ ერზე რედუქციის ტენდენცია.

* * *

ისტორიის ამ ეტაპის ამგვარად იდენტიფიკაციით, დასავლეთევროპული ცივილიზაციის ფარდობითი დასაწყისის პუნქტი ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზად იდენტიფიცირდა, რაც შეიძლება ასოცირებულ იქნას რომანულ კულტურასთან და ნორმანდიულ

ელემენტთან – ისტორიული მოცემულობის რეტროსპექციული რეიდენტიფიკაციის კიდევ ერთი მაგალითი. ამრიგად, საკუთრივ პირველი ამგვარი ფაზა (იხ. ქვემოთ), ლოგიკის ასპექტით, ხდება რიგით მეორე.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1580-1927 წლები.

ძირითადი ფენომენები:

ქართული ელემენტის დაწინაურება ირანისა და მამლუქების სამხედრო ელიტებში – ქართველი ერის არაპირდაპირი (ძლევის მანიის კასტური ეფექტის მოდუსით) თვითგამოხატვა;

ე. წ. შფოთის („სმუტის“) წლებში გადატანილი მერყეობის შემდეგ, რუსი ერის (კაზაკთა და მეთემე-ობშჩინნიკთა ფენის სახით) ექსპანსია რუსეთის იმპერიის გაფართოების სინქრონულად, თუმცა, იდეური შეუთავსებლობის მომენტის მუდმივი თანხლებით (რუსული კრიტიკული რეალიზმის საფუძველი);

მარქსიზმი, პირველი ინტერნაციონალი (1864-1876 წწ.), მეორე ინტერნაციონალი (1889-1914 წწ.) – დასავლეთევროპული ცივილიზაციის სივრცეზე ეგეოსური ცივილიზაციის (ნაპოლეონის ომების ხანიდან რუსეთის იმპერიის ევროპულ პროცესებში, მეტწილად, სწორედ ძლევის მანიის კლასის ერის ცივილიზაციური ფუნქციის შესაბამისად, შემკავებელი ფაქტორის როლში მონაწილეობით განპირობებული) გავლენის გამოხატულებად იდენტიფიცირებადი, ძლევის მანიის ეფექტის ფენომენი, რომლიც ფორმის მანიის კლასის ებრაელი ერის დიასპორისა და სხვა უმცირესობათა თავდაცვითი რეაქციის რეალიზაციასაც უწყობდა ხელს: კლასობრივი ინტერესის პრიმატიზაციის მარქსისტული პრინციპი ეროვნულ და კასტურ განსხვავებათა ნიველირების რესურსია;

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუცია, რუსი ერის ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის პროცესის დამაგვირგვინებელი აქტი;

კომინტერნის შექმნა (1919 წ.), ჩინეთში მარქსიზმის გავლენის ზრდის ტენდენციის სტაბილიზაცია – ეგეოსური ცივილიზაციის მიახლოება გლობალიზაციის ზღვართან;

ქართველი ერის ნოოფილოგენეზური დაწინაურება, რაც დიმიტრი უზნაძის მიერ „განწყობის თეორიის“ შექმნის თარიღით – 1915-1924 წწ. – დასტურდება (თუმცა ამ თეორიის საბოლოო დასაბუთება ექსპერიმენტული მეთოდით მორიგ ფაზაში დაასრულა ამ უკანასკნელის თვისებრიობის შესაბამისად): ფსიქოლოგიის სხვა სამეცნიერო სკოლებიც ამ დროს ყალიბდებიან (ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლების არსებობა ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი სიმპტომია).

შესავალ ნაწილში ხსენებული, განწყობის კატეგორიის უზნაძისეული დეფინიციის ორასპექტიანობა, როგორც მართვის მანიისა და ძლევის მანიის ორმაგი ეფექტის სიმპტომი, ამ ფაზის ადეკვატური შესატყვისია.

* * *

ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის შესაბამისად თვითრეალიზაციის პირობებში, რუსეთის იმპერია ქართველი ერისთვის თვითრეალიზაციის პრიორიტეტულ სივრცედ იქცა, თუმცა ქართული ელემენტის რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში (როგორც მენშევიკურ, ასევე, ბოლშევიკურ პარტიებში) წამყვან პოზიციებზე დაწინაურება მხოლოდ 1904 - 1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ გახდა შეუქცევადი, როცა რუსი ერი, ორი ცივილიზაციის თანაარსებობის პირობებში შექმნილი განსაკუთრებული სიტუაციის გავლენით, თვითონ გამოვიდა თავისივე ექსპანსიის წინააღმდეგ (იხ. გვ. 228). 1854 - 1856 წლების ყირიმის ომმა, როგორც რუსი ერის ეგეოსური ცივილიზაციის თანადროული ფაზის შესაბამისად გაფართოებისკენ მისწრაფებით განპირობებულმა, ეგეოსურ და დასავლეთევროპულ ცივილიზაციათა კონფლიქტის აქტმა, მხოლოდ მიმართულება შეუცვალა რუსი ერის ექსპანსიას.

* * *

დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1848 - 1898 წლები.

ძირითადი ფენომენები:

ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის კლასის ერების ურთიერთქმედების კონსტრუქტივიზაცია, გაფართოებისკენ მათი თვითმიზნური მიდრეკილების სახელმწიფოებრივი თვითკონსოლიდაციისა და ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლის შესაბამისად თვითიდენტიფიკაციისკენ მისწრაფებად ტრანსფორმაცია, ინსტიტუციონალიზაციის ინტენსიფიკაცია: 1848 წლის ევროპული რევოლუციები, საფრანგეთის მეორე და მესამე რესპუბლიკები, ამერიკის სამოქალაქო ომი, გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, იაპონური მონარქიის რესტავრაცია;

რუსეთის იმპერიის (როგორც დასავლეთევროპული ცივილიზაციის ფორმის მანიის ეფექტის ფენომენის) სივრცეში ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენის აქტუალიზაცია, კონსტრუქციული შედეგის მომტან უცხოურ კაპიტალდაბანდებებსა და ბატონყმობის გაუქმებაშია ასახული.

ამ ფაზაში შეიქმნა **ფსიქოანალიზი.** მის საწყის მოდუსში ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის სათანადო ასპექტების (შესაბამისად, ფსიქიკის ექსტენსიურად დანაწევრებულ მთელად წარმოდგენა და ფსიქოლოგიური პათოლოგიის განკურნების დაძაბულობის მოხსნად იდენტიფიკაცია) თანაობა ამით აიხსნება.

ამ ფაზის ქრონოლოგიით, დედამიწის ნოოსფეროს ისტორიაში პირველად, დაფიქსირდა ცივილიზაციური ფაზის ხანგრძლივობის ადამიანის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაახლოებულ მნიშვნელობამდე შემცირება – დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის ინიციირებისთვის პირველი აუცილებელი პირობის დაკმაყოფილება.

* * *

დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1899 - 1918 წლები.

ძირითადი ფენომენები:

იხეტუანების აჯანყება და იაპონიისა და ევროპული იმპერიების კოლექტიური ინტერვენცია ჩინეთში, გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად;

რუსეთ-იაპონიის ომი;

1905 - 1907 წლების რუსეთის რევოლუცია, როგორც რუსი ერის ექსპანსიის (ამ ეტაპზე რუსი ერის ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზასთან შესაბამის მდგომარეობაში ჩამყენებელი მომენტის) თავისივე ინიციატივით აღკვეთა, დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაციის გზაზე მისი შედგომის გამოხატულებად: რუსეთმა შეძლო იაპონიასთან ომის გამოფიტვაზე გათვლილ კამპანიად გადაქცევა და ემზადებოდა ომის მეორე ეტაპისთვის – მიმდინარეობდა ძალების გამალებული მობილიზაცია, რაც ჩაშალა დასავლეთევროპული ცივილიზაციაში ინტეგრაციისთვის ხელსაყრელი სიტუაციისადმი ძლევის მანიის კლასის რუსი ერის ადეკვატურმა რეაქციამ - 1905 წელს რევოლუციური გამოსვლების დაწყებამ (რომელსაც სტრატეგიულ ორიენტირად ეგულისხმებოდა იმპერიული მონარქიის და რუსეთის ბურჟუაზიის, როგორც ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის ეფექტების ფენომენების, ლიკვიდაცია და სამხედრო დემოკრატიული რეჟიმის დამყარება);

პირველი მსოფლიო ომი – დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ძლევის მანიის კლასის რუსი ერის თვითინტეგრაციის მცდელობის ჩაშლის ხელშეწყობით განვითარებული, კომპენსაციური პროცესის – ძლევის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის – კულმინაცია: ერთა ფორმის მანიის კლასის ლიდერად გამოკვეთილი გერმანელი ერის წინააღმდეგ ცხრომის მანიის კლასის ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი ერების კონსოლიდაცია (თვისებრივი სხვაობა კონფლიქტის პირობად), რამაც ამ ბანაკში ჩართული რუსეთის იმპერიაც ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენზე რედუქციის ტენდენციას დაუქვემდებარა, რაც 1917 წლის რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციით მონარქიის ინსტიტუტის ლიკვიდაციაში აისახა (ფორმის მანიის კლასის იაპონელმა ერმა კი, ფაქტობრივად, მხოლოდ გადმოიბარა გერმანელი ერის მემკვიდრეობა ჩინეთში, რასაც ის მაინც ვერ დაიცავდა);

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუცია – ძლევის მანიის არაპირდაპირი ეფექტის პირდაპირი ეფექტით ჩანაცვლების ტენდენციის გამოხატულება, რისი განვითარებაც (რასაც ძლევის მანიის კლასის ერის ცივილიზაციური ფუნქციის გათვალისწინებით, ანტანტის აგრესიისგან გერმანელი ერის დაცვაც შეეძლო) 1918 წლის ბრესტის ზავმა აღკვეთა: რუს ერთან სამხედრო-სტრატეგიულ კავშირს გერმანელმა ერმა მასთან რუსეთის იმპერიის მემკვიდრეობის გაყოფა არჩია, რუსი ერის კონტროლს დაქვემდებარებული სივრცის

შემცირებამ კი უზრუნველყო ძლევის მანიის არაპირდაპირი ეფექტის რეალიზაცია: კუმშვა ძლევის მანიის ეფექტის სივრცითი ასპექტია;

დაპირისპირებული სკოლების ჩამოყალიბება ფსიქოლოგიაში: გეშტალტფსიქოლოგია 1912 წ. (მაქს ვერთჰაიმერი) და ინდივიდუალური ფსიქოლოგია (ალფრედ ადლერი) – ფორმის მანიის პარადიგმას განასახიერებენ, ხოლო ბიჰევიორიზმი 1913 წ. (ჯონ უოტსონი) და ინდივიდუაციისა და არქეტიპების იუნგისეული კონცეფციები – ცხრომის მანიის პარადიგმას (კარლ იუნგმა ტერმინი „არქეტიპი“ პირველად 1919 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში გამოიყენა, მაგრამ ამ კონცეფციათა ჩამოყალიბება 1912 წელს დაიწყო – „საწყისეული ხატები“ – და 1917 წელს ფაქტობრივად დასრულებული ჰქონდა – „დომინანტები“); ზიგმუნდ ფროიდის შემთხვევაში, ამ ფაზის გავლენა ყურადღების ცნობიერისა და არაცნობიერის (ექსტენსივობითად დანაწევრებული მთელის ნაწილების) კონფლიქტის ასპექტზე კონცენტრაციაში გამოიხატა.

ცივილიზაციური ფაზის ხანგრძლივობის დღემდე შენარჩუნებულ მნიშვნელობამდე – 20 წელიწადამდე – შემცირება, რაც ინფორმაციის წარმოება-დაგროვების სიჩქარის ნახტომისებურად გაზრდაზე მეტყველებს (ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის სტაბილიზაციის ტენდენციის სიმპტომი), დედამიწის ნოოსფეროს ისტორიაში პირველად, ამ ფაზის ქრონოლოგიით დაფიქსირდა.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ 1905 - 1907 წლების რევოლუციით რუსი ერის ექსპანსიის თვითშეჩერებამ ვერ უზუნველყო მისი დახსნა ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის მოვლენათა ნაკადიდან: გაფართოების მომენტი, რუს ერთან დაკავშირებული მართვის მანიის ეფექტის ფენომენის როლში, ქართული ელემენტის გავლენის ზრდის ტენდენციამ ჩაანაცვლა. ამრიგად, 1905 - 1907 წლების რევოლუციაში ქართველების განსაკუთრებული აქტიურობა (პარტიულ მუშაკთა საქმიანობა მთელი იმპერიის სივრცეზე, გამოსვლები თბილისში, გურიის რესპუბლიკა), ეგეოსური ცივილიზაციის თანადროული ფაზის რეალიზაციის ალტერნატიული მოდუსის აქტუალიზაციად უნდა დასახელდეს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი, ზემოხსენებულმა ბრესტის ზავით განპირობებულმა კუმშვის ეფექტმა საბჭოეთის სივრცეში ქართველი ერის პოზიციები განამტკიცა – მოვლენების განვითარებას ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ორმაგი ეფექტის ფაზის რეალიზაციის ალტერნატივების კონფლიქტის გამომხატველი მომენტიც შეემატა: ტროცკიზმი, ბოლშევიკური რევოლუციის მთელს მსოფლიოზე გავრცელების (ექსპორტის) აუცილებლობის იდეით, მართვის მანიის ეფექტის გაფართოების მომენტით (არაპირდაპირი რეალიზაციით) უზრუნველყოფის შესაბამისი ალტერნატივის პერსონიფიკაციაა (რაც ქართველი ერის სრული დისფუნქციონალიზაციის საფრთხეს შეიცავდა), ხოლო მეორე ალტერნატივის პერსონიფიკაციად უნდა დასახელდეს სტალინი, რომელმაც რევოლუციის

ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის აღიარებაზე დამყარებული (ექსპანსიის უარმყოფელი), ლენინის მიერ დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის შესაბამისად ინიციირებული პოლიტიკური კურსის მხარდაჭერითა და დასავლეთევროპული ცივილიზაციის ამ ფაზის დასრულების შემდეგაც ამავე პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარებით, საბჭოეთის სივრცეზე მოვლენების განვითარებაში შეინარჩუნა და დომინირებულ ასპექტად აქცია ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტად რუსი ერით, აქტუალიზაციის მომენტი. სტალინის წარმატებას ცივილიზაციათა კონფლიქტმაც შეუწყო ხელი: 1919 წლის შემდეგაც ლენინის პოზიცია, ამჯერად, დასავლეთევროპული ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის შესაბამისად, კვლავ ტროცკისტული ექსპანსიონიზმის საწინააღმდეგო იყო.

* * *

დასავლეთევროპული ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1919 – 1938 წლები.

ძირითადი ფენომენები:

ცხრომის მანიისა და ფორმის მანიის კლასის ერების ურთიერთობის კონსტრუქტივიზაცია – ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი ერების მიერ გერმანელი ერის აღორძინების ხელშეწყობა (დაუესის გეგმა, დალადიე-ჩემბერლენის პოლიტიკა) და ერთა ლიგის პროექტით ახალი გლობალური წესრიგის ჩამოყალიბების მცდელობა;

ლენინური „ნეპი“ (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) – საბჭოური ცხრომის მანიის კასტური ეფექტის ფენომენი, რუსი ერის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ინტეგრაციის ტენდენციის ლოგიკური გაგრძელება, რომელიც ცენტრალიზებული ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციით წარმოდგენილ, საბჭოურ ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენთან ერთად ქმნიდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის სათანადო მოდუსის ორმაგი ეფექტის ფენომენს.

1920 წელს **ერთა ლიგის** (გლობალური რეგულირების საერთაშორისო ინსტიტუტის) პროექტის ინიციირებამ გამოავლინა დასავლეთევროპული ცივილიზაციის საბოლოო სტაბილიზაციის მოთხოვნის აქტუალიზაცია, მაგრამ ამ მდგომარეობის სტაბილიზაცია ვერ მოხერხდა: 1921 წელს გომინდანის (სუნ იატსენის) მიერ ჩინეთის შეუქცევადი გაერთიანების დასაწყისით – ჩინეთის სივრცეზე მოვლენების განვითარებაში ჩინური ცივილიზაციის მორიგი ცხრომის მანიის ეფექტის ფაზის გამოხატულებათა დომინანტიზაციის ტენდენციას (ამ ცივილიზაციის წინა, ცინის მანჯურიული დინასტიით წარმოდგენილი, ძლევის მანიის ეფექტის ფაზის დასასრული სინხაის რევოლუციით შეიძლება დათარიღდეს – 1911 წ.), რის წინააღმდეგაც დასავლეთევროპული ცივილიზაციის ერების (პირველ რიგში, იაპონელი ერის) მოქმედებამ კონტრრეაქციის მნიშვნელობით ჩინეთის სივრცეზე ეგეოსური ცივილიზაციის გავლენის შეუქცევად ზრდას მისცა გასაქანი, რაც კომპარტიის პოზიციების გაძლიერებაში პოულობდა ასახვას.

* * *

ფსიქოლოგიის სფეროში ამ ფაზის მიმართ ადეკვატურ რეაქციად შეიძლება დასახელდეს ზოგმუნდ ფროიდის მიერ ფსიქიკის მესამე ექსტენსიური კომპონენტის „სუპერ-ეგოს“ (ჯერარსის მოდუსის აქტუალიზაცია), რის შედეგადაც (ფსიქიკის სამი ურთიერთექსტენსიური ელემენტის გაერთიანებად წარმოდგენით) ფსიქიკის ნაწილებს შორის ურთიერთბრძოლის მომენტის პრიმატი კვლავ სტრუქტურალისტური მომენტის პრიმატით შეიცვალა, ხოლო ფსიქიკურ ფაქტორებს შორის კონფლიქტი მოხსნადი (რელაქსაციას დაქვემდებარებადი) მომენტის სტატუსში აღდგა, რაც ფსიქიკის ფორმის მანიისა და ცხრომის მანიის ორმაგი ეფექტის ფენომენად წარმოდგენასთან დაბრუნებაა.

დასავლეთევროპული ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დადგომა მოვლენების განვითარების ჰეგელისეული კონცეფციის სასარგებლოდ მეტყველ მაგალითად შეიძლება დასახელდეს: დასავლეთევროპული ცივილიზაციის მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზისა და მისი მომდევნო ორმაგი ეფექტის ფაზის ერთობლიობა, როგორც ფორმის მანიის კლასისა და ცხრომის მანიის კლასის ერების გამოკერძოებისა და სტაბილიზაცია-თანაარსებობის ხანა, იდენტიფიცირებადია დაპირისპირებულ მხარეთა (თეზა-ანტითეზის) გენერაციის, ანუ ანალიზის ეტაპად, ხოლო ძლევის მანიის ცალფა ეფექტის ფაზისა და მისი მომდევნო ორმაგი ეფექტის ფაზის ერთობლიობა – დაპირისპირებული მხარეების ბრძოლის აქტსა და მის შედეგად დამყარებულ მდგომარეობაში გაერთიანების, ანუ სინთეზის ეტაპად, რომლის სიმბოლოდ ერთა ლიგის კონცეფცია შეიძლება დასახელდეს.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ჰეგელისეული დიალექტიკის კანონები შეესაბამება მოვლენებს შორის იმგვარ კავშირს, მოვლენათა განვითარებას (ინფორმაციის დაგროვების) იმგვარ წესს, რომელიც ცივილიზაციური ფაზების ცვლის კონკრეტული სქემისთვისაა დამახასიათებელი და დასავლეთევროპული ცივილიზაციის გლობალიზაციის შემთხვევაში შეინარჩუნებდა ცოდნის უზოგადესი ფენომენოლოგიური ელემენტის მნიშვნელობას. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში მოვლენათა განვითარება ცივილიზაციურ ფაზათა ცვლის სხვა კერძო სქემის შესაბამისია. კვანტური რელატივისტური ნოოლოგია საშუალებას გვაძლევს, დავძლიოთ ინფორმაციის დაგროვების პროცესის ხასიათის კერძოობა.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მესამე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1928 – 1947 წლები.

ძირითადი ფენომენები:

„ნეპის“ აღკვეთა და ტოტალური რენაციონალიზაციისა და კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკა – მდგრადობის კომპონენტად საბჭოური ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენით (აქ ითქმის „კასტური“, რადგან ის იმავე ცივილიზაციის ელემენტი იყო, რომელსაც ეკუთვნოდნენ ქართველი და რუსი ერები, რომელთა სივრცეზეც მოხდა ფორმის მანიის ეფექტის ამ ფენომენის რეალიზაცია), ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზაცია (სტალინის ახალი ფუნქციური სტატუსი);

დასავლეთევროპული ცივილიზაციის სივრცეზე, ცხრომის მანიის კლასისა და ფორმის მანიის კლასის ერებს შორის პარიტეტის ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ დარღვევა (ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის ზღვარს მიღწეულობის სიმპტომი): პრეზიდენტ რუზველტის „ახალი ინიციატივა“ (1929 წელს ამერიკული ფინანსური სისტემის კატასტროფით დაწყებული, დიდი დეპრესიის ფონზე განვითარებული, ფორმის მანიის კასტური ეფექტის ამერიკული ფენომენი), ფორმის მანიის კლასის ერების – გერმანელებისა და იაპონელების – მიერ სტრატეგიული ინიციატივის დაუფლება.

ამ ფაზის პირველ ნახევარში მოხდა ეგეოსური ცივილიზაციის მიერ საბჭოეთის სივრცის ექსკლუზიურად დასაკუთრება (1937 წლიდან მაინც). მისივე გავლენით დასავლეთევროპული ცივილიზაციის ფენომენებისგან სრულიად გათავისუფლდა ჩინეთის სივრცის უდიდესი ნაწილი, სადაც ჩინური და ეგეოსური ცივილიზაციების თანაარსებობა დამყარდა (გომინდანისა და კომპარტიის ალიანსი).

ეგეოსური ცივილიზაციის გავლენის ზრდამ გერმანელი ერი დასავლეთევროპული ცივილიზაციის თავდაცვითი რეაქციის საყრდენ ელემენტად აქცია ცივილიზაციის საგარეო კონტაქტებზე მთავარი პასუხისმგებლების, მისი წევრი ცხრომის მანიის კლასის ერებისთვის (ამერიკელები, ინგლისელები და ფრანგები), რამაც სრულიად მოსპო დასავლეთევროპული ცივილიზაციის მესამე ორმაგი ეფექტის ფაზაში გერმანიის სივრცეზე სხვადასხვა მოდუსის უმცირესობათა (მათ შორის ებრაელი ერის დიასპორის) არსებობაზე სისტემური მოთხოვნა, რაც მანამდე, როგორც ცხრომის მანიის კასტური ეფექტის აქტუალიზაციის პირობა (იხ. გვ. 71-72), გერმანიის თვითკმარობას უზრუნველყოფდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის ორმაგი ეფექტის ფაზებში. ამით აიხსნება ის, რომ გერმანელ ერში მინოტავრის სინდრომის (ფაშისტური რეჟიმის დესტრუქციული ასპექტის) განვითარების პირობებში, შესაძლებელი გახდა უმცირესობათა მიმართ უკიდურესად აგრესიული პოლიტიკის გატარება. ამ აგრესიას იმ წინაისტორიულმა ფაქტმაც შეუწყო ხელი, რომ გერმანიის სივრცეზე მარქსიზმისა და პირველი და მეორე ინტერნაციონალის სახით ძლევის მანიის ეფექტის რეალიზაციაში ებრაული დიასპორიდან გამოსული ელემენტის როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო: ებრაელი ერის თავდაცვითი რეაქციის მეორე, ძლევის მანიის კასტური ეფექტის სათანადო ასპექტთან ასოცირებადი ეს გარემოება (მარქსიზმი, კომუნისტური პარადიგმა) 1898 წლამდე და 1919 - 1927 წლებში, ებრაელი ერის დიასპორის მიმართ გერმანელი ერის დამოკიდებულებას ცივილიზაციათა კონფლიქტის მნიშვნელობას ანიჭებდა, 1899 - 1918 წლებში კი, მართალია, მარქსიზმი თვისებრივად შეესაბამებოდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის თანადროულ ფაზას, მაგრამ ალტერნატივის მნიშვნელობით უპირისპირდებოდა გერმანელი ერის პოზიციას, რომელიც ძლევის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციის შესაბამისი დარჩა.

* * *

თავის მესამე, ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში, მიაღწია ეგეოსურმა ცივილიზაციამ დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის აქტუალიზაციის

მეორე პირობის შესრულებას (გლობალიზაციას), რასაც ასახავს გაეროს პროექტის ინიციირება (1945 წ.). ამავე ფაზის ქრონოლოგიით (მის 20 წელიწადში დასრულებით) დაფიქსირდა დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის აქტუალიზაციის პირველი პირობის შესრულებაც (ფაზის ხანგრძლივობის კრიტიკულ მნიშვნელობამდე შემცირება), უკვე ამ ცივილიზაციაშიც (და ამრიგად, დასავლეთევროპული ცივილიზაციისგან განსხვავებით ეგეოსურ ცივილიზაციაში ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის აქტუალიზაციის ჯერ მეორე პირობა შესრულდა და შემდეგ – პირველი).

* * *

დასავლეთევროპული ცივილიზაციის მეორე მართვის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაიწყო 1939 წელს, და ამ ცივილიზაციის არსებობის დასასრულის მომტანი აღმოჩნდა.

1930-იანი წლების დასასრულს საბჭოეთისა და ჩინეთის უდიდესი ნაწილის სახით, დასავლეთევროპული ცივილიზაციის ფენომენებისგან სრულიად დაცლილი, რესურსებით უმდიდრესი სივრცის არსებობის პირობებში, ამ ფაზის მართვის მანიის არაპირდაპირი ეფექტის მოდუსით რეალიზაცია (საბჭოეთისა და ჩინეთის მეტი ნაწილის ახლად ათვისება) იქცა დასავლეთევროპული ცივილიზაციის მოვლენათა განვითარების უპირატეს ალტერნატივად. ამას ხელი შეუწყო ამ ცივილიზაციის წინა, ამგვარივე ფაზის ამგვარადვე რეალიზაციის ისტორიული მეხსიერების ინერციამ (ცოცხალმა ტრადიციამ) – კოლონიური იმპერიების არსებობამ. რადგან წინა, მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დასრულების გამო, დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ფორმის მანიის კლასისა და ცხრომის მანიის კლასის ერებს შორის კავშირების განვითარებაზე სისტემური მოთხოვნა მოხსნილი იყო, მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებამ დასავლეთევროპული ცივილიზაციის ერები ამ ცივილიზაციის გაფართოების გამომხატველი ობიექტის სტატუსისთვის ბრძოლაში უკომპრომისო კონკურენტებად აქცია – ინგლისელი და ამერიკელი ერები, საბჭოური ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენის დაცვის ფუნქციით აქტუალიზებული, ძლევის მანიის კლასის რუსი ერის მოკავშირის პოზიციაზეც კი აღმოჩნდნენ.

1943 წელს აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის შეუქცევად უკანდახევაზე გადასვლით, რასაც 1945 წელს ჩინეთში იაპონელთა ძალების განადგურებაც მოჰყვა, დასავლეთევროპული ცივილიზაციის ამ ფაზის რეალიზაცია ჩაიშალა – 1958 წლამდე (ამ ფაზის დასასრულის მოსალოდნელ თარიღამდე) გაფართოება არ ჩანაცვლებულა მართვის მანიის ეფექტის სხვა ფენომენით. ამდენად, დასავლეთევროპული ცივილიზაციის არსებობის დასასრული 1946 წელს ერთა ლიგის გაუქმების აქტითაც შეიძლება დათარიღდეს. თუმცა შესაძლებელია დასავლეთევროპული ცივილიზაციის ფრაგმენტულ რელიქტებად დღეს არსებულ ფენომენთა ინდენტიფიკაციაც კი (იხ. გვ. 246).

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1948 - 1967 წლები.

ძლევის მანიის ეფექტის ძირითადი (პირდაპირი თუ კასტური ეფექტის) ფენომენები:

რუსი ერის გავლენის ზრდა, თანასწორობის კატეგორიის პრიმატიზაცია გლობალური მასშტაბით: პროფკავშირული მოძრაობის აღმავლობა; რასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ გამოსვლების გაძლიერება, რასობრივი სეგრეგაციის აკრძალვა ამერიკის შეერთებულ შტატებში; დასავლეთევროპული ცივილიზაციის მოდუსის ასიმეტრიული ბიმოდალური წარმონაქმნების დისფუნქციონალიზაცია – ევროპელ ერთა კოლონიური იმპერიების ნგრევა;

„ნატო“, „ცივი ომი“, ვარშავის პაქტი, ლოკალური ომები (სამოქალაქო თუ ერებს შორის) მესამე სამყაროში.

მართვის მანიის ეფექტის მთავარ ფენომენებად მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპირი რეალიზაციები დაფიქსირდა: წინა ფაზაში საბჭოური ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენის დაცვის პრეცედენტის გავლენით, რუსი ერის აქტივობის ძირითად არედ იქცა საბჭოეთის საზღვრებს გარეთ არსებული სივრცე – ე. წ. მესამე სამყარო, სადაც რუსი ერის მიერ სოციალიზმის (ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ინსტიტუციონალიზაციის მისთვის არასაკუთრივი, ფორმის მანიის პარადიგმის შესაბამისი მოდუსით) გავრცელების მცდელობას, ლიბერალიზმის ინტერესების სახელით (ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ინსტიტუციონალიზაციის მისთვის საკუთრივი, ცხრომის მანიის პარადიგმის შესაბამისი მოდუსით გავრცელების მცდელობით) დაუპირისპირდა ამერიკელი ერი (ნატოს ბლოკი), ძირითადად სამხედრო ინსტიტუტის მეშვეობით (თურქეთი, კორეა, ირანი, კუბა, ვიეტნამი, ნიკარაგუა, კონგო და ა. შ.).

ამ ფაზაში მართვის მანიის ეფექტის არაპირდაპი რეალიზაციის დომინანტიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოეთში მოვლენათა განვითარებაზე ქართული ელემენტის გადამწყვეტი გავლენის პირობებში, ეგეოსური ცივილიზაციის მიერ ჩინეთის სივრცის ექსკლუზიურად დასაკუთრებით (1949 წ. – ჩინური ცივილიზაციის ეგეოსური ცივილიზაციის ფორმის მანიის კლასის ერად რედუქცის დასასრული), ანუ ცივილიზაციათა კონფლიქტის მომენტის გავლენით. შემდეგ ქართულმა ელემენტმა ვერ შეძლო მოვლენების ამ, მისთვის საზიანო (ერის ინტერესების წინაშე ცივილიზაციის ინტერესების პრიმატის გამოხატულებად, თავიდანვე ქართველი ერის თვითრეპრესიის მომენტის შემცველი) მიმართულებით განვითარების შეჩერება (ინერციის დაძლევა) და ეს ტენდენცია ქართველი ერის მიმართ რეპრესიულ პოლიტიკაში გადაიზარდა.

ქართველი ერი არ აღმოჩნდა მზად დედამიწის ნოოსფეროში შექმნილი უპრეცედენტო სიტუაციისადმი ადეკვატური რეაქციისთვის. 1948 წელს არსებული თეორიული ცოდნა ჩამორჩებოდა მსოფლიო საზოგადოების სისტემური ორგანიზაციის ხარისხს. სისტემის (გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის) რეაქცია ყველაზე მეტად შეეხო ელემენტს,

რომელიც ცოდნის შესაბამისი სფეროს განვითარებაზე იყო პასუხისმგებელი. საბჭოეთის უმაღლეს ხელისუფლებაში ქართველი ერის წარმომადგენლების (სტალინის, ლავრენტი ბერიას), შეუზღუდველი გავლენა და უდიდესი გამოცდილება აღმოჩნდა უკიდურესად არასაკმარისი ფუნდამენტურ პარადიგმულ განახლებაზე (რასაც დღეს ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირებას ვუწოდებთ) სისტემური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის საკომპენსაციოდ. 1953 და 1956 წლების მოვლენების შედეგად ქართული ელემენტი ფაქტობრივად გამოაკლდა საერთაშორისო პოლიტიკას. შემდეგ კი ქართული საზოგადოება ყოფის სფეროს კრიმინალიზაციის ტენდენციას დაექვემდებარა. იგულისხმება საბჭოური რეპრესიის პირობებში საქართველოში ალტერნატიულ (არასაბჭოურ) სასამართლო პრაქტიკაზე მოთხოვნილების კანონიერი ქურდის ინსტიტუტის სათანადოდ რეფუნქციონალიზაციით დაკმაყოფილება (კომპარტიის ფარული სანქციით), რამაც დიდად შეამცირა ქართველი ერის მიერ ინიციატივის კვლავმოპოვების მცდელობის ლეგიტიმურ მოდუსში გამოვლენის შესაძლებლობა.

რეპრესია არ შეხებია საბუნებისმეტყველო მიმართულების ქართულ სამეცნიერო სკოლებს, მაგრამ ქართველი ერის ნოოფილოგენეზური განვითარება მაინც მნიშვნელოვან შეფერხებას დაექვემდებარა. 1956 წელს მოსკოვიდან საგანგებოდ მოავლინეს კომისია ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის გასაუქმებლად. და, თუმცა ამის აცილება მოხერხდა უზნაძის განწყობის თეორიის ორასპექტიანობის წყალობით (როგორც აღინიშნა, ის შეიცავდა ძლევის მანიის კასტური ეფექტის გამომხატველ ასპექტსაც, რის საფუძველზეც მარქსიზმთან თანხვედრის ჩვენება, ანუ იდეოლოგიური ბრალდების აცილება არ იყო ძნელი), მაგრამ ზეწოლის პირობებში ქართული ფსიქოლოგია უზნაძის განწყობის თეორიის მართვის მანიის სათანადო ასპექტზე რედუქციის მიმართულებით ვერ განვითარდა. პირიქით, მასში ძლევის მანიის სათანადო ასპექტი გაძლიერდა (შეივსო ახალი ელემენტით – „მოქმედების მზა პროგრამები“: შოთა ნადირაშვილი „განწყობის ანტროპული თეორია“, 2002 წ.), გაბატონდა სხვა ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებთან მისი ადაპტაციისა და ასიმილაციის, ზოგ შემთხვევაში – სრული ნიველირების, მცდელობა (როგორც აღინიშნა, ორი ფსიქიკური სტიქიის ეფექტით შეიძლება სხვა ორის ეფექტის ილუსტრაცია მაინც). ამით უკიდურესად შეიზღუდა ხსენებული ჩამორჩენის დაძლევის, ქართველი ერის რეაბილიტაციის რესურსი.

ირლანდიელი ერის გააქტიურება, ამჯერად, უკვე, ეგეოსურ ცივილიზაციაში, რასაც საერთაშორისო პოლიტიკაში ქართული ელემენტის დანაკლისის ანაზღაურება შეეძლო და რის სიმპტომადაც შეიძლება დასახელდეს კენედების კლანის აღზევება, ამერიკელი ერის თავდაცვითმა რეაქციამ დათრგუნა, საბოლოოდ ეგეოსური ცივილიზაციის მორიგი ფაზის ხელშეწყობით.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1968 - 1987 წლები.

ძირითადი ფენომენები:

ამერიკელი ერისა და ლიბერალისტური იდეოლოგიის დომინანტი, თავისუფლების კატეგორიის გლობალური პრიმატიზაცია;

ამერიკის საგარეო ინვესტიციების განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში გადანაცვლება – საბაზრო აქტივების ასიმეტრიული გაცვლის პრაქტიკიდან (ძლევის მანიის კასტური ეფექტი) სიმეტრიული გაცვლის პრაქტიკაზე გადასვლა;

ამერიკაში ეკონომიკის ფინანსური სექტორის პრიმატიზაცია, ოქროს სტანდარტის გაუქმება (ამერიკული დოლარის საერთაშორისო ფუნქციის მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობის მოთხოვნილებით უზრუნველყოფა), წარმოების სექტორის მის (და, საზოგადოდ, ცხრომის მანიის კლასის ერების) გარეთ (ჩინეთსა და ფორმის მანიის კლასის სხვა ერების სივრცეებში) გატანის ტენდენციის განვითარება;

საბჭოეთის საგარეო პოლიტიკის ამ ფაზის შესაბამისად შეცვლის შედეგად (ედუარდ შევარდნაძე – ცხრომის მანიის კასტური ეფექტის მოდუსით ქართველი ერის არაპირდაპირი თვითგამოხატვის პერსონიფიკაცია), ამერიკული ფინანსური ინსტიტუტების – ამერიკული დოლარის, მსოფლიო ბანკის, საერათაშორისო სავალუტო ფონდის – ჭეშმარიტად გლობალური ფუნქციის ინსტიტუტებად გადაქცევა.

ამ ფაზის ერთ-ერთ ნეგატიურ ფაქტად შეიძლება დასახელდეს ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა საკითხის არაოპტიმალური აჟიტირება: როგორც აღინიშნა, ეს საკითხი ცხრომის მანიის პარადიგმით დაშვებული ელემენტია, მაგრამ, როგორც ასევე აღინიშნა, ნოოონტოგენეზის მესამე საფეხურის ფილტრის ეფექტის გათვალისწინებით, ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე ამ საკითხზე ყურადღების კონცენტრაცია მინოტავრის სინდრომის სიმპტომად იდენტიფიცირდება.

ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის დასრულება ამ ფაზის მონაპოვარია: მანამდე ამერიკის პოლიტიკას ახლდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის ფაზათა რიგის გავლენის კვალი. სხვათა შორის, გერმანიისა და სკანდინავიის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობაც დასავლეთევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ ლოკალურ რელიქტად ჩანს (როგორც ლიბერალიზმის პრინციპების დოგმატიზაციაში ასახული, დასავლეთევროპული ცივილიზაციის მოდუსის ორმაგი ეფექტის ფენომენად თვითსტაბილიზაციის უპერსპექტივო მცდელობა), თუმცა მხოლოდ ფორმის მანიის ეფექტის ფენომენური ვარიაცია – ლიბერალიზმის ელემენტების დოგმატიზაციაა მიღწეული. ეს მოვლენა ეგეოსური ცივილიზაციის შემადგენლობაში გერმანულ და სკანდინავიურ საზოგადოებათა ორი შესაძლო მნიშვნელობით – ფორმის მანიის კლასის ერებად, ან, ფაქტობრივად, ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერის ნაწილებად – დამკვიდრების ტენდენციებს შორის მიმდინარე კონფლიქტის გამოხატულებადაც არის იდენტიფიცირებადი.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზა – დაახლოებით 1988 - 2007 წლები.

ძლევის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები:

– ფორმის მანიის ეფექტის საბჭოური ფენომენის ლიკვიდაციის შედეგად რუსეთის სივრცეზე რუსი ერის შეუზღუდველი თვითგამოხატვის პირობების შექმნა (რისი გამოყენებაც ვერ მოხერხდა რუსი ერის იდენტიფიკაციის პრობლემის გადაუჭრელობის, სათანადო იდეური საფუძვლის, ჯერ არარსებობის, შემდეგ კი ვერშემჩნევის გამო, რის შედეგადაც რუსეთში დროებით დამყარდა ანარქისტული ფინანსური ოლიგარქია);

– რეგიონული სამხედრო კონფლიქტები ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კოალიციების მონაწილეობით (რუსი ერის თანხმობით ნატოს აგრესია ერაყის, სერბეთისა და ავღანეთის წინააღმდეგ);

– ე. წ. საერთაშორისო ტერორიზმის აღზევება;

– რუსი ერის (რუსული სამხედრო სამრეწველო კომპლექსისა და შეიარაღებული ძალების) მიერ რუსეთის რესურსებზე კონტროლის აღდგენა (აუცილებელი პირობა ძლევის მანიის კლასის ერად – მიღებაზე ფიქსაციით – არსებობისთვის) – პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკის შედეგი, რასაც ამ ფაზაში ძლევის მანიის არაპირდაპირი ეფექტის რეალიზაციის – ამერიკული (ნატოს) სამხედრო კამპანიების გაგრძელების რესურსის ამოწურვამ (1998 წელს გლობალური ფინანსური სისტემის ძლიერი რყევით გამოვლენილმა) შეუწყო ხელი: კრიზისის დროებით შეჩერების მნიშვნელოვან რესურსად უნდა დასახელდეს ამერიკის მიერ ერაყის ნავთობზე სრული კონტროლის მოპოვების პირობებში, რისი მიღწევაც რუსეთის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ნავთობის ფასის უპრეცედენტო ზრდა, რამაც რუს ერსაც მისცა ფინანსური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების შესაძლებლობა.

მართვის მანიის ეფექტის ძირითადი ფენომენები:

– ქართული ელემენტის დაბრუნება გლობალურ პოლიტიკაში, ქართველი ერის იდენტიფიკაციის პრობლემის აქტუალიზაცია (ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე);

– ამჟამად, უკვე ცალსახად, დესტრუქციულ ალტერნატივად ქცეული გაფართოების ეფექტი – ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ექსპანსია (რასაც ემსახურებოდა დასახელებული რეგიონული ომებიც);

– კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის ორი საწყისის – **„ფსიქიკურ სტიქიათა თეორიისა“, „ციკლური ლოგიკის“** – და მათ საფუძველზე **„ოპტიმალიზმის დოქტრინის“** (მაშინდელი ტერმინოლოგიით – „ნაციონალ-გლობალიზმის დოქტრინის“) – ჩამოყალიბება (1994 - 2002 წწ.), რომელიც ცივილიზაციაში ოთხივე თვისებრივი ტიპის ერების უწყვეტად თანაარსებობის ინსტიტუციური უზრუნველყოფის, მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის, ანუ დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის ინიციირების მეცნიერული პროგრამაა – **„ოპტიმალისტური მულტიმოდალისტური გლობალიზმი“**.

ამ ფაზაშივე გამოიკვეთა ეგეოსური ცივილიზაციის **„ინფორმაციული ცივილიზაციის“** მდგომარეობაში გადასვლის – დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის ინიციირების ხელშემწყობი კიდევ ერთი პირობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, დედამიწის ნოოსფეროს ისტორიაში პირველად: გლობალური ელექტრონული საინფორმაციო ქსელის განვითარებით ყალიბდება ინფრასტრუქტურული ელემენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მისი მატერიალური მატარებლის გარეშე შეუზღუდველი ოდენობით და საყოველთაო წვდომადობით გავრცელების შესაძლებლობას, რაც ცივილიზაციური ფაზების ცვლაში მოვლენათა ეპიცენტრის გადანაცვლებისას საჭირო ინფორმაციული კონტაქტების უზრუნველყოფისთვის ადამიანთა მასების მიგრაციული ნაკადების გენერაციის აუცილებლობას აუქმებს. ეს არის უკანასკნელი პირობა, რომლის შეუსრულებლობას, ასევე, შეუძლია ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის ინიციირების შეფერხება, პარადიგმის ცვლის გადავადების გამართლება.

* * *

ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე, მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა – დაახლოებით 2008 - 2027 წლები.

ეს არის პირველი ცივილიზაციური ფაზა, რომელიც, მისი უკვე შემდგარი მოვლენების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგნოზირებული იყო დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის გამოყენებით (იხ. ე. ხვიჩია, „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია“, 2004 წ.).

ამ ფაზის უკვე შემდგარი ძირითადი მოვლენები:

– ფორმის მანიის პარადიგმის (ნაციონალ-სოციალიზმის) ელემენტების აქტუალიზაცია თვით ერთა ცხრომის მანიის კლასის ლიდერის, ამერიკელი ერის ცხოვრებაში – 2008 წელს ახალი ფაზის გავლენით განპირობებული (პროგნოზის იგნორირების გამო ვერაცილებული), ამერიკული ფინანსური სისტემის კრიზისით დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიმართ აუცილებელ რეაქციად მოაზრებული ტენდენცია, რასაც ასახავს პრეზიდენტ ობამას მიერ ინიციირებული ფინანსური სექტორის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა და სოციალური დაცვის პროგრამები (რისი კომპენსირებაც მან ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა საკითხის ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად დაფიქსირებით სცადა), პრეზიდენტ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა, ეკონომიკის სფეროში პრიორიტეტად წარმოების სექტორის გამოცხადება და საწარმოო ინფრასტრუქტურის ელემენტების ამერიკაში დაბრუნების ინიციატივა (რის კომპენსირებასაც თავისი წინამორბედის სოციალური პროგრამების შეკვეცით სცადა);

ავტარკისტული ტენდენციების საყოველთაოდ გავრცელება, მათ შორის, თვით ბრიტანეთში („ბრექსიტი“);

„არაბული გაზაფხული“ – 2010 წელს არაბულ სამყაროში სახელმწიფოებრივი რეკონსოლიდაციის ტენდენციის აფეთქება, რაც, დასავლეთის სამყაროს მხრიდან დამამუხრუჭებელი დესტრუქციული გარეგანი ჩარევის ზეგავლენით, მინოტავრის სინდრომად გა-

დაგვარდა, „ისლამურ სახელმწიფოს“ სახით;

თურქეთში პრეზიდენტ ერდოღანის მიერ ინიციირებული პროცესი და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები – ფორმის მანიის კლასის ერზე რედუქციის ტენდენციების გამოხატულებები;

გერმანელი და ჩინელი ერების დაწინაურების ტენდენცია და ირანელი ერის პოზიციების გაძლიერება წინააზიაში.

ამ ფაზის მიმდინარეობაში შესაძლებელია დაკმაყოფილდეს დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის ინიციირებისთვის აუცილებელი, კიდევ ერთი პირობაც – ცივილიზაციაში ოთხივე თვისებრივი ტიპის, თითო მაინც, ნოოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერის არსებობა. მართალია, გერმანელი ერი დედამიწის ნოოსფეროში ერთ-ერთი პირველი გადავიდა ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე, მაგრამ მას და ერთა ფორმის მანიის კლასის სხვა დაწინაურებულ წარმომადგენელებს მხოლოდ 2007 წლის შემდეგ, ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზაში, მიენიჭათ ამ ცივილიზაციის მდგომარეობის უმთავრეს აქტორებად თვითდაფიქსირების შესაძლებლობა (მაშინ როცა, ერთა სხვა სამი თვისებრივი ტიპის ლიდერებს რუსი, ამერიკელი და ქართველი ერების სახით, უკვე ჰქონდათ ამგვარ სტატუსში თვითრეალიზაციის გამოცდილება):

ჩინური ცივილიზაციის ეგეოსური ცივილიზაციის ფორმის მანიის კლასის ერზე რედუქცია დასრულდა 1949 წელს, ანუ უკვე ამ ცივილიზაციის მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზის დასაწყისში, ამდენად, ეს მოვლენა (როგორც ზემოთაც აღინიშნა) ფაქტობრივად რუსი ერის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი შედეგთაგანი იყო (საბჭოეთის მხრიდან მხარდაჭერის გარეშე ჩინეთი გაყოფილი დარჩებოდა არა მხოლოდ ტაივანის გამომყოფ ხაზზე) და, ამასთანავე, იმ დროს ჩინელ ერს ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლა არ ჰქონდა დასრულებული – შესაბამისი გარდატეხა მას 1960-იან წლების შუახანებში დაუდგა (ე. წ. დიდი ნახტომი და კულტურული რევოლუცია ჩინეთში); ნოოფილოგენეზური განვითარების ასპექტით – ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის პარადიგმის საზოგადოების სიღრმეში გავრცელების ხარისხით, ჩინელი ერი დღესაც კი ჩამორჩება იაპონელ და გერმანელ ერებს, რის გამოც მიმდინარე ფაზის პირობებშიც ვერ ახერხებს გლობალური მასშტაბით იდეური ინიციატივის დაუფლებას;

გერმანელი ერი კი, მართალია, ამერიკელი ერის მსგავსად და მის კვალდაკვალ, კორეის კონფლიქტის დასრულების შემდეგ მაინც (1953 წ.), შეიძლება ვიგულისხმოთ ეგეოსური ცივილიზაციის ელემენტად (თუმცა, როგორც აღინიშნა, ის დასავლეთევროპული ცივილიზაციის რელიქტის ნიშნებსაც ატარებს), მაგრამ მინოტავრის სინდრომის კატასტროფული პრეცედენტის შედეგად, მინოსის სინდრომის გავლენის ქვეშაა და თავს არიდებს ინიციატივის აღებას, მაშინ როცა, ფორმის მანიის კლასის ევროპელი ერების კოალიციის ლიდერის სტატუსში შეუძლია მსოფლიოს ლიდერობა მიმდინარე ფაზაში;

ხოლო იაპონელი ერი, ჩინელი ერის მეზობლობის პირობებში იძულებულია, დაკავდეს არა ინიციატივის დაუფლების გზების ძიებით, არამედ – თავდაცვის ამოცანით;

ამ თვისებრივი ტიპის სხვა ერებს კი გლობალური მასშტაბით ინიციატივის დაუფ-

ლების პოტენცია სადღეისოდ არ გააჩნიათ და, ამდენად, კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის შედეგების პოპულარიზაციის გარეშე, შეიძლება ვერც მოხერხდეს ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის აქტუალიზაციისთვის ხსენებული მესამე პირობის დაკმაყოფილება.

ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზა ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირების გარეშე ვერ დასრულდება ოც წელიწადზე ნაკლებ დროში. ამგვარი ფაზა ყოველგვარი ინსტიტუციური ინიციატივის ხელშემწყობია, ამდენად, მის დასასრულამდე (2027 წ.) დარჩენილი დრო (დასახელებული თარიღის შემდეგ ორი წელი ინერციის დაძლევასაც შეიძლება დასჭირდეს) საკმარისი ჩანს ხსენებული დოქტრინის ინიციირებისთვის. ასე რომ, შესაძლებელია, მიმდინარე ფაზამ მოგვიტანოს ოპტიმალიზმის დოქტრინით განსაზღვრული გლობალური წესრიგი, რომელიც აქ პირველ მიახლოებაში მაინც უნდა წარმოვადგინოთ.

ოპტიმალური წესრიგის უმთავრესი ასპექტია ექსკლუზიური საარსებო სივრცეებით უზრუნველყოფა ფორმის მანიის კლასის ერებისა – გერმანელები, ესპანელები, იტალიელები, რუმინელები, თანამედროვე ელინები, პოლონელები, ჩეხები, უნგრელები, შვედები, ფინელები... მექსიკელები, პერუელები, ბოლივიელები, ვენესუელელები, არგენტინელები (აღსანიშნავია, რომ ლათინურ ამერიკაში ჯერ კიდევ არ დასრულებულა ერების სტაბილიზაცია – მათი მთელი ერთობლიობა შეიძლება ერთ ფორმის მანიის კლასის ერადაც კი ჩამოყალიბდეს, მაგრამ კონსოლიდაციის ეტაპზე, კონფედერაციულობის მომენტის საფუძველზე, ცხრომის მანიის ეფექტის ფაქტორების გაძლიერებაცაა შესაძლებელი)... იაპონელები, ჩინელები, ინდონეზიელები, ვიეტნამელები, კორეელები, ირანელები, არაბები, ებრაელები, არმენიელები, თურქების და სხვა, რადგან ამ თვისებრივი ტიპის ერებს ახასიათებთ უცხოთშეუწყნარებლობა და სხვა ერებზე აღმატებულობის ცნობიერება; ეს კი მოითხოვს ამ თვისებრივი ტიპის თითოეული ერის საარსებო სივრცეზე სხვა ერების წარმომადგენელთა შეღწევის აღკვეთას, ან მათი იქ ყოფნის მკაცრ რეგლამენტირებას მაინც. ფორმის მანიის კლასის ერის სახელმწიფოს მოწყობის საფუძვლად იგულისხმება უნიტარიზმისა და ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს პრიმატი, მოხელეთა სელექციის ეროვნული ინსტიტუტი (რისკენ მისწრაფებაც, სპონტანური ცივილიზაციის პირობებში, ერთპარტიული სისტემის ფორმირების ტენდენციაში ვლინდება) და წარმოების სექტორის პრიმატზე დამყარებული ეკონომიკა, რაც ფორმის მანიის კლასის ერებს ცივილიზაციის (ამ შემთხვევაში გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის) მთავარ მწარმოებელ ელემენტებად (საწარმოო არეებად) წარმოგვიდგენს. ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგი ამ თვისებრივი ტიპის ერების განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური და სხვა სახის აქტიურობის ხელშემშლელი ფაქტორია.

ძლევის მანიის კლასის ერების (რუსები, სერბები, მონღოლები, ქურთები და სხვა) ფუნქცია ფორმის მანიის კლასის ერების აგრესიის შეჩერება და აღკვეთაა, რისთვისაც აუცილებელია გლობალური განლაგების სამხედრო ინფრასტრუქტურა – „გლობალური ბუფერული ფარი“, სამხედრო ინსტიტუტის პრიმატი სახელმწიფოს მოწყობაში (სამხედრო

დემოკრატია – გენერლების საბჭო უმაღლეს ინსტანციად) და ეფექტიანი სამხედრო მრეწველობა (მხოლოდ სამხედრო სფეროშია პრიმატული და შესაძლებლობის ფარგლებში რეალიზებულიც, კომუნიზმის პრინციპი – „თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით, თითოეულისგან მისი შესაძლებლობის შესაბამისად“) და ცივილიზაციის (ამ შემთხვევაში გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის) ბუნებრივი რესურსების მარაგის ოპტიმალურ წილზე კონტროლი (მესაკუთრეობა) – ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგი ამ თვისებრივი ტიპის ერების სტაბილური არსებობა-განვითარებისა და სრული კონსტრუქციულობის ხელშემწყობი პირობაა: ბუნებრივი რესურსების მარაგის გარეშე ძლევის მანიის კლასის ერი, როგორც ასეთი, იძულებული იქნება, იარსებოს სამხედრო კონტრიბუციებით (როგორც, მაგ., ძველი რომი), ან ხელი შეუწყოს კონფლიქტების გაღვივებას, მათ კერებში ბუფერული ძალის ფუნქციით შეღწევისათვის ან (და) იარღით ვაჭრობის ინტენსიფიკაციისთვის, რადგან ძლევის მანიის პარადიგმა წარმოების მხოლოდ სამხედრო სექტორის ეფექტიანობას ითვალისწინებს. ამდენად, ცხადია, რომ ძლევის მანიის კლასის ერებს შორის რუსი ერის დაწინაურებაში მისი მდებარეობის წვლილი მეტად მნიშვნელოვანია: რუსი ერი ფლობს რესურსებით მდიდარ უდიდეს, თითქმის დაუსახლებელ ტერიტორიებს, საერთაშორისო ბაზარზე ყიდის მრავალგვარ ნედლეულს, რითაც ავითარებს სამხედრო მრეწველობას, ინახავს შეირაღებულ ძალებს და უზრუნველყოფს საკუთარივე მარაგების დაცვას.

ცხრომის მანიის კლასის ერების (ამერიკელები და ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, ინდოელები და სხვა) სახელმწიფოები წარმოადგენენ არეებს, სადაც იწარმოებს ცივილიზაციის წევრი ერებისა და ცივილიზაციის საგარეო საბაზრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, სამრეწველო და საინფორმაციო ინოვაციათა გენერაცია (ინოვაციათა სრულყოფა ფორმის მანიის კლასის ერების სივრცეებზე გაგრძელდება, მათ მიერ ექსკლუზივების შესყიდვა-განაწილებით). ამ თვისებრივი ტიპის ერის სახელმწიფოს მოწყობაში ოპტიმალურია ფედერალიზმის პრინციპი და პრეცედენტული სამართალწარმოება, აუცილებელია ფინანსური სისტემის პრიმატზე დამყარებული ეკონომიკა, მრავალპარტიული ლიბერალისტური საარჩევნო სისტემა და გლობალური განლაგების სამხედრო ინფრასტრუქტურა – „გლობალური თავდაცვის ფარი“ – რომელიც ცხრომის მანიის კლასის ერებისა და ერთა კონფედერაციების (შვეიცარიის ტიპის ერთეულების) მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს, რის საფუძვლადაც გამოდგება ნატო, მისი შემადგენლობის განახლებით. ეს ინფრასტრუქტურული ელემენტი გლობალური ბუფერული ფარის მაწონასწორებელი ფაქტორის როლსაც შეასრულებს. ცხრომის მანიის კლასის ერების სივრცე ღია უნდა იყოს სხვა თვისებრივი ტიპების ერებიდან თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოტივით ემიგრირებულ პირთათვის.

მართვის მანიის კლასის ერებს (ქართველები, შოტლანდიელები, ირლანდიელები, კორსიკელები, სიცილიელები, ბასკები და ა. შ.), როგორც ცივილიზაციის სისტემური სიმთელის ეფექტის გამომვლენ ელემენტებს, შეესაბამებათ ცივილიზაციის, როგორც მთელის, წარმომადგენლის ფუნქცია ცივილიზაციის წევრი ერების წინაშე. ეს ნიშნავს იმასაც, რომ აუცილებელია ცივილიზაციის თვითრეგულირების უმაღლესი ინსტიტუტის მართვის

მანიის კლასის ერის სახელმწიფოში განლაგება. ხოლო მასპინძელი როლშიც, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, დღეს საქართველოს ეკუთვნის უპირატესობა. გაეროს მემკვიდრე, უმაღლესი პოლიტიკური ინსტიტუტის მასპინძელი ქვეყნის სტატუსის გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის პრინციპების განსაზღვრაში. ცივილიზაციის თვითრეგულირების უმაღლესი ინსტიტუტი, ერთა ოთხი თვისებრივი ტიპის არსებობის გათვალისწინებით, ოთხპალატიანი უნდა იყოს. ყოველი პალატა კონკრეტული თვისებრივი ტიპის ერების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და ერთა ამ თვისებრივი ტიპის ცივილიზაციური ფუნქციის შესრულებას შეუწყობს ხელს და ცივილიზაციის ცენტრსა და ფორმის მანიის კლასის, ძლევის მანიის კლასისა და ცხრომის მანიის კლასის ერების ორმხრივი კავშირის სტაბილურობას უზრუნველყოფს. ერთა მართვის მანიის კლასის ფუნქცია, ასევე, ცივილიზაციის შიგნით პარიტეტზე მეთვალყურეობა და სტრატეგიული კვლევების კურირებაა, განსაკუთრებით, მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკურად არასაინტერესო სფეროებში.

თუ ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირება ამ ფაზაშიც ვერ მოხერხდება, 2028 წლიდან, ეგეოსური ცივილიზაციის მეშვიდე ორმაგი ეფექტის ფაზაში, ვერ ავიცილებთ სამხედრო კონფლიქტებს, გლობალური მასშტაბის საერთაშორისო კოალიციების მონაწილეობით. მიმდინარე ფაზაში აქტიური ელემენტის რომელობის გათვალისწინებით, მეშვიდე ორმაგი ეფექტის ფაზაში, მის საწყის ეტაპზე მაინც, ინიციატივა ექნებათ ფორმის მანიის კლასის ერებს, ამდენად, კოალიციური კონფლიქტები იქნება უფრო მწვავე, ვიდრე მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზაში, რომლის საწყის ეტაპზე ინიციატივას ფლობდა წინა ფაზის ლიდერი – ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერი, და რეგიონულ კერებში მათი ლოკალიზაცია შეიძლება ვერც მოხერხდეს.

§3.3 ოპტიმალური წესრიგი და თანამედროვეობა

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის ნოოსფერო მისი საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის აქტუალიზაციის მოთხოვნის წინაშე დგას – მიმდინარე ეტაპის მთავარი ამოცანაა მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამის – „ოპტიმალიზმის დოქტრინის“ – ინიციირება. ეს ნიშნავს ერების თვისებრივი მახასიათებლების სრულად ასახვას როგორც მათი სახელმწიფოების ინსტიტუციურ მოწყობაში, ასევე, მათი საერთაშორისო სტატუსისა და ფუნქციების განსაზღვრაში. ოპტიმალიზმის დოქტრინის მთავარი ღირსება ისაა, რომ შესაბამისი წესრიგის პირობებში, ერებს არ მოეთხოვებათ არავითარი ისეთი პირობის დაკმაყოფილება, რაც მათი შეუზღუდველი თვითრეალიზაციის შინაარსში არ შედის.

ოპტიმალურ წესრიგზე გადასვლის აუცილებლობა გამომდინარეობს ნოოსფეროს განვითარების კანონზომიერებებიდან, მსოფლიო საზოგადოების მდგომარეობის სტაბი-

ლურობისა და პროგრესის დაჩქარების მოთხოვნილებიდან. ამდენად, ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ ისტორიის მიმდინარე ეტაპისთვის დამახასიათებელი დესტრუქციული ტენდენციების განვითარება, რომელთაც მოკლედ წარმოგიდგენთ, გვკარნახობს შესაბამისი ნაბიჯის – ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირების – დაჩქარების აუცილებლობას.

* * *

ისტორიის მონაკვეთი, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ორი ცივილიზაციის დაახლოებით რვა ფაზითაა გადაფარული, მაგრამ ის მაინც ხასიათდება ერთი ზოგადი ნიშნით – ეს არის გლობალიზმის მონომოდალისტური მოდუსების ბატონობის ხანა, რაც ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების ექსპანსიით დედამიწის ნოოსფეროს ფენომენური გამთლიანების ზღვარამდე მიღწევამ განაპირობა, საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის პირობებში: მეოცე საუკუნის 20-იანი წლების შუახანებამდე ბატონობდა კომუნისტური (ბოლშევიკური) მონომოდალისტური გლობალიზმი (ძლევის მანიის სათანადო), 1929 - 1968 წლებში – სოციალიტური მონომოდალისტური გლობალიზმი (ფორმის მანიის სათანადო), რის შემდეგაც ბატონობს ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმი (ცხრომის მანიის სათანადო).

ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზა მონომოდალისტური გლობალიზმის სოციალისტური მოდუსის აქტუალიზაციის ხელშემწყობია; როგორც აღინიშნა, თვითონ ერთა ცხრომის მანიის კლასის ლიდერის, ამერიკელი ერის საშინაო ცხოვრებაშიც გამოჩნდა შესაბამისი პარადიგმის ელემენტების აქტუალიზაციის სიმპტომები და მთელს მსოფლიოშიც თანდათანობით იზრდება სკეპტიციზმი ლიბერალიზმის მიმართ, მაგრამ ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმი მაინც არ თმობს პოზიციებს. ერთი მხრივ, ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ფორმის მანიის კლასის ერებისთვის მიუღებელია სხვა ერებთან ურთიერთობის საკუთარ საარსებო სივრცეში წარმოება, საგარეო კონტაქტების რეალიზაციის არეებზე მოთხოვნილება კი ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის აქტუალობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაცია განიცდის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის გარდაქმნის აქტუალიზაციას, რაც ოთხივე ტიპის ერების უწყვეტად თანაარსებობის უზრუნველყოფაზე მოთხოვნილებას გულისხმობს, ხოლო, ერთნაირად აქტუალურობის პირობებში, ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის უპირატესობა უზრუნველყოფილია იმით, რომ, ამ შემთხვევაში, მთავარ აქტორად გამოდის ცხრომის მანიის კლასის ერი, მულტიკულტურალისტური (თავის არეზე სხვა სამი ფსიქიკური სტიქიის ეფექტების ლოკალურ ფენომენებად არსებობის დამშვები) და ცივილიზაციაში გლობალური ფუნქციის მქონე – საერთაშორისო ბაზრის რეგულირებაზე და ცივილიზაციის საგარეო კონტაქტებსა და საგარეო საფრთხეებისგან თავდაცვაზე პასუხისმგებელი – ელემენტი.

ლიბერალისტური მონომოდალური გლობალიზმის გავლენის გაძლიერების ხელშემწყობია ის გარემოებაც, რომ ერის კატეგორიის სწორი განსაზღვრების არცოდნის პირო-

ბებში, დღეს ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ინტერესების მთავარი გამტარებელი, ამერიკის შეერთებული შტატები, თავისი გლობალური ფუნქციის ფინანსური ინსტიტუტებით (მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახით), რომლის გავლენასაც აძლიერებს საერთაშორისო კორპორაციების გლობალური ქსელი, იდენტიფიცირებულია არა ერთა ცხრომის მანიის კლასის ლიდერად, რასაც ის წარმოადგენს სინამდვილეში, არამედ მომავალი პოსტნაციონალური ეპოქის საზოგადოების პროტოტიპად, ზეეროვნულ ფენომენად. ამის გამო სხვა თვისებრივი ტიპის ერების საზოგადოებებში ეროვნული თვითშეგნების ფაქტორის გავრცელებულობა დასახულია მსოფლიო საზოგადოების განვითარების მთავარ შემფერხებლად.

ფორმის მანიის კლასის ერი, რომელიც, სოციალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის შემთხვევაში, ჰეგემონ აქტორად იგულისხმება, არსებითად ლოკალური ფენომენია, კულტურული უნიფიკაციისკენ მიდრეკილებით ხასიათდება და, ამდენად, მონომოდალისტური გლობალიზმის ამ მოდუსის აღზევების წინააღმდეგ დანარჩენი მსოფლიოს კონსოლიდაცია იოლია, რაც მესამე რაიხის და თანამედროვე ისლამური ფუნდამენტალიზმის (თალიბანისა და ე. წ. ისლამური სახელმწიფოს) მაგალითებზეც გამოჩნდა. მონომოდალისტური გლობალიზმის არც ძლევის მანიის სათანადო (კომუნისტურ) მოდუსს გააჩნია ხანგრძლივი ჰეგემონობის რესურსი, რადგან ამ შემთხვევაში აუცილებელია დესტრუქციულ ფაქტორად იდენტიფიცირებადი მუდმივი მოწინააღმდეგე და, ამდენად, ის, თვით მისი მიმდევრებისთვისაც კი, არა საფუძველსმოკლებული შეიძლება იყოს უწყვეტი ბუნებრივ კატაკლიზმების (მეტანოოსფერული ფაქტორის), ან ერთა ძლევის მანიის კლასის ცივილიზაციური ფუნქციის (ფორმის მანიის კლასის ერების დაზღვევისა და ურთიერთდაშორიშორების პრობლემის) აქტუალობის პირობებში. მაგრამ, ამასთანავე, ამ უკანასკნელი გარემოების გათვალისწინებით, შესაძლებელია მონომოდალისტური გლობალიზმის ამ ორი მოდუსის ურთიერთშეკავშირება და ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ეფექტიან შემკავებელ ფაქტორად გადაქცევა. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს მსოფლიოს ისტორიის 1929 - 1967 წლების მონაკვეთი. ეს ფაქტორი ეგეოსური ცივილზაციის მიმდინარე ფაზაშიც მოქმედებს, რაც ასახულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებაში (სირია, ვენესუელა, ბელარუსი და ა.შ.).

მონომოდალისტური გლობალიზმის ფორმის მანიისა და ძლევის მანიის სათანადო მოდუსების სინთეზის მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ასპექტი ერთა ძლევის მანიის კლასის ლიდერის, რუსი ერის მხრიდან დამზღვევი ხელშეწყობით, ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ერებში ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ინსტიტუციონალიზაციის სოციალისტური (ფორმის მანიის სათანადო) მოდუსით გავრცელებაა, რაც მინოტავრის სინდრომის თვითგენერაციის გამომრიცხავია. საპირისპირო პრეცედენტები ავღანეთის, ეგვიპტისა და ლიბიის შემთხვევაში, განაპირობა გარეგანმა (ე. წ. დასავლეთის სამყაროს მხრიდან) ჩარევამ, რუსი ერის უკანდახევის პირობებში.

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ერების მოთხე საფეხურზე გადასვლა მოითხოვს ყოველი მათგანისთვის მეოთხე საფეხურის ინსტიტუციონალიზაციის მხოლოდ

მისი თვისებრივი ტიპის შესაბამისი მოდუსით ინიციირების ხელშეწყობას. თუ მოწინავე ერები ამ პირობას გაითვალისწინებენ, მაშინ, მათი მხრიდან უხეში ჩარევის შემთხვევაშიც კი, ინიციატივის ინერცია თვითმზარდი იქნება. დღეს ეს პირობა (მოდალური შესატყვისობა) იგნორირებულია არცოდნის გამო.

ამის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ფორმის მანიის კლასის ერებზე, რომლებსაც ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურზე გადასვლა არ დაუსრულებიათ, ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის გავლენა მხოლოდ დესტრუქციული შეიძლება იყოს. ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ფორმის მანიის სათანადო (ნაციონალ-სოციალისტური) მოდუსით ინსტიტუციონალიზაციის ხელშეშლა და ცხრომის მანიის სათანადო (ლიბერალისტური) მოდუსით თავსმოხვევის მცდელობა (ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი – 1953 წელს ამერიკელების მიერ ირანში განხორციელებული გადატრიალება, ერთ-ერთი უკანასკნელი პრეცედენტი – 2011 წ. ლიბიაში ნატოს ძალებით ჯამაჰირიის დამხობა) ფორმის მანიის კლასის ერებში თავდაცვითი რეაქციის გამოხატულებად მინოტავრის სინდრომს წარმოშობს, რაც მათ ნოოფილოგენეზურ სტაგნაციაში აგდებს: ამგვარი გარეგანი ზემოქმედების გამოცდილების მქონე ფორმის მანიის კლასის ერებში ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის თვითგენერირებული სიმპტომებიც, გარედან მომდინარე ნოოტიპურ ტრანსფორმაციაზე გამიზნულ გავლენასთან ასოცირდება და თვითითრგუნება – გორგონა მედუზას სინდრომი. ეს არის ისლამური რევოლუციების არსი და ისლამურ ქვეყნებში არსებული რეჟიმების მდგრადობის საფუძველი.

კერძოდ, 2010 წელს, ლოკალური რეჟიმების რყევა – ე. წ. არაბული გაზაფხული – ჯამაჰირიის, როგორც სოციალისტური სეკულარული სახელმწიფოს ექსკლუზიური არაბული მოდელის, სახით იდეური ორიენტირის არსებობის პირობებში, არაბული სამყაროს ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ფორმის მანიის კლასის ერად რეკონსოლიდაციის პროცესში შეიძლებოდა გადაზრდილიყო, მით უმეტეს, შესაბამისი გარეგანი მხარდაჭერის პირობებში; მაგრამ გარეგან ზემოქმედებას სრულიად საპირისპირო მიზანი ჰქონდა – ლიბიის (ადამიანის განვითარების ინდექსით კონტინენტის ლიდერის) დაქცევით ლიკვიდირებულ იქნა იდეური ორიენტირი და ხელი შეეწყო არაბულ სამყაროში ჩანერგილი ლოკალური რეჟიმების გამაგრება-აღდგენას, რამაც ბიძგი მისცა ზემოხსენებული თავდაცვითი რეაქციის მინოტავრის სინდრომში გადაზრდას – ისლამური ფუნდამენტალიზმის აღზევების პრეცედენტს, ე. წ. ისლამური სახელმწიფოს სახით, რომელიც 2014 წელს გამოცხადდა.

ცხადია, რომ არსებულ ვითარებაში ასეთივე მოვლენების განმეორების აღკვეთა სწორი იდეური საყრდენის გარეშე შეუძლებელია.

* * *

აქვე უნდა ითქვას, რომ, საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის პირობებში, შეუძლებელია რომელიმე ერის მოქმედება იყოს სავსებით კონსტრუქციული.

როგორც აღინიშნა, სირიაში მიმდინარე მოვლენებში რუსი ერის ჩარევამ შეაფერხა

მინოტავრის სინდრომის განვითარება არაბულ სამყაროში, მაგრამ მანვე ხელი შეუწყო მინოტავრის სინდრომის ინიციირებას თურქეთში.

თურქეთის სახელმწიფო არ არის მდგრადი წარმონაქმნი და საარსებოდ დამოკიდებულია ამერიკის მხარდაჭერაზე, მხარდაჭერის პირობა კი თურქეთის ლიბერალიზაცია და მთელი ევრაზიის დესტაბილიზაციის პროცესის ინიციირების პოტენციაა, დიდი თურანის იდეის გეოგრაფიული ასპექტის გათვალისწინებით; თურქეთის ლიბერალიზაციის ტენდენციის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა ამერიკის მხარდაჭერაზე დამყარებული სამხედრო ინსტიტუტი (1952 წელს საბჭოეთის ინტერვენციის საფრთხის კარნახით ნატოში შესვლა; 1960, 1971, 1980 და 1997 წლებში განხორციელებული სამხედრო გადატრიალებები); სირიაში რუსეთის ეფექტიანმა მოქმედებამ აღკვეთა იქ თურქეთის ფართო მასშტაბიანი ინტერვენციის შესაძლებლობა, რამაც ამერიკის სტრატეგიული გეგმებისადმი თურქეთის დამოკიდებულება შეცვალა – გზა გაუხსნა მიმდინარე, მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის გავლენით ფორმის მანიის კლასის თურქი ერის ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერის გავლენისგან თავდახსნის ტენდენციას, რასაც ასახავს პრეზიდენტ ერდოღანის პოლიტიკა, გამოკვეთილი ფუნდამენტალისტური ორიენტაციით.

სირიაში მიმდინარე მოვლენებში რუსეთის ჩარევას ახლავს კიდევ ერთი, უაღრესად ნეგატიური ასპექტი. კერძოდ, თურქეთში ლიბერალიზმის აღმოფხვრის ტენდენცია საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის პირობებში ქმნის ერთა მართვის მანიის კლასის ლიდერის, ქართველი ერის საარსებო რესურსის უკიდურესად შეზღუდვის პირობას: მართვის მანიის კლასის ერებს შორის ქართველი ერის დაწინაურება (იქნებ არსებობის შესაძლებლობაც კი) განაპირობა მისი საარსებო სივრცის სამივე სხვა მოდუსის ნოოსფერულ გარემოსთან უშუალო მეზობლობამ: აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ფორმის მანიის ჰეგემონიის ისტორიული არე („აღმოსავლეთი“), სამხრეთ-დასავლეთიდან – ცხრომის მანიის ჰეგემონიის ისტორიული არე („დასავლეთი“), ჩრდილოეთიდან – ძლევის მანიის ჰეგემონიის ისტორიული არე (დღეს – რუსეთი). ასე რომ, ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირებამდე, დედამიწის ნოოსფეროს საბოლოო სტაბილიზაციის რესურსის შესანარჩუნებლად, კარგი იქნება (თუ აუცილებელი არა) თურქეთის სივრცეზე ცხრომის მანიის ეფექტის დომინანტის შენარჩუნება. ამის მიღწევა შეიძლება თურქეთის, ერაყის, სირიისა და ლიბანის სახელმწიფოების სათანადო მოდუსის კონფედერაციად ჩამოყალიბებით, რასაც შესაძლებელს გახდის ამერიკელი და ფრანგი ერების საგარანტიო ფაქტორად ჩართვა.

უნებლიე ნეგატიური თანმხლები ეფექტის გენერაციის მაგალითია გერმანიის თანამედროვე პოლიტიკა: ერთა ფორმის მანიის კლასის ისტორიული ლიდერი, გერმანელი ერი, მოქმედებს რა დამნაშავე ერის კომპლექსის კარნახით – ფორმის მანიის ეფექტის რეალიზაციას ეწევა ლიბერალიზმის პარადიგმის ელემენტების დოგმის რანგში აყვანით და არა საკუთრივ ფორმის მანიის პარადიგმის დაცვით – რითაც აფერხებს ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზის რეალიზაციას: მიმდინარე ფაზის ლამის მთავარ მოვლენად იქცა ფორმის მანიის ეფექტის მინოტავრის სინდრომის მოდუსით რეალიზაცია, რაც რელი-

გიური ფუნდამენტალიზმის აგრესიული აქტების რეციდივებშია ასახული. ეს არის მეორე მსოფლიო ომით გამოწვეულ მსხვერპლზე არანაკლები მასშტაბის დესტრუქცია.

თვით მსოფლიო ბაზარი, რომელიც რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, და არსებულ არაოპტიმალურ ვითარებაში გადაქცეულია დესტრუქციულ ფაქტორად – ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის რესურსად: პიროვნების არსისა და ღირსების პროფესიონალიზმზე (საბაზრო აქტივის მატარებლობაზე) დაყვანა, რის პოპულარიზაციასაც ხელს უწყობს მსოფლიო ბაზრის განვითარება, ცალსახად კონსტრუქციული შეიძლება იყოს მხოლოდ ცხრომის მანიის კლასის ერის შემთხვევაში, ანუ ლიბერალისტური პარადიგმის კონსტრუქციულობის არეში, რადგან, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში საზოგადოების თვითორგანიზაციის საფუძველია ბაზარი – პიროვნება კი განიხილება კონკრეტული საბაზრო აქტივის მატარებელ სუბიექტად, რომელიც ამ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკუთარი აქტივის რეალიზაციისთვის სხვა სუბიექტებთან ურთიერთობს.

* * *

საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის პირობებში, ვერც რომელიმე ერის კეთილდღეობა და სტაბილური განვითარების შესაძლებლობა იქნება გარანტირებული. ამის დამადასტურებლად გამოდგება ამერიკელი ერის, ერთა ცხრომის მანიის კლასის ლიდერის, დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზაში ინიციატივის შენარჩუნების მცდელობამ ფორმის მანიის პარადიგმის ელემენტების აქტუალიზაციას დაუქვემდებარა. იგულისხმება პრეზიდენტ ობამას მიერ ინიცირებული ფინანსური სექტორის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა და სოციალური დაცვის პროგრამები, რისი განეიტრალებაც მან ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა მხარდაჭერის ამერიკის პოლიტიკის პრიორიტეტად დაფიქსირებით სცადა, და პრეზიდენტ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკა და ეკონომიკის სფეროში პრიორიტეტად წარმოების სექტორის გადაქცევისა და საწარმოო ინფრასტრუქტურის ელემენტების ამერიკაში დაბრუნების ინიციატივა, რისი განეიტრალებაც მან მისი წინამორბედის სოციალური პროგრამების შეკვეცით დააპირა. ანალოგიურ მდგომარეობაშია ინგლისელი ერიც, რომელიც ავტარკისტულ ტენდენციას ავლენს. ანგლო-იანკური სამყაროს (პოტენციურად ერთი, რეკონსოლიდირებადი ერის) ამგვარი თვითშეფერხების პირობებში, ფრანგ ერს მიეცა ერთა ცხრომის მანიის კლასში პოზიციის გაუმჯობესების შესაძლებლობა, რისი გამოყენების მცდელობადაც პრეზიდენტ მაკრონის პოლიტიკა შეიძლება დასახელდეს.

სქესობრივ უმცირესობათა საკითხში პრეზიდენტ ობამას ინიციატივის მნიშვნელოვან კომპენსაციურ რეაქციად დასახელება არ არის გადაჭარბეული შეფასება: როგორც აღინიშნა, ჰომოსექსუალიზმი, რომელიც სქესობრივი ქცევის დაშვებული (არააუცილებელი) ელემენტია ცხრომის მანიის პარადიგმის შემთხვევაში, სამივე სხვა ფსიქიკურ სტიქიათა პარადიგმების მიხედვით, აკრძალვას ექვემდებარება, რის გამოც სქესობრივ უმცირესობათა

საკითხი იქცა საზოგადოების ლიბერალიზაციის, ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის გავლენის ხარისხის შესაფასებელ უნივერსალურ ტესტფაქტორად და, შედეგად, ამ მოძრაობის მომხრეების ყურადღებისა და ძალისხმევების მომეტებული კონცენტრაციისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, სხვა თვისებრივი ტიპების ერთა თავდაცვითი რეაქციების საგნად. როგორც აღინიშნა, თანამედროვე პირობებში ეს საკითხიც მინოტავრის სინდრომის განვითარების სიმპტომადაა ქცეული (იხ. გვ. 70). ამდენად, ამ საკითხში პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკა კონსტრუქციულია თვით ცხრომის მანიის პარადიგმის პოზიციიდანაც.

თუ ხსენებული მინოტავრის სინდრომის განვითარების აღკვეთა ვერ მოხერხდება, რაც ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზაში ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერის თავდაცვითი რეაქციის მოსალოდნელი აქტებისა და ამ თვისებრივი ტიპის ერებს შორის ფრანგი ერის დაწინაურების მცდელობის პირობებშია შესაძლებელი, მაშინ დასავლეთის სამყარო (ცხრომის მანიის დომინატის ისტორიული არე) შეიძლება ნოოფილოგენეზური განვითარების მიხედვით ისლამურ სამყაროზე უკან აღმოჩნდეს, ხოლო ნოოფილოგენეზური ლიდერების სტატუსში ვიხილოთ რუსი და ჩინელი ერები, რომელთაც ყოფნით თანმიმდევრულობა და თავდაცვითი რეაქციის რესურსი თავის სივრცეზე ლგბტ პროპაგანდის არდასაშვებად.

დასავლეთის სამყაროს ამგვარი ხვედრისგან ვერ დაიცავს ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის მონაპოვარი მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტებით გადატვირთული საარსებო გარემო და ამ პროდუქტებით სარგებლობის მასობრივად ხელმისაწვდომობა, რადგან ამ სიახლეებით სარგებლობის უნარი საკმარისი პირობა არ არის პიროვნების ნოონტოგენეზის მეოთხე საფეხურზე დასაყენებლად. შეიძლება ითქვას მეტიც: რობოტიზაციისა და შრომის დანაწილების განვითარების თანამედროვე პირობებში, არც უკვე შემუშავებული ტექნოლოგიური ხაზების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, და მოდიფიკაციაც კი, არ მოითხოვს შემსრულებელი კონტინგენტის ნოონტოგენეზის მეოთხე საფეხურზე დგომას, საამისოდ საკმარისია ნოონტოგენეზის მეორე საფეხურის პიროვნების უნარები. ამის გამო დიდი გაქანება აქვს მინოტავრის სინდრომს, ახალი თაობების ნოონტოგენეზის მეორე საფეხურზე დამუხრუჭებით (და თუ ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირება ვერ მოხერხდება, უფრო დიდი გაქანება ელის). რადგან ნოოფილოგენეზი თავისთავადი პროცესია, მინოტავრის სინდრომის დაძლევა – „ოლიმპოს სინდრომი“ – აუცილებლად შედგება და შესაბამისი რევოლუციური აქტი მით უფრო ინტესიური და დამანგრეველი იქნება, რაც უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდება მინოტავრის სინდრომის ხანა. დაძაბულობის დაგროვება-ესკალაციის რესურსს განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ ადამიანის ბიოლოგიური მოცემულობისადმი დაპირისპირების მომენტი დამახასიათებელია ე. წ. არატრადიციული სქესობრივი პრაქტიკისთვის, რის გამოც ლგბტ პროპაგანდას შეუძლია ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის სიმპტომატიკის ილუზიის გამოწვევა და, ამდენად, კონსტრუქციული რეაქციის – „არიადნეს სინდრომის“ – გადავადება. რევოლუცია, რომელიც დასავლეთის

სამყაროში ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ახლად დამყარებას მოიტანს, მოსპობს ნოოფილოგენეზის მეორე სფეხურის რეალობასთან ადაპტირებულ მაღალტექნოლოგიურ ინფრასტრუქტრულ ელემენტებს. მაგრამ თუ მინოტავრის სინდრომი მთელს მსოფლიოზე გავრცელდება, მაშინ შეიძლება, მთელ მსოფლიოში დამყარდეს მდგომარეობა, რომელიც ეგეოსური ცივილიზაციის აღსასრულისა და ინდური ცივილიზაციის აღდგენის გამოხატულებად ჩაითვლება. იგულისხმება ცხრომის მანიის ეფექტის დომინანტის პირობებში სამი სხვა ფსიქიკური სტიქიის ეფექტების კასტური რეალიზაციებით წარმოდგენილობის უზრუნველყოფა. შემოქმედებითი ძალების 3/4 ნაწილით შემცირება, რასაც ეს ალტერნატივა გულისხმობს, მსოფლიო საზოგადოებას სტაგნაციის ჩიხში გამომწყვდევით ემუქრება.

* * *

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც თანამედროვე მსოფლიოში ერებს შორის ნოოფილოგენეზის საფეხურების მიხედვით განსხვავებას იწვევს, არის დისონანსური დემოგრაფიული განვითარება, შეიძლება ითქვას, დესტრუქციული დემოგრაფიული ტენდენციები, კატასტროფული პერსპექტივებით.

ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის შესაბამისი პარადიგმის მიხედვით, ადამიანის გაჩენა და მისი მომავლის განსაზღვრა ღმერთის, და არა მშობლის, კომპეტენციაა, რის გამოც შობადობა არ კონტროლდება; ახალ დრომდე დემოგრაფიულ ზრდას აფერხებდა მაღალი სიკვდილიანობა – ბიოლოგიური ფაქტორი, მაგრამ დღეს დემოგრაფიული ზრდის ამგვარი შეზღუდვა მოიხსნა, რადგან ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის ერები მედიცინის სფეროში ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერების მიღწევების პროდუქტებით სარგებლობენ; ნოოფილოგენეზის მეოთხე საფეხურის ერის წარმომადგენლები, ამ საფეხურის პარადიგმის მიხედვით, შვილის მომავლის განსაზღვრაზე პასუხისმგებლად საკუთარ თავს მიიჩნევენ. ამის გამო, მათ შემთხვევაში დემოგრაფიული ზრდის ტემპი თვითოპტიმიზირებადია – არ აღემატება საზოგადოების შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებას, მაგრამ, როდესაც მათ გვერდით არსებობენ მესამე საფეხურის ერები, რომლებიც აღწერილი მექანიზმის მოქმედებით ჭარბ დემოგრაფიულ ზრდას განიცდიან, ჩნდება მეოთხე საფეხურის ერების საკუთრივი დემოგრაფიული ზრდის ზედმეტად დაქვეითების შესაძლებლობა, ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით დემოგრაფიული ოპტიმუმის მესამე საფეხურის ერებიდან მიგრაციის ნაკადის მართვით უზრუნველყოფის შესაძლებლობის საფუძველზე. ხოლო თუ ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის გავლენას გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება მეოთხე საფეხურის ერების პოპულაციური კვლავწარმოების მათთვის კატასტროფულ დონემდე – მიგრანტების გავლენით მინოტავრის სინდრომის დომინანტიზაციის შეუქცევადობისთვის საჭირო ზღვარამდე – დაცემის შესაძლებელობა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ყოველ სახელმწიფოში, მისი წარმომქმნელი ერის დემოგრაფიული დომინანტის დაძლევა განსხვავებულ ეროვნულ დიასპორათა თანაცხოვრების იმავე პრინციპების აქტუალიზაციის პირობად შეიძლება ჩაითვალოს, რომელთა აქტუალიზაციაც

მოგვცა ამერიკის შემთხვევაში ამგვარივე პირობების დამყარებამ, რაც ამერიკული ნიმუშის საზოგადოების (შეცდომით იდენტიფიცირებულის პოსტნაციონალური ეპოქის საზოგადოების პროტოტიპად) გლობალიზაციის პერსპექტივას სახავს.

მსოფლიოში მიგრაციული ნაკადებისა და დემოგრაფიული ტენდენციების ამ მცდარ სტრატეგიულ ორიენტირთან შესაბამისობის მიღწევას ემსახურება სახვადასხვა მასშტაბის შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღება, ლოკალური ეროვნული ეკონომიკების მიზანმიმართული ნგრევა და მიგრანტების პროტექციონისტული ეკონომიკური მხარდაჭერა. მხოლოდ დემოგრაფიული სურათის შეცვლის შედეგად პოლიტიკური არჩევნების შედეგებზე

ეროვნული თვითშეგნების ფაქტორის გავლენის უმნიშვნელო ზღვრამდე შემცირების შემდეგ შეიძლება მოეხსნას ქვეყანას ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ფრონტის გარეგანი და ინფრასტრუქტურული ზეწოლის წნეხი.

* * *

ეროვნული წინააღმდეგობის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ეროვნულ სახელმწიფოთა სასურსათო დამოუკიდებლობის მოშლაა, რაც ენდემური სამეურნეო სახეობების ჰიბრიდული კულტურებით ჩანაცვლებასაც ნიშნავს. ეროვნული წინააღმდეგობის რესურსის შემცირებას ხელს უწყობს ეროვნული სამეცნიერო სკოლების ლიკვიდაცია და განათლების ეროვნულ სისტემათა მიზანმიმართული დაქვეითება. ეროვნულ საზოგადოებაზე გარეგანი გავლენის გატარებისთვის ეფექტიანი საშუალებაა ამ საზოგადოებაში (ხელისუფლების, კულტურის, მეცნიერების მართვისა და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში) მისი მენტალური აუტსაიდერებისა და არაკომპეტენტური პირების დაწინაურების ხელშეწყობა და აგენტების ჩანერგვა და მათზე დაყრდნობით ეროვნულ ღირებულებათა სისტემის, ეროვნული ტრადიციების დისკრედიტაციის პოლიტიკის გატარება. სადღეისოდ ამ სტრატეგიის თანმიმდევრული და ულმობელი მოქმედება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში შექმნილი ვითარებით დასტურდება.

ასევე უნდა ითქვას, რომ ეკოლოგიის პრობლემატიკა, თავისი პლანეტარული მასშტაბის მიუხედავად, ერებს შორის უნდობლობისა და საერთაშორისო დაძაბულობის განუხრელი ესკალაციის პირობებში, შეუძლებელია პრიორიტეტულ საკითხად იქცეს, რაც არსებულ ვითარებაში მათი გადაწყვეტის იმედს არ გვიტოვებს.

ამრიგად, არსებულ ვითარებაში, რომელიც განპირობებულია პარადიგმების მოძველებულობით, მსოფლიო საზოგადოება თავისთავს დღითიდღე მზარდი მასშტაბის ზიანს აყენებს. ყოველივე ზემოთქმული კი ადასტურებს იმას, რომ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირების გარეშე. ასე რომ, სათანადო კომპეტენციის მქონე პიროვნებებს ძალისხმევისა და ურთიერთობების ინტენსიფიკაცია მართებთ ამ საქმეში.

ემზარ ხვიჩიას პუბლიკაციების ჩამონათვალი პერიოდულ და სპეციალურ სამეცნიერო გამოცემებში (დალაგებული ქრონოლოგიურად):

1. „ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრინციპი“ (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ქუთაისი, 1997:
2. ქართველი ერი და კავკასია (სეპარატიზმის გენეზისის ეთნო-ფსიქოლოგიური მექანიზმი საქართველოში). თბილისი, კავკასიის მაცნე, 2000;
3. Место Грузинской нации в мировой цивилизации в аспекте её внутренней структуры как социальной общности. თბილისი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 2002;
4. Nation as a Philosophical Category. (RSS No.: 1336/1998);
5. Человек, Нация, Цивилизация; Сб. Материалов международного симпозиума. «Российско-Грузинский научно-исследовательский центр “Человек”», ТГУ, С-ПГУ, Санкт-Петербургское Философское общество, 2004; http://anthropology.ru/ru/text/hvichiya-ea/chelovek-naciya-civilizaciya.
6. პიროვნება - ერი - ცივილიზაცია, საზოგადოების ოპტიმალური სტრუქტურა ახალი პარადიგმის მიხედვით, 2007; http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4754/1/Sajaro_Lekcbi.pdf
7. ნაციონალ-გლობალიზმი (ოპტიმალიზმი) - მსოფლიო პოლიტიკური სისტემის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამა (გლობალიზმი ნაციონალური მოდუსით). საერთაშორისო კონფერენცია - “მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია”. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009;
8. ნაციონალ-გლობალიზმი (ოპტიმალიზმი) მსოფლიო პოლიტიკური სისტემის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამა. ევრაზიის ინსტიტუტი, 2009; http://caucasia.geurasia.org/?cat=26&language=ka
9. „კოლხი მედეა, როგორც ქართველი ერის თავდაცვითი რეაქციის პერსონიფიკაცია“. თბილისი, საისტორიო ვერტიკალები, 2010;
10. „ერი და “მისია”. თბილისი, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2010;
11. „ახალი გეოპოლიტიკური პარადიგმა საქართველოსთვის”. საერთაშორისო კონფერენცია - “ხელისუფლება და საზოგადოება”. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2010;
12. „ნოოსფერო საბოლოო სტაბილიზაციის ზღვარზე”. საერთაშორისო კონფერენცია - “მსოფლიო და კავკასია”. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011;
13. „ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ენა”. საერთაშორისო კონფერენცია - „ქართული ენის როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში”. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011;
14. „“სომხობა”, როგორც ფარული “ქართველობის” ერთ-ერთი გარეგნული მოდუსი”. თბილისი. ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), 2012;
15. „გენდერული პარადიგმების ასახვა ვეფხისტყაოსანში”. საერთაშორისო კონფერენცია - “გენდერი და მსოფლიო”. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012;
16. „კავკასიის მომავლის ნოოლოგიური ხედვა”. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 2015;
17. „ნოოლოგია ევროპის ისტორიული როლისა და პერსპექტივების შესახებ”. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 2016.

ემზარ ხვიჩიას პუბლიკაციების ჩამონათვალი მასობრივ პერიოდულ გამოცემებში (დალაგებული ქრონოლოგიურად):

1. მიმდინარე მდგომარეობის იდენტიფიკაცია. სოხუმი: "აფხაზეთის ხმა", 1991;
2. მიმდინარე მდგომარეობის იდენტიფიკაცია. სოხუმი: "აფხაზეთის ხმა", 1992;
3. „ერი, აღზრდა". თბილისი: „ქართული ფილმი", 1995;
4. „რა არის სილამაზე". თბილისი: „ქართული ფილმი", 1997;
5. „მიხეილ (მაცი) ხორავა და წმინდად ქართული მიმდინარეობა მხატვრობაში". თბილისი: „ქართული ფილმი", 1997;
6. „ვლადიმერ ვეკუას ფენომენი". ვ. ვეკუას საიუბილეო წერილების კრებული. თბილისი, 2000;
7. „დილის გაზეთი" - "საქართველოს პოლიტიკური უსაფრთხოების პრობლემა მისი სატრანზიტო პოტენციალის აქტუალიზაციის პირობებში". თბილისი, 2003;
8. „დილის გაზეთი". „"ხავერდოვანი რევოლუცია" თუ გლობალური პოლიტიკის სუბიექტთა რიგიდან საქართველოს გამორიცხვის მცდელობა". თბილისი, 2004;
9. "ქართული "გორდიას კვანძი"". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2011.09.22, https://for.ge/view/9948/qarTuli-gordias-kvanZi.html
10. „ოპტიმალიზმი: ქართული ეროვნული იდეა, გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2011.09.22, https://for.ge/view/9949/optimalizmi-qarTuli-erovnuli-idea-globalizmis-imperatiuli-paradigma.html
11. „კოლხი მედეა, როგორც ქართველი ერის (კოლხური სამყაროს) თავდაცვითი რეაქციის პერსონიფიკაცია". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2011.09.22, - https://for.ge/view/5889/kolxi-medea-rogorc-qarTveli-eris-kolxuri-samyaros-TavdacviTi-reaqciis-personifikacia.html
12. „"სომხობა", როგორც ფარული "ქართველობის" ერთ-ერთი გარეგნული მოდუსი" (ორ ნაწილად). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2011.10.04,
13. „"ქართული ეროვნული იდეის" თეორიული საფუძვლები". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2011.10.04;
14. „სიახლის მოლოდინი". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2011.11.02, https://for.ge/view/9954/siaxlis-molodini.html
15. „სტალინი". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2012.03.01, - https://for.ge/view/9955/stalini.html
16. „მესამე ქართველი - ედუარდ შევარდნაძე". (ნაწილი პირველი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2012.08.19, https://for.ge/view/14667/mesame-qarTveli---eduard-SevardnaZe-nawili-pirveli.html
17. „მესამე ქართველი - ედუარდ შევარდნაძე". (ნაწილი მეორე). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2012.08.20, - https://for.ge/view/14702/mesame-qarTveli--eduard-SevardnaZe-nawili-meore.html
18. „მესამე ქართველი - ედუარდ შევარდნაძე". (ნაწილი მესამე). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2012.09.09, - https://for.ge/view/15281/mesame-qarTveli-eduard-SevardnaZe-nawili-mesame.html
19. „მესამე ქართველი - ედუარდ შევარდნაძე". (დასასრული). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2012.10.20,- https://for.ge/view/16942/mesame-qarTveli---eduard-SevardnaZe-dasasruli.html

20. „საქართველო ისტორიის მიმდინარე ეტაპზე (პირველი ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2012.11.24, https://for.ge/view/18086/saqarTvelo-istoriis-mimdinare-etapze-pirveli-nawili.html

21. „საქართველო ისტორიის მიმდინარე ეტაპზე (მეორე ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2013.03.23, https://for.ge/view/21292/saqarTvelo-istoriis-mimdinare-etapze-meore-nawili.html

22. „სციენტოკრატიის გარიჟრაჟი". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2013.04.14, https://for.ge/view/21862/scientokratiis-gariJraJi.html

23. „თამარ მეფე და რუსთველი". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2013.05.12, https://for.ge/view/22524/Tamar-mefe-da-rusTveli.html

24. „ახალი მოვლენები და უცვლელი პრობლემა". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2014.05.07, https://for.ge/view/31713/axali-movlenebi-da-ucvleli-problema.html

25. „იდეური ომის გენდერული ასპექტი". ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2014.05.26, https://for.ge/view/32231/ideuri-omis-genderuli-aspeqti.html

26. „მსოფლიო საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის ძირითადი ასპექტები" (პირველი ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2015.05.24, - https://for.ge/index.php/view/ 39348/ msoflio-sazogadoebis-Tanamedrove-mdgomareobis-ZiriTadi-aspeqtebi-nawili-pirveli.html

27. „მსოფლიო საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის ძირითადი ასპექტები" (მეორე ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2015.05.26, - https://for.ge/view/39374/Msoflio-sazogadoebis-Tanamedrove-mdgomareobis-ZiriTadi-aspeqtebi-nawili-meore.html

28. „ზვიად გამსახურდია - ურთიერთსაპირისპირო შეფასებები" (პირველი ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2016.01.23,https://for.ge/view/42365/zviad-gamsaxurdia---urTierT-sapirispiro-Sefasebebi-pirveli-nawili.html

29. „ზვიად გამსახურდია - საპირისპირო შეფასებები" (მეორე ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2016.01.23, https://for.ge/view/42871/zviad-gamsaxurdia---sapirispiro-Sefasebebi-nawili-meore.html

30. „ზვიად გამსახურდია - საპირისპირო შეფასებები" (მესამე ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2016.01.23, https://for.ge/view/43360/zviad-gamsaxurdia---sapirispiro-Sefasebebi-mesame-nawili.html

31. „ზვიად გამსახურდია - ურთიერთსაპირისპირო შეფასებები" (მეოთხე ნაწილი). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2016.01.23, https://for.ge/view/44154/zviad-gamsaxurdia---urTierT-sapirispiro-Sefasebebi-meoTxe-nawili.html

32. „ზვიად გამსახურდია - ურთიერთსაპირისპირო შეფასებები" (დასასრული). ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2016.03.05, https://for.ge/view/47609/zviad-gamsaxurdia---urTierTsapirispiro-Sefasebebi-dasasruli.html

33. „თურქეთის მიმდინარე მდგომარეობა – ნოოლოგიის კიდევ ერთი დადასტურებული პროგნოზი.", ინტერნეტ-გაზეთი For.ge, 2016.26.08, https://for.ge/view/44663/TurqeTis-mimdinare-mdgomareoba--noologiis-kidev-erTi-dadasturebuli-prognozi.html

ავტორის facebook პროფილი (https://www.facebook.com/emzar.khvichia), ძირითადად ნოოლოგიის აკადემიურ რეპრეზენტაციას ეძღვნება.

შენიშვნა:

ემზარ ხვიჩიას მიერ 1991 და 1992 წლებში «აფხაზეთის ხმაში» გამოქვეყნებული ორი წერილი აქტუალური პოლიტიკური მოვლენების ანალიზია, რომელიც მის მიერ ნოოლოგიის თეორიის შექმნამდეა დაწერილი.

დაიბეჭდა სტამბაში - iPrint Georgia
iprintgeorgia@gmail.com
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ, კორპ. 21
ზურაბ მარგიშვილი
592 77 77 69